UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

# ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

## ათინათი
## 2017 / 1 / (23)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2017

# უფლის საგალობელი



უწმინდესი და უნეტარესი, ილია II

* * *

მტერი შენს ახლოს ისევ ხვნეშის და...
ერს კი სიცოცხლის წყაროდ სჭირდები,
საპატრიარქოს მხოლოდ შენ შვენი,
მხოლოდ შენით ვართ სულით მდიდრები.



## მამა გაბრიელი

მამა გაბრიელ, შენს საფლავთან სანამ მოვიდოდი ერთი ჩვეულებრივი ქალი ვიყავი. საზოგადო მოღვაწე, დედა და ბებია. ცხოვრების გზაზე არ მელეოდა ქორი და ჭილყვავი. შენი საფლავის შეხების შემდეგ ლექსების წერის მადლი გამომყვა. ახლა მხოლოდ შენ იცი ჩემს სულში რა ამბებია.

*გულნაზ ხარაიშვილი*



**ღვთისმშობელი ვედრება**

**ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები**



**ღვთისმშობელი ვედრება**
**ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები**




**ძლეთის წმინდა გიორგი**
ხატმწერი გიორგი ლარიაშვილი

ლიზი ნადირაშვილი



# ინტერვიუ მამა ამირანთან

მამა ამირან მოგესალმებით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნორჩი ათინათელი ლიზი ნადირაშვილი.

***მამა ამირან ვინ იყვნენ თქენი მშობლები?***

**მამა – გრიგოლ ალმასხანის ძე ამირანაშვილი** საშუალო ტანის, ყველაფერში ზომიერი, დინჯი, გაწონასწორებული პიროვნება იყო – ორი ომის მონაწილე – თურქეთთან და გერმანიასთან. ბუნებით ნამდვილი თავადური მანერები ჰქონდა, რაც ძალიან უხდებოდა სამხედრო ფორმაში შემოსილს. მხედრული სამოსი მამას არასდროს გაუხდია.

გავიხსენებ ერთ ეპიზოდს მამაჩემის ცხოვრებიდან. მეორე მსოფლიო ომში ერთ-ერთი შეტაკების დროს ტყვედ ჩავარდა. გრიგოლმა უცხო ენების ცოდნა გამოიყენა და ერთ კახელ ჯარისკაცთან შეთანხმებით თავი გადაირჩინა – ვითომ მამა-შვილი იყვნენ, გერმანელებისგან საჯინიბო ჩაიბარეს და ცხენებს უვლიდნენ. „მამა-შვილი" ეტლით ემსახურებოდნენ ფაშისტებს, რომ მათი ნდობა მოეპოვებინათ. ნელ-ნელა მათ ეტლით დაიწყეს საზღვრისკენ სვლა, ვითომცდა ფაშისტების საქმეების მოსაგვარებლად, შემდეგ ეტლიდან გამოხსნეს ცხენები და ეტლი იქვე, სოფელში ტანსაცმელზე გადაცვალეს, ძონძებით შეიმოსნენ, წვერი მოუშვეს და ტყეში შევიდნენ; ცხენები სოფლელებს საგზალში გაუცვალეს და დიდი ტანჯვის ფასად გადმოლახეს კავკასიის მთები. დრო გადიოდა... დღე იმალებოდნენ, ღამით კი გზას აგრძელებდნენ და ასე, წვალებ-წვალებით როგორც იქნა, ჩამოვიდნენ თბილისში. გრიგოლმა კახელი მეგობარი შინ გაუშვა, ხოლო თვითონ ღამით მცხეთის ქუჩაზე №30-ში თავისი დის სახლთან მივიდა და დაღლილ-დაქანცულს, მშიერ-მწყურვალს, კონკებში ჩაცმულსა და გაუპარსავს ჭიშკართან სკამზე ჩაეძინა. სადიკო მამიდა დილით ადრე დგებოდა, სახლში ექვსი სული ძროხა ჰყავდა, უვლიდა პირუტყვს, თავს ევლებოდა, რძეს ადედებდა მაწვნად, ყველი ამოჰყავდა, კარაქს დღვებდა და თავი დაუღალავი შრომით გაჰქონდა. იმ დროს კარზე მიმდგარი მათხოვარი არავის უკვირდა, გრძელ სკამზე წამოწოლილი კაცი რომ დაინახა მამიდას მკვდარი ეგონა, მაშინვე გამოვარდა ეზოდან, დაინახა, რომ ცოცხალი იყო და ოთარაანთ ქვრივივით ერთი ქოქოლა დააყარა; თან ერთი ლავაში და ერთი ბოთლი რძე გამოუტანა და მიაყოლა: „აჰა, ჩაცეცხლე! ჯარში პატარა ძმა მყავს და ვინ იცის, იქნებ ისიც სადმე გაჭირვებულიაო". მამა ხმას ვერ იღებდა, ბოლოს ძლივს ამოილუღლუღა: რატომ მწყევლი, გოგო, მე ვარ შენი პატარა ძმაო... მამიდამ იმხელა კივილი მორთო, მთელი უბანი შეიყარა... ამ ფაქტთან დაკავშირებით დედაჩემის, ბაბუცას ამბავია საინტერესო, რომელსაც მოგვიანებით გიამბობთ.



გრიგოლი გამოაჯანმრთელეს და კვლავ ფრონტის ხაზზე გაამწესეს.

მამაჩემი სიტყვაძუნწი კაცი იყო, მაგრამ იმერული თავაზიანობით გამოირჩეოდა. ბილწსიტყვაობა არ უყვარდა, ისე ერთხელ რაიკომის კომისარიატს კი ნამდვილად შეუკურთხა. იმ დროისათვის ყველა ომის მონაწილეს პენსია დაუნიშნა სახელმწიფომ, მამა კი მოთმინებით ელოდა საკუთარ პენსიას, მაგრამ არა და არ ეღირსა კაცს თავისი რიგი. ბოლოს დედაჩემმა, ბაბუცამ აიძულა, რაიონში ჩასულიყო ამბის გასაგებად. კომისარიატში მოუბოდიშეს: ომიდან

თქვენი დაბრუნების ცნობა არ მიგვიღიაო. მამამ შეუკურთხა: ცოცხალი კაცი თქვენს წინაშე ვდგავარ და მეტი რაღა ცნობა გინდათო. ყველამ ბევრი იცინა და წინა თვეებისაც ერთიანად აუნაზღაურეს.

მამაჩემს ბავშვების ზედმეტად მოფერება არ უყვარდა და დიდად არც დასჯით იწუხებდა თავს. სუფრასთან დიდებული სანახავი იყო, მთვრალი არასდროს გვინახავს. ცოტას თუ დალევდა ხოლმე; რუსული რომანსები უყვარდა და სუფრაზე სიმღერას წამოიწყებდა. სულ მსაყვედურობდა: „სწავლა ყველამ დაამთავრა და შენ ამდენს რას სწავლობ, შვილო?! დროზე ჩამოდი სოფელშიო". ვერ შევუსრულე ეს თხოვნა...

იომა, იღვაწა, იშრომა, სამშობლოს ექვსი ჯანსაღი შვილი აღუზარდა, იცხოვრა ღირსეულად და კარგი კაცის სახელით წავიდა ამ სოფლიდან. ღმერთმა აცხონოს მამაჩემის სული.

**დედა – ბაბუცა ღენტორის ასული უზნაძე,** ჭიათურის რაიონში, სოფელ გუნდაეთში დაიბადა. სამი ძმა და ცხრა და იყვნენ! დედას თორმეტი დედმამიშვილიდან მყავს უამრავი სანათესაო – ბარათაშვილები, წერეთლები, მიქელაძეები, ბერძენიშვილები, საყვარელიძეები, ბაგრატიონები და სხვ. დედაჩემი – უძლიერესი ქართველი ქალი, კლასიკური თავადური გარეგნობით: მაღალი, ცისფერი თვალებითა და ოქროსფერი ნაწნავებით; აბსოლუტური მუსიკალური სმენის მქონე და იმერული სიმღერების უბადლო შემთხზველ-შემსრულებელი. დედაჩემმა მამა გაიცნო კავსაძის გუნდში – ჭიათურაში და იქვე გადაწყვიტეს ოჯახის შექმნა.

დედას ცოტა ზედმეტად ვაჟკაცური ხასიათი ჰქონდა – რის გამოც ნათესავებსა და მეზობლებში ყოველთვის ლიდერი იყო. მის გარეშე სოფლის ქალბატონები არსად მიდიოდნენ. ხშირად მცირე სუფრებზე უთამადია კიდეც. მღეროდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. ოთხი შვილი ომამდე გააჩინა, ხოლო ბოლო ორი – ომის შემდეგ. დედაზე ცალკე შეიძლება დიდი რომანის დაწერა, მაგრამ მე დაპირებულ ეპიზოდს გიამბობთ:

დედამ მოგვიანებით შეიტყო მამას ომიდან თბილისში ჩამოსვლის ამბავი, სასწრაფოდ ოთხივე ბავშვს სურათები გადაუღო, მოიპოვა სახსრები და საჩქაროდ გამოეშურა დედაქალაქისკენ. ეგონა, თბილისში გრიგოლს ჩაუსწრებდა, მაგრამ მამა უკვე ფრონტზე გაწვეული დახვდა. არ ვიცი, როგორ გაბედა ახალგაზრდა ქალმა: მამას სამხედრო ნაწილის მისამართი გაიგო და მომდევნო ეშალონს თავადაც გაჰყვა.

მამა იგონებდა: დილით უთენია მოწესრიგებას ვიწყებდით, ღობის გადაღმა ქალმა ჩამოიარა. ბიჭებს დავანახე და ვუთხარი: შეხედეთ, ეს ქალი ჩემს ცოლს, იცით, როგორ ჰგავს-თქო. რამდენიმე წუთში ჭიშკართან გამომიძახეს: ამირანაშვილი, გამოდით ყაზარმიდანო. აფორიაქებული გავვარდი და რას ვხედავ?! ჩემს წინ შავი ზურგჩანთით – ბაბუცა. რამდენიმე დღით ზურგში გამიშვეს, მცირე შვებულება მომცეს და ასე გახდა ბაბუცა ჯარისკაცის თანამგზავრი...

დედა ძალიან მომთხოვნი იყო საკუთარი თავის მიმართ, სხვებს კი გვიფრთხილდებოდა – ყოველთვის გვიმალავდა თავის ავადმყოფობას. როცა მამა გარდაიცვალა, მარტო დარჩა. მახსოვს, იანვარი იყო, დედის სანახავად ჩავედი და რას ვხედავ! დედა წევს სამზარეულოში – ბუხრის ოთახში. ცივა, თოვს, მას კი მაღალი სიცხე აქვს, მარტოდმარტოა. სასწრაფოდ დავუძახე ჩემს სიძეს და საქონელი გავატანე, ქათმები და ინდაურები კი მე თვითონ გავყიდე ქუთაისის ბაზარზე. წარმოიდგინეთ, რა სანახავი ვიქნებოდი?! ყველაფერი დაბალ ფასებში გავყიდე და საღამოს დაცარიელებული დავბრუნდი სახლში. მეორე დღეს კი დედა თბილისში წავიყვანე, ვუმკურნალეთ და ფეხზე დავაყენეთ. მკურნალობის შემდეგ თვალებში გამოიხედა, ასე კარგად არასოდეს ყოფილა...

ამის შემდეგ დედამ ოპერაცია გაიკეთა, ჩვენ დაგვიმალა და როცა გამოწერეს, მხოლოდ მაშინ შეგვატყობინა. მისი გარდაცვალების მომენტსაც არ დავსწრებივარ...

დედა ოჯახის ნამდვილი დედაბოძი იყო. მას მომმარაგებლის ფუნქცია ეკისრებოდა, ბებია კი – უფრო სამზარეულოში ტრიალებდა. დედა კერძებსაც საუკეთესოდ ამზადებდა, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა სტუმრები მოვიდოდნენ. სოფელში ყველაზე კარგი ბაღ-ბოსტანი ჩვენ გვქონდა და მთელი მეზობლობა მარცვლეულსა და ჩითილებს დედასაგან ეზიდებოდნენ...

დედის დაკრძალვაზე გამოსათხოვარი სიტყვის თქმა ძმებმა მე მთხოვეს. ძლივს წარმოვთქვი ერთი წინადადება:

„ვემშვიდობები ადამიანს, რომელსაც ამქვეყნად ყველაზე მეტად ვუყვარდი"...

დედა და მამა როდესაც სიზმარში მეცხადებიან, ბავშვივით მიხარია. ისინი დღესაც მეხმარებიან.

***რას იტყვით თქვენი დედმამიშვილის შესახებ?***

**უფროსი და ეთერი:** ეთერი ჩემზე 14 წლით უფროსი იყო. მე განსაკუთრებით ვუყვარდი და მანებივრებდა, როგორც პატარა ძამიკოს. ეთერს ჰყავდა მეუღლე ოთარი და ოთხი შვილი. ერთხელ ეთერის კივილმა მთელი სკოლა შეჰყარა. საავადმყოფოში პატარა გოგონა დაეღუპა. ეს ყველასთვის ტრაგედია იყო. ეთერი იყო ულამაზესი, ნამდვილი ქალბატონი; თეთრი მარმარილოს ქანდაკებას მაგონებდა. ასეთი ტან-ფეხი, როგორც იმერეთში იტყვიან, მე ცოცხალ ადამიანზე არ მინახავს. საოცარი, კამკამა ცისფერი თვალები, ჩამოქნილი ხელები კი თვით იტალიელ კლასიკოს მხატვრებს შეშურდებოდათ. მასში იპოვიდით ელიზაბეტ ტეილორსაც, ნატო ვაჩნაძესაც, მედეა ჯაფარიძესაც, ხოლო მისი კალარატურა ყველას აოცებდა..

ეთერი დაკრძალულია მეუღლესთან ერთად, სოფელ ალისუბანში.

**მეორე და – ნორა:** ნორა ვაჟკაცური ბუნებით გამოირჩეოდა, არ უყვარდა ქალებთან ჭორაობა. მშობლებისა და მეუღლის ოჯახშიც დაუღალავი მშრომელი იყო, განსაკუთრებით ვუყვარდი, „გიჟდებოდა ჩემზე“. ჩემი და ნორა სოფელ ეწერში ჟორა სილაკაძეზე გათხოვდა, ოთხი შვილი ჰყავდა. მეხუთე ბავშვი მასაც დაეღუპა. ჩვენ ძალიან გვიყვარდა მათთან სტუმრობა. როცა ვსტუმრობდით, ციცარის გარდა ყველა სახის ფრინველს დაკლავდნენ ხოლმე და მიდიოდა დილამდე ქეიფი. მთელი სოფლის უსაყვარლესი რძალი იყო ჩემი ნორა.

დაკრძალულია მეუღლესთან ერთად სოფელ ეწერის სასაფლაოზე.

**ჩემი ძმა ანზორი:** ანზორი, მართლაც გოლიათი იყო – როგორც ფიზიკურად, ასევე ძლიერი სულით გამორჩეული. რაღაცით მე მამსგავსებენ, მაგრამ მისი ნახევარიც არა ვარ – არც გარეგნულად და არც შეუპოვარი სულით. მისი ვაჟკაცობა სამართლიანობისთვის ბრძოლაში გამოიხატებოდა და ამის გამო ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი. ვერ იტანდა ბილწსიტყვაობას, განსაკუთრებით, მანდილოსნებთან. ანზორი განათლებით ინჟინერი იყო და მთელი ცხოვრება ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საყალიბო ცეხის უფროსად გაატარა. ანზორი სპორტზე იყო შეყვარებული, განსაკუთრებით, კრივი და ფეხბურთი უყვარდა. ერთხელ ზესტაფონში სარაიონთაშორისო შეჯიბრი გვქონდა. მე თერჯოლის გუნდში დაცვაში ოთხ ნომრად ვთამაშობდი. შესვენებაზე ჩამოვიდა ჩემი ძმა გასახდელში, სპორტულები გამხადა, თვითონ ჩაიცვა და გუნდს გამარჯვება მოუტანა.

მოწაფეობისას დიდებს ყანის დამუშავებაში ვეხმარებოდი ხოლმე. ანზორს ყველაზე ფართო სვრელი გაჰქონდა. მახსოვს, როცა ჩამოვრჩებოდი, ჩემს კვალშიც გადმოდიოდა და მამხნევებდა. თოხიც ყველაზე დიდი მას ჰქონდა მთელ ოჯახში. მამისეული სახლი და კარ-მიდამო ძმებმა ანზორს დავუტოვეთ, ვინაიდან ყოველ შაბათ-კვირას მეუღლესთან, ქალბატონ ციურისთან ერთად, სოფელში ამოდიოდა და ყველაფერს ამუშავებდა. დღეს ქალბატონი ციური ცხოვრობს ჩვენი დედ-მამის ეზოში – თავისი ორი ვაჟითა და ოთხი შვილიშვილით, ხოლო ანზორი, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ გვყავს.

**მეორე ძმა – ჯემალი.** აი, ვინ იყო მთელი ცხოვრება „სოფლის ამრევი“ და „ავ-კარგის გამრჩევი“. ანზორისაგან განსხვავებით, ჯემალს მაინცდამაინც არ უყვარდა ფიზიკური შრომა და არც ახლა იკლავს თავს სოფლად მუშაობით. ჯემალი დღენიადაგ კითხვით იყო გართული. დედა ეჩხუბებოდა ხოლმე: ყველანი ვმუშაობთ და შენ ერთი დოქი ცივი წყალი მაინც მოგვაწოდე, ისეთი რა ნახე მაგ წიგნებსა და გაზეთებშიო. სწავლამოწყურებულმა ჯემალმა ფრიადებზე დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი და მას შემდეგ მთელი ცხოვრება ქალაქ თბილისის მერიაში მსახურობდა. ჯემალს ჰყავს საოცრად მარჯვე და გამრჯე მეუღლე – ქალბატონი ზიზი. მათ სამი შვილი ჰყავდათ, სამწუხაროდ, უფროსი – შალვა დაგვეღუპა. მირიანი და მარიამი მშობლებთან ერთად ცხოვრობენ და შვილიშვილს – პატარა შალვა ამირანაშვილს ზრდიან.

***ჩემი მშობლების მეექვსე შვილი – ელეონორა, იგივე დოდო.*** დოდო ჩემი გაზრდილია, მე ვუმზადებდი სკოლაში წასვლისას საუზმეს, მე ვვარცხნიდი და ვუწნავდი თმებს... დოდო ნაბოლარა იყო და ყველა ვანებივრებდით. თბილისში ჩემი სახლიდან გავათხოვეთ. მზითევში ავსტრალიიდან ჩამოტანილი ერთი სავსე ჩემოდანი ვაჩუქე. დოდო ზესტაფონში გათხოვდა, შესანიშნავ ადამიანს – ვახტანგ პირველაშვილს გაჰყვა ცოლად, სამი უნიჭიერესი ქალიშვილი და სამი შვილიშვილი ჰყავს. დოდო დაქვრივდა და დღესაც ქალაქ ზესტაფონში ცხოვრობს.

***რას გაიხსენებთ თქვენი ბავშვობის გადასახედიდან?***

მინდა, როგორმე გავიხსენო მარიამ ბებიას და დედაჩემის ნაამბობი ჩემი დაბადების შესახებ. ყველა ოჯახი ცდილობს, აღდგომას განსხვავებულად, საზეიმო ვითარებაში შეხვდეს. ბებიაჩემი ყველანაირად ცდილობდა, საოჯახო პროდუქტი მომჭირნედ და ყუათიანად გამოეყენებინა. სააღდგომოდ კი ხალამში ყველს, ხოლო ბუმბულჩაფენილ ქოთნებში ქათმის, ინდურისა და ბატის კვერცხებს აგროვებდა.


ოჯახის ჩახუტება.


დედა და და (ეთერი).


ბებო, უფროსი და და ამირანი

აღდგომის წინა დღეებში დედა თავის მეგობრებთან ერთად ბაზარში წავიდა, რათა სადღესასწაულოდ ოჯახებში სარჩო-სანოვაგე მოემარაგებინათ. დედას აჩქარების სხვა მიზეზიც ჰქონდა; მას უნდა მოესწრო მარაგის მოზიდვა, ვინაიდან ბავშვის დაბადებას ელოდა.

მართლაც, აურაცხელი პროდუქტითა და მრავალი წვრილმანით ხელდამშვენებული დაბრუნდა იგი ოჯახში. ბებიამ ჩვეულებრივ წყალი გაუცხელა, რათა დაღლილს ფეხი დაებანა და მოესვენა. თუმცა დედამ დასვენება ვეღარ მოასწრო და მუცელი ასტკივდა. ბებო ამ საქმის სპეციალისტი იყო: მზად ჰქონდა თეთრეული, საბანელი, ჭიპლარის მოსაჭრელი იარაღი... მოკლედ, ბებიაქალი „მოწოდების სიმაღლეზე“ იყო! არც დედა იყო ჯაბანი. იგი მეხუთე შვილის შობას ვაჟკაცურად შეხვდა და აი, 1947 წლის 24 აპრილს, საღამო ჟამს დაიბადა ბიჭი, რომელმაც ომგადახდილ მშობლებსა და უფროს და-ძმებს უდიდესი სიხარული მოუტანა.

ბებომ განბანვა სამგზის წყლის დასხმით დაამთავრა და, როგორც მოძღვრის ოჯახში გაზრდილმა, პატარას სახელი დაარქვა. სოფელს მოევლინა ახალი სიცოცხლე – „ამირანის“ სახით. სწორედ ამირანის შესახებ იქნება საუბარი და მოგონებანი იმ ცოდვა-მადლის შესახებ, რაც დამამახსოვრდა ამ 70 წლის მანძილზე.

***თქვენ დაბადებას ლექსი არ მიუძღვენით?***

კი ვიხლაფორთე რაღაცა, გეტყვი ჩემო ანგელოზო, თუ მოგეწონება:

***

იშვა ჭაბუკი აპრილის თვეში,
ქარიშხალებში, წვიმაში, თქეშში,
ჭრაქი ბჟუტავდა პატარა ქოხში,
სიკვდილს ებრძოდა პატარა "ბოვში".

შეწყდა კივილი, შეწყდა ღრიალი,
სიკვდილ-სიცოცხლის კორიანტელი,
ბებიას ხელში ფართხალებს ჩვილი,
სპირტი, იოდი და მაკრატელი.

ქოხში სიმშვიდემ დაისადგურა,
გადარჩა დედა, არ ცხრება ბიჭი.
და აგიზგიზდა გრიგოლის სახლში
დედაშვილობის ღვთიური ნიჭი.

მოხადეს ჭური, აავსეს დოქი,
აივსო ეზო ბიძაშვილებით,
დაიწყეს ლოცვა ძველი თასებით,
ჭინჭილებით და აზარფეშებით.

გაგლიჯა ჯაჭვი თვით ამირანმა,
დასცა დევები მიწის ზანზარით,
და საქართველომ ერთი რაინდი
გულში ჩაიკრა ზეიმით ზარით.

**2012.4.VII**

***თქვენი მუშაობის პერიოდი – რა გზა გაიარეთ?***

1968-73წ. თეატრალურ ინსტიტუტში – სამსახიობო.

1974-77წ. კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი.

1967 წლიდან ჩავირიცხე მსახიობად ოპერის თეატრში ჯერ გუნდში, შემდეგ კი წლების მანძილზე გახლდით ამავე თეატრის სოლისტი.



ამირან ამირანაშვილი საერო ცხოვრებაში (ერეკლე მეფის როლში)

1974-75წ. გავატარე ჯარისკაცის ფარაჯაში ვმსახურობდი ჯარში ბაიკანურზე – კოსმონავტებთან ამავე დროს გახლდით ანსამბლ „დრუჟბას“ სოლისტი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

1974-87წლ-ში ვმსახურობდი მუსიკის თეატრში. სადაც მთავარ როლებთან ერთად ვმონაწილეობდი საბავშვო სპექტაკლებშიც.

განსახიერებული მაქვს ცნობილი გმირები: დონ კიხოტი – სერვანტესის, ალდემარო, ლანცელოტი, კავალერი, ლოპე დე ვეგას – „ცეკვის მასწავლებელი“ ბოლოს მეფე ერეკლე „მაია წყნეთელში“ და მრავალი სხვა მთავარი და ეპიზოდური როლები. მოკლედ 20 წელი სცენაზე ვილვაწე, გვქონდა გასტროლები, როგორც საქართველოში და საბჭოთა კავშირში, ასევე უცხოეთშიც. დიდია ამ გასტროლების გეოგრაფია: დიდ საბჭოეთში: მოსკოვსა, ლენინგრადს, სტალინგრადს კიევი, ოდესა და სხვა.

უცხოეთში: ესენია: პოლონეთი, ბულგარეთი, გერმანია, ჩეხეთი, ინდოეთი, სინგაპური, ავსტრალია, ამერიკა, თურქეთი, საბერძნეთი და სხვა.

***თქვენი გადასახედიდან სად დაუშვით შეცდომა?***

შეუმცდარი ადამიანი არ არსებობს, მეც ალბათ უამრავი ცოდვები მომსდევს ჩემი სიჭაბუკიდან, მაგრამ აკი გითხარით, რაც არ უნდა დამეშავებინა ჩემზე ცუდად არავინ იფიქრებდა, მიუხედავად ყველაფრისა განვლილი გზა ცოდვებით იყო სავსე, რომლებსაც განვიცდი და ვინანიებ.

***თქვენი აზრით როგორი უნდა იყოს თითოეული ადამიანი?***

ადამიანი ისეთი იქნები, როგორიც ღმერთმა შეგვქმნა „ხატი და მსგავსი ღვთისა“, მაგრამ არ არსებობს უხილავი ძალა „ეშმაკისა“, რომელიც ყოველ ადამიანში ეძებს სუსტ ადგილს და როგორც კი საშუალებას მივცემთ რომ იგი შემოვიდეს ჩვენში, არღვევს ღვთაებრივ „წალმა სვლას“ და რაღაც „უკუღმართს“ ჩაგვადენინებს, რაც ზოგჯერ შეგნებით, ზოგჯერ კი უნებლიეთ ხდება, თუ ბოროტს არ ვებრძოლეთ, მაშინ თვითონ ხდება ადამიანი „ბოროტი“ და სჩადის უამრავ სისაძაგლეს.

***სასულიერო პირი რომელი წლიდან გახდით?***

1987წ. ნოემბერში პატრიარქის დაჟინებული თხოვნით და ლოცვა-კურთხევით გავხდი სასულიერო პირი, ჯერ 8 წელიწადი გახლდით პატრიარქის პროტოდიაკონი ხოლო 1995 წლიდან მოძღვარი ჯერ ქ. ბათუმში შემდეგ კვლავ თბილისში სიონში, შემდეგ ანჩისხატში და ახლა სოლოლაკში მაცხოვრის ამაღლების ტაძრის წინამძღვარი გახლავართ.

***იცნობდით მეუფე თადეოზს?***

დიდი მეუფე თადეოზი (იორამაშვილი) სიკეთისა და თავმდაბლობის მაგალითი იყო, მას ვერავინ დაასწრებდა მისალმებას, ხოლო კურთხევის დროს გულში იკრავდა ყველას ძმური სიყვარულით და პოეტური დახვეწილობით დაგლოცავდა, ერთად ბევრი გვილოცია და ბევრი ღამეებიც გაგვიტარებია საქართველოზე, უფალზე და პატრიარქის სიყვარულზე საუბარში თამადად სულ მე მნიშნავდა...



მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი და მამა ამირან ამირანაშვილი

***რას ურჩევდით მომავალ თაობას?***

თაობა, რომელიც წარსულს მოსწყდება, იგი განწირულია დასაღუპად. ხეზე ტოტი თუ მოწყდება ან ძალით მოტეხენ, იგი ხმება და კვდება, ხოლო ის ტოტები რომლებიც ხის ტანთან რაც უფრო მკვრივად არიან დაკავშირებულნი, ისინი იღებენ ფესვებიდან საჭირო საზრდოს და მშვენიერ ჯანსაღ ნაყოფს იძლევიან ასე რომ უნდა განვითავისოთ წარსული, აწმყო და მომავალი – ეს ერთი მთლიანია – ერთიანი მთელია.

***ბატონ ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობას თქვენ როგორი კუთხით უყურებთ?***

მარადიულობის ბრწყინვალე მაგალითია ბ-ნი ჯუმბერ ლეჟავა. იგი ჩვეულებრივი ქართველი კაცი გახლდათ. მიზანი დაისახა და უფლის შეწევნით, მსოფლიო დონის მოგზაური, გეოგრაფი, მეცნიერი და შექმნა თავისი საქმის უდიდესი აკადემია, იყო ჭეშმარიტად დიდი აკადემიკოსი, გინესების და სხვა-და-სხვა მსოფლიოში ცნობილი ორგანიზაციების ნამდვილი წევრი. მთავარია მისი მაგალითი მომავალი თაობებისთვის. მისი საქმენი, ყველამ უნდა შევისწავლოთ და მივბაძოთ ასეთ ადამიანებს.

***რომელი აკადემიის წევრი ხართ?***

წარმოდგენილი ვარ როგორც საზოგადო მოღვაწე „ფაზისის" „მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა" აკადემიაში.



***ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის გადაწყვეტილებაა, რომ გახდეთ აკადემიის წევრი.***

ჩემთვის დიდი პატივია, დიდი ელიტარული აკადემიის წევრთა ჯერ გაცნობისა აკადემიური საზოგადოებისა რომელიც უდიდესი პიროვნების უკვდავი „ჯუმბერ ლეჟავას" სახელს ატარებს ხოლო თუ წევრობის ღირსი გავხდები უფლის წყალობით, ეს იქნება გვირგვინი ჩემი მოკრძალებული შრომისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უდიდესი დაფასება.

***რას იტყვით ჟურნალ ათინათზე?***

მე ხელთ მიპყრია დახვეწილი, მრავლისმომცველი უასაკო ქმნილება „ათინათი" სადაც ყველა თაობა იპოვის სულიერ საზრდოს. გავიგე ხუთი წლის ყოფილხართ „ათინათი" მოიცავს მთელ საუკუნეს თავისი მასშტაბით. აქ ბევრი ჩემი სულიერი შვილი და მეგობრები აღმოვაჩინე. დავესესხები ჩემს მეგობარს ქ-ნ მაყვალა გონაშვილს „ათინათი" მართლაც თქვენი პირმშოა და ისე როგორც დიდი სულიერი პოეტი დავით გურამიშვილი, ასევე ვუსურვებ თქვენს ჟურნალს და თქვენს პოეზიას უკვდავყოს ქ-ნი გულნაზ ხარაიშვილი. „ათასი ნათელი" თქვენს ჟურნალს და ხარის გამძლეობა ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ჩვენთან არს ღმერთი, ამინ.



**გულნაზ ხარაიშვილი**
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

* * *

„ათინათში“ ყამირები გამოიხნა,

ალიონზე მზის სხივები გამოჩნდება...

ახლა მხრებზე ღვთის სიყვარულს წამოვისხამ,

ნაისრალი გული ვიცი, მომირჩება.

# პოეზია



**მეუფე თადეოზი**
**(მირიან იორამაშვილი)**

## ზღვაო

როცა ნაპირზე ვწვები დაღლილი,
შენ მოდიხარ და მეჩურჩულები,
მოგაქვს სიკეთე, ჩუმი ძახილი
და სიხარული მოგაქვს ულევი.
ზღვაო, საფრენი ფრთები მეხმევა,
როცა შენ გიმზერ, შენ, ასე ზვიადს,
ვერცხლის ტალღებით მეალერსები
და თითქოს მანდობ გულის ხვაშიადს.
ხანდახან ქარი ისე გაღელვებს,
რომ მეგობრობას ივიწყებ წამით
და სინანულით ირხევა მაშინ
სასალამურე ერთი ლერწამი.

## მზეო მაღალო

შენ აღგვიყვავე თეთრი დილები
უშენოდ ტკივილს რა დაგვიამებს,
შენ გეძიებენ ტყის ყვავილები,
შენით უხარით ადამიანებს.
ხარ მაღალი და ხარ გულკეთილი
და სულ მფარველობ ადამის ძესა,
რაც თავი გვახსოვს მხოლოდ სიკეთეს
და მარადიულ სიყვარულს თესავ.
დარი რომ იყოს ზეცის თაღს, ნაწვიმს,
კრძალვით შეაბამ ნაზ ცისარტყელას,
რა ბედნიერი იქნება კაცი,
ამქვეყნად შენ რომ გბაძავდეს ყველა.

## გაჭირვებულთა კეთილისმყოფლებს

ღმერთმა დაგლოცოთ, კეთილნო,
ღვთიური მადლის მთესავნო,
ეგ მოწყალება დაგიხსნით,
დიდი განკითხვის დღესაო.
ვაქებდეთ სამყაროს გამჩენს,
მბრწყინავ სიმართლის მზესაო,
ვინაც დაბადა ქართველი
და ჩვენი სანათესავო.
თუმცა დღეს წამებულნი ვართ,
ნუ უხარია მტერსაო,
მოგვხვედავს ქვეყნის გამჩენი,
ვერ შეგვიცვლიან ფერსაო.
ვადიდოთ ჯვარი და ხატი,
ვიფიქროთ ერთურთზედაო,
ვინც აქ სიკეთეს დათესავს,
იქ გაუნათებს მზედაო.
სამშობლოს მომავლის აღზრდა
გვერჩიოს ყველაფერსაო.

## მთები

უხსოვარ დღიდან ამ მთებს, ამ გორებს
მზე ეფერება, მზე უამბორებს...
მათ არასოდეს უგრძვნიათ დაღლა,
არც დაუხრიათ თავები დაბლა.
დაფიქრებულნი დგანან და დგანან
და გათეთრებულ ღმერთკაცებს ჰგვანან...
მიწის ელჩები – მარად ფხიზლები,
დგანან შემკულნი ყველა ღირსებით,
ზვავს აქუხებენ, სწუხან ნისლებით
ეს ბუმბერაზი დარბაისლები.

## წმინდანები

სარწმუნოებით მეფეთ მომრევნო,
მართლის მოქმედნო,
სიმართლის მთმელნო,
დამწველ ცეცხლითაც ვერარა გევნოთ,
საკვირველებით გამოუთქმელნო...
გამძვინვებული ლომ-ვეფხვ-ავაზა
ფეხქვეშ წვდებოდა ხილვით ცის კადრის...
ო, თქვენ იცხოვრეთ ისე ლამაზად
სხივთა მფენლობით მზეს თუ შევადრით...
რწმენის სიმტკიცით გულის ფიცარზე
გადაიტანეთ ტანჯვა რამდენი,
ვიდრე სამოთხით დედამიწაზე
აანთეთ მადლის დიდი კანდელი...
სძლიეთ დაბრკოლება ჟამის... მანძილის...
გახდით სიცოცხლის მახარობელი...
ზეცის სიკეთის ხართ მონაწილე
და შემოგნატრით ესე სოფელი.

1995წ. 7 დეკემბერი.

## ფშაველს

წინაპართა ფუძეზე
დანთებულო სანთელო,
მტრისა მტრულად დამხვედრო,
მოყვრის მხარგამმართველო...
შენ იცოცხლე მარადის,
გაგიმარჯოს, ქართველო!...

## მზესთან სულ ახლოს იდგნენ სვანები

ამ მოგონებას გვერდს ვერ ავუვლი,
ის დილა მახსოვს, ვით სასწაული:
ცაზე ზღაპარი – ცისკარი ენთო,
მთებზე შუქთვალა დღე მოსცურავდა.
და სასწაულთა შემქმნელი ღმერთი,
მზით, ქათქათა თოვლს, ოქროდ სწურავდა,
ფართოდ ვახელდი თვალებს – ზმანება
მეგონა ცხადი ეს სინამდვილე,
მზესთან სულ ახლოს იდგნენ სვანები.
და ჰოი, რა ტკბილად მღეროდნენ „ლილეს“,
ქარი შორს სდევდა გაფრენილ ნისლებს,
ემძივებოდა ცვარი ბალახებს...
ო, ღმერთო ჩემო, ნუ მომკლავ ისე,
იმგვარი დილა კიდევ მანახე.

1969წ.

## ვაჟას ჩარგალში

აქ აფეთქდება გული ლექსებად
და ცისარტყელას შუქით იალებს,
კვლავ დამწვავს მისი ცეცხლად კვესება
და ალტაცების დავცლი ფიალებს...
მოვა სტრიქონი სურნელის კმევით,
ქართულ ლექსს რაღა მოაკლებს „ვაჟას“,
აქ დაიბადა შაირის დევი, –
აქ გადურწიეს აკვანი ვაჟას.
მიწის ელჩებად დამდგარან მთები,
უკვდავებასთან მოსაუბრენი...
მე მენატრება მსუბუქი ფრთები.
და შორს მიცურავს თეთრი ღრუბელი.
მზით ავსებულა ყველა კუნჭული.
მუხის ჩრდილს გზები გადუქარგია,
მე მესმის მწვანე ფოთლის ჩურჩული
და ყველაფერი ახლა კარგია.

1973წ.



მამა ამირან ამირანაშვილი

***

ქართველნო, ერთად ღვთისაკენ! –
მოგვიხმობს კათალიკოსი,
ვისაც ყურნი გაქვთ, ისმინეთ
კურთხევა საქართველოსი.
ერთობა უფლის ხვედრია,
ნგრევა კი ბოროტ ძალების,
ღმერთი სამოთხეს გვიმზადებს,
სატანა გვებრძვის ალებით.
მტერი თუ მართლა მტერია,
გვებრძვის ხმალით და მახვილით,
უფრო საშიში გამოდგა
მტერს თუ არა აქვს სამხილი.
მოყვრად მოსული ცდუნება
ყიდის და ანგრევს ქვეყანას,
ამდენი მგელი ცხვრის ტყავში
რა ეშმაკებმა შეჰყარა.
ზოგი საბადოს გვიყიდის,
ზოგი წყალსა და ღვინოსა,
ასეთი პატრონის ხელში
ყრმამ როგორ დაიძინოსა.
ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!
მაღლა აღმართეთ მახვილი,
გაერთიანდით უფალში,
ესაა სიბრძნე ნამდვილი.
ღმერთო, დალოცე ქართველი,
შეგვინდე ცოდვა ყოველი,
გადააშენე, აღგავე,
მაცდური დამამხობელი.

## მარტოობა

სიჩუმისაგან ლამის გავგიჟდე,
მთელი დღე-ღამე ხმას არავინ მცემს.
დადუმებულა მთელი კოლეჯი ,
ვწევარ გავცქერი უაზროდ სივრცეს.
გარინდულია ეზოს ხეები,
ელოდებიან მშვიდად გაზაფხულს
მათ იციან რომ, ერთი თვის შემდეგ
მიწას ნახავენ ხარით გადახნულს.
თავის ფუნქციას ასრულებს ყველა,
აყვავდებიან მოგვცემენ ნაყოფს.
როგორ შემშურდა მათი სვე-ბედი,
მე აქ ფიქრებით დრო უნდა დავყო.
ვფიქრობ უაზრო დროის გაყვანას,
ვითომ ვცდილობ და სულ არ გამომდის
განა არ ვიცი ქართველების მზე
დასავლეთიდან რომ არ ამოდის.
ვინ გაიხარა მე აქ ვერ ვხედავ,
ანდა მე საწყალს ვინ გამახარებს...
დროზე სჯობია წავიდე სახლში
გადავეფარო ჩემს წყვილ, პატარას.
იქნებ მამური სითბო მოაკლდათ,
ზოგჯერ აკლიათ გაწყრომაც ჩემი,
ვაითუ არ აქვთ შუქი, გათბობა,
ვერა ვერ შევძლებ, აქ ვერ დავრჩები.
ვისა აქვს თავი, რომ შეგვინახოს,
მეც და ოჯახიც სუყველა ერთად,
ასეთი რამე ზღაპრებში ხდება,
ქართველთა ტომმა ხელი მკრა ერთხმად.
ღმერთო, ნუ დასჯი ამ საცოდავებს,
მათ არ იციან რასა სჩადიან,
ღვთის კაცს ხელს კრავენ, გმობენ პატრიარქს,
ღმერთო, შეუნდე თავად დადიანს.
ღმერთო მაღალო, ვიცი ყველაფერს,
ისე წარმართავ, როგორც შენ გინდა,
მე თუ ღირსი ვარ ჩემს სამშობლოში
დამანთებინე სანთელი წმინდა.

+++

თითქოს მკერდიდან ამოგგლიჯეს აპრილის მსხვერპლნი,
შემდეგ გმირები: მერაბი და პატარა ზურა...
ბოლოს სოლომონს დავულოცე გზა გელათისკენ,
ჩვენც დავიღალეთ, შენ კი დგეხარ კვლავაც მეფურად.
აქვე ამაყად დგას სიონი, არაფერს იმჩნევს,
ბევრი ვაების გადამტანი, ბევრის მნახველი,
სიდიადესთან სიბრძნე ახლავს ჩვენს უკვდავ სიონს,
მასზე ლოცულობს საქართველო, ყველა ქართველი.
„დედა სიონო, შენ იხსენი დღეს საქართველო,
ღვთისმშობელ დედას შეავედრე კვლავ ჩვენი თავი,
რომ დაგვიფაროს ყოველგვარი განსაცდელისგან,
ჩამოგვაშოროს შინ და გარეთ მტერი მრავალი“.
სიონო! ეზოს გიმშვენებდა საპატრიარქო,
დღეს იგი იქცა ჩვეულებრივ მოწყენილ სახლად.
უწმინდესობა გადაბრძანდა ახალ დარბაზში
უპატრიარქოდ ეზო დარჩა ობლად და სახტად.
სულმოუთქმელად ველოდებით ყოველ ზარის ხმას,
უნეტარესი მობრძანდება — იშლება გზები.
კვლავ სიხარულით აღივსება სიონის ეზო
აგიზგიზდება უთვალავი წმინდა სანთელი.
ლოცულობს, ერი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით,
ისმის ლოცვები ქაშვეთშიაც მრავალჟამიერ.
ეზიარება საქართველო ქრისტეს ხორცს და სისხლს,
კვლავ რეკავს ზარი პატრიარქი გვტოვებს წამიერ.
ვხედავ აივანს დაღონებულს, ბოლმები ახრჩობს,
ოთახში შუქი არ ინთება აქ ძველებურად,
ვაზის რტოებსაც შეყინვია თვალებზე ცრემლი...
რკინის კარიჭე არ იღება, დგას მედიდურად.
უფალო ღმერთო, გევედრები, გემუდარები,
იმედის თვალით შემოგყურებს დღეს საქართველო.
მალე გვენახოს ჩვენი ერი თავისუფალი,
უნეტარესის გვირგვინის ქვეშ გთხოვ გაგვამრთელო.
მაშინ ექნება ფასი ლოცვას, დღესასწაულებს,
თუ სულიერად ამაღლდება ყველა ქართველი...
მაშინ შევიგრძნობთ შენს ნაბოძებ თავისუფლებას,
თუ სულიერად ამაღლდება ყველა ქართველი.

## ბატონ უშანგი მოსიაშვილს

მოურავების და სიმუსების,
გამოჭედილო დიდო ქართველო,
შენით ამაყობს ერი და ბერი,
გილოცავთ, ხარობს დღეს საქართველო,
საჭრეთლისა და ფუნჯის ოსტატო,
კალამი გიჭრის როგორც ისარი...
რაინდობაა შენი სამყარო,
სამშობლო, გულით დასაფიცარი.
არსაკიძემ თუ ერთი ააგო,
შენს ნაამაგარს ვერ ითვლის ხალხი.
გადაარჩინე შენი ქარხანა,
უსახლკაროებს აუგე სახლი,
აკადემიის დიდმა ოჯახმა,
დაგაჯილდოვათ ოქროს ვარსკვლავით,
შენი და-ძმების უწყვეტ ფერხულში,
მტკიცედ იდექი შენი მხარ-მკლავით.
დღეს გაგვაოცე შენი ოცნებით,
ოთხი ოცი ხომ განვლე გუგუნით.
წინ გელოდება მეხუთე ოცი,
კვლავ რომ იღვაწო სულით და გულით.
დაგვილოცნიხარ უფროსო ძმაო,
უჭკნობმა ნიჭმა(დიდმა ბაბუამ)
გვსურს იჭაბუკოს.
შენი ოჯახი, შენი სამშობლო,
დღეგრძელი იყოს, ღმერთმა აკურთხოს!



მაყვალა გონაშვილი

## აღმაშენებელი – ივერთა დიდება

მხოლოდ პირჯვრის წერა როდია უფლის რწმენა,
მხოლოდ შეძახილი გმირობა როდია.
დგებიან სულეთიდან შემკრთალი მამები
და ღამით არეულ სიზმრებში მოდიან.
როდესაც წყალიც კი წამით ჩაიძინებს
და ცაზე ობოლი ვარსკვლავი ბრწყინდება,
ვინ მიცქერს მთვარიდან წმინდა გიორგია
თუ აღმაშენებელი ივერთა დიდება.
„ვაშენე, ანგრიეთ, ვამტკიცე საზღვრები,
დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს."
მე კი იმ ბინდბუნდშიც თვალებს ვერ ვუსწორებ,
ვარ შიშნაჭამი და უჭმელი,
მიწიდან ზეცამდე რა ხელმა აზიდოს
ეჭვებით დაბზარული ჭურჭელი?
თვალნო, რა არ ნახეთ, როგორ არ დამევსეთ,
რა ძალა გქონიათ, თვალებო,
მოძმესთან მოშუღლენო, ოქროსთან მოშურნენო,
მტერთან მიმნდობნო და მხდალებო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის???
სანამდის ძმანო და მამანო,
ჩემო სატკივარო, ჩემო საფიცარო,
ჩემო დარღვეულო სამანო.
ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი
არ მშველის წამლად და მალამოდ.
უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო
ჩემო დაფლეთილო ალამო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის დანო და დედანო,
არ თქვას უკეთურმა, შეხედეთ, ქართველნი
მხოლოდ სატირალში სხედანო!
სანამდის ვახაროთ ჩვენს ბაღში ეკალი,
მტრის კარზე ვარდი და პირიმზე?
რა ვუთხრა ჩემს შვილებს, რა თვალით შევხედო?
ან მკვდრებთან რა პირით მივიდე?
უდედოდ ზეცისკენ გზას ვერ გაიგნებენ
ბუდეს შერჩენილი ბარტყები,
ხიდი ვართ ნამყოდან მომავლის ნაპირამდე,
ვაი ჩვენ, თუ ერთხელ ჩავტყდებით!
ეს მტკვარი დუდუნებს თუ კვნესის დავითი,
„დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს."

***

როცა შემოხვალ მარტოობის
უფერულ ტაძარს
და მიუწვდომელს
როცა მისწვდები,
დაგავიწყდება ჩემი ლექსები,
და მეც სულ ისე დაგავიწყდები,
მე ავტირდები,
წამოვალ წვიმად,
ცა ყვავილებით
მიწას დაფარავს,
გავა დრო, მაინც ინანებ ბოლოს
ერთი სულელი გოგოს დაკარგვას.

# ღირსახსოვარი

*მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს*
*კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს*

თვალებში სხივი, გულში რწმენა, ბეჭედზე ჯვარი,
ვარ ბედნიერი და ურიცხვი განძის მფლობელი,
რადგანაც თითზე მზითნაფერი ბრწყინავს ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
ველარ ვგრძნობ მიწას, ბიწი სულის ჩამოვიბანე,
როგორ მინავლდა ატეხილი გულში ომები,
მექცა ნუგეშად და მფარველად ჯვარი ბეჭედზე,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
სამაგიეროს ვუხდი როცა გულღრძოს, ავყიას
როდესაც სული ამევსება ლიქნით, ჭორებით,
ვგრძნობ თითზე როგორ მიმძიმდება ერთი ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
ოდეს ჩემი მზეც დასალიერს ჩაიწვერება,
და გულწრფელ ცრემლებს დამაყრიან როცა სწორები,
ბევრს არასა გთხოვთ, ჩამატანეთ მხოლოდ ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.

***

ვინც მიყვარდა და ვისაც ვუყვარდი,
გზებს მიჰყვებოდნენ წვიმის და ქარის,
მიჰქონდათ გულიც ნაწილ-ნაწილად
და ჭრილობაზე მადებდნენ მარილს.
როგორც მისანი შელოცვილ კენჭებს,
ტკივილებს ბოლმით ვაჩხრიალებდი.
დარდით, ვნებით და სიტყვით მოქანცულს
მელოდა ზეცის ლურჯი კარედი.

და რომ გეპოვეთ, მე ნაკვალევზე
ფეტვის მაგიერ ლექსებს ვფანტავდი,
მაგრამ გავიდა ჟამი ვარდობის,
ღმერთო როდემდის? ღმერთო სანამდის?
მე ვდარაჯობდი თქვენს მაძღარ სიზმრებს,
თქვენ კი ცხადშიაც ბევრჯერ გამწირეთ,
ხე ხვნეშივით ტრიალ მინდორზე
ვმასპინძლობ დაღლილ ქარებს და წვიმებს.

# ჯგუფი ზღვარი

## საუკუნეები: პირველი შვიდეული...

რუსთაველი, ნიკო, ილია,
აკაკი, ვაჟა და გალა,
გრანელიც მათი ძმა არის

(მალეს, დრომ არკი დამალა)...
ამ შვიდთა სტრიქონებია,
გულს რომ ედება წამალად...



**სერგი ლომაძე**

## პაოლო

(ლეგენდარულ პაოლო იაშვილს, –
„ცისფერყანწელთა ერთ-ერთ ლიდერს,
ადამიან–ჭეშმარიტებას)

პაოლომ არ იცის – რა არის შიში,
პაოლოს არ უნდა შიშის გაგება,
გაისვრის თოფს და სხეული მისი
თეთრ და მაღალ ჯვარს შეეჯახება...
პაოლომ არ იცის – სიკვდილი რაა,
საიქიოშიც პოეტად რჩება,
ისევ აშინებს ცრუთა ქარავანს,
ისევ წერს, ისევ, ლექსების წყებას.
მოისურვებს და კვლავ მოვა ჩვენთან,
ვერ დააკავებს საფლავის კარიც...
მისი მზერიდან თუმც სევდა წვეთავს,
ის მაინც ძველი პაოლო არის...
ის მუდამ „ჩვენი პაოლო“ არის...
პაოლომ არ იცის – სიკვდილი რაა,
(ხანდახან ვფიქრობ – იქნებ ქრისტეა),
ის, გრანელივით, ცაზე სუფთაა,
და იმქვეყნადაც ისევ ისეა,
როგორც აქ იყო – სინდისად ჩვენდა,
ძმობის გულად და გრძნობის დამტევად,
პაოლო ახლაც სამყაროს ხედავს,
ცხოვრობს რთულად და ცხოვრობს მარტივად...
პაოლომ არ იცის – სიცრუე რაა...

## ფერთა ღმერთი

**(დეკემბრის დრამა)**

მე ველოდები იანვრის თოვას,
გადათეთრებულ იანვრის ბაღებს,
დედამიწა რომ გადიფენს ოვალს
უსპეტაკეს თუ უთეთრეს ტალღებრ.
მე ველოდები სიწმინდეს თოვლის,
დათოვლილ ფიქრებს და იასამანს...
მოეფერება საფლავებს თოვლი,
დაჰხურავს თეთრ და უნაზეს საბანს...
მე გავიფიქრებ, რომ ცათა იქით
არის სხვა ცების სხვა გათეთრება,
რომ ლამაზი ხარ, ვით თოვლის ფიფქი,
რომ ქალი-ფიფქი თეთრად ირთვება,
რომ ქალს უხდება ალერსი მეფის,
და მეფის სული ამ ზეცას მოჰყავს,
რომ ცოცხალი ვარ და მკვდარიც ეხლა
და რომ სიკვდილიც სიცოცხლეს მოჰგავს...
მე ველოდები ყველა გიჟურ აზრს
და ყველა აზრის თეთრ გაცოცხლებას...
მე ველოდები თეთრ თოვლს გიჟურად,
თეთრსა და ფერადს და... გაოცებას...
და მე არ ვიცი, რა მინდა ეხლა,
ქუჩა თეთრ ფერით უკვე ირთვება,
და უნდა თოვლში გავიდე მე ხვალ,
– „მე შენ მიყვარხარ!..
თეთრ თოვლს დიდება!..“ –
ვყვირი ჩემი ხმა სივრცეებს ატანს,
და არაფერი არაა გვიან...
მე იანვრამდე, ვიცი, მივატან...
თოვლს კი მარადი სითეთრე ჰქვია...



კახა ბაციკაძე

## ლტოლვა ზღვისფერი

ფიქრები ახლა გულს აღარ ინდობს,
სულში და ირგვლივ ლურჯი საღამო
ანათებს სევდის მისტიურ მინდორს,
სიყვარულია დაუსაბამო.
ვნებები ახლა სულს ცეცხლზე წვავენ,
ინთქმება აზრი გრძნობის მორევში,
მხოლოდ ლექსები თუ დამიცავენ,
რომ გადაგირჩე, – მწვანე მორიელს, –
რადგანაც მძაფრავს შენი შეგრძნება,
ისე სწყურიხარ ვნების ფრინველებს,
როგორც ცა, შორი, უკიდეგანო,
და ამგვარ განცდას ვერ მოვინელებ,
სანამ მუსიკის ჟღერად არ მოვლენ
სიზმრები შენი ძვირფას თვალების...
მიიღე, კანის უთეთრეს თოვლზე,
ცეცხლისფერ კოცნის ნატერფალები...
ფიქრები ახლა გულს სულ არ ინდობს,
ირგვლივ და სულში ლურჯი საღამო
ანათებს ზღვისფრად სევდიან მინდორს...
მატყვია გრძნობა დაუსაბამო...

## სევდა

საღამოს, სტუმრად, სევდა მეწვია,
მეტყვის, – ქუჩაში ძალიან ყინავს,
ქვეყნად არავინ არ შემიფარა,
შენს გულში მაინც მომეცი ბინა.
შემეცოდება სევდა მწუხარე,
როგორც პატარა, ობოლი ბავშვი,
და მე გავუღებ მას გულის კარებს,
ვეტყვი, – თუ გინდა სულ ჩემთან დარჩი...



გიორგი ზუხბაია

## ბროლის ხეები

ბროლის ფოთლები, მოთენთილთ,
ხეებს, ბროლისას, ებადა,
და წკრიალებდნენ ფოთლები,
როს ქარი დაუბერავდა.
    ბროლის ხეებო, მიყვარდით,
    თქვენი ციალის მაცქერალს,
    და თითქოს ლექსი იყავით,
    ლექსი, ბავშვმა რომ დაწერა.
ბროლი მათოვდა სიზმარშიც,
სულის სხივები არია,
და ბროლის ფოთოლთ წკრიალში
მესმოდა „ავე მარია“...
    ვუსმენდი ხეებს ბროლისას,
    ლანდი განვიდა გულიდან...
    და ჩემი არსებობისგან
    გადარჩა მხოლოდ მუსიკა...
    ბროლის ხეების მუსიკა...

## ლურჯი ფრინველები

„სიტყვების იქით არიან
უთქმელი სიტყვები“...
სერგის ნათქვამი.

იგი ფრინველებს ზრდიდა ამ ბაღში,
ვით კლავიშების თითები – ნოტებს,
და მზის სხივები, მსუბუქი ფარჩით,
რთავდნენ ხეების უნაზეს ტოტებს.
    სხივები ჰაერს თითქოს ამხელდნენ,
    და ფრინველები მოჰგავდნენ ფერებს...
    ხელებით ფშვნიდა ზეცის ნატეხებს,
    და, მათ, ფრინველებს უყრიდა მერე.
ზეცის ნამცეცებს შვენოდა ფერცვლა,
ყვავილზე, ნამის, წყდებოდა მძივი...
და ფრინველებიც კენკავდნენ ზეცას,
და ფრთებში, ნედლი, უკრთოდათ სხივი.
    თვალებს ფარავდა ჰავის სუმბული,
    რადგან სიზმრებში ყოფნას ვინატრით.
    მერე, თანდათან, თეთრი ბუმბული,
    ექღინთებოდათ ლურჯი სინათლით,
და ფრინველები, ლურჯები სულმთლად,
ფრინავდნენ ბაღის მწვანე ტოტებთან,
ჰაერი იყო ისეთი სუფთა,
რომ გული თავის თავს იგონებდა...
    და კაციც გრძნობდა (უნდა შეეგრძნო),
    რომ იდგა ბაღში, როგორც ჰაერი,
    და რადგან მათი ნახვა შეეძლო,
    აღარ უნდოდა სხვა არაფერი, –
ის თითქოს წერდა ფრინველებს ბაღში,
ვით ბეთჰოვენი – „მთვარის სონატას“,
და გამჭვირვალე სინათლის სახლში
იჭერდა ლურჯ ფერს, სხივთა მონატანს.
    ის, ლურჯ ფრინველთა მსუბუქ მირაჟებს,
    სულს ეძახოდა სიყვარულისას,
    და თავისივე გრძნობის წინაშე
    იღუპებოდა სიხარულისგან...



**ლეილა გაფრინდაშვილი**

* * *

ამ ღამეს ერთი შვილიც შემეძინა
„ზამთარი“, ფიფქებად რომ მოფენილა,
შევხედე, გულის სითბო ვუწილადე
ხელს ვერ ვკრავ, უნებურად მოფრენილა!

## ზამთარი

გზად მავალს, თავის ნებაზე
დამატარებდნენ ფიქრები,
ზამთრის ფუმფულა ნაბადში
მახვევდნენ თოვლის ფიფქები.

ფიფქს მოყოლილი ბგერები
გულის ჯიბეში ჩავტენე,
შინ მოველ, მათ შესამოსად
ეს ღამე, თეთრად ვათენე.

მე რა ისეთი თერძი ვარ?!
მორთულ-მოკაზმულს, დავარცხნილს,
თოვლდედოფალა ნაძვის ხეს,
მხოლოდ რითმები ავასხი.

ტოტზე, თოვლისგან დახრილზე
მოწყენით იჯდა ბეღურა,
ქალაქს ქათქათა საბანი
მთელს სიგძე-განზე ეხურა!

## სიყვარულის ჰარმონია

კოცნა,
მერე შენთან განშორება
მდელო ცრემლის წვიმით გავაჯერე,
იყო?... არა იყო... დაგივიწყე
მძულხარ! ჩემი თავი დავაჯერე.
შემხვდი...
თვალის თვალთან შეფეთებამ
გული ჩანისლული გაათეთრა ,
და მივიწყებული სიყვარული
ნუშის ყვავილივით ააფეთქა.
მერე....
იყო ღამე, დღის სადარი
მთვარე მზის ნათებით ანათებდა
ვარსკვლავები ზეცას ულიმოდნენ,
ტრფობა აპრილივით ქათქათებდა.
დღეს ვნება შენს მკერდზე გაიშალა,
გრძნობა ქარის ღიღინს აჰყოლია,
ცისკენ მიგვაქროლებს საქანელა
კვლავ ჟღერს სიყვარულის ჰარმონია.



**ირინოლა ორბელიანი**
(ირმა კაკიაშვილი)

***

რა დიდი ხანი ვუარე სათქმელს, რომ კარგად მეთქვა,
თუმცა შევატყვე, რომ თავმოყრა მაინც მეძნელა,
ხანდახან სიტყვა ზედმეტია როგორც მესამე,
ხანდახან რომანს მოგიყვებათ ერთი შეხედვაც.
უცნაურია წუთისოფლის ხვეული გზები,
რას არ შეხვდები და შეიგრძნობ ტკბილ–მწარ წვეთებად,
ზოგჯერ ცხოვრება გაგვიტაცებს როგორც მდინარე,
ზოგჯერ სამყაროს გაგვინათებს ერთი შეხვედრაც.
არა, არ გელი...რადგან უკვე შენ ჩემთან სახლობ,
ნაზი სურნელი მოფრქვევია ჩემს გულს ედემად,
მეციხოვნე ვარ შენი სუნთქვის, გდარაჯობ მკერდთან
და ვიგერიებ დიდი გრძნობის ყველა შეტევას.
მაგ თვალებიდან აფრენილი ლეგა არწივი
ნავარდობს მთებში და შემოწერს ცაში ირაოს,
მე, ჭიუხებზე გაწოლილი შემკრთალი ჯიხვი,
შემოგყურებ და არც კი ვიცი რაღა ვინატრო.
ჰო, დიდი ხანი ვუარე სათქმელს, რომ კარგად მეთქვა,
თუმცა შევატყვე, რომ თავმოყრა მაინც მეძნელა,
ხანდახან სიტყვა ზედმეტია როგორც მესამე,
ხანდახან რომანს მოგიყვებათ ერთი შეხედვაც.

***

მინდა უსასრულოდ გიყურებდე,
შენი თვალთა მზერით ვხარობდე,
მუდამ გვერდით მყავდე, მოგეფერო,
მაინც არ მყოფნიდე, გნატრობდე.

მინდა გისახსოვრო ჩემი სუნთქვა,
ტუჩებს შენი სიტკბო ათრობდეს,
გრძნობამორეული შენს მკლავებში,
რძისფერ რიჟრაჟამდე მათბობდე.

მინდა დაგელოდო ცის კარამდის,
მუდამ შენს ბაღნარში ვსახლობდე,
ერთად დავითვალოთ ვარსკვლავები,
თავბრუ გვეხვეოდეს, ვლაღობდეთ.

მინდა ჩაგეხუტო გატაცებით,
გული შენს დიდ მკერდზე ათრთოლდეს,
თუნდაც თავსხმა იყოს, ქარიშხალი,
ჩვენ კი სულაც არა ვნაღვლობდეთ.

***

არ ვიცი ვინ ხარ... იქნებ იმედი,
მთელი ცხოვრება გვერდით რომ დამდევს,
იქნებ, სხივი ხარ, შორით მოსული,
გულში ფარულად ღამეს რომ ათევს.

იქნებ, ლოცვა ხარ ფაქიზად თქმული,
გულის სიმებს რომ უჩუმრად არხევს
და, რომც ვცდებოდე, მაინც ისა ხარ,
ვინც მაოცებს და ლოდინით მავსებს.

არ ვიცი ვინ ხარ, იქნებ, წამი ხარ,
რომელშიც უნდა ვიშვა, განვახლდე,
იქნება, ჩემი დასტაქარი ხარ
სასთუმალს მჯდომი გარიჟრაჟამდე.

იქნებ, ფარი ხარ გამობრძმედილი
და ჩემი სულის გახდი მეკარე,
იქნებ, გმირი ხარ ომგადახდილი
და გამარჯვებულს გადაგეყარე.

არ ვიცი ვინ ხარ, იქნებ ჩრდილი ხარ,
პატარა წვეთს რომ გადაეფარე,
იქნება მხოლოდ ნატვრის ღილი ხარ
და ფრთხილად შეგხსენ რომ დამენახე.

***

ბოლო დროს ზეცაში დამჩემდა ყურება,
დამღალა მიწაზე ყოფითმა სიჭრელემ,
სული შეუღებავს ნაცრისფერ კაეშანს,
გული ჩაურაზავს ტყვეობის სიბნელეს.

გამიღეთ!
გამიღეთ!
გალიის კარები,
გამიშვით!
ვიფრინო, ნავარდი მაცალეთ!
ვილაღო ზეცაში, ღრუბლებთამ ვილხინო,
ხელახლა ვიშვა და ზეაღვსდგე ლაზარედ.

გამიშვით!
გამიშვით!
იქ, სადაც ფერია
ციური სინათლის...
ხუნდები ამყარეთ!
იქ, სადაც უმანკო დღეების ველია,
იქ, სადაც ბოროტი კეთილზე გაცვალეს



**ნანა ბერაია**

***

რაც ბზინავს განა ყველაფერი ოქროდა ფასობს,
ან ყველა „მახინჯს" კვაზიმოდო ჰქვია სახელად?!
თუკი ჯამბაზი სასახლეში მეფის გვარს ართობს,
მათ,ვისაც არა?! მაშინ ,სიტყვაც არ ღირს სათქმელად....
ნუ განიკითხავთ! ცოდვილია,ვინაც შვა კვაზი.
დედას კალთიდან ააცალეს,ღამით ატარეს.
ღვთისმშობლის ტაძარს მიიყვანეს ჩვილი, უმწეო
და როგორც შეძლეს სულიერად ისე აღზარდეს....
ვინ არის კვაზი?! შეყვარებული,ოღონდაც ნაზი,
ღამის სიბნელეს რომ ჩამოჰყვა ზეცის ხაოდან.
ქვა მოიმარჯვეთ,უცოდველნო,ესროლეთ ცოდვილს,
რომელიც თურმე სიბნელეშიც გრძნობით ჰყვაოდა...
ვიღაცა გოდებს....ემტერება ირგვლივ ყველაფერს,
განცდა აწუხებს ქალისაგან გრძნობის არ ქონის,
ნასესხებ ღიმილს და იმედსაც ვარდებში გაცვლის,
ტაძარში ტირის დამონძილი სული მათხოვრის.....

***

ცა ისევ ლურჯად იმზირება რძისფერ ნისლებში
და გობელენზე მზის სხივები ფეხმორთხმით სხედან.
იძირებიან ზღვის ტალღებში ნიმფები ერთად,
ფერად ფარდებად დაეშვება ოცნება ჩემთან....
საკურთხეველზე საკმეველი ჯერ ისევ ღვენთავს
და უკანასკნელ აკორდს ვუსმენ ღვთაებრივ ცეცხლთან.
ათასი აზრი გონებაში ერთმანეთს კვეთავს,
თეთრი მანდილით მოვისურვე წარსდგომა ღმერთთან...
მაგრამ ო,გულო,დაკოდილი თვლემს შენი ბგერა,
სულსაც საკინძე შევუხსენი,მივუშვი ნებად,
ამორძალი ვარ გადაცმული,შენ ჩემი გჯერა,
განვეშორები მე სიყვარულს?! არა!.....და ვერა!......
და ჟამს ბედნიერს,თუ უბედურს,როს იშვა ქალი,
არსევდიანი,გაზაფხულის ყოფილა დარი,
ზეცაში თურმე ზეიმობდნენ,აღსრულდა ნება,
ძეს სამყაროსთვის გადუხდია ურიცხვი ვალი....
ბავშვურ მზერაში გაიშლება სიტურფე სხვებთან,
სიკეთეს მოვქსოვ,გადავაფენ ვაზების ფესვთან,
ფერად ფარდებად დაეშვება ოცნება ჩემთან,
ბედნიერი ვარ,ისევ ვდგავარ სიცოცხლის ხესთან.....

***

უკვე გავგზავნე წერილები,ამანათები,
ქუჩა ეროსის,ადრესატი –სიყვარულია.
ახლა პირიქით,ველოდები თქვენგან პასუხებს,
უნდა მოასწროთ,სანამ სულში გაზაფხულია....
თქვენ მას არ იცნობთ....და არ იცით სად,როდის იშვა,
ეს ის გრძნობაა,გვესტუმრება,როცა არ ველით,
სულ ასე დადის ის „მხატვარი",ჰო,–ასე ითქვა,
თურმე გვლოცავს და გვაზიარებს უჩინარ ხელით...
და ვიდრე ჩვენი სიყვარული გულებს მოივლის,
ჩვენი გრძნობები ტუჩ–ბაგეზე დასკუპდებიან,
ძველი დღიური მოიმარჯვეთ,ხეზე დაწერეთ,
ნუშის კვირტები ხომ აპრილში აფეთქდებიან.....
მაგრამ ამ გრძნობას,ჩვენს მეუფეს,კეთილ ანგელოზს,
ნუ შეაწუხებთ ამ კითხვებით,რატომ და როდის,
შესაძლოა,რომ ვერ მოასწროთ მისი ამოხსნა,
სიყვარული ხომ ბრუნვადია,მიდის და მოდის



**ნათია ფრანგიშვილი**

***

მე გადაგიხდი სამაგიეროს, და შეგიყვარებ შენზე ძალიან,
ნუ მიღალატებ მერე..ჩემსავით, შენ ხომ არ იცი,როგორ მწარეა.
მთის სურნელებით რომ გამაბრუეთ, გაზაფხულის და შენი ბრალია.
მინდვრად ბალახი ამობიბინდა, რა სიმშვიდეა,რა სიმწვანეა...
მე გადაგიხდი სამაგიეროს, და შეგიყვარებ შენზე ძალიან,
ერთხელ მოვედი ამ ქვეყანაზე და ეს ცხოვრება რა მევალეა,
თუ არ მომთხოვა,შენ რომ მიყვარდე, მიყვარდე მეტად,ვიდრე ვალია.
არ იცი,არა,ჩემთვის ღალატი, რომ ტკივილებზე უფრო მწარეა.

***

შემოღამება იგრძნო სულმა, იმგვარად წვიმდა,
ეპარებოდა ზეცას ღრუბელი ნაგროვი სევდით.
ურმის ჭრიალით თან წაიღებდეს, სადმე დაცლიდა
მთვარე,ტკივილით სავსე დღეებს მწუხარე ბედით.
გადასარჩენად მივუყვები დინებას ნავით,
ხან კამკამებდა წყლის ზედაპირი, ხან არის მღვრიე.
სიკვდილმა იცის შემოპარება ჩუმად და მალვით,
უშიშრად,უფლის სიყვარულით სიკვდილსაც ვძლიე.

შემოღამება იგრძნო გულმა, სხვაგვარად წვიმდა,
უღირსმა, ბევრჯერ ავატირე უფალი ცრემლით.
ჩემი სისუსტით, ცოდვებით სული ისე დამძიმდა,
რომ თვალზე ცრემლებს სულის მკემსველი ლექსებით ვშველი.
შენც რომ არ მყავხარ, შენც რომ არ მყავხარ,წვიმამ იმატა,
ერთად გამოვლილ ჩვენს ნაკვალევზე ლურჯ იებს გაშლის.
ერთხელ ხომ მაინც, ერთხელ რომ მაინც ძლიერ მიყვარდა,
გაზაფხულს უფლის, იის და შენი სურნელი ასდის...

***

დამიტოვე ნაკვალევი თოვლზე,კარგო,
მეშინია, სამუდამოდ არ დაგკარგო.
მოვა წვიმა, გადააფენს ხსოვნის საბანს,
შემატოვებს ქუჩას, შენზე ცრემლით ნაბანს.
დაუბერავს ქარი, გული გაცივდება,
გაზაფხულზე , ზამთარივით აცივდება.
მიატოვებს მზე სიცოცხლის სავსე ხეებს,
შემატოვებს სიყვარულზე დარდით დღეებს.

დამიტოვე ნაკვალევი თოვლზე,კარგო,
არ მსურს არა, სამუდამოდ დამეკარგო,
თუ ხვალ თოვლი შენს ნაბიჯებს გადაფარავს,
დიდ სიყვარულს ვერც ნაოჭი ვერ დამალავს.
დათოვლილი გზა იმ სახეს გამახსენებს,
სახეს,რომლის მზერა ისევ არ მასვენებს.
დამიტოვე თოვლზე კარგო ნაკვალევი,
მქონდეს ცხოვრების გზა შენით გასაკვლევი

***

როგორ ჰყვარებიხარ უდროო სიშორეს.
თვით გიახლოვდება, მე კი მიშორებს.
თვალნი ვერ გხედავენ როგორ გიღამდება,
დღე უჩემ–უშენოდ, როგორ გიმთავრდება.
იქნებ სიყვარული გზაზე დამაწიო,
რომ შენზე ფიქრები ფუჭად არ ვარწიო.
გამინახევრდება მე გული ალალი,
შენს გზას სულ დავეძებ, მითხარ,გზა სად არი?!...



**ერეკლე საღლიანი**

# სისხლად დაღვრილ სიტყვებს ვმღერი

ზეცის ძახილს უერთდება
ცისარტყელას შვიდი ფერი,
მე დღეს, ერთი ამოსუნთქვით,
სისხლად დაღვრილ სიტყვებს ვმღერი.

მე დღეს, როცა ღვარცოფს ველი,
კლდის ნაჟური ცრემლად დამდის,
მიწის მწველი ქრუანტელი,
მეკიდება ცეცხლად ძვლამდის.

ქარის ხმაზე ირწევიან
გაზაფხულის ყვავილები,
ჩემი საყდრის სანთლად ვიწვი,
ჩემს საყდარში დავილევი.

ოდეს გავცდე ნათლის კიდეს,
ოდეს გავცდე ჩემს წილ მიწას,
სამზეოს მზეს ნუ შევცინებ
ჩემი წილი სიცოცხლითა.

მედექ ქარში და სეტყვაში,
აუღებელ ციხედ, გულო,
აწყვეტილი ჩემი სრბოლა
ბოლომდე არ დავასრულო.

ზეცის ძახილს უერთდება
ცისარტყელას შვიდი ფერი,
მე დღეს ერთი ამოსუნთქვით
სისხლად დაღვრილ სიტყვებს ვმღერი

***

დღეს ბედი ჩემი შარას მივანდე,
ძველი სიმღერა კვალდაკვალ დამდევს,
გაცოფებული მგლების სიხარბე
კვლავ შეგვახსენებს გარდასულ ამბებს.

გული არნახულ სიხარულს ითხოვს,
მრავალ სურვილთა სამიზნე ხდების,
ასე მგონია, დამცხრალან თითქოს
ლექსში მოქმედი ვულკანის ხმები.

ბინდი ეცემა ნახევარმთვარეს,
ბინდი ეცემა დაჩეხილ ვენახს,
გზაკვალაბნეულ ნეკრესის ქარებს
მოაქვთ ხარ–ლაღის გაბმული სტვენა.
ავდარია და უსაზღვროდ ბარდნის,
უტყვი ზმანების ტყვე მქვია დღესაც.
მეზმანა, თითქოს კუმურდოს ტაძრის
ჩამონგრეული კედელი კვნესდა.

მეზმანა, თითქოს იმედებს, წაშლილს,
თან მოჰყვებოდა სევდა ულევი,
მეზმანა, თითქოს აწყვეტილ ქარში,
აწყვეტილ ქარში რეკდნენ გულები.

მეზმანა, უცებ განიხვნა თითქოს
შავეთის შვიდი ბნელი კამარა,
ო, აღსასრულის შორეთის ნისლო,
დავრჩი გაძარცულ ლექსის ამარა.
ვიყავი მცხეთას, გნახე მარტყოფთან,
მახსოვს, ჭიუხიც დავლახეთ ერთდროს,
ლექსი გვართობდა, ლექსი გვათბობდა,
სულშიც ლექსების კოცონი გვენთო.

და ახლა, როცა გულს ველარ ვითბობ,
მეც მისებრ კვლავაც სამიზნედ ვრჩები,
ასე მგონია, დამცხრალან თითქოს
ლექსში მოქმედი ვულკანის ხმები.

ასე, მგონია მეც დავცხრი თითქოს,
თუმც კვლავ იყარეს სულში ყლორტებმა,
მაგრამ ის, ერთხელ რაც უკვე იყო,
აღარასოდეს განმეორდება.

ხამს ყოველივე ოცნებად დარჩეს,
თუმცა ჩვენი გზა ბინდმა ჩაღობა,
ჩვენ მაინც კარგო ბუნების გამჩენს,
იმ დღეებისთვის ვუძღვნათ მადლობა.

***

ღრუბლების დაშლილი ტივი,
მილეულ სიცოცხლის სვე და...
სექტემბრის ცახცახა სხივი
და გულში ჩამხრჩვალი სევდა.

მინდვრებზე ტბორების რყევა,
ლოდებზე მთვლემარე ხავსი,
ფოთლების ყვითელი რემა
და სივრცე – საფლავის მსგავსი.

თითებში ჩამდნარი მთვარე,
სოფლად მორიალე თალხი,
უსაზღვროდ ფერკმრთალი ღამე,
მიწას რომ მქრქალ ფერებს ახლის.

ღრუბლების დაშლილი ტივი,
მილეულ სიცოცხლის სვე და...
სექტემბრის ცახცახა სხივი
და გულში ჩამხრჩვალი სევდა.

## სალაღობო

ქარი ცაზე შემკრთალ მნათობს,
აცლის ღრუბლის ნაშრევს,
მსურს, უქმად არ დავიხარჯო
და უქმად არ დავშვრე.

ჩემს სიზმრებში დადიხარ და
ცრემლიც აღარ გწყდება,
მავანთათვის დარდი ხარ და
ჩემთვის დახვალ მწედა.

სიტყვას ვეძებ ბარაქიანს,
დღეს ვაღამებ პწკართან,
არაფერი მაბადია,
სავსე გულის გარდა.

მთასთან ბაასს შორით ვბედავ,
თასს ბოლომდე ვერ ვცლი,
ღვინოსავით მეკიდება
წარღვნამდელი ცეცხლი.

დარი ქუფრობს, სულის ნაპრალს
ფერფლით სავსეს ვხედავ,
რას ვიპოვნი, რას დავკარგავ,
სამშობლოზე მეტად.

ქარი ფიფქებს სტვენით მახლის,
მივბარბაცებ მარტო,
გოჯი მიწის გულისათვის
სიცოცხლესაც დავთმობ.

ავს მოვსტაცო მინდა ხვითო,
ხნულში ვყრიდე მარცვლებს,
რომ არასდროს დავიწრიტო,
რომ არასდროს დავცხრე.

მკერდში ვრგავ და ვითბობ ხელებს,
ფიქრში ვიძირები,
ვაჰ, თუ ვეღარ გავიმთელე,
დამსხვრეული ფრთები.

უკვე აღარ ველოდები
წერილს, ცრემლით ნაწერს,
სიყმაწვილის შეცდომები
კვლავ სიმძიმედ მაწევს.

დღეებს უკვე აღარ ვითვლი –
დაცლილ ზღაპრის გუდას,
ერთი ნაღდი სტრიქონისთვის,
ვიარსებო უნდა.

წავარნაზე, ცასთან ახლოს,
ჩამიქროლე სიოდ,
რომ სიბნელემ ვერ დამთალხოს,
ვერც სიკვდილმა მძლიოს.

რომ მოვდრიკო თავფრიალო,
ოფლმა სჭექოს ღვარად,
რომ დაღმა არ მატრიალოს
წუთისოფლის ჯარამ.

ქარი ცაზე შემკრთალ მნათობს
აცლის ღრუბლის ნაშრევს,
მსურს, უქმად არ დავიხარჯო
და უქმად არ დავშვრე.



თეა კანდელაკი

* * *

ცის ფერით ღამე მოექარგა
შრიალა ხეების ლანდებს,
ისეთი საღამო ჩამოწვა,
ისეთი, სიყვარულს რომ ბადებს.

09.28.1995

## შავ როიალზე გადაიბნა შტრაუსის ვალსი

გაშიშვლებულან ურცხვად ხეები
და სცივა ბალბას.
მთვარემ სხივები დააფრქვია
და სირცხვილისგან გაწითლდა ალბათ.
ღამემ მიპოვა და მომიყვა
წყვილების ამბავს,
რაც კი იცოდა მათ შესახებ,
ტყუილს, თუ მართალს...
მინდა გავშორდე ღამეს, მაგრამ
მელევა როდი?!
მასაც თავისი მოგონებები
აშლია მგონი,
მთვარის სონატა კვეთავს ღამის
უტიფარ დუმილს,
სანთელი ღვენთავს,
მოსდებია მის თვალსაც რული.
შავ როიალზე გადაიბნა
შტრაუსის ვალსი...
ო, მასმენინეთ და მოგონებებს
დღეს ნუღარ აშლით!
შავ როიალზე გადაიბნა
შტრაუსის ვალსი...

12.20.1994

## ცის ტატნობს

ზღვის სილურჯეში ჩაიკარგა
  ფრთათეთრი გედი.
    ზღვის ნაპირს ხეს მოსწყდა პაწაწინა
      ფოთოლი ვერხვის.
ცის ტატნობს ასე მეგონა
  ატირდა მთვარე...
    და დააცქერდა შვლის ნუკრის
      სევდისფერ თვალებს.
სიომ სათუთად მიუალერსა
  მწუხარე ღამეს,
    ფიქრი კვალდაკვალ აადევნა
      აქოჩრილ ქარებს.
მწუხრისას ისე ჩამოჰკრეს
  სიონის ზარებს,
    ცის ტატნობს, ასე მეგონა,
      ატირდა მთვარე...

08.20.1995

* * *

დ-აგათოვს ფიფქებად წლები უამრავი,
ე-ხლა მომაფერა, სხვა არა მდომია.
დ-აგცქერ მძინარეს და ჩემსავით ძლიერად
ა-რავის ყვარებიხარ მგონია.

09.25.1995

## ნება მომეცი, შეგიფარო

ნება მომეცი, შეგიფარო,
ფიქრი მოგაშორო, თავნები.
ჩემი სიყვარულით შევიყვარო
შენი სევდისფერი თვალები.
ნება მომეცი, ვეამბორო
შენს ლამაზ ვარდისფერ ბაგეებს,
ეს, ჩემთვის გულში, ხმამაღლა
ფიქრიც კი ვერაფრით გავბედე.
დაისმა ფერხთით გამიგო
ფარდაგად მოციმციმე ლანდები
და მეც ცისფერი შარაგზის
ბილიკებს უჩუმრად გავყევი.

09.28.1995

* * *

ს-იმს თითი შევახე და
ა-ტირდა გიტარა.
ს-ულმა ერთად ყოფნის
წ-უთები ინატრა.
ა-ტირდა სანთელი და
უ-ფსკრულმაც ინათა
ლ-ურჯად მოლივლივე
ი-ამ გაიხარა.
მთვარეს – მზის სხივმა შეხედა და
ბნელშიც ინათა.
გამხმარ ხეს წყლის პეშვი შეეხო და
მანაც გაიხარა.
მზემ, ღრუბელს თვალი ჩაუკრა და
ცამ გამოიდარა.
ამაყმა ვარდმაც ბულბულის
გალობა ინატრა.
ამაზე მეტი სასწაული
თუ სადმე გინახავთ,
ავაზაკმა ჯვარცმაზე ხომ
ღმერთი იწამა.

11.09.1995

## მიყვარხარ ძლიერ, ბატონო...

მიყვარხარ ძლიერ, ბატონო– მე შეიძლება გითხრა,
მაგრამ, ეს სიტყვა ოდესღაც იქნებ დაფაროს ფიფქმა.
იქნებ, ქარს გაჰყვეს კვალდაკვალ და გამოისხას ფრთები,
მითხარი, კარგო, ქარიშხალს მე როგორ დავეწევი.
მიყვარხარ ძლიერ, ბატონო, მე შეიძლება გითხრა,
მაგრამ, მე მინდა შენ ჩემი გული იწამო წმინდა.
იმას თვალებიც გეტყვიან, რაც ვერ გაგანდო ფიქრმა,
რომ, მხოლოდ შენი ღიმილი და სიყვარული მინდა.
იქნებ, ეს გრძნობაც, ბატონო, სიცარიელედ დამრჩეს
და თუ არ გეტყვი, იქნება, შენც იმ ქარიშხალს გაჰყვე.
გული ერთს ამბობს თავნებად, ბგერა აკვდება ბაგეს,
ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს გრძნობა მე საიდუმლოდ დამრჩეს.

01.05.1996



**ნანა ნოზაძე**

## ცხოვრების ღამე

დავყურებ საათს და ვხედავ,
როგორ ცვლის ისრები წუთებს,
წუთი, წამს შეაბერდა,
ცხოვრებას ღამეს ვუთევ...

## ნაბიჯ-ნაბიჯ

ნაბიჯ-ნაბიჯ მივუყვები,
ცის აღმართის კიბეს,
ჩემზე ლექსი მოგიყვებათ
გული გამოგითბეთ,
ორმოც წლამდე ყოველი დღე
იყო საამური,

ყინვა შრომით გამოვალღვე,
გულის სალამურით...
მერე როცა თეთრი თმებით
წლები გადათეთრდა...
ღამე ბუხრის ცეცხლთან გავთბი,
ლექსით გამითენდა.

## მეზობლების მონატრება

მე აქ მუხრანში ვარ, მარტოდ-მარტო,
მოგონებას კი სათუთად ვუვლი,
ფიქრით თქვენთან ვარ,
ყოველთვის გნატროფთ,
ჩემთან ხომ შემოივლით.

მე მახსენდება, წყენაც და კარგიც,
ჩემო, კეთილო ხალხო,
ყოველთვისამაქვს თქვენი დარდი და
შევეცდები რომ გნახოთ.

## ღიმილი

ღიმილი ყველას უხდება კაცია ქალი თუ ბავშვი,
მოდი ვუმღეროთ ერთმანეთს სითბო შემოვა სახლში.
სითბო დაივლის სხეულში თუნდ ვიყოთ თოვლ – ფარდულში,
ყველანი ვიყოთ კეთილი ცუდს ნუ გავივლებთ გულში.
მინდა რომ ყველამ იცოდეს სიკეთე გადაგვარჩენს,
მადლობა ვუთხრათ ყოველდღე, უფალს, ამ ქვეყნის გამჩენს.

## ჩემი სოფელი

ის არ გეგონოთ უდაბნო და არც გეგონოთ მინდორი,
ფერდობზე გაშენებული ჩემი სოფელი სკინდორი.
გინდ ბაღნარი გამიშენეთ, გინდ მაცხოვრეთ სასახლეში,
ოცნებებით და ფიქრებით იქ დავფრინავ ჩემს სოფელში.
სადაც ჩემი მამაპაპის წმინდა ძვლები განისვენებს,
სადაც ჩემი გვარის, ჯიშის, მომავალი იდგამს ფესვებს.
ოცნებებით და ფიქრებით ვლოცავ ამ ჩემს მთას და მდელოს,
რომ უფალმა ეს სოფელი, აკურთხოს და აღდეგრძელოს.
მაგონდება, ჩემი სოფლის კოდილათი წყაროს ხევი,
კლდის წყარო და საქონდრიას სოფლის ყველა მოსახვევი.
პატივსა გცემთ გეფერებით, განურჩევლად თქმაც არ მინდა,
სკინდერლებო შემოგევლეთ, ყოველწუთში თქვენთან მინდა.
გამიმრავლდით მუდამ გლოცავთ, შემოგევლეთ წრფელი გულით,
თქვენს სიხარულს მე შევხვდები, სუყოველთვის სიხარულით.
დამენახოს ეს სოფელი, მზის სხივით გაბრწყინებული,
თაობები გაგეზარდოთ არ გნახოთ დაკნინებული.

## მოგონება

ჩემი სოფლის ოღრო-ჩოღრო ერთად ერთი არის ქვეყნად,
ბევრი ტკბილი, ბევრი მწარე და ბავშობა გამახსენდა.
გამახსენდა სკოლის წლები, ჩემი ტკბილი მეგობრები,
დანანებით მოვიგონე ჩემი სოფლის წასულები.
ჩემი ტკბილი პოლა ბაბო, დატანჯული ჩემი დედა,
თალიკო და ჩემი ტატო, დამანახა კიდო ნეტა.
თებროლე და პელაგია, ოლია და ბაბილინა,
სარათი და ტკბილი ვერა, ტატიანა, კალისტინა.
თქვენი სახე ჩემში მუდამ ცოცხლობს, არა არ მცილდება,
რა ცუდია რომ აღარ ხართ, რა ტკბილია მოგონება.
მინდა ყველა გაგიხსენოთ, ჩემი სოფლის წასულები,
ამ ფურცელზე არ ეტევა, რომ დაგწეროთ დასრულებით.
სასუფეველს გისურვებთ და თან სულ გენთოთ თქვენ სანთელი,
მომგონებელი გიცოცხლოთ, იმ ქვეყნად გქონდეთ ნათელი.

## სიზმარი

ძილის წინ შენ გამახსენდი, სიზმრად ცოცხლად გიხილე,
ყორე-ყორე დავხტოდი და ვიცინოდი ვილხინე.
ხტუნვა ხტუნვით მოვიარე კლდის წყარო და ულევი,
ცოტა პურმარილი გვქონდა ხალისი კი ულევი.
ჩემი დედა და ბებია ხაჭაპურებს მიცხობდით,
დაბადებას მილოცავდით სიყვარულით მიხმობდით.
განთიადზე გამეღვიძა ბედნიერი ღიმილით,
გაღვიძებულს შემრჩა ხელში, უთქვენობის ტკივილი.
ბნელი ღამე დღემ შეცვალა, წყალს გაუდის ლივლივი,
თქვენს ფოტოებს რომ შევხედე, შემრჩა გულის ტკივილი.

* * *

მეგობრობა ტკბილია და თბილია,
ერთგულება ძალზედ დიდი განძია,
მეგობრებთან ერთად მინდა დავლაშქრო,
ძველი ხანძთა, ასპინძა და ვარძია.
ნუ დავკარგავთ ტრადიციებს შვილებო,
ნუ გექნებათ მაცდური ამბიცია.

ჩემი ლექსით ტკბილად დამოძღვრილებო,
სამოსივით ლექსის კაბა მაცვია.
უძველესი კულტურა აქვს ქართველებს,
ამ კულტურით ამაყობდნენ გმირები,
მათ მიბაძეთ და ისწავლეთ ბავშვებო,
გაიზარდეთ საამაყო შვილები.

***

ღმერთო მომეცი უნარი, სიკეთე ვთესო ყოველდღე,
რომ ჩემი ხალხის სიყვარულს გულის მალამოდ დავადნე,
უფალო, გთხოვ მომიტევო, თუ კი რამ ქვეყნად შევცოდე,
ხომ მაპატიებ უფალო, ყველა ნაფიქრი გაგანდე...

*****

შემოდგომა მიიწურა, მოდის ცივი ზამთარი,
ბეღურები მობუზულან, ხის ტოტებზე დამსხდარი.
მზეს ძალა გამოლევია ისმის ქარის შრიალი,
ყველაფერი უფლით ხდება, დედამიწის ტრიალიც...
ამ ცივ ზამთარს ცოტა ხანში მოსდევს თბილი ზაფხული,
მომავალნო, უფლისაკენ რწმენით შემოტრიალდით.

****

როგორც სამშობლო ამ ქვეყნად თვითოეულისთვის ერთია!
და უწმინდესიც ასეთი ამ ქვეყნად ერთად ერთია!

## ამბობენ

ამბობენ გული არ ბერდებაო, მართალი არის!
სხეული ჭკნება მუხლი კი აღარ გემორჩილება,
გულით კი ისევ 17 წლის ვართ...
რა უყოთ დროსთან ჩვენ გვჭირდება დამორჩილება.
თმები ჭაღარა, მუხლი უძლური,
გული კი ისევ ახალგაზრდაა,
და შემართული რწმენით, იმედით
ეს ჩვენი გული მუდამ მზადაა.

## მთვარე



სავსე მთვარე ამოგორდა, ალაგ-ალაგ ეფერება ღრუბელი,
მედიდურად იცქირება გულო შენ გაუძღელი,
მთვარეს თავზე ღრუბლის ჭერი აფარია,
ასე მოსჩანს აი ასე აღვიქვი...
თვალს ვერ ვწყვიტავ სილამაზეს, ღამეს თავის ხიბლი აქვს,
მთვარე ნაზად გეფერება, ისე როგორც ნიბლიას.
დაილოცოს ღმერთო, შენი შემოქმედი მარჯვენა,
ეს სამყარო შენმა ძალამ სასწაულმა გვაჩვენა.
მეცოდინება ყველა – ყველა, ვისაც შენი არ სჯერა.

## გასეირნება

მთვარის შუქზე მოვსეირნობ მომაცილებს მხოლოდ ჩემი აჩრდილი,
ხან მაღალი, ხანაც ჯუჯა, მეგობარი ნამდვილი.
მარტოობას სულაც არ ვგრძნობ, ჩემთან მუდამ ღმერთია.
მფარველი და ჩემი შემწე, მხოლოდ ერთადერთია.
მუდამა ვარ მადლობელი უფლის უზენაესის,
ვიყო თბილი, სუყველასთვის ყურში ასე ჩამესმის,
მთვარის შუქზე მოვსეირნობ, ქარიც დაქრის თავნება,
რა ლამაზი ღამე არის, დაილოცოს ღმერთო შენი განგება.

# შენ ანგელოზად ნახვედი თამარ



შ-ემოგეპარა თმაში ჭაღარა,
ე-რთად დაგვაწვა ღრუბელი ჩვენდა...
ნ-ატკენი გული ველარ ისვენებს,

ა-ი რა არის დარდი და სევდა.
ნ-ატვრა გვაქვს მხოლოდ გნახოთ სიზმარში,
მ-ოგეალერსოთ და მოგეფეროთ,
ე-რთად ვილოცოთ შენი სულისთვის,
ლ-ექსად დავწეროთ და მოგეშველოთ.
ო-ქროსფერ სხივებს სითბო არ მოაქვს,
ზ-ღვა არის ჩვენი დარდების კონა...
ა-ლბათ მიხვდები ჩემო თამუნა,
დ-არდმა დაგვკოდა და დაგვამონა.

წ-ახვედი უცბად ანგელოზებთან,
ა-რც კი დაგცალდა ყმაწვილქალობა,
ხ-ვალინდელი დღის ფიქრით ტკბებოდი,
ვ-აი ვინ მოგვცეს აწი წყალობა.
ე-რთხელ მოხვედი შენ ანგელოზად,
დ-ა ისევ უცებ დაგვტოვე ყველა,
ი-ს მოლოდინი ადრე რომ გვქონდა,

თ-ვალს და ხელს შუა გაგვიქრა ნელა,
ა-ღარ ვიტირებთ ვილოცებთ მხოლოდ,
მ-იტომ რომ რწმენით შენა ხარ ღმერთთან.
ა-სეთი იყოს უფლის განგება,
რ-აც გვაიმედებს მუდამ ხარ ჩვენთან.



**Нана Месхи**
ნანა მესხი

**ТАМ...**

Вижу облако прозрачное на небе,
Вижу солнце и радуюсь ему,
Посмотрю я на тебя украдкой,
Вдруг пророниш ты соленую слезу,

Потемнится вечер станет сумрачно,
Лишь луна посмотрит полным взором вниз,
И захочется вернуться на ту землю нам,
Где морская гладь ласкает кипарис.

И магнолии невестами нарядятся,
Испуская томный аромат...
И прошепчим мы: « ведь жизнь то продолжается»
Надо помнить нам! любить и все прощать.

**11.03. 15**

**СМЫСЛ**

Вот еще один день
Затворил свою дверь,
И на миг приоткрыл,
Нам минуту прозренья

Утро нам принесет
И надежды и взлет,
Все что жизнь
Называет «смирением»

Забегая вперед
Любопытством пленясь
Нас людей
Настигает слабость,

Чтоб узнать наперед,
Как нам жить. что нас ждет,
Запираем мы двери
В рай наш.

Ты не так суетись,
Ты постой осмотрись
Ведь живешь
Чтобы жить вольно!

Не старайся ты зря,
На перед для себя,
Подстелить чтоб
Не пасть больною

Ты живи и люби,
Ты молись и твори,
Будет так
Как угодно Богу!

**8. 03. 15**

**ТАМАРЕ - МОЕЙ**

Сегодня день напомнил о тебе,
Так быстро прлетело все, в мгновенье,
Скучаю по рукам твоим, я в них
Росла, любила, плакала и пела.

Ведь ты мне говорила что-« Добро
Чрезмерное граничит уже с глупостью!».
А я упрямо повторяла про себя,
«Не верю, не бывает так» конючившись,

Ты часто говорила мне о том
Чтоб жить и достигать всего красивого
Что мир так интересен, если ты
Подняться ввыс захочешь и окрылиться,

Люблю тебя люблю, и верю я
Что нам увидится придется в будущем,
И буду жить и буду думать я
Чтоб с вечностью не разайтись по случаю,

Люблю тебя люблю и верю я....

**04. 03. 15**



მანანა მიქაძე

## იები

მოდიოდა გზაზე ბიჭი,
მოჰყვებოდა სურნელი.
სისხამ დილით დაეკრიფა
ტყეში ლურჯი იები.
გულის ჯიბით, თურმე იებს
იმალავდა, ნეტავ ვისთვის?!

ლურჯ თვალებავ,
დაქოჩრილო,
გული გიცემს, ვისთვის?
იის კონას, ვის უნახავ,
ვისა სჩუქნი, რისთვის?

## მე, ტყვე ვარ შენი!

ჩემო საქართველო,
მე, ტყვე ვარ შენი,
სამებით გაბრწყინებულო,
ჩემო ზეცავ და მიწა-წყალო,
ვერ მიგატოვე,
სხვაგან ვერ გავძელ უშენოდ.
ის, ზვიადი მთები,
შენ რომ გაგაჩნია:
შტაულერი, უშბა, თეთნულდი და სხვები,
მშვენიერო საქართველო,
სულ ვერ მომივლია,
ის, ფირუზი ზეცა
მე, რომ გამიცვნია,
დედამიწის ზურგზე
არსად დამეიწყნია.

სულის კრთომა შენგან,
ყველგან განმიცდია.
ბედნიერი თუ ვარ,
შენით შემიტყვია.
ჩემო, ტკბილო საქართველო,
შენი ხიბლი მქვია.
ჩემო სამშობლოვ,
ობლად არ მეგულვი
იმიტომ, რომ გყავს – ღმერთი შენი
მფარველი და – დედა ღვთისმშობელი.
მათით ვსუნთქავთ ხალხი
და ვარსებობთ ქვეყნად
სითბო და მადლი გადმოჰფინონ
ჩვენს ზეცას მარად.

## ღიანას!

ღიმილის ჩუქება გინდოდა,
სითბო შეგეგრძნო ჩემით.
უეცრად მკვახედ შემხედე,
ფიქრში გავქავდი იქვე.
ოცნების ნამქერმა წამიღო...
წამწამებს ნაღველი ჩამოსცდა.
ღიმილის ჩუქება კი არა,
გულით გამთოშე მ თ ლ ი ა ნ ა დ!

## ცრემლები!!!

როცა თვალები მდუღარედ
ტირიან,
და ნაკადული არ ჩერდება
დაჭრილ გულიდან;
მაშინღა ვფიქრობ,
თუ, ვინ დამრჩა დაუტირალი
ან ვის ეკუთვნის
ეს ქაფქაფა, ჩემი ცრემლები.

## სულო!

„სიზმრების მეუფეს!“

ტკივილით მცირედ,
ტკივილით მძიმედ,
მთებიდან ბარში ჩავინაპირე.
ო, ძველთა სევდას ნუ მომაგონებთ,
ო, ძველთა ჭმუნვას ვით დავიამებ.
ცრემლი ერთი და ცრემლი ზღვათა–ზღვა
ვით მე შევკრიფე მდუღარემ კალთად,
შენ მომანიჭე ეს უკვდავებად,
ბედად მარგუნე, გრძნობათა მარქვად.
შენ, სიხარული გამიაპრილე.
და თვით გულიდან გამინაპირე.
ტკივილი მცირე,
ტკივილი მძიმე,
სულო, გულიდან გამოატარე.
მომგვარე სიზმრად ნანახი ცხადში.
დავდგები ხატთან მეც სანთლით ხელში.
საფიცრად გიხდი ვინც გიყვარს ერში
არ დამადარდო სიცოცხლე ჩვენში.
თვით დამიმცირე ტკივილი მცირეც,
თვით დამიამე ტკივილი მძიმეც,
და... სულო, ჩემო, შენ შემიფარე!

## ქ-ნ გულნაზს!

როგორ ავმაღლდე,
თქვენს ფეხებთან,
რომ დავიხარო!
მადლიერება გამოვხატო უზენაესო!
ამ სიკეთეში მზის სხივები
რომ მომანათე.
თვითონ მზე, რომ ხართ
და მიბოძე მეც გაბრწყინება.

## დედა!

ისევ, ცელქ ბავშვად
მაგონდება თავი,
დედის ნატერფალებს
ასკინკილით მოგყვებოდი
ზვრებში.
მაშინ არ ვიცოდი,
რა გიყვარდა,
რა გახარებდა,
წინ მიმავალს ან,
რა გადარდებდა.
მახსოვხარ, მხოლოდ
შავთვალება, პირთეთრი,
შავგრუზა თმებით;
მზრებზე დაყრილი
ხუჭუჭთმიანი,
ლერწამივით ტანთხელი ქალი.
მუდამ, რომ მეფერებოდი
და ლოლიავში მზრდიდი.
„გენაცვალეო, შვილო“ ალერსიანად
მეუბნებოდი ხშირად.
ერთხელაც გკითხე: „დედი, რა
არის გენაცვალე?„
„მე, რომ გავქრე და შენ დარჩე
დიდხანს!„
მომეხვიე და მიპასუხე.
ჩემს სიბერეში ახლაც
თვალწინ მიდგეხარ
და მენატრები მოხუცს,
ის ახალგაზრდა, ხუჭუჭთმიანი,
ქალი!

## ლევან დევდარიანს და მის მეგობრებს, რომლებმაც სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებას შესწირეს 2008 წელს!

აგვისტოს ომის დაწყება
ზეცას ქუხილით მიასკდა.
ვისი შვილებიც იბრძოდნენ,
მშობლებს თავზარი დაეცათ.
ლოცვად გადიქცა მთა-ბარის
მთელი ქართველი ერი!
ღმერთმა იცოდა მხოლოდ,
ვინც იყვნენ მისი რჩეულნი.
და არც ბიჭებმა იცოდით,
მაშინ რჩეულთა ამბავი.
ტანკიდან ტანკზე ლომივით
 მხტომარს,
ვერ მოგერია მტერი ვერაფრით.
მაგრამ, სულ ბოლოს, დაჭრილმა
 ლოცვით,
ღმერთს შეავედრე სამშობლო
 შენი.
ლომგულა ვაჟკაცს სიკვდილის
 წინაც
არ დაგცდენია ერთი კვნესა
წამების განცდით.
ძირძველი მიწა სისხლით შეღებე
და მამის სახელი „ცაგო„
დასწერე საკუთარ სისხლით.

არავინ იცის და ვერც გავიგებთ,
რა დაისაგზლე გრძელ გზაზე წამსვლელს.
მაგრამ სიკვდილმა უთქმელ სიტყვაზე,
შენზე ბევრი სთქვა საქები.
ვაი, მშობლების გაძლებას მერე
და მათ ამ დღეში ყოფნას შემდგომში.
საკვირველია, ვით გაგზარდეს
იმედის შვილი ბელამ და ცაგომ,
სიცოცხლეშიაც ჩვენს შორის,
რომ დაადიოდი გმირი.
შენ, ერთი იყავ – დევდარიანო ლევან!
ის, ერთი იყო – ღვინიაშვილი სოსო!
ისიც, მებაღიშვილი გიორგი – ერთი იყო!
ყველა, ვინც იბრძოდით,
ძმობის ბიჭებო,
ყველა, იქ, დარჩით ერთად!
თქვენი დიდება შეიმოსა
 შარავანდედით.
თქვენი სახელი და გმირობა
ცაში აიჭრა ღმერთთან.
ჩვენ კი აქ, დავრჩით სანთლებად
და ვიწვით, თქვენთვის, ლოცვის
 იმედად!

* * *

„ოჯახში თმენა
და გაჭირვება,
ქვეყნად ეს ყველა
ქალის ხვედრია.
ცრემლი, დარდი და მწუხარება
სახლის კედლებში რჩება.
ვინც ვერ ითმინა,
არც დაითმინა
და შეებრძოლა ხმას.
– წადი „კუხნაშია“ შენი ადგილი
– ყვირის შეურაცხოფით ხმა.
წავიდა ქალიც, ნახა გზა.
ღმერთის შეწევნა დაედევნა თან“.

## ქ-ნ გულნაზს!

მინდა, დედა იყო ჩემი,
ან მეგობარი – ნამდვილი,
ან კიდევ და – ღვიძლი,
გულისდამწველი,
რომ მოგეხუტო თბილად.
მოგაყრდნო თავი მკერდთან.
არა ვთქვა სიტყვით სათქმელი,
გულმა გამიგოს ტკივილი.
მინდა გიგალობო, მაგრამ
ქარი დამქროლეს ცივი.
სუსხიან ავდარს მაგონებს
ჩემი ცხოვრების ამბავი.
შეცდომა იყო წარსული
დღე, სიხარულით მქონე.
მცირედი მეგონა ტანჯვა,
თურმე ყოფილა ის ღრმა,
ბოლოში მივხვდი ამას.
პატარაც მყოფნის საზრდოდ,
სიხარულიც და ტკივილიც.
ამ აბდა–უბდა სიცხადეს
იქნებ, მერჩივნოს სიზმარი!

## მოვა ზამთარი

მოვა ზამთარი
და ჩვენი თმები
თოვლივით ფიფქებს შეეფერება;
მაგრამ ფიქრები
ოცნების გზებში,
ფანტელებს ცაში
თან გადაჰყვება.
დაიფერფლება გაზაფხული და
თვალებში ნამი ჩამოგიდგება.
თუ სიყვარული გამოგელია,
სული სხეულში ვერ დაგეტევა.
მოგონებები გაგიხუნდება.
ყინულზე ფეხი ჩამოგიცდება.
წახვალ და დუქანს ჩაუვლი გვერდში,
იქ, ერთი ჭიქაც ვერ მოგერევა.
საითაც მიგრძნო და მიტრიალდე
ყველგან აჩრდილი თან გამოგყვება;
დოქი დაგათრობს თუ
ქალის ხილვა
ნაღველს აგიშლის
წარსულის ფთილა.
კვლავ მოფერებით მოგეფერები
და ფიქრით ისევ მოხვდები ჩემთან.



უშანგი მოსიაშვილი

## რწმენა

ჩვენ უფალმა დაგვანათლა
მოგვცა დიდი რწმენა
და დღემდე შევინარჩუნეთ
მამული და ენა.
ბევრი ერი გადაშენდა
აღარ დარჩათ აღარც ენა,
ეტყობა რომ მათ წინაპრებს
არა ჰქონდათ ჩვენებრ რწმენა.
წინაპრებმა მოგვიტანეს
ჩვენ ლამაზი მამული,
მაგრამ ჩვენ ვერ ვუპატრონეთ
დაგვრჩა გადახრამული.
ალბათ რწმენა თუ გვიშველის
დავიბრუნოთ ჩვენი მიწა,
შავი ზღვის სანაპირონი
აფხაზეთი და ტბა რიცა.
ურწმუნო ხალხს არასოდეს
არ ჰქონიათ დიდება,
არ უშველის მათ არასდროს
სხვებზე გამოკიდება.
ალბათ ღმერთიც გვიპატრონებს
მოგვცემს მკლავში ძალასა
და მომხდურ მტერს პასუხს გავცემთ
არ დავუთმობთ არასა.

*

წუთისოფელი ასეა,
ასე იყო, ასე არის:
არაფრის გამკეთებელი
მუდამ უფრო მეტად ჩხავის.

*

ამ ქვეყნად თუ რამ აკეთე,
ხალხს მოუტანე სიკეთე,
იცოდე მომავლისათვის,
რომ შენთვის სახელს იკეთებ.

## მეფე ერეკლე

ერეკლეს მერე ჩვენს საქართველოს
ცოტა ჰყოლია კაცი მმართველი,
რომ ყოფილიყო სულით ძლიერი,
გული ჰქონოდა სუფთა ქართველის.

სპარსული ქუდი შირმად ატარა,
რომ მტერს ქართველი არ დაეთრგუნა.
ომს და ლხინში უპატრონა
ქვეყანას თვისას,
მუდამ ჯაბნიდა უამრავ ჯარს
შემოსულ მტრისას.

მრავალ მომხდურ მტერს ის შეხვდა
რისხვით
და დამარცხება უჩვეულო
სულ იყო მისთვის.
მას სიბერეშიც არ ჩაუგია
ქარქაშში ხმალი,
მან ჩვენ ქვეყნისთვის ვაჟკაცურად
გაავლო კვალი.

## ენავ, ქართულო!

დედაო ენავ, ენავ ქართულო,
შენ ოდითგანვე მრავალტანჯულო,
მუდამ ცდილობდა მოსული მტერი,
ამოეწყვიტა ქართველი ერი.

ენავ, ქართულო, შენ, სულზე ტკბილო,
შენ ჩვენი ცოდნის ფუძევ და ძირო,
შენ შეგვაყვარე სამშობლო ძველი
და უფრო კეთილ მომავალს ველი.

შენ რუსთაველის ტკბილო საუნჯევ,
ჩვენ დიდ წინაპრებს ყველას გაუგე.
ყველამ ირწმუნა დიდება შენი
სალოცავი ხარ სულ მუდამ ჩვენი.

შენზე ლოცულობს დიდი, პატარა,
ყველა ქართველმა გულით გატარა,
შენით ვისწავლეთ ანი და ბანი
ვეცდებით, არვის არ დაგვრჩეს ვალი.

დედაო ენავ, შენ ჩვენო რწმენავ,
ჩვენო საუნჯე და აღმაფრენავ,
შენით ვამაყობთ ქართველი ერი,
ვერას დაგვაკლებს ვერც ერთი მტერი.

## ნარხულზე ფიქრი

სადღა არის ის თვალები,
რომ შეხედვით ქალს ნუსხავდა,
ანდა კიდევ ის მკლავები
მოზარდ ხეხილს წყალს უსხამდა.

დარჩა მხოლოდ ოცნებები
და წარსულის მოგონება,
თუ კარგად არ შემოგხედავთ,
არ დამძრახოთ გოგონებმა.

*

წლების ტვირთი კაცს ყოველთვის –
ამჩნევია საყელოზე.
ყელი რომ დაეჭმუჭნება,
უარს გეტყვით გაყოლაზე.

ღმერთის ნება ასეთია:
ასე ჭრის და ასე კერავს
და მაინც კი ზოგ-ზოგები
ისევ თავისას უბერავს.

*

თუ იყავ უდარდელადა
ქვეყნად არა რა აკეთე,
იცოდე შენ სამომავლოდ
ჯოჯოხეთის გზა გაკვეთე.

## დიდი კაცი

რა ძნელია, როცა გჯერა,
რომ ხარ დიდი კაცი,
შენ კეთილი საქმეებით
რომ ხარ მისაბაძი.

მაგრამ ხალხი სულ სხვას ფიქრობს,
შენი არა სჯერათ,
ტყუილებით გააბეზრე,
სულს უხუთავ ყველას.

ეს ბუნებამ შენ არ მოგცა,
არ ინება არა,
გინდა, კედელს თავი ურტყა,
გვმოძღვრო წარამარა.

შენ სატანის მსახური ხარ
მოვლენილი ჩვენდა ჭირად,
რამდენიც გსურს, შენ იხტუნე,
მიგვაჩნიხარ ჩვენც არც ჩირად.

## მეფე ფარნავაზი

მე ლექსის წერა მიტომ დავიწყე,
სიკეთე ვერ ვქენ რაც მე მინდოდა
და ის სიკეთე რაც ძველი გვქონდა,
სულ წავახდინეთ, ჩვენ არ გვინდოდა.

ჩვენ ფარნავაზმა დაგვმოძღვრა ძველად
და დაგვილოცა ქართული ენა,
აზოს აჯობა ჭკუით და გონით,
ჩვენი ქვეყანა წაართვა ომით.

ქართველებმა მას ამაგი
დაუფასეს დადეს ფიცი.
გააღმერთეს და აუგეს
სალოცავი არმაზისი.

სამოცდახუთ წელს იმეფა
არ წაიღო ჯავრი სხვისი,
საქართველოს ყველა კუთხე
მადლიერი იყო მისი.

## ძლიერი, როგორც სალი კლდე

მაღლა მთის წვერზე, კლდოვანზე,
გადმოკიდულან საყდრები,
იმ ჩვენი რწმენის მირონით,
მამა-პაპათა საძვლებით.

იქ დაილეწა გმირულად,
წინაპართ გულის ფიცარი,
ძლიერი როგორც სალი კლდე
ქართველთა დასაფიცარი.

ამიტომ მინდა ჩვენი მზე,
კაშკაშებდეს და ბრწყინავდეს
და მტერი ჩვენი ვერაგი
დამარცხებული გმინავდეს.

მაღლა მთის წვერზე, კლდოვანზე,
გადმოკიდულან საყდრები,
იმ ჩვენი რწმენის მირონით,
მამა-პაპათა საძვლებით.

## სიტყვა ნაღდი აღარ ფასობს

რომ ვუყურებ ჩვენ ქვეყანას,
არავისი აღარ მჯერა,
დააკვირდით სათითაოდ
პირველობას ჩემობს ყველა.

სათითაოდ ყველა მართლობს,
დებატებით მნახველთ ათრობს.
ვერ გავიგე, ვინ რასა გვთხოვს,
სიტყვა ნაღდი აღარ ფასობს.

ის სჯობია შეკავშირდნენ,
გაამაგრონ შეკრან ხიდი,
გვერდიდან ჩამოიცილონ
ორგული და კაცი ფლიდი.

ის სჯობია რომ გაიგონ,
ხალხი ითხოვს სწრაფად შველას,
მოგიწოდებთ, ერთად დავდგეთ,
მამულის გადასარჩენად!

## არ ვიცი, როგორ მოვიქცე

არ ვიცი, როგორ მოვიქცე,
როგორ ვემთხვიო იასა,
როდის ვიხილავ მშვიდ დღესა,
გაკაშკაშებულს, მზიანსა?

სულ მუდამ საფიქრალი მაქვს,
გზას როდის გავლევ ტიალსა,
როდის ვიხილავ სამშობლოს,
გამარჯვებულს და მთლიანსა.

მივყვები წუთისოფელსა
და გზას ვიკვალავ კლდიანსა,
იშვიათად თუ შევხვდები,
კაცს ერთგულს, ნამუსიანსა.

თან ვფიქრობ, როგორ სჭირდება
ჩვენს მამულს კარგი შვილები,
ღმერთს შევთხოვ, კვლავაც გვიმრავლოს
თავდადებული გმირები.

## მამაო ამირანს
*(ხალხურ მოტივზე)*

თვითნაბადი ოქრო არის ჩვენი მამა ამირანი,
ძნელად თუ ვინმე იქნება ქვეყნად მისი შესადარი.
ბუნების ნაბოძვარი აქვს მას ვაჟკაცური იერი.
ყველასთვის საყვარელია კაცია გულისხმიერი.
მას უფალმა დაანათლა სიყვარულის ძალა დიდი
მამა ამირანი არის სიკეთისთვის გზა და ხიდი
ღმერთმა თავად მისცა ყოლა დიდი მრევლის.
და ქვეყანა მამაოსგან დიდ სიკეთეს ელის.
ყველა სიკეთე მაღალ ღმერთს თქვენთვის რომ დაუბერტყია
ვაჟკაცობა და მშვენება მთლად თქვენთვის გაუმეტია.
თქვენი სიმღერის მსმენელი ვერ მოგაშორებს თვალსაო
რაც უნდა ბოროტი იყვეს თქვენზე ვერ იტყვის ავსაო.
ამირან ამირანაშვილს ახლა მე მიტომ ვადიდებ,
რომ მისნაირი კაცები უნდა ვეძიოთ სად იყვეს.
შემომხვდა და მის დანახვით გულში გამიჩნდა ფიქრები,
და იმის მერე ყოველთვის მე მისი ფანი ვიქნები.
კაცს მარტო მისი დანახვა დარდიანს მისცემს შვებასა
მის ვაჟკაცური იერი ასხივებს ღვთიურ ვნებასა.
დიდხანს იცოცხლე მამაო, იყავი ხალხის მშველიო
ბევრი ვაჟკაცი შეგხვდება თქვენზე ლექსების მთქმელიო.



ზეინაბ ასისტიშვილი

# ცრემლი ვიხილე თვალებზე
(დედებისგან მიტოვებულ ბავშვებზე)

თითქოს გაწვიმდა მთაზე,
ცრემლი ვიხილე თვალზე,
ცის მარგალიტი მგონია,
რაც ცრემლი თვალზე გქონია.
 გიტირის ნორჩი გული,
დედამ გაგცვალა სხვაზე,
ასეთი ქალი არ მინდა,
ნეტავ რა ითქმის მასზე?
 ან რისთვის შობეს ნეტავ?
თუ არ უნდოდათ შვილი,
რატომ დაიდეს ცოდვა?
რა არის შვილზე ტკბილი.
 შვილებზე კარგი რა არის?
არ გიფიქრია ნეტავ?
ასეთ ქალს ქალად არა ვთვლი
და ვერც უწოდებ დედას.
 ამ ანგელოზთა ცრემლები,
მდინარედ იქცეს ლამის,
ასეთ უგულო დედებს
კოშმარი არ გაქვთ ღამის?!
 დღეს არა, ხვალე იქნება
სიხარული და ნათება,
ერთი შებერვით სიცოცხლე,
ბედნიერება არ ქრება.
 როდესაც დარდი გიჩნდებათ,
ცრემლი გიჩნდებათ თვალში,
კეთილი ხალხი გიმრავლოთ,
გვერდში გიდგიათ მაშინ.
 თქვენც გეყოლებათ შვილები,
მათ სიხარული ექნებათ.
დაისადგურებს სიმშვიდე
თქვენ არ დაგღალოთ ფიქრებმა.
 ეს გული თქვენი წამალი,
მინდა რომ იყოს შვილებო,
გულს ნუ გაიტეხთ ლამაზო!
ჩვენო პატარა გმირებო!
 გვითხარით თქვენი ტკივილი,
იქნებ გიშველოთ რამე,
სიყვარული და სიკეთე,
ვიცი გექნებათ მალე:
 დედის მაგივრად ღვთისმშობლის,
კალთა გფარავდეთ წმინდა,
უფალი იყოს მფარველი,
სხვა არაფერი მინდა.

## შიშველ ქალს

თავი მოგაქვთ, კარგ ქალად,
კაბა თქვენ არ გაცვიათ,
როგორ არა გცხვენიათ,
თქვენ ხართ მგელი, მტაცია.
გაშიშვლებულს გიყურებთ,
ქალი, კაცი, ბავშვი,
თქვენს გამო მე მრცხვენია,
სირცხვილისგან გავშრი.
კაბას როცა იცმევდნენ,
ჩვენი კარგი ქალები,
ლამაზები არ იყვნენ?
იმათ ვენაცვალები.
თქვენ კი არა გრცხვენიათ,
არ გყოლიათ პატრონი,
თქვენ რომ გყავდეთ პარტონი,
იქნებოდით? მარტონი.
მაგრამ თქვენი პატრონიც,
თქვენი ჭკვისა არიან,
ყველას სახელს რომ ურცხვენთ,
ნუთუ ეს უხარიათ.
ქართველ ქალის სიწმინდე,
დაივიწყეთ, რატომ?

შიშველი გაქვთ სული,
ვაი, თქვენსა პატრონს.
გამოჩნდებით ეკრანზე,
არ გრცხვენიათ ნეტავ,
შიშველს როგორ გიყურებთ,
ნეტავ თქვენი დედა.
ვინც ამაში ხელს გიწყობს
შიშველს, გხედავს, გბაძავს,
რომ შემეძლოს სუყველას,
მოგაბავდით ბაწარს.
არც გაჭმევდით, არც გასმევდით.
მიგაბავდით ხეზე,
სიშიშვლეზე კი არა და
რომ გეფიქრათ მგლებზე.
არ შეგვჭამოს, არ გვიპოვოს,
გადაგვირჩეს თავი,
ქართველ ქალის სახელს არცხვენთ,
ვაი, ჩვენი ბრალი.
ფილმიც ისე გადაიღეთ,
რომ არ იყოთ შიშველი,
თუნდ ყოველ დღე ტაძარს შედი,
ღმერთი აღარ გიშველის.

## საოცარი სამყარო

ერთხელ ვისხედით, ბავშვები ღამით,
და გავყურებდით სავსე მთვარესა,
გარშემო ვარსკვლავს, გაბნეულს მრავალს,
ვერ ვაშორებდით მათ ჩვენ თვალებსა.
ვფიქრობდით, ნეტავ საიდან, როგორ?
ვინ გამოიცნობს? ბიჭი თუ გოგო,
ვერავინ ვიტყვით, რატომა ასე?
მთვარე ხან რკალი და ხანაც სავსე.
ზოგჯერ ცაზე, რომ ვარსკვლავთ ჯარია,
ზოგჯერ დამალვით სადღაც არიან,
ახსენით აბა თუ შეგიძლიათ,
სამყარო როგორ საოცარია:
ბაღ-ბოსტანში რომ ბევრი ხილია,
ზოგი მჟავეა, ზოგი ტკბილია.

ზოგი წითელი, ყვითელი, მწვანე,
იქნება მითხრა რად არის ასე?
ასე ინება განგებამ დიდმა,
ვერ გამოიცნო, პატარამ, დიდმა,
ყველა თავისას ამბობს კი მაგრამ,
ეს ყველაფერი ბუნებამ დარგა.
და მანვე იცის რატომა ასე,
იდუმალებით რომ არის სავსე,
გასაღებიც აქვს, არავის ანდო.
ეს საიდუმლო უფალმა დარგო.
ვერავინ შეცვლის განგების ნებას,
სწორი რაც არის იმასაც ხედავს,
ვაკეთოთ კარგი ღმერთი მას ხედავს,
მივყვეთ დინებას, განგების ნებას.



ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი

## ჩემს დედიკოს
(თამრიკო მინდიაშვილს)

დათოვლილ თმებზე გეამბორები.
გული სიამით მევსება დედა!...
შენს ღიმილიან სახეზედ მუდამ,
სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს ვხედავ.
ქვეყნად ბადალი შენი არ არის
ჩემო კეთილო, ძვირფასო დედა.

## ვუძღვნი, დედის ხსოვნას.
(პირველ 8 მარტს უშენოდ).

ვხედავ ავტობუსს ტრაფარეტიანს,
„ახალსოფელი“ ეწერა ზედა...,
– ძვირფასო დედა, გული ჩამიწყდა,
დედავ ძვირფასო! რომ აღარ მყევხარ...

მე მენატრება, შენი ალერსი.,
შენი ფუს-ფუსი, მშრომელო დედავ!..,
შენი თითების სიფაქიზე და..,
თბილი სიტყვები, ლამაზო დედავ!

– მე გული მტკივა ჩემო დედიკო,
რომ ჩამეკეტა, სახლის კარები,
იცოდე დედა, შენს სულს ვფიცავარ,
მე სიკვდილამდე, სულ მეყვარები.

## ჩემო მეგობრებო...

ჩემი დარიგება არავის არ გჭირდებათ,
მაგრამ, მაინც მინდა ყველას მოგეგებოთ,
მინდვრის ბალახივით, მეორედ ვერ მოვალთ,
ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, ჩემო მეგობრებო.

ერთმანეთს, ნუ დავუწყებთ ქარაგმით საუბარს,
ქარს გავატანოთ, ადრინდელი წყენა...,
გულში არ დავიდოთ, რაც ადრე გვწყენია,
ქარაგმით საუბარი, უფრო საწყენია...

შევუნდოთ ერთმანეთს დანაშაული,
ჩვენი სიცოცხლე, არ ღირს შაური.
ვეცადოთ ერთმანეთს გულები გაუთბოთ,
და აღარ იქნება აურზაური.

## დედას
(გარდაცვალების შემდეგ).

„მესაიდუმლე შენ იყავ ჩემი,
დედიკო! მუდამ გესმოდა ჩემი
– სხვას არვის ესმის, ჩემი ტკივილი...,
უაზრობაა, მათთან ჩივილი...
– გულს დარდი მაწევს, ძვირფასო დედა,
ვეღარ დავმალე სულის ყივილი“.

* * *

თოვლის ფიფქები, თეთრი ფიფქები
ალამაზებდა ეზოებს, ქუჩებს.
მოულოდნელათ მზემ გადახედა,
იანვრის თოვლი, დაადნო უცებ.
ლამაზი თოვლის, ნაზ თეთრ ფიფქებსაც.
ამეკიატა შენზედ ფიქრები...

* * *

მ – არად მზის სხივი ათბობდეს შენს გულს,
ა – მაყი, შენით ვართ და ვიქნებით...
რ – ა ოცნებებიც მიზნად გაქვს გულში,
ი – სმინოს ღმერთმა შენი ფიქრებით...
ა – გიხდეს ყველა სურვილი წრფელი
მ – უდამ სილაღით გატაროს ღმერთმა..,
ი – ა-იები არის შენს ფერი.

## ბროწეულის გოგონა
(ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს,
ელენე გოგონაშვილს.)

ბროწეულის გოგონა, ბროწეულის ბაღში...
– ეს ხომ ჩემი ელენეა, გამოსული კარში,
წითლად ყვავის კარ-მიდამო, როცა მე მას ვხედავ,
იგი ჩემი სიცოცხლეა, არ იაროს ქარში...



– გამიზარდე ღმერთო იგი, ბედნიერი კარგი.,
გაიფურჩქნოს, გაიშალოს, ვით ბარხატის ვარდი!
კარგად ჰყავდეს, დედ-მამა და ვინც უსურვოს კარგი...
არასოდეს არ მენახოს, მის თვალებში დარდი...



ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილისა

## ახალგაზრდობა

შენ გაზაფხულის აფეთქებულ
კვირტებს მოყევი
და გაზაფხულის სუნთქვაში გაქვს
სახე ნაბანი,
გზა აბნეული ფიქრებიდან გინდა
გამოსვლა
და რომ აჩქარდი, მით ვერ ჰპოვე
გამოსავალი
ცაზე გაწოლილ ცისარტყელას
ტალღაზე ცურავ,
შეუპოვარი სიძლიერით მიარღვევ
ზვირთებს.
მე მიხარია, რომ გაგზარდე
ასე ძლიერი
და შეუპყრია შენი გული
მამულზე ფიქრებს.
თანდათან წავა ნისლიანი წლები
წყეული,
ჩვეულ სიდინჯით შეუდგები მხრებით
განთიადს,
გჯერა, სიბნელეს რომ მოყვება
დილა ნათელი
და ამ ნათელის ნაპერწკალი
უკვე ანთია.

## ზღაპარ იყო

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო
მთაში ნისლი გამქრალიყო,
ბარში ისმის მტკვრის შხუილი
დარდი გულში გამქრალიყო.
მთაში ცივა, ყინავს, ყინავს,
ფერდობს თოვლი დაბარდნიყო
მზე ანათებს, ლამაზ-ლამაზ,
სხივ-ღიმილად გამთბარიყო.
ამგვარ იყო, იმგვარ იყო,
ნისლი, ნისლად გამქრალიყო,
თოვლი-თოვლად დამდნარიყო,
მზე ცეცხლებში ჩამჯდარიყო.
იმ ზღაპრებში ჩემი სუნთქვა,
ჩემი გულიც ჩამჯდარიყო,
სიყვარული სიყვარულთან
ოქრო-ვერცხლად ჩამდნარიყო.
ჭირ – იქ იყო, ლხინ აქ იყო,
დარდი სადღაც გამქრალიყო.
ლხინში წყვილი მოფარფატე
ბედნიერი ნაძვნარს იყო.
ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
დედა ლოცვად დამდგარიყო,
ღმერთს ავედრებს პაწაწინებს,
ცრემლით მუხლზე დამდგარიყო.
მაღლით ღმერთი ცვარს აპკურებს,
დედის ლოცვა მართალ-იყო!

## ნაკადულის სიმღერა

ნაკადულად დავიბადე
მოვდივარ და მოვიმღერი,
ყველგან თითო ტოტი მერთვის
სხვადასხვა და სხვაგვარ ფერის.
ზოგი წმინდა წვეთია და
ზოგი მღვრიე, ტალღამჩქერი.
ძლიერ მნათობს ვუშობივარ
ნანას მიმღერს მთის ჩანჩქერი,
მე თანდათან ზღვად ვიქცევი
ვერ ამამღვრევს ვერაფერი,
გული მუდამ ანკარა მაქვს
მუდამ წმინდა გრძნობით ვმღერი.
ნაკადულად დავიბადე
მოვდივარ და მოვიმღერი,
გული მუდამ ანკარა მაქვს
მუდამ წმინდა გრძნობით ვმღერი.

## გულს დაიმშვიდებს მცხეთა

გაზაფხულია გაზაფხულს
ისმის ჩურჩული ხეთა.
ისევ თბილისობს თბილისი
დადუმებულა მცხეთა...
.... დადუმებულა მცხეთა.
გაზაფხულია. სურნელი
მიმოფანტულა ველთა.
რა დარდი აწევს გულმკერდზე
რად დაღარულა ნეტა...
... რად დაღარულა ნეტა ...
გაზაფხულია. შვილებო,
ისმის ჩურჩული ხეთა,
ნეტავი თვალთა სინათლეს
ტირის ბებერი მცხეთა...
... ტირის ბებერი მხეთა...
დადგება თბილი მაისი
ტკბილი სურნელი ხეთა,
აყვავილდება თბილისი
გულს დაიმშვიდებს მცხეთა...
...გულს დაიმშვიდებს მცხეთა...
გაზაფხულია. გაზაფხულს
ისმის ჩურჩული ხეთა...
ისევ თბილისობს თბილისი
ამით ამაყობს მცხეთა...
... სვეტიცხოველი მძლეთა...

## ვის ვედრები

ვაჟას ვედრები ცხოვრებით
ლაღი და თავისუფალი.
მე არ განვაგებ ჩემს შარას,
გზას მაძლევს თვითონ უფალი.
ბევრი არა მაქვს ქონება,
არც დიდი ძალის ყუფალი,
არ ვებრძვი ჩემს მტრებს, ამონებს
მათ ავნებს თვითონ უფალი.
ვაჟასას მიგავს ცხოვრება:
ვბარავ, ვხნავ, ვთესავ, მოვიმკი,
არ ვნატრობ სამკაულების
ხელზე დავიდო ბორკილი,
მხოლოდ ვენატრი მომავალს
თვალს მჭრიდეს ჩემივ მომკილი
და არ მენახოს ახალი
დამმონებელი ბორკილი.
ვაჟას ვედრები ცხოვრებით
ლაღი და თავისუფალი,
მე არ განვაგებ ჩემს შარას,
გზას მაძლევს თვითონ უფალი.



გერონტი მესხი
(სამაჩაბლოს ბულბული)

## ჩემი მამული

გაბრწყინებამდე დრო წლებსღა უთვლის,
ამ ქვეყნად მოსვლა კი ღირდა ამად...
ვით გობელენი, ნაქარგი უფლის,
იღვრება ფერთა ჯადოსნურ გამად.
მარადიული, უღრუბლო, წმინდა...
ღმერთის სავანე მწყაზარ მდელოში...
თუკი სამშობლოს შეცნობა გინდა,
ინატრე, გაჩნდე საქართველოში!..
ორბის კამარა მზელაჟვარდ ცაში...
მოყვრისთვის ფეხქვეშ გაგება ნოხად...
სამშობლოს უფრო შეიცნობ მაშინ,
როცა ქართველად ამ ქვეყნად მოხვალ...
უკვდავებაა სამშობლო ერთხმად
და უფრო ტკბილი, ვიდრე სიცოცხლე.
რაკი ქართველად ჩამოგქნა ღმერთმა,
მათუსალაზე მეტხანს იცოცხლებ...
სამშობლო გზაა უგზოდ მავალთა,
გულს მჯიღად აზის ბრძენს და გოლიათს...
სამშობლომ გული თუ ვერ წაგართვა,
იგი საგულეს აღარც გქონია.
... მეც ამ მიზეზით დავალ უგულოდ...
აყოლილი ვარ შენს ქარს... მტვერი ვარ...
მამულო, მე ვარ შენი გუგული
და ხმით ვგუგუნებ:
მე ქართველი ვარ!..

2016 წ.

## დაბრუნებაა უკან მთავარი

გასახსენებლად უნდა იკმარო,
მამულს, დაჩეხილს, როგორ ვკემსავდით.
მამული ჩემებრ რომ შეიყვარო,
უნდა დაჰკარგო იგი ჩემსავით...
რუსს ვერ გაუხსნის იმ მგლის პირს დანა,
გამოეცლება ქუდქვეშ ყავარი...
...გახსენებაა მთავარი განა?!.
დაბრუნებაა უკან მთავარი!..

2016 წ.

## ჩემს სამშობლოს!

შენზე აუგის გამომთქმელს
მეხად დავეცე კინაღამ.
სახოტბოს, რაც შენს გამო თქვეს,
მარგალიტებად ვინახავ.
ნატიფი სულის გამომთლელს
რწმენით მიწრთობდი წინაპარს.
შენ ხარ ღმერთების სამოთხე,
ცისქვეშეთს რომ არ მინახავს.
ღვთისმშობლის წილხვედრ გამოგყვეს,
რჯულ-მრწამსით სხვაზე წინა ხარ!..
...კიდევ გაგიზრდი ცხრა მოყმეს
და ჯავშნად გადაგინახავ!..

2014წ.

## როდის ქრება სილამაზე

კოხტა ქალს ვეტრფი... გრძნეულს...
გამა სდევს მნუსხავ ფერთა.
სახე უმშვენებს სხეულს,
სული-ორივეს ერთად.
მაგრამ თუ ასე მოხდა,-
სულს გაერია წყალი,
გაქრება შენი „კოხტა“,
შეგრჩება მხოლოდ „ქალი“...

2000წ.

## სამშობლოვ, ჩემო!

ხარ თავანკარა ენის სავანე,
უხვი, ვით ვაზი კარდანახული.
სიცოცხლე, გზად რომ ამსხვრევს სამანებს,
მხოლოდ შენთვის მაქვს გადანახული.
ჰოდა, იმასაც მოგართმევ, ფეშქაშ!
ვით ქალს-სისხამზე დაკრეფილ ვარდებს.
ნატვრა კვლავ სულში ძალუმად ფეთქავს:
„ნიკოფსიიდან-დარუბანდამდე!“
ნატვრისთვის, კიდევ, ჯერ არსად სჯიან...
კვლავ გაბრწყინდება ოლიმპი შენი.
გიხილავთ მთლიანს, და, არც მთლად გვიან,
შარავანდედად „სამება“ გშვენის.
თბილ ეპითეტებს შენთვის ვაქუჩებ,
შენზე ლექსს გასდევს აურა წმინდა.
ღმერთმა სიცოცხლე შენთვის მაჩუქა,
ინებე იგი,
როდესაც გინდა!..

2013 წ.

## აქ, ამ ლამაზ ქვეყანაში

სილამაზე აპრილივით მოზღვავდა,
ბუნება ჰგავს მზეთუნახავს, მწოლიარს.
აქ სიცოცხლე ნეტარებას მოჰგავს და
აქ სიკვდილიც უკვდავების სწორია.
აქ ბოროტის ნერგი დიდხანს არ ხარობს.
აქ მტრის რისხვა ქართვლის დედის ხმალია.
ლუციფერი აქ რომ ვეღარ ხარხარებს,
ეს რწმენის და სიყვარულის ბრალია.
ღვთისგან მეტი საჩუქარი რად გინდა:
პირდაპირ დევს ხელისგულზე სამოთხე!..
პირველი ყრმაც აქ იშვა და დაღვინდა,
იავნანაც უწინ იმ ყრმის გამო თქვეს.
აქ დღეს ისევ იზრდებიან ბოკვრები...
ბარაქის ხე აქ ქცეულა ვაზადო!..
აქ თუ იშვი, ისე როგორ მოკვდები,
მამულისთვის გმირი რომ არ გაზარდო!..

2013წ.

## სიყვარულის ზღაპარი

(სიმღერა)

დროს თითქოს კვალში მისდევს ავაზა,
მთიდან ეშვება ფარდა ნისლების...
მე შენით ვცოცხლობ ისე ლამაზად,
რომ, ალბათ, აღარც გარდავიცვლები.
ეგ მზერა აზრებს მტაცებს  მარტივად,
და სულიც მისი მონა მგონია.
სიყვარულს არ აქვს ალტერნატივა,
ის ხომ ღმერთების მონაგონია.
და თუ შეხებით მხარზე მტრედები
ცად გამიწვევენ გზებით ფარულით,
მარტოობისთვის არ მემეტები,
ჯერ ხომ ძალუმად ჩქეფს სიყვარული...
ვეტყვი, რომ მე შენ თუ ვეღარ გნახავ,
ღამით სიზმრებად გადავირევი.

შენ ნადირობის ქალღმერთსა ჰგავხარ,
მე ვარ დაჭრილი ნანადირევი.
შენს გულს იმგვარი უნთია ცეცხლი,
რომ სიშორეზეც მწვავს და ბობოქრობს.
შენ ხარ ურიცხვი უნცია ვერცხლი,
და უფრო მეტი!-ბაჯაღლო ოქრო!..
ჩქეფს სიყვარული ისევ და ნაზად
ეხება სულის სათუთ ნაპირებს...
შენ მე მაცოცხლებ ისე ლამაზად,
რომ, მგონი, სიკვდილს აღარც ვაპირებ.
შენგან შექმნილი ტკბილი ზღაპარი
ცაში დამაფრენს უმისამართოდ.
ქატო- იქ იყოს, ფქვილი-აქ არის,
სიყვარული კი-სულში ნავარდობს...

2015 წ.



ხათუნა ჩიტაძე

## სოფელში

ზვარის მწვანე სურნელს ვერთვი,
– წყაროს წიკ-წიკ მდინარებას.
ყველა მიყვარს,
ყველას ვეტრფი,
სულ ასეთი მცინარე ვარ!

## ზვარეს

ახლა სიმშვიდეა სახლშიც და ეზოშიც,
პატარებს ფეხები დაღლიათ...
ეს ის სოფელია, სადაც ძალზე ადრე
პაპათა ძვლები გვიმარხია.

დღეს ისევ აქა ვართ!
და ისევ ვიცინით,
ისევ სურნელია ზვარის...
ალბათ, წინაპრების თვალები ამბობენ
აქ, ისევ სიცოცხლე არის!

იცი, ეს ბავშვობა წამივით გამიცვდა,
გაფრინდა, რაც ლაღიარი...
დღეს კი ჩემს პატარებს
მე ზვარით ვახარებ,
რომ გავაიგივო წარსული წამით!

მაინც იდუმალიო ცნება მოფრინდა,
დამნანებია ნაშრომი მამის,
ჩვენ უნდა ვიაროთ, ვიაროთ, ვიაროთ,
ზვარეში იმედად ხვალის!

აქ!
მთათა დარია,
ნიავისტალღები,
ხეები! –
ასული ცამდის!
როგორი ტკბილია
ეს პატარა ბუდე,
ქვიტკირი, ნაშენი პაპის.

ახლა სიმშვიდეა სახლშიც და ეზოშიც,
პატარებს ფეხები დაღლიათ...............

2001წ.

## შენ კი...

– აღებ, ალბათ, კარებს,
მე ვერ შემოგხვდები დღესაც,
ვერ ჩაგიკრავ გულში დაღლილს,
სიტყვას ტკბილს ვერ გეტყვი ბევრსაც.

...ალბათ
გაიხურე კარი...
მე კი ვეღარ დავდე ზავი!

2008 წ.

## სოფელში

...ალბათ, გაიხურე კარი
მე ვერ გაგაცილე დღესაც,
კი არ დამეზარა, ჩემო
დილითგავებუტე მზესაც...

ხოდა, ახლა სულ სხვაგან ვარ,
ამოხიზნული სხვა მხარეს,
როგორ გაურუჯავს ყველა,
ამ სოფლის მზის სხივის თვალებს.

დღე დღეს აღარა გავს შენთვის,
ღამე სულ ხმაურობს ჩემთან
დილით ვინ მოგხედავს ნეტავ?
როდის ჩემოვირბენ შენთან...

ჩვენი პატარები ისევ
შესხდომიან ხეს და ღობეს,
ყველას დაუმრგვალდა ლოყა,
ოღონდ ლხენა ყველას ჰქონდეს...

## წვიმაზვარეში

წვიმა წერს ნოტებს...
და ნოტები წერენ სიმღერებს...
სევდიან სიტყვებს
თხზავს მძივები, –
წვიმის შვილები...

წვიმაა იგი,
გულში ტოვებს სულის სითეთრეს...
მაგ ჭკვიან თვალებს დავუწერე
ჩემი სიტყვები!

წვიმა წერს ნოტებს
და ნოტები
წერენ სიმღერებს...

## ჩემო...

ახლა შორიდან გეფერები,
ჩემო სამოთხევ,
ისევ მომინდა ფეხშიშველი კალოზე ასვლა...
შრიალა ეზო,
კაკლის მკლავზე საქანელები,
ჯადოსნურ ბაღში, ჩვენს ეზოში
–ზვარეში წასვლა!

რომ ფუსფუსებდა ეზო–ეზო მშობელი მამა,
ჩემი კისკისი და ანცობა
ზეცას სწვდებოდა,
ისევ დაგიჭერ გაათრებულ მოჩხუბარ მამალს!
მეზობლისას რომ ვერაჯობა, –
გული გწყდებოდა...

როგორ მაწამებს,
რომ ჩამოხმა კაკლის ტოტები..
ვეღარ გავითბე სული შენით,
ვერ გინახულე.
სულ ფეხით მინდა მოვიარო დროის ძოწები,
სიზმარშიც ისევ შენ მოდიხარ
და მინახულებ...

მე ისევ მანდ ვარ, დამრჩა ჩემი სულის ნაწილი,
მამა და ზვარე, –შეუკონავს ბავშვობის მზერას!
ვერ გამოვგლიჯე მოგონებას
მე ჩემი წილი,
ხოდა, სულ გხედავ წარსულიდან ჩემსკენ
მომზერალს...

ისევ შორიდან გეფერები, ჩემო სამოთხევ...



მანანა ბრაჭული

## ეროსული სონეტი

მზის ლაწვებზე მოყონავს მზეში ვერდატეული
ჩემი ძველი სიზმარი, ბოლოშემორღვეული.
დედაჩემის ხმა აქვს და მამაჩემის თვალები,
მშობლიური სუნი აქვს პურისა და თაველის...
ღმერთო, ამ მზის სოფელში იმედებით გავძელი,
ჩემი მიწა მაღირსე – ჩავდგა ჩიტის საბძელი!

## ამბავი

ქაისხევს გაწვიმებულა,
ბეღურამ მითხრა ამბავი –
ჩამოქცეულა ბუხარი,
თაგვს გამოუხრავს ამბარი.
დაჭლექებულან კედლები,
რაღაა მათი კედლობა?!
კარი კაცივით მომკვდარა,
ჰგია ცრემლი და ობლობა. . .

## შვილებს

ჩვენი სარეცხის თოკებზე
დარდის შრებოდა გალები.
კაცთაგან ვერვინ ამჩნევდა,
უფლის ხედავდა თვალები.
ჩემი სიკვდილის მიზეზნო,
ოხრად დამირჩა თოკებიც,
ახლა სამხრეთში სარეცხს ვფენ
კაკაგების და ფოვების...
დამესიზმრება ჯავრიანს
ის დაწყვეტილი თოკები.

## დედა!

ჯერ კიდევ მაშინ, შენს თბილ წიაღს ვავსებდი როცა,
ვგრძნობდი ვარსკვლავეთს – ცის ტატანის კრთომას და კანკალს. . .
ცთომილთა შორის შენი მკრთალი ვარსკვლავი არ ჩანს. . .
შემოდგომაა, დრო სევდიან დრამასა მართავს –
ცეცხლი მოედო ნოემბრის კალთებს,
ალის სიცივე ძვალ-რბილში ატანს. . .
შენ გთქვა სამყარომ სიცოცხლეში სიკვდილის ზარად
და წეხარ მშვიდი – გადამწვარი ტრამალის დარად
ვარდის ფურცელო, დაკარგულო იღბალის კარად. . .
ისე მიჰყვები შემოდგომის ქარების ოხვრას,
თითქოს მარტების ნატირალზე ენძელად მოხვალ!. . .

## ვედრება

სხვა საქართველო, სხვა ქართველი მახილვე ღმერთო,
ასი ათასი ქეთევანი, ერთი – ილია.
„ქართლის ცხოვრებას“ მედროვეებს ნუ მიაბარებ,
უფლისციხელი ავიწყდებათ ვისი შვილია!

## საუკუნის ეპილოგი

ციხევ შიგნიდან გატეხილო,
როგორ დაგრღვევია გალავანი!
ხმლები ქარქაშებში ჩაიჟანგა,
"მაღლი ყეფს და მიდის ქარავანი!....

## დაბადებამდე

დაბადებამდე ეტკიოდი მიწას,
ვიშვი ტკივილად.
დაბადებამდე ვიყავი ყველგან
ცრემლად, ღიმილად.
დაბადებიდან ამტკივდა მიწა –
დავრჩი ტკივილად . . .
რა, რა იწყება ტკივილის მერე?!

## ხალიდონზე

მოსდევს ქარი ეგეოსის სანაპიროს.
ხანიაში "რემენძოსთან" გემი ბორგავს.
გულიც ბორგავს – ვერ დაეხსნა გასაფრენად
სასულესთან გამოკვანძილ დარდის გორგალს...
ხალიდონზე წვიმასავით მოდის ქალი –
ნინოა თუ თამარია, თამთა, მარი?!
რა ქართული თვალებია დალოცვილო,
იფარავდეს დედაღვთისაც, წმინდა ჯვარიც...
მოსდევს ქარი ეგეოსის სანაპიროს
და მტრედები ქარში ერთურთს ეხლებიან,
ამ ქალაქში მოწყენილი მტრედები და
საქართველოს დაკარგული მერცხლებია.

## ადონია

ეგ საყურე ყურთა შენთა ასე მშვენი,
მშვიდობაში, შენი ანას ნაქონია.
უილაჯო სინათლეა ქალის ცრემლი,
მაგრამ, მაგრამ სინათლეა, ადონია!
ზეთის ხეებს ქარი დარდით როცა დახრის,
ნოემბერი აქაც ტირის არ გგონია?!
სადაც ერთურთს გავიხსენებთ "აღაპიმუ!"
"ამ გრძნობისთვის ყველგან წმინდა ათონია".

## „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!"

ჩიტივით ვზივარ ბუდეში,
არ მინდა თვალის გახელა,
ჩუმად ვიძახი შენს სახელს,
არავისთვის მსურს გამხელა...
ეხლა ჩემს ცრემლზეც მცირე ხარ,
შენზე დარდია რამხელა!...



ლეილა ვადაჭკორია

## ცა ზეიმობდა

ცა უთვალავი ვარსკვლავივით
ვერცხლისფრად მოხატულიყო,
მთვარე პირსავსე, ბრალია
ცის გუმბათს ამოსულიყო.
ვარსკვლავებს შორის ბილიკებს
მიუყვებოდა ნარნარით,
ცა ზეიმობდა, ხარობდა
არ ჩანდა ღრუბლის ნამგვანიც.
ღვთის მშობლის კალთა სამშობლოს
სიმშვიდის ფარად ეფინა,
რა ზღვარი ან რა სამანი
საითაც გინდა გეფრინა.
უფალო ცხადად მიქციე
ეს ბედნიერი სიზმარი,
არადა, ნისლში სიცხადეს
დამტოვე ისევ სიზმარში

## დიდგორი

შენს თავზე ბრძოლის ყიჟინამ
ელვად რომ გადაიარა,
კუდით ქვა რომ ასროლინეს
მტერი რომ ყრიდა იარაღს,
შენი სახელი დიდ გორად
უკვდავმა მეფემ აქცია,
მის შემდეგ ძვირფას სამოსად
ყაყაჩოები გაცვია.

## რომ შეგევედრო

თითქოს განგებამ შემასხა ფრთები
შენსკენ მოვფრინავ მთაო მაღალო,
ნისლი მიცოცავს სულ მაღლა-მაღლა
მე ფრენამ აბა როგორ დამღალოს.
აი, მწვერვალიც გადაიარა
გამოანათე ჩემო გერგეთო
მუხლს ვიყრი შენს წინ მხურვალე ლოცვით
ჩემი სამშობლოს ძლიერება რომ შეგევდრო.

## ეჰ, მამულო

ნირწამხდარი მუხლზე ვდგავარ ახლა
და ძარღვებში მეყინება სისხლი,
სამართალი მწარე ცრემლით ტირის
მიწავ ჩემო ახლა რომ ხარ სხვისი.
გაიცვითა იმედების წყება
ვცოდვილობთ და ვერც ვერაფერს გშველით
ეჰ, მამულო გაუჩეხავთ ტყე და
გაქცეულან ირმები და შვლები.

## ია შემომხვდა

ასკილი ყვავის ისევ თავდახრით
ნუშიც ყვავილობს თვალებ ბრიალა,
მეც ამოვძვერი ფიქრის ხაროდან
თუმცაღა მაინც დამაგვიანდა.
რამდენჯერ ჭირის ოფლმა დამასხა
დაღლილს ამ სოფლის ოღრო-ჩოღროთი
არ გამებუტო ჩემო ძვირფასო
თქვენთან ადრიან თუ ვერ მოვედი.
განა ოდესმე დამავიწყდებით
ია შემომხვდა ახლა ღიმილით,
ნახე, ნარცისმაც ტაში შემოჰკრა
და დამიამდა თითქოს ტკივილი.

## გულს ვერ უბრძანებ

მინდა ჩიტივით ვიფრინო ლაღად
და ღრუბლის ცრემლებს ციდან ვფანტავდე
ვჩუქნიდე ყველას ფიორ სიხარულს
მეც ჯავრი ასე აღარ მტანჯავდეს.
მაგრამ რა ვქნა რომ გულს ვერ უბრძანებ
არ ეკარება თვალებსაც რული
მათხოვარს იქნებ ხურდა ვაჩუქო
მაგრამ როგორღა გაუთბო სული.

## ***

ისე მიღიმის ვარდის კოკორი
თითქოს ისმენდეს უნაზეს ბგერებს,
მერე კი გაშლის გვირგვინის ფუცლებს
მზის სხივებს ისევ აუშლის ვნებებს.
ეალერსება გრილი ნიავი
კვლავ სატრფოს გულში დაიდებს ბინას,
ბოლოს დაჭკნება და ჩამოცვივა
თითქოს სამყაროს ტკივილი ტკივა.

## კუჭინარა

მონატრებული ნამსა და წვიმას
გაყვითლებული ფოთლები ცვივა
გადამხმარია მინდორი, ველი
მიწას ნაპრალი და ხმელი თივა.
ერთადერთი ხარ შენ ოაზისი
ჩემო მდინარევ თხმელის ჩრდილებით,
ისე ცივი ხარ ისე ანკარა
უკვდავების წყლად მოედინები.
იმ იდუმალი გორაკის გულში
ვით დაიბადე არვის უნახავს
ამ შენს კრიალა კერჭებს ნეტავი
რა საიდუმლო შემოუნახავს.
ჩემი პატარა კეჭინარა ხარ
შენ განდობ ჩემი გულის ხვაშიადს,
შრიალებს ნაზად თხმელის ტოტები
თითქოს ოცნების კაბა აცვიათ.

## ***

შემოდგომის სიქარვეს
დაჰკრა ცივმა ნიავმა
და ხმელ-ხმელი ფოთლები
სევდით ააშრიალა.
თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ
გულყვითელა მერცხლები
წეროებიც წასულან
გუდა-ნაბადიანიად.
ისევ გაზაფხულდება
ვიცი დაბრუნდებიან
გაძარცვული ხეები
მსუბუქად ირხევიან.
მე სხვა მტანჯავს შვილებო
დავიღალეთ ლოდინით
უთქვენობა სამშობლოს
გულზე აწევს ლოდივით.

## იქნებ შენ იცი

შუაღამეა, ჩამოწვა ბინდი
მაინც გზას ვიკვლევ ხელის ცეცებით,
ხან გადავივლი მშვიდობიანად
ხან გზა მიმუხთლებს და დავეცემი.
დროის ფანტელი მადნება ხელში
მიიზლაზნება ურემი ნელა,

რა ვქნა, რომ კანში ველარ ვეტევი
ვის შეგიძლია მითხარი შველა
იქნებ შენ იცი ზღვავ ბობოქარო
როგორ გავექცე ცხოვრებას დუნეს,
მე მთელი გულით ვიწევდი წინ და
ქარის წისქვილებს ვებრძოდი თურმე.



**ილია ზაქარაშვილი**

* * *

ძნელია, როცა უყურებ და არქმევ სახელებს
არარაობებს აღმერთებ და ნამდვილებს სწირავ,
ხედავ ათასჯერ შემონახულს, გულქვა სახეებს
და ფოტოსავით შენს მზერასაც დროდადრო ჰყინავ.
ფიქრობ, ხვალიდან ყველაფერი გამოსწორდება,
ყელთან მიაბჯენ ამ სამყაროს მწარე სიმართლეს,
ინვალიდივით გზაზე მორცხვად გამოხოხდება,
მაინც ბავშვივით დადგება და თავს გაიმართლებს.
ნერვულ უჯრედებს ყელს გამოჭრის შიზოფრენია,
რკინის საწოლზე მიჯაჭული ფოთლების ცვენა,
იმ სიგიჟეზე რომ ამბობდნენ. მეც კი მსმენია.
გამოიწვია სარკაზმი და ღრუბლებში ფრენა.
და ახლაც ისე მარტივად მაქვს ალეგორია,
როგორც ათასჯერ წარმოთქმული შენი სახელი.
დასაწყისია, მაგრამ მაინც ადრე მგონია,
რომ აქ დავწერო ორი სიტყვით ჩემი სათქმელი.
დროდადრო ვფიქრობ, რას მივცემდი, რა მემეტება,
მე იმ ხალხისთვის ვინც აქამდე მომაღწევინა,
მათი თვალები ქუჩაში რომ სულ მეფერება
და სიცოცხლეზე ხელი თვითონ მომაწერინა.
მაგრამ დროდადრო ყველაფერი ისე იცვლება,
საკუთარ თავში იკეტება ყველა მეორე
და მაინც ალბათ ვერაფერი ვერ შეიცვლება,
გთხოვ, ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გამიმეორე!
თითქოს წარღვნაა და კიდობანს ვერ მივაღწიე,
ამ სახეობის ბოლო დარდსაც გულით ვატარებ,
ჩემი სიმშვიდე ჩემს ნაბიჯებს ვერ მივაწიე,
ხელს ნუ შემიშლი, ჩემს გზაზე ვარ, გთხოვ, გამატარე!
და მოხდეს მერე ისე, როგორც უფლის ნებაა,
ყველა თავის წილს მიიღებს და თავის გზას ნახავს,
ვისთვის ცხოვრება ციხეა და ვისთვის ფრენაა,
ფაქტი ერთია, ყველა მეორე მესამეს მარხავს...

* * *

ჯვარს აცვეს ძმაო, ყველა და ყველაფერი,
აღარ ღირს, უღიმო სულით ხეიბრებს,
ცდებია მხოლოდ ისეთი ვერაფერი,
სხვისი ნაშრომი თავისად შეირგეს.

მრავალჯერ გაყიდულ ნამუსზე საუბრით,
სიყრუის ნიშნებით დავდივარ ქუჩებში,
ამინდებს ღრუბლები ტოტებში გაუვლით
და სხეულს ჩავტოვებ, უდავოდ, კრუნჩხვებში.

როგორი რთულია, გესმოდეს მეგობრის,
როდესაც არ მესმის მე ჩემი თავის და
სიყვარულს შევძლებ კი ოდესმე მეტოქის?
ჩავთვლი, რომ ცხოვრებამ ახლიდან გარისკა.

გავლოთდეთ არ გინდა? ავუშვათ აფრები,
ტალღების სიშორეს მივანდოთ სიცოცხლე,
ხმელეთის სიშორეს იქამდე გავყვები,
რომ შემთხოვ მომაკვდავს, –
სულ ცოტაც იცოცხლე...

იმდენად მჭირდება ფსკერამდე დაშვება,
თავს ვურტყავ კედელს და ვიცინი სარკეში,
გემიდან ფსკერამდე უვადო ჩაშვება
და ვკეტავ სინათლეს სულიერ სარკმელში.

სულ ფეხზე ვკიდებ მომავალს, წარსულსაც,
იმდენჯერ მომკალი, სიცოცხლე მოგინდა,
შუა თითს გიწვდით მოსულსაც, წასულსაც,
რადგან ხელის კვრა თავადაც მომინდა.

იგემე ის ხილი, რომელიც გავსინჯე,
რომელიც მაგემე გარიყვით უზომოდ,
ჩემი გრძნობები იმ თოკზე გაფინე,
სადაც დავტოვე სხეული უგონოდ.

მინახავს წამსვლელი, დროებით მომსვლელიც,
არ ღირხარ ის ფასი, რომელიც გავიღე
იყავი სიცოცხლე და მისი მომკვლელიც
და ყველაფერი რა რთულად გაიგე.

ვისერავ ვენებს და არსებულ სიყალბეს,
როგორ არ მინდოდა მე ამის დაწერა,
შენ გიძღვნი იცოდე არსებულ სიმართლეს
და გულმა ჩემგან უვადოთ გაგწერა.

სულ ყველამ რომელმაც ზევიდან მიყურა,
სახსოვრად მოგიძღვნით არსებულ განცდებს და
ვიცოდი, თავიდან რის გამოც მიწუნა,
ყველაფერს თავისი ნიშანი თან სდევდა.

რა რთული გახდა უეცრად სამყარო,
მარტივად გავიგე ვერ თქმული სიტყვები,
მე შენს ლოდინში სხვის კოცნამ გამათბო
და მომაშორა ყოველღამ უძილო ფიქრები.

ღამეებს ვათენებ თეთრად და უხეშად,
დღის შუქმა გამყინა, ღამემ კი გამალღვო,
შენს ყველა პასუხს გაცემულს უკმეხად,
დრო გაგახსენებს იცოდე, გავა დრო...

მკიდია, რა ღირხარ, სხვის თვალში რას ფასობ,
მონოლოგს ვიხევ და ვკამათობ დუმილით,
კაი რა, გაჩერდი, შენ კიდე რას დარდობ?
ამ სიტყვებს წარმოვთქვამ ხანდახან
წუხილით...

გიგზავნი მოკითხვას სიფხიზლის ფარგლებში,
მე ჩემი გითხარი, რაც გინდა გიქნია,
მისმინ,ე ჩემს სათქმელს მე გეტყვი წამებში,
შენი ცხოვრება მე მაგრად მკიდია...



მანანა ზაზიკაშვილი

## სამშობლოს

შენი ლოცვით არ ვიღლები,
ხელი ბევრჯერ მომეცარა,
მე რა მაბადია ჩემთვის,
შენთვის რაღა მომეცა, რა?!
დავდივარ და დავგურგულებ
ამ მთებსა და ამ ხეობებს,
ერთადერთი ფეხსაცმელი
მაგ შენ გზებზე დამხეოდეს.
მაგ ლამაზი ზეცის მადლი
თავზე წვიმად დამედინოს,
შენი ქვეყნის ცა მეხუროს,
შენზე ფიქრში ჩამეძინოს.
სანამ ვცოცხლობ, ვიგურგულო,
ხან აქ, ხან იქ გავჭრა ახო,
კარგი ხალხი გიდღეგრძელო,
ბოროტები, დაგიძრახო,
უშრომლად და უქმად მყოფი,
ვერასოდეს დამინახო!!!

## ცხოვრება არც ისე რთულია

დაფეთებული ჩიტივით,
თვალს აქეთ-იქით ვაცეცებ,
თუ მომშივდება, კარგად ვჭამ
მარტო პურსაც და ნამცეცებს.
შავ პურის კატლეტს აბაზად
იყიდი სასადილოში,
მშიერი აღარ იქნები...
წერე ლექსები გრილოში!!!
ქვეყანას ფეხს თუ აუწყობ,
ცხოვრება, არც თუ რთულია,
თუ კარგი საქმეც იშოვე,
ივლი წელგამართულია...

## რა კარგია

ისევ გზაში დამათენდა,
ნისლი ცაში გამეპარა,
ტყეში დღესაც ჩავიბარებ
ლამაზ ფრინველების პარადს.
კვლავ მოვისმენ ჩხიკვთა ძახილს,
გუგულების გუგუ-გუგუს,
მზე ამოვა ბუსნოს მთაზე,
შემოვხვდები იმ ჩემს გუგულს.
რა კარგია ტყეში ყოფნა,
დამაცილებს ფრინველთ ჯარი,
თუკი ქვეყნად მშვიდობაა
და არ მაქვს არაფრის ჯავრი.

## ჩემო სახატე

**/ნიკო ბალაშვილს/**

შენა ხარ ჩემი სახატე
დასაფიცარიც შენა ხარ,
გულში ცხრა მზე რომ მინთია
ის ცხრა მზეც, მხოლოდ შენა ხარ!

შენით ვარ ასე ძლიერი,
ასე კეთილიც, თამამიც,
ერთმანეთს გავაძლებინოთ
აი, ეს არის მთავარი!!!



**გურამ ჭავჭანიძე**
**Гурам Чавчанидзе**

## ტრიოლეტი

მთელი სიცოცხლე შენ დაგეძებდი,
რომ შენს თვალებში მეცქირა მარტო,
ბედისწერა ხარ თუ ჩემი ბედი,
მეთელი სიცოცხლე შენ დაგეძებდი.
განა სხვა ვინმეს დავიბედებდი,
უბრალოდ გული მაქვს ასე ფართო,
მთელი სიცოცხლე შენ დაგეძებდი,
რომ შენს თვალებში მეცქირა მარტო.

აფსუს, ჩემი სიყვარული
თუ სუბსარქისს დავუძვერი,
მერე ტრფობის ქარებია,
ისე მოვა მარტის ჯერი,
როგორც დაგიბარებია.
მხოლოდ შენმა სუსხმა მომკლა,
შენ კი გაგიდარებია,
უშენობით ჩემი ყოფნა,
როგორ გაგიმწარებია.
აფსუს, ჩემი სიყვარული
ნიღბად აგიფარებია,
შენ მოგიკლავს ჩემი გული,
სხვისი გაგიხარებია.

## ლხინი სკანდაში

გახსოვს სკანდა? ღამე ლხინში ვათიეთ,
შენი ეშხით გავილექსე ენა,
ვარსკვლავები ცაზე ვერ დავატიე,
მიტომ მოხდა ალბათ ვარსკვლავთცვენა.

ცას შემორჩა მარტო მთვარის ნატეხი,
ჩვენ კი ისე ვილაღეთ და ვიხარეთ,
რომ ის კოცნა მართლაც ნავსის გამტეხი,
რიჟრაჟამდე ვერა და ვერ ვიკმარეთ...

დილით ნამი შენს თვალებშიც ჩანდა,
მთვარეც დაცხრა როგორც ჩვენი ვნებანი,
ახლაც ისე მენატრება სკანდა,
ვით იმ ღამის ყველა საოცრებანი.

## ხევში

ხევში წყაროსთან გელი,
მე და ნამგალა მთვარე,
შენც ხო სიყვარულს ელი,
მეც გულს გაგიხსნი ბარე.

გონ დამიკარგე როგო,
აგიცახცახდა წელი,
არ გადავარდე გოგო,
შენცა მამხვიე ხელი.

მთვარე გაგვშორდა ნელა,
ვარსკვლავ ციმციმებს სულში,
შენ გენაცვალოს ყველა,
მაგრა ჩაგიკრა გულში.



**მიმოზა ცანავა**

## ექსპრომტი

*გულნაზ ხარაიშვილს*

როცა შენს მწუხარებას
სასთუმალზე დატოვებ,
მერე თმენით შეფუთავ
შენს მტირალ სიმარტოვეს.
როცა თავად ნაწუხარს
სხვათა სევდა დაგნისლავს,
როცა ამორძალივით
ებრძვი დღეებს ნაისრალს.
როცა რწმენის სანთელმა
გსურს სიკეთით ანათოს,
ტკივილი გულს გისერავს
ათას ღამედანათოვს.
ანთებული გაქვს ნათლით
გული მუდამ მადლიანს,
მზის სხივივით იღვრები
ყველას დედა-ნათლია.
თბილი სიო ზაფხულის
როგორც ათბობს სულს აზიზს,
ისე გვესალბუნები,
გულსათუთი, გულ-ნაზი!
ღვაწლი უნდა შეგიქო,
ან ვით შევძლებ რომ არ ვთქვა,
ლექსი – ჩემი საგზალი,
ძღვენად მინდა მოგართვა!
სულში ცისარტყელებად
შეანათებს მნათი როს,
მუზა ამზევდება და
გამკობს, ათინათინობს
სიკეთის ხე არ ხმება,
ტანს სიმწვანით იმოსავს,
გილოცავ და გილოცავ!
როს სიკეთე ძლიერობს,
უძლურდება ავი, თმობს,
მზით ნაქარგო მანდილო,
დაო, სამაგალითო!

## ერთად ამიტირდა სული

გული – ოცნებების ოკეანე,
სული – გარდაცვლილი მზე და
ფიქრი – დაკაწრული ღამე,
ისევ – ეკალ-ბარდი მწარე,
ისევ ქაოსური განცდა,
მკვდარი ფოთოლცვენა ირგვლივ,
ისევ ლოდინი და განცდა.
ყელი – საამბორო, თბილი,
ალერსს მოკლებული მუდამ,
ისევ დამიშინა ბედმა,
ცივი მარტოობის გუნდა.
თვალი – ჩათვლემილი მზე და
ისევ ქარიშხალი ავი,
ასე რად ატირდა ნეტავ,
ჩემში გულმწუხარე ქალი.
რისთვის ეგ ნათელი შუბლი,
რისთვის ანთებული თვალი,
ნუთუ შეუძლებელს ითხოვს,
დარდით გადაღლილი ქალი.
მხოლოდ შეხიდება მინდა,
მარტო ამიკვნესდა ნარი,
თურმე რამდენ რამეს უტევს,
ერთი მეოცნებე ქალი.
თურმე ცის ლაციციც კმარა,
თუ ხარ დიდი გრძნობით მთვრალი,
ო, მზედ ჩამეღვარე სულში,
ვედრებს მარტოსული ქალი.
ატმის აფეთქებულ რტოებს,
ლეწავს გულბოროტი ქარი,
ერთად ამიტირდა სულში,
დედა, მიჯნური და ქალი.

***

ჩაქრა ნდობის სანთელი,
არც არაფერს არ ველი,
ჩემი სულის საუფლოს,
აატირებს გრანელი.
ეშმა თავს დამხარხარებს,
ჰქარგავს მწუხრის ბარათებს,
სული ბნელეთს მოუცავს,
უფსკრულს მზე არ ანათებს.
სევდამ კვლავ შემიჩვია,
ისევ დამღამებია,
თითქოს მართლა არასდროს,
არც როს გამხარებია.
რარიგ ძნელი ყოფილა,
სულის უამინდობა,
მერე უიმედობით
გულის გულთან მინდობა.
როცა ითვლი ღამეებს,
დღე ლოდივით გაწვება,
უფერული დღეები
მატულობს და არ წყდება.
როცა წყალი გწყურია
და მწყურვალი დარჩები,
ლოდინით ჩაგიქრება
ვარდისფერი ღაწვები
როცა ნუგეშს მოელი
და დღე დგება კვდომისა,
სულის სარკმელს გილეწავს,
ქარი შემოდგომისა.

როცა სიყვარული ხარ,
მოღერილი ყაყაჩო,
როცა დიდი გრძნობები
შენში რჩება და გახრჩობს,
როცა ერთგულების მზე
სულში სანთლად გეღვრება,
შენ სიხარულს მოელი,
ის უგულოდ გეყრება.
როცა საწყაული ხარ,
აუწერელ გრძნობების,
როცა მასთან გინდა და
მაინც ეშშვიდობები.
როცა გინდა გამხელა,
გვერდით არვინ არ არის,
ერთგულებას ელი და
როცა მოვა ღალატი.
როცა შენი გოდება
სხვისთვის ტკვილი ჰანგია,
რაც კი შენთვის ცუდია,
ის ბევრისთვის კარგია.
დღე იცვლება, ჭრელია,
ზოგს ათბობს, ზოგს აცივებს,
ზოგიერთს რაც ამაღლებს,
ის შენ გაკრთობს, გამცირებს.
ჰოდა, მიჰყევ დინებას,
ჰოდა, ნუგეშს ნუ ელი,
აბა, როგორ გეგონა
ცხოვრებასთან დუელი.



ნაირა ნიჟარაძე

## ოქროს ქვეყანა

ია შემომეყარა,
იმისთვის რომ მეხარა,
სიმღერებით მომერთო,
ჩემი ოქროს ქვეყანა.

მტერმა არ დამირბიოს,
ნათელი დღე – ეს არა,
გამარჯვებით ფრინავდეს
ჩემი ოქროს ქვეყანა.

## ახალი წელი

მოვიდეს ლხენით,
ფიფქების ცვენით,
მოთაფლულ ენით,
ალუბლის ფერით.

აზამბახებით,
აბულბულებით,
და ჭირნახული
მოგვცეს ულევი.

ახალი წელი,
ახალი რთველი,
გაგვითბოს ხელი,
გულები წრფელი.

გვემატოს ბევრი,
ოჯახის წევრი,
სიმდიდრე ერის,
ნათება კერის.

აორთქლდეს მტერი,
ცეცხლიან ფრენით,
გაერთიანდეს
სამშობლო ჩვენი!

## ბულბული ხარ?

გულით მთხოვდი,
რომ მემღერა,
და გამეთბო
შენი კერა.

მომაწოდე
სალამური,
მომაპყარი
თვალი, ყური.

ვმღერი,
ვმღერი,
ილიმები,
მელოდიით
ვიცი, ტკბები.

– წამო, ტყეში
გავიაროთ,
– ბულბული ხარ!? –
მეუბნები...

## მრავალჟამიერ

„რაც უნდა მოხდეს, ქართველი
მაინც დიონისურს გუნებაზეა და
მღერის მუდამ – მრავალჟამიერ!
გრიგოლ რობაქიძე

მოიტანეს საფერავი,
სიყვარულის ქარია,
დატრიალებს ქალბატონი,
ის ოჯახის თვალია.
სუფრას გაშლის ათასფერად,
არ დასტოვებს ცარიელს,
აგუგუნებს ქართველობა
თავის მრავალჟამიერს...
ასწლოვანი ცაცხვის ძირას,
გაშლილია მაგიდა,
ყურძენი და გულაბები,
სულო, გულო რა გინდა!
მტერი სადღაც ახლოსაა,
მაინც არ ეშინიათ,
ფხიზელია საქართველო,
მტერს ერევა ჟინიანს.
წინაპრებმა მუდამ ბრძოლით,
ეს ცხოვრება გალიეს,
ისევ ისე გუგუნებდეს,
მჟღერი მრავალჟამიერ!..

## ალვის ხესთან

შემოხვედი,
მომანათე,
ტანწერწეტა
იყავ მაშინ.
მოლისფერი
თვალი გქონდა,
აღმიტაცე
თითქოს ცაში.
მოგეგებე,
გავხალისდი,
აღარ ვჩანდი
მგონი ჩადრში.
ხელი წელზე
შემოგხვიე,
ალვისხესთან
ჩიტი ვჩანდი...

## თუ

თუ გიყვარვარ, ჩემთან დარჩი,
გავამრავლოთ თხა და ცხვარი,
გავაშენოთ ხე და ვაზი,
ავაყვავოთ მთა და ბარი.
შევაშინოთ ტურა-მგელი,
გავუმართოთ საწყალს ხელი,
კიდევ უფრო, კიდევ უფრო,
შევიყვაროთ ერთმანეთი.
თუ არა და განმეშორე,
მოიფარე, ვეფხვო, რიდე,
თუ არ გინდა სიყვარულით
ოქროს თავთავს ხელით მკიდე!
მოვირიდოთ გასაჭირი,
მოვეფეროთ ერთურთს კიდევ,
საქართველოს სამსახურში,
ხელჩაკიდვით ერთად ვლიდეთ!

***

ასე დიდი,
ტანძლიერი,
ცაცხვის ძირში
დაწოლილხარ.

ვარ მისანი
ვერ გიცანი,
ჯიქი ხარ თუ
ავაზა ხარ.

წამოდექი,
შემოგევლე,
ნუთუ მართლა
ავადა ხარ?



ლამზირა შეყილაძე

## სიზმრად გიხილე წუხელ

მეგონა... დარდებს ვძლიე,
კვლავ დარდი მაფერმკრთალებს.
და ვნატრობ, ვნატრობ ძლიერ,
შენს ზღვისებრ სავსე თვალებს.
შორი ოცნებით გელტვი,
მტანჯავს სიშორე ეულს.
ვინ გამიმრთელებს მეტი,
დარდით დამსხვრეულ სხეულს.
სიზმრად გიხილე წუხელ,
მკერდიდან მგლეჯდი ბორკილს.
სიამით ვსვამდი შარბათს,
შენი გულიდან მოწვდილს.
თავზე მადგამდი გვირგვინს,
და ჯვარს ვიწერდით ცაში.
იფიცებოდი ღვთის წინ,
რომ არ გამცვლიდი სხვაში.
მე კი ვიდექი შენს წინ,
მიცახცახებდა გული.
მეცვა დედოფლის კაბა,
თრთოდა უბიწო სული.
დასრულდა ღამე ტკბილი,
გარიჟრაჟს შევხვდი სიზმრით.
ვიღაც მეძახდა თითქოს,
ამ წუთისოფლის იქით.

## იქ საგზლად გამატანეო

შორიდან მოედინება,
ეს პაწაწინა ღელეო.
მოდი ამავსე სიცოცხლით,
მეც მისებრ ამამღერეო.
მათრობდეს ფოთოლთ შრიალი,
შენს ტრფობით გამახელეო.
დილა უღრუბლო მზიანი,
მეც თავზე დამათენეო.
გამიცისკროვნე საწუთრო,
უღელი დამიმშვენეო.
ავლა-დიდებას არ ვითხოვ,
ქოხ-მახი ამიშენეო.
როცა წახვიდე თემშარას,
მეც გამიყოლე თანაო.
ქართულ აკვანთან დამსვი და...
მამღერე იავნანაო. . .
სამშობლოს ნათელ მომავალის,
ტრაპეზზე დამაწვიეო.
გოლგოთის გზაზე მიმავალს,
ლოცვებით შემეწიეო.
შემომაშველე იმედი,
აქ, ყოფნით გამახარეო.
ბოლოს კი ორი კურცხალი,
იქ, საგზლად გამატანეო.

## შენ საქართველო ცხოველო ჩემო

ეჭვით შეჰყურებს წარსული აწმყოს,
ცრუთა სასწორზე თვლემს მომავალი...
სევდის და დარდის ვარამი გვათოვს,
დავიარებით სიყალბით მთვრალი.
ყოველი დილის რიჟ-რაჟი გვაკრთობს,
გვასევდიანებს შური და მტრობა...
ცრუ კანონების ტალღები გვახრჩობს,
მეფობს მუხთალი უსამართლობა.
დღე ითენთება ვაი-ვიშობით
და ითელება ხალხის უფლება...
თავს იწონებენ ბაქი-ბუქობით,
ძალადობაა მათთვის ღირსება...

გაქრა, მზისობა, ღიმილი ვარდთა,
უიმედობა დასჩემდა თვალებს.
სიცოცხლის წყარო მწუხრისგან დაშრა,
გული ნელ-ნელა იღრმავებს ბზარებს...
ლოცვით შევყურებთ ყოვლის შემოქმედს,
ციდან წყალობას თმენით მოველით...
გამოანათებს ღვთაებრივ ნათელს,
წყალობისა და სითბოს მთოველი. . .
მწამს, გაზაფხული ეწვევა მთა-ველს,
სამშობლოს გული აღორძინდება.
მოვა მესია უფლით რჩეული
და საქართველო გამობრწყინდება.

## შენი ნეკნია

გულს რომ მედება ცეცხლის ალებად,
მარადიული ზეცის ცეცხლია.
ვიცი, რომ ვერსად დაგემალება,
ქალის ტრფიალი ვაჟკაცთ ხვედრია.
შენ, რომ გხიბლავს და მოგინადირებს.
ეგ, ჩემი შარმის ანარეკლია.
ჯიგარს, რომ მწვავს და უფრო მაგიჟებს,
მონაშიშხლარი შენი ნეკნია.
გადამივლიან გულზე ალებად,
მარად მთუთქავი, მწველი ცეცხლები.

ხარ ღვთაებრივი გამოცხადება,
ჩემს სულში ისე დაეცეცები.
ჯიუტად მჯერა, რომ მოხვალ ჩემთან,
საითაც წახვალ ეგ, სულ ერთია. . .
ვითარცა შავი, თეთრ არაგვს ერთვის,
ჩვენი სულებიც ერთ-ურთს ერთვიან.
მწამს, რომ ვერ დამთმობ, ვერ შემელევი,
ჩვენ რაც გვაგრილებს ზეცის ცეცხლია.
მით უფრო მეტად გამიფრთხილდები.
რადგანაც ჩემში შენი ნეკნია.



ნელი ქველაძე

## ერთგულება

ჩემს მშვენიერ მეგობარს მზიკოს!

ოჯახის დედავ, ღერძო და ბურჯო,
სულით და ხორცით უზადო, მთელო;
სახით მწყაზარო, წყნარო და დინჯო,
საიმედო და მარად ერთგულო!
მთელი დიღომის თმენით მომვლელო,
ამ ჩვენი ტაძრის კვლავ ამაგდარო.
ქართულ ადათთა მტკიცე დამცველო,
სტუმრის დამხვედრო, ტკბილმოუბარო!
სისხამ დილიდან გვიან ღამემდე,
ტრიალებ, როგორც ჯარა, ბზრიალა,
დევძალა კაცის ღირსო მეუღლევ
ცაბაძეების რძალო ცქრიალა!
მადლი შენს შვილებს თამარს, გიორგის
არ მოკლებოდეთ უფლის წყალობა,
დე, დაგიფაროთ წმინდა გიორგიმ,
უფალმა ღმერთმა, წმიდა სამებამ!
ჟამს დავუხვედროთ სულის მხნეობა,
ველოდოთ თმენით, რწმენით ლოცვითა.
მწამს, ახლო არის გამონათება;
და სასწაული ფერისცვალება!

## პოეზიის ცეცხლით დამწვარი

ეძღვნება არაჩვეულებრივ ადამიანს
და ლექსის ტრფიალს ქ-ნ ნათია
სირაძე-კახიძეს დაბადების დღესთან
დაკავშირებით (18 იანვარი).

იცოცხლებს მარად ვინც დაგანათლა
სითბო, სინაზე შეუდარები;
სამყარო შენი, ვინც გაანათა
ჩაგიდგა სული შეუდრეკელი!
ღირსო მეუღლევ, ოჯახის დედავ,
ო, ვით შეგამკო ქართვლის ასულო.
რა მადლი დაგყვა ადგილის დედის,
ყველას რომ ხიბლავ პატარა ქალო?!
კეთილ ზნეთაგან ყველაზე უფრო,
ხარ პოეზიის ცეცხლით დამწვარი
დადაღული ხარ ლექსის ტრფიალით
რითმის ბუდეში თვალი ჩამჯდარი;
დგას იანვარი, მაგრამ არ გვცივა;
გვათბობს შენეულ ლექსის სურნელი
ვარდის ფურცლები ბაგედან გცვივა,
და ჟღერს მუსიკა სულისშემძვრელი...
დიღმის ველებზე მოვა მაისი,
მძივად ავაგებთ სიტყვების კონას;
და დაგვიდგება ბევრი აისი.
ერთად მოვივლით ყვავილ ქვეყანას!
ქალო პოეტო, ლექსად მფრინავო,
ლურჯი აპრილის, ლურჯო ღიღილო;
იცოცხლე დიდხანს ჩვენო ფიფქიავ,
არ მოიწყინო, არ დაიღალო!
წავალთ ტაძრისკენ ჩვენ ნება-ნება,
კრძალვით აღვავლენთ ღვთის სადიდებელს;
ერთად მივუძღვნით ქებათა-ქებას
მის ამშენებელს და ყოველ მლოცველს!

## ქართული ლექსის რაინდი

უნიჭიერესი პოეტისა და პატრიოტის,
მოყვასისთვის თავდადებული ადამიანის
ბექან ხარაიშვილის სურათთან.

გიმზერ და ცრემლი უხვად მეღვრება.
ასეთი კარგი ვინ გაგიმეტა?
გულს მიკლავს ვაჟას მწარე ნაღველი.
„კარგის დაღუპვა რად გვენატრება“?!
შენი სამშობლო შენი გულია,
მოყვასი მთელი, შენი სულია.
მამულის ბედზე ჩაფიქრებული,
ლექსით მოკენჭილ გზებზე გივლია!...
ქართული ლექსის, დიდო რაინდო!
ფესვო, ძლიერო ხარაიშვილთა!
ჭაბუკო, მარად დაუბინდავო;
სამაგალითო მამულიშვილთა!
გვიცქერს ჭაბუკი პირმშვენიერი,
და ისევ გვაწვდის რითმების წყებას
ლეგა ქოჩორი, ლეგა ულვაში,
აბა ვინ შეძლებს შენს დავიწყებას?!
ცეცხლი იფრქვევა გიშრის თვალთაგან,
ო, იქ რამდენი სიყვარულია,
რამდენი რამე მოგითმენია.
თუ ვისზე წუხდი, ეს მამულია!
სულში მწიწკნის და დარდით მევსება.
შენებრ ვაჟკაცნი არ გვემეტება,
ვაჟას ნაღველი გულში მეღვრება,
კარგის დაღუპვა ნუ გვენატრება!

## იცოცხლე მრავალჟამიერ
(ხალხურ მოტივზე)

ეძღვნება ჩემი ძვირფასი მოძღვარის
მშობელ დედას, უნიჭიერეს და
უმშვენიერეს მანდილოსანს ქ-ნ
მარგალიტა მახათაძე-დეკანოსიძეს

ამ ბედრიერსა დღესაო,
ლოცვას გიგზავნი ბევრსაო.
იხარე, იბედნიერე.
არ შეუშინდე წლებსაო!
გვაჩუქე ღირსი მოძღვარი,
ამიერ-იმიერსაო,
მთელ საფრანგეთში სახელი,
გაუთქვი ქართველ ერსაო!
შენი სიბრძნე და სინაზე,
უხდება ამ ტაძარსაო,
უფალი კარგად გიმყოფებს,
შვილებს და მონაგარსაო
დიდხანს ილოცე ღვთის სახლში,
დე, დატკბა შვილის ხმითაო,
მის მიერ აშენებულსა
ვადიდებთ უფლის სახლსაო!
დედაო ფეხბედნიერო,
უტკბესო მასწავლებელო,
ტანადო პირმშვენიერო,
იცოცხლე მრავალ წელსაო!



თამარ (იამზე) ქელიძე

# მონატრება გეძახით

მზით გამთბარო დღეებო,
წლებო ახალგაზდობის,
უკვდავო ხეებო,
წამ-წუთებო ვარდობის,
მონატრება გეძახით,
მონატრება გიმღერით,
მონატრება ცრემლსაც
ღვრის,
მონატრება სიზმრებში,
გადმოსული გპოულობთ,
და გკოცნით უჩვეულოდ...
წლებო, წლებო დავცილდით
ერთურთისთვის გავცივდით
არა, ისევ ლტოვაა,
სიხარულის ძახილით,
თუმცა სულში თოვაა,
მაგრამ დიდი წადილი
კვლავ სიმღერით ივსება
სევდიანი ბგერებით,
წინ ისევ ჩანს ღირსება
არ მსურს ხმა დაბერების,
მაშ ვუმღეროთ ჭარმაგო
წლებო, არდაბრუნებას
სული ლხენით წარვართოთ,
სითბოს და მოფერებას
შევალიოთ ყოველი
სიყვარულით მოვედით.
სულმა გაიხალისოს
სიტკბოებით აივსოს,
სანამ ქვეყნად ვარსებობთ
შევსვათ დროში ნექტარი,
სულო, სულო ჯანმრთელო,
მარად იყავ ნეტარი.
ფრთა გაშალე სურვილო,
ვადღეგრძელოთ სიცოცხლე
შემიერთდით მსურველნო
ას წელიწადს იცოცხლეთ,
მარად ადამიანო,
გულს ალერსი აჩუქე,
გასწი ალალ გზიანო
და დროს ალღო აუღე.
სურვილები ჭარმაგის,
შენთან მოვლენ სიკეთით,
და დრო ისე წარმართე,
სავსე იყავ სიქველით.
სიჭარმაგეც შეგმოსავს,
გზნებაც ახალგაზრდული
და ყოველი შენს მოსვლას
დიდებული ქართულით.
კვლავ შეამკობს იქნები
მგზნებარე ხმით გამთბარი
და ლამაზი ფიქრებით,
სიღრმეებში დამტკბარი.
მეტი რაა, იქნები
დროში წელგამართული
და ჭარმაგის ფიქრებით,
შენ მძლავრად გადართული,
შიხარულის ხმებისკენ,
აძლიერე ნაბიჯი,
ეს დრო მეტად შეიგრძენ,
უკვდავების ნაპირიც,
გაგიღიმებს ბოლოს და
სიყვარულით იარე,
ყველგან თესე სიკეთე,
ღვთის მცნებებს ეზიარე.



თინათინ ხაბურზანია

## სახელი იგი

უფლისგანაა გამორჩეული
ღირსიც, უღირსიც იყენებს ფარად.
დალოცვილია, ღვთითკურთხეული
და იწოდება ქართველად მარად.

ღირსეულია ატაროს კაცმა,
ვინც ის მოზიდა ჩვენამდე მხარად.
ვინც გული იძრო ვითარც ხმლის ვადა,
სახელი იგი დაიცვა მყარად.

გადმოაბიჯა მთიდან ურჯულომ,
დიდება მისი მოესრა მაგრამ,
ვერა-რა ძალით, გულით, უგულოდ
ვერ შეარყია ეს ფუძე აქამც.

აღგვა ზენამ პირისგან მიწის
ხსენება ერთ დროს უძლეველ ხალხთა,
სახელი ქვეყნად მისი სიწმინდის
გიზგიზებს დღესაც უქრობელ ლამპრად.

მრავლის მნახველი, მრავლის მომთმენი,
ჭირნახული და ლხინს მყოფი მარად
მის დასაცავად ბრძოლა ყოველი,
შემორჩა დროს გასაოცარ ამბად.

დიდება მისი მოედო ხმელეთს,
ხმად სიმართლისა გავარდა მეხად.
გამოგლეჯილი, ჯოჯოხეთს, ბნელეთს
და მიტანილი ზვარაკად ღმერთთან.

## მარტი

დრომ გაიხადა ქურქი ზამთრისა,
თან გაჰყვა ჟამიც სინანულების.
ტანზე მოირგო კაბა ზღაპრისა,
ყელზე მძივები სიყვარულების.

გადაიღელა მარტმა საკინძე,
გაშიშვლდა მკერდი ატმის კვირტების.
ჩიტებმა დილა გამოაღვიძეს
სიცილ კისკისით მინდვრის ჩირგვებში.

სურნელი დააქვს გაზაფხულისა,
კლდიდან გადმოსულ თავნება ნიავს.
სახე უბრწყინავს სიხარულისგან
თოვლქვეშ ამოსულ ლურჯთვალა იას.

მაგრამ უეცრად ცა მოიქუფრა,
ხეებს ყელში წვდა თხევადი ქარი.
წვიმაც მოვიდა, ცამ დაიქუხა,
გიჟია, მართლაც გიჟია მარტი.

## მტკივა

ავადა ვარ მტკივა საქართველოს
მოშურნეთა საჯილდაო მკერდი.
მოკვეთილი მკლავი სამაჩაბლოს,
გაწყვეტელი ძარღვი აფხაზეთის.

მტკივა, მტკივა, მტკივა მერე როგორ
ბრმა ტყვიებით ჩამსხვრეული ზეცა,
ძირს დაცვენილ ვარსკვლავების ქოროს,
დატირება იმ კოშმარულ დღეთა.

მტკივა, მტკივა, მტკივა მეტად ძლიერ
ოცნებების დაზამთრება გულში,
სისხლიანი ჰორიზონტის სივრცე,
გაყიდული ზღვა და გაზაფხული,

მტკივა, მტკივა, მტკივა დასაღუპად
გამზადებულ თაობათა კვნესა,
რომ სიკეთის ასეთ დასასრულს და,
კვარცხლბეკზე მდგარ ბოროტებას ვხედავ.



თამარ ჯაჭვაძე

## სველი თვალები

*გულნაზი ხარაიშვილს*

ცხოვრება გაჩვევს ცრემლსა და ღიმილს,
თავს არ იკლავენ მგლოვიარენი,
გული ღრიალებს, შენ რჩები ჩუმი
და ცოცხალ-მკვდარი დაიარები.
იცინი, რადგან ხარობენ სხვები,
თუმც შენი დარდი გიდევს უბეში,
რაღაცას იტყვი, რაღაცას ჰყვები,
თვით უნუგეშო, სხვათა ნუგეში.
ვერავინ გეტყვის საამოს რამეს,
ლხინის სუფრიდან გაიპარები...
და ფანჯარასთან მოარულ ღამეს
შეეფეთება სველი თვალები.
მერე შემოვა სიმშვიდე, როცა
გეწვევა მუზა ცრემლმონაწური,
წამოგეწევა მეუფის ლოცვა,
გაილექსება სულის ნაქური.
და სიყვარულით ძლიერი ქალი
დაიმორჩილებს ცრემლებს თავნებას,
გაიპარება დარდი შემკრთალი
ღამეშ ღამობას თავი ანება.
– აგითრთოლდება კალამი ხელში,
წერე დაიკო! – ძმა გევედრება,
არ ჩამკვდომია სიმღერა ყელში,
ჩემი სიმღერა შენში გრძელდება.
შენშია ახლა ყველა იმედი,
და შეწყვეტილი გზა და სავალი,
უშენოდ ისევ გვიმუხთლებს ბედი,
გაიცრიცება ცის აღსავალი.
წერე და წერე, ყველა წუხილი
გადმოიწერე გულის ბუდიდან,
განა მარტოდენ რითმის ქუხილი,
ლექსი – უსაზღვრო ტკივილს უდრიდა.
ძლიერი ქალი გახედავს ღამეს,
და ჩერდებიან თვალში ცრემლები,
ითვლის საათი სიცოცხლის წამებს
და იშლებიან თმაში ტყემლები.
წამოვა ლექსი ვით ნიაღვარი,
და იმოსება ძაძით ფურცელი,
გაღიმებული, ნამლევა მთვარე
გათენებასთან დგას ფერუცვლელი.
გაივლის ღამე, გაივლის დილა,
და წლები ასე იტანტალებენ...
და საყვედრებლად ცამდე აწვდილა,
ლექსადქცეული, სველი თვალები.

## დედის საიდუმლო

*"მე ახლა ვხვდები*
*ოცდაათი მკვახე წლის შემდეგ,*
*რად "არ უყვარდა" დედას ბარკალი"*
*ძველი რვეულიდან*

"არ უყვარდა" ბარკალი და მწვადი,
"არ შვენოდა" ატლასი და ფარჩა,
ოცდაათი მკვახე წელი გადის,
საიდუმლო გამოცანად დამრჩა
დასცინოდა შინაბერა მარო,
ხუნდებოდა როცა თავსაფარი...
რად გინდოდა ოთხი შვილი, ქალო,
ღარიბი და მეოცნებე ქმარი.
მამის მამას ჩამოართვეს მიწა,
ყამირივით გაუტეხეს გული...
ბერი პაპა სოფლის თავში მიწვა,
სოფლის ბოლოს შავქოჩორა ხნული.
ფუძედ შერჩა მამა სახლის დირეს,
მორჩილება უხმარია ფარად,
უთოხნიდა ვენახს ბრიგადირებს...
გლეხის შვილმა როდის გაიხარა?!
ბედისწერამ სად არ წამიყვანა...
მიყიოდა ძარღვში პაპის სისხლი...
დამეღალა მუხლმაგარი მამა,
დედას თვალზე გადაეკრა ნისლი
"არ უყვარდა" ბარკალი და მწვადი,
"არ შვენოდა" ატლასი და ფარჩა,
ოცდაათი გრძელი წელიწადი,
საოცრება აუხსნელი დამრჩა.
... დაფრინავდა ცაში თეთრი რაში,
ბედი ახალ გამოცანებს წერდა...
საიდუმლო ამოვხსენი მაშინ,
როცა გავხდი სამი შვილის დედა.

## გაზაფხული არის თვითონ დედა

სიხარულით როს მიფრინავ სახლში
და კარებთან როცა დედა გხვდება,
გაზაფხული დგება სულში მაშინ,
გაზაფხული არის თვითონ დედა.
გელახიან შორეული გზები,
სიყმაწვილე წამებივით მიჭრის. . .
და მიხვდები, როცა დაბრუნდები,
არ ეძინა დედას შენზე ფიქრით.
გზა გექნება მიზანივით სწორი
დამარცხება ვერას გაგიბედავს.
ასრულდება ოცნებები შორი
როცა მხრებზე დაეყრდნობი დედას.
გაზაფხულობს, წინ მიიწევ როცა,
გაიხარებს, გულის თვალით გხედავს.
სადაც წახვალ მოგდევს მისი ლოცვა,
თითქოს გვერდით გეგულება დედა.
ყვავილების თვალებს ახელს ველი
გულში მზე და გაზაფხული დგება. . .
სახლის კართან როცა დედა გელის
გეგებება: – გენაცვალოს დედა!

## დედის ხმა

ყაყაჩოს დარო, მარტო რადა ხარ,
მეძახის ქარი, აწყდება კარებს,
მესმის დედის ხმა, ხევის გადაღმა,
ღრუბელი მთვარეს ხელს რად აფარებს?!
დამავიწყდება, ახლა სადა ვარ?!
გავაღებ კარებს, ვერავის ვხედავ...
ტაიგის თავზე მთვარე გადავა,
დამზრალ ხეების გაჰყვება სევდა.
მივაჩერდები უცხო სანახავს,
წუთით სურვილმა ფრთები შეისხა,
ტაიგის ღამეს ქარიც თან ახლავს,
მათბობს დედის ხმა.



**ბეჟან ხარაიშვილი**

## გახსენება

გაცრეცილი სკოლის ჩანთით
სხვა გოგოც რომ შემეყაროს...
მახსენდება, დრო რომ დავთქვით,
ცაცხვის ხე და სოფლის წყარო...
დაკეცილი თეთრი ბაბთით,
სხვა გოგოც რომ ჩამოივლის,
მომაგონებს პირველ კოცნას
პირველ თოვლს და
პირველ ღიმილს!
ვიზეპირებ იმ წყაროს ხმას,
და შენგან თქმულ ყოველ სიტყვას,
გახსოვს? – ტყემ რომ დაიხუჭა...
ო, რა თბილი, თბილი იყავ!

## სალამური
(ხუტას)

მთებს კოცნიდა ეშხით ქარი
დილის ნამში განაბული,
იქვე ,ტყისპირს, თითქოს ხმალით,
დარდებს ჰკვეთდა სალამური.
ტყე განაბა ჰანგმა მოთქმით,
ირმის რქაზე დაიბუდა.
წყარო დათვრა ხმათა კოცნით
სიცილისგან გაიგუდა.
ხევს ჩანჩქერი აჰყვა ჩქერით,
მთით არწივი მოჰყიოდა...
ტკბილ-ნარნარი აღმაფრენით,
მთასაც ცრემლი მოსდიოდა.
ხმა წაერთო, მაშინ, ბულბულს –
ლერწმის ყელით დატკბა უტაც,
სიომ ფრთა ჰკრა ლერწმის ღუღუნს,
მთამ კი, გულში ჩაიხუტა.

## ლექსად ვერაფერ მითხარ

*ბატონ ალექსანდრე დოლუზაურს!*

დინჯობდი, ცოტას ფიქრობდი,
სიტყვებს ეძებდი სარფიანს,
„ვოლგიდან“ გამექეცი და
სახლში ისწავლე კაფია?
ჯერ საბადურას გადმოვცდით,
ნელ-ნელა ქროდნენ სიონი,
მკერდზე ისეთი წვერ გედო,
მეგონე გალაკტიონი!
რაცა სთქვი, იყავ მართალი,
ვერაფერს ვიტყვი წუნითა,
შენი ლექსები მივიღეთ
სულ ხაჭო-ერბოს სუნითა!
მაგ შენს ლექსებზე დაობენ
ოჯახში, გინდაც ლელეხში
ბოთლის ქურდობას ამბობენ
ლევანა პაპას ქელეხში...
მე ვიცი, წესი მთის კაცის,
გიყვართ ხანჯლების ტრიალი,
რა ვუყო, რომ არ დავწერო,
ლექსი თუ მოდის ტიალი,
ამრავლეთ საქონ-ცხვარ-ყოჩი,
მტერს გული ქონდეს ზანზარში,
თორემ ხორცი და ცხვრის დუმა
რვა მანეთია ბაზარში!
იხარეთ, შვილიშვილებში,
ბარითაც მოვა ხმაური,
ყველამ თქვა ლექსის ღმერთია,
ალექსი დოლუზაური!
ლექსი რომ გადავაჭარბო
იტყვი, ბეჟანა ცდებისა,
ღმერთმა ამრავლოს ლექსები
თქვენნაირ მოხუცებისა!
ჭიჭიკო თითქოს გაბრაზდა,
ლექსად ვერაფერ მითხარი,
მე ვჯობივარ თუ შენა მჯობ
ორმოცზე ნახავს მკითხავი!

## ახლა გაბუტვა გამიგონია?!

შენს სახლთან ისევ დუმილით ვდგავარ
და ტოტებ-ტოტებ ვაცეცებ თვალებს,
ახლა გაბუტვა გაგიგონია?! –
თორმეტს ჩაკოცნის ისარი, მალე...
ფიფქები-ფიფქებს, წყურვილი-წყურვილს
ფიქრები-ფიქრებს, უხმოდ კოცნიან,
– ძვირფასო, აჰა, ახალი წელი,
ძვირფასო, თოვლი მომილოცნია!
ამაღამინდელ ღამეს მე ვათბობ,
ისეთი ცხელი გული მაქვს, ჩემო
როგორც ნაძვის ხის ირგვლივ ბავშვები,
შენს აჩრდილს ისე ვუვლი გარშემო,
ცის ეშმაკუნა ხოხბებს თუ წეწავს,
თორემ ამფერი თოვლი ღამეში?
თეთრი ტყეებით მსურს შემოვფრინდე
შენი თვალების სველ სიამეში!
თორემ ეს ქარი ისევ გაგჭორავს,
თოვლზე გხატავს და მიფანტავს ფერებს,
– მოდი, ახალ წელს უნდა გაკოცო,
დაგვებედება ძვირფასო მერე!
აგერ, ატირდა ფიფქი მინაზე
და მოციმციმეს გიტოვებს ხალებს,
ახლა გაბუტვა გამიგონია?! –
თორმეტს ჩაკოცნის ისარი მალე!

## წერილი მამას

კვლავ ფორმაში ვარ მამიკო,
ვნახე გერგეტის სამება.
სწორედ აქედან დაიწყო
ექსპედიციის წამება.
დაბლით რომ ჩამოვდიოდით,
ნისლებს ეძინა რწევითა,
ზოგ ზურგით ჩამავიტანე,
ზოგ ჩამამყავდა თრევითა.
აქ რესტორანიც კარგია
„საეროთი“ და „ხარჩოთი“
არაყიც მოიპოვების
მანდ შაქარ-წყალით მახრჩობდი.
მაშინ ჩავაღწევთ ქალაქად,
რო გაყვითლდება ფოთოლი,
ლოთობით საქმე დავიწყეთ
და დავამთავრებთ ლოთობით!

## ამ თბილ მიწაზე

როს განთიადი შემოჰკრავს დაფდაფს,
და ცის ტატნობზე ფეთქვას აისი,
მზე მთის მწვერვალებს გაუჩენს ხანძარს,
გლეხკაცის გულშიც დგება მაისი.
გახედავს ბაღებს, გახედავს ყანებს,
ვაზებს ქართულად მოეფერება,
სიცოცხლეს ყველგან აღაღანებს,
და მღერის, რადგან გულს ემღერება.
ამ თბილ მიწაზე რამ გაგაშმაგა,
ზეცა ხომ იყო წარბებგახსნილი,
ჩემმა მამულმა რა დაგიშავა,
მტერო, რად გახდი აღვირახსნილი!

## ქალწული

მთანი სტიროდნენ, წყალნი სდიოდნენ,
ვეწაფებოდით ანკარა შხეფებს,
მაღლით მწვერვალი ჩვენ დაგვცქეროდნენ
ჩვენ კი ვუცქერდით ვით მონა მეფეს.



გულნაზ ხარაიშვილი

## ზღვა პატრონს ელის

საქართველოს მთებს თოვლი კვლავ სუსხავს,
ამიტომაა სევდის განწყობა...
უქართველებოდ თბილისი სურდათ,
ნოყიერ მიწით სულის ნაყრობა.
არ აქვს საზღვარი, მტრის ამ ნაბიჯებს,
და უსამართლოდ ბილიკთა თელვას,
ახლაც სხვა კრიფავს ყვითელ ნარინჯებს,
ზღვა პატრონს ელის, ტირის და ღელავს.

## ვიცი

ვიცი სიყვარულით ხალხში დავრჩები,
ხელში მაქვს „დაია“ პოეტის სტატუსი,
შენ გიყვარს, სიმდიდრე ოქრო და ფარჩები,
მე ლექსი მიყვარს ფიქრებში ნატრუსი.

## ფიქრი
(ხალხურ მოტივზე)

ზოგჯერ ფიქრი გაგაბრუებს,
ზოგჯერ მოჰგავს დიდ მთის გორებს,
ხან წარსულში დაგაბრუნებს,
ხან აწმყოსაც დაგაშორებს.

## კონკიას სამოსი

ვერაფრით მოვირგე, მლიქვნელის მანტია,
ამიტომ ვირჩიე, კონკიას სამოსი.
შემხედეთ, სინდისი შუბლზედაც მატყვია,
არ მხიბლავს ცბიერთა მე ტანისამოსი.
მშიოდეს, მციოდეს, არ მქონდეს არარა...
ჩემს სხეულს სიწმინდის საბანი ათბობდეს,
ბალიშზე სიმშვიდით თავს დავდებ ამაღამ,
ოღონდაც მერცხლების ჭიკჭიკი მართობდეს.

## არ ვარ ნაჩვევი

ვინმეს სიძულვილს არა ვარ ნაჩვევი,
შენსკენ გახედვა აღარ სურს ფიქრსაც...
მიდი ახსენი სხვა დანარჩენი...
ვინც შემძულდება, მართლაცდა... მტრისას.

## გრიგალი

შენ გრიგალივით აკოწიაწდი,
დაბანცალებდი მართლაც მთვრალივით...
ჩემს წინ ბრდღვინავდი არ გატრიალდი,
უსულო გავხდი, ნაფერფლარივით.
აღშფოთდა ყველა, მთელი დარბაზი,
გაჩნდა ღალატის რაღაც ეჭვები,
ო, შინაგანად ძლიერ გავბრაზდი,
სხეულს სუსხავდა სევდის ჭინჭრები.
გულში გავივლე, იქნებ სულია,
მოსაფერებლად მოვიდა ციდან,
იქნებ ოდესღაც აქ გაუვლია,
ანდა უფალი ისევ მე მცდიდა.
ისე მოხდა, რომ ჩვენ დავმეგობრდით,
ეს სიუჟეტი ღვთის კვალს მოჰგავდა,
მერე ყველანი ერთად მოვგროვდით,
შენც დაამდი და აღარ ბორგავდი.

## ქარი

ქარს სიჩუმით ჩემი შრომით გადავღლი,
უაზრობას რატომ უნდა გადავყვე,
წიგნის მთები, მთიდან მთაზე გადავდგი,
მედროვე ქარს, შევეცდები არ ავყვე.

## დავლოცავ

ჩემზე აუგის მთქმელსაც დავლოცავ,
შვილის სიმწარე მტერსაც არ შეხვდეს.
ღვთის სამჯავროზე წავდგები როცა,
იქნებ იქ შვილი, მართლაც დამიხვდეს.

## ცრემლის ქალი ვარ

ცრემლის ქალი ვარ, ცრემლებად ვდნები,
ნუ ძრწი სიავით ბოროტო ქარო,
თუგინდ იქროლე, მე ნუ შემხვდები,
ჩემს ახლო-მახლოს არ გაეკარო.

## თუკი ოდეს

ბედისწერას ვიცი ბევრჯერ შეეშალა,
ჰოდა, აბა მითხარ როგორ ვილხინო.
თუკი ოდეს, ცრემლი ვინმემ შემიმშრალა,
მტერი მყავს და მაინც უნდა ვიფრთხილო.

## მწირი ფართი

მშვიდი ზღვა ვარ, მკერდს მიბრწყინავს „ათინათი,,,
სხივით ვქარგავ უფლის ნაბოძ ნაშრომებს.
წერისათვის დამჭირდება მწირი ფართი,
რომ მე თვალის ნაცრემნალებს ვაშრობდე.

## ისევ ქარი

*(ხალხურ მოტივზე)*

ისევ ქარი სისინობს და..
ისევ ქარი ნავარდობს,
იქნებ ზეცავ შენ ამიხსნა,
ყინვა როგორ დავადნო.
ამ ღრუბელმაც სულის არე,
უმიზეზოდ შენისლა.
თავს დედოფალს არ ვადარებ,
ვიღებ სხვათა შენიშვნას,
აღარამწამს ტკბილი სიტყვა
თუნდაც ტარიელისა,
წამში თხილის სახრეს მირტყავს,
ფლიდის, ფარისევლისას.



## ვიცი

ვიცი შენ ახლა ფანქარი გიჭირავს,
მილოცვებს დაგზავნი ლექსებით,
პირველ მოკითხვას მიუძღვნი ჭრიჭინას,
იცი შენ მაგის წესები.
ილოცე, ილოცე, ილოცე,
მისთვის და..
იყავი მასთან მშვიდად.
სიცოცხლეც აჩუქე,
დადევი ფიციც და...
ჩათვალე გულის დვრიტად.
შენ გყავდეს ლილი და...
შენ გყავდე ციცია,
მე ლექსი მქონდეს ტვირთად.

## შენ

ჩემი უფლების დაცვასაც ვერიდები,
ხომ დაგილოცე გზის გასაყარი...
უბრალოდ გაფრთხილებ, კი არ გირიგდები,
აღარ ხარ ჩემი ფიქრის მაყარი.

## მე

მე ღრუბლის კაბა მაცვია,
სხვებს კი სხივების ფატა,
ქარს ვუძლებ მაინც არ მცივა,
სითბოს ლექსებით ვხატავ.
გავარდისფერდა ზეცა და...
აოქროსფერდა კალმით,
არ გაავდარდეს ნეტავ და..
ვატყობ ქარს ვეღარ დავღლი.
ლამაზ-ლამაზი ფერები,
ფანტაზიებით ვქარგე,
ქარო, ნუ გადამემტერები,
მე მეყო რაც დავკარგე.
ხან სეტყვას წამოუშენ და...
ხან წვიმის თქეშით მალპობ,
ვერ შევძლებ, ვეღარ მოვირჩენ,
გულს ბედით ნაცემ-ნაპობს.
არვარ მშიშარა მაგრამ ქვაც,
ტირისო ზოგჯერ უთქვამთ,
რა სიტყვა ვკადრო ისეთ ქალს,
გული რომ არ აქვს სუფთა.
მე ჩემსას ვიტყვი, სხვამ სხვისი,
მიყვარს ზღვა წყნარი-მშვიდი,
მზე სხვას შეხვდა და მე ნისლი,
ჩემს ბედს თუ დააკვირდით,
არ შემშურდება არავის,
არც მეუღლე და შვილი,
ცას შემხვდნენ სულის კარავში,
იქ ვნახო გარდაცვლილნი.

## კრაზანები

რამდენჯერ უცრემლოდაც მიტირია,
ვერ ვუძლებ, გველაძუა მელა-ტურებს.
შემძულდა ბედისწერის მისტერია,
მიმტრო და ბატკანივით, რომ მიყურებს.
ვბრძოლობ და... ვაჟკაცურად ვმართავ საჭეს,
მშვიდი ცხოვრება კი მენატრება.
სათქმელსაც ბევრჯერ ძალით, კბილებს ვაჭერ
და მაინც კრაზანები მემტერება.

## უსასრულობა

ფიქრის უსასრულობაში სიარულს,
არაფერი ჯობია...
დავდივარ იქ სადაც მიხარია,
მეწერება სიკეთეზე,
ეს ხომ ჩემი ჰობია,
უსასრულობა კი დედამიწისა და
ზეცის ტიხარია.

## სიყვარულის განტოლების ამოხსნა

სიყვარული გაუფასურდაო,
ამბობს ახალგაზრდობა...
ასაკიანი ხალხი პირიქით ფიქრობს,
ამ გრძნობის ახსნას, ყველა სხვანაირად
ბაზრობდა...
სინამდვილეში ისეთი ცრემლია,
რომელიც გულის ცეცხლს არ აქრობს.

## არ გაიოცო

როცა დააბიჯებენ შენს ღირსებებზე
არ გაიოცო...
შენს გარდა სხვაც დამჯდარა,
ასეთ ლერსებზე.
ადამიანი უნდა გაიცნო.
უვიცთან არ ისაუბრო, ადამიანურ წესებზე.

## არასოდეს

არასოდეს აღარ აიცრემლოთ თვალები,
წარსულს აღარაფერი ეშველება,
დიდ დარდს მოერიდეთ ქალები,
ბედს ძალიან ბევრჯერ ეშლება.
იყავით ოპტიმისტები....
ნაირ-ნაირ ფერებით გაგიცინებთ მზე,
თავს დაგიხრიან ტიტები,
ეს აუცილებლად მოხდება ზეგ.

## არ შევიცვლები

არ შევიცვლები, არ დავიწყებ
არსად ფორიაქს...
აქ უნდა ვიყო,
ღვთიურ საქმეს, რომ ვუპატრონო,
რაც გავაკეთე,
დიდი მთების, მთათა სწორია...
კედელს ავღმართავ,
მტერი რომ არ დამეპატრონოს.

## ფიქრი ისევ სოხუმს მისწვდა

(ხალხურ მოტივზე)

მიავიწყდათ აფხაზეთი,
სამაჩაბლოც მიჩუმდა.
ვითომ იყოს ყირგიზეთი,
სოხუმი და პიცუნდა.
მეტეხთან კი გორგასალი
მკლავს ტყუილად იღერებს,
აფხაზეთში შარტავა კი...
მოკლეს რაღას იმღერებს,
შეეგუენ დანაკარგებს,
სახლკარს, ლამაზ ციტრუსებს,
გაიზარდნენ თაობები,
დაემგვანენ ტურისტებს.
ვინ იმღერებს დიდოვნანას,
კოლხურ ჯიშის რტოებით,
კითხულობენ ოთარ, ნანა,
სოხუმს რატომ ვტოვებდით?
პასუხობენ ბაბუები,
ათრთოლებულ ტუჩებით.
გველის გამოქვაბულები
გველის ისევ ქუჩები,
რისთვის, ვისთვის,
რა უნდოდათ,
ასე რატომ გაგვწირეს,
მათ სხეულში რა ბუდობდა,
რატომ გამოგვაქციეს.
ბაბუ იტყვის მოვიფიქრე
ღმერთს მივანდოთ ყოველი,
იქნებ ერთხელ კვლავ დაფიქრდეს,
ჩვენი სისხლის მწოველი.
დედამიწა უფლისაა,
არა გადამთიელის...
ის ხომ ჩვენთვის ჯვარზე აცვეს,
რას გავს ეს საქციელი.
ღმერთო, ამას გევედრება
ბაბუა და ბებიაც.
აღარავის ვედარდებით
ეს რა ბედი გვრგებია.
აქ თბილისში თუკი მიწა,
შევიძინეთ, წაგვართვეს,
ფიქრი ისევ სოხუმს მიწვდა,
ასე რატომ დაგვმართეს?

## სახუმარო ლექსი ჩემს დაიკოს

*ეთერ ხარაიშვილს*

რას მიგნაბია თვალები,
რას ჯავრობ ჩემო დაია. . .
ვიცი არა გაქვს ვალები,
გაქებენ როგორც ქალია.
შვილები კარგი აღზარდე,
ვალერი, მარეხ, ნატული.
აღარავიზე გაბრაზდე
გული გაქვს, დარდ-
მოხატული.
შენი ჭკვიანი ვალერი,
ნიჭიერებთან ლომია. . .
სიტყვას ვერ ბედავს ქალები,
თუმცა აქვთ მასზე ომია,
ჰოდა, შენ ჩემო დაიკო,
საამაყო ხარ შვილებით,
მეც მომეფერე რაიყო,
ხომავართ მამიშვილები.
სუყველას ჭკუას გვარიგებ,
უფროსი თითქოს შენ იყო,
შენ არხარ აზრთა გამრიგე,
ძირულის ტალღის ნარიყო.
შენმა ზურიკომ დაიპყრო,
ყველა ფიგურა ჭადრაკის,
თითქოსდა ნიჭის ზღვა იყოს,
მოდის, და მოდის რაკრაკით.
ეთერი ჩემო ლამაზო,
ჩემო მზეო და მთვარისა...
ჩემო გულ-სულის დარბაზო,
გამღებო სახლის კარისა.
იხარე, იბედნიერე,
ვიცი უყვარხარ დალიკოს
ჩემსკენაც გამოიარე
ბედმა რომ სულ არ
გამრიყოს.
ვალერი, ქეთი ზურიკო,
ჩამოეშველეთ ეთერის,
ყველიც ბევრი აქვს
პურიკოც,
მაინც აკლია ელფერი,
დინჯო ეთერი, მზის ქალო,
ჭკუასაც დაგესესხები,
მტრისათვის კი... ბევრჯერ
პირქარო,
უნდა მოგიძღვნა ლექსები.

## მიზანსწრაფვა

ჩემი მწვერვალი ჯერ ისევ შორია,
ვშრომობ და ვფიქრობ კიდევ რა მოვასწრო.
ირგვლივ ბურუსია, ნისლების თქორია,
უნდა შევეჯიბრო და ნისლებს გავასწრო.

## არავის ვერჩი

შეირგონ ჩემი სითბო და ეშხი,
არავის ვერჩი, ნურავინ მერჩის,
მე ისეც ბევრჯერ დამეცა მეხი,
მარტოობას და ტკივილებს შევრჩი.

## როგორ?

როგორ გავაშენე ფიქრის ხეივანი?...
სულ ახალ-ახალი საჯიშე დავმყენი,
მცველად დავაყენე სულის ჯეირანი,
რადგან წარსულზე ვიყავი ნაწყენი.

## სხვამ იკითხოს

სხვამ იკითხოს, თორემ მე რა...
უკეთეს გზას დავადექი,
ცამ ღრუბლებიც შეიფერა,
მე?.. მთვარის სახლს მივადექი..

## სულის სარკე

ო, აღარ შემომხვდეს დარდების წყვდიადი,
სიკეთეს მოვაფრქვევ თქვენს ეზო-ბაკეში...
მზის სხივო, იბრწყინე გთხოვ ამოზვიადდი,
შემოიჭყიტავ ჩემს სულის სარკეში?!

## ჰე ვარძია

ჰე, ვარძია, მახსენდება პალესტინა,
ცის სასულეთს, შუქს აფრქვევდა ხერთვისი,
დიდო შოთავ, წმინდა ადგილს ჩაგეძინა,
ქართველზე ზრუნვით, ბედნიერი მერმისით.

## გარდასულ წლების მოგონებებით
(ერეკლე საღლიანს)

გარდასულ წლების ამბის გაგებით,
კვლავაც შევცურდი, ცრემლების ზღვაში,
მთელი ცხოვრება ბედით ნაგვემი,
ავტირდი როგორც პატარა ბავშვი.
ერეკლე შენ მთელ საქართველოში,
დიდი პატარა გლოცავს სუყველა,
იმ თავყრილობის სამფლობელოში,
გულმა დაიწყო თრთოლვა და ღელვა,
შენ კვლავ საუბარს განაგრძობდი და..
წლებს იხსენებდი, წლებს უკვე გავლილს,
შენში ჩასახლდა ბექანი ვგრძნობდი,
იმ დღეს ბექანის ძალიან ჰგავდი,
სვანეთის მთებში ყოფილხართ ერთად,
ღვინო შეუსვამს თამარის თასით.
ბექანის გული მიწაშიც ფეთქავს,
მის გახსენებას არ ადევს ხავსი.
ძმადშეფიცული, ხომ ლევანია,
მეგობრობდაო, ბექანს თემურიც,
ძმებად გიგულეთ მეც რახანია
და გულიც გახდა იზოთერმული.

## ბუნებაში

ბუნებაში ათასნაირი ფერებია,
ყველა სხვადასხვანაირად ხედავს,
ჩემს ვაზს სხვა მიშტერებია,
ტირის ქართვლის დედა.

## მთას შენი სხეული
(ბექან ხარაიშვლის)

ძირულას ჩანჩქერში გაზრდილო კალმახო,
კედლად რად მიშენდა მთას შენი სხეული.
შევეცდები, რომ ის წლები დავმარხო,
უკვე მუჭში მყავს გამომწყვდეული.

## იანვარში

იანვარში დარდები ბალახობდა,
თვალებმა ცრემლებში ცურაობა დაიწყეს.
მე გაჯობებო, ბედი ქართან ხირაობდა,
ბოლოს მორიგდნენ!
ბექანის სიცოცხლე გაიყვეს.

## დაგციდი

შენს ახლოს მომავალის ნერგებს ვახარებდა,
ვიგონებ იმ წლებს და განვიცდი,
იმედს, სხვის მხარზე აფარებდი,
დ ა გ ც ი ლ დ ი!

## შენს ნოტებზე

შენს ნოტებზე აგიწყია სიმთა წყება,
დაღიღინობ აღმა-დაღმა უდარდელად.
წადი! გზა-გზა ქარავანი გამოგყვება,
არაფერი შენი აღარ მედარდება.

## მივსტირი

მივსტირი, იმ ძველ დროს,
როს კაბა ემოსათ...
ახლა კი შოუთი დაყრუვდა ქვეყანა,
განრისხდა ცის ღმერთი,
ძირს უნდა ჩამოსვლა,
ჭერი ნუ ახადეთო ზეყანას.

## სულის მანტიით

ჩემში დავიწყე ნაკლის ძებნა
წლები გავშიფრე. . .
და შევიმოსე მოსამართლის
სულის მანტიით. . .
ჩემს გონებაში ყველაფერი,
უცებ ავტვირთე,
ნაკლი ეს ვნახე,
არ ვიცვლები ცივი მარტივით.

## "ათინათში"

"ათინათში ხემ კვირტები გამოისხა.
ალიონზე მზის სხივებიც გამოჩნდება
ახლა მხრებზე, ღვთის სიყვარულს წამოვისხამ,
ტკივილები თავისთავად მომირჩება.

## არ გელოდი

არ გელოდი, არც მინდოდა რომ მენახე,
სასწაული იყო ისევ შენი ხილვა.
ცის შვილი ვარ და არა ვარ მევენახე,
ფიქრებიდან სულ ნელ-ნელა გამოგცხრილავ.

## დაჭრილი ფრინველი

უფიქრალი ხარ, უფერული
და უუფლებო,
გაგფითრებია შენ ფრინველო,
დაჭრილი გული.
არადა ოდეს გაღმერთებდნენ,
საახლობლებო. . .
ახლა ცრემლით ხარ უთქმელობით
გამოგუდული.

## ვიცი
*(ანზორ ჯაფარიძეს*

ჩემს თავს ლოცვის შემდეგ, ღმერთს აბარებ,
რადგან უფალი ხომ მძლეთამძლეა...
გულით ღვთიურ რწმენას მეც ვატარებ,
წაქცეულს მხოლოდ ღმერთით გამიძლია.
ახლა მომირავლდით ღვთით მოსავნი,
თქვენ, მამაო და ბევრი სხვებიც,
მტერს არ დავუჩოქებ ჩვილ ხბოსავით
მცველად გვერდში მყავნან სულის ძმები.

## არ შემიძლია როლის თამაში

არ შემიძლია როლის თამაში,
ჩემი სულია სიმშვიდის არე,
რა არის ცუდი ნეტავ ამაში?
ყველგან სიწმინდით შევაღებ კარებს.

## შენ? . . .

თუ დამმობის ფიცს გატეხამდი, ამას ვერ წარმოვიდგენდი ნამდვილად... გული დაიფშვნა ბოლო ნატეხამდი და კალაპოტიდან გადმოვარდა, ამ მდგომარებას რატომ უყურებ ადვილად?

## და ეს რწმენა

ვკოწიაწობ, ჩემს საქმესთან
ბევრჯერ მარტო. . .
თუ დამჭირდა, ქართან ბრძოლაც
შემიძლია...
მებრძოლი ვარ, ამას მართლა
ყველა მატყობს...
წყალობა კი მხოლოდ უფლის შემიგრძვნია.
მზის სხივები, უგზოუკლოდ
დაპარპაშობს...
ვარსკვლავებიც თავისთავად იქ არიან...
მე ვპატრონობ, დაჭრილ გულს და...
ამ ჩემს ნაშრომს,
ვბრძოლობ, რადგან ჩემს წინ მუდამ პირქარია.

## ვახუნია

დარდი სადღაც, ფიქრის ზღვაში გადავაგდე,
რადგან ვახომ, დიდი სითბო მაგრძნობინა,
ვცდილობ ისევ, ცოტა-ცოტა,
ფეხზე ავდგე.
ნაბოლარა, მართლა ტკბილი რამ ყოფილა,
საუფლოს დღეს მილოცვებით მატყობინებს,
იცი რა?.. ამ სიტყვებით მეფერება,
გელას ფესვი ვიზრდებიო,
მაგრძნობინებს,
ტკბილია და... ლექსიც მასზე მეწერება.

## სინაგოგა

*(ბერძენ ებრაელთა სამლოცველო ტაძარი)*

სინაგოგას კიარავარ,
ჩემს სიონში ვლოცულობ.
დარდის ცრემლო, უკვე კმარა,
გულს მტკენ, ქარზე მოცლილო.

## თბილისი ამაღლების ეკლესია

**მამა ამირან ამირანაშვილმა სპეციალური წირვა ჩაატარა ჯუმბერ ლექავას სულისთვის**

ამაღლების ეკლესიის გუმბათს,
მტრედები ზის გაბრწყინებულ თვალთა...
სულებია არ ესროლოთ გუნდა,
ბევრი არის ვერ შევძელი დათვლა
აღავლინა ტკბილ მამაომ ლოცვა,
უხდებოდა ღაღადისი სახტარს...
მგალობლები მაგონებდნენ მოცარტს.
მეც ვილოცე მოკრძალებით ხატთან.
არაერთხელ გადმომდინდა ცრემლი,
იმედებით გამიღიმა აწყმომ,
ცის სოფლიდან მოცურავდა გემი,
ცრემლის ტალღა ნაწილ-ნაწილ დაყო.
დავამშვიდე მონატრების წლები,
სიცოცხლის გზა... იმ ლოცვებში ვნახე,
მივაჭედე გულს ვარსკვლავთა თვლები,
დარდის ფურცლებს ნაწილ-ნაწილ დავხევ.

## მამა ამირან ამირანაშვილის მეუღლეს თამარ გველესიანს

შენ ხელოვნების წმინდა ნიმუშო,
აშოლტილ ტანით ალვის სადარო,
მტერო, მის ახლოს არიპირქუშო
და არც შენ ავნო ღრუბლის ავდარო.
დღესასწაულებს ერთად ყველაფერს
ვლოცავ და მისთვის იყოს მზეობა,
ვეძებ და ვეძებ სიტყვებს შესაფერს,
რომ მოუტანო სულის სეროზა.
ის გავიცანი თვალებრდღვიალა,
ქალი ჭკვიანი, კეთილი, სათნო.
საუფლოს კარი გამიმზიანდა,
გავიცანი და აღარც მსურს დავთმო.



სიონის საკათედრო ტაძარი



## მამა ამირან ამირანაშვილი
## საქართველოს სიმდიდრე და სიამაყე

მ–ამაო, კრძალვით გეტყვი ჩემს სათქმელს,
ა–რ იტევს გული უკვე ნაფიქრალს,
მ–ოგიახლოვდი, გადავხდი სარქველს
ა–რ დამჭირდება არვინ საფიცრად.
ა–რც დავფიქრდები, გულს გადაგიშლი,
მ–უმლი გარს მივლის აღარ მეშვება...
ი–მედის გზაზე მუდამ კვალს მიშლის,
რ–ამდენჯერ ბედსაც ჩემთან ეშლება.
ა–რაფრათ ვაგდებ, ვბრძოლობ და ვბრძოლობ,
ნ–ატყვიარ გულზე ბევრჯერ დამთოვა,
ა–ლბათ გადავლდი, ბოლოს და ბოლოს,
მ–ე ტკივილებთან ისეც მარტო ვარ.
ი–ცის უფალმა მტერსაც რომ ვლოცავ,
რ–ავიცი მამავ, შური არ მიყვარს,
ა–ღსარებაზე მომიწევს მოსვლა
ნ–აისრი გული თუ ისევ მომყვა.
ა–რავარ სუსტი, ქალი ვარ მაინც,
შ–არიან ტალღას როგორ ავყვები.
ვ–იცი მომიწევს ბრძოლები დაისს,
ი–ქ მოგროვდება, ქარის მაყრები.
ლ–ოცვა მიშველის, დამლოცე მამავ,
ი–მედიანო, ღვთის გზით მავალო...
ს–აქართველოსთვის გაზრდილხარ წამლად,
ა–მომავალ მზის ამომავალო.

ქ–ათინაურის არ მიმღებელო,
ა–ზრთა გამირიგევ, ცეკვის ოსტატო,
რ–ამდენჯერ დარდით ამღერებულო,
თ–ბილო ზაფხულო, სულის არხოტო.
ვ–იცი მამაო, დიდ ტვირთს ატარებ,
ე–ს დიდი გზაა, ცათა სოფელის,
ლ–ოცვით დაგვმოძღვრამ დიდს და პატარას
ო–ქროს და ვერცხლის უარმყოფელი.
ს–ად არ იარა თქვენმა სახელმა,
ს–აამური ხმით ჭექთი გუგუნით,
ი–ქნებდა მართლაც ღმერთმა ინება,
ა–ხლა ღვთის გზაზე რომ აბულბულდი.
მ–ამა ამირან, გთხოვ მაპატიო,
ა–მ გაბედვისთვის ვითხოვ შენდობას,
ყ–ინვას გაურბი, რომ არ დამთოვოს,
ე–ხლა ეს გული შენ ერთს ენდობა,
დ–ედის ცრემლები არ მსურს იხილო,
ა,–ეს სიმწარე ჯვარცმის ტოლია,
ი–მ ტანჯვის მერე როგორ ვილხინო,
მ–ტერი კეთილსაც ბევრი მყოლია,
ე–იფელის კოშკს დარდებით მივწვდი,
დ–ედამ შვილი, რომ მიწას დაუთმე,
ი–ქ ცის სოფელში ქმარშვილი მიცდის,
ა–ქკი სანთლები უნდა დაუნთო.

# ბექან ხარაიშვილის უკვდავება





**ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილისა**

## ბექან ხარაიშვილს

მიწას დაბნეული მარგალიტები,
ცაში დაკიდულან მძივად,
დაბინდულ მხედველებს ვერ აუკრეფავთ
მზეს კი გადმოუკიდია მძივად,
მაგრამ გამობრწყინდა ნაზი „ათინათი“
გული გაუთბო მცივანს...
სულ წმინდად აკრიფა ყველა მარგალიტი
და შემოგვაგება წიგნად.
თუ ასე გიყვარდა ვარდი მარგალიტი,
რატომ შეჰყურებდი მშვიდად,
ცხოვრებას სიტკბოთი ჩამოინავლებდით
იგიც გაიხარებდა დიდად.
მანაც გაიარა წლები წამებული,
მხოლოდ იარსება დედად,
ცხოვრება მოკრძალებით გამოიარა,
დღესაც სიმორცხვეში დნება.
მიწას მიბნეული მარგალიტები,
ცაში დაკიდულან მძივად,
მარცვალ–მარცვალ ნაგოგმანები
გულნაზიმ მოგვაგება წიგნად.

**ნათია სირაძე-კახიძე**

*** * ***

*ვუძღვნი ახალგაზრდა,*
*ნიჭიერი შემოქმედის, ბ–ნ*
*ბექან ხარაიშვილის მარადიულ*
*სიცოცხლეს*

ფრთები ასწიე! გაშალე ფრთები!
შენ ახლა უფრო ახლოს ხარ მზესთან,
„ცის პოეზიის“ საღამოს აწყობ,
ჩვენ კი შენს ლექსებს ვკითხულობთ, ბექან!
ვარსკვლავებს აღარ ეთმობა ღამე,
ქარაფებს დღესაც ჩაუვლის დილა,
შვილიშვილები, შენს საღამოზე
წამოიწყებენ „შავლეგოს“ ტკბილად.
დადუმდებიან კლდე და ლოდები
ცა ატირდება, ჩამოყრის ცრემლებს,
იბორიალებს ქუჩებში ქარი
და უშენობის ჭორს გაავრცელებს.
რაინდო კაცო! დიდო პოეტო!
შენ ახლა მართლაც ახლოს ხარ მზესთან,
ვუყურებ ფოტოს... წლებს „ნასათუთევს“
და ვერ ვივიწყებ ნაღვლიან მზერას!!!

# საბავშვო განყოფილება

გურა-ანგურა





## ხუთკუნჭულა

მითოსური ზღაპარი



2017 წ.



**გურამ გედევანაშვილი (გურა ანგურა)**

მითოსური ზღაპარი „ხუთკუნჭულა“-ზე, წარმოდგენილი ლექსის ფორმით, არის კიდევ ერთ-ერთი მცდელობა, ამ მეტად სახასიათო ზღაპრის გადმოსაცემად, ზღაპრისა, რომელშიაც შეფარულად არის მოთხრობილი იმაზე, თუ როგორ გადის ადამიანი სულიერი განვითარებისათვის გასავლელ შინაგან გზას. ხუთკუნჭულა ზღაპრის ცენტრალური ფიგურაა; ფხიზელი გონების, საზრიანი, ჭირთმთმენი, მცდელი, მოხერხებული, გამჭრიახი, იმედიანი, მიზანმიმართული, შეუპოვარი და მამაცი, რითაც ის გამორჩეულია, როგორც ცხრა ძმას შორის, ასევე სხვა ადამიანთა შორისაც. ის უმცროსი ძმაა და იქნებ ამიტომაც მაუწყებელია სიახლისა და განახლებისა. სწორედ ის, სულიერებისაკენ მიმავალ ურთლეს გზაზე, ახერხებს მეხუთე კუთხეკუნჭულის კარის გახსნას, ხსნისა და გადარჩენის კარისას და ამით გამოდის გამარჯვებული ბოროტ ძალებთან ბრძოლაში. მრავალი განსაცდელის გამოვლით იგი ამარცხებს, როგორც კაციჭამია დევს, ასევე ვერაგ ხელმწიფესა და მის გაიძვერა ნაზირ-ვეზირებს. თავისი ქმედებით ხუთკუნჭულა მოუპოვებს თავისუფლებას ძმებს და დევის ცხრა მზეთუნახავ ქალს. იგი ასევე ხსნად ევლინება მთელ ქვეყანას. ზღაპრის გმირი დამამკვიდრებელია სიკეთისა და ღვთაებრივი სიყვარულის „ჩვენი კაცობის ლამაზი არსის“ უკვდავსაყოფად.

მარადიული დიდება და გამარჯვება ზღაპრის გმირს – „ხუთკუნჭულას“.

მითოსური ზღაპრის „ხუთკუნჭულა“-ს დამსურათებელი და მხატვარი – ბესარიონ გედევანიშვილი.

გურა-ანგურა
თბილისი
9 ოქტომბერი 2016 წ.
02.10.2016 წ.

# მითოსური ზღაპარი ხუთკუნჭულაზე

## პროლოგი

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ასე, უნდა მომხდარიყო;
ხუთკუნჭულა მაკვარანცხი
მშობელს უნდა გასჩენიყო,
დევ-ბომბორა კიდობანში
ცეკვა-ცეკვით ჩასულიყო,
ხუთკუნჭლას ზურგს მოეგდო,
ბეწვის ხიდზე გასულიყო.

საოცრებან ჩაედინოს;
განერღვიოს ზენასკნელიც,
ისე, ექნას საგმირონი
ვითომდაც აქ არაფერი.
როგორ მოხდა ეს ამბავი
ახლა, წვრილად მოგიყვებით,
ბაბუასგან განაგონი,
ეჰ, ვინ იცის როდინდელი.

## დასაწყისი
### თავი I

ერთი სოფლის ოდა სახლში
ცხრა ძმას ედო მყუდრო ბინა,
შრომა-გარჯით ფუსფუსობდნენ
და ცხოვრობდნენ არხეინად,
მამა-პაპურ ადათისთვის
ელალატნათ... გაგონილა?..

მადლი ჰქონდათ გამჩენისგან,
ვით ზღაპარი ბუხრის პირას.
წუთისოფელს რას გაუგებ,
არ სცნობს კაცთა არიფანას,
რაფრაც უნდა, ისე აწყობს
თვისის ყოფის გამოცანას;

ერთ ზაფხულში, მწველი სიცხით
არაფერი გაახარა,
წყაროც დაშრა, გვალვის მხეცი
აფთარივით შემოვარდა.
თლად დეიმშა სამოსახლო,
დღე დაუდგათ გასაჭირის,
დარდს ჩიოდა ყველა თვისას,
„სხვისა ჭირი, ღობეს ჩხირი“.
ჩამოჰყარეს ყურები და...
შიმშილს მოჰყვა მძიმე ფიქრი;
ნუთუ, უნდა დაიხოცნონ...
უსახელოდ,.. არაფრისთვის?
ეს, სოფელი, რა ყოფილა...
ზოგჯერ ლხენას გიქცევს ჭირად,
გზა ხსნისა თუ, არსიდა საჩანს,
იმედიც თუ, გაგიფრინდა...
ღმერთი, როდი მიგატოვებს,
გასაჭირში არ გაგწირავს,
მხსნელს მოგივლენს ნათლის სვეტად
და ღამეულს გიქცევს დილად;
თუ, არ გძინავს სანახევროდ,
თუ არსობით არ ხარ მკვდარი,
ფხიზელს საშველს გამოუჩენს
ცდა და ალღო შეუმცდარი,
ცივ ქვაზედაც კი იცხოვრებს.
(არა დონდლო, არა მთვრალი),
არმედ მცდლი, გრძნობის კაცი
შორს ქორულებ გამხედვარი.

თავი II

ცხრა ძმაში ნაბოლარასა
ეძახდნენ ხუთკუნჭულასა,
ბოლოლა იყო, მაგრამა
ეკითხებოდნენ ჭკუასა;
სხვა აზრებ-გუმანსა ჰფლობდა,
სხვა სივრცე-დროის ბრუალსა,
სხვა ცოდო-სამართლისასას
მართავდა ტარაბუასა.
სულ, მზადა ჰქონდა სამზეოდ
ათასი გულისყურები,
ზედ სიბრძნეს ჩამოჰკიდებდა
სხვათ სიბრძნით დანაბუდებით,
გან მარტო თვალით ფხიზლობდა
გონით თვალგანაყურები
თევზთა ენაც კი უწყოდა
უტყვთა, წყლით პირგაკრულების.
რომ ნახა, უნცროსმა ძმამა,
თვის ძმათა გასაჭირები,
მათი მტირალი სახენი,
მდუმარედ დაღმეჭილები,
დასჭყივლა... რავა, კვდრები ვართ?!
მზე მიგვდის განადიმების...
გამოვეკიდოთ გზას ცდისას
დროს მდინარას, შენატივები.
მოჯამაგირედ დავუდგეთ
ვინცხას, ლუკმისა ფასადა,
თუ, არას არ გამოვრჩებით,
კაცნი დავრჩებით კაცადა,
მაძღრობა მაინც შეგვრჩება,
თუ, ვერ ვივარგებთ ვაცადა.
სთქვეს და სამზადისს შეუდგნენ,
ცეცხლი შეშასა ნაცრავდა.
მოხიკეს თუ, რამ ებადათ,
ძმათ თვისი ძონძი-ძუნძები,
გზას მოეკიდნენ უვალსა
ამ, ქვეყნის ქარაქუცები.
ბევრი იარეს, თუ ცოტა
შარა, თუ ლადა-ღუდენი,
დაუხვდათ უცხო გარემო
დაფუკეს საგზლის გუდები.
მდუმარ საუფლოს მიადგნენ;
მკვნესარ ფშანს, ბნელის ღელისას,
გასტოპეს ფშანი მდინარი,
წყალი უჟმურის ფერისა,
უღრან ტყეს გადაერივნენ,
სად იდუმალი მღერისა,
სად მშიერ მხეცთა სახითა
სიკვდილი უსაფრდებისა.
წინ დევი შემოეყარათ,
არ დოუჭირა სალამი...
საითკე გაგიწევიათ? – ჰკითხა
ცინვით და ქარაგმით,
აყრილხართ დედაბუდიან;
საჭმლით, საძილე კარავი
ზურგს მოგიგდიათ, გზას მისდევთ,
დრონ მოგდევთ, ყოველთა მპარავი.
ძმათ უთხრეს, საშოვარზე ვართ,
სხვა აპა რა დაგვრჩენია,
მოჯამაგირედ დავდგებით
მოხდეს, რაც მოსახდენია.



ჰოდა, მასეთ ხალხს დავეძებ,
მომწონს ვაჟკაცნი მცდელია,
მე მემსახურეთ... – დევმა სთქვა,
საქმე, არც ისე ძნელია.
დათანხმდნენ ძმები დევუკის,
მის სამსახურად დგომასა,
ნაჩვევნი იყვნენ ოდითგან
ბეჯითად გარჯა-შრომასა,
ალალნი იყვნენ, მიმდობნი,
მიმყოლნი ბედის ქროლვასა,
დღევანდელობა ერჩივნათ,
ხვალიზე ფიქრით ძრწოლასა.

### თავი III

ცოტა ხნით, ახლა, გავხედოთ
ამ დევის სამფლობელოსა,
მის ციხე-სადარბაზოებს,
ბაღ-ვენახს, მინდორ-მდელოსა,
მისსა ურიცხვსა საქონსა,
ცხვარ-ძროხას დაუთვლელოსა,
ცხენთ რემას იალაღებზე
უხედნავთ, დასაჭედოსა.
ურიცხვ ფრინველთა ჟივილსა,
ურიცხვ წყაროთა დენასა,
მწევარ-ბაზიერთ გნიასსა,
ქორ-შევარდენთა ფრენასა,
და ბოლოს, დევის ქალწულთა
თვალთა ვარსკვლავებრ ფრქვევასა,
რაც სასწაულია უქმნია,
იქ მოუკრიბავს ზენასა.
დევნი გარესკნელს ცხოვრობენ,
მრავალ დოვლათის მფლობელნი,
კაცთათვის გალანდულები,
ზნე-საქმით შეუცნობელნი,
მათსა ქმნილს მათსა ნახელავს
მცოდნე და არამცოდნელი,
ხედავს და მეტადა კვირობს
თუ, არს ამისი მპოვნელი.
ოდესღაც დევნი ყოფილან
გრძნობად სამყაროს შვილები,
ყოვლთ სულიერთან არსობით
შენივთულ შენაზრდილები.
რაკიღა, გონით დაბინდნენ
შექმნეს ათასი ხრიკები,
ქვეყნის შემოქმედს განუდგნენ
უძლები ბრიყვზე-ბრიყვები.
ოთხი კარი გააჩნია
ჩვენს სამყოფელს, ჩვენსა სკნელსა
ოთხი კუთხე და კუნჭული
ჩვენს მარჩენალ-მომლოცველსა.
სხვა მეხუთეს, სხვა კუნჭულით,
გახსნი, გახვალ გარესკნელსა,
ესე, საქმე ეწიფების
კაცს საზრიანს, ბედის მცდელსა.
ის დაიგდებს გმირის სახელს
ფხა-საქმენით, საკვირველსა,
ზესკნელს ავა, ზეგრძნობადი
ფრინველივით გაფრინდესა.
დევმა ძმები მიიყვანა
თვისის ზღაპრულ სამფლობელოს,
ვით, პურ-ღვინო მასპინძელი
გულუხვობს და სიტყვით ქველობს.
ხუთკუნჭულ კი დროს არ ჰკარგავს,
დარბაზთ ჩითავს, რაცხას მცდელობს,
იქ დევის ქალს გადეყარა,
უნცროსს ქალწულს, სანაქებოს.
ხუთკუნჭულ რომ დაინახა
ბნედა ეცა დევის ქალსა,
ბიჭი ძლიერ მოეწონა,
ვერც რა უქნა თავის-თავსა,
მყის ცოლობა შესთავაზა,
ფიცი სთხოვა ანაბარსა,
კუნჭლაის სამსახურად
განეწყო და გამამაცდა.
ჰე, ასეთი ბედი გინდა,
ჰე, ასეთი ქერის ორმო,
თუ, ალალი აგიფრინდა,
ვაი-ვიში აღარ მორთო,
არც პირობა დაარღვიო,
როცა ვარდი შენთვის ფოთლობს
ხამს ყოველთა გადამრჩენი
სიყვარული არის მხოლოდ.
ხუთკუნჭულთან დევის ქალი
განმარტოვდა რაცხას შფოთავს,
საიდუმლოს გაუმჟღავნებს,
ერთგულების სანაცვლოდა;
ეტყვის: ცრუობს მამაჩემი,
არ სურს თქვენი მუშაკობა,
მხოლოდ შეჭმა განუზრახავს
და შეგსანსლავთ ძილში მყოფთა.
დააპურა დევმა ძმები,
მოასვენა დარბაზს შინა,
ძმებმა ხვრინვა ამოუშვეს,
ხუთკუნჭლს კი არა სძინავს,



დარბაზის კარს შემოაღებს
დევ ცბიერი და ცალტვინა,
რაფრა ხართო, ძმანო ჩემნო...
გღვიძავთა თუ, ტკბილად გძინავთ?

ხუთკუნჭულა გამოსძახებს;
ძილს ვინ ჩივა, გვღვიძავს ისევ...
რატომ ძამა, ხელს რა გიშლით?
– ეითხება დევი მყისვე.

რა და შენი ბატებიო,
მათ გადაბმულ ყიყინს ვისმენთ –
უპასუხა ხუთკუნჭულამ,
დევის ქალის ნასწავლ ხრიკზე.
ყველა ბატი ერთიანად
დევმა სწრაფად გადაყლაპა,
გრძნობის სფერი გაასხვისა
გაბითურდა დაგლახაკდა.
ხუთკუნჭულამ ფხიზელ გონით
ჯერჯერობით დევს აჯობა,
სრულად არა, მაგრამ მაინც
სძლია ვერაგ გამოცანას.
მეორედაც იგივე ჰქმნა...
დევს სურს მძინართ დაერიოს,
ხუთკუნჭულამ გამოსძახა
– მეიწამლა ჰაერიო,
შენ ძროხათა ფშვინვა მესმის,
მყრალ ნაკელთან ნარევიო,
დევმა ყველა გადასანსლა,
დააქცია ფარეხიო.
დევი სულ თლად დეირეხვა,
დაჰყვა კუნჭუს ფარულ ხრიკებს
და ვერ მიხვდა ბედოვლათი,
რაფრა მწარერდ გააბრიყვეს.
ჭკუა-გონით გადირია,
არც რას ძიობს, არც რას ირკვევს,
ხუთკუნჭულას ხრიკზე დადის,
ლამის, გიჟად გადაიქცეს.
რა ილონოს აღარ იცის,
ძმათ ძილი არ ეკარება,
შფოთავს, ოფლად გაიღვარა,
ძილი თავად ეპარება,
კარს შეაღებს ფრთხილზე-ფრთხილად
გადახედავს ძმებს მძინართა,
ფშვინვის ხმანი ესალბუნა,
უმეტესად ხმა მხვრინავთა.
რას შობით ძმათ გენაცვალეთ,
გძინავთა თუ არა გძინავთ..?
დევი ენას იმტკბარუნებს,
ხმას ამსგავსებს ნიავთ ნიავს.
სული კბილით ძლივს უჭირავს,
ამ ქვეყანად ვინ არ სძლია,
უყურადებს, კარს იქიდან
ხმა კუნჭულის იწყებს წკრიალს:
ცხენთა ფრუტუნი გვაღვიძებს,
გრიალ გაუდის მიწასა,
მინდორს თუ, ჩხვერენ ფლოქვებით
შეაშფოთებდა მღვიძარსაც...
ხუთკუნჭულ დევს გამოსძახებს,
დევ სწრაფად გამოტრიალდა
ცხენთ დაერია, შენსანსლა,
სჭამდის თითქოს და ხმიადსა.
გონი წაერთვა უბედურს,
მთა-მდელო გადიღრიალა,
ყველა საუნჯე დაკარგა.
მხვივანმა დოვლათიანმა.

## თავი IV

სიკვდილის წყლებს ის გასცურავს
ვინც მარადის არის ფხიზლად,
ფიქრის რაშებს ვინც აგელვებს
ძალუძს ძლევა ყველაფრისა,
უდაბნოში წყალს მოიყვანს,
მადლს მოისხამს ცისას-ბრისას,
ქარს შეგაზმავს თვის ნებაზე,
მრუმე ნისლებს გადანისლავს.
დრო მიდის და დგება ჟამი,
წინ გადავდგათ ნაბიჯები,
გრძნობის გარსში გავეხვიოთ,
ვნებათ სრული გაგიჟებით,
ჩვენს სურვილებს დავემონოთ
მგლის სწრაფვა როს გაგვიჩნდების,
თავისუფალ სივრცეს ვეტრფოთ,
დღე ვიწამოთ ხვალინდელი.
ხუთკუნჭლას თვის სამოსში
გამოწყობს დევის ქალი,
დათ ტანსაცმელს ძმებს ჩააცმევს
კუნჭუს ტურფა ამორძალი,
სასახლიდან გააპარებს
ვერ, დალანდავს უცხო თვალი
ხიდს გადავლენ წყალგადაღმა
დევი რჩება ხახამშრალი,
საზღვარს იქეთ ვერ გადავა,
ვერ გასცდება გარე სივრცეს,
ხუთკუნჭულავ...! გამასწარი...!
ხიდს გასცდით და გამერიდეთ?..
კბილთ კრაჭუნით გამოსძახებს,
დევს ხმა უგავს ქვათ გამგმირე,
რაფრა მოხდა ქარაქუცათ
თვალთ დოუფსეს, გააბრიყვეს.
ხიდს გასცდნენ და გაივაკეს,
ზეგრძნობადი სივრცის მდელოდ,
როკვა შექნეს გამარჯვების,
მოიმართნენ სასიმღეროდ,



დევის უმცროსი ქალი, ხუთკუნჭულას მესაიდუმლე
და შემწე ყველა საქმეში









ხუთკუნჭულა გამოსძახებს –
ხომ მოგთხარე თვალი, დევო!
გადმოგასწარ ხიდსა, ბრძობით,
ფეხ შემოვდგი საიმედოს.
გრძნობად მორევს გადერივნენ,
დაეწაფნენ ვნების წყაროს,
დაემსგავსნენ ცისკრის ჩიტებს;
ტოროლებს და ცისწავალოს,
ქარებს გაჰყვნენ მისრაფებულს,
შემოსძახეს ქარო, ქარო!
თუ, წარსული გვქონდა მძიმე,
მომავალმა გაგვახაროს.

### თავი V

ხუთკუნჭულ და მისი ძმები
დიდ ხელმწიფეს შეეფარნენ,
მასთან ჩადგნენ სამსახურში,
შრომის მადლით გაიხარეს.
საზრიანი შრომა-გარჯით
კუნჭლ მსრაფლა განარჩიეს,
ხელმწიფემაც ბევრჯერ აქო,
ასაჩუქრეს, აპატივეს.
კაცის ასრე გამორჩევა,
ნაზინ-ვეზირთ გულთ დაესო,
ბოღმა-შურის ანათემად,
განიზრახეს ხუთკუნჭულას
გაწირვა და მოშორება,
ფარულ ზრახვით მოახსენეს
რაც ხელმწიფეს ეამება
ჩვენო დიდო ხელმწიფეო!..
ეს ქვეყანა თქვენით ქველობს
დევს რომ თხა ჰყავს გულთმისანი
თქვენს უნაკლო სამფლობელოს
კიდევ უფრო დაამშვენებს,
რომ ბეჯითობს და რომ მცდელობს,
ის მსახური თუ მოგიყვანს,
საქმესა იქმს სასახელოს.
ვინ გადავა უფლის ნებას,
ან ხელმწიფის განჩინებას
და ხუთკუნჭულს დაავალეს
ამ განსაცდლით შეჭირვება.
კუნჭულ მივა დევის ქალთან,
ქალი ეტყვის დაპირება;
„ცოლად გითხოვ, რომ მითხარი –
ძალს არს ჩვენი გარიგება?
თუ, ძალსაა, მაშინ გეტყვი,
საქმეს როგორ მოევლება
იმ თხას ხშირად დაენახვე,
ის უცილოდ აყვირდება.
ხუთკუნჭულაც ასე იზამს,
თხა ასტეხავს ალიაქოთს,
სახლს ყვირილით გააყრუებს;
„ხუთკუნჭულა რაცხას გლახობს“.
უჭკუობით შეიძლება
განისაჯე და გაილახო,
გულთმისან თხას გულთმისნობა
მოუბრუნდა სავაგლახოდ.
თხის ჩხავილზე დევმა სახლი
გადაქექა, გადმოქექა,
კუნჭულს ვერსად ვერ მიაგნო,
შეეყარა ბნედის-ბნედა,
მის ქალთან თუ იმალვოდა
ამას, რაფრა იფიქრებდა,
თხა გააგდო გომურს იქით.
გრძნეულება გაიმეტა.
ხუთკუნჭულსაც ეს უნდოდა,
იმ თხას წამსვე სტაცა ხელი,
დევს წარსტაცა გულთმისნობაც,
საქმენი ჰქმნა საკვირველი.
დიდ ხელმწიფეს მიჰგვარა და
კრებულს ნაზირ-ვეზირების
პირში ჩალა გამოავლო,
სიტყვა ეთქმის საკვეხნელი.
გულზედ გასკდნენ დიდებულნი,
შური ახრჩობთ ყოვლის მქონეთ,
ხუთკუნჭულას დასაქცევად
სხვა ხრიკები მოიგონეს;
იმ დევს ერთი ხალიჩა აქვს
მეფეს ტკბილად მიეფონნენ,
თქვენს ტახტრევანს მოუხდება,
ფერთ მუსიკით მონაქროლებს
ჯადოსნური თვისება სდევს,
ფარშევანგის ფერთა გამით
ვინც კი მასზე დაბრძანდების
ყოვლი დარდი განექარვის,
მთელ დუნიას ის დაიპყრობს,
ციურ კვერთხით, მზიურ კვართით,
ამას შესძლებს ხუთკუნჭული,
ხერხიანი ოინბაზი.
ხელმწიფებამ თრობა იცის
აგიტაცებს სურვილ-ნება
არ ანაღვლებს, ვით შეძლებენ
მის სურვილთა აღსრულებას.
დამორჩილდა ხუთკუნჭული,
რა ელონა, ან რა ექნა,
კვლავ დევის ქალს მიაკითხა



დარდიანმა მეტის მეტად.
ქალმა ხრიკი გამონახა;
გროვა მისცა მახათ-ნემსთა,
უჩუმრად, ხალიჩაზე
შესასობად, შესაყრელად.
საღამოზე, დაღალული
დევი ტახტზე წამოწვება,
ძილი უნდა, ბორგვას იწყებს,
ხან წვება, ხან წამოჯდება.
მარა წოლა ვინ აცალა,
ან ამ გვერდით, ან იმ გვერდით,
მოწრიალე დევს შეერჭო
ხან მახათი, ხანაც ნემსი.
გაბეზრდა და გაგულისდა
სიშმაგემდე, გულზე ცეცხლით
მოისროლა ფანჯარიდან
ის ხალიჩა, ვითარც ძენძი.
ხალიჩა კი ფერადების
ჰარმონიით მოქარგული
ხუთკუნჭულამ აიტაცა
ქსოვა – აზრით დახატული,
ხელმწიფესთან გააქანა
ჯადოსნური ფარდაგული
მით უფრორე თლათ დარეხვა
ვეზირთ ზრახვა ვერაგული.
მათ მშვენივრად დაინახეს,
რომ ხელმწიფის ყველა ნებას
ეს ყმაწვილი აღასრულებს
იოლად და ნება-ნება.
ოსტატურად მან შეიძლო
მეფის გულის გახარება
და თუ, რამე არ ვილონეთ,
ხვ ალ თავზედაც დაგვაჯდება.
იაზრეს და შეუძლები,
კაცთაგან რომ არვის ძალუძს,
მოიფიქრეს საშინელი,
ხუთკუნჭულას სავალალოდ;
დიდ ხელმწიფეს მოახსენეს
მოდი, კუნჭულს დავავალოთ;
ხალიჩის და თის პატრონი
მეფევ! თავად მოგიყვანოთ.
უძლებია კაცთა გული
სურვილების უსრულ ნდობით;
არ სწყინდება, ვერა ძლება
სიმდიდრით და გასართობით,
მხვეჭველობით ილარიბებს
სულსა თვისსა უფლის გმობით,
მოკვდება და მარადისად



ერთი მუჭა მიწაც ყოფნის.
მეობისთვის სხვათ სწირავენ
უგულონი უდრტვინველად
კაცადაც არ მიიჩნევენ,
არცა ულირთ საფიქრელად...

და ხელმწიფემ ამჯერადაც,
ბრძანა: „ჩემდა საამებლად
დევს აქ მომგვრი კუნჭულ ჩემო,
უცნაურ ტყვეს, ძვირფასს, მძევლად!“

თავი VI

დაგვილონდა ხუთკუნჭული...
ყოველივე დევის ქალსა

რაფრა უთხრას, მიილებს კი,
ქმნად უმძიმესს ცოდო-ბრალსა.

ქალს ეახლა დაღვრემილი,
ვერ უმჟღავნებს უგვან ფარსსა,
სახე-პირი ჩამოსტირის
და არიდებს სატრფოს თვალსა.
ქალი ეტყვის: ხელმწიფემა
ვგრძნობ მძიმე რამ დაგავალა...
და კუნჭულმაც ამოღერღა
თავს მომსკდარი საწუხარა.
დევის ქალი შეორჭოფდა,
თუმც, კვლავ ტრფობამ გადასძალა,
იფიქრა და საჩოთირო
საქმე კვაჭებრ მოაგვარა.
ეჭვიანობს დევის ქალი;
კუნჭულს მცდელი სიტყვით ბურღავს;
„ჩვენს მომავალ შეუღლებას
რამე ხომ არ დაემუქრა?..“
კუნჭულ ეტყვის: ვინ გგონივარ?..
შენ მაცოცხლებ, საქმით მკურნავ,
სოფლად დავალ მხარგაშლილი,
კაცი ვარ და ქუდი მხურავს!..“
აწ, მამაჩემს ჩემო კარგო
დურგლად უნდა მოევლინო,
იმერულად გამოგაწყობ
ალვის ტანად ამოზრდილო.
გადააცვა ტანს პერანგი
დაწინწკლულ წითლად შილო,
„ახეირეთ სადურგლენო;
ხერხო, ცულო, შალაშინო.
ტყე-ტყე იწყო სიარული,
კუნჭუმ, ბოლოს შეხვდა დევსა,
ვინა ხარო? დევი ჰკითხავს.
და რას ეძებ ჩემსა ტყესა?..
იმერელი დურგალი ვარ
ვეძებ ერთგვარ ჯიშის ხესა,
– რის კეთება შეგიძლია
ხისგან საგნის გამომკვეთსა?..
იმერლები განთქმულნი ხართ
დურგლობაში, მარჯვე ხელით,
იმისთანას რას შექმნი, რომ
იყოს, მართლაც, საკვირველი?..
მჭიდროდა ვკრავ კიდბანსა,
განა ფიცარ გასაგდებით –
უპასუხა ხუთკუნჭულამ
მტკიცედ, თავის მოწონებით.
თუ, მასეა – დევმა უთხრა;
რასაც ამბობ დამიმტკიცე
გააკეთე კიდობანი,
ტყვილად თუ, არ დაიფიცე.
დატრიალდა ხუთკუნჭული,
კიდობანი შეკრა მყისვე,
დევს მიუგო – ჩაჯექი და
ძირს და გვერდებს ფეხნი მისცხე.
ფიცარს ვერ გააგდებნებ,
ისე, მჭიდროდ გადავკარი,
დევი ჩაჯდა, ბორგანაობს,
კუნჭულ მარჯვედ, შეუმცდარი
მსწრაფლ სახურავს გადასჭედავს,
დევი ყვირის ცოცხალ-მკვდარი;
რა მიშობი! ხუფს რად ლურსმავ?
სიტყვა გეთქმის საქებარი.
მიტომ, რომ არ გადმოვარდე,
მსურს შინამდე მიგიყვანო,
ზურგს მოგიგდებ კიდობანს, რომ
ფეხის სვლით არ გადიღალო.
დევი დაჰყვა ამ ცდუნებას
ეტყობა რომ ბედი სწყალობს,
კუნჭულ ბეწვის ხიდს გადავა
ხარბ ხელმწიფის სავალალოდ.

## თავი VII

სასახლეში წრიალია,
სასწაულებს ელიან
ზოგთათვისა ტყვე დევუკი
ძნელად დასაჯერია...
ზოგს კლავს ცნობის წადილობა,
ცმუკავს გიჟობს ხელია,
დევი თვალით არ უნახავს,
სურს, რაც სანატრელია.
და ცდუნების მოლოდინი
ალბათ მალე მოხდების,
დატეხილ ჭირს რა გამოლევს
დუღილია ქოთნების,
ცაში ძერა დანავარდობს,
ელვაც შენაშფოთები,
ქარი ავად ატეხილი
მრუმე ღრუბლებს მოდენის.
კაცნი მძიმედ ბოლთას სცემენ,
ვიშვიშებენ ქალები,
ბოროტება დაინაცროს,
არ არს შესაბრალები.
წუთი-წუთზე იწელება,
გრგვინავს ელვის ხრმალები,
ბედისწერა თვალებს ხუჭავს
დროის გარდაცვალებით.
ასეთია ეს ცხოვრება
წუთისოფლის ბუნება!





უეცარად მზე ჩაქრება,
ცანიც დაიბურება...
და სატანურ ძალის ნატრულთ,
მათი ხილვის მსურველთა
კარგი დღე არ დაადგებათ,
ცუდად მოუბრუნდებათ;
კიდობანს როს თავს ახდიან
დევი აეყუდება,
მრისხანებით იღრიალებს
სივრცე გადაყრუვდება.
ბნელი ძალა გაცოფდების,
სკნელში შემოსულია
ბოროტთ დაფლეთს გაშმაგებით,
ბოღმით გაბასრულია,
ყველაფერი დაინგრევა
მორთულ-აღკმაზულია
ბევრი კვანძი გაიხსნება,
ტანჯვით გასკვანჭულია.
კარ-მიდამო სასახლეთა
უცხოდ მოხატულია
დევის ულუფა გახდება,
ციხით დაგმანულია.
ხელმწიფეს და ნაზირ-ვეზირთ
დევ შესანსლავს სრულიად
და ურჩხულად გაცხადდების
ეშმა გალანდულია.
ზღვა ვნებანი დაიოკა,
დევი ოდნავა ცხრებაო,
ხუთკუნჭულ თუ ვერა ნახა,
კვლავაც გადირევაო.
ხუთკუნჭულა ალბათ სადმე
თაგვებრ იმალებაო,
იპოვნის და გადასანსლავს
ჭირს ვერ გადურჩებაო.
– ხუთკუნჭულავ სად ხარ ძამა..?
მეტად ვკვირობ შენს ქცევასა.
– „მარილქვითა ამოვფრინდი
დიდი ჭადრის ხის წვერასა“..
– ჩვენი გმირი ჩამოსძახებს
ქორთ ვასწრებდი ფრენ-ფრენასა,
თუ შენც გინდა იგივე ჰქმნა
მიენდ განგების ნებასა.
ხის ძირს დაწექ გულით აღმა,
მე დავუშვებ მარილქვასა,
ჰოპლა ჰქმენ და ამოფრინდი,
აქ შევხვდებით გარიჟრაჟსა.
შურისგება, ზოგჯერ ბრმაა,
უკუ ავლენს დარისხვასა,
დევი წვება გულაღმა და
ელის ბედის ქარიშხალსა.
ჩვენი კუნჭულ არ აყოვნებს,
მარილის ქვა იწყებს ფრენას,
ქვა ეცემა დევსა მკერდზე
წყდება მისი გულისძგერა;
ქვა იყო და ქვადვე იქცა,
ახდა მისი ბედისწერა,
მზემ თვალები დააჭყიტა,
ცამ პირჯვარი გადიწერა.
ბრმათ თვალები აეხილათ,
ძილ გაექცათ მთვარეულებს,
ბრიყვნი იქცნენ ჭკვიანებად,
ძუნწნი, უჭმელ-ჩახეულებს
ალალ ლუკმას მიაწვდიდნენ,
ასაქმებდნენ მზარეულებს,
ეს მშივრები გამოგვიძღეთ
ღვინო-პურით დაეუფლეთ.
და რაც უკუ იბრუნვიდა,
წაღმა იწყო აწი ბრუნვა,
ბევრი ჭირი სიკეთის ქმნით
მოიშთო და განიკურნა,
მკვდრად მყოფელთაც გაიღვიძეს,
ცად ღიმილი აიბურთა,
ბნელი ნათლით შეიცვალა,
უპოვარნი გადიდგულდა.
დევის უნცროს ქალს კუნჭული
აუხდენს ნატვრას სრულიად,
ცოლად მოიყვანს, სამეფოც
სიმდიდრით არნახულია
მის მეფობის ქვეშ იმძლავრებს
ერთგულ ყმით შემორტყმულია,
ერის და ბერის მცდელობით
იმრავლებს ჭირნახულია.
სვა ძმანიც იქორწინებენ,
შეირთვნენ დევის ქალებსა,
იმ დევის ავლა-დიდებას
ძმან სრულად ჩაიბარებსა,
მათ ნაზირ-ვეზირობასა
კუნჭულ ხელმწიფე ბრძანებსა,
ღარიბ-ღატაკთა შემოსვენ,
უბოძვენ საბოძვარებსა.
დიდი ქორწილი იქნება
ერთურთის ლაციც-ფერობა,
ცხენთა ისინდი, მარულა,
ფართ ცემა, ხმალთა მღერობა.
ცეკვა-თამაში, ფერხისი,
ტანთ როკვა დამამშვენოდა,
ისეთ გაბმულსა იმღერდნენ,
ხმები მიჰქონდათ წეროთა.
მშვიდობით გალაღებული
თხა მგლის სურვილით ბნდებოდა,
ერთად მისძოვდნენ საძოვარს,
ზეცანი გადმოსცქეროდათ.





ეპილოგი

დამარცხდნენ ბნელი ძალები,
შური განერთხო მიწასა,
სიხარბე გადაიკარგა,
ძულვაც – ცისა და ბრისასა,
განქარდნენ... სიყვარულით და
სიკეთით დასაფიცარსა
ერთობას მხარი აუბეს,
ძმა, ძმობას სწევდა ძმისასა.
მთვარე ვიდოდა ზეცაზე,
მზენიც დღისა და ღამისა,

ვარსკვლავნი მოჟიკჟიკენი,
ვით ანგელოზნი ძალისა
საერთო ფერხულს უვლიდნენ,
ბახუსიც ნალვერდალისა
ღვინის ქარვაში როკავდა,
ვით გამარჯვება ხვალისა.
ბოროტნი ქვესკნელს დაინთქნენ,
ქატო იქ, ფქვილი აქანა,
ღვთაების ლოცვა-კურთხევით;
ჭირი იქ, ლიხინი აქანა.

*წერას შევუდექი 26 ივლისს 2016წ.*
*და დავასრულე 9 ოქტომბერს, 2016 წ.*



მზეგული ტყეშელაშვილი

## მეცაგრამები

1.

სამი ასოსგან შემდგარი,
დედმამიშვილის სახელი,
ყველა მიხვდება, რაცაა
იმერელი თუ კახელი...
„მანი“ „ნარით“ თუ შეცვალე,
მეტი რა უნდა ვთქვა...
წავალ და შევკრავ, მინდორში,
საქმე აღარ მაქვს სხვა. (ძმა, ძნა)

2.

ბალიშზე თავი რომ დადე,
ძილისპირულიც ისმინე
და რა მოგგვარა – პასუხი
შენ უნდა მითხრა ირინე.
სიტყვის პირველი ხმოვანი,
მსურს შემიცვალოთ „ანი“-თა,
რაც გვსურდა, გამოგვივიდა,
აჰა, ვასრულებ ამითა. (ძილი, ძალი)

## კოდალა

ხეს ნისკარტით ვუკაკუნებ,
ამ მეთოდით მთელ ტყეს ვკურნავ,
ექიმი ვარ, სტაჟიანი –
მოვარჩინე პანტა, ხურმა!
თქვენც ხომ გიყვართ ტყის ჰაერი,
სოკოსა და შინდის კრეფა...
ჰოდა, ნურც გამოგვილიოს,
ტყეში, რკო და მწიფე კენკრა!
2016 წ.

## მამალი

თავს მიმშვენებს სავარცხელი, კოხტა,
ვყივი, ყელი მეტკინება, თუ რა?!
სანამ ვარ კრუხ-წიწილას შეფი,
რას დაგვაკლებს მელია და ტურა!
დეზები მაქვს და კისერი გრძელი,
არ მოვყვები ახლა თავის ქებას...
თუ ვიპოვი მუჭა მარცვალს, ვფიცავ,
კეთილი ვარ – და ვურიგებ ყველას!
2016 წ

## ანაგრამები

1. აბა, სარწყავად რას თხრიან,
მიხვდე და მითხრა იქნება,
მერე... თანხმოვნის გადასმა
სულაც არ გაგიჭირდება.
ცხოველს მივიღებთ, შინაურს
ოთხი ასოსგან შედგება. (არხი, ხარი)

2. ქალაქის ან სოფლის
კუთხე გვინდა ერთი,
ორ ასოს გადაანაცვლებ,
არ დაგჭირდება მეტი...
წითელი ხილი მივიღეთ,
კურკიანი და სარგო,
ისეთი სასარგებლოა...
მითხარ სახელი, სანდრო! (უბანი, უნაბი)

## ტყუპები

უხარია ძიამიშას,
ამბობს: აწი რაღა მიშავს,
ჩვენმა ჭრელამ გააჩინა,
ტყუპი ხარი: ლაბა, ნიშა!
ტკბილი წყალი რომ შეასვა,
ჭრელას ეუბნება ბებო:
ბევრი უნდა მოიწველოთ
და ტყუპები კარგად ჰკვებო!
2016 წ.

## წიგნი

თუ გინდა რომ ყველას,
ჰქონდეს შენი რიდი –
შეიყვარე კითხვა,
შეიყვარე წიგნი!
მეგობრობა იცის,
ერთგულია მუდამ,
და ამგრძნობას,კ არგო,
გაფრთხილება უნდა!
შენი ჰობი თუა,
ბევრი წიგნის კითხვა,
მიზნისაკენ სწრაფად
და იოლად მიხვალ!

2016 წ.

## დახატოს?!

რთველში რომ პაპას ვეწვიეთ,
მშობლებმა უთხრეს მამაჩემს:
ამ ერთი ბავშვის ამარა –
ღმერთს ვევედრებით, არ დავრჩეთ!
როცა სოფელში ჩამოვალთ,
ყველა ამაზე კამათობს...
თუ წერო ბავშვს არ მოუყვანს,
დედამ და მამამ დახატოს?!

2016 წ.

## ზღარბო

ზღარბო, ბურთივით მრგვალო,
მუქი ჩაგიცვამს ქურქი;
ყაიმით დამთავრებულა –
შენ და ბომბორას ჩხუბი!
გიყეფდა მთელი ღამე,
დილით ითხოვა ზავი,
შენც გაეცალე მსხლის ძირს
არ გამოიდე თავი!

2016 წ.

## გამოცანები

1. გოგონაა ზღაპრის გმირი,
უყვარს დედა, ბებია...
ტყეში მგელი შეეყარა,
თურმე შეშინებია.
ვინც მის სახელს ვერ მიხვდება,
განა თქვენში ბევრია? (წითელქუდა)

2. ცოცხზე უყვარს შემოჯდომა,
ისიც მხოლოდ ზღაპარში,
სიტყვა „ქარი“ ფიგურირებს
მის სახელში, თუ... გვარში.
პასუხს ველი, მჯერა შენი,
ხარ ნიჭიერი ბავშვი...
მგონი კიდეც გამოიცან,
დავასრულოთ თამაში.(ჯადოქარი)

სახალისო გრამატიკა

1. ენაში რომ შეისწავლის,
იქ არსებულ ბგერებს,
თქვი, რა ჰქვია, მიპასუხე,
შეგაქებენ მერე. (ფონეტიკა)

2. სამი რომ არის ქართულში,
მოქმედების აღმნიშვნელი,
სამი ასო მოიმარჯვე,
გამოიცან – ხარ პირველი. (დრო)

## სახალისო არითმეტიკა

1. თეთრმა იხვმა გამოჩეკა,
ორჯერ შვიდი – თუ კი,
ჭრელს რამდენით უჯობნია,
თუ ჰყავს ოცი ჭუკი. (ექვსით)

2. სულ თვრამეტი კანფეტი აქვთ,
სოსოს, თეას, ლედის,
თქვი: როგორ უნდა გაიყონ,
რომ არც ერთს შეხვდეს მეტი? (ექვს–ექვსით)

**„მეზღაპრე“ ლალი კახიძე**



# ნატვრისთვალი

## „ზღაპარი“

ზღაპარი იყო ზღაპარი იყო და არა იყო რა: ულრან ტყეში ცხოვრობდა მგელი, რომელიც ძალიან საშიში იყო. ის იყო დაუნდობელი არავის ახარებდა იმ წუთში გლეჯდა და მაშინ კი თვითონ ხარობდა. ერთ მშვენიერ დღეს მიდის მგელი ახალი ნადავლის საშოვნელად შეხვდა მატყუარა მელაკუდა.

– მგელო საით გაგიწევია?

– საკვების საშოვნელად, მინდა დავაპურო ოჯახი.

– წამოდი ერთად ვიაროთ მე კარგი ფეხი მაქვს და ნახავ რა კარგი დღე დაგიდგება.

მართლაც წავიდნენ იარეს იარეს და შემოხვდათ კაჭკაჭი. ნისკარტით „ქვას“ ჩასჭიდებია ეს ქავა ანათებს საოცარი რამ არის: მელია ხომ ძალიან ეშმაკუნაა და იმ წუთში მიხვდა, რომ ეს ქვა უბრალო არ იყო. გაიფიქრა:

– ეს ხომ ნატვრის თვალია?

შესძახა აღელვებულმა კაჭკაჭს.

– კაჭკაჭო ეგ რა არის? შენ რად გინდა? დამითმე. მე ქალი ვარ და ბეჭედს გავიკეთებ. კაჭკაჭმა დაუთმო ქვა – რა იცოდა რას თმობდა?

– ჩემგან საჩუქრად მიიღე ჩემო ძვირფასო მელაკუდა.

გაიხარა მელიამ. იცის ამ ქვის მნიშვნელობა რასაც ინატრებ აგისრულდება. ეხლა უნდა როგორმე მგელი მოიშოროს, რომელიც არც ისე ადვილია. მოიფიქრა უცებ – აბა რის მელაკუდაა...

ჩასძახა თვალს ნატვრისას – გთხოვ ცხვრის ფარა შეგვახვედრე. მართლაც გამოჩნდა ცხვრის ფარა – მგელს აენთო თვალებში წითელი. გავარდა და დაერია საცოდავ ცხვრებს კარგად რომ გამოძღა ერთი დიდი ცხვარი ზურგზე მოიგდო და გაუდგა გზას სახლისაკენ თან ფიქრობდა:

– მელიას რა კარგი ფეხი ქონია, რა იცოდა ფეხი კი არა რამხელა განძი ჩაიგდო ხელში.

აგერ წამოწოლილია მელაკუდა და ფიქრობს ეხლა რა სთხოვოს „ნატვრისთვალს“. უცებ ძალიან შორს წავიდა ფიქრებში და სთხოვა:



– ნატვრისთვალო, გთხოვ, ერთი კარგი, დიდი ფერმა მინდა ქათმების. მეც გავიხარო და ქალაქშიც გავგზავნი რათა ხალხმა გაიხაროს მარტო ჩემთვის არ ვიზრუნებო.

მართლაც შეუსრულდა მელაკუდას სურვილი უზარმაზარი ქათმების ფერმა. მელია კი დირექტორია. მოკლედ მელია არ გამოდგა ძუნწი. ყველას ეხმარებოდა – ტყეში არავის შიოდა. ტყე ყვაოდა. ქალაქსაც ახარებდა უგზავნიდა: დაკლულ, დასუფთავებულ ქათმებს.

ყოველ ღამე ნატვრისთვალს სთხოვდა:

– ქალაქსა და სოფელში, ტყეში მთაში ყველგან ჩემს სამშობლოში, მშვიდობა, ბედნიერება, ხვავი ბარაქა მიეცი ჩემს – ქვეყანას, მართლაც დილა თენდებოდა და ქვეყანა რომელსაც საქართველო ქვია ყვაოდა.

გაიხარეთ იდღეგრძელეთ ჩემო ძვირფასებო.



# მწყემსი ბიჭუნა
„ზღაპარი“

ზღაპარი იყო ზღაპარი იყო და არა იყო რა... კახეთის ულამაზეს კუთხეში, სადაც მთები ჯაჭვივით გადაბმულან ერთმანეთში, ეს ხელოვნების ნიმუში საოცარი სანახავია. სინამდვილეს კი არა მხატვრის შესრულებულ პეიზაჟს უფრო გავს ეს ულამაზესი მთები.

ამ მთების შვილი პატარა ბიჭი ზალიკო მწყემსავს ამ მთებივით ულამაზეს ცხვრის ფარას, სადაც უამრავი ბატკანია. ბატკნებს წითელი და ცისფერი ბაფთები ამშვენებს.

ზალიკო ფანტასტიკურად ამღერებს სალამურს მას მეტსახელად „სალამურა“ შეარქვეს.

როდესაც ზალიკო სალამურზე უკრავს თითქოს მთები მუსიკას ყვება და ირწევიან ბატკნები, ცხვრები და სიხარულით კუნტრუშობენ. ხან მღერიან ხან ცეკვავენ, არის დიდი ხალისი ამ ყველაფერს როგორც ყოევლთვის აკვირდება „მეზღაპრე“ სიხარულის ცრემლსა ღვრის.

იმდენი სიხარული აქვთ ტყეში ფრინველ-ცხოველს, რომ საღამოს მშვიდ ძილს მიეცემიან და სიზმრებში დიდ ნეტარებაში არიან.

მაგრამ... . ერთ ღამეს ფრინველ-ცხოველმა, რომ მიიძინა მოხდა სასწაული. მგლების ხროვა შემოესია ამ უწყინარ ადგილს მთაში. დაიწყეს ცხვრების ხოცვა-ჟლეტვა.

ხმაურზე ზალიკოს გამოეღვიძა. სტაცა თავის სალამურს ხელი და ააკვნესა. თვითოეულ ბატკანთან მივიდა, სალამურმა სათითაოდ შეისრუტა ბატკნები. ჯადოსნური სალამური უცებ თეთრ რაშად გადაიქცა. შეახტა ზალიკო რაშს, რომელმაც ის ცაში აიტაცა. ძალიან შორს ცხრა მთას იქით გადაისროლა. ასე გადაარჩინა ზალიკომ თავის ბატკნები.

ერთ-ერთი ოკეანის ნაპირზე, რომელსაც მარჯვნივ უზარმაზარი მთები სარტყელივით შემოკვროდა აი აქ დასახლდა ზალიკო თავის ბატკნებით. ისევ ხალისობენ და ამღერებენ თავის სალამურს.

„მეზღაპრე“ – ჩემს უწყინარ ოჯახს ცუნამმა გადაუარა. მე კიდევ მივსდევ ამ ცუნამს კისრისტეხვით და ნაპირის მაგივრად შუაგულ ოკეანეში ამომაყოფინა თავი. ოკეანეში კი მთასავით ზვიგენი შემომხვდა. კუდი ისე მომცხო საჯდომზე, რომ უცხო – ქვეყნის ნაპირზე გადამისროლა. თვალი, რომ გავახილე სრულიად სხვა სახეები ვიხილე. ნეტა რომელ ენაზე ლაპარაკობენ? გავიფიქრე ჩემთვის. ერთი სიტყვით ვერ გავიგე. იმას კი მივხვდი, რომ ახალი ცხოვრება ახალი ფურცლიდან უნდა დამეწყო.

მიუყვება „მეზღაპრე“ ოკეანის ნაპირს ჩაფიქრებული, დადარდიანებული. არც ნათესავი, არც მეგობარი, მხოლოდ უცხო ადამიანები, გაყინული გაოცებული სახეებით. უცებ ნაცნობი მელოდია შემოესმა. გაოგნებულმა გაიხედა და რას ხედავს? აგერ ზის პატარა ბიჭუნა, რომელიც სალამურს აკვნესებს, ეს ხომ ზალიკოა? უცებ გაიქცა, წინ დაუდგა: – ზალიკო, ზალიკო შენ ხარ? ჩემო ბიჭუნა? ზალიკო სხარტად წამოხტა ფეხზე და გადაეხვია „მეზღაპრეს“.

ისინი ამ შორეულ უცხო მიწაზე დიდმა უფალმა შეახვედრა. „მეზღაპრემ“ გადაწყვეტილება მიიღო: – ზალიკო ვბრუნდებით სამშობლოში.

ზალიკო არც კი დაფიქრებულა უცებ შეკრიბა თავისი ბატკნები და გაუდგნენ გზას სამშობლოსაკენ. სალამური არ გაჩერებულა მთელი გზა გუგუნებდა. გადაიარეს მთები, ზღვები და... აი სანუკვარი სამშობლოც.

უამრავი ფრინველ-ცხოველი ზარ-ზეიმით დახვდა დაკარგულ ზალიკოს და ჩვენს „მეზღაპრეს“.

თუ კი რამეს მოინდომებ აუცილებლად შეგისრულდება, ოცნებები სრულდება, მთავარია გქონდეს იმედი.

ტკბილ ძილს გისურვებთ „მეზღაპრე“.

# თარგმანები



მაყვალა გონაშვილი

## პოემა

### მარ ბაჯიევი

### ესე ამბავი თურქესტანის განთავისუფლებისა ჩინელი დამპყრობლებისგან

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3, 4, 5 ტომსა და
ჟურნალი „ათინათის“ №№ 18, 19, 20, 21, 22 ნომრებში

ნატრულ ცის ქვეშ ყირგიზები
შორეული ალტაიდან,
როგორც სამი ნიაღვარი
მოდიოდნენ სამი გზიდან.
გრიალებდა დობულბასი,
ცისკენ სწევდნენ ალამს ყირმიზს
სიკვდილი ან გამარჯვება
გულს ეწერა ყველა ყირგიზს.
რაზმს მანასი მიუძღვოდა,
მიფრინავდა გამალებით,
და ფლოქვების თქარა-თქურზე
ირწეოდა ტრამალები.
ფარ-შუბები, ბასრი ხმლები,
რაღა უნდათ მხედრებს მეტი?
ყაზახ კოკჩეს უმშვენებდა
მხარს ჩუბაკი ნოიგეტი.
თურმე დედით ყალმუხია,
უშიშარი – ხან ეშტეკი.
ყანგაელი ვაჟკაცია
ღონით ქებული კელდიკე
მონღოლ ჟაი-ხანას აქებს,
ყარა-ყალპაკი ბერდიკე.
ყირგიზების მეგობარი
უძლეველი ჟამგირჩი,
მშვიდობის მოსაპოვებლად
მან ძნელი გზა აირჩია.
ათი ათასი მებრძოლით
მოიჩქარის ურბეი-ხანიც
ერთად ამდენი დევგმირი
არის კარგი სანახავი...
წინაპართა წმინდა დროშა
ლაღად აფრიალდა ქარში,
ყველა ერთსა ნატრობს გულით,
რომ დაბრუნდეს თურქესტანში.
რომ დაიხსნას ტყვეობიდან
მშობლიური მთა-გორები,
საარაკო მიწა-წყლიდან
რომ განდევნოს დამპყრობლები.
მდინარე ილი გასცურეს,
განვლეს ველი ყარაკალა.
მეომრებო, თქვენ სიმხნევეს
დიდება და ბარაქალა.
უფლის ცრემლი – ისიქ-ყული
ზღაპრად თქმული, თვალით ნახეს,
მდინარე ტუპი – გატოპეს,
ჟერგალანი გადალახეს.
თითქოს შევარდნები იყვნენ
ცხრა მინდორი გადასერეს,
ბოლოს ბოომის ჭალებში
ჩამოსხდნენ და შეისვენეს.
მოხუცმა კოშოიმ მანასს
უთხრა: –„აკიმ რჩევას გკადრებ,
კარგად ვიცი, ეს ხეობა,
ამ კუთხეში დავიბადე.
აქ, მდინარის სათავესთან
გასასვლელი ვიწროვდება,
ცბიერია აკბეშიმა,
ხევის პირას დაგვიხვდება.
ჩვენც ვიხმაროთ ეშმაკობა,
სანამ მტერი მოვა გონზე,
მოვერიდოთ ამ ხეობას
გზა განვაგრძოთ ციცაბოზე.“
მიაღწიეს უღელტეხილს
საცალფეხო გზაწვრილებით
თან ლაღობენ, თითქოს ლხინში
მიდიოდნენ ყმაწვილები.
მალე ბინდიც ჩამოწვება,
ჯარს სიფრთხილე მართებს მთაზე,

ღამდება და ფერმკრთალდება
უნაპირო სილამაზე.
ვინ განაგებს ზღაპრულ მხარეს?
ნაგვირისტებს უფლის ხელით?
ერთი ჩინელი სატრაპი,
აკბეშიმა, ჩუს მმართველი.
ის მანასის დატყვევებას
ჩუმად, ფანდით აპირებდა,
მსროლელები გადამალა
წყალუხვი ჩუს ნაპირებთან,
მტერს მთის ძირას ელოდა და
ერ-მანასი იყო მთაში,
თვით გაება აკბეშიმა
თავის დაგებულ ხაფანგში.
რჩეულ ლაშქარს ჩუს მმართველი
მოელოდა სულ სხვა გზიდან
თავს დაატყდნენ მეომრები
თითქოს ზვავი მოწყდა მთიდან.
თითქოს დელგმა, ნიაღვარი
ხეობაში ჩამოვიდა,
ნეტავი მას, ვინც ცოცხალი
თავს დააღწევს ამ ომიდან.
კვნესის, ოხვრის და ყიჟინის
ხმა ზეცამდე ადიოდა.
ფარ-შუბებს და ფოლადის ხმლებს
ნაპერწკალი გასდიოდა.
ამაოდ უხმობდნენ მშველელს
უმოწყალოდ დაჭრილები,
სისხლის წვიმებს დაენამა
ალატოოს ველ-მინდვრები,
რამდენ ცოდვას ფარავს ზეცა,
მიწა რამდენ ტანჯვას იტევს,
აკბეშიმის მთელი რაზმი
ამოხოცეს, ამოჟლიტეს.
ერ-მანასის მეომრებმა
გამარჯვება იზეიმეს.
რაც ერთისთვის ლხენის დღეა,
მეორესთვის – სიმწუხარის.
ვით დაჭრილი მეომარი
ძირს დაეცა დროშა ხანის.

. . .
როგორც იქნა ირიჟრაჟა
და გათენდა ცოდვის დილა,
ცამ იგლოვა მოკლულები
და ქარის ხმით დაიტირა.
მეომრებმა მტერ-მოყვარე
დაწვეს, ვინც კი ეგდო ველად,
არ დატოვეს ყვავ-ყორნების
საჯიჯგნად და საკორტნელად.

შეაგროვეს ფერფლი ერთად,
გაატანეს წყალს მდინარის,
საწყალთ მიწაც არ ეღირსათ
მშვენიერი თურქესტანის.
ძველად ზღაპრულ თურქესტანში
როგორც მოყვარული ძმები,
ერთმანეთის ლხინს იყოფდნენ
ყაზახები, ყირგიზები.
ერთმანეთის სანუგეშოდ
ღია ჰქონდათ გულის კარი,
იქ ცხოვრობდა თურმე ერთ დროს
მოდგმა ხანის, ყარაკანის.
ყარაკანის შთამომავალთ
რა ქალაქი აუგიათ,
შემოურტყავთ გალავანი
ქვაფენილი დაუგიათ.
ვინც კი ნახავს ზღაპრულ ტაშკენტს
ენა დაეღლება ქებით,
ორ საუკუნეს გაუძლო,
მყარად ნაგებია ქვებით.
თურქესტანის მშვენებაა
დედოფალი ქალაქების.
ჩინეთის მძიმე უღლისგან
ძლიერ დაიტანჯა ხალხი.
ტაშკენტ ქალაქს განაგებდა
ყანგაელი ფადიშაჰი,
დილით მოვარდა შიკრიკი
ებმებოდა საწყალს ენა,
პანუსს თვალს ვერ უსწორებდა,
ბოლოს ასე მოახსენა:
– შემინდე და მაპატიე,
თუკი გამცნობ ამბავს ავსო,
რა საზარი ომი იყო,
ლამის წამეკვეთოს სასო,
რაც მე ვნახე, გეფიცები
არ უნახავს კაცის თვალსო,
ხანო, მალე უფლის რისხვა
დაგვატყდება ვიცი თავსო.
ჩვენ სიკვდილი ბასრი ცელით
მოგვდგომია უკვე კარსო,
ერ-მანასის მოდის ურდო
ღვარ-ცოფივით წაგვლეკავსო...
ბორგავს პანუს ფადიშაჰი
ბრაზით თვალი უთამაშებს,
მმართველები მეგრიმ, მერკე
მოიწვია ხანმა ტაშკენტს.
შამინ-შა და დოობოგიც
სასახლეში დაიბარეს,
გულზე ცეცხლი მოსდებიათ
გველაძუა, ზვიად ხანებს.

ითათბირეს, იკამათეს
გაიკრიფნენ ლამის ენად,
დიდი ჯარი შეაგროვეს
ჩუის ველზე საბრძოლველად.

. . .
კოკეტეის ეკუთვნოდა
ჩირიჩიკის მთა და ველი,
სიბრძნის უხვი წყარო იყო,
შორსმჭვრეტელი, მჭერმეტყველი,
მას საკუთარ ჭირად უჩნდა
ხალხის დარდი, გასაჭირი.
თავად ესენ-ხანისაგან
კოკეტეის ერგო ჩინი.
ჩირიჩიკის განაგებდა
სამართალით, განა ძალით,
მტერ-მოყვარე, ყველა, მოხუცს
ექცეოდა რიდით – კრძალვით,
ერ-მანასის გამარჯვება
რა შეიტყო კოკეტხანმა,
ვერ დაფარა სიამაყე
ბრძენმა გულით გაიხარა.
გადაწყვიტა, თავის ჯარით
მანასს ზურგი გაუმაგროს
გულით უნდა, ყირგიზები
ახეიროს, რამე არგოს.
სურს, ჩინელებს აღარ მისცეს
სითავხედის აწი ნება,
და ცხვირიდან ძმრად ადინოს
თავის ხალხის დამცირება.
ნატვრა ცასთან გვაახლოვებს,
ტანჯვის გზები დიდებასთან,
შეიკრიბნენ მეომრები
ჩუის ქვედა დინებასთან...
პანუს ჯარი მანასისზე
დიდი არის ერთი ასად,
დააბნელა მთელი ველი,
ხევის ყელი გადარაზა.
დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას
ახმაურდა უცებ დოლიც
და დაიწყო დიდი ბრძოლა
სასტიკი და დაუნდობი.
როგორც სამი საუკუნე,
როგორც ავი ბედისწერა,
სამი დღე და სამი ღამე
უსაშველოდ გაიწელა.
მანასს ალყა შემოარტყა
მეოთხე დღეს პანუს ჯარმა,
რა წითელი ღრუბლებია,
ცას რა ჯანღი მოეჯარა.
ჩუის ველზე ომის ღმერთი
ციდან სისხლის წვიმებს უშვებს,
დაჭრილია თითქოს ზეცაც
და ჭრილობებს ვერ იშუშებს.
უსათუოდ გვეშველება,
თუკი არის უფლის ნება,
კოკეტეის მხედრიონი
ბანაკს ჩუმად ეპარება.
არ ელოდნენ ჩინელები
მოხუცისგან მახვილს ზურგში,
გაიპარა პანუს ხანი
თავხედი და ბაიყუში.
გადარჩენილ მანასს ბრძენმა
უთხრა, გამცნობ, თუ რა მინდა,
ჩემი ქვეყნის დამპყრობლები
გავაძევოთ თურანიდან.
ბრძენს მანასმა მოახსენა:
– კოკეტ ხანო, სალამიო,
ვაფრიალოთ ტაშკენტის თავს
თურქესტანის ალამიო,
ამ მიწისთვის ჩვენი სისხლი
დაე, იყოს ალალიო,
ჩვენს ძმობაზე უწმინდესი
ქვეყნად ძმობა არ არისო.
მოიყარა კრძალვით მუხლი
ეამბორა, როგორც მამას,
განშორების ჟამიც დადგა,
ევედრება ბრძენი მანასს:
გმირო, მალე დაგვიბრუნდი,
ერთად ვიყოთ ჭირშიც, ლხინშიც
ერ-მანასი თავის ჯარით,
გააცილა ალტაიში.
რა ურყევი კავშირია,
რა დიადი ძმობა არის,
ერთი გმირი – ახალგაზრდა,
და მეორე აღსაკალი.
მათ წინაშე მორჩილებით
გაიხსნება ყველა კარი.

**ყირგიზების ალტაიდან სამშობლოში დაბრუნება**

როგორც იქნა, ყირგიზებმა
მიაშურეს მშობელ მხარეს,
საგვარეულო დროშები
ქარში ლაღად მიფრიალებს.
დაუტვირთავთ აქლემები
რა სიმდიდრით, რა ქონებით,
წინ ბალღები გარბიან და
უკან მისდევთ საქონელი.

ღმერთმა გზები დაულოცოს,
ცამ სიუხვე დაათოვოს,
იჩქარიან ყირგიზები
ალტაიდან ალა-ტოოს.
სადაც დიდი წინაპრების
ხის აკვნები გადაირწა
და ჭიპლარის სისხლის წვეთი
ეცემოდა მშობელ მიწას.
უჩ-არალის გავლეს ველი
ჟერგალანი გადაცურეს
კაფეს გზები გაუვალი,
მკლავი გაიმამაცურეს.
სარ-ოზონი გაიარეს
მზე მთებს იქეთ გადიწვერა,
ფერდობებზე შეფენილა
ბუერა და ვაციწვერა.
ჭიკჭიკებენ ჩიორები,
ცის ლაჟვარდში ირევიან,
ყვავილებით მოჩითული
ველები და მინდვრებია.
მიწიერი სამოთხეა,
მისი დარი სხვა სად არის,
და ანკარა წყაროებად
ჩაუშლია მთას დალალი.
დიდ-პატარას, ყრმას თუ მოხუცს
სამშობლოსთვის უცემს გული,
შეყორნისფრდა ცის გუმბათი
ვარსკვლავებით დაწინწკლული.
აზრიალდნენ კოცონები,
დაიძინეს პატარებმა.
არსად მტერი – ავის მდომი,
არსად უცხოს ჭაჭანება.
დაიფარავს ყრმას თუ მოხუცს,
აჩრდილები წინაპართა,
დილით ხანი ერ-მანასთან
შესახვედრად გაემართა.
ხან კოშოიმ გაიხარა
ყირგიზებთან მასლაათით
და სახეზე უთამაშებს
სიხარულის ათინათი.
„სამშობლოა ჩვენი მზე და
ჩვენ სხივები ნათელ მზისა,
ფესვით ფესვზე ჩახლართული
ორი შტო ვართ ერთი ხისა.
გვეყო ტანჯვა-დამცირება.
მტერი აღარ გავაცინოთ,
ერთურთს მიეცეთ ყველამ მხარი,
მწარე ბედი ავიცდინოთ
დაივიწყეთ ლტოლვილობა
სავალალო, საწუხარი,
ერთ დიდ ურდოდ შეიკარით
აირჩიეთ ერთი ხანი.
პირველობა შვენის მანასს,
ჩემგან ან რა გესწავლებათ,
ხანად იგი აირჩიეთ
ასეთია უფლის ნებაც.
სადაც ოქროს ველი არის
და მდინარე ტალასიო.
ყირგიზების დედაქალაქს
ააშენებს მანასიო.
იქ დაიდგას ოქროს ტახტი
იქ მიხედოს ქვეყანასო,
მე ამ მიწაზე დავიცავ
კატაგანების მოდგმასო.
კოშოი ხანს ბრძენს და კეთილს
აკბალტხანმა მისცა მხარი,
მოუწონა სიტყვა-რჩევა,
ნაფიქრი და ნაუბარი,
უთხრა დასტურ, მანასია,
ჩვენი ხმალი, ჩვენი ფარი
ჩვენი ხალხის ალამდარი,
უძლეველი ფალავანი.
ხოლო მტრისთვის იცით ყველამ,
რა ელვაა, რა მეხია,
თქვა აკბალტამ და კოშოის
გულში ტკბილად ჩაეხვია.
ხან კოშოიმ ჟაკიპ-ბაის
გადახვია ძმურად ხელი,
და ორ მოხუცს ერ-მანასი
უცქეროდა ბედნიერი.
ირიჟრაჟა, ხანთა ხანმა
კვლავ აღმართა დროშა მზისკენ
თავის ერთგულ რაზმთან ერთად
გაემართა ტალასისკენ.

**ამბავი ალოოკეს ფერღანიდან გაქცევისა**

ჩინელების ტყვეობაში
გაიტანჯა თურქესტანი
როს ფერღანას განაგებდა
გულღრძო ალოოკე ხანი.
სასტიკი და შფოთიანი,
ხელქვეითთა მწვალებელი,
გულბოროტი, გველაძუა,
მკაცრი, შეუბრალებელი.
კანონია ხანის ნება.
იქ არა სჭრის სამართალი,
ვინც კი სიტყვას შეუბრუნებს,
მხრებზე არ შერჩება თავი,

არ მიართმევს ვინც ოქროს ზოდს,
დაუდგება საწყალს თვალი,
თუკი სადმე ქალწულია
ლამაზი და ტანკენარა,
ვეღარ ძღება ხანის გული,
ყველას ელის ჰარამხანა.
მსტოვრები და მლიქვნელები
უხვადაა სასახლეში,
და ნებივრობს ალოოკე
ხალხის ცრემლით განალეში.
არ იციან დამპყრობლებმა
არც ადათი და არც წესი
და მონობის უღლისაგან
თურქესტანი შფოთავს, კვნესის.
კმარა მტერთან სიბეჩავე,
ასე მორჩილება კმარა
და მანასმა სათათბიროდ
ყირგიზები დაიბარა.

უთხრა: იცით, რომ ფერღანას
ალოოკე მართავს დღემდე,
კიდევ დიდხანს მოვუთმინოთ
გულმხეცობა, სითავხედე?
კარგად იცით, ალოოკე
ბოროტებით ავად არის,
ჩვენ ვგონივართ ცხვრის ფარად და
ჩვენი მწყემსი თავად არის.
როცა უნდა ჯოხს გადაგვკრავს,
ამოგვხოცავს, როცა უნდა,
ჩვენი ასე მორჩილებით
გაყოყოჩდა, გადიდგულდა.
ალოოკეს ჩირად ულირს
ჩვენი ხალხის გასაჭირი,
მე თავისთან მიხმო ხანმა,
ვით მსახური ყურმოჭრილი.
გულისყურით მომისმინეთ,
მოგიწვიეთ, გეტყვით რაზე,
მეგობრებო, უნდა ერთად
გავილაშქროთ ფერღანაზე.
გვეყო, რაც ჩვენ ჩინელების
ფეხსაცმელი ენით ვლოკეთ,
ფერღანადან გავაქციოთ
თავგასული ალოოკე.
ჩუბაკმა თქვა, გმირთა-გმირმა
ვაჟიშვილმა აკბალტბაის,
მშობელ მიწის ერთგულება
ჩვენი, ყველას ვალი არის.
მტრის უღელი მოვიშოროთ,
იცით, არის უფლის ნება,
გულის გულზე გვაწერია –
სიკვდილი ან გამარჯვება.
ამ მიწის და ცა-ფირუზის
ჩვენ სიცოცხლით ვალი გვადევს„.
საბრძოლველად ხმა ნაღარის
უხმობს დილით გოლიათებს.
გაიხედა ალოოკემ,
ეს რა დილა თენდებაო,
რა ხმებია საზარელი,
გულს რა ცეცხლი მედებაო,
ამ ღრიალზე ჭაბუკიც კი
შიშით ჩამობერდებაო.
გოლიათთა სიმძიმისგან
დაიწიეს ქედებმაო.
ჩემსკენ მოჰქრის გველეშაპი,
დააბნელა მთა-ბარიო,
კარგად ვხედავ, მე უბედურს,
მელის ბედი საზარიო,
ქალაქს მოდგა ერ-მანასი,
მიწამ იწყო ზანზარიო.
ფიქრობს ხანი, დროა უკვე,
ჩემს საგანძურს ხელი ვკიდო,
ჯორ-აქლემებს ხურჯინებით
ოქრო-ვერცხლი გადავკიდო,
სანამ თავი შემრჩა მხრებზე
ლაშქარს დროზე გავერიდო,
თუ გადავრჩი, უფალს მადლი
შევწირო და განვადიდო.

. . .

უკან დარჩა თურქესტანის
მშვენება და სილამაზე,
მიიჩქარის მხედრიონი,
დააყენა ბუქი გზაზე.
სავსე არის ხურჯინები
ოქრო-ვერცხლით, ფარჩეულით
უხვად მიაქვთ ბეწვეული
საგანგებოდ არჩეული.
რაზმს წინ ალოოკე უძღვის,
ჩინეთისკენ მიდის ხანი,
მიჰყვებიან მსახურები
და ქალები ჰარამხანის.
თავის რაზმით ერ-მანასი
ალოოკეს დაეწია,
გაულახა დამცველები
და შავი დღე დააწია.
დაიჩოქა ალოოკემ,
ოღონდ პირში შერჩეს სული,
ისე ვეღარ ამპარტავნობს
ბაქია და თავგასული.
უთხრა: მანას, დღემდე შენი

ვიყავ მტერი, არ ვმალავო,
ჩემს სიტყვაზე ბზრიალებდა
მლიქვნელების ამალაო.
დაჩოქილი ვდგევარ შენს წინ,
დავრჩი დარდის ამარაო,
თუ მაჩუქებ მე სიცოცხლეს,
ან ხო მითხარ, ან არაო.
ბევრი ცოდვა მადევს მხრებზე,
ერ-მანასო, იცი ესეც,
ბევრი მოვკალ, დავიმონე,
ბევრი ქალიც ავაკვნესე.
დავამძიმე დედამიწა,
ჩემი ცოდვით სავსეარის
თუ არ მოჰკალ, შენ მოგკლავენ,
ეს ცხოვრება ასე არის.
ბედისწერის ხრიკებს კაცი
უნდა დახვდე მამაცურად,
ამ ცხოვრების მღვრიე ტალღებს
ძლიერი თუ გადასცურავს.
შემიწყალე, გმირთა-გმირო,
მრისხანება დაიოკე,
მანას, მძევლად დაგიტოვებ
ჩემს ვაჟიშვილს – ბოიოკეს.
– საუკუნოდ განმედევნე
მსურდა ჩემი მიწა-წყლიდან,
მართალს გეტყვი, შენი ასე
თავმდაბლობა გამიკვირდა.
მომწონს, ხანო, შენი ქცევა,
შენი ბრძნული ნაუბარი,
ვიცი, ჯიქურ რომ შემყროდი,
უკვე, იქნებოდი მკვდარი.
მე სიცოცხლე მიჩუქნია,
ორ დღეს გაძლევ, ხანო, ვადას,
თვალით აღარ დამენახო,
წადი ჩქარა, ფერღანადან.
ალოოკეს მხედრიონმა
დაიძახა: „მანასს ვაშა!“
ოქროს ხმალი და ქარქაში
ხანმა მანასს უფეშქაშა.
ეს ერთი დღეც გაილია,
უკვე მთებზე წვება ბინდი,
წვეთი სისხლიც არ დაღვრილა
ალოოკე ჩინეთს მიდის.
დღე იყო თუ ღამე იყო,
ცხრა მთა-ველი გადიარა,
ბეიჟანში მამას ელის
კონურბაი – ნაბოლარა.
მამას უთხრა: – ერ-მანასის
გამარჯვებამ გამამწარა,
არ დავინდობ მე ბურუტებს
დამცირება ჩვენი კმარა.
„ე, ჭაბუკი კინურბაი,
საყვედურობ მოხუც მამას,
თვალითაც არ გინახია,
შვილო, შენ არ იცნობ მანასს.
ვეაჯე და ვებოდიშე,
პირში მიტომ მიდგას სული,
ელვასა ჰგავს ერ-მანასი,
ციდან რისხვად ჩამოსული.
დამავიწყა მისმა ხილვამ
სიჩაუქე, სიმამაცე,
ჭაბუკი ხარ, წადი მტერი
დააჩოქე, დაამარცხე.
რომ ამევსოს გამარჯვების
სიამაყით ისევ გული,
დამიბრუნე, ჩემო ვაჟო,
მე დიდება დაკარგული.
თვალს არიდებს მოხუც მამას,
ბრაზს იოკებს კონურბაი.
მალე ცეცხლად აენთება
სიძულვილის ნაპერწკალი.

(გაგრძელება იქნება)

**Ratiani Lali**
*Professor Doctor Staatlicher Universität Suchumi*



**WEG DES RUHMES**
**(Fortsetzung)**

Meine Freunde und ich sind auf dem Gebiet der Literatur seit langem tätig, deswegen soll man darüber nicht staunen, dass wir auβer den Gedichten und Erzählungen auch die Poeme und die Theaterstücke aufgeschrieben haben, Jetzt erinnere ich mich an unsere Theaterstücke: "Richter der Menschheit, "Garten des dunkelblauen Lichtes", die dem Leben der Dichterin und der Idealisten dem Leben der gefolterten Frau-Schamanauri Nazi gewidmet sind. Obwohl wir diese Werke ziemlich schnell geschrieben haben, ist daran die gröβte Arbeit geleistet. Und stellen Sie sich vor, daβ unsere Dichtung zehnmal mehr Arbeit verlangt hatte. Die vier Mitglieder-Hauptbesassung der Vereinigung "Zgwari"haben "weiβe Trilogie," und auβerdem auch andere Dichtungen/Arbeiten. geschaffen. Ich spreche darüber, nur um zu berichten, daβ besser als ich niemand weiβ, was für eine titanische Arbeit das Schaffen der Dichtungen verlangt.

Von den Dichtungen Gulnazi Charaischwili sind nur zwei "Heiβe Trännen" und "Mord in eigenem Haus" bekannt. Der erste Poem hatte sie dem tragisch Verstorbenem jungen Mann Charebawa Bathu gewidmet. Aber der zweite Dichtung hatte sie nach der Bitte der Frauen Chaburdsania Thinathin und Lomidse Eliko geschrieben. Frau Gulnazi hatte diese Dichtung dem Sohn von Eliko gewidmet, der auch tragisch umgekommen war. Kurz gesagt, viele verlieβen sich auf diese beiden ausgezeichneten Jugendlichen -Bathu und Merab, die von dem Schicksal verlassen waren. Als ein Mensch mit weichen und zartem Herzen hatte Frau Gulnazi ihre Namen durch ihre Dichtungen verewigt, unsterblich gemacht.



Die Dichtungen sind gereimt und nach der Art dem Akrostichus aufgeführt worden. Ich halte mich für einen professionellen und phanatischen Dichter schon seit mehr als zwanzig Jahren und ich kann gut verstehen, mit welchen Schwierigkeiten das Schaffen derartiger Dichtungen verbunden sind. Die Phanatiker der Poesie sind in der Lage gegenseitige Arbeiten entsprechend hoch einzuschätzen.

Die beiden Dichtungen sind im Buch unter dem Tittel „Innmitten der Seele" eingetragen worden. Das ist eben die Arbeit, die ich einiges Mal erwähnt habe.

Die Begabung und die Arbeitssamkeit sind doch die notwendigsten Eigenschaften, wie auch die Zielstrebigkeit für den Dichter.(Das Lebensziel verändert sich, aber manchmal-ein guter literarischer Wettbewerber will noch mehr und mehr erreichen. Ab und zu hat man anfangs zwei, drei Zwecke aufeinmal zu erfühlen. Hier möchte ich eines der Ziele-Fortschritte, sagen wir, das Schaffen zahlreicher Meisterwerke bezeichnen, das viellleicht für alle Dichter allgemein sein sollte, was. schwer zu erreichen ist), aber der Fleiβ selbst ruft bei den Menschen die Helligkeit und das Wachsen der Arbeitsamkeit und der Zielstrebigkeit anderseits hervor. Die Begabung, die Genialität sind doch etwas Wunderliches und Unvergleichbares.

Es gibt noch was- Qual, Lebensmarter und-folter, Lebenskreuzung formiert, modeliert zuletzt in der Person das Genius, wodurch sich der Mensch mit Gott verbinden wird.(wie viele Weisen sagten, wir sollten uns Gott ähnlich sein, sehen .)

Obwohl es das Qual einigermassen fetischisiert ist(und darüber bis dahin auch Dostoewski und die Anderen nicht einmal prädigten), soll der Künstler doch bestimmte und entsprechende Lebensbedingungen haben, um die Meisterwerke schaffen zu können.

Solche Bedingungen zu haben, das ist eine Seltsamkeit für unser Land.

Und doch–die Künstler arbeiten, geben alle Kräfte bis zum Ende aus und zu Folge der schwierigsten und unerträglisten Arbeit erreichen sie doch ihr Ziel.

Die von mir aufgezählte jene zwei Dichtungen–das ist ein wahrer Tätigkeitssieg von Charaischwili Gulnazi. Und, dass es in beiden Dichtungen auch prosaische Stelle gibt, ist es ein mutiger Experiment von ihrer Seite her und ich begrüβe es persöhnlich. Ich begrüβe solch eine Dichterin, die vom ersten Blick an wenig experimentiert. In der Tat gibt es in ihrer Poesie ziemlich viele tapfere Unerwartungen. Zum Beispiel, der zweite Poem beginnt direkt mit der Prosa, derer erster Teil eine vollständige Prosa ist. Vom Anfang an habe ich mir daran gedacht, daβ dieses Teil die Einführung war. Aber nachdem ich diese Arbeit gut studiert hatte, ahnte ich, daβ die Anfangs-Prosa, ein unzertrennlicher Teil des ganzen Poems, seines Hauptkörpers war. Solche Prosa verwandelt sich allmählich völlig zwangslos, natürlicherweise ins vierzehnsilbige akrostichische Gedicht und zieht sich weit bis zum Ende auf solche Weise.

Im Poem "Heiβe Trännen", den man für einen besten Poem von Charaischwili Gulnazi halten könnte, ist es umgekehrt..Nach einer kurzen Einführung fängt ein vierzehnsielbiges akrostichisches Gedicht an. Dort wird zum Schluβ auf eine Stelle nicht so lange Prosa hinzugefügt werden, aber dann endet sich alles wieder mit dem Gedicht, weil es von der Logik des Geschöpfs verlangt wurde.

"Heiβe Trännen"ist nach dem Umfang kein groβer, aber lyrischer Poem. In der Wirklichkeit sieht das ganz anders aus. Es ist inhaltlich das gröβte Mysterium, das Hellsehen, in dem anfangs epohalische Bilder unseres Landes wiedergegeben sind, aber in diesem Hintergrund das zweite Hellsehen beginnt.

In der Auffassung taucht das vom Elend und Trauer heimgesuchte, gespaltete Land, das verlorene Abchasien mit ihren Kindern ohne Durchschlagskraft, Haβ und gegenseitige Gegensätzlichkeit auf.

Kurz und poetisch ist unsere Geschichte der letzten Jahrzehnte, wie auch die Geschichte die durch das Versterben des Sohnes tragisch gewordene Familie, die im tragischen Hintergrund des Landes, wiedergegeben worden ist.

Verwunderlich ist auch das zweite Mysterium.-Hellsehen.(das zweite Teil des vollen Misteriums), als der Dichter den ins Vogel, in die Lerche verwandelte Geist der verstorbenen Menschen hellsieht. Das Vogel spricht die menschliche Sprache und es ist ebenso gut, heilig, wie es bei ihm als Mensch gewesen war. Das Mensch-Vogel bittet die Dichterin, sie möge seine Eltern besuchen und sie trosten.

Das ist vielleicht die beste und täuschende Stelle im ganzen Poem.

Meinem Freund, Dichter Suchbaja Giorgi gehört ein wunderliches Gedicht mit einem wunderlichen Tittel „Unerreichbar“, das eine assoziative Erinnerung ist.

Ebenso unerreichbar und bis zum Ende unfassbar ist solch eine Episode des Poems von Charaischwili Gulnazi, wo sie uns über das Mensch-Vogel erzählt...

Wie soll man erraten, ahnen, wer ein gröβer Künstler ist?

Vorallerdings soll man es mit dem Herzen spüren. Unser eigenes Gefühl soll uns die Wahrheit sagen, wenn wir uns mit der Tätigkeit eines Künstlers vertraut machen.

Entweder hat der Mensch, kurz gesagt, das Herz oder nicht. Zum Unglück sind die herzen-und geistlosen Menschen summiert in der Tat mehr, als die gefühlsvollen Menschen. Dijenige sind auch nicht wenig, in deren Brust die sensitiven Herzen schlagen, die ein wahres Vorgefühl haben, um die Meistewerke zu erkennen, sie wahzunehmen.

Es ist ebenso kompliziert, diese zwei Worte -poetisches Gefühl –genau zu bestimmen, wie auch am schwierigsten ist, die präzisse Definierung selbst der Poesie zu geben.

Bei der Einschätzung der beliebigen Kunstarten ist poetisches Gefühl eben ein Ausgangspunkt, weil was es gut ist, ist es auch poetisch, konkret gesagt-was es gut und gehoben ist, soll es poetisch sein. Die Schönheit ist selbst die Poetizität.

Es sehen „Heiβe Trännen“und seine wunderliche Episode poetisch aus, wenn es die Seele der verstorbenen Menschen versucht, ihre eigene Eltern aus jenseits der Welt zu trösten.

Man kann anderseits nichts ohne Analogie in der Welt herausfinden. Man sagt, daβ alles Neue meistens gut wiederholtes, vergessenes Alte ist.

Der von Gulnazi Charaischwili dargestellte solche wunderliche Episode wird auch meiner Meinung nach auch ohne Analogie nicht sein, insofern die Welt- und auch unsere heimische Literatur so weit und breit ist. Aber alle Meister oder Groβmeister, alle Fachleute oder Superfachleute besitzten ihren Stil, ihre Handschrift. Aus den bestimmten Materialien sondern alle das Meisterwerk eigenartig aus. Die Meister sind doch selbst Diener ihrer Kunst. Groβe Kunst ist eben groβe Religion und alle Diener-Künstler dienen ihr eigentümlich.

Gulnazi Charaischwili hat auch ihre eigene, nur für sie charakteristische Handschrift. Jenes von ihr ausgedachte unvergessliche Mysterium-Hellsehen geht bis zum Herzen der Leser durch verschiedene Wege, ganz anders, als dass von den anderen Meistern gezeigte ähnliche Mysterien. Welches ist unter ihnen am besten, das ist schon ein anderes Thema. Ich würde so sagen, daβ alle eigentümlich schön sind. Nochmals bin ich davon überzeugt, daβ wahre Kunst keine Welt des Wettbewerbs ist (im Unterschied zum Sport, wo eben das Wettbewerb, eben gegenseitige Wettkämpfe, mit jemandem im Wettbewerb stehen- eine eigentümliche, sagen wir, Sportkunst bildet.)

Es ist bewunderswert, daβ es der Wettbewerb in der Kunst auch immer noch von der Zeit der eben dieser als Vater der Kunst, der Poesie genannte Homeros gab, obwohl es die Poesie früher in der Merzahl geschaffen wurde. Kurz davor lebte auch, der unbekannte Autor von "Gilgameschian". Die erste Wariante dieses genialen Poems existierte naütrlich sowohl vor "Argonawtik"von Orpheos, als auch vor "Iliada' und "Odissea" von Homeros.

Homeros war der Eposs-Meister, der erste Meister seiner Zeit. Die Epopöe war seine wahrhaftige Naturkraft.

Über die Epik wurde es also schon genug gesprochen.

Als unbesiegbarer, (Ewigsieger) Champion der Lyrik ist in der antischen Welt Pindaros (derselbe Pindare) eingetragen worden.Niemand weiβ über die präzisse Zahl seiner Siege. Jawohl, grenzlos sind die Siege dieses Dichters, aber die Gerüchte über das Verloren und Unentschied- sind doch nur etwas nicht Ernstes, das nichts gemeinsames zum poetischen Wettbewerb hatte. Pindare gewann den Sieg , trug den Sieg aber in der Wirklichkeit immer davon.

Der Wettbewerb ging dann und dann mit der Kunstgeschichte parallell. Das hatte sich gut in der Zeit der französischen Symbolismus gezeigt.

Und bei uns in Geogien auch.

Oft kann man heute auch davon hören, wer aller Beste unter den georgischen Schriftstellern Ilja-Akaki und Wadschja ist , wer liegt doch an der Spitze?

Der Autor von" Gandegili", "Thornike Eristawi", "Aluda Khethelauri" sind wirklich drei gute, unvergleichbare Dinge.

Heute ist besonders aktuell die Frage, die es um Barathaschwili-Galaktioni-Graneli handelt.

Dem König der Poesie und der Kunst Schota Rustaweli wird bis heute keiner in wahren Gegensä tzlichkeit gegenübergestellt werden.

Der groβartige Epik- Lyriker Guramischwili steht aber ganz einzeln.

Was es Paolo und Tizian angeht, die die Führung übernahmen und die Angehörige der Gruppe unter dem Tittel "Kanzelebi"waren, werden mehr Barathaschwili, Galaktion und Graneli gegenübergestellt werden.

Auf diese Weise haben wir uns ganz kurz an die Könige der vergangenen Jahre erinnert.

Bei uns ist es ganz aktuell, die Künste gegenüberzustellen. Die handelnden Künstler versuchen ihren Vorrang zu behaupten. Dazu gehört der hellste Vertreter Bazikadse Kacha, der bis heute seinen Eifer und seine Eitelkeit nicht unterdrücken kann.

Absolut unterschiedliche Situation haben wir im Falle der Hauptheldin meines dokumentaren Buches, Romans- Chaharaischwili Gulnazi. Sie ist ein bescheidener und friedensdienlicher Mensch, der niemandem seinen Vorrang zeigt. Das heiβt ganz und gar nicht, dass sie über ihre eigene Groβartigkeit nicht weiβt: jeder groβe Mensch fühlt sich seine Groβartigkeit(früher habe ich mir gedacht, da es nicht so war. Ich meinte, daβ

z. B. Barataschwili von seinem eigenen Preis, seiner Höhe nichts wuβte. Ich hatte mir aber ganz bitter geirrt!). Manchen gelingt es aber das zu verheimlichen.

Was es aber Kacha angeht, ist er noch zu jung.

Frau Gulnazi hat eine groβe Lebenserfahrung. Im Verkehr mit den Menschen, meistens mit den Künstlern ist sie mehr eine starke Politiker, als wir alle Mitglieder der schöpferischen Gruppe "Zgwari" sind. Und zwar, je die Zeit vergeht, desto mehr und mehr wir von Frau Gulnazi und ihr ähnlichen Menschen mitbekommen.

In der letzten Zeit habe ich mir und auch den anderen Mitgliedern der Gruppe "Zgwari'verboten, an den politischen Gegenüberstellung teilzunehmen. Man glaubt mir wegen meines Alters ziemlich gut. Kacha, der früher zahlreiche poetische Wettbewerbe gewonnen hatte, (Erinnern wir uns daran, daβ Ustiaschwili, Aphakidse und viele andere begabte Menschen, Dichter das lange behalten werden, daβ Bazikadse Kacha Meister der poetischen Wettbewerbe ist). Er kann heute auch aber seltener die übertreibend stolzen Künstler (Dichter, Musiker)balanzieren und er versucht sich daran anzupassen, dass die Bescheidenheit eine der vorrangigsten Tugenden eben der Menschen, insofern in der Kunst ist.

Die Philosophie ist aber was anders. Sie ist keine reine Kunst. In ihr treibt noch mehr die Wissenschaft über. Im jenigen Streit, Gegenüberstellung kann die Wahrheit festgestellt werden..

Wahre Kunst ist doch eine andere Welt.

Und was verbirgt sich aber unter der Unbekämpflichkeit?

Zum Beispiel, Pindare war wirklich genial, aber ich halte ihn, ehrlich gesagt, für ersten Lyriker aller Zeiten und Völker gar nicht. Auβerdem war die wahre Lyrik zu jener Zeit noch im Stadium der Formierung gewesen.

Führen wir ein Beispiel des groβen Champions und unbekämpflichen Profis Roki Marchiano ein. Es hat sich Brein Nilsen, ein groβartiger junger Mann, aber Halbchampion, Europäier aufgetaucht, der Hauptrecord/der so unerreichbar für Einigen war) von Marchiano wiederholt hatte. Viele stellen den Tittel des Ringkämpfers Nilsen Brein bis heute unter dem Verdacht. (Ich kann mich auch an seinen verdächtigen Sieg gut erinnern.)

Der Schachspieler Pol Morp, der Ringkämpfer Rei Juri und viele, viele andere –es sind die Leute, die ihre eigene Unbekämpflichkeit zum Opfer gestellt hatten.

Muchamed Ali, der erste Beste Ringkämpfer aller Zeiten wurde für immer erkrankt. ( Er litt an der unheilbaren Krankheit). Obwohl er nicht unbekämpfbar war, hielt man ihn doch für solchen. Unter den Menschen seines Berufs war er mehr populär, er erfreute sich groβer Beliebtheit. Durch seine Beliebtheit übertrieb er alle Menschen dieses Berufs.

Seine geistige Lage hatte Fischer Bobi der **Meisterchaft** zum Opfer gestellt, als ob er Pele und Muchamed Ali, den Legenden des Fussballspiels und des Rigkampfes, hinderte den Statut des Sportkrieges zu bekommen. Mozart des Schachspiels war in der Tat ein erstaunlicher Mensch, dessen Sportphanatismus das Niveau des Phanatismus der Künstler erreicht hatte.

Das erste Warzeichen der Unbekämpflichkeit ist vielleicht der Heerenführer Alexander /Iskander/ Mazedonier-die gröβte Realität und das Mythos der alten Welt .

Und was hat er anschlieβend gewonnen? Er hat insgesamt 33. Jahre gelebt und das war's. Seine Seele kann sich nur damit beruhigen, dass sich Esus, Gott-Mensch unter den Menschen eben 33. Lebenslang aufgehalten war…

# პროზა



**რევაზ მიშველაძე**

## „არა იკარო"...

ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე დავიბადე და სკოლის დამთავრებამდე, სანამ თბილისისკენ ვიზამდი პირს, იქ ვცხოვრობდი, მერვე შესახვევის ათ ნომერში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს მომრავლდა ქუთაისში ოთხ-ხუთსართულიანი სახლები, ამან ჩემს ქალაქს იერი შეუცვალა.

ქუთაისი ახლაც ერთსართულიანი ქალაქია; კრამიტით დახურული, აგურით ნაშენი კოხტა სახლებით, კოინდრიანი ეზოებით და ლურჯად შეღებილი რკინის ჭიშკრიდან სახლამდე მისასვლელი ერთმეტრიანი სიგანის მოხრეშილი ბილიკით, რომელსაც იქით-აქეთ ილინცურად ჩაჭედილი ნახევარაგურიანი „მოაჯირი" (სულ 14 სანტიმეტრია) გასდევს. ისე, სილამაზისთვის, რასაკვირველია.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოა. ქუთაისი თავის განუმეორებელი კოლორიტით ცხოვრობს. მოდაშია არღნით და ეტლით ქეიფი, აწყვეტილი სტუმართმოყვარეობა, ბანტიანი გიტარა და, რა დასამალია, ძველბიჭური კანონები.

ნამეტანი გავრცელებულია ქურდბაცაცობა. უფრო პრესტიჟულ საქმედ ჯიბის ქურდობა ითვლება და, თუ თექვსმეტი წლის ყმაწვილს ჯერ არაფერი მოგიპარავს (არც მოსაპარავად ემზადები), ათვალწუნებით გიყურებენ ტოლ-სწორები და „დედას ბიჭის" სამარცხვინო მეტსახელისთვის განწირული ხარ.

ჩვენს მეზობლად (ასე, მეოთხე-მეხუთე მოსახლედ) კბილის ექიმი გრიშა ჭანტურია ცხოვრობდა.

გრიშას ბიჭი – შოთა ჩემი კლასელი იყო.

რა დამავიწყებს 1955 წლის 11 აპრილია, სამშაბათი.

გაკვეთილები რომ დაგვიმთავრდა, სკოლიდან ერთად წამოვედით, გრიშას ეზოში დიდი ბჟოლის ქვეშ, სკამეიკაზე ჩამომსხდარი ხუთი-ექვსი კაცი დავინახეთ, ქალების გაქცევ-გამოქცევაც გვეცა თვალში.

– მამაჩემს, რავარც ვხედავ, სტუმრები ჰყავს და დარჩი ცოტა ხანს, ღვინის ჩამოსხმაში წამეხმარეო, – მითხრა შოთამ და მეც სად მეჩქარებოდა.

სანამ სუფრა გაიშლებოდა, მივაგდეთ ტახტზე ჩანთები და ჩავერთეთ ორომტრიალში.

– აქვსენტის ბიჭო! – დამიძახა გრიშა ბიძიამ – ადი ერთი, თუ კაცი ხარ, და ნარდი ჩამოგვიტანე, ჩემს ოთახშია, პატარა მაგიდაზე.

ავირბინე. ნარდს რა პოვნა უნდოდა. ამოვიღლიავე, რომ გამოვდიოდი, წამით შევჩერდი, გრიშა ბიძიას საწერ მაგიდაზე სათვალე და მაჯის საათი იდო. „ბორმანქანას“ ფრთხილად ავუარე გვერდი, საათი ჯიბეში ჩავიცურე და გამოვედი.

ჩვენ, ბავშვებს, სუფრაზე ვინ დაგვსვამდა. მე და შოთამ ერთი ხაჭაპური გავქინჩეთ, ქათმის თითო ბარკალი გამოვისვით პირში, ღვინო მინის დოქებში ჩამოვასხით და წამოვედი.

წესად მქონდა, გაკვეთილებს ადრე დავამზადებდი და საკონსერვო ქარხნის კლუბისკენ გავრბოდი. იქ ჩემი სკოლელი „კინომეხანიკი“ გრიშაია გიგატაძე კინოში უფასოდ მიშვებდა.

იმ დღეს – არაფერი, მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს, გვიან საღამოს მამაჩემი ცოტა შექეიფებულ-შეჭიკჭიკებული დაბრუნდა შინ.

კინოდან ახალდაბრუნებული ვარ, ფეხებს ვიბან და დასაწოლად ვემზადები.

იქეთ ოთახში დედაჩემი ჩემს უმცროს ძმებს (ოთხი ვიყავით სულ) აძინებს.

გაიმშრალე, რეზო, ფეხი. ჩაიცვი და გავიაროთ ვენახბოლოსკენ, საქმე მაქვს შენთანო, მითხრა მამაჩემმა.

პირკატა მეცა. მივხვდი, რა საქმეც აქვს.

საერთოდ მამაჩემი იშვიათად მცემდა ხოლმე, მაგრამ ახლა უეჭველი მომიწევს გალახვა.

კორკიმელს რომ გავცდით, მომიბრუნდა.

– რა უყავი, ბიჭო, საათი?

– რა საათი?! – კითხვა შევუბრუნე, მაგრამ მაშინვე ვიგრძენი ჩემი უმწეო მდგომარეობა! ხელის გაშლის მანძილზე ვუდგავარ – იქნებ პირველი მოქნევა ავიცილო.

მიდი, გამოიტანე.

ხმა არ გამიცია. შევბრუნდი. სარდაფში ნახერხის ქვეშიდან ამოვჩხრიკე საათი და გავუწოდე.

გამომართვა და ჯიბეში ჩაიდო.

– წავედით ახლა გრიშასთან.

როგორც ჩანს, ცემას არ მიპირებს. თუმცა, თუ ამას გრიშასთვის აქვს ნათქვამი, შენს თვალწინ გავლახავო, – უარესია. ვაი, სირცხვილო.

შევედით გრიშასთან.

რამ შეგაწუხათ, აქვსენტი ბატონო, უთხრა მისმა მეუღლემ კატუშამ.

არაფერი, ისეთი, ქალბატონო კატუშა, რეზოს კბილი აქვს მგონი გამოხრული და მინდა ჩემს გრიშას ვაჩვენოო, თქვა მამაჩემმა.

მოსაცდელში ვზივართ. მამაჩემი არაფერს მეუბნება. გრიშამ ავადმყოფი გაისტუმრა და შეგვიპატიჟა.

გრიშა და მამაჩემი სხედან. მე ვდგავარ (რა საოცარი ენა გვაქვს; კინაღამ „ფეხზე ვდგავარ“ დავწერე).

ხმას არავინ იღებს.

მამაჩემმა საათი ამოიღო და გრიშას მაგიდაზე დაუდო.

ისევ სიჩუმე. სიჩუმე მძიმე, აუტანელი.

– რა ვქნათ, გრიშა ბატონო? – მამაჩემს გამშრალი ხმა ჰქონდა.

რა უნდა ვქნათ, ჩემო აქვსენტი, უნდა ვაპატიოთ, არაა რეზო გლახა ბიჭი.

წამოდგა გრიშა ბიძია, მომიახლოვდა და გულში ჩამიკრა.

– კარგი... რაკი შენ ასე ფიქრობ... ასე ვქნათ, ჩემო გრიშა, დანარჩენი რეზოს სინდისზე იყოს. მეც ბევრი ვიფიქრე, ხვარ გავლახავ ამხელა კაცს.

ხელი ღონივრად, უსიტყვოდ, ვაჟკაცურ-მეზობლურად ჩამოართვეს ერთმანეთს.

კიბეზე რო ჩავდიოდით, გრიშამ ჩამოგვძახა:

– რეზო!

ავირბინე.

– მიჩუქნია ეს საათი შენთვის. ოღონდ რავარც შევთანხმდით, აქვსენტი, ძმობას გაფიცებ ამის შესახებ არავინ არაფერი გაიგოს. არც შოთამ და არც – ქალბატონმა თინამ.

ჭიშკრამდე რომ მოვედით, მამაჩემმა შემაჩერა, თავისი გრძელი ლამაზთითება ხელები მხარზე დამადო და თვალებში ჩამხედა.

არც ამჯერად უთქვამს რამე.

თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

ამ ამბის შემდეგაც ბევრჯერ მომიწია ყოფნამ ჭანტურიებისას.

შოთამ, რასაკვირველია, არაფერი იცოდა.

გრიშა ბიძია, თითქოსდა განგებ, ხშირად მაგზავნიდა „ზევით" რაღაც-რაღაცეების ჩამოსატანად.

ეს იყო და ეს.

## მშობელი

ისტორიაში ტირანების კი არა, ბრძენი, ქველი მეფეების დედებიც იშვიათად ჩანან.

ისტორიკოსი თავისი თხზულების შესავალში, ისე, სხვათა შორის ახსენებს ხელმწიფის მშობლებს და მერე, შეიძლება, თვითონაც დაავიწყდეს.

ისტორიისთვის ხომ უმთავრესი იმპერატორის ომები და მისი საიმპერატორო საქმეებია.

არა და ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ არავინ არის ადამიანთან ისე ახლოს, როგორც დედა.

დედისთვის ხომ ისტორიის შემბრუნებელი, ზღვათა და ხმელთა დამპყრობი, სისხლის კალოს გამლეწი, ათასობით მართალთა მარგილზე გამსმელი, სასწაულით გადარჩენილი და მათუსალას ასაკს მიღწეული ხელმწიფენიც კი, ბოლომდე ბავშვებად რჩებიან.

...პრეზიდენტი ხუთი ჯიპით მოვიდა.

შუა ჯიპიდან გადმოხტა, ხუთსართულიან სახლს ერთი ახედა და სირბილით შევარდა სადარბაზოში.

სამი მცველი მიჰყვა.

ერთი მათგანი სადარბაზოსთან გაჩერდა, მეორე ლიფტის ჯიხურთან, მესამე ლიფტში შეჰყვა.

ღილაკს თითი დააჭირა და აუშვა. ისევ დააჭირა და ისევ აუშვა.

– ვინ არის?

– მე ვარ, დედა, მე!

დედამ კარი გააღო და სანამ შვილს დაგაეხვეოდა, მცველი შემოიპატიჟა:

– შემობრძანდით.

– გმადლობთ, ქალბატონო, აქ ვიქნები.

პრეზიდენტმა ჯერ დედას აკოცა, მერე ლანგარზე დაწყობილ კიტრს დაწვდა და ონკანს შეუშვირა.

– გარეცხილია, ბიჭო.

პრეზიდენტმა სასტუმრო ოთახში შეაბიჯა, სავარძელში ჩაეშვა და კიტრს ხრაშა-ხრუში აუტეხა.

– წყალი ხომ არ წყდება?

– არა.

– სხვა როგორა ხარ, დედიკო?

– რა ვიცი. ამ წნევებს ვერ ვუხერხებ ვერაფერს

– სანდრამ რომ ამერიკული წამლები გამოგიგზავნა?

– დავლიე. შველით როგორ არ მშველის. როცა ვსვავ, კარგად ვარ, მაგრამ სულ წამლის ქვეშ ხომ არ ვიქნები.

– მიდი ჩვენს კლინიკაში და გამოგიკვლევენ ერთხელ და სამუდამოდ. საიდან მოდის, რისი ბრალია.

– შენ როგორა ხარ?

– ვარ რა.

– ძილი როგორი გაქვს?

– როგორც ყოველთვის, დამეძინება გამეღვიძება, დამეძინება გამეღვიძება, თითქოს კეტი დამარტყა ვილაცამ. უცებ წამომაგდებს ლოგინიდან. ვზივარ საწოლზე 5-6 წუთი. მერე ისევ დამეძინება.

– ხშირად?

– ღამეში ასე სამჯერ ან ოთხჯერ. როგორც ყოველთვის. ისე ჭამის მადა კარგი მაქვს.

– მოგიკვდა დედა. რასაც შენ დარბიხარ... ხანდახან შეგხედავ ტელევიზორში ისე გასუქებული ხარ, თვალები აღარ გიჩანს, ხანდახან უცებ გახდები. ვურეკავ სანდრას, სახის ფერი არ მომწონს-მეთქი, იცინის, ყველაფერი ნორმალურადაა, კარგად არისო.

დედამ სავარძელს შემოუარა და შვილს რბილ, დამყოლ თმებში ხელი შეუყო.

– სულ გათეთრდი, ბიჭო, ვის დაემსგავსე?

– შენ... შენ...

პრეზიდენტმა გაიცინა მოსხლეტილი, ჭახვინისებური სიცილით.

დედამ მარჯვენა მკლავი ნიკაპქვეშ ამოუდო, ყურზე აკოცა და მერე თმებში თბილი, დედური ჰაერი ჩაუბერა.

პრეზიდენტი გაიტრუნა.

– ჩემი შერეკილი ბიჭი.

– ჰო... ჰო... ნუ გარეკე შენებურად. ხომ არ გავიწყდება, რომ პრეზიდენტი ვარ.

– პრეზიდენტი შენ სხვებისთვის ხარ... და საერთოდ... შენ რომ არ გამჩენოდი, ასწლიანი ქალი ვიყავი... ვერაფერი მომერეოდა.

– რატომ, რა გაკლია, უზატონოდ ხმას გცემს ვინმე?

– ჩემს თავს რას დავეძებ, ბიჭო. შემჭამეს კოლეგებმა. რას ერჩოდი, უნივერსიტეტი რომ დააწიოკე.

– მე რა შუაში ვარ... ლომაიამ გააკეთა.

– მეც ასე ვამბობ, მაგრამ სიცილით კვდებიან, ვინ დამიჯერებს მაგას! რამ გათქმევინა, საქართველოში ორმოცსგადაშორებული ადამიანები აღარ მჭირდებაო.

– ეგ მე არ მითქვამს, მაგრამ საერთოდ ეგრეა.

– რა არი „ეგრე“, გამაგდე, აბა, მეც სამსახურიდან.

– შენ ვერავინ შეგეხება.

– მერე? ეგ არი შენი რეფორმა? დედაშენს ტოვებ და სხვებს პანღურისცემით ერეკები.

– დედა, რატომ არ გესმის? ერის ფსიქიკა უნდა შეიცვალოს. სხვა საქართველო უნდა მოვიდეს. ამას პწკენა-პწკენით ვერ გავაკეთებთ. რევოლუციის ტალღამ ძველი უნდა წალეკოს.

– რომელი რევოლუციის? კარგი, თუ ღმერთი გწამს. მე ხომ მაინც ვიცი, შვილო, რა რევოლუციაც იყო. მაჩვენე ერთი, რომელი რევოლუცია გეუბნება, ხალხს ყველაფერი გაუყიდე, ეროვნული ორიენტირები მოუსპე და მშიერი დაუტოვეო. ამ ძეგლებს მაინც რატომ დაეტაკე?

– დედა, კომუნისტური მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს!

– ილია ჭავჭავაძის და დავით აღმაშენელის ძეგლის აღება რომელი კომუნისტური მენტალიტეტის აღმოფხვრაა და მოედნისთვის ზურაბ ჟვანიას და ქუჩისთვის ბუშის სახელის დარქმევა არ არის კომუნისტური მენტალიტეტი? რომელი კომუნისტები დავით აღმაშენებელი და ილია გყავდნენ.

– კარგი რა, დედა. შემოვალ თუ არა, მაშინვე ჩხუბს მიწყებ.

– მწერლები რატომ გამოყარე სასახლიდან. ბაბუაშენს, გრიგოლ აბაშიძეს რა პასუხს აძლევ.

– ყოფილიყვნენ ჭკვიანად და არავინ ერჩოდათ!

– რა ჭკვიანად... მწერლის ჭკვიანად ყოფნას რას ეძახი, ბიჭო, შენ?

– გითხრა ყველაფერი? შენც მშვენივრად იცი, რომ დღეს საქართველოში ათი გამოჩენილი მწერალიდან ცხრა დასაბმელ გიჟს მეძახის. გიჟი ვარ მეე? მითხარი ერთი, გიჟი ვარ?

დედამ გაიცინა.

– ნუ გააკეთებ ამნაირ სიგიჟეებს და გიჟს არავინ დაგიძახებს. ძეგლს ჭკუათმყოფელი დაეტაკება? იმისი არ იყოს, ფოტოგრაფაფები რომ დაიჭირე და ორ კვირაში გაგაშვებინეს. ვინც ფოტოგრაფების დაჭერა გირჩია, სწორედ ის იყო დასაჭერი. თავი მოგჭრა მაგ ფოტოგრაფების საქმემ.

– რა... ვერ დავუმტკიცეთ, თორემ არ იყვნენ დამნაშავეები? რა სურათები იბეჭდება გაზეთებში გინდა აქ და გინდა საზღვარგარეთ. ლამის ტუალეტში შემყვნენ და ლამის საბანი ამიწიონ და საწოლში შემოიხედონ.

– მერე? ფოტოგრაფი რა შუაშია. რატომ გავიწყდება ხანდახან, რომ პრეზიდენტი ხარ და არა მოარშიყე ლაველასი, არ გააკეთო სისულელე და არ გადაგიღებენ! ხომ ხედავ, იტალიის პრემიერს რას უშვებიან. რა გვარია?

– ბერლუსკონი. სასამართლოში აქვს საქმე.

– ხომ ნახე, რა უქნა სავალუტო ფონდის პრეზიდენტს დამლაგებელმა ქალმა. შენც გიჩივლებს ვიღაცა და ნახე მერე.

– მანამ არ აუდგეთ გვერდები. მიჩივლონ დამწვარ სუდში. მე ქალები, რომ იცოდე, აქეთ დამსდევენ. ეს განსხვავებაა.

პრეზიდენტმა ამ „ხუმრობას“ კვლავ მოაყოლა სიცილ-ჭიხვინი.

– იცინე, იცინე... ყოველთვის არ გეყოლვება ასე მუჭში სასამართლო, აიღებს რომელიმე მოსამართლე თავზე ხელს და...

– და რას იზამს?

– აღარ დაგემორჩილება.

– არ დამემორჩილება და პანღური და მისი ჯანი.

– ნუ სარგებლობ იმით, რომ ხალხი პირქვე დამხობილი და დაცვედნებულია. ეგ შენი სიყოჩაღის ბრალი არ არის, ოპოზიციის დედლობის ბრალია და, საერთოდ, გაფრთხილდი, მითქვამს მე შენთვის.

– ვისი მეშინოდეს, შალიკოსი თუ ნინოსი? ხომ ხედავ, მათი დრო წვიდა. თავი თვითონ გაიბითურეს.

– ტელევიზიის ჩართვა მეშინია. აი, ახლა დაახეთქებს რამეს, აი, ახლა-მეთქი.

– რას ვახეთქებ?

– ხომ შეიძლება, სანამ რამეს იტყოდე, ცოტა რომ დაფიქრდე.

– რა ვთქვი ასეთი?!

– რამ გათქმევინა ჩინგიზ ხანი წყალტუბოს აბაზანებს ლებულობდა და არ მოუხდაო, ან უფრო დიდი სისულელე: დავით აღმაშენებელი ეკლესიაში, სინაგოგაში და მეჩეთში ლოცულობდაო.

– რა, არ ლოცულობდა?

– რას ჰქვია, ლოცულობდა, ბიჭო, ვერ ხვდები, რომ ამით დავით აღმაშენებლის მართლმორწმუნეობას ეჭვის ქვეშ აყენებ? სხვის რწმენას რომ დავითი პატივს სცემდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სამი ღმერთი სწამდა? ცოტა თავი გაანძრიე.

– კარგი რა, დედა. ეგ შენ იცი, თორემ ვისაც ვუთხარი, არავის ეჭვი არ შეუტანია.

– არ კითხულობ, რასაც შენზე წერენ?

– არა... შენ კითხულობ?

– ვკითხულობ და გული მისკდება. აი, ოპოზიციური გაზეთები რომ წაიკითხო, მაშინ ნახე შენი ჭკუიდან აწევა.

– ხანდახან ტელევიზორის შევავლებ თვალს და ესეც მყოფნის... საერთოდ, იმ ვასიკო ოდიშვილს და ვანო ჯავახიშვილს, როცა იქნება, იმ ჭარტალა ენებს ამოვაცლი.

– მერე მაგით რა შეიცვლება? მაგათ ადგილზე სხვა ოდიშვილები და ჯავახიშვილები მოვლენ. ეგ არაფერი... სულ მინდოდა, მეკითხა, როგორ საქართველოს აშენებ შენ, მიშიკო?

– ნორმალურს. რა, არ მოგწონს?

– გზები და ხიდები როგორ არ მომწონს. ბრმა უნდა იყოს კაცი ახალი თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, სიღნაღი, მესტია რომ არ გაეხარდეს, მაგრამ შენ გგონია, მარტო სასტუმროები, გზები და ტურისტებია საქართველო?

– აბა, სხვა რა არის?

– რა არის და ეროვნული ფენომენია. იცი შენ რა არის ეროვნული ფენომენი?

– მერე? მე რა, ვანგრევ ეროვნულ ფენომენს?

– როგორ არ ანგრევ, სამი წლის ბავშვს რომ ქართულს დაავიწყებ და ინგლისურ ჭიკჭიკს დააწყებინებ, მისგან ქართველი გაიზრდება? რას ჩამოაყოლე უცხოეთიდან ინგლისურის მასწავლებლები მაშინ, როცა ჩემი ყოფილი სტუდენტები, ინგლისურის სპეციალისტები უსაქმოდ სხე-

დან. ეროვნული ფენომენის გაჩანაგება არ არის ხალხურ ხელოვნებას, ქართულ ადათ-წესებს, ქართულ კლასიკას პატივს რომ არ სცემ?

– ეგ ვიღამ გითხრა?

– ვის უნდა ეთქვა. შენ გგონია, ვერ ვხედავ, ყველა პატრიოტული ნაწარმოები რომ ამოიღეს სასკოლო სახელმძღვანელოებიდან?

– დედა, ყველაფერს მე მაბრალებ, არ შეიძლება ასე...

– შენ ხარ პრეზიდენტი, შვილო, სხვას ვის დავაბრალო. ხომ ხედავ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე წამოგაძახებენ ხოლმე, უქართველო საქართველოს ავაშენებო.

– „წამომძახელები" არ დაილევა. ეგ არაფერი, მაგრამ სხვას რა გავაგებინო, როცა შენც ვერ გაგებინებ; საქართველოს მხოლოდ ევრო-ამერიკული ინტეგრაცია გადაარჩენს. სხვა გზა არ არის. ჩვენ რომ ეროვნულ იზოლაციაში დავჩეთ, როგორც შუა საუკუნეებში, იცოდე, საკუთარ წვენშივე ჩავიხრაკებით და საქართველოს გაქრობა მაშინ ნახე. ქვეყანამ თუ ამერიკას ფეხი არ აუწყო, არაფერი გადაგვარჩენს. აი, რას ვაკეთებ მე: პროვინციული საქართველო უნდა დამთავრდეს.

– შენ პროვინციულს რას ეძახი?

– იმას, რასაც შენ ეროვნულს უწოდებ.

– ესე იგი, ჩემი შვილი, შენ, დავითის და თამარის საქართველოს ანიავებ?

– დავითის და თამარის საქართველო კარგა ხანია განიავებულია. ჩვენ ტერიტორიებს თითქმის ვერ ვინარჩუნებთ, ქართული მენტალიტეტი კი, სულ მალე, წიგნებს და მუზეუმებსღა შერჩება.

– ეგ ღმერთმა ნუ ქნას, რა სისულელეს ლაპარაკობ, თავი არ დამაწყევლინო!

ეს საუბარი რომ შემდგარიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომელიღაც ძალიან შორეულ საუკუნეში აბღჯილას ტომის ბელადსა და დედამისს შორის, მშობელი სახელოში დამალულ ხანჯალს იშიშვლებდა და... მოხდებოდა ის საშინელება, რითაც ისტორიკოსები გულუბრყვილო მკითხველს შეაძრწუნებენ ხოლმე.

... მაგრამ ახლა ოცდამეერთე საუკუნეა და ტრაგიკული ამბები მსგავს საუბარს, როგორც წესი, არ მოჰყვება ხოლმე.

პრეზიდენტი წამოხტა, დედა გადაკოცნა, სამზარეულოში შეირბინა, ორ კიტრს დაავლო ხელი და გარეთ რომ გავიდა, ერთი კიტრი მცველს გაუწოდა.

ასე კეთილი იყო პრეზიდენტი.

## მხოლოდ ორი წერილი

2002 წლის 7 ივნისს, პროფესორმა პარმენ სალდაძემ წერილი მიიღო.

კონვერტზე გამომგზავნის მისამართი არ ეწერა.

კითხვა კარებშივე დაიწყო.

ჯერ ბოლო გვერდს დახედა.

„შენი ეთერ გვინჩიძე" რომ ამოიკითხა, მაშინვე გაახსენდა ყოფილი სტუდენტი: მაღალ-მაღალი, ლურჯთვალება, ქერათმიანი გოგო. პარმენს სტუდენტი სხვაც ბევრი ჰყოლია, მაგრამ ეთერის იმ წუთშივე გახსენებას თავისი მიზეზი ჰქონდა.

ეთერი წერდა:

„ბატონო პარმენ,

ვიცი ეს წერილი აგაფორიაქებთ, მაგრამ ვერ შევძელი არ მომეწერა.

თვრამეტი წელი ვმალე ეს საიდუმლო და ახლა მივხვდი, რომ დანაშაული იქნებოდა ბოლოს და ბოლოს არ გამემხილა შენთვის და მხოლოდ შენთვის.

რაც უნივერსიტეტი დავამთავრე, თბილისში რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ შენი ნახვა ვერ გავბედე, უფრო სწორად ჩემი თავის იმედი არ მქონდა.

ვიცი, რომ ისევ ძველებურად მარტო ცხოვრობ და ისევ ისეთი მომხიბვლელი კაცი ხარ.

ჩვენი კურსის გოგოები ჭკუას ვკარგავდით შენზე, მაგრამ ამას არ იმჩნევდი, ვითომ შენთვის ყველა სტუდენტი იყო და სხვა არავინ.

გუშინდელივით მახსოვს, 12 მაისი იყო, სადიპლომო ნაშრომი შინ მოგიტანე.

კარი ისე გამიღე, თითქოსდა არ მელოდი, მაგრამ მაინც შენებური განუმეორებელი ღიმილი გეხატა სახეზე.

რატომ შეწუხდი, ეთერ ქალო, დაცვამდე ჯერ დრო გვაქვს, კათედრაზე დაგეტოვებინა და გადმომცემდნენო,

სადიპლომო გამოვართვი.

ბოდიში, შინ ვერ შეგიპატიჟებ, ხომ იცი, მარტოხელა კაცი ვარ, შეგეშინდება, ისეა არეულ-დარეული ჩემი ბინაო, მაგრძნობინე, რომ აშკარად არ გინდოდა ჩემი შეშვება.

– არა უშავს, არა უშავს, თუ არ შეგაწუხებთ, ცოტა ხნით შემოვალ-მეთქი – მე თვითონ გამიკვირდა ჩემი სითამამე.

– შემოვედი, მივიხედ-მოვიხედე და სავარძელში შინაურივით ჩავეშვი.

ყოველთვის მაინტერესებდა, სად და როგორ ცხოვრობდი-მეთქი.

იღიმებოდი, ჩემს სადიპლომო ნამუშევარს ფურცლავდი, ხანდახან შემომხედავდი და თავს დააქნევდი.

მე კი, მე სულელი გოგო, წასვლას რა ვაპირებდი.

ბოლოს ძლივს ამოვილუღლუღე, თუ შეიძლება ბინის დალაგებაში მოგეხმარებით-მეთქი.

სასტიკად იუარე. შენ მაგისთვის როგორ შეგაწუხებო.

წამოვხტი და ფანჯარასთან მივედი, რა ლამაზი ხედია-მეთქი, თან რა დაგიმალო და ჩემს კოხტა უკანალს და ლამაზ ფეხებს გიჩვენებდი.

ვიცოდი, ეს ხერხი აუცილებლად გაჭრიდა.

მართლაც გაჭრა.

უკნიდან მომიახლოვდი. წელზე ხელები შემომხვიე და მარჯვენა მხარზე მაკოცე.

გავიტრუნე. ხელები გამიშვი და საწოლთან მიხვედი. წამოვწვები, შენ ლოგინზე ჩამომიჯექი და შენი ნაშრომი ერთად წავიკითხოთო.

ვგრძნობდი, ყველაფერზე თანახმა ვიყავი.

მუხლები მიცახცახებდა.

მხოლოდ ორი გვერდი წავიკითხეთ. მეტი ვერა.

არც გამიგია, როგორც აღმოვჩნდი შენს მკლავებში.

„რა ადვილი ყოფილა-მეთქი კაცთან დაწოლა" ჩემი თავის მიკვირდა, მერე ვერაფრით გავიხსენე, ტანსაცმელი შენ გამხადე, თუ მე თვითონ გავიხადე.

უბედნიერესი ვიყავი იმ დღეს.

ჩემს თავს საჩუქარი გავუკეთე. შენთან დავწექი.

ამას მთელი კურსი ნატრობდა.

შენ ჩემთვის უბრალოდ მამაკაცი კი არა, ჩემი ოცნების მამაკაცი იყავი.

იმ დღიდან ფეხმძიმე დავრჩი.

სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების მეორე დღესვე ჩამოვედი ოზურგეთში და გავყევი ჩემს თანაკლასელ რამაზ ქურიძეს, რომელსაც სკოლიდანვე ვუყვარდი, მაგრამ მე არ მიყვარდა.

შვიდ თვეში ბიჭი გვეყოლა – შენი შვილი. ჩემი მამამთილის სახელი ზაზა დავარქვით.

ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნება იყო ჩემთვის: მე, ერთი უბრალო ფილოლოგი ქალი, სოფელ ჩინარეთის საშუალო სკოლის მეცხრე-მეთორმეტე კლასების მასწავლებელი შენს შვილს ვზრდიდი.

თითქოსდა შენ გივლიდი, შენ გბანდი, საჭმელს გიმზადებდი, გამეცადინებდი...

ჩემი ქმრის ხელში შვილი არ მომცემია. კარგი ქმარი მყავდა, ცოდოს ვერ დავიდებ, შარშან (წლისთავი ახლა, აპრილში შესრულდა) უეცრად გულის შეტევით გარდაიცვალა, საღ-სალამათი კაცი.

დავრჩით მარტო მე და ზაზა.

ამ არეულ დროში, ყოჩაღ-თულების პარპაშის დროს თავი ძლივს გაგვაქვს. მშობლები კარგახანია დამეხოცნენ. რამაზს, მე რომ შემირთო, მარტო დედა ჰყავდა და ისიც, ზაზა შვიდი წლის იყო, ფილტვების ანთებამ რომ გადაიყოლა.

აი, ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა შენთვის.

ამ თვის ბოლოს ზაზა თბილისში ჩამოვა. უნივერსიტეტში იურიდიულზე უნდა ჩააბაროს.

შენს ტელეფონს მივცემ.

ჩემი ლექტორი იყო-მეთქი, მეტს, რა თქმა უნდა, არაფერს ვეტყვი.

დანარჩენი შენ იცი.

თბილისში, საბურთალოზე ჩემს დეიდაშვილთან იცხოვრებს. იმათაც ერთი ბიჭი ჰყავთ და არ დამამადლიან. თვითონ მითხრეს, ჩვენთან იყოსო.

მე ვერაფერს გირჩევ.

შენ ჭკვიანი კაცი ხარ, როგორც გადაწყვეტ, ისე მოიქეცი.

მე რომ ამ ჭკუაზე ვარ, დიდი ტრავმა იქნება მისთვის ამ ასაკში, იმის გამხელა, რომ მამამისის შვილი არ არი!

ესეც არ იყოს, ჩემზეც სამუდამოდ გაუფუჭდება წარმოდგენა და იქნებ არც შენ შეგხედოს კარგი თვალით, როგორც „სტუდენტის შემცდენელს“.

იქნებ სჯობდეს, დარჩეს იგი სამუდამოდ რამაზ ქურიძის ბიჭად – ზაზა ქურიძედ, ხოლო ჩვენ, მე და შენ ეს საიდუმლო საფლავში თან ჩავიყოლოთ.

შენი ჭირიმე, ეს წერილი მიღებისთანავე დაწვი.

შენი ეთერ გვინჩიძე“.

პროფესორმა პარმენ სალდაძემ რვა წლის შემდეგ, 2010 წლის 11 ივნისს, ეთერ გვინჩიძისაგან მეორე წერილი მიიღო.

„ბატონო პარმენ,

უკვე იმდენი დრო გავიდა, მეჩოთირება „ბატონის“ დაძახება შენთვის.

იმ პირველი წერილის მერე, წერილის გამოგზავნას ვერ გიბედავდი, მობილურით თუ შეგეხმიანებოდი ზოგჯერ და ისიც მადლობის სათქმელად.

ჰო, ზაზა ჩადგა ჩვენს შორის და ამიერიდან ჩემი და შენი საზრუნავი მხოლოდ ზაზა იყო.

რა კეთილშობილი კაცი ხარ, ბატონო პარმენ.

მე არ ვიცი შენი განცდები, ჩემი პირველი წერილის მიღების მერე, მაგრამ წარმოდგენით შემიძლია ბევრი რამ წარმოვიდგინო.

შენ აწრიალდი, შენი დღეების ჩვეულებრივი მდინარება დაირღვა, ეს როგორ: შენ შენს მეცნიერულ საქმეებში ჩართულს და დაჯერებულ „ხალასტიაკს“ თურმე თვრამეტი წლის შვილი გვყოლია.

თავიდან მეშინოდა, ვაი თუ ვერ გაგეძლო ცდუნებისთვის და გაგემხილა ზაზასთვის, რომ შენი შვილია. ამით შეიძლება ყველაფერი დანგრეულიყო. შეიძლება ზაზას წინაშე გამოუსწორებელი დანაშაული ჩაგედინა და ბავშვისთვის სიცოცხლე დაგემსხვრია.

მალე დავრწმუნდი, რომ შენთვის შენი მარტოხელობა უფრო ძვირფასი იყო, მაგრამ არც ღვთის მიერ ნაჩუქარი თვრამეტი წლის შვილზე იტყოდი უარს.

რა დიდებულად ითამაშე ინკოგნიტო მამის როლი ამ რვა წლის განმავლობაში.

დაწვრილებით მიამბობდა ზაზა, რა დიდებული კაცი ხარ, რა ყურადღებიანი, რომ თან ყვებოდი შენი ერთი სტუდენტის შვილს, მზრუნველობა და პატივისცემა არ დაგიკლია, უნივერსიტეტი და მაგისტრატურა დაამთავრებინე, სამუშაოდაც ოზურგეთში გამოანაწილებინე და ამ ხნის განმავლობაში დედიკოსთვის მოკითხვის დაბარება არ დაგვიწყებია.

ერთი რამე მიკვირდაო. ზაზა მეუბნებოდა, ჩემი დანახვისას ზედმეტად შეწუხებული სახე ჰქონდაო, ხშირად ფილოსოფიურ აზრებს მიზიარებდაო, იცოდე, ზაზა, ის რაც ზედაპირზე დევს, მხოლოდ ნაწილია ცხოვრებისა, სინამდვილეში ცხოვრება გაცილებით უფრო ღრმაა. ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობის საიდუმლოს ზოგჯერ არავის უმხელენ. საკუთარი თავისაც კი ეშინიათ. ძილსაც უფრთხიან, ძილში რომ არ წამოცდეთ ის, რისგანაც წლების განმავლობაში ზღუდე შემოივლესო!

მადლობელი ვარ შენი, რომ გაჩნდი ჩემს ცხოვრებაში და უფლება მომეცი შენით მეცხოვრა. იმ ერთი სტუდენტური დროის (რომელიც შენ შეიძლება სისულელე გეგონა, ან ისეთი „ეპიზოდები“ არაერთი გქონია), ერთგული დავრჩენილიყავი.

ახლა, როცა ზაზა თავის მამაპაპეულ სახლშია და ხვალ თუ ზეგ ცოლს შეირთავს, მინდა გაგათავისუფლო სინანულის თითების კვნეტისგან.

მე შენგან ზუსტად ისეთ საქციელს ველოდი, როგორც მოიქეცი, ჩემი პირველი წერილიდ შემდეგ, არც მეტს, არც ნაკლებს.

საქმე ისაა, რომ ქმარი რომ მომიკვდა და ზაზამ სკოლა დაამთავრა, უსახსროდ და უილაჯოდ დავრჩი.

ბიჭს თბილისში უნდა ესწავლა და ვინმე ხომ უნდა ჰყოლოდა მაგალითის მიმცემი, მზრუნველი, მიმხედავი.

ავდექი და მოვიფიქრე – მოდი, ბატონ პარმენს მივწერ, თითქოსდა მაშინ ფეხმძიმე დავრჩი და ზაზა მისი შვილია-მეთქი.

ასეც მოვიქეცი.

სინამდვილეში იმ ჩემთვის ყველაზე უცნაურ და ლამაზ დღეს ფეხმძიმე არ დავრჩენილვარ და ზაზა ნამდვილად მამამისის – რამაზ ქურიძის შვილია.

თუ შეგიძლია, მაპატიე ეს დანაშაული.

შენ იმდენად საყვარელი კაცი ხარ ჩემთვის, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე შენი ღუღუნა ხმა ჩამესმოდა და შენს თითებს ვხედავდი.

ხშირად მესიზმრებოდი და ახლაც მესიზმრები.

ასე მგონია, ეს წლები სხვისი ცხოვრებით ვიცხოვრე, ფაქტიურად, მე შენთან დავრჩი სამუდამოდ, შენს დაულაგებელ ბინაში 1984 წლის 12 მაისს.

და რაც მერე ჩავიდინე, თითქოსდა ჩემი სურვილის ხორცშესხმა, ან ჩემს მიერ შეთხზული ლამაზი ზღაპარი იყო, შენ რომ გვიყვებოდი ხოლმე ლექციებზე რომანტიკულ ექსცესებს.

არ ვიცი, რამ მაინძულა იმ დღეს სიცრუე მომეწერა – გაჭირვებამ, შვილის სიყვარულმა თუ შენმა სიყვარულმა.

მე მგონია უფრო შენმა სიყვარულმა.

ასე მეგონა, საქმე გაგიჩინე მეთქი, შენს მარტოსული კაცის ცხოვრებას სხვა აზრი თუ სხვა მდინარება მივეცი-მეთქი.

მერე და მერე, თანდათან ვრწმუნდები, რომ გამოუსწორებელი დანაშაული ჩავიდინე.

დავიღალე ფიქრით, დამსაჯა ამ ჩემმა უნებლიე დანაშაულმა და აჰა ჩემი წერილი – აღსარებაც.

თუ შეგიძლია, მაპატიე. შენი ეთერ გვინჩიძე".

**გულნარა შოთაშვილი**

## სიყვარულის ძალა

ვიდრე ჭკვიანმა იფიქრა, სულელმა ხიდი გადაირბინაო, გამიგონია...

ქალმა დიდრონი თვალები შეანათა ვაჟს, მერე მზერა აყვავებულ ატმის ხეზე გადაიტანა, ტუჩები მოკუმა და სათქმელი თვალებით თქვა. შიში ჩასდგომოდა დიდრონ თვალებში, მაგრამ შიშის მიღმა დაკვირვებული ადამიანი უფრო მეტ სიხარულსა და სურვილს დაინახავდა.

ვაჟი არ ეშვებოდა, სიტყვებით მიჰქონდა იერიში:

– გრძნობას ჭოჭმანით ვერ შეაჩერებ თამთა. მე დრო ძალზე ცოტა მაქვს, თუ წავედი, ვეღარ დავბრუნდები. მთელი წელია მაწვალებ.

ძლიერი ქარის დაძგერება რომ შეარხევს ნორჩ ხეს, ისე შეტორტმანდა ქალი, თვალებში სიხარულისა და სურვილის ელვას ცრემლი აეფარა. წამწამები უჩრდილავდა სისველეს, მაგრამ ნათქვამია, ქალი და ცრემლი ერთად დაიბადნენო და გადმოგორებულმა ცრემლმა გასცა მისი ხვაშიადი. ვაჟმა მისი ხელი იღლიის ქვეშ ამოიდო და უსიტყვოდ გადადგა ნაბიჯი.

ქალი თოკზე გამობმული ბატკანივით აედევნა, ყოველგვარი წინასწარი განზრახვისა და გადაწყვეტილების გარეშე.

ვაჟს სახელად სურვილა ერქვა.

მხარბეჭგანიერს, წელწვრილს, მაღალსა და ვაჟკაცური იერის მქონე სურვილას თავი ისე ეჭირა, ძნელი მისახვედრი არ იყო, იცოდა თავის ფასი, რაც მიმოხვრაზეც ეტყობოდა.

ქალი მინიატურული და ლამაზი ჩანდა. თლილი თითები, მოხდენილი სახის ნაკვთები, კეფაზე ლამაზად შეკრული გრძელი, ტეხილი თმა მის ქალურ სიტურფეს მოწმობდა. ნაზი, გულში ჩამწვდომი ხმით იოლად ინადირებდა მსმენელს.

საგაზაფხულო კაბაში გამონასკული ქალის ტანი უნაკლოდ გამოიყურებოდა. სიგამხდრე მისი ტანის ფორმებს ხაზს უსვამდა და უცნაურს ხდიდა მის მშვენებას.

ვაჟი არც ჩქარობდა და არც ნელა ვიდოდა, ზომიერი მოძრაობით ინაცვლებდა ფეხს, ხამუშხამუშ ჩახედავდა ქალს თვალებში და თლილ თითებზე ხელისგულს გადაუსვამდა...

ძლივს დაილია გზა.

ვაჟმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარი გააღო და ქალი წინ გაატარა. მერე კარი მიხურა და შიგნიდან გადაკეტა. ფანჯრებიდან შემოღვრილი შუქით გაბრდღვიალებულ ოთახში ორნი აღმოჩნდნენ. კარგ ამინდს ბინაშიც სითბო და სიმყუდროვე დაეხვავებია, მაგრამ ქალი მაინც კანკალმა აიტანა.

ვაჟმა გაზქურა აანთო და ჩაიდანი შემოდგა. უნდოდა, დრო მიეცა ქალისათვის მდგომარეობაში გასარკვევად.

– ყავას გაგიკეთებ. დღეს მე ვიქნები მასპინძელი, ხვალიდან კი შენ გაბარებ მეურნეობას. – შეყოვნდა, რაღაც დატოვა უთქმელი და შუბლზე ჩრდილმა გადაურბინა.

ქალს ტუჩები ღიმილმა შეურხია, აღელდა, კარს შეხედა და ინატრა:

– ნეტავ გარეთ ვიყო ახლა, შიგნით აღარ შემოვიდოდი. – კარისკენ ნაბიჯიც გადადგა.

ვაჟს ქალის მოძრაობა არ გამოპარვია. ხელი მოკიდა, დივანთან მიიყვანა და დასვა, მალე ყავაც შემოიტანა. მისმა ძალდაუტანებელმა ღიმილმა ქალი ოდნავ დაამშვიდა.

ყავას ოხშივარი ასდიოდა, მაგრამ მისთვის არავის ეცალა. ქალ-ვაჟი ერთმანეთის სიახლოვესა და სიმცხუნვარეს გაეთბო. ლღობას იწყებდა მიუკარებლობის ის მცირე ყინული, რაც ჯერ კიდევ არსებობდა მათ გულებში, მაგრამ ქალმა შიში მაინც ვერ დათრგუნა...

ბინდი შემოიჭრა ბინაში. ქალი იწვა მამაკაცის გვერდით, თვალები ფართოდ გაეხილა და ალერსს აღარ ირიდებდა. უკვირდა კი, მომხდარა ჭკუაზე რომ არ შეშალა. ვერაფრით გაეხსენებია, რას ფიქრობდა გუშინ. არც იმის თქმა შეეძლო, რას იფიქრებდა ხვალ. შემართულ სხეულს ძილი გაჰყროდა. მის უცნაურად დაბინდულ თვალებში ჯერ უადგილო და გაურკვეველი სხივი აკიაფდა, მერე მზე აენთო და გონებაში გამოანათა გუშინდელმა, ვაჟის უთქმელმა აზრმა. საწოლიდან წამოიწია. ადგომისა და გაქცევის სურვილი მოეძალა, მაგრამ ძალამ უტყუნა. ისევ ბალიშზე მიდო თავი და გაირინდა.

ღამე თვალსა და ხელს შუა გაეპარა. დილამ იმედი მისცა: გულში ახალი, მისთვის დღემდე უცნობი, ცოლ-ქმრული სიმი გაბმულიყო. ნდომას მოვალეობა დაერთო თან და გაცლის სურვილს ნელ-ნელა ინელებდა, აქრობდა. მაგრამ ეს სიმი ძალზე სუსტი ეჩვენა თამთას.

ფიქრი ვაჟის ალერსიანმა ხმამ შეაწყვეტინა.

– იწექი თამთა, – თქვა და მკერდში ჩაიკრა ქალის უნაკლო სხეული. – გამათბე, ამქვეყნად დამაბრუნე და, გწამდეს, ბედნიერებას მოგიტან, თუ უიღბლო შეცდომა არ გადამეღობა...

ქალს ძალზე სურდა „უიღბლო შეცდომის“ აზრის გაგება, მაგრამ აშლილი და აფორიაქებული გონება ვერა და ვერ დაიყოლია შეკითხვისთვის. საუბრის სურვილი გასცლოდა და იწვა მოთენთილი ალმოდებული მამაკაცის გვერდით. ნატრობდა გუშინდელ დღეს, რომელთანაც უკვე საუკუნე აშორებდა. გადადგმული ნაბიჯი და თავგადახდენილი სიზმარი ყოფილიყო ნეტავ და გაღვიძებისას ყველაფერი გამქრალიყო...

დრომ თავისი გაიტანა, დნებოდა ყინული ქალის გულში და ეჩვეოდა მამაკაცს. მაგრამ კაცი დღითიდღე ჩაფიქრებული და სიტყვაძუნწი ხდებოდა. თითქოს მობეზრებოდა იოლად მიღწეული და სიბრაზეს ველარ ფარავდა მის მიმართ, ვისაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვოდა.

თამთამ დიდხანს ითმინა ქმრის საქციელი და ბოლოს, მოთმინებადაკარგულმა, სრულიად მშვიდი ხმით, გარეგნულად აუღელვებლად თქვა, რაც გულმა უკარნახა:

– მე წავალ, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. შენ ჩემ დანახვაზეც კი ნერვები გეშლება...

ვაჟი შეკრთა, სათქმელი ენაზე შეაცივდა. არც თამთა ეთმობოდა და ვერც თავის საიდუმლოს შელეოდა, რასაც წერილობითა და შემონათვალით ახსენებდნენ...

ქარბუქიანი დილა იდგა. ნამქერი კარების წინ დახვავებულიყო. ხეებს კენწეროები აღარ უჩანდა. თოვდა და თოვდა ხვავრიელად.

სიცივისგან აბუზული ბეღურები ნაძვს შეხიზნულიყვნენ. თამთა გამოაღებდა ხოლმე ფანჯარას და ნამცეცებს უყრიდა ფრინველებს. ადრე ძალიან უხაროდა, ჩიტები ჟივილით რომ მიაწყდებოდნენ რაფაზე დაყრილ საჭმელს. ახლა მხოლოდ მოძრაობის სურვილს გრძნობდა, სიხარულს არა... ვერც ის გაიგო, რატომ ცხოვრობდა ვაჟი ვეებერთელა ბინაში მარტოდმარტო და არც მის ახლობელ-ნათესავებს იცნობდა. ერთი იცოდა, ვაჟი ხშირად ღებულობდა წერილებს. ისიც ჩაიკეტებოდა საძინებელ ოთახში და დიდხანს არ გამოდიოდა.

ერთ დღეს ქმრის პიჯაკის წმენდისას ჯიბიდან ბავშვის და ლამაზი ქალის სურათი გადმოვარდა. სურათს უცნაური წარწერა ჰქონდა „ლირა“. თამთას ელდა ეცა. სურათი ქმარს მაგიდაზე დაუდო, თვითონ დივანზე ჩამოჯდა და შედეგს დაელოდა.

მამაკაცს სურათის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა, ყბა აუცახცახდა, შუბლზე სიმწრის ოფლმა გამოჟონა და ნერვიული მზერა თამთასკენ გააპარა.

თამთას ქმრის რეაქცია არ გამოპარვია, თუმცა გვერდულად იჯდა და პერანგზე ღილს ისეთი გულმოდგინებით აკერებდა, კაცი ვერ მიხვდა მის ხვაშიადს.

თავი შეზიზღდა კაცს შეცდომით გადადგმული ნაბიჯისათვის, რომლის შედეგმაც მოლოდინს გადააჭარბა. დაენანა დაკარგული ადამიანობა და სინდისი. სამსალად ექცა ის ერთადერთი ღამე, რომელიც სრულიად უცნობ ქალიშვილთან მდინარის ნაპირზე მდგარ წისქვილში გაატარა.

თამთა ღილის დაკერებას მორჩა და პერანგი სკამის საზურგეზე გადაკიდა. მერე პალტო ჩაიცვა, თავშალი მოიხვია, წინასწარ მომზადებული ჩემოდანი აიღო და კარისკენ წავიდა.

გარეთ ბინდი წვებოდა...

კაცი არ შერხეულა. ერთ წერტილს დასჩერებოდა. ვერ გაებედა, წინ აღდგომოდა იმის სურვილს, ვინც თავისი ცხოვრება, კდემა, სინდისი ვაჟის სურვილს გადააყოლა.

ქალმა კარი გაიხურა და კიბის თავზე გავიდა. წინ ფოსტალიონი შემოხვდა, ხელში დეპეშა, ფანქარი და ხელმოსაწერი ბლანკი შეაჩეჩა. თამთამ ინსტიქტურად მოაწერა ხელი და ანგარიშმიუცემლად შებრუნდა ბინაში. დეპეშას თვალი გადაავლო, მამაკაცს წინ დაუდო და დაცარიელებული, ღონეგამოცლილი, განადგურებული შებრუნდა კარისკენ.

კაცი დეპეშას დააცქერდა, წაიკითხა. თვალებს არ დაუჯერა და ისევ წაიკითხა: „ჩამოვდივართ მე და შენი შვილი. დამხვდი. მეოთხე ვაგონი. შენი თამარი და სოსო.“ კაცმა კარს გახედა. თამთა მობრუნდა, გამოხუნებული მზერა მიაპყრო ორცეცხშუა ჩავარდნილს და ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა:

– მცირედი დარდი ყვირის, დიდი დარდი დუმს.

კაცმა თვალი ვერ გაუსწორა კარებში გამავალ კანონიერ მეუღლეს, რომელიც ჩარჩოში ჩასმული სურათივით მორგებოდა კარს და სიტყვებს მარცვლავდა:

– ღმერთმა მოგკითხოს სამაგიერო... ავადმყოფს წყლის მომწოდებელი არავინ გყავდეს, ადამიანის სახე გენატრებოდეს, პური გშიოდეს და საჭმელი გეზიზღებოდეს...

თამთა სიბნელეს შეერია.

კაცი უაზროდ დაჰყურებდა დეპეშას. გრძნობდა, როგორ უჭირდა თამთასთან განშორება, წამოწევაც სცადა მის შესაჩერებლად, მაგრამ თითქოს იატაკს მილურსმნოდა, განძრევა ვერ შესძლო. სურვილი აღრჩობდა, აეხსნა გამოუსწორებელი შეცდომის შედეგის სიმწარე და ღონე არ ეყო ამისთვის... ადგომისა და გადევნების ილაჯი დეპეშის მოტანილ სინამდვილეს წაერთმია...

დეპეშით მოტანილი ამბავი გახდა მათი სიყვარულის გამაცამტვერებელი და მათი დაშორების უპირობო ბზარი.

დარდით და თამთას სახლიდან წასვლის ელდით გაშეშებულს დროის საზომი შეუჩერდა. გონების თვალი გადაავლო თამთასთან გატარებულ დღეებს და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, თამთა იყო მისი სიცოცხლის დასაწყისიც და დასასრულიც.

კარზე კაკუნის ხმამ გამოაფხიზლა. საათს შეავლო თვალი.

– აღარ გავუშვებ, მუხლმოყრილი შევთხოვ ერთგულებას... თამთას გარეშე არაფერი მინდა. – უკვე კართან მისულს კვლავ მოესმა კაკუნი. – ჰო, სიხარულო, გიცდიდი, ჩემო თამთა. – სახეგაღიმებულმა გახსნა კარი.

კართან უცნობი ქალი იდგა ბავშვით. გონებაში უწმინდური ღამე ამოუტივტივდა. ეს ქალი და თვითონ ერთნაირად იყვნენ დამნაშავენი თამთას წინაშე.

– აიღე სახლის გასაღები, მე შენთან ვერ ვიცხოვრებ. არც ერთი არ ვღირვართ თამთას მცირედ ნერვიულობადაც კი... მე მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ... – თქვა და მუხლებამდე თოვლში დაადგა გზას...

გადაუღებლად თოვდა. ჭირდა სიარული, მაგრამ თამთასთან შეხვედრის სწრაფვა ღონეს მატებდა კაცს და ფიქრი იმისა, რომ სუსტ არსებას გაუჭირდებოდა ზვავ-თოვლში სიარული, თვალებს აცეცებინებდა ირგვლივ...

... ბავშვიანი ქალი შეფიქრიანდა. ეწყინა, რომ არ ისურვა ცხოვრების თანამგზავრად მან, ვისაც მხოლოდ ერთი ღამის ალერსი, სახელი და მისამართი იცოდა. ბინაში შესვლას ვერ ბედავდა. ბავშვის ტირილმა აიძულა ნაბიჯის გადადგმა. სახტად დარჩა, ბინა მშვენივრად იყო მოწყობილი, თბილოდა, ღუმელზე შემოდგმული ჩაიდანი იორთქლებოდა...

დარჩა ქალი ბინაში. ზამთარი ისედაც აბრკოლებდა გადაადგილებას, მერე კი... იქნებ...

კაცმა დაღმართში მიმავალ თოვლით გაფარულ გზას გახედა. ნაბიჯი გადადგა და მუხლამდე თოვლში ჩაეფლო. როგორც იქნა მოახერხა ფეხის ამოწევა. ახლომდგომ ხეს ტოტი შეამტვრია და მასზე დაყრდნობით გადაინაცვლა რამდენიმე ნაბიჯი. ორი მოსახვევი აშორებდა ცენტრალურ ქუჩას, რომ ფეხზე ადამიანის ფეხი გამოედო და სვლა დაუბორკა.

– ვინ არის ეს უბედური? ჩაიყინებოდა, – ჩაიბუბუნა კაცმა და თოვლის შემოცლა დაუწყო ჩაფლულს.

ძლივს მოაცილა თოვლის ფენა. გამოჩნდა გადათეთრებული სახე და შიშველი ხელები. კაცმა ჯერ ხელის წრიული მოძრაობით შეახურა გაყინული სახე, მერე ხელები დაუსრისა და დაუორთქლა. შეინძრა თოვლში ჩაფლული.

– ცოცხალი ხარ? ხმა გამეცი. ვინ ხარ? ამოიღე ხმა...

წვალებით მიიტანა გათოშილი სხეული ტოტებგაშლილი ხის ძირას. ხმელი ტოტები ჩამოამტვრია, ჯიბეები მოიჩხრიკა, ასანთი და ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და ცოტაოდენი წვალების შემდეგ ცეცხლი დაანთო. სითბომ და სინათლემ გამოაჩინა გონგაცლილი ადამიანის სახე.

– თამთა, ჩემო სიხარულო, ამოიძახა კაცმა.

კაცმა ცეცხლს კიდევ დაუმატა ტოტები. ქალი ოდნავ გამოცოცხლდა, სმენაც დაუბრუნდა და ხედვაც და გულსაკლავად ამოიკვნესა:

– ჩემო სულისდგმავ, შენ რომ არა, ვერაფერი დამიბრუნებდა სიცოცხლეს.

– თამთა, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია... მოვიდა ბავშვიანი ქალი. გასაღები მივეცი...

– სად იცხოვრებ?..

– ბიძაჩემმა პატარა ბინა დამიტოვა...

– წადი, დამტოვე ჩემს დამწვარ ბედდთან, – ისევ ამოიკვნსა ქალმა და თვალები დახუჭა.

– არა, მე კი არა, ორათავ ერთად წავალთ...

წავიდნენ... იმ ბინაში ისე გალიეს წუთისოფელი, ერთხელაც არ მიუკითხავთ იმ სახლ-კარისთვის, სადაც ჯერაც იდგა მათი სიყვარულისთვის სამარის გათხრის მცდელობის სუსხი...

მათ კი, ნაშიერით გალაღებულთ, ერთხელაც არ დასჭირვებიათ, გაეხსენებიათ ადრეული ცხოვრების მორეცხილი ლაქა...

ბახვა სამხარაძე



# წინდები

სკოლა დავამთავრე, ჩავაბარე, საჭირო ქულები ვერ მოვაგროვე და უნივერსიტეტის გარეთ დავრჩი.

თავმოყვარეობა შელახულმა, თანაკლასელებთან ერთად (რომლებიც ჩემს მდგომარეობაში აღმოჩდნენ) გადავწყვიტეთ ჯარში მოხალისეებად წავსულიყავით. იქედან კი მოგვეხერხებინა საოფიცრო სასწავლებელში მოხვედრა.

ჩავედით რაიონის სამხედრო კომისარიატში. შევხვდით კომისარს და გავანდეთ ჩვენი გადაწყვეტილება.

კომისარმა თავაზიანად მიგვიღო, მოგვისმინა, გადაწყვეტილება მოგვიწონა, შეგვაქო კიდეც, მაგრამ გაწვევაზე უარი გამოგვიცხადა, იმ მოტივით, რომ ჯარში არასრულწლოვანთა გაწვევას, წესდება არ ითვალისწინებდა. გვირჩია დავლოდებოდით წესდებით დადგენილი ასაკის შესრულებას.

ის იყო იმედგაცრუებულებს კაბინეტი უნდა დაგვეტოვებინა, კომისარმა ტელეფონის ყურმილი დადო და გაღიმებული, კმაყოფილების გამომეტყველებით, ხელით გვანიშნა შევჩერებულიყავით.

იღება კომისრის კაბინეტის კარები და შემოდის ახალგაზრდა, სიმპატიური კაპიტანი. კაპიტანმა შემოსვლისთანავე ჩაგვათვალიერა, კომისარს ყურთან რაღაც რუსულად ჩაულაპარაკა, ჩვენ კი გვანიშნა გავყოლოდით. გაგვიყვანა მოპირდაპირე კაბინეტში და ხელით გვანიშნა, მაგიდასთან დავმსხდარიყავით. ჩამოგვირიგა განცხადებისათვის სპეციალურად დადგენილი, რუსულენოვანი ფორმატის ფურცლები და კარნახით შეგვავსებინა. შევსებული განცხადებები ჩაგვაბარებინა კანცელარიაში და გაგვაფრთხილა პასუხს დავლოდებოდით, სახლში.

რამდენიმე დღეში მივიღეთ უწყება, სამედიცინო კომისიაზე გამოცხადების შესახებ.

კომისიამ სამივე ჯანმრთელად გვცნო, იქვე ჩაგვაბარეს გაწვევის უწყება და გაგვაფრთხილეს: სამ დღეში გამოვცხადებულიყავით გასაწვევ პუნქტში.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჩავთვალეთ რომ ეს იყო პირველი, მაგრამ მომავალი დიდი წარმატებების დასაწყისი, ჩვენს ცხოვრებაში.

სიხარულის ეიფორიით გაბრუებულები ვბრუნდებოდით სახლში.

მე კი სიხარულთან ერთად გარკვეული სევდაც მაწუხებდა.

საქმე ის იყო, რომ დედაჩემი გადაწყვეტილებას არ მომიწონებდა, წინ აღუდგებოდა და დიდი ძალისხმევა დამჭირდებოდა მისგან თანხმობის მისაღებად. მისი თანხმობის გარეშე კი ჩემს ჩანაფიქრს აღსრულება არ ეწერა.

სახლში დაბრუნებამდე გზაშიც ვფიქრობდი და გონებაში ვადგენდი სხვადასხვა ვარიანტებს, თუ როგორ გამეხერხებინა ისე, რომ თანხმობაც მიმეღო და რაც – შეიძლება ნაკლები ტკივილი მიმეყენებინა მისი ჯანმრთელობისთვის.

ორი დღე და ღამე უძილობასა და ფიქრებში გავატარე. ვფიქრობდი, როგორ შემემზადებინა და გამემხილა ჩემი გადაწყვეტილება დედაჩემისათვის, მაგრამ არსებით გამოსავალს ვერ მივაგენი.

გასაწევ პუნქტში გამოცხადებამდე ერთი დღე-ღამე რჩებოდა და მე ჯერ კიდევ გარკვეული არ ვიყავი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

კრიტიკული მომენტი დადგა, ან სასწრაფოდ რაღაც უნდა მეღონა, დედაჩემისთვის ჩემი ჩანაფიქრის გასამჟღავნებლად და მასზე დასათანხმებლად ან საბოლოოდ იმსხვრეოდა ჩემი ჩანაფიქრის განხორციელების პერსპექტივა.

იმ დღეს დედაჩემი ჩვეულებრივი ყოველდღიური საქმიანობით იყო დაკავებული. მეც გვერდიდან არ ვშორდებოდი, მასთან ახლოს ვტრიალებდი. საბაბს ვეძებდი, საუბარში გამომეწვია და ჩემი სათქმელი გამემხილა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა.

არ ვიცი ღვთის საჩუქარი იყო თუ სხვა რამ, დედაჩემმა იქვე მდგომ ფქვილის შესანახ ჭურ-

ქელს სახურავი ახადა, შიგ ჩაიხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ფქვილი გაგვთავებია, ხვალ სიმინდი იქნებ გავაბრელოვო, დასაფქვავად გავამზადო და წისქვილში მოგიწევს წასვლაო.

სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, კითხვა შევაგებე: „დედა, მე რომ ჯარში გამიწვიონ, ხომ დაისვენებდით, ნაკლები მჭამელი გეყოლებოდათ და ფქვილიც დიდხანს გაგყვებოდათ„? და გატრუნული ველოდები პასუხს.

დედაჩემს ვითომც არ გაუგონია, ხმას არ იღებს. კითხვას უფრო ხმამაღლა და თავდაჯერებულად ვუმეორებ.

„ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“. შენისთანა ბედოვლათი ჯარში ვის რაში გამოადგებაო. გამომაჯავრა.

მეც მეტი რა მინდოდა, მივიღე იმაზე მეტი რასაც ველოდი. დედაჩემმა საბაბი ჩამომაწოდა, ახლა ჯერი ჩემზე იყო, როგორ გამოვიყენებდი.

მის მიერ გამოჯავრებით ვითომ განაწყენებულმა, დავაძვრე ჯიბიდან ორი დღის ნატარები, დაჭმუჭნული უწყების ფურცელი და შევაჩეჩე ხელში.

დედაჩემმა უწყება დინჯად გადაშალა, გაასწორა, თვალებთან ახლოს მიიტანა, როგორც შევატყვე დაჭმუჭნულ უწყებაში ასოები კარგად ვერ გაარჩია, ფანჯრისკენ გადაინაცვლა და ხმაამოუღებლად ორჯერ წაიკითხა. უცებ უწყება მაგიდისკენ მოისროლა და ჩემსკენ წამოვიდა. ორივე ხელი მხრებში ჩამავლო თითქოს ჩემს თავს ვინმე ეცილებოდა, ძუ მგელივით, რომელსაც ლეკვებთან განშორების საფრთხე ემუქრება, გააფთრებულმა უბეში მაგრად ჩამიკრა და აქვითინებულმა ცრემლებით სახე დამისველა. დედის ქვითინზე გულაჩუყებული ვიცრემლებოდი მეც.

დედამ უცებ ხელი გამიშვა, განზე გადგა, მკაცრად, მაგრამ საზეიმო გამომეტყველებით მომმართა: „ნუ გეშინია შვილო! ხვალ შენთან ერთად მოვდივარ კომისარიატში, ვაჩვენებ მაგ არაკაცებს, როგორ უნდა ასე უპრაგონოდ ცხვირმოუხოცავი ბოვშის ჯარში გაშვება.

თავიანთი მუტრუკი ბერიკები სახლში ყავთ გამოკეტილები, ცივ ნიავს არ აკარებენ, მათ მაგივრათ უპატრონო ბოვშებს უშვებენ იმ ჯოჯოხეთში, არც კანონის ეშინიათ და არც ღმერთის.

მამა რომ არ გყავს, მაგ მიწადასაყრელებს შენც უპატრონოდ და დოუცველად ჩაგთვალეს და გონიათ ისე მოგექცევიან როგორც მეეპრიანებათ. ვერ მივართვი!

იცოდეს ყველამ შინაურმაც და გარეულმაც, თქვენც „დეიმახსოვრეთ, სანამ პირში სული მიდგას, თქვენთვის დედაც მე ვარ და მამაც, არავის მივცემ ჩემი შვილების დაჩაგვრის უფლებას. ვინც ამას შეეცდება, მიიღებს საკადრის პასუხს“.

რა იცოდა ცხონებულმა, რომ არავინ არაფერ შუაში იყო და ყველაფერი მისი შვილის ხუშტირებით ხდებოდა.

შემეცოდა დედაჩემი. ერთი პირობა გავიფიქრე, ხომ არ შემეცვალა გადაწყვეტილება და დავრჩენილიყავი. მეორეს მხრივ, წასვლის დიდი სურვილი და უფრო მეტად, მეგობრების მიმართ შინაგანი პასუხისმგებლობა და თავმოყვარეობა მაკავებდა.

გარკვეული ფიქრისა და აზრთა ჭიდილის შემდეგ მივიღე მტკიცე გადაწყვეტილება, აუცილებლად წავსულიყავი.

შევუდექი დედაჩემის „დამუშავებას“ ვარწმუნებდი, რომ მის შვილს არავინ და ვერავინ დაჩაგრავს, რომ ჩემი ორი კლასელიც გაიწვიეს და ისინიც ჩემთან ერთად მოდიან, მეტი დამაჯერებლობისთვის მათი სახელებიც დაუსახელე.

რომ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახური საპატიო და კონსტიტუციური მოვალეობაა ყველა ჯანმრთელი საბჭოთა ახალგაზრდისთვის.

რომ ადრე თუ გვიან ჯარში მაინც მომიწევს წასვლა და ჯობს ადრე მოვიხადო ვალდებულება სამშობლოს წინაშე.

ისიც უთხარი: რომ უწყებას ორი დღე ჯიბით ვატარებდი და თქმას ვერ ვუბედავდი, უფრთხილდებოდი მის ჯანმრთელობას.

ამ პატრიოტულ კომკავშირული ფრაზიოლოგიით გაჯერებული „ტირადის“ შემდეგ, დედაჩემმა ისე დამიწყო ცქერა თითქოს მის წინ შვილი კი არა უცხო ადამიანი იდგა.

წამოდგა, ისე რომ ჩემთვის თვალი არ მოუცილებია. ნელინაბიჯით მომიახლოვდა ჯერ ლოყაზე ხელი მომითათუნა, თავი გადამიწია, შუბლზე მეამბორა, თავზე თმები ამიჩეჩა, უბეში მსუბუქად ჩამიხუტა, და გულაჩუყებულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაილაპარაკა: „შვილო დედა გენაცვალოს, შენ უკვე დავაჟკაცებულხარ და ეს მე როგორ გამომეპარა„-ო.

სიტუაციის ასეთ შემობრუნებას არ მოველოდი, და დედაჩემს გათამამებულმა შევბედე: დედა, უწყებაში ხომ ნახე, რომ დრო ხვალ დილით მეწურება. დილას ადრე, სრულ მზადყოფნაში უნდა შევხვდე ჩემს ამხანაგებს და კომისარიატში დროულად გამოვცხადდეთ.

დედაჩემი კიდევ ვერ შეგუებია ჩემს გადაწყვეტილებას. აზრის შესაცვლელად იშველიებს სხვა და სხვა ახალ არგუმენტებს. მხარი აუბა ჩემმა დამაც. ძმა პატარაა, გაგებაში არ არის რა ხდება და არც აინტერესებს.

ისევ მომიხდა დამატებითი ძალისხმევა დამეჯერებინა დედაჩემი რატომ იყო წასვლა აუცილებელი და ამაზე ლაპარაკით თავი აღარ შეეწუხებინა.

მიხვდა რა, გადაწყვეტილებას ველარ შემაცვლევინებდა, მოიწყინა. ხმას აღარ იღებდა.

ადგა, მაგიდიდან უწყების ფურცელი აიღო, თვალიერება დაუწყო. მომიბრუნდა დაღონებული სახით და გაბზარული ხმით მეუბნება:

„წადი შვილო, წადი. რაღამც გადაწყვიტე და შენსას არ იშლი, იყოს ისე, როგორც შენ სწორად მიგაჩნია. ჩვენ ძალიან კი დაგვაკლდები, მარა რა ვქნათ. ველოდებოდი შენს წამოზრდას იმედი მქონდა გვერდში დამიდგებოდი, ტვირთს ცოტათი შემიმსუბუქებდი. მარა რა ვქნა. რაღამც შენ ეგრე მეინდომე და გადაწყვიტე, იყოს ნება შენი.

ჩვენ კიდევ რალაცნაირად უნდა შევეგუოთ უშენობას და ვითვალოთ წლები. სამი წელი შენს ნატვრაში გავატაროთ და ვილოცოთ შენთვის.

მაგიდიდან უწყება ისე აილო, გაშალა, მასში ჩამოწერილი ნივთების დასახელებები სათითაოდ ჩაიკითხა. უწყებაში სხვებთან ერთად ჩაწერილი იყო ჯარისკაცისთვის აუცილებელი ატრიბუტი ე. წ. „ფლიაგა“. შვილო „ფლიაგა“ რაღა ჯანდაბა და დოზანაა? მეკითხება.

მახსოვდა, მომრგვალო სიმპათიური ალუმინის ჭურჭელი რომელიც ბაბუას სულ ქამრზე ჰქონდა ჩამოკიდებული ყანაში მუშაობისას ჩემთვის ხან წყალი, ხან ღვინო, ბევრჯერ დაულევინებია.

როგორც მისი მონათხრობიდან მახსოვდა, პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებულს ჩამოუტანია და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. სწორედ ამ ჭურჭელს ბაბუა ხან „ბაკლაჟკას“ და ხან „ფლიაგას“ ეძახდა.

დედაჩემმა მაშინვე ჩემი და აფრინა ბაბუასთან „ფლიაგის“ სათხოვნელად. დაბრუნებულმა დედას ახარა: „ბაბუა ამაღამ მოძებნის და დილით თვითონ ამოიტანსო.

ის იყო დედაჩემმა დაამთავრა გასატანებელი ნივთების შეგროვება, ჩალაგება, ჩამოჯდომას აპირებდა, რომ უცებ შეშინებულივით წამოიყვირა:

„თავი რავა არ მამიკვდება და მიწა რატო არ გამისკდება მე უბედურს ეს რა მამივიდა ქალო. ბოვშს ცხრამთას იქით ვაგზავნი და წინდების გატანება ქე მავიწყდებოდა. შესჩივლა კარის მეზობელსა და ჩემს ბიცოლა თამარა, რომელიც სამეზობლოდ იყო ჩვენთან შემოსული“.

დაიწყო წინდების ძებნა. ძებნაში ჩაერთო და ძმაც. მთელი სახლი გადაჩხრიკეს, მაგრამ საჩემო წინდები ვერ აღმოაჩინეს.

წუხს ქოთქოთებს, დედაჩემი, გამოსავალს ეძებს. „რა ვქნა რა წყალში გადავარდე თამარა, დილამდე წინდების მოქსოვას მამაზეციერიც ვერ მოასწრებს, უწინდოთ კიდო, როგორ გოუშვა ბოვში ჯარში. რა მამასვენებს მაგის დარდით“. გაასავსავა ხელები.

ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს გამოსავალს მიაგნო მუდარაგარეული, მოფერებით შემომხედა

„ბახულა, დედა გენაცვალოს, იქნება ცოტა ხნით გადაგედო იმ დასაქცევარში წასვლა, წინდებსაც მოგიქსოვდი, ხელთათმანებსაც და პატარა გაცილების სუფრასაც მოგიწყობდი.

აპა ასე რაფერ იქნება შვილო, ჩვენი სოფლიდან ჯარში ვინც წეიყვანეს, ყველას გოუშალეს გაცილების სუფრა და არ იტყვიან მეზობლები, ამისთანა კაი ბოვში უპატრონოსავით გოუშვა ჯარშიო„?

დაწყნარდი დედაჩემო, მაგაზე ნუ ნერვიულობ. სამაგიეროდ, როცა დავბრუნდები, უფრო დიდი სუფრა გავშალოთ, ვინც მაგას იტყვის, ყველა სუფრაზე მოვიწვიოთ და დიდი ლხინი გავმართოთ, ვამშვიდებ.

„კაი შვილო, კაი, იყოს ისე როგორც შენ გინდა, მარა ფეხშველი რაფერ გაგიშვა იმ დასაქცევში. რუსეთში რო წაგიყვანონ, იქოურ სიცივეს უწინდოდ შენ გოუძლეფ? რო გაცივდე, ჯვარი გეწეროს და რამე რო მოგივიდეს, ხო თავი მექნება მოსაკლავი“.

ისევ გვარიანი მონოლოგის წაკითხვა მომიწია დამერწმუნებინა, რომ წაუსვლელობა გამო-

რიცხულია. შესაძლოა დეზერტირად გამომაცხადონ და ციხეშიც გამამწესონ. წინდების გამოგზავნა ამანათითაც შეიძლებოდა და არ ღირდა ამაზე ამდენი ნერვიულობა და ფორიაქი.

ცოტა რომ ჩავწყნარდით, თამარა ბიცოლა წასასვლელად წამოდგა. სანამ კარებში გავიდოდა, დედაჩემს დაწყნარება დაუწყო: „რაზე ნერვიულობ ქალო, ამაღამ არ დევიძინებ, ღამეს გავათენებ და ხვალ დილას შენს შვილს წინდებს გავატანო". მომიახლოვდა, მთხოვა ფეხზე გამეხადა და სკამზე შემომედგა. შიშველი ფეხის ტერფი ხელით ორჯერ გადამიზომა, დაგვემშვიდობა და კარებში გავიდა.

მიუხედავად იმისა, თამარა ბიცოლა მთელ სოფელში ხელით ქსოვის დიდოსტატად ითვლებოდა და საკმაოდ განაფული იყო ამ საქმეში, არც მე და არც დედაჩემს, მისი დაპირების დიდი იმედი არ გაგვჩენია, წარმოუდგენლად მივიჩნიეთ ზაფხულის ერთ პატარა ღამეში წყვილი წინდის მოქსოვა.

გავედი დასაძინებლად, მაგრამ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

ინათა თუ არა ავდექი. დედაჩემი საუზმეს მიმზადებდა, თან ჩურჩხელები, ჩირები, სხვა და სხვა გადანახული ტკბილეულობა გამოელაგებინა და ჩემს ზურგ-ჩანთაში ალაგებდა.

ვისაუზმე, ზურგჩანთა მოვაწესრიგე, მხრებზე მოვირგე და გამოვედი ეზოში.

ეზოში მელოდებოდნენ გასაცილებლად მოსული ბებია, ბაბუა და ახლო მეზობლები, რომლებმაც გაიგეს ჩემი ჯარში გაწვევის შესახებ. გამოვიდა დედაჩემიც და ჩემი და ძმა.

ეზოში გამოსვლისთანავე ბებია პირველი მომვარდა. ფეხის წვერებზე ოდნავ აიწია შემჭკნარი ხელები ლოყაზე სათუთად შემომაჭდო, თავი დამახრევინა შუბლზე მაკოცა და ისე დამიწყო სახეზე ცქერა, თითქოს დიდი ხნის უნახავი ვყავდი.

რა დროს ამის სალდათში გაშობაა ქალო!

ბოვშს საულვაშეზე ღინღლიც არ უჩანს ჯერ.

მიწა დავაყარე ხელებზე ბებია, ვინც შენ სალდათში გაშობას მოაწერა ხელი.

სხვავერავინ მონახეს? რამდენია მაგაზე უფროსები სალდათობა რომ არ გოუვლიათ? რალა ამ ბალანას დეეტაკენ. პატრონი რომ არ ყავს მიტო? პატრონიანებს სახში ყავთ გამოკეტილი კაის აჭმევენ კაის ასმევენ და ქე არიან საკალანდე ღორებივით ჩასუქებულები.

მაგნებმა არ გაიხარონ ამ წუთისოფელში. შენ გულში ჯავრი არ ჩეიდო ბებია. ღმერთი მაღლიდან ყოლიფერს ხედავს და ყველას პასუხს მოსთხოვს თავის ნაქნარმე.

აქაურობაზე ნუ იფიქრებ ბებია გენაცვალოს, ყორიფელი კარქათ იქნება. შენ თავზე იზრუნე მარტო.

ფრთხილათ იყავი ათასი ძაღლი და მამაძაღლი დადის ამ დუნიაზე და ყველას ნუ ენდობი, არაფერ ხიფათში გაგაყოფინონ თავი.

რავარც აქედან გიშობთ საღსალამათს ისე საღსალამათი დაგვიბრუნდი უკან.

ფეხების დასველებას მეერიდე ბებია. ხო გახსოვს რა დღეში იყავი ბოვშობაში. ქარები რაფერ გაწუხებდა. თავს ძალას ნუ დაატან ბებია არ გადეიღალო, ოფლი და გაცივება არ უყვარს. ძლივს მოგარჩინეთ. კიდო რო შეგიბრუნოს ისევლე, ვინ იქნება შენი პატრონი.

ბებია ცოტა ხან შეჩერდა, მეგონა დაამთავრა, მაგრამ და ისევ გააგრძელა.

„ღამე სიარულს მეერიდე, რამე უხიაგი არ აგყვეს, არ დევიღუპოთ" შვილო!

ბებიამ იქვე მდგარ ბაბუას, საგულდაგულოდ გახვეული და ძაფებით გაკოჭილი შეკვრა ჩამოართვა. მომაწოდა, წეილე შვილო გამოგადგება, ტკბილისკვერი და ჩურჩხელებია რაც გადამირჩა შენი მსუნაგი ძმისგან. უბიდან ორი ქაღალდის ფული ამოაძვრინა და ჯიბეში ჩამიდო. მერე უკან დაიხია და ლოცვა დაიწყო ჩუმად ლოცულობდა. სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ ტუჩების მოძრაობით და ჩიფჩიფით ვხვდებოდი ბებია ღმერთს მავედრებდა, ჩემს თავს აბარებდა.

მერე პირჯვარი გადამსახა. მთხოვა მეც იგივე გამეკეთებინა. პირჯვარი არასწორად გამოვისახე, ბებიას არ ესიამოვნა, ცუდად ენიშნა, შემისწორა და თავიდან გამამეორებინა.

გადამეხვია გადამკოცნა და აცრემლებული თვალების წმენდით გვერდზე გადგა, ადგილი დედაჩემს დაუთმო.

„გზაში ფრთხილათ იყავი შვილო, მატარებელი სანამ სულ არ გაჩერდება ფეხი არ ჩამოადგა". დაიწყო დამოძღვრა დედაჩემმა.

„რავარც დაბინავდები, მაშთვე წერილი მეიწერე. თამარას წინდებს და ხელთათმანებს რავარც მოვაქსოვინებ და როგორც კი მისამართს გავიგებ „პასილკას" მაშთვე გამოგიგზავნი.

თავს გოუფრთხილდი, იქ შენს გარდა შენი პატრონი არავინ იქნება. დეიმახსოვრე ბებიამ რაც დაგარიგა. ოფლიანზე გარეთ არ იარო, ანთება არ დაგემართოს და არ დამღუპო შვილო.

მარტო შენ თავზე იფიქრე, ჩვენზე არ იდარდო.

ფულს მოუმამჭინდი საჭმელი არ მეიკლო, მარა სხვა რამეს თავი დაანებე. რო გამოგელევა შემატყობინე. ჩვენ გავალთ რამენაირათ იოლათ. რავარც შემოთვლი რაცხას მოვახერხებ და მაშ-თვე გამოგიგზავნი.

აცრემლებული შემომცეცინებდა მეფერებოდა, კიდევ და კიდევ დარიგებებს მიმეორებდა, ბებიას დარიგებებს მახსენებდა და განშორებას არ აპირებდა.

„შვილო კიდო გეხვეწები და გემუდარები თავს მოუფრთხილდი, ხო იცი, შენ რო რამე მოგი-ვიდეს თავს არ ვიცოცხლებ“. მომაყოლა და ჩემს დას დაუთმო ადგილი.

ჩემი და ცრემლებით თვალებაწითლებული, ისე შემომცქეროდა, თითქოს სამუდამოდ მეთხო-ვებოდა. მომიახლოვდა ლოყაზე მაკოცა სწრაფად გამშორდა და ზლუქუნით დედაჩემის უბეში ჩარგო თავი.

აქ მინდა პატარა გადახვევა გავაკეთო.

მე და ჩემს დას განსაკუთრებული ურთიერთობა და სიყვარული გვქონდა ერთმანეთის მი-მართ. ჩემი მომდევნო იყო და გვერდში უდექით ერთმანეთს. ორივე ერთად კი ჩვენს უდროოდ დაქვრივებულ დედას, რომელიც წელებზე ფეხს იდგამდა რომ ჩვენთვის და პატარა ძმისთვის ნაკლებად ეგრძნობინებინა ობლობა და ომით გამოწვეული სიდუხჭირის სიმძიმე.

მახსოვს მე და ჩემი და დედამ აბრეშუმის ჭიისათვის, თუთის კრეფის დროს, ტოტი რომელ-ზედაც ვიდექით, მოტყდა და ორივემ საკმაოდ დიდი სიმაღლიდან მიწაზე ზღართანი მოვადინეთ. ჩემმა დამ დაცემისას ფეხი სერიოზულად დაიზიანა და სიარული აღარ შეეძლო. მოკრეფილი თუ-თის ფოთოლი ადგილზე მივატოვეთ, ავიკიდე ჩემი და, რომელიც წონით ჩემზე დიდად არ გან-სხვავდებოდა და სახლამდე, საკმაოდ დიდ მანძილზე ზურგით ვატარე.

სახლში მოსვლისთანავე, ბებიამ შეშინების გამო ლოცვა ჩაგვიტარა. დას ნატკენი ფეხი მინ-დვრის რაღაც ფოთლებით გადაუხვია, წყალგარეული ღვინისმაგვარი სითხეც დაგვალევინა, ლო-გინში ჩაგვაწვინა, პირჯვარი გადაგვსახა და დაგვამშვიდა. „ნუ გეშინიათ, ხვალ ჩიტებივით იქნე-ბით ორივენიო“.

არ ვიცი, მართლა ბებიას ჩატარებულმა მანიპულაციებმა გაჭრა, თუ სხვა რამემ, მეორე დღეს, ჩემი და მართლა ჩიტივით წამოხტა ლოგინიდან და ფეხის ტკივილი აღარ ახსოვდა.

ჩემი პატარა ძმა ეზოში დაბორიალებს. ასაკით პატარაა და უჭირს არსებული სიტუაციის გაცნობიერება. ცდილობს გარკვევას და ხან ვის ებლანდება ფეხებში და ხან ვის რას ეკითხება, რომ რამე გაარკვიოს, მაგრამ მისთვის არავის სცალია ყველა თავიდან იშორებს. ვეძახი. მაშინვე ჩემთან ჩნდება სახე გაბრწყინებული თვალებში შემომცეცინებს. უხარია რომ მისთვისაც მოვიცა-ლე. ხელში ავიყვანე, ჩავეხუტე და დარიგება დაუწყე: „კარგად მოიქეცი, დედას და დას დაუჯე-რე, სწავლასაც მიხედე (ზარმაცი იყო) წერილები ხშირად გამომიგზავნე. სახლში კაცი მარტო შენ რჩები „შენ იცი, როგორ კაცურად მოიქცევი“. თანხმობის ნიშნად ყველაფერზე თავს მიკანტუ-რებს. ჩამოვსვი, საჯდომზე ხელი წამოვარტყი და ბაბუასკენ გადავინაცვლე, რომელიც მოთმინე-ბით ელოდა თავის რიგს, რომ ჩემთან მოსულიყო.

ბაბუაჩემმა პირველი მსოფლიო ომის მონაწილემ, სამი წელი გერმანელებთან ნაომარმა და ოთხი წელი ტყვეობაში გატარებულმა ნატანჯ-ნაჯაფარმა კაცმა, გვერდზე გამიყვანა, ჯერ თავი-სი საყვარელი და განუმეორებელი ჭურჭელი „ფლიაგა“ გადმომცა „ბაბუ, ამ ხვთისნიერ ჭურ-ჭელს“ სალდათში „ბაკლაშკას“ ეძახიან, „ფლიაგა ნასტავლი ხალხის მოგონიალია.

ეს დალოცვილი სამი წელი ჩხუბში მემსახურა. რამდენჯერ ცხენის ნატერფალში ჩაგუბებუ-ლი წყლით ამივსია და პაპანაქება სიცხეში, უსიერ სტეპებში, ის წყალი წამალივით გამომდგომია და უეჭველი სიკვდილისაგან გადოურჩენილვარ. ამიტომ ამას თვალის ჩინივით უფრთხილდები, აქამდე ჩამევიტანე და აქაც ძაან მარგია, კაი სამსახურს მიწევს, მასთან გაშორება მიჭირს.

მარა შენ რავარც უფროს მამაკაცს შვილიშვილებში, არ შემიძლია დაგიკავო და გატან!

გატან ბაბუ! გატან! მარა ერთ რამეს გაგიბარებ. თუ შეასრულეფ, ხო კარქი, თუ არა და ჩვენი ჭირი წოუღია.

სალდათებს ჯარში ფორმასთან ერთად ყორიფელ აღჭურვილობას მაშთვე აძლევენ, მათ შო-რის ბაკლაშკასაც. ჩემი ეს ჭურჭელი შენთვის ზემდეტი შეიქნება და იძულებული გახდები თავი-

დან მეიშორო. თუ როგორმე სალდათობის დამთავრებამდე მის შენახვას მოახერხებ და რო ჩამოხვალ ჩამემიტან, გამახარებ. იცი რაფერც მეძვირფასება, და უმაგისობა გმაიჭირდება“.

„თუ ამას ვერ ჩამევიტან ბაბუ, რასაც მომცემენ იმას მაინც ჩამოგიტან . სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, ა, პა, პა, არ გამაგონო, ეს მინდა, ამასთან ერთად გავატარე მთელი ცხოვრება და ამასთან ერთად მინდა წავიდე ამ ქვეყნიდან, თვარა მაგისთანები როგორც ვიცი კოპერატივებში იყიდებაო“.

პირობა მივეცი, დანაბარებს აუცილებლად შეუსრულებდი.

ნასიამოვნებმა „ფლიაგა“ იქვე ჭურის თავის ღობეზე გადაკიდა და ჩაიბურტყუნა „მშვიდობით მოგეხმაროს შვილო“.

მიწაზე დადებულ ჩემს ზურგჩანთას მისწვდა, გახსნა, ჩალაგებული ნივთები ჩაათვალიერა. „ჩაშკა, ლოჟკა, კატილოჟკა, ყორიფელი ადგილზეა“ ჩაილაპარაკა და დახურა.

სალდათში მსახურობა იოლი არ არის. დაიწყო ბაბუამ. „მარა რავარც ჩემ ყურამდე მევიდა ამბავი ახლანდელი ხალმწიფე სალდათობაზე საკმარ ყურადღებას იჩენს. ჩაცმა დახურვა და თოფ-იარაღი სამყოფი ქონიათ.

ჩემსობას, ლემენცების ჩხუბში, სალდათი, ნახევრად ჩოუცმელი, და მშიერი ჩხუბობდა. არც

თოფ-იარაღი იყო სამყოფათ. უთოფო სალდათები ელოდებოდნენ, თუ ვინმე დეიჭრებოდა ან მოკვდებოდა, მისი თოფი ეელოთ და ჩხუბი გეეგრძელებიათ. მკვდარ სალდათს ატიტვლებდნენ ნაჭერში ახვევდნენ და მარხავდნენ. მის ტანსაცმელს ჩოუცმელი სალდათი იცმევდა. იყო შემთხვევები კვირაობით საჭმელს ვერ ვიღებდით.

ლემენცები ხო კარქათ იყვნენ შეიარაღებული, არც ჩაცმა დახურვა აკლდათ, არც თოფ-იარაღი, მარა რუსის სალდათმა გამძლეობით აჯობა და ბოლოს წელში გატეხა.

თუ ჩემი გამოცდილება ძაან არ მოძველდა და რამეში წაგადგება, დეიმახსოვრე: რავარც სალდათის უსტავში წერია, მეთაურის ბრძანებას აუცილებლად უნდა დაემორჩილო. თოფის ხმარებას კარქათ უნდა დეეუფლო. დეიმახსოვრო ზამთარში რო გაგამწესებენ, ერთ ადგილზე დიდხანს არ გაჩერდე ჩაგეძინება, ყინვამ ძილი იცის და შეიძლება გეიყინო. პარტიანკების დახვევა კარქათ ეითვისე, ცუდათ დახვეულმა მაზოლები იცის და დეიტანჯები. თავი „დასტოინათ“ დეიჭირე, არავის დეეჩაგვრინო. რუსებს უყვართ სხვისი დაჩაგვრა. თუ ერთხელ გაუვიდათ, მერე ვეღარ მოიშორებთ. ჯიში აქვთ მაგათ ასეთი.

ოტკას არ გოუთამამდე, ბევრი სალდათი, ბევრი დაღუპა მაგან, ჩემსობას.

მემგონი სხვა მხრივ საშიში არაფერია, სალდათობა შენ არ უნდა გაგიჭირდეს, საღ-სალამათი ბოვში ხარ.

ახლო მომავალში დიდი ჩხუბი მოსალოდნელი არ უნდა იყოს. მოჩხუბარი ხალხი ლემენცეში არიან, მარა რუსებმა ისე გატეხენ წელში, კასხან ვერ გეიმართებიან. სხვა ხელმწიფეები კიდო რუსებს ომს ვერ გოუბედავენ, მაგის ძალა არავის გააჩნია. თუ მაინც, რაღაცა პატარა ჩხუბი შეიქნება და მოგიწევს მონაწილეობა ნუ შეშინდები, მშიშარას უფრო ემტოვება ტყვია და ფათერაკი!

ვატყობდი ბაბუა კიდე დიდხანს აპირებდა ჩემს დამოძღვრას. მე კი სული კბილით მეჭირა, მაგვიანდებოდა. დათქმულ ადგილზე ამხანაგებს უნდა შევხვედროდი. მორიდებით შევბედე: „ბაბუ მაგვიანდება, მეგობრები მელოდებიან და უხერხულია ჩემი გულისთვის გასაწვევ პუნქტში დააგვიანონ, რომ ჩამოვალ მერე გავაგრძელოთ“ წაუთამამდი. ვფიქრობდი, როგორმე დამეძვრინა თავი, ისე რომ ნაწყენიც არ დარჩენილიყო, ის გაჩერებას მაინც არ აპირებდა, რომ ბებიაჩემი, მისი ცოლი და „რისხვა“ (ბაბუა ცოლს ასე მიმართავდა როცა მის საქმეში ჩარევას ცდილობდა) მარიამი თავზე არ წამოგვდგომოდა.

„დაანებე კაცო თავი ბოვშვს, რას ეჩრუტუნები ამდონს, ვერ ხედავ რომ ეჩქარება? ამდონის სალაპარაკო თუ გქონდა, აქამდე სად იყავი აქ არ იყო? გელაპარაკა რამდონიც გინდოდა“.!

ბაბუა როგორც ყოველთვის თვინიერად დაემორჩილა თავის „რისხვას“. შეწყვიტა ჩემი დამოძღვრა და მძიმედ ამოიხვნეშა თითქოს გული ამოაყოლაო.

„ეჰ ბაბუ! შვილიც დავმოძღვრე-დავარიგე წასვლის წინ მარა ჩანს ვერ გამოვდექი კარქი დამრიგებელი“. (გულისხმობდა თავის შუათანა შვილს მამაჩემს, რომელიც უკრაინაში დაიღუპა ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე).

მისი დარდით ბაბუა უკურნებელი სენით დაავადდა და სიცოცხლის ბოლომდე ავადმყოფო-

ბით იტანჯებოდა. ბაბუას თვალებზე კურცხალი შევამჩნიე გამიკვირდა, მანამდე მის თვალზე ცრემლი არ მენახა. თითქოს ჩემი მოერიდა, სისუსტის დასაფარავად შეტრიალდა და მორცხვი ბავშვივით, თავდახრილმა, ნაჯაფი დაკოჟრილი ხელებით კურცხალის ამოშრობას შეეცადა.

როდესაც ამ უხერხულობიდან გამოვიდა, მომიახლოვდა ორივე ხელით მიმიზიდა, მკერდში მაგრად ჩამიკრა, დიდხანს ასე განაბულები ვიყავით, მერე ზურგზე ხელი მომიტყაპუნა, გადამკოცნა და კაცურად დავშორდით ერთმანეთს.

ბაბუაჩემის მკერდში ჩახუტებულმა, ვიგრძენი მისი ნაჯაფი სხეულის ნაცნობი სურნელი, რომელიც დღემდე მეხსიერებაში ჩამრჩა სულ მახსოვს და სულ მენატრება. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ უკან მოვიხედე, ბაბუას ერთხელ კიდევ შევხედე, მეგონა ცოცხალს ვეღარ ჩამოვუსწრებდი და მინდოდა მისი სახე კარგად დამემახსოვრებინა.

საბოლოოდ ჩამოვუარე ეზოში მყოფ ჩემს გამცილებლებს, ისევ ხვევნა კოცნა, დარიგებები, ცრემლები და გავედი ეზოდან.

თამარა ბიცოლას ეზოს რომ მივუახლოვდი, თვალი მოვკარი, შუა ეზოში იდგა, ხელში საქსოვი ეჭირა და საქსოვ ჩხირებს გამალებით ამოძრავებდა.

შემამჩნია თუ არა გამომძახა „ჭიშკართან შეჩერდი შვილო ახლავე გამოვალ„-ო.

გამოდის თამარა ბიცოლა ჭიშკართან წინდებით ხელში „აი შვილო, როგორც შეგპირდი, მთელი ღამე არ დამიძინია, ვქსოვდი, მეშინოდა ვერ მოვასწრებდი, მაგრამ ღმერთის წყალობით დანაპირები შეგისრულე, ბოლო თვალი ამ წუთას ამოვიყვანე“.

თეთრი ფუმფულა წინდები ცალ-ცალკე ხელებით დაქაჩა, დაკეცა, ერთმანეთზე დააწყო, ქვემოდან ქაღალდი ამოსდო. „მზით გაცვითე„-ო. მოაყოლა და გამომიწოდა.

გახარებულმა და განცვიფრებულმა თამარა ბიცოლას მოვეხვიე მოვეფერე, კომპლიმენტიც არ დავიშურე.

თამარა ბიცოლა ქსოვის დიდოსტატი ხარ ამ სიკეთეს ცხოვრებაში არ დაგივიწყებ მეთქი. ვთხოვე დედაჩემი დაემშვიდებინა, რომ უწინდოდ არ მივდიოდი ჯარში. კიდევ ერთხელ გადავკოცნეთ ერთმანეთი დავემშვიდობე. „უფალი გფარავდესო“ დამლოცა და გზა დამილოცა, მშვიდობით დაბრუნება მისურვა და დავშორდით ერთმანეთს.

რამდენიმე ათეული მეტრის გავლის შემდეგ, მესმის ჩემი ძმის ხმა ძამია! ძამია! მეიცადე, მეიცადე, „ფლიაგა“ დაგრჩენია!

ძმას „ფლიაგა“ ჩამოვართვი ზურგჩათაში ძლივს ჩავაკვეხე, გადავკოცნე, ხელი წამოვარტყი და უკან გამოვაბრუნე.

მე კი გზა გავაგრძელე. გზა წარმატებებით და ფათერაკებით, სიხარულებით და მწუხარებით დახუნძლული, ჩემთვის მანამდე უცნობი, გაურკვეველი დიდი გზა.

დედაჩემის გამოგზავნილ პირველ ამანათში, თამარა ბიცოლას მოქსოვილი წინდები და ხელთათმანებიც იდო, რომელმაც დიდი სამსახური გამიწია.

ამ ამბის შემდეგ, სამოცზე მეტი წელი გავიდა. ბევრმა წყალმა და მეწყერმა ჩაიარა, ამ მონათხრობში ნახსენებ პირთაგან კარგა ხანია ცოცხალი აღარავინ დარჩა. მეც სიცოცხლის ბოლო წლებს ვითვლი, მაგრამ მათი სახეები ჩემს მეხსიერებაში არ წაშლილა. თავს ვალდებულად ვთვლიდი, სულ მაწუხებდა ფიქრი, იმაზე რომ ისე არ წავსულიყავი ამ ქვეყნიდან, ჩემთვის ამ სისხლ-ხორცეულად ახლობელ ადამიანების მოსაგონად და ხსოვნის მისაგებად რაიმე მცირედი მაინც არ გამეკეთებინა. სწორედ ამ სურვილის ასრულების მცდელობაა, წარსულის მოგონებებით გაჟღენთილი მონასტრის კელიაში, ამ სიბერის ჟამს ერთი ამოსუნთქვით დაწერილი ეს სევდანარევი ნაცოდვილარი და მათ სახელზე მათი სულის საოხებლად მონასტერში ჩემგან დანთებული სანთლები.

## ბებიას ოქრო

დედამ მე და ჩემი და ვენახში სამუშაოდ წაგვიყვანა.

პატარა ძმა, სახლში დატოვა და გააფრთხილა, ჩვენს მოსვლამდე გაკვეთილები მოემზადებინა და საღამოს მისთვის ჩაებარებინა.

ვენახიდან დაბრუნებულები ვხედავთ, ჩვენი ეზო სავსეა სოფლის გოგო ბიჭებით და გაჩაღე-

ბულია „კუკუ-დამალობანა“-ს თამაში. ძმაც ისეა თამაშით გართული, ჩვენი ეზოში შემოსვლა, არც შეუმჩნევია.

დედამ ვახშამი გაამზადა და გვთხოვა ძმაც სახლში შემოგვეყვანა. ვახშმობის შემდეგ, ბუხრის თავიდან ნავთის „ლამფა“ ჩამოიღო, ნავთი ჩაუმატა, გამართა, შუა მაგიდაზე დადგა, მე და დას გაკვეთილების მომზადება დაგვავალა, ძმა გვერდით მოისვა და გაკვეთილების ჩაბარება მოსთხოვა. თვითონ საქსოვი მოიმარჯვა და ქსოვას შეუდგა. ჩემმა პატარა ძამიკომ საწოლზე მიგდებული, დედაჩემის შეკერილი ნაჭრის ჩანთა ულიმლამოდ აიღო დედის გვერდით დაჯდა, მუხლებზე დაიდო, ჩაყო ხელი და დაიწყო რაღაცის ძებნა. ისეთი გამომეტყველებით და მონდომებით ეძებდა, გეგონებოდა მართლა რაღაც ძალიან ძვირფასი, საჭირო ნივთი დაკარგა და ვერ პოულობსო.

„დაკარგე რამე?“ ეკითხება დედაჩემი. ძმამ თავის კანტურით დაუდასტურა და თავაუღებლად განაგრძო „ძებნა“.

„რა დაკარგე შვილო ამისთანა, არ იტყვი?“ „რაღაცა“ თავაუღებლად ჩაილაპარაკა ძმამ და ძებნა განაგრძო.

მერე ცოტა ხნით ძებნა შეაჩერა, სკამიდან წამოიმართა, ჩანთა მაგიდაზე ამოატრიალა ისე, რომ ჩანთიდან გადმოყრილმა ნივთებმა მაგიდაზე მდგარი ანთებული „ლამფა“ წააქცია და ჩააქრო.

ოთახში უკუნეთმა დაისადგურა.

დედაჩემმა ჩამქრალი „ლამფა“ ხელის ცეცებით მონახა „კიდევ კარქი შუშა გადარჩენილა“-ო „ლამფა“ ისევ აანთო, ძმა მსუბუქად დატუქსა, გვერდზე გადადებული საქსოვი აიღო და ქსოვა განაგრძო.

ძმა დინჯად შეუდგა ჩანთიდან გადმოყრილი ნივთების სათითაოდ უკან ჩაბრუნებას.

დედა ბრაზობს, ხვდება მისი „კუჭის ტკივილის“ მიზეზს. გაკვეთილების უცოდინრობის გამო დროს წელავს, ცდილობს როგორმე მისგან აიცილოს სასჯელი.

ძმის ასეთი ნერვების მომშლელი საქციელით აღშფოთებულმა დედამ, საქსოვი გვერდზე მოისროლა, მოავლო მკლავში ხელი, ძალით დასვა სკამზე და მკაცრად გააფრთხილა: „მორჩი მაიმუნობას, გაკვეთილები ჩამაბარე თუ ისწავლე რამე, თუ არა, სანამ არ ისწავლი და სათითაოთ არ ჩამაბარებ, ამაღამ არც მე დავიძინეფ და არც შენ გაღირსეფ ძილს“.

ძმა მიხვდა დედა არ ხუმრობდა, იგრძნო მოსალოდნელი საფრთხე და როგორც ხშირად ხდებოდა, ახლაც დაიწყო მდგომარეობიდან გამოსვლაზე ფიქრი. (სხარტი გონების ბავშვი იყო, გამოსავალს ყველა მდგომარეობიდან ახერხებდა) და აი ახლაც, სახის გამომეტყველებაზე შეეტყო რაღაც გამოსავალს მიაგნო.

სკამიდან ნელა-ნელა წამოიმართა, დედისკენ ოდნავ შებრუნდა და დემონსტრაციულად განაცხადა: „ფეხსალაგში მინდა“ და გავარდა გარეთ.

„რა ვქნათ, რა მოუხერხოთ ამ ბოვშს?“ წუხს დედაჩემი. “ გართობა – თამაშის მეტი მაგისთვის არაფერი არსებობს. თავზე თუ არ დაადექი, არაფრის გაკეთება არ უნდა. მე კიდო მცალია მაგის თავზე დასადგომათ?

გაფრთხილებთ! მოგვმართა მე და ჩემს დას. ხვალიდან არ ვნახო ჩვენს ეზოში სოფლის ბოვშვების თამაში და ხორხოზი. ყველა მაგასავით უსაქმური ბოვში აქ იყრის თავს და არის თელი დღე რია-რია, ჩვენ უსაქმურსაც მეტი რა უნდა, ერთობა და სტავლა კი არა, ჭამაც ავიწყდება.

ხო ხედამთ, დღევანდელი დღე ისე გაატარა, სახლში არც შემოუხედავს. თქვენ რომ არ შემოგეყვანათ ახლაც გარეთ იქნებოდა.

ზარმაცია მაგ არგასაზრდელი თვარა, ეშმაკობაში კაცი ვერ შეედრება. რა გააკეთა ხო ნახეთ, რავარც გაკვეთილების ჩაბარება ვუხსენე, მაშთვე სახე შეეცვალა, ისთე აწრიალდა, აღარ იცოდა სად წასულიყო, რა მეეგონებინა. მეიგონა კიდოც. თქვენ გგონიათ მაგას მართლა ფეხსალაგში გასვლა აწუხებდა? დროის გასაყვანათ მეიგონა. ფიქრობს ამ გოჭური ეშმაკობით ფონს გავა, გონია დედამისს მოატყუებს და თავს დეიძვრენს. ხვალე კიდო, გამობრუტუნებული წაყანყალდება სკოლაში და თელი დღე ჯირკივით ეგდება პარტაზე.

მაგას დღეს წიგნი არც გოდოუშლია, თვარა ისეთი კითხვა იცის, თელ სოფელს აყრუებს ხომე და ჩვენ რავა ვერ გევიგონებდით ვენახში?

გეიგონეთ რამე მაგის წაკითხული დღესე? გვეკითხება. „არა დედი“ მიაშველა დამ.

მართლაც, ძმამ ისე ხმამაღლი კითხვა იცოდა, ჩვენი ერთ-ერთი თანასოფლელი, ჩემი ძმის კლასელი და მეგობარი, რომელიც ჩვენგან საკმაოდ მოშორებით ცხოვრობდა, დღესაც კეთილი იუმორით იხსენებს ხოლმე: „შენი ცხონებული ძმა, გაკვეთილს რომ კითხულობდა, მე თან მამაჩემს ვეხმარებოდი საქმიანობაში. მისი წაკითხულის მოსმენით გაკვეთილს ვსწავლობდი“-ო.

გავიდა დრო და ფეხსალაგში გასული ძმა არ შემოდის. „რას შობა ამდონხანს მაგ სამიწე? გააკითხე და შემოათრიე სახლში“.

გავედი ეზოში და ვხედავ: ძმა ზის სახლის კედელთან, ფანჯარასთან ახლოს დაბალ სკამზე, ხელში ქვის კენჭები უჭირავს და ფანჯრიდან გამოსულ მკრთალ შუქზე, კენჭების თამაშით ერთობა. ისე გატაცებულია თამაშით, ჩემი მიახლოება არც შეუმჩნევია.

როცა ხელით შევეხე შეცბა, ცივად წამოხტა და ქურდობაზე წასწრებული ბავშვივით, მობუზული შეიძურწა სახლში. დაჯდა თავის ადგილზე და იმის შიშით დედას ნანახის შესახებ ვეტყოდი ფერწასული საცოდავათ თვალებს ჩემსკენ აპარებდა.

დარწმუნდა რა მე არაფრის თქმას არ ვაპირებდი, წელში გაიმართა, სახე გაებადრა, გახალისდა და ბოლოს, მე და ჩემს დას გამოჯავრება და ენის გამოყოფაც კი დაგვიწყო. დედამ შეამჩნია და შეუწყრა:

„რას იკრიჭები ბიჭო ყველის ვაჭარივით? საქმეს მიხედე, როდემდე აპირეფ აქ ჯდომას? შენი გულისთვის ჯერ ძროხაც არ მომიწველია და კიდო რამდენი საქმე მაქ მოსასწრეფი ხვალისთვის“.

ძმამ ხვნეშა-ხვნეშით, ჩანთიდან ქართული ლიტერატურის წიგნი ამოაძვრინა, დაიდო წინ და კარგა ხანს შალა წინ და უკან. როცა მონახა რასაც ეძებდა, ჩარგო შიგ თავი და ხმას არ იღებდა.

„შენ რა გაკვეთილი კითხვით გაქვს?“ „არა“ თავაუღებლად პასუხობს. „აპა რავა კარაბადინივით დეიდე წიგნი და ხმას არ იღეფ?“ დედამ წიგნი თავისკენ გააჩოჩა და მოსთხოვა დაეწყო მოყოლა.

ძმას არ ესიამოვნა დედის მოქმედება, შეშინდა, სახე შეეცვალა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს ბრძენი კაცივით დინჯად-ჩაახველა, თვალები ჭერს მიაპყრო და გაკვეთილის სათაური რიხიანად გაახმოვანა. სათაურს ისიც მიაყოლა, რისი წაკითხვაც წიგნის წართმევამდე მოასწრო და გაჩერდა.

ისევ წიგნისკენ აპარებს თვალებს, მაგრამ ვერ უწვდენს. ისევ თავიდან იწყებს, მაგრამ გამეორებასაც ველარ ახერხებს ბოლომდე, რაც პირველად ჩაახლაფორთა და გაჩერდა თავჩაღუნული ელოდება დედისაგან განსასჯელს.

დედა ნერვიულად ხურავს „ქართულის წიგნს არ იცი, არ გისწავლია, შემდეგი გაკვეთილი რა გაქვს?“

ძმამ ქართულის წიგნი ჩანთაში ჩადო და ხელს გეოგრაფიის წიგნი ამოაყოლა. გეოგრაფია მისი საყვარელი საგანი იყო. სკოლაში მასწავლებლის ახსნითაც იმდენს ითვისებდა, საშუალოზე მაღალ ნიშნებსაც კი იღებდა. გეოგრაფიის რუქებში კი ისე იყო გაწაფული, კლასში ტოლს არავის უდებდა. გეოგრაფიის ჩაბარებას თავი კარგად გაართვა. დედამ დამატებითი კითხვებიც დაუსვა, რაზედაც პასუხები შეუფერხებლად მიიღო.

ყველა კმაყოფილი ვართ, დედამ შეაქო კიდეც, ჩვენც გვიხარია, თვითონაც გახალისდა, სახე გაუნათდა, მაგრამ...

„მათემატიკაში როგორ არის საქმე? იმეცადინე რამე?“ ძმას სახე უცებ შეეცვალა. ვითომც არც გაუგონია, თავჩაღუნული ჩანთაში იქექება.

„შენ გეკითხები, მათემატიკაში თუ იმეცადინე?“ „იგივე გვაქვს“, ჩაიბურტყუნა თავაულებლად.

დედამ კარგად იცოდა, რას ნიშნავდა მისი „იგივე გვაქვს“, მაგრამ ცდილობს ნერვები დაიმორჩილოს, სიტუაციას არ ამწვავებს

„კიდევ რა დაგრჩა?“ „ქიმია“ და იუზამ ჩანთიდან ქიმიის წიგნი ამოიღო. გაშალა, შიგ ჩახედა და თოფის გასროლასავით დაიჭექა, ოქრო! მე და ჩემმა დამ შეცბუნებულებმა მეცადინეობა შევწყვიტეთ და გაკვირვებულები უყურებდით ხან ძმას, ხან დედაჩემს, მცირე დახანებით ძმამ მეორედაც წამოიყვირა, ოქრო!

„რა გაყვირებს ბიჭო? რა ოქროს ყვირილი“ აგიტყდა ამ შუაღამისას? გაკვეთილი ჩამაბარე.

გაირკვა, რომ ქიმიაში გაკვეთილის სათაური ოქრო ყოფილა და სწორედ გაკვეთილის სათაურს გაჰკიოდა ჩვენი ძმა ასე თავდაჯერებით.

„კაი გააგრძელე, მარა ცოტა ხმადაბლა, ბოვშები მეცადინეობენ". აფრთხილებს დედაჩემი.

ძმა ისევ თავიდან სათაურის წამოკივლებით იწყებს და აგრძელებს... ოქრო, ოქრო ძვირფასი ლითონია. მას იყენებენ... და ისევ თავიდან. რამდენჯერმე იწყებს და წინ ვერ მიიწევს, ბუქსაობს ერთ ადგილზე. ნერვიულობს სახეზე სიწითლე შეეპარა, ოფლით დაეცვარა, მაგრამ გაჩერებით არ ჩერდება.

მე და და ვხვდებით, ჩვენი ეშმაკუნა ძმის საქმე ცუდად მიდის, გალახვა არ ასცდება, გვეცოდება, განვიცდით, მაგრამ ვიცით ვერაფრით დავეხმარებით. მეორეს მხრივ მის ოქრო, ოქროს, წამოკივლებაზე, სიცილს ძლივს ვიკავებთ, ტუჩზე ხელაფარებულები ჩვენთვის ვფხუკუნებთ.

ძმამ შეგვამჩნია თუ არა, შეეცადა ჩვენი სისუსტე თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ვითომ ჩვენი „დაცინვით" შეურაცყოფილმა გაბრაზებული წამოხტა ადგილიდან და ის იყო გარეთ უნდა გავარდნილიყო, მოავლო დედაჩემმა საყელოში ხელი ძალით დასვა თავის ადგილზე, მეორე ხელით სწვდა ყურში და გადაუგრიხა. მისწვდა იქვე ბუხრის ყურეში მიყუდებულ ჯოხს, რომელიც მისთვის ყოველთვის ჰქონდა შემონახული და ის იყო ზურგზე უნდა გადაეწნა, მე და და ჩაუვარდით შუაში, არ მივეცით ძმის ცემის საშუალება.

ძმამ ისარგებლა მდგომარეობით, გაუსხლტა დედას ხელიდან და ღრიალით გავარდა ეზოში.

ეზოში მანამ იღრიალა, სანამ ბებიამ არ გაიგონა და აქოშინებულმა არ ამოაკითხა.

იმ დროს ბებიას ექვსი შვილიშვილი ჰყავდა. მათ შორის ჩემი ძმა უნცროსი, ყველზე მეტად უყვარდა.

ფიზიკურად კოხტა ლამაზი ბავშვი იყო. ყველას განსაკუთრებით გვიყვარდა, ყველას სიამოვნებდა მასთან ურთიერთობა, გამოლაპარაკება, მოფერება.

ბებია ხომ ჭკუას კარგავდა მასზედ. იმისთვის იმაზე უკეთესი ბავშვი დედამიწის ზურგზე არ დადიოდა. სახელსაც ოქროს ეძახდა. ანებივრებდა, ყველა სურვილს უსიტყვოდ უსრულებდა. მისთვის ყოველთვის გადანახული ჰქონდა, თავისი ნახელავი სხვადასხვა ნუგბარები და თხილკაკლები.

ჩვენ, დანარჩენი შვილიშვილები ვეჭვიანობდით და ბავშვურად გვშურდა ჩვენი ძმის. გვეგონა ბებიას ჩვენ ისე არ ვუყვარდით, როგორც თავისი ნებიერა „ოქრო" .

მახსოვს ბებიას შუა ეზოში დიდი ნამყენი თეთრი თუთის ხე ედგა. როცა დამწიფდებოდა, შვილიშვილებს მასზე ასვლის უფლებას დღეგამოშვებით გვაძლევდა. მის ნებიერას „ოქროს" კი ამის უფლება შეუზღუდავათ ჰქონდა. შეეძლო დღეში რამდენჯერაც მოესურვებოდა ასულიყო მასზე. „ოქრო"-ც გრძნობდა რა ბებიას მხრიდან თავის უპირატესობას, გაყოყოჩებული გვებლინძებოდა და თუთაზე ასული გვახვეწნინებდა თუთის ტოტის შერხევასაც კი, რომ ჩამოყრილი თუთა მაინც დაგვეგემოვნებინა.

ჭრაქით ხელში ამოსული ბებია, მივარდა ქვის სკამზე წამოსკუპებულ, მოღრიალე „ოქრო"-სთან, რომელმაც მის დანახვაზე, კიდევ უფრო მოუმატა ღრიალს.

„რა მოგივიდა, რატომ ტირი ბებია? მარტო დაგტოვეს სახლში? რამემ ხომ არ შეგაშინა? მოგიკვდა ბებია".

„ოქრო"-მ ტირილ-სლუკუნით შეჩივლა ბებიას რომ დედამ ჯოხით სცემა, დამ და ძმამ დასცინეს და გარეთ გამოაგდეს, რომ სახლში ყველაფრის გაკეთებას მას ავალებენ და თვითონ არაფერს აკეთებდნენ და სხვა... ტყვიილ-მართალი, რაც იყო და რაც არ იყო, დაახვავა ბებიას წინაშე, რომ მისთვის თავი, რაც შეიძლება მეტად შეეცოდებინა.

დედუუ! ეს რა ესმის ჩემს ყურებს, დასჭექა ბებიამ რა დღეში ჩოუგდიხართ საცოდავი ბოვში ამ შეჩვენებულებს.

ყორიფელი, ყორიფელი გამიგია ამ ხნობის ქალს, მარა ერთი ციდა ბოვშის ჯოხით ცემა და ღამე გარეთ გაგდება, ჯერ არსად გამიგონია.

დაწყნარდი ბებია გენაცვალოს, შენ თვალებს ვენაცვალე. წინსაფარით თვალები ამოუმშრალა, ცხვირიც მოუსუფთავა მოეფერა, ჩაკოცნა და ხელჩაკიდებული „ოქრო" სახლში შემოიყვანა.

„რას ერჩოდით ქალო ამ ბოვშს, რა დააშავა იმისთანა" რო ჯოხით გასალახავათ გეიმეტეთ და ამ კუნაპეტ ღამეში გარეთ გამოაგდეთ? გადავიდა იერიშზე ბებია, რამეს რო დეეფეთებინა ბოვში სად მიდიოდით მერე?

თქვენ კიდო არ გრცხვენიათ? მოგვიბრუნდა მე და ჩემს დას, „რა ჭირს ამ ოქროსავით ბოვშს თქვენი დასაცინი, რითი ჯობიხართ ამას? პატარა როა, დეიბრიყვეთ?

„ნეტა თუ მართლა გჯერა მაგის ბჟუტურის დედაჩემო? ჯოხით კი არა, მათრახით გალახვის ღირსი იყო, მარა ამათმა არ დამანებეს.

გარეთ არავის გამოუგდია, თვითონ გამოვარდა და დეიწყო ღრიალი. იმედი ქონდა ამოაკითხავდი და მოგიყვებოდა ზღაპრებს, მიაღწია კიდეც თავისას.

სახლში დავტოვე დოუბარე, სანამ მევიდოდით გაკვეთილები ესტავლა. მაგან გაკვეთილების სტავლის მაგივრათ, თელი დღე ეზოში „კუკუ-დამლობანა"-ს თამაშში გაატარა ისთე სახში არც შემოუხედავს.

საღამოს ვენახიდან რო მევედით გაკვეთილების ჩაბარება მოვთხოვე, მარა რას ჩამაბარებდა რაც არ იცოდა? ღოგორ არ ეცადა, რა არ გააკეთა იმისთვის რო, გაკვეთილების ჩაბარება თავიდან ეეცილებინა და ასე გამოშტერებული წაყანყალებულიყო სკოლაში.

სკოლაში მისვლა შემჯავრდა მაგის მასტავლებელი შემხვდა შემთხვევით გზაში, დამაყენა ბოვშივით და ერთი საათი მიყვებოდა მაგის კაი კაცობას.

ჩანთიდან მაგის კლასის გასტორებული საკონტროლოს რვეული ამეიღო, მაგის ნაწერი მაჩვენა მარა ისე იყო აჭრელებული წითელი მელნით, ნაწერი ძლივს გავარჩიე.

ახლა გეკითხები: შენ რაფერ მეიქცეოდი ჩემ ადგილზე, მეეფერებოდი და თავზე ხელს გოდოუსვამდი, რა კაი ბიჭი ხარ ასე გააგრძელეო? ასე რო იცავ და გადაფოფრილი ხარ მაგაზე, ერთხელ წადი სკოლაში, ნახე მაგის მასტავლებელი, მოუსმინე რას გეტყვის და ძაან მაინტერესებს რავარ ხასიათზე დაბრუნდები იქიდან.

მე მაგასთან ყველა ფერი მოვსინჯე: მოფერებაც, დოუმსახურებელი შექებაც, მარა მაგაზე არაფერმა გაჭრა, მაინც თამაშზე და გართობაზე აქ თვალები დაჭყეტილი.

„ქალო რა არის იმაში გასაკვირი ბოვშს თამაშისკენ მიუწევდეს გული. მითხარი რომელ ბოვშს არ უნდა თამაში და გართობა? ისეთეა ეს ბოვშიც თამაშისთვის ბოვშის გალახვა იქნება? ჭკუის დარიგება, გაწყრომა კი ბატონო, მარა გალახვა და სახლიდან ღამე გამოგდება? მიკვირს პირდაპირ!

მესმის გამწარებული ქალი ხარ, ისითანა ქმარი დაკარქე, მარა ბოვში რა შუაშია, მაგას ისიც ეყოფა მამა რომ არ ეყოლება გვერდში, უმამოთ უნდა გეიზარდოს.

შენ გგონია მე ნაკლები გაჭირვება მაქ გამოვლილი შვილო? შენი მამამთილი, რო წეიყვანეს ჩხუბში, ცხრამეტი წლისაც არ ვიყავი. ორი თოთო ბოვში და მოხუცებული დედამთილ მამამთილი დავრჩით. უნცროსი ბოვში ერთი წლისაც არ იყო.

მანამდე არც გათხოვებამდე და არც მერე, გაჭირვება რა იყო არ ვიცოდი. ცხოვრებისაც ბევრი არაფერი გამეგებოდა. პივრელ ხანებში ნამეტნავათ გამიჭირდა, მარა მერე და მერე მარტოობამ გამამაფხიზლა ძალა მამეცა. დღე და ღამეს ვასტორებდი ბოვშვებისთვის და მოხუცებულ დედამთილ მამამთილისთვის არ მომეშივნებინა.

კაცს შვიდი წელიწადი ისე მოახდევინეს მისი ასავალ დასავალი არ ვიცოდი.

სამი წელიწადი ლემენცებთან ჩხუბში გაატარა და ოთხი კიდო პლენში იყო ფრანციაში.

რო ჩამევიდა, ბოვშები ახლოს არ ეკარებოდენ, მეჩხუბებოდენ, სახში რატო უშობო. წელიწადზე მეტი გევიდა, სანამ მამამისს კარქათ შეეჩვეოდენ.

კაცი რო ჩამევიდა მამიყვა რო ლემენცებზე მოჩხუბარი ხალხი თელ დუნიაზე არ დეიარებიან. თურმე სუ თოფ-იარაღზე იყურებიან და სხვისი მიწების დაკავებაზე უჭირავთ თვალი.

მაგნების ხელმწიფე რო იყო, რა ერქვა იმ დასამიწებელს? თავი რო მეიკლა? რავა დამავიწყდა მე სასიკვდილეს.

ჰიტლერი ბებია! შეაშველა დამ.

გიტლერი და ჭირი მაგას, რავა გააუბედურა ამდონი ხალხი. რამდონ დედას ჩააცვა შავები, რამდენი ახალგაზრდა ქალი დააქვრივა, რამდონი ბოვში დააობლა თელ დუნიაზე, მაგ ამოსაწყვეტმა.

მამაშენის დაპუპვის ქახალდი რო მევიდა მოგვიბრუნდა მე და ჩემს დას. „თუ ცოცხალი დავრჩებოდი რავა მეგონა. სიმწრით გაზრდილი შვილი სადაც დაკარგულ მიწაში იწვეს, მისი საფლავიც არ ვიცი და მე კიდო ცოცხალი რავა უნდა ვიყო?

ბებია იხსენებდა მამაჩემის ცხოვრების (მათ შორის ბავშვობის) სხვადასხვა ეპიზოდებს და

ცხარე ცრემლად იღვრებოდა. ტიროდა ბებია და ჩვენც გვატირებდა.

როდესაც დაშოშმინდა და თავსაფრის კიდეებით ცრემლებიც ამოიმშრალა, ამოიხვნეშა, თითქოს გული ამოაყოლაო და განაგრძო.

„საცოდავ ბაბუაშენს, მამაშენის დაღუპვის ჯავრზე, ისეთი მოურჩენელი ავადმყოფობა დეემართა, მას მერე ლოგინში არ დოუძინია. თავის მოწყობილ სკამზე დამჯდარი ათენ-აღამებდა.

დედუუ! რაზე ამევედი და რაზე გავაბი ბოდიალი მე სასიკვდილემ დამრჩა ბერიკაცი უვახშმოთ.

მე წავალ ბერიკაცს მივხედამ, თქვენ კიდო დეიწყნარეთ ნერვები, დაწექით, დეისვენეთ და ხვალ დაწყნარებით გადაწყვიტეთ რავარც უკეთესათ აჯობებს.

კიდო მინდა გაგიბარო მიმართა დედაჩემს. ბოვშს შვილო ცეცხლზე შედგმული რძესავით მუდმივათ სულის ბერვა და მოფერება ჭირდება. მოფერებით და დარიგებით უფრო შეაგნებინებთ რა სტორია და რა უხიაგი. განწყრომით და გალახვით უფრო გაბოროტდება და შეიძლება სუ წევიდოს ხელიდან.

მე არ ვიცი შენ როგორ გაზარდე შვილები დედაჩემო, მარა მაგაში ნამდვილათ ვერ დაგეთანხმები, რომ ბოვშს სულ უნდა ეფერო და თავზე ხელი უსვა, იმსხურებს ამას თუ არა.

მაგისთვის არც მოფერება დამიკლია, არც დარიგება და დაპირება, მარა მაგასთან არაფერმა არ გაჭრა. რატო ამათთან არ მჭირდება ამდონი ჩიჩინი და ნერვების შლა. თუ რამეს თავს ვერ ართმევენ. მეკითხებიან, რჩევას ვაძლევ, ვაკვალიანეფ და მერე თვითონ ხედავენ თავის საქმეს მე არ მაწუხებენ, ეგ ეგეთი გამევიდა და რა ვქნა, უნდა გოუძლო და მივხედო რავარც საჭიროა.

სტორათ არის ნათქვმი, ერთი ხიდან ბარიც გამოდის და ნიჩაბიცო.

მაგას ამ ასაკში ჭირდება მაგარი ხელი, ახლა თუ თავის ნებაზე გოუშვი სუ წავა ხელიდან. რო წამეიზრდება, მერე მაგის მორჯულება არა თუ ძნელი შეუძლებელი გახდება.

მე ჩემი ქმრის სულისა და უფლის წინაშე მოვალე ვარ, შვილები ადამიანებათ აღვზარდო, სწორ გზაზე დავაყენო, თუ ეს ვერ გავაკეთე, მოსაკლავათ მექნება თავი რა ფასი ექნება ჩემ ცხოვრებას.

ამაში თუ მამეხმარება ვინმე, მადლობელი ვიქნები, თუ არა ხელს მაინც ნუ შემიშლის.

ძმა ბებიას ჩახუტებია და დედაჩემს თვალს არ აშორებს. შიშობს ბებიას არ მოაშორონ და რაც გაქცევით აიცდინა, ახლა არ დაუმატონ.

„წამო ბებია, წამო ჩემთან. მაგას ახლა რამდონიც უნდა ეჩიჩინო ვერაფერს შეაგნებინეფ. დაწყნარდება და როცა მეენატრები მოგაკითხავს. იყავი ჩემთან სანამ არ მოგწყინდება, ვნახოთ რამდონხანს გაძლებენ უშენოთ?"

„აი სწორედ ეგ არის მაგას რო ათამამებს და ასულელებს. მე გოუწყრები, შენ ეფერები, ყველაფერში ამართლებ. მე რომ მიკითხავ ნატაციებს აღზრდაზე, შენც დოუკვირდი შენ საქციელს, მაგას კიდო წაქეზება და გასულელება უნდა?"

განაწყენებულმა ბებიამ, ჩაჰკიდა ხელი თავის ნებიერას და თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ბუზღუნ-ბუზღუნით გავიდა კარებში.

ერთი კვირა გაატარა ბებიასთან მისმა „ნებიერამ". ამ ხნის განმავლობაში არც სკოლაში წასულა და არც ჩვენთან სახლში ამოსულა.

ერთი კვირის შემდეგ, ბედნიერი გაბრწყინებული სახით და კრეჭა-კრეჭით შემოიძურწა სახლში ისე, ვითომც არაფერი, მე და ჩემს დას გვაკვირვებდა ბებიას მიერ მიცემულ ჩურჩხელებით თხილითა და უნაბით გატენილ ჯიბეებს, რომლიდანაც თითქოს მოწყალების სახით ჩვენთვისაც იმეტებდა.

ჩემმა დამ, რომელსაც ადამიანების გაშარჟება ეხერხებოდა, ბებიას „ნებიერას", ჩვენს პატარა ძმა იუზას, რომელსაც ბებია სახელის მაგივრად სულ ოქროს ეძახდა, იმ საღამოდან როდესაც დედას ქიმიაში გაკვეთილის „ოქროს" ჩაბარებას ცდილობდა და რისთვისაც გაილახა ზედმეტსახელად „ბებიას ოქრო" შეარქვა.

შერქმეული ზედმეტსახელი ძმას პირველ ხანებში აღიზიანებდა და პროტესტს გამოთქვამდა. დროთა განმავლობაში შეეჩვია და სახლში უმეტესად ამ თიკუნით მივმართავდით.

**რეზო ემელიანე ადამია**



# მ ზ ე
## პატარა წიგნი დიდ მოვლენებზე

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის V ნომერში, ჟურნალ „ათინათის“ №22-ში)

„სულიერი სიმშვიდე საუკეთესო
გამოსავალია უბედურების დროს“
(მაკციუსი).

წუხანდელი ზეცის მოდღესასწაულე ვერცხლისფერი, უკვე სვლააღდგენილი მთვარე და თეთრი მფარველი ანგელოზები უხილაობაში ღრმად გარდასულან. დღევანდელი ახალშობილი, მარადისობის ძლევამოსილი მზე, გავარვარებული სფერო, გულმკერდით თანმიმდევრულად წინ მიიწევდა. ერთ დროს შიშისმომგვრელი უძრავი დედამიწა მზის ირგვლივ უკვე წრიული სვლით კვლავინდებურად სვებედნიერად ბრუნავდა.

სხვადასხვა რელიგიების მსახურნო, ვარსკვლავეთისკენ გონებრივ, სულიერ, მეცნიერულ და მხატვრულ-შემოქმედებით ხედვას ფანატიკური იდეებით ნუ შევბოჭავთ. საღვთო წიგნებისგან გვეუწყება, თუ რამე არსებობს სამყაროში, პლანეტებიდან დაწყებული, სულიერი და უსულო, უფლის გაჩენილია და მათი არსებობა უშუალოდ მათივე განგების ქვეშაა. ჩვენ ღრმად მორწმუნე თუ ათეისტი ადამიანები, ყველას და ყველაფერს შეძლებისდაგვარად უნდა მივწვდეთ და გონების თვალით ვეახლოთ. სწავლულთ ან ხელოვანთაგან თუ რაიმე მეცნიერული მონაპოვარი წარმოიშვა, რელიგიათ წაადგებათ უპირველესად...

ქვეყნიერების ღმერთის ყველაზე ახლობელი თანამგზავრებია: მზე, დედამიწა, მთვარე და ვარსკვლავები. ესენი ის კოსმოსური დაუშრეტელი წყაროებია, რომლითაც ყოველი სულიერი არსება იკვებება. როგორც მოგახსენეთ, არსებობს ვარსკვლავთ გავლენის მრავალფეროვნება ადამიანებზე, ყოველ ცოცხალ არსებაზე და მცენარეებზე. განა თევზებიდან დელფინები, კეთილ შუქ-მაგნიტური თვისებებისანი, რომელიღაც ვარსკვლავის თანამსგავსნი არ არიან? ასევეაძაღლი და ცხენი, მტრედი-მერცხალი, შინაური თუ გარეული ცხოველები. სიმძაფრე მიუკარება და სიცივე გველის, მაჯლაჯუნა მორიელის თუ შავი შხამიანი ობობასი. მათში უთუოდ შინაგანი ბუნებათვისების სხვაობებიცაა, როგორც ადამიანებში, პიროვნებები მკვეთრად ხომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხასიათით, ზნე-წესით და სხვ. იგივე პროცესია ნებისმიერ ცხოველებსა თუ მცენარეებში. წარმოვიდგინოთ ოკეანეები, ზღვები, ტბები, მდინარეები და წყაროები თავიანთი მრავალმხრივი შემადგენლობით მკაფიოდ განირჩევიან ურთიერთისგან, ჭები და აუზებიც არ ჰგვანან ურთიერთს. ყველა მათგანში თავ-თავისი ციური ვარსკვლავია ჩაშვებული, მზის და მთვარის უზარმაზარი – მრავალმხრივი პლანეტარული ფორმა-შემადგენლობებით, ყველგან მაგნიტური, ლაზერული თუ ჯერ შეუსწავლელი სხივთ კვეთაა კეთილი და ეფექტიანი. ერთ-ერთ ობიექტურ მაგალითად გვეყოფა სუფთა ღვინის (წვენის) ურთიერთობა მთვარესთან. ადამიანს არაფერი არ უკვირსო იტყვიან თუ არა ეს მართლა კოსმოსური საოცრება. მაგიური მოვლენა გახლავთ, თუ როგორ მძაფრად მოქმედებს მთვარის მოქცევა, სისავსის ენერგიის მოძრაობათა ციკლია ღვინოზე. ეჭვგარეშეა მიცვალებულები და მათი საფლავებიც მჭიდრო კავშირ-კონტაქტშია მზესთან, მთვარესთან და ვარსკვლავებთან. ისინი ხომ ორგანული ცოცხალი ბელტია ჩვენი პლანეტისა – მფეთქავი მიწის ნატეხი, რაშიც უსასრულო სიცოცხლე სუნთქავს... მიწად და სულად დარჩენილი მიცვალებულები უშუალო წევრ-ელემენტებია სრულიად ვარსკვლავეთისა, რომელთაც გააჩნიათ ქვეყნიერების უძირო კოსმოსური გარდამავლობის ფუნქციები...

ბუნებაში ტრაგიკული ინდივიდის დაკარგვა – მარადიული მიძინებით და ისევ გაჩენაზე ცალკე ტრაქტატ-წიგნი შეიძლება დაიწეროს, რომლის ავტორს განსაკუთრებული ნიჭი და კოსმოსური წარმოსახვა-აზროვნების ღვთიური ალღო უნდა ჰქონდეს.

ამდაგვარ ფიქრთ აღქმაში როგორც კი შევდივარ, სიკვდილ-გარდაცვალების განცდები და ცუდი წარმოდგენები მეკარგება, როცა ვიცი, მესმის და გამეგება სულის უკვდავება ამაღლები-სა...

ამდაგვარი ფორმის კოსმოსური სურათების, უდიდესი შეგრძნებითი შეხება ჰქონდა ტერენ-ტი გრანელს, ფრანგ პოეტს შარლ ბოდლერს, ესპანელ, ბერძენ, იტალიელ, ინგლისელ, სპარსელ, ებრაელ, პოლონელ, ჩინელ, რუს, ამერიკელ, არაბთ და ასევე მრავალი ქვეყნებისას. როგორც პლანეტარიუმია დაუსრულებელი და უძირო, ასევე უმდიდრესია რჩეულთა ნიჭი და შემოქმედები-თი გენიაც. აწ დაკარგული ატლანტიდელების სამყაროსეული გონების ნათება ხომ მარადიულია, რომლითაც გაშუქებულია ჩვენი პლანეტა (ყველაზე ადრე ატლანტიდელებს ებოძათ კოსმოსთან ზეადამიანური მიახლოება). უთუოდ უძველეს კოლხებზეც ამოტივტივდებოდა შემადარი აზრი. აბა, რატომ თქვა ჰეგელმა, კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარება-პროგრესი კოლხეთიდან იწყებაო?!

ძველი კოლხები ერთმანეთს გაბრაზებულნი ან ხუმრობით რომ ეტყოდნენ, ჩაქრი შენო! – ამ შემთხვევაში პიროვნება ერთ-ერთ ვარსკვლავად იყო აღქმული. ბავშვობაში, მახსოვს, როდე-საც დიდი ვარსკვლავი ცას მოწყდებოდა და მთელი ცის გუმბათს ცეცხლის ალით რომ გადასე-რავდა, მოხუცები იტყოდნენ, სადმე ვილაც დიდი კაცი მოკვდებაო... ეს ვარსკვლავეთური წინას-წარმეტყვე-ლებაც უხსოვარი დროიდან მოტანილია. კოსმოსური ცნება ათასეულ წლებს იტევს. მაღალმა ღმერთმა დაგვიფაროს, რომ უმადურები ვიყოთ დედამიწის, მზის, მთვარისა და ციური სხეულების, რადგან მათ გაზარდეს და გააშუქეს იესო ქრისტე, ბუდა, ალაჰი და იუდა, მათთან ერთად მრავალი სხვადასხვა აღმსარებლობის მოწინავე-მასწავლებლები. ადამიანების უმეტესო-ბას მზის წარმოუდგენელი ვალდებულება ქვეცნობიერად იმდენად სულში არ ეხატებათ, რომ ხშირად ვერ თუ არ ახსენებენ მის სიდიადეს. ის თურმე მხოლოდ უსასრულობიდან მომდინარე ღვთივციური ვალდებულებაა... მართლაც ასეა, ჩვენ ხომ უფალს დღე და ღამე ვეხვეწებით, ვე-მუდარებით, ეშმაკს გვარიდოს. მზისა ჩვენ არც გვეშინია და არცა ვთხოვთ რამეს. ხშირად შორ-ცნობიერად უმადურნიც ვართ და რომელიმე რელიგიური იდეოლოგიის წინ წამოწევის მიზნით იგნორირებასაც ვკადრულობთ... ის ყოველ შემთხვევაში უწყვეტ სიცოცხლის წყაროდ დაგვნათის მუდამჟამს. ზოგჯერ საჭიროების ღრუბელი ჩადგება ჩვენ შორის და ესაა და ეს...

ასტრონომიული ღამე? აუცილებელია, ყველაფრისგან დაღლილებმა რომ დაისვენონ. მზის-განაც იღლება ყოველი ცოცხალი არსება. ღამე მთვარე, ვარსკვლავები უდიდესი საშუალებაა გონსულიერი და ნერვული განტვირთვა-დასვენებისა.

მრავალფეროვანი სახეები, ხასიათები, ნიჭიერნი და საშუალონი, ასევე კაცთა სიმდაბლეე-ბის უსასრულობაა ჩვენს პლანეტაზე, ცაზე განფენილი ვარსკვლავებისა არ იყოს; მარადიული კა-ნონია, მომაკვდავნი უფრო ღამე მიემგზავრებიან იმ ქვეყნად, აქაც კოსმოსური იდუმალება დევს ღრმად საკვლევი...

მხატვრობის გარდა, უცნაურობად მიმაჩნია ჩემი პროზაული ცხოვრება: აზრები, წარმოსახ-ვები და მუზების შორეთიდან მოსვლა როგორც კი გამთენიისას დამეწყება, მაშინვე შემეყრება ტანთ ტკივილები, თავის ქალადან დაწყებული. ყოველივე ეს თითქმის ახლოა ამოუხსნელ ტან-ჯვასთან, რომელიც გარკვეულ კვალს ტოვებს აუცილებელ აზრთა დაბადებით (სრულიად გან-სხვავებულს), თითქოსდა ეს ფაბულა მხოლოდ გონებიდან არ იბადებაო, არამედ მთლიანად სხეუ-ლიდან ორგანიზმის ყოველი ნერვი, სისხლძარღვები და კაპილარებიც მონაწილეობენ. ეს ყველა-ფერი უცნაურია; ამიტომ, თუ რამე შემიგრძნია ინტუიციისა და წარმოსახვების მეოხებით, ზემოთ აღწერილ ჭეშმარიტებას უახლოვდება...

ქვეყნიერების დიდი ნათების უსაზღვრო ძალამ კუნაპეტი ბნელი, ღრმა მიმზიდველ სილურ-ჯედ რომ აქცია, ვარსკვლავეთის დღესასწაული იყო უსაზღვრო და ცათა სივრცეში თეთრი კე-თილი ანგელოზები საზეიმოდ კვლავ მომრავლდნენ.

ამჟამად მინდა გაახლოთ წრფელი მოგონება: „აღდგომის დილაა მოწმენდილი უღრუბლო ცით. მშვიდი ამინდი და მზე თავისებური ციმციმ-სიახლედ ამოვიდა, ცხრა თუ ათი წლის ბავშვი ვდგავარ ამ ზეციური საოცრების წინაშე. კარგად მახსოვს, სრულიად განსხვავებული მზის ამოს-ვლა იყო, უმშვენიერესი დღესასწაული გახლდათ ნათლით მოსილი. ამ სულითვე ზედმიწევნით მიხაროდა რომ დღეს ღვთიური ზეიმი იყო, ბრწყინვალე აღდგომა უფლისა; დედაჩემისგან წით-ლად შეღებილი უამრავი, საფლავებზე მისაბრძანებელი კვერცხი, ცოცხალივით ელაგა გობზე.

ჩემს ცხოვრებაში უფრო გამორჩეული სიამოვნება და კეთილწმინდანური ამაღლება მის მერე არ მიმიღია, ორმა ქვეყნიურმა ზეძალამ მაგრძნობინა ყოველივე განმწმენდავი ღვთივდიადური"...

დაუჯერებლად ისევ დუმდა მიუწვდომლად ყველგანმყოფი უფალი...

ამ მოთხრობის იდეური სახე და მხატვრული აზრთ საუბარი სრული ჭეშმარიტებაა, ადამიანთა ათასწლეულ რელიგიურ, ნაწილობრივ ფანატიზმს რომ უპირისპირდება სამყაროს ვარსკვლავეთის უმკაცრესი რეალური მოვლენებით. მაგრამ გონებაღვთიურ ჭეშმარიტ რელიგიათა გარეშე ხომ გამორიცხულია ცხოვრება, რომელიც ეჭვგარეშე მოედინება კოსმოსისა და უფლის უცილო სწავლის იდუმალებიდან...

მახსოვს, დიდი ხნის წინ, მხცოვანი ღრმადმორწმუნეებისგან მსმენია, როგორი მოწიწებით და სულიერი სიახლოვით იხსენიებდნენ უფალს; მზის ხენებისას კი მათ უკავდებოდათ ყოველგვარი ლოცვის, თხოვნისა და ადამიანური მიახლოების გრძნობა. – მზე! – ხსენებისას ხმა ჩაუწყდებოდათ, თითქოსდა მინდობილ-უძლურნი ნათელ ცას მიაპყრობდნენ მზერას. ამ ინსტინქტურ განსაკუთრებულობაში ყველაფერი იყო გამოხატული, მილიონობით წლის წინანდელი ველური გრძნობა უმალ თავს იჩენდა მათ პიროვნებაში...

მზის ახლად შობა-გამოცხადებით გაიხარეს იესო ქრისტემ, ბუდამ, ისლამმა, იუდამ, წარმართებმა, მზისთაყვანისმცემლებმა, იეღოველებმა, ათეისტებმა და სხვადასხვა სექტების წარმომადგენლებმა... ეკლესიების ზარების ხალისიანი გუგუნ-რეკვა და იმედით სავსე გაბმულ ხმათა შეძახილები გაისმა და საყოველთაო დაღუპვისგან გადარჩენილთა სრული ხსნა ეუწყა ქვეყანას. იზეიმეს აურაცხელმა ვარსკვლავებმა, მთვარემ, მზემ თავად დიდებულმა, და უჩვეულო კოსმოსური ბრწყინვალება იწყეს. თითქოს მთები გადაბრუნდნენ და ქვედა მიწიერი მუქი ლურჯი, სევდაჩამდგარი, უფრო ღამისფერი თვალებიდან ცას ახედეს ღრმად მზიურს. ზეციურმა სინათლემ უძირო ბნელი გააშუქა და ურვა-ბოროტება შენელდა, სიძულვილის და უკეთურობის სულგაძარცული და ტანჯვისმომგვრელი ეშმაკი გაურკვევლობაში გადაიკარგა. პირველყოფილ რელიგიათა ვერც ერთი ღმერთი ვერ გაუმკლავდა და მომავალშიც ვერ დაძლევს იმ საშინელ და უდიდეს ზნე-თვისებებს, რომლებიც ვარსკვლავეთით იმართება და მყარად დევს ადამიანის სხეულში. ისევ ვიტყვი: – უარყოფითი აურის ნაწილობრივ შენელება შეიძლება და არა ამოძირკვა... მართლაც, ახლად აფეთქებული სიცოცხლის მზიური ფერთ ზეიმი გაჩაღდა ყველგან: ფერმწერლებმა პალიტრა, ტილო და ფუნჯები მოიმარჯვეს; კომპოზიტორები როიალებს და ნოტებს მიუსხდნენ, მგოსნებმა ლექსთ შეთხზვა იწყეს და ახალი ბრძნული რითმები ფეხშიშველად აედევნა მზის მორბენალ სხივებს. აკვნის ჩვილებმა ანგელოზთა ბუნებრივი ხმით წაიღუღუნეს და ღიმილით სათამაშოებს წაეპოტინნენ. გაისმა მილიონობით ადამიანის გულითადი ლოცვა-კურთხევა: შენ, უფალო, ყოვლის გამგებელო და მზეო! ნათელსულო წყაროვ სიცოცხლისა და სიკეთისა!!!... მრავალმა ბრძენმა სოფლის მუშაკმა სიკეთის თოხები ალესეს და მზესთან ერთად ოფლჩაღვრილი ყანისკენ გაეშურნენ. ამუშავდა ფაბრიკა-ქარხნები და ელექტროსადგურები. ახალდაქორწინებულები კი სარეცელს მიუბრუნდნენ და დილის სულიერი უწყვეტი ბიბლიური სიმფონია ჯანსაღი სხეულით გაიზიარეს და ისევ შეერთდნენ მიწიერ-ზეციური კანონებით... სიცოცხლე მარადიული არ შემწყდარა – გაგრძელდა, ახალი აღთქმა – მზის სხივთ შემკულ-ნაწერი ოთხი სახარება ზეიმობდა...

უსახო და საძულველი სიკვდილი სიახლოვეს არ ჩანდა. საოცრება მზის კოსმოსური ზეამტაცი კეთილჟღერადი ხმალა ისმოდა სხივთ უნაზესი ორკესტრით. სადღაც შავ წერტილებში საშინელების მომტანი ომი კვლავ განახლდა და თოფის სიკვდილმომდინარე ხმაც გაისმა. ადამიანთა გამანადგურებელ კვლას უხმობდნენ გონ-სახეშეშლილნი და კაცთა უბედურების გველის და მორიელის შხამისფერ აზრობრივ სულიერ დინებას თავადვე გზავნიდნენ.

ადამიანში რაც კი ბოროტებაა, ზოგადკოსმოსურია, მომწამვლელ-მგუდავ ზეავსხეულთაგან გზავნილი. იქვე ხომ სიკეთე და სიყვარული, ღვთიურ ვარსკვლავთა სრული მოდარაჯეობაა, მაგრამ ძალიან ხშირად, დედამიწის საუბედუროდ, ეშმაკეული და ფერნაკლული პლანეტის მიერ ავსულად მოვლენილნი ყოვლისმომსპობ ხანძარს დაანთებენ ხოლმე...

მზე მათაც ანათებდა, უზომოდ კეთილი და დედამიწაზე მკვეთრი მოზაიკური ცხოვრების უსასრულობის მფარველი. კვლავინდებურად გაიღვიძა ღვთიურმა მაღალმა შემოქმედებამ, ფანტაზია, მუზა და წარმოსახვები რჩეულ ნიჭიერთ ეგზავნებოდათ. მთვლემარე შური, ბოლმა, ღალატი, სიძულვილი, სიყვარული და სიკეთე, ისევ დაიარებოდა ფეხადგმული. არაკაცებმა იწყეს წართმევა-წაგლეჯვა, ფიქრი კაცის კვლაზე და ბოროტება ისევ აფართხალდა, ავის მომასწავებე-

ლი სიზმრები აღსდგა და დაეუფლა ღამეულ მშვიდ საფარველს, მკაცრად გაიღვიძა სისასტიკემ და შუღლმა.

ერთი მხრივ სამართლიანნი ვიქნებით, თუ თამამად ვაღიარებთ, რომ საშინელებაა ეს რეალური ამქვეყნიური ცხოვრება, ცოცხალმა თუ გინდა იარსებო, უნდა მოკლა, მოსპო, სხვისი სიცოცხლე აითვისო, რათა მიიღო ხორციელი საზრდო და იარსებო, თუ არადა თვითონ ეწირები შენეულ გამოგონილს. უსაშველო კოსმოსური მისჯაა, ცოცხალი არსებანი ერთმანეთით რომ იკვებებიან, პლანეტების ურთიერთმოქმედებათა ზნეობიდან ხომ არ გადმოდის ამდაგვარი თვისება? წარმოიდგინეთ, ათასწლეულებში რელიგიათა ეტაპობრივი მოსვლა-გაქრობა და ურთიერთდამოკიდებულების სახე-მსგავსებაც მათთანაა... ჩვენს ირგვლივ არსებულ რომელიმე ულამაზეს სულდგმულს, დავუშვათ ცხოველს, ფრინველს ან ზღაპრული სილამაზის მქონე კოლხურ, ზღვის სურნელით გამთბარ ხოხობს მოვკლავთ, მხეცურად განვძარცვავთ შეუდარებელი მშვენიერებისგან, მერმე ჩავაღწევთ ხორცამდის, დავძიძგნით და ცხოველურ შიმშილს დავიკმაყოფილებთ... თევზს, ბუნებრივად ტანხატულ, მრავალფერად დაწინწკლულ მშვენება-კალმახს, უნდა მოუსწრაფო ცხოვრება თავად განვითარებულმა, გონიერმა ცხოველმა, როგორმე რომ ისულდგმულო და იარსებო. წარმოიდგინეთ, ამ სახის ცხოვრებისეული მოქმედება ყოველმხრივ შეუცვლელია და სამყაროსეული, აუცილებელი პროცესია, მაგრამ სასტიკი. აქედან გამომდინარე, თვალ-გონდახუჭული უგულო ბოროტება მარადიულია და მომავლის სასიცოცხლოდ გარდაუვალი, სამზეოს უკიდეგანო ჩრდილოვანი მძაფრი სტიქიის წეს-კანონია გაუსწორებელი. ღვთიური შეგონების და ღრმა რწმენის ადამიანებიც მას ვერა და ვერ გაექცევიან და ვერ ამოძირკვავენ, რადგან თვით უზარმაზარი რელიგიები ვერაფერს შველიან ან ვერც უარყოფენ. აქ უცილოდ მორჩილი და ძალდაყოლილი ხარ, როგორც ყოველგვარ კანონებს ამცდარ სიკვდილთან როგორც ღამეს ვერ შეცვლის ზეძალა, ასევეა ზემოთ ცხოვრების შავ ტილოზე მოხატული დრამატულ-ტრაგიკული გარდუვალობაც. თუმცა ეს სამყაროს მეორე უცნაური მხარის, სამუდამო ბეჭედია და აქ აზრი ვერ კვეთავს... დასკვნა: ამ ფორმის ბოროტება რომ შეწყდეს დედამიწაზე, სიცოცხლე მასიურად მოისპობა, მაშინ ყოველივე ზემოთ ხსენებული მოქმედებანი უმძიმეს დაკანონებულ-კანონგამიზნულია პლანეტარიუმის შორეულ უმძაფრეს ზნეობასთან შეფარდებით და სიცოცხლემ სხვისი სიცოცხლის ფასად უნდა იარსებოს, რადგანაც მრავალმხრივ ჩვენს მიმართ აზრთმიუწვდომელი და გამაოგნებელი მისჯაა უმკაცრესი, მაშინ სამყაროსეული ამ წესკანონის წინაშე ყველა ადამიანი და ცოცხალი არსებაც, საცოდავი, კოსმოსური სიბრმავით შეწირულია...

(გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში)

**როინ მეტრეველი**



## „მზე დედაა ჩემი“

მსოფლიოს მხატვრულ ხელოვნებაში, ცხადია მწერლობაშიც, მზე იმთავითვე შემოქმედთა ერთ-ერთ უპირველეს მუზად იქცა. ეს ალბათ უპირველესად მზის სიმშვენიერით, სიძლიერითა და სინათლის (ნათების) უნარითაა განპირობებული. მზე ხომ დედამიწასთან ყველაზე ახლოს მყოფი მნათობია.

დიდმა შოთა რუსთველმა, როცა მეფე თამარის დახასიათება სურდა მზეს შეადარა იგი: „მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბადახშ-თმა-გიშერისა“ პოეტი თინათინსაც მზის მეოხებით ამკობს: „მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან“, სხვაგან ნათქვამია „ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა“. მზეს დიდი ხარკი გადაუხადა ქართულმა ფოლკლორმაც: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარე-

ბი გორასა“, „მზევ შინა და მზევ გარეთა მზევ შინ შემოდიო“, „მზე დედაა ჩემი.....“, „ბნელი გააპოს ნათელმა (მზე იგულისხმება), ბოროტი გული-დანამა“, სვანურ „ლილეოსაც“, მზის საგალობელს უწოდებენ. ვერც ახალი დროის პოეტები გადაურჩნენ მზის ცდუნებას: „დედაო ღვთისავ, მზეო მარი-ამ....“, „მზეო თიბათვისა“ და სხვა მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. სრულიად ახალი კუთხით დაინახა მზე მხატვარმა და მწერალმა რეზო (ემილიანე) ადამიამ. უპირველესად უნდა ავღნიშნო, რომ იგი შესანიშნავი მხატვარია. შეიძლება ითქვას მხატვარი-ფილოსოფოსია. მის მრავალფეროვან ფერწერულ შემოქმედებაში არის რაღაც კოსმიური – ფერთა საოცარი გამა დიდ სიამოვნებას გვა-ნიჭებს და ამიტომაც სრულიად კანონზომიერია, რომ რეზო ადამიას ახალი მოთხრობა „მზე“ საოცა-რი ოსტატობით, რეალობის ღრმა ფილოსოფიური შეცნობით, ხატოვნად წარმოგვიდგენს სიცოც-ხლისა და სიკეთის უკვდავ შემოქმედს- მზეს.

ფანტასმაგორიულია ამ მოთხრობის სიუჟეტი. ავტორმა ადამიანთა მოდგმა მძიმე განსაცდე-ლის წინაშე დააყენა დილით მზე არ ამოვიდა....სამი საათით დააგვიანა: ეს სამი საათი დაღუპვის პი-რას მდგარი ადამიანების განცდის, დროა- პლანეტაზე უმადურების დამკვიდრების პერიოდია. ავ-ტორი საოცარი ექსპრესიით აჩვენებს, თუ როგორ ევედრებიან ადამიანები ღმერთს: „მუხლმოდრე-კით ევედრებიან ღმერთს გაოგნებული, ჯვარაღმართული ქრისტიანები, ბუდისტები ქედს იხრიან მზის გამოსახულების წინაშე. გაოცებული მუსლიმები მიწას ერთხმიან. იუდეველები გოდების კე-დელთან, სინაგოგებთან თუ ოჯახის სალოცავებთან ცრემლს ღვრიან. უკიდურესად შეძრწუნდნენ ძველისძველი წარმართები, იაღოველები, დაიბნენ კანტი-კუნტად შემორჩენილი უხსოვარდროინდე-ლი თაყვანისმცემლებიც...“ და ა.შ.

უმზეობით გამოწვეულმა განსაცდელმა ადამიანებს საშუალება მისცა დაფიქრებულიყვნენ, განვლილი გზის სისწორე გაეანალიზებიათ. ამ სამ საათში ისინი დარწმუნდნენ, რომ „დედამიწა ყო-ველგვარი ეჭვის გარეშე მორჩილი, თანდაყოლილი პლანეტაა, უდიდესი მნათობი კეთილისა, რო-მელსაც ერთ წამს არ აქვს უფლება და საშუალება უმზეოდ არსებობისა“.

რეზო ადამია, კოსმიური ძალით ხედავს რა უმზეობით გამოწვეულ რეალობას, გვაფრთხილებს ფრანგი მწერლისა და მორალისტის ლაროშფუკოს მიერ რიშელიესა და მაზარონის წინააღმდეგ ბრძოლისას ნატყორცნი პარადიგმებით: „არც მზეს და არც სიკვდილს პირდაპირ არ უნდა უცქირო“. მოთხრობის ავტორი საინტერესოდ მსჯელობს, რომ ყველაფერი ემორჩილება უსაზღვრო ძალებს. პატეთიკურ შეკითხვას სვამს იგი: დრო, სამყარო და სივრცე ვის ემორჩილება? პასუხობს – ღმერთს. შემდეგ ერთი შეხედვით მკრეხელურ შეკითხვას წარმოთქვამს: უფალი კი ვის ემორჩილება? ავტო-რისვე აზრით, ამ შემთხვევაში უნდა შეჩერდეს რელიგიური ადამიანის აზროვნება, რათა არ დაირ-ღვეს „გულმართალი რწმენის უმაღლესი ეთიკა“. რეზო ადამიას აზრით, სამყაროს იდუმალებისაგან შექმნილი მოვლენა შეუსწავლელი მცნებაა და ამიტომ „განსაჭვრეტად მომავლის ათასწლეულებს უნდა გადავაბაროთ“.

ნებსით თუ უნებლიედ დაძაბულ – დაზაფრული კითხულობ ნაწარმოებს. ეს მწერლის ნიჭიე-რების ნაყოფია. ამასთან მკითხველი აცნობიერებს, რომ მზის ამოსვლის უმალ იხნსება დაძაბულო-ბა, შვება გეუფლება. მწერალი საოცარი ოსტატობით თავისებურად განმარტავს ათასგზის დამტკი-ცებულ-დასაბუთებულ ქრესტომათიულად აღიარებულ მზის ფუნქციას: „სადღაც დაბეჩავებული და ფუნქციამოშლილი მთვარე თავისი უჩვეულო სვლით შეძრწუნებული და გაფერკმთალებული, ამ-ღვრეულ სივრცეში იმალება, რადგან ჩვენი გალაქტიკის – ირმის ნახტომის ერთ-ერთ გვირგვინოსან მეფე – დედოფალმანათობელს კოსმიურ ღრმად გამჭირვალე – ჩრდილს აყენებს...მზე კი თითქოს-და გამოთავისუფლდება უახლოესი თანამგზავრისაგან და შვებით აწყვეტილი კვლავინდებურად წინ

მისხივოსნებს. (დედამიწა მთვარის ფუნქციათა მოშლა – არევა ამ წუთებში, თუ არა მზეს ვინ და რა შეხებია როდესმე)...„

მეტად საინტერესოა რომ რეზო ადამიას ამ ჯოჯოხეთური სამ საათიანი უმზეობის ფონზე შემოჰყავს სხვადასხვა მოქმედი პირები ზოგადად: მღვდელ-მთავრები, პატიმრები, პროკურორები, მებადრაგეები და სხვ. , კერძოდ – ერთი ახალგაზრდა ხატმწერი ბერი, ადამიანი, რომელიც მზისა და ჯვრის ერთობლივ მართალმა გამოხატვამ გადაარჩინა. ამ ბერს თავის მრევლში გამორჩეული ახლგაზრდა ჰყავდა. იგი ღარიბი იყო, მაგრამ სულიერად მრავალ მდიდარზე უფრო კეთილშობილი. უხიაგ, ურწმუნესათვის შეუფერებელ სიზმრებს უჩიოდა და როცა მათ თავი ვერ დააღწია, თავად გამოიტანა განაჩენი- ჩამომხრჩვალი ნახეს (აქაც იმძლავრა სატანამ): ეს ამბავი მზის დაგვიანების წინ ერთი დღით ადრე მოხდა. თავის თავს ადანაშაულებდა – როგორ ვერ ჩავწვდი ამ ფარულ ცოდვა – ეშმაკურ შემოსევებსო.

არ არის ეს ეპიზოდი შემთხვევით შემოტანილი მოთხრობაში. თანაც ხაზგასმულია, რომ ეს მძიმე ამბავი მოხდა ერთი დღით ადრე, მზის სამი საათით დაგვიანებვით ამოსვლამდე.

ერთ რამესაც მივაქცევ ყურადგებას, მწერალმა უმზეობის დროდ სამი საათი აირჩია. იქნებ იმიტომ, რომ „სამი“ რამდენადმე საკრალურ რიცხვად ითვლება (წმ.სამება, „სამგზის სანატრელი“, პირჯვრის სამჯერ გადაწერა და სხვ.). ნიშანდობლივია რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებლის ძლევამოსილ გამარჯვებას სამი საათით განსაზღვრავს: “...მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინა განწყობაჲ სამ ჟამამდე (სამ საათამდე – რ.მ.) იყო“. მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, ჩვენ კი მივიჩნევთ რომ რეზო ადამიას „სამი“ სწორედ ამ რიცხვის ტრადიციულობიდან მომდინარეობს.

კიდევ ერთი მეტად საყურადღებო ეპიზოდი შემოაქვს. ახლადდაქორწინებული წყვილი შეძრწუნებულნი (ასეთები სხვა წყვილებიც არიან) სარეცელს მოშორდნენ და ფანჯარას მოაფრინდნენ. აღელვებული ვაჟი სულაღტკინებული აფრთხილებს მეუღლეს: „ამ უმძაფრეს მოვლენებთან ერთად, არ მომწონს ჩვენს ირგვლივ ჟამმომდინარე სტიქიური ეს განწყობილება, შურიგე – ანანო! ახლავე გულ-მკერდზე შენი ცისფერი კაბა აიფარე და ძუძუებს გაუფრთხილდი...“

როცა მოთხრობა ამაღლებულ რეგისტრშია შესრულებული, კოსმიური სიმაღლიდან განიხილება ყოველივე, ამგვარი მიწიერი ეპიზოდის შემოტანა (განსაკუთხრებით – „ძუძუებს გაუფრთხილდიო„) კითხვებს ბადებს. რაშია საქმე, რატომ? ერთი შეხედვით თვით მწერლისთვისაც პასუხს ითხოვს: „რატომ? და რა იგრძნო ისეთი ქალის მეგობარმა და რომელმან შორეულიდან მომდინარე, ინტუიციამ შეძრა ასე, ჩვენთვის მიუწვდომლად?“

რეზო ადამია დამაჯერებელ პასუხს აძლევს თავისივე კითხვას, წინ სწევს დედის როლს; მიიჩნევს რომ ქალის სხეულში მზეა გადმოსული („ქვეყნიერების მანათობლის უთვალავი კეთილი ელემენტი ხომ დედის ძუძუშია ჩანისლული„).

მოთხრობაში ცალკეული კონკრეტული ადამიანების ტკივილებიცაა გადმოსული ამ სტიქიური უბედურების გამო, ნაჩვენებია ის ტკივილი, რაც მარტვილის რაიონის ერთ მთაგორიან სოფელში ტრიალებდა, დიდი და პატარა შესთხოვდა მზეს: „ბჟა სი ქუგგალე! არ დაგვივიწყო! ნუ მიგვატოვებ, ამოდი...) აქვეა მოტანილი ერთი დაღონებული მოხუცის გოდებით ნათქვამი: ამოვა ბჟა მალე, ნუ გეშინიათ, ბაბა“. პატარა ბიჭი, რომელიც გაურკვეველ მდგომარეობაშია ხმამაღლა იმეორებს სიტყვებს ძველი კოლხური ლექსიდან „ბჟა დიდა რე ჩქიმი“ (მზე დედაა ჩემი).

გავიდა სამი საათი... დადგა ჟამი აუწერელი ბედნიერების... მზე ამობრწყინდა, „რეალური სამოთხე გაიშალა მთელს დედამიწაზე“... მოთხრობა მრავალფეროვნად აგვიწერს მზის გამოჩენით გამოწვეულ ბედნიერებას,ყვავილთა,თუ ფრინველ-ცხოველთა სამყაროს ბედნიერ ლხინს, ადამიანთა

აღტკინებას. მზის გამოჩენით გაბედნიერებული მწერალი ხმამაღლა ამბობს: მზის ამოსვლას ყოველ დღე ტაშით უნდა ვხვდებოდეთ.

მნიშვნელოვანია რეზო ადამიას განსჯა ადამიანთა მოდგმის თაობაზე: „უსასრულო სიკეთე და ბოროტება საპირისპირო განუყრელობაა. უზენაესისგან რჩეული ადამიანი თავისი ნიჭიერ-ბრძნული გონებით და მაღალი გენიით ღმერთს უახლოვდება,მაგრამ მაინც ვერ მიეწევა მიუწვდომელ მარადიულს.''

მზის ამოსვლამ ცხოვრება გააგრძელა; თუმცა ის უარყოფითი,რაც ადამიანებში იყო კვლავ ხელუხლებელი დარჩა. ადამიანთა მოდგმა ვერ ეზიარა მარადიულ სიკეთეს. გულის ტკივილით აღნიშნავს მწერალიც: "... ვერც ერთი ზე ძალა ვერ შეძლებს სამყაროს სრულიად გაკეთილშობილებას,ეს კი მარადიული ტკივილ-ტრაგედიაა". იგი ამ დებულებას ამაგრებს ეკლესიასტეს სიტყვებით: " არც ისე ჩქარა მოვა სასამართლოს დრო,რომელიც ცუდ საქმეებს გაასამართლებს,ამიტომაც ადამიანების შვილების გულებს ბოროტების ჩადენის არ ეშინიათ". რეზო ადამია აყენებს პარადიგმას-მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლია სამყაროს სიკეთე. იგი მზესაც ღვთის ქმნილად მიიჩნევს. " რელიგია ზეგონებაა-აღნიშნავს ავტორი, სამყაროსეული აზროვნებაა და დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების წმინდათა-წმინდა ზნეობის მარეგულირებელია... ათი მცნება ხომ კაცობრიობის ყველა კანონზე მაღალთმაღალი მარადისობის წესდებაა, მთლიანად წლებს რომ გადასწვდება მისი შეუფაესებელი უფლისმიერი მადლი".

მოთხრობა „მზე" ნაპირგადალახული ფანტაზიითა და მაღალი მწერლური ოსტატობით ფართოდ ანიჭებს მკითხველს ესთეტიკურ სიამოვნებას. გონივრულადაა შემოტანილი ცალკეული ეპიზოდების დასაწყისში მსოფლიო კორიფეების – მეცნიერთა, მწერალთა და სხვ. ბრძნული აზრები.

რეზო ადამიამ მეტად მნიშვნელოვანი ფილოსოფიური მოთხრობის „მზის" შექმნით ჭეშმარიტ,ამასთან ძალზედ საინტერესო ლიტერატურას აზიარა მკითხველი.მოთხრობის წაკითხვის შემდეგ უპირველესად არკვევ ავტორის დამოკიდებულებას კოსმიური მოვლენებისადმი; მზისადმი ნეტარებითი სიყვარული ამოძრავებს მას და ამასთან მიიჩნევს, რომ ის ზე ძალა, რომელსაც შესტრფის იგი, თითქოს იმეორებს:

„ბჟა დიდა რე ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი...„

ყოველივე აქედან გამომდინარე სრულიად ნათლად გასაგებია რეზო ადამიას შეთხოვნა ადამიანთა მიმართ. გამოიჩინონ კოსმიურ-ზნეობრივ-ადამიანური დამოკიდებულება და აუგად არ მოიხსენიონ პლანეტის უძველესი ხალხების:შუმერების,ხეთების,ქალდეველების,სპარსელების,ეგვიპტელების... მზიური მადლი.

ვუსურვებ მრავალ წარმატებას შესანიშნავ მწერალსა და მხატვარს რეზო ადამიას; მოთხრობა „მზეს" კი მწვანე გზას ხალხის გულებისკენ.

გვანცა ხარაიშვილი



## ▼ ოცდამერვე

27 სექტემბერი, 2741 წელი, ამონარიდი პირადი ბლოგიდან– "რძის გზა"

გვანცა მქვია. გვანცა "ქართული" სახელია. ეს სიტყვა იმ "ფურცლების გროვაში" ამოვიკითხე, რომელსაც ბებო ჩუმ-ჩუმად შლის ხოლმე ვახშმობის შემდეგ და არავის რთავს ნებას შეეხოს. მე იმის კეთება მომწონს, რასაც მიშლიან, ამიტომაც ღამით ბებოს საძინებელში შევძვერი და "ის" მოვიპარე. სიძველისგან გამწვანებულ სიფრიფანა გვერდებზე რთულად იკითხებოდა სასაცილოდ დაგრეხილი ასოები. თავიდან ვერაფერი გავარჩიე წინადადებების უცნაური მოხაზულობის და გეომეტრიული ფიგურებით დაფარული ფურცლების გარდა. მხოლოდ 28-ე გვერდზე შევნიშნე ჩემი ძველისძველი თვითმწერით მონიშნული სიტყვები: "გვანცა ქართული სახელია." გავოცდი. ყოველთვის მეგონა რომ გვანცა იმიტომ მერქვა, რატომაც დედას დოროთე ან მამას ევსევი. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ჩემი სახელი რაღაც სხვასაც უკავშირდება, რამაც შესაძლოა ჩემი ბედისწერა სამუდამოდ შეცვალოს.

14 ნოემბერი, 2743 წელი, გვანცას დედის, დოროთეს კულინარიული გვერდის 28-ე სტატია.

თუ გადაგღალათ საჰაერო სასადილოებში გამეფებულმა ერთფეროვნებამ და გადაწყვიტეთ ნამდვილი, სასარგებლო და გენმოდიფიცირებული საუზმით დაიწყოთ დღე, ქვემოთ დედაჩემის არაჩვეულებრივ რეცეპტს გთავაზობთ. მოსამზადებლად დაგჭირდებათ:

1. პომიდორი და კარტოფილი დათვის გენით.
2. მზა, ჭვავის შემცვლელით დამზადებული პური, თევზის ქერცლისებური ზედაპირით.
3. ცალ გვერდზე შებრაწვის დაინსტალირებული პროგრამა ტვინის ჩიპში.
4. ცხარე საწებლის აპლიკაცია თქვენს "აიფონ 298373634521-ში"
5. გახეხილი ყველი "ბელისიმა" (დედაჩემს რომ კითხოთ, "ბესამე" ჯობია, არადა კერძს აყვითლებს)

ამ ყველაფერს ათავსებთ მიკროსივრცულ ღუმელში და 2,324 წამში მზადაა.

კერძი შეგიძლიათ მოათავსოთ ახალი წარმოების მეტალის გადამტანში, რომლითაც შემდგომ შინაურ რობოტუნებს გაუმასპინძლდებით.

19 ნოემბერი, 2743 წელი, გვანცას მამის, ევსევის სიტყვა წამალდამოკიდებულთა ონლაინ საზოგადოებაში.

პირველად წამალი ჩემი შექმნის 28-ე წელიწადს მივიღე. გავცივდი და ფილტვები წებოვანი სითხით ამომევსო. ოჯახის ექიმმა, რობოტევამ სასწრაფოდ ძლიერი ანტიბიოტიკი დამინიშნა. მაშინ პირველად მივხვდი, რომ არსებობდა რაღაც ძალა, რომელსაც ჩემს ტვინში ჩადებული ჩიპის ზემოქმედების შენელება შეეძლო. ტკბობა იყო წამიერი, ძლივსშესამჩნევი შეგრძნებით, რომ ეს აუცილებლად უნდა განმეორებულიყო. ვიცოდი რა რისკზეც მივდიოდი, მაგრამ წინ ვერ აღვუდექი იმ ადამიანურ საწყისს, რომელიც ჩემში ჯერ კიდევ ფეთქავს. მერე ყოველდღე ვცივდებოდი. განზრახ ვურევდი ჰაერსისტემის სრულყოფილ მექანიზმს, რათა ოთახში ნემსების ჩხვლეტა მეგრძნო, რომელიც სასუნთქ გზებამდე აღწევდა და ტანში უცნაურ ჟრჟოლას მგვრიდა. რობოტევა – გაოცებული ჩემი უშინაარსო ავადმყოფობით ახალ-ახალ და ძლიერ ანტიბიოტიკებს მინიშნავდა, მე კი ვსვამდი, თავს ადამიანად ვგრძნობდი და არაფრად მიმაჩნდა ჩემი სამყაროს განაწესი, რომ წამალდამოკიდებული უნდა განადგურდეს. საბედნიეროდ, გონს მალევე მოვეგე და თქვენი დახმარებით ვცდილობ ადამიანურობა სამუდამოდ დავთრგუნო.

3 სექტემბერი, 2744 წელი, გვანცას ბლოგი – "რძის გზა"

მე, დედა და ბებო მარტო დავრჩით. მამამ ცდუნებას ვერ გაუძლო და მზის სინათლის 28-ე კვარტლიდან გადახტა. ამბობენ, რომ წამალი მიიღო და მიწაზე დაბრუნდა. არ ვიცი რა უნდა მიწაზე, მაგრამ ვიცი წამლებს რატომაც ვერ შეეშვა. მისი თვალები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა

იმპულსს, რომელსაც ჩიპი მთელ ჩვენს სხეულს გადასცემს. ალბათ, მამა თვალებმა დაამარცხეს.

15 ოქტომბერი, 2744 წელი, დოროთეს კომენტარი გვანცას ბლოგზე.

მარტო დროებით დავრჩით. როგორც წესი მოითხოვს ევსევის წასვლიდან 28-ე დღეს რობოტზე გამათხოვეს. ქორწილს არ ვიხდით, რადგანაც მე უკვე "დაცვეთილი" ვარ. მხოლოდ იასამნისფერ საცვლებს ვიცვამ, რათა ბავშვის გაჩენის უფლება მოვიპოვო. განაყოფიერება ხანგრძლივია და მტკივნეული. ჩემი ახალი ქმარი, რობოტზეზვა ყველაფერს სწორად აკეთებს, თუმცა ტკივილი გარდაუვალია. ბავშვი მალე, 3 დღეში დაიბადება. შიგნით უკვე ვგრძნობ რომ გოგოა. თეკლას დავარქმევ, "ღვთის დიდებას."

18 ოტომბერი, 2744 წელი, გვანცას ბლოგი "რძის გზა"

ჩემი დაიკო დაიბადა. ულამაზესი მწვანე თვალები და ჯიუტი შუბლი აქვს. ბებო ამბობს, რომ ასეთი შუბლის პატრონს ევსევის ბედი არ ასცდება, მიუხედავად იმისა, რომ რობოტზეზვას შვილია. თეკლას ტვინის ჩიპი ისეთივე პაწაწინაა, როგორც მისი 28-ე ხალი ტუჩთან. თეკლა მხოლოდ ჩემთან არ ტირის. ალბათ იმიტომ მოვწონვარ, რომ იმის კეთება მიყვარს, რასაც მიშლიან.

5 ნოემბერი, 2749 წელი, გვანცას ყოფილი და თეკლას ამჟამინდელი ბლოგი "რძის გზა"

ჩემი და? დიახაც, ძალიან მიყვარს, მაგრამ ბოლო დროს უცნაურად იქცევა. უარს ამბობს გათხოვდეს პრესტიჟულ 28-ე პლანეტაზე, ასევე პრესტიჟულ რობოტკლანის ოჯახში. ვიღაც დედამიწელი შეუყვარდა და უცნაური ტერმინებით ლაპარაკობს. "გლობალიზაცია," ჰუმანიზმი," "რწმენა," – თავი ამ უაზრო სიტყვებითა აქვს გამოტენილი და ამტკიცებს, რომ ცხოვრების ჭეშმარიტი არსი საკუთარ "ისტორიაში" დაბრუნებაა. მე არ ვიცი რას ნიშნავს "ისტორია," მაგრამ არა მგონია იქ დაბრუნების იდეა აქ ვინმეს მოსწონდეს.

13 ნოემბერი, 2749 წელი, დოროთეს კომენტარი თეკლას ბლოგზე "რძის გზა"

გვანცას ვკარგავ. ვეცადე სწორად აღმეზარდა, თუმცა აშკარაა, რომ ევსევის გენებმა სძლია. წამლებს სვამს და სახლში თითქმის ვეღარ ვხედავ. გუშინ ვიწექი და ვფიქრობდი, რა დავაკელი მეთქი. უცებ, ჩიპის 28-ე ელექტროდის მოკლე ჩართვა ვიგრძენი და გამახსენდა, როგორ დაჟინებით მთხოვდა დედაჩემი ბავშვისთვის გვანცა დამერქმია. იქნებ, მის სახელშია საიდუმლო? ან საერთოდ, რა სახელია ეს გვანცა, საიდან მოდის ან რა მაგია აქვს არავინ უწყის, როგორ შევცდი და დედაჩემს დავუჯერე?

30 ნოემბერი, 2749 წელი, გვანცას კომენტარი თავის ყოფილ ბლოგზე "რძის გზა"

სანამ ალფეზს შევხდებოდი, ამქვეყნისა არაფერი გამეგებოდა. ალფეზს კიბერსივრცეში შემთხვევით დავეჯახე და იმის მერე ერთად ვართ. მან მასწავლა იმ კარის გაღება, რასაც ისტორია ჰქვია და რომლის გარეშეც ვერასოდეს მივხვდებით ვინ ვართ და ბედნიერება რომელ განზომილებაში უნდა ვეძებოთ. მე აღარ მინდა ვიცხოვრო აქ. ალფეზი ცდილობს, ჩვენი ჩიპები სამუდამოდ გათიშოს და მერე ალბათ შევძლებთ კიდეც დავბრუნდეთ ისტორიაში. ისტორია, მიწაზე უნდა იყოს –შორს 28-ე საუკუნიდან. ვფიქრობ, მამაც ისტორიის ნაწილი იქნება. ალფეზი ამბობს, რომ ცვლილების დროა. მე მჯერა. ისიც ვიცი, რომ ჩემი სახელი განსაკუთრებულ ბედს მიმზადებს. მე ხომ გვანცა ვარ. გვანცა კი "ქართული" სახელია.

## სიყვარულის ალუზია

პირველად ზურგი კვლევის მეთოდების ლექციაზე ატკივდა. ტკივილი მალე ქავილში გადაეზარდა. სასწრაფოდ ექიმთან გავვარდით, შემეშინდა. იმას უფრო. გაიძრო თუ არა მაისური ახალგაზრდა თეთრხალათიან ქალს თვალებში კითხვის ნიშნები აუციმციმდა. ძლივს გავბედე ახლოს მისვლა და შევხედე თუ არა ელდა მეცა – მთელი ზურგი გაწითლებული და ალაგ-ალაგ ამობურცული ჰქონდა. რეცეპტი ავიღეთ და აფთიაქში რამდენიმე დასახელების მალამო ვიყიდეთ. სოკოვანიაო, ექიმმა. ტკივილი მალე გაუქრა, ქავილი არა. მერე სისხლმაც დაუწყო დენა. პანიკაში ჩავ-

ვარდით. არც მე მეძინა, არც იმას ასვენებდა ღამეული კოშმარები, მაგრამ მაშინ ვერცერთი ვხვდებოდით რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მხოლოდ დასაწყისი.

შუბლს ზემოთ ორი პატარა წანაზარდი ბანაობისას აღმოვაჩინე. ყურადღება არ მიმიქცევია მანამ, სანამ გადაწეულ თმებში უკვე მანაც არ შემამჩნია. ისევ საავადმყოფო. გაურკვეველმა დიაგნოზმა საბოლოოდ შეარყია ვაჩეს ფსიქიკური მდგომარეობა და არც მე მადგა კარგი დღე.

რაც მართალია, მართალია – თავიდანვე ცოტა უცნაურად დაიწყო ყველაფერი.

სიყვარული მეწვია თუ არა წერილების წერა დავიწყე. ვწერდი 210X297 მმ ზომის თაბახის ფურცელზე, ვკეცავდი ოთხად, ვდებდი ლურჯზოლებიან კონვერტში და უნივერსიტეტის ეზოში, ვაჟას ძეგლის უკან ვტოვებდი. წერილები უგზო-უკვლოდ ქრებოდა, ადრესატი კი არა და არ ჩანდა. ვღელავდი, ისე ვღელავდი, რომ სახე დამიჭაობდა, ხელები კი ურითმო ლექსებს დაემსგავსა. კათედრაზე ერთი მჩხიბავი რომ არ გვყოლოდა, ალბათ, ტრაგედიას ვერ ავცდებოდი – სიყვარულის აჩრდილი მარტოსულებს სწრაფად მოაშთობს ხოლმე, მითუმეტეს, როცა ზამთარია. ჰო, დავარმა მიშველა-მეთქი. დასჯილი მოსწავლესავით კედელთან დამაყენა და მკითხა, სასვენი ნიშნების გარეშე რომ წერ წერილებს, როგორ უნდა მიხვდე ვინ იღებსო. გავშრი – ასეთი მნიშვნელოვანი დეტალი მხოლოდ უგუნურს და უმწიფარს თუ გამორჩებოდა მხედველობიდან. შემდეგი წერილი ადრინდელზე დიდი გულმოდგინებით დავწერე და სულმოუთქმელად ველოდი, როდის გამოჩნდებოდა წერტილებით, მძიმეებით, ბრჭყალებით, ორწერტილით, ძახილის ნიშნებით აჭრელებული ადრესატი ჩემს ულიმლამო ცხოვრებაში.

ფანტანთან ვიდექი. ჩანთიდან თავის ტკივილის წამალი ამოვაძვრინე და სანამ დასალევად დავიხრებოდი მაშინ გამოჩნდა. იქვე მოდიოდა, მარტო. სიგარეტს ისე ეწეოდა, ვიფიქრე ახლა ბოლს ნამდვილად ორივე ფილტვს ამოაყოლებს-მეთქი. იმ სიგარეტის კვამლივით ბუნდოვანი აღნაგობა, მაგრამ მეტყველი თვალები ჰქონდა, რომელთა ირგვლივაც უკვე გაუფერულებული, ცრემლის ფორმის რამდენიმე მძიმე შევნიშნე. ის იყო. რომ მივედი და სახელი ვკითხე გაუკვირდა. ვაჩე ვარო. კიდევ უფრო გაიკვირვა ჩვენი სიყვარულის ამბავი, მეგონა მე გიპოვნიდიო, მე ვიქნებოდი მწყურვალი და შენ წყალიო. მერე გადამეხვია.

ვაჩეს ფრთები ჩვენი ერთად ყოფნის ოცდამეთერთმეტე დღეს ამოუვიდა. ფრთები თითქოს მიწისკენ დახრილიყვნენ, ოაკლენდის სასაფლაოს შავი ანგელოზის მსგავსად. მათ არც ჩემი რქები უდებდნენ ტოლს. ახლა უკვე ეშმაკუნები მარტო თვალებში არ მიხტოდა – მთლიანად მათ დავემსგავსე. ქურთუკი, ქუდი და საშინელი ამინდი რომ არა ჩვენი სხეულების ეს გარდამტეხი ცვლილებები სახლებში გამოგვკეტავდა. საბედნიეროდ, ზამთრის ქალაქი ღია აღმოჩნდა განსხვავებულობის მისაღებად, როგორი ღიაც აღმოჩნდება ხოლმე გონიერი ადამიანი ყოველგვარი სიახლის მიმართ.

თებერვალი იწურება. შეგრძნებები ისე გამიმძაფრდა, რომ მუზებს გავურბი, ვაჩესაც. რაც დრო გადის ეს ურთიერთობა ფარსს ემსგავსება. იმიტომ არა, რომ მას აქვს ფრთები, მე კი ახლაც ვგრძნობ თავზე ორ პატარა წანაზარდს, ჯოჯოხეთის მოციქულს რომ მამსგავსებს. არა – ვაჩე ეჭვებმა შეიპყრეს და სწორედ ეს ეჭვები გვითხრიან სამარეს. როცა ის ამბობს „ჩვენ," აღარ შრიალებს ჩემი შარფის ბოლო და აღარ ჭრიალებს ვაჩეს ფეხქვეშ ჩვენით მძიმე დედამიწა. ეს უკვე დასასრულია.

ვინც პირველი ნებდება, ის უკანასკნელ წერილს ტოვებს – ასეთია წესი.

„ანანა, ჩემო ტკბილო ანანა. სად ვიყავი და სად აღმოვჩნდი? ქაოსიდან ქაოსში დავბრუნდი, უსიყვარულობიდან სასოწარკვეთაში გადავაბიჯე. ანანა, ჩემო ტკბილო ანანა, როგორ შეგიძლია იყო ასეთი ნათელი, როგორ შეგიძლია იყო გულწრფელი მაშინაც კი, როცა რაღაც ბოლომდე არც კი გესმის, არც კი გჯერა. რა მაჩუქე და რა მიიღე სანაცვლოდ? მე მიწის არა ვარ, ცა მიხმობს და თუ გტოვებ მხოლოდ იმიტომ, რომ იქ არაა შენი ადგილი, აქ უფრო საჭირო ხარ. ანანა, ჩემო ტკბილო ანანა.."

მთელ სხეულზე დამაყარა ხალებად ვაჩეს წერილმა. ეგვიპტურ პერგამენტს დავემსგავსე – ყვითელი და ნაწერებით სავსე. მერე ისინი გაქრნენ, მე კი წავიშალე. ზაფხული სამი თვით ადრე მოვიდა, რათა როგორმე დამესვენა, სადმე დამეხრჩო დარდი. სოფლის გზას დავადექი. ბოლო დროს აღარავინაა სოფლებში. თან ცუდი წინათგრძნობაც მქონდა, რა მინდა „უკაცო" სოფელში, სადაც ბოლმა მყავს მეზობლად, კონფლიქტით ღობე მაქვს შემოღობილი, სიჩუმით სახლია გადახურული და ძაღლი კატასთან ერთად იძინებს-მეთქი. მაინც წავედი. დედაჩემმა რაო, დაშორდი-

თო? თავი როგორ გამოვყო ხალხშიო, შე ოჯახის სირცხვილოო, პირველი სიყვარულის მერე ყველაფერი უფერულდება და ვერ ელირსებიო ბედნიერებას. არ დავიჯერე. ჩემს სოფელში ისე ლამაზად ღამდება, როგორ შეიძლება მსგავსი საშინელებები სიმართლე იყოს.

სიკვდილი ჩავიტანე სოფელში. კუბო-კუბოზე გაჰქონდათ სასაფლაოზე. თან რქების დამალვაც მიჭირდა. კოცონზე რომ ვინმეს დავეწვი? ქალაქში დაბრუნება მომიწია. აქ ყველაფერი არანორმალური ნორმაა, ამიტომაც არაფრის მეშინია.

ვაჩე შემხვდა გუშინ, თხელი მაისურით. აღარ ჰქონდა ფრთები. არ ვიცი რა დროს, როგორ დატყდა. ისევ შევხვდეთო ერთმანეთს, მითხრა. ქუდი მოვიხადე და რქები დაიანახა თუ არა პირჯვარი გადაიწერა და გაიქცა, უკან არ მოუხედავს. ეს მშიშარა საერთოდ როგორ მიყვარდა? იმ ადგილებში სიარული დამჩემდა, სადაც ადრე ერთად ვსხდებოდით ხოლმე. აქ პასუხებს ვეძებ. იმ გრძნობასაც ვეძებ, რომელიც წარმოდგენა არ მაქვს სად წავიდა იმის შემდეგ, რაც დაგვტოვა და რომელიც, შესაძლებელია, მხოლოდ ჩვენი შეხვედრების ადგილას იყოს, სხვაგან აბა სად?

სიცარიელეა ყველგან. მხოლოდ უნივერსიტეტის პატარა ეკლესიაა სავსე სიმშვიდით. უჩუმრად ვმოძრაობ. რა მეგონა უფლის სახლი რქიანსაც თუ მიმიღებდა? ამ კედლებზე რაღაც ისეთს ვკითხულობ, რის მსგავსსაც მხოლოდ საკუთარ თავში თუ წაიკითხავს ადამიანი, ან ძველ დღიურებში. თენდება.

ლიტერატურის თეორიის ლექციაა. თითებში უცნაური ძალა შემისახლდა და ქუდი მომახდევინა. ვზივარ და წუთი-წუთზე ველი არამკითხეების შეშინებულ მზერას, ველი როდის წამავლებს ლექტორი ქეჩოში ხელს და გარეთ გამიძახებს, მაგრამ... მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება. მოწყენილობამდე ჩვეულებრივი დღეა. ჩემ წინ მწვანეჯემპრიანი ბიჭი ზის. სანამ შევამჩნევდი რომ მწვანე ჯემპრი ეცვა, მანამდე მუქი პალტოს გახდა მოუწია. ვაკვირდები, ზურგზე ვაკვირდები და თვალებს არ ვუჯერებ – მასაც აქვს ფრთები, ორი დიდი, ლამაზი ფრთა. შეშინებული ვიყურები აქეთ-იქით. მიკვირს, როგორ ვერ ამჩნევს იმავეს გვერდით მჯდომი ჭორფლიანი გოგონა, ან უკან მოლაქლაქე რომელიმე თანაკურსელი. ბიჭს ფრთხილად ვეხები და ლუღლუღით ვამბობ:

– ზურგზე, თქვენ...

– აჰ, ალბათ შემოსვლისას კედელს გავედე, ეგ არაფერი, მაინც დედაჩემი რეცხავს, –მიპასუხა ღიმილით.

– შუბლზე, მე...

– პატარა შრამია, არც კი გემჩნევა.

– ლექციის მერე ჩვენ...

– იქნებ სადმე წავსულიყავით?

**სერგი ლომაძე**



## ანთოლოგია – მეხუთე ცომი

დეკემბერი ყოველი წლის შეჯამებაა, ანუ ერთი უმთავრესი თვე, (საერთოდ, დეკემბერი და იანვარი, როგორც სასრული და საწყისი, ქრისტეს თვეებად მიიჩნევა) და ამ დროს არის უმთავრესი ამბავიც ჩვენი აკადემიისა: ანთოლოგიის, ყოველწლიური, დიდი ანთოლოგიის გამოცემა-განხილვა. აკადემიის ტრიუმვირატი (გულნაზ ხარაიშვილი, კახა ბაციკაძე, და მე) შევიკრიბეთ, რათა დაგვეგეგმა ღონისძიება. შეირჩა ადგილიც – მწერალთა სახლი. ქალბატონმა გულნაზიმ პრეზიდიუმიც, წამყვანობაც, საერთოდ, საღამოს გაძღოლა-მეთაურობაც მთლიანად მე და კახას დაგვითმო.

ზამთრის, ისევე, როგორც მისი თვეების ფერი-თეთრია, ანუ-თოვლისფერი, სინათლისფერი... სწორედ სინათლე ილვრებოდა სულში იმ დღეს.

შუადღეზე გავხსენი შემოქმედებითი საღამო მწერალთა სახლში, ხოლო შემდეგ მე და კახა გავუძეხით იმდღევანდელ აკადემიურ მუშაობას. საღამოს, ქალბატონი გულნაზის გარდა, ესწრე-ბოდნენ – მწერალთა ერთ-ერთი ლიდერი მაყვალა გონაშვილი, რეზო ადამია, ლამზირა შეყილაძე, ბელა ალანია, ნაირა ნიჟარაძე, მანანა ბრაჭული, ნანა მესხი, გერონტი მესხი, ლევან ბაბუხადია, ლალი რატიანი, მანანა ზაზიკაშვილი, გიორგი ბეჟიტაშვილი, ნიკო ბაღაშვილი, ირმა თხინვალე-ლი, ლეილა გაფრინდაშვილი და სხვები და სხვები. აქვე იყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქ-ტორი, პროფესორი ლუარა სორდია. არ გამომრჩენია მეცენატი-ბიზნესმენი სულიკო სამხარაძე და მისი მეუღლე ლია ბალანჩივაძე…





მე მოკლედ განვიხილე ანთოლოგია. ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნომერია. იგი, როგორც ყოველთვის, იყოფა პოეზიად, პროზად, თარგმანებად, მეცნიერებად (ან-წერილებად და მეცნიე-რებად) და ნორჩ „ათინათელებად“ ეს ჟურნალ „ათინათის“ სტრუქტურაა სინამდვილეში, რომე-ლიც დახვეწა ანთოლოგიამ. მე მოკლედ განვიხილე ყველა დანაყოფი, ხოლო შემდეგ, მე და კა-ხამ, სიტყვა დავუთმეთ დარბაზში მყოფებს. ისინი სათითაოდ გამოგვყავდა. ვუსმენდით დიდის ყურადღებით.

როგორც ყოველთვის, იმ დღესაც ყველაზე მეტად სწორედ პოეტებმა ისახელეს თავი, თუმ-ცა მაინც იყო ორი გამოსვლა სხვა მიმართულე-ბით, რომლებიც უნდა გამოვარჩიო.



სოსო სიგუა, რევაზ მიშველაძე და ლეილა გაფრინდაშვილი

ვწერდი, ერთ ლექსში, („მზე-პოეზია„), იდეა-ადამიანზე: „ცამ ხომ თქვა მასზე: მეფე-ქრისტეა… ცამ ხომ თქვა მასზე: ღმერთი-ქრისტეა…“

აი, ასეთია სიმაღლე იდეათა. უდიადესი იდეა ხომ ღმერთია თავად, ანუ უმაღლესი პოეზია.

და სწორედ იდეამ აღამაღლა პროზაიკოს ბე-ლა ალანიას ის მოთხრობა, რომელმაც ასე მოხიბ-ლა, მოაჯადოვა დარბაზი. ეს იყო თემა მიტოვე-ბული სახლის, როგორც მიტოვებული ადამიანის. ბელა სიმპათიური, თბილი, ემოციური ქალია. მან ცრემლები ვეღარ შეიკავა თავისივე მოთხრობის წაკითხვისას და დარბაზშიც იფეთქა აპლოდისმენ-ტებმა. მოკლედ, თუკი მისი ცნობილი მეუღლე – ბატონი შალვა, პოლიტიკაში დგამს შოუს, ბელამ, იგივე ლიტერატურაში მოახერხა, და დიდი წარმატებაც მოიპოვა, ქალური პროზის თუ ქალთა პროზის ამ ერთ-ერთმა ლიდერთაგანმა.

ხოლო პატარა მარიამ ხვედელიძემ „ავე მარიას“ შესრულებით (მუსიკის გარეშე, მხოლოდ სასწაულებრივი ვოკალით) გააოგნა მთელი დარბაზი.

რადგანაც „ავე მარია“ ვახსენე, აქვე მოვიყვან ნაწყვეტს კახას შედევრი-ლექსიდან „ფიქრე-ბის წიგნი“, რომელიც იმ საღამოზე, კახას მაგივრად, მე წავიკითხე:

„ისევ ჩავყვები გრძნობათა ხევებს;

ღამენათევი ვინ შემიფაროს?
მერე აკრეფენ ღამის ნამსხვრევებს,
რომ არ გაქრას ფეხი სამყაროს.
გნატრობ, მუსიკად მეღვრები სულში,
თმებს რომ გაგიშლის – ლექსის ქარია;
შენ მე მაბრუნებ ჩემს შორ წარსულში,
სადაც მოისმის „ავე მარია"...

ხოლო კახამ წაიკითხა ჩემი ლექსი „სიცოცხლემისჯილი". ბოლო წამს შეცვალა გადაწყვეტილება. იქამდე სურდა ჩემივე „მზე-პოეზია" წაეკითხა.

მსურდა მსმენელთათვის ზუხბას ლექსიც გაგვეცნო, სახელწოდებით „ინსტუქცია №2", სადაც ის წერს: „მე ვცნობ მხოლოდ ჩემს თავს, – ეს სიტყვები არ ნიშნავს იმას, რომ მე ყველას აღვემატები"... საოცარი, პარადოქსული პოეტურ-პროზაული პოეზიაა...

საღამოზე გამოვიდა აკადემიის პოეტთა უმეტესობა, თითო ლექსით, ხოლო ლუარა სორდიამ, ისევე, როგორც მე (უფრო უკეთესადაც!) გაანალიზა ანთოლოგია, და საერთოდაც, აკადემიური სიტუაცია...

საღამო დააბოლოვა რეზო ადამიას და ჩვენი გულნაზის – აკადემიის ტრიუმვირატის პირველი წევრის (მეორე-კახაა. ჩემი ადგილი მესამეა უფრო) გამოსვლებმა.

რეზომ შედევრი უწოდა ჩვენი ანთოლოგიის მეხუთე ტომს, წიგნს, რომელშიც, პირადად მე, ყველაფერმა დამაინტერესა, განსაკუთრებით კი იმ სტატიამ, რომელიც ქალბატონმა გულნაზიმ „ზღვარის" ბოლო თბილისურ კონცერტს მიუძღვნა, ამ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაორებულ ღონისძიებას, რომელიც დიდად გახმაურდა, დიდად, და ამას ხელი შეუწყო „ზღვარისავე" ბოლო წიგნმაც, რომელიც კონცერტს ფეხდაფეხ მოჰყვა. ბევრი იბრძოდა როგორც კონცერტის, ასევე წიგნის ჩასაშლელად, თუმცა აკადემია დაგვეხმარა და ორივეგან გავიმარჯვეთ. გვაქვს ახალი გეგმებიც, ახალ წიგნსა და ალბომზეც კი ვმუშაობთ უკვე: მეშვიდე წიგნსა და მეშვიდე ალბომზე!..

ანთოლოგიის პრეზენტაციის მწვერვალი იყო ქალბატონი გულნაზის გამოსვლა. მან ყოველივე შეაჯამა და ბოლოს მადლობა გადაგვიხადა მე და კახას საღამოს დიდებულად წარმართვისათვის.

ჩვენი აკადემია დღეს ყველაზე აქტიური ორგანიზაციაა, და მთავარ აკადემიასთან ერთად, კულტურის სფეროში საოცრად ბევრს მუშაობს. თქვენ თვითონ განსაჯეთ: ვატარებთ უამრავ ღონისძიებას, რეკორდული რაოდენობისას, ვუშვებთ ჟურნალს და ანთოლოგიას... ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემია, დღეს, სუპერაქტიური ორგანიზაციაა, ბევრ საქმეში ჩართული, ხოლო ყოველწლიური ანთოლოგია (იგი ორიათასთორმეტი წლიდან გამოდის) ალბათ მწვერვალია ჩვენი შრომისა. ნულიანი და ათიანი წლები მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართულ კულტურაში. კულტურა ცდილობს ქვეყნის ნგრევის დაღმავალი პროცესის შეჩერებას. ხოლო ათიან წლებში ჩვენი აკადემია არის ერთ-ერთი ფლაგმანი კულტურული აღმშენებლობისა.

**სერგი ლომაძე**
**თბილისი. 2016 წელი. დეკემბერი**

P.S. თუ მხატვრულ ლიტერატურას (პოეზია-პროზა), ტრადიციულად, ეპიკად, ლირიკად და დრამად დავყოფთ, ხოლო დრამას, გარკვეული გაგებით, ეპიკას მივათვლით, მაშინ აკადემიური ანთოლოგიის ტომები მხატვრულ ლიტერატურას სრულად, საფუძვლიანად მოიცავს. ამავე დროს, ანთოლოგიას, დიახ, სხვა განყოფილებანიც აქვს...

## უშანგი მოსიაშვილი – 80

ბატონმა უშანგი მოსიაშვილმა არა მარტო კაცობით, ადამიანობით გადაასწრო თითქმის ყველას, არამედ, აკადემიათა წევრებს შორის, მან ერთ-ერთმა პირველმა დაამრგვალა თავისი იუბილე ისეთი მნიშვნელოვანი რიცხვით, როგორიცაა ოთხმოცი წელი, თანაც, ასაკთან შედარებით, ძალიან მხნედ, ენერგიულად გამოიყურება და ისევ აღსავსეა შემოქმედებითად.

როგორც მოღვაწე კაცი, როგორც მრავალმხრივი ადამიანი (მეცენატი-ბიზნესმენი, პოეტი, მწერალი, მხატვარი, თავისებური ფილოსოფოსი), იგი მამად აღიქმება კასპისა და მთელი იმ რაიონის, ამასობაში კი სახელიანი კაცია მთავარქალაქშიც – თბილისშიც. ღვაწლი, უშანგი მოსიაშვილისა, განუზომელია. უამრავჯერ მითქვამს, რომ მას მხოლოდ ის ფაქტიც კი ისტორიულ პიროვნებად აქცევდა, რომ დააფინანსა ნიკო ხერკელაძის ტიტანური ნაშრომის გამოცემა გიორგი სააკაძის შესახებ. ესაა გენერალური ნაშრომი, მხატვრულ-დოკუმენტური, ლიტერალურ-მეცნიერული რომანი იმ გმირის შესახებ, რომელიც სწორედ კასპის რაიონიდან იყო, სოფელ ნოსტედან, და ახლაც გადაჰყურებს გორიდან სოფელს, მთელს სივრცეს, მისი საგვარეულო კოშკი...



**გულნაზ ხარაიშვილი, ბახვა სამხარაძე, უშანგი მოსიაშვილი და გიორგი ბეჟიტაშვილი**



**უშანგი მოსიაშვილის მეუღლე ქალბატონი ნანი**

შუადღე გადასული იყო, როცა რამდენიმე მანქანით დავიძარით თბილისიდან კასპში, ასე ვთქვათ, დელეგაცია სხვადასხვა აკადემიათა და მწერალთა კავშირისა.

პოეტ კახა ბაციკაძის მუქმწვანე ოპელში ვისხედით მე, კახა, ლევან ბაბუხადია და ეკა გოგიაშვილი. მთელი გზა, რატომღაც, ვმსჯელობდით შუასაუკუნეების რაინდთა წეს-ჩვეულებების შესახებ და თემამ ისე გაგვიტაცა, რომ ძლივს მივაგენით კასპის გადასახვევს. ბატონ უშანგის სამფლობელოში რომ მივედით, ეზო ავტორებით იყო სავსე. მივხვდით, რომ საბანკეტო დარბაზში დიდი ამბავი დაგვხვდებოდა. წარმოიდგინეთ: გარეთ თოვლი, სითეთრე სივრცეებზე, იქ კი, დარბაზში, თბილა, ასზე მეტ ადამიანს მოუყრია თავი და პომპეზურობით აღნიშნავენ მოღვაწე კაცის დიდ იუბილეს. დარბაზში, ადგილობრივთა, კასპელთა გარდა, ბევრნი იყვნენ სტუმრებიც. მათ შორის – მწერალთა კავშირის ერთ-ერთი თავმჯდომარე (ხუთი-ექვსი ლიდერიდან) მაყვალა გონაშვილი და ფაზისის აკადემიის თავმჯდომარე თუ პრეზიდენტი – ნუგზარ ნადარაია. რაღა თქმა უნდა, გულნაზ ხარაიშვილისა და მისი გარემოცვის გარეშე იქაც არაფერი ჩაივლიდა,

ამიტომაც ჩვენი ჯგუფი სოლიდურად იყო წარმოდგენილი. სუფრაც ისეთი დაგვახვედრეს, ბატონ უშანგის რომ ეკადრებოდა, ჩვენ რომ გვეკადრებოდა, და გაიმართა დიდი პურობა. ხოლო ყველაზე გასაკვირი ეს გახლდათ: ასეთი პურობაც კი, ჩვენმა ლიდერმა – ქალბატონმა გულნაზიმ, რაღაც ეპიზოდებში, ღონისძიებად აქცია. ახლაც ვერ ამიხსნია ზუსტად, როგორ მოხდა ეს, ისე ბუნებრივი, ისე ძალდაუტანებელი იყო ყოველივე, თან დიდხანსაც არ გაგრძელებულა, რათა სუფრა სუფრად დარჩენილიყო და არა რომელიმე სამუშაო დღედ. ახლაც არ ვიცი, როდის, როგორ მოიქსოვა ბადე ღონისძიებისა, როგორ გადაიზარდა სადღეგრძელოები და მუსიკა, უცებ, ბატონ უშანგისადმი მიძღვნილ პოეზიაში, მსჯელობებში, განსჯაში, რომელსაც ჩვენი აკადემიის პერსონები წარმოადგენდნენ: თვითონ ქალბატონი გულნაზი, ლამზირა შეყილაძე, ლეილა გაფრინდაშვილი და სხვანი და სხვანი. იუბილარი (რომელსაც უკვე მანამდე უამრავი საჩუქრები გადაეცა სხვადასხვა ორგანიზაციათაგან), ყურადღებით უსმენდა ლეჟავას აკადემიის მიერ წარმოდგენილ ამ პატარა პოეტურ შოუს (დიახ, შოუს ელემენტები, საერთოდ, უხვად იყო იქ მთელს იმ დღეს). მოკლედ, ქალბატონმა გულნაზიმ, რომელიც რეკორდულად ბევრი (რამოდენიმე ათასი) ღონისძიების ავტორია, არც ის დღე გაუშვა ხელიდან ისე, რომ რაიმე ლამაზი არ დაეგეგმა და სწრაფადვე არ აღესრულებინა. პურობა, ღონისძიებაში გადაზრდილი, და მერე ისევ პურობად

გაგრძელებულ-დასრულებული, – აი ესაა კიდევ ერთი კულტურული მხარე ქართული სუფრის, რომელიც მართლაც არის თავისებური აკადემია კარგ გამძღოლთა ხელში.

იმ დღეს, ბატონ უშანგისთან ერთად, დიდებულად წარმოჩინდა მთელი მისი ოჯახიც, საახლობლო წრითურთ, ხოლო ყველა იმ ადამიანთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიო იუბილარის მეუღლე – ეს წარმოსადეგი, ხალისიანი, ენერგიული ქალი, რომელიც როგორი მოთაყვანე ყოფილა ხელოვნებისა! მან, იქ, უამრავი ლექსი თქვა ზეპირად. არც იმას დავმალავ, რომ რადგანაც ზამთარი იყო, ხოლო ზამთარში (დეკემბერში) სტალინია დაბადებული, სტალინზედაც ითქვა ლექსები, მისი და სააკაძის სადღეგრძელოებიც დაილია. სააკაძე გასაგებია – იგი კასპელი (ნოსტელი) გმირია. გასაგებია კულტიც სტალინისა – იგი ქართველი გენიოსია, და თუმცა საკამათო პიროვნებაა (ეგ კი არა, სააკაძის ირგვლივაც არის კამათი, ურთიერთგამომრიცხავი აზრები), გენიოსი მაინც გენიოსად რჩება, მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთ იშვიათ ქართველად (უდიადეს მეფე-რუსთაველთან და ზოგ სხვასთან ერთად). ხოლო კონკრეტულად დეკემბერს რაც შეეხება, იგი, იანვართან ერთად, ქრისტეს თვედ მიიჩნევა. იქნებ ამიტომაც იყო, რომ უფლისეულ, ზეამაღლებულ საკითხთა შესახებაც საკმაოდ ბევრ საუბარს მოვკარი ყური, ლაიტმოტივიც ის გახლდათ, რომ საქართველო იესოსა და მარიამის ქვეყანაა...

ისტორიული ამბავია, რომ გასული საუკუნის ოცდათორმეტ წელს (1932) წითელმა რეჟიმმა გააუქმა ყველა ლიტერატურული გაერთიანება, მწერალთა კავშირის გარდა. ამით არ მომკვდარა ლიტერატურა.

საქართველოში პოეზია (ლიტერატურა) ყოველთვის იყო და არის ზერელიგია. პოეტურობა უმთავრესი ტვიფარი, ნიშანი ქართული ბუნებისა.

და მიხარია, რომ ბატონი უშანგის ეს დიდი იუბილეც იყო აღბეჭდილი პოეტურობის ნიშნით, და რომ იმ დღეს იქ გაჟღერდა სხვადასხვა თემებზე შექმნილი უამრავი ლექსი, სხვადასხვა პიროვნებათა მიერ.

მე პროფესიონალი პოეტი ვარ. პროფესიონალები ცოტანი არიან.

მაგრამ, საერთოდ, პოეტს რაც შეეხება, ლექსის გარეშე წარმოუდგენელია გული ქართული, და პოეტური კუთხით ვუყურებთ ჩვენ მთელს სამყაროს.

და ამ ფონზე, როგორ მიხარია, რომ ბატონმა უშანგიმაც, – ათასი საქმით დაკავებულმა ყველასა და ყველაფერზე მზრუნველმა კაცმა (რად ღირს მარტო მის მიერ შექმნილი სამხატვრო გალერეა!), პოეზიისთვისაც მოიცალა, რომ მანაც ლექსის ენით დაიწყო ლაპარაკი უკვე დიდი ხანია!..

ამბობენ, რომ ბატონ უშანგის პიროვნებაში შეზავებულია სიამაყე და თავმდაბლობა, იუმორის კარგი გრძნობა, შეუპოვრობა, მიზანდასახულობა...

ის არის კაცი, რომელიც უხდება არა მარტო მის საყვარელ კასპს, მთელს რაიონს, არამედ – სრულიად საქართველოსაც!

ვუსურვოთ ასეთ კაცს მწვერვალზე ყოფნა მარად, მარადი განცდა უმაღლესი სივრცეებისა!..

## ჩემი პასუხი


კახა ბაციკაძე, სერგი ლომაძე

ხშირად მეკითხებიან „ცისფერყანწელთა" შესახებ: იყო თუ არა, ეს „საუკუნის ჯგუფი", ზუსტად ვინ იყვნენ მისი წევრები და ასე შემდეგ.

ჩემი პასუხი ასეთია:

დიახ, ეს დიდი ლიტერტურული ერთობა გახლდათ, ალბათ-მეოცე საუკუნის საუკეთესო ჯგუფიც, რომელიც ალემატებოდა, პოპულარობით, ისეთ კონკურენტებს, როგორებიც იყვნენ – აკადემიური სტილის დაჯგუფება, ფუტურისტები და სხვანი.

„ყანწელთა" წევრები იყვნენ: პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე (ესენი ლიდერობდნენ ჯგუფს), ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, ნიკოლო მიწიშვილი, სანდრო ცირეკიძე, გიორგი ლეონიძე, დავით

კლდიაშვილი, შალვა აფხაიძე, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე, ლელი (ლეო) ჯაფარიძე. ამბობენ, რომ ჯგუფში, მცირე ხნით, თვით გალაქტიონიცა და გრანელიც მოიაზრებოდნენ, თუმცა ორივეს მაინც თავის-თავისი დაჯგუფებები ჰქონდა, ხოლო, რეალურად, ორივენი „მარტოობის ორდენის კავალერი“ გენიოსები იყვნენ.

„ცისფერყანწელები“ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ ცხრაასთხუთმეტ-ცხრაასთექვსმეტ (1915-1916) წლებში ქუთაისში, ხოლო მოღვაწეობდნენ, ძირითადად, თბილისში.

სადავოა ჯგუფის დაშლის თარიღიც. შეიძლება ასეთად ცხრაასოცდათორმეტი (1932) წელი მივიჩნიოთ, როცა წითელმა რეჟიმმა იერიში მიიტანა, მთელი ძალით, თავისუფალ, დამოუკიდებელ პოეტურ-ლიტერატურულ გაერთიანებებზე.

ჯგუფის წევრთა ძლიერი ნაწილი რეჟიმთან ბრძოლას შეეწირა. დაიღუპა პაოლო, ტიციანი („ყანწელთა“ სახელწოდებაც კი პაოლოს მოფიქრებული იყო), ამბობენ, რომ გარკვეულმა პირებმა მოწამლეს ვალერიან გაფრინდაშვილი, დაიღუპა ზოგი სხვაც. ცოტა მათგანი გადაურჩა რეჟიმს, მძიმე დროს.

ათიანი წლებიდანვე „ყანწელები“ უკვე პოპულარულნი იყვნენ, ხოლო ოციანი წლების ბოლოს და ოცდაათიანების დასაწყისში, ანუ მას შემდეგ, რაც, ასე თუ ისე, გადავიდა გალაქტიონისა და გრანელის მწვერვალთ-დრო, სწორედ მათ – „ცისფერყანწელებს“ ჩაუვარდათ ხელში მთელი ლიტერატურა. თუმცა ოცდაათიანებშივე აღესრულნენ ჯგუფის ლიდერები. ასე დასრულდა ერთი დიდი ეპოქა ქართული ლიტერატურისა.

ისინი ცამეტნი იყვნენ ძირითადად. ხოლო იმდროინდელ სალიტერატურო მოვლენებს, სულ, ოცი-ოცდახუთი კაცი აკონტროლებდა, ანუ – „ყანწელებს“ ლამის სრულიად ხელში ეჭირათ სადავეები დროისა.

ათიანი წლებიდან ოცდაათიან წლებამდე ელვარებდნენ, თითქმის ყველაფრის ინიციატორები ისინი იყვნენ და მწერალთა კავშირის ავტორიტეტული თავჯდომარეც კი (კოტე მაყაშვილი) ძირითადად მათი მხარდაჭერით იქნა არჩეული. საერთოდ, გალაქტიონი, გრანელი და „ყანწელები“ მთელი ეპოქაა...

მოკლედ, მე მოგაწოდეთ გარკვეული ინფორმაცია ერთ-ერთი სუპერჯგუფის შესახებ, რომელიც საუკეთესო იყო თავის დროში – მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, და მერეც ლეგენდად დარჩა...

P.S. წელს დავწერე ჩემი მესამე ძირითადი პოეტური ტრილოგიის („ირეალური მეფე“, „დასაწყისი“, „მარადისობა„) ბოლო პოემა. ეს სამუშაოც დავასრულე.

ჩვენ, თანამედროვე პოეტებს, როცა ვშრომობთ, ვაღწევთ წარმატებებს, სულ უნდა გვახსოვდეს პოეტები, ვის ქმნილებებზედაც ბევრი რამ ვისწავლეთ, – ვთქვათ, შეუდარებელ რუსთაველიდან მოყოლებული, შემდეგ და შემდეგ, ვინცკი იყო...

და იმ ლეგენდათა შორის „ცისფერყანწელებს“ ყოველთვის ექნებათ თავიანთი ადგილი. ისინი ხომ უკვდავების ნაწილნი არიან...

## მამა ამირან ამირანაშვილი -
## ახალი ლეგენდა ჩვენი აკადემიისა

ხომ არსებობს სიცოცხლეზე მეტი სიცოცხლე, დიდი სიცოცხლე;

და აი, იგი შევიგრძენით კვირა დღეს, თორმეტ თებერვალს, როცა ვეწვიეთ, სოლოლაკში, ერთ შემაღლებულ ადგილას, დიდი მთაწმინდის ძირში მდებარე ეკლესიას ამაღლებისას, რომელშიაც მსახურობს მამა ამირან ამირანაშვილი: ამ ადამიანმა და მისმა მრევლმა, მთელმა მისმა გარემოცვამ, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრებზე. წარმოსადეგი სასულიერო პირი, თეთრ-სპეტაკი თმა-წვერით შემკული დეკანოზი, უაღრესად მრავალმხრივი ადამიანი აღმოჩნდა. იგი ადრე ცნობილი მსახიობი იყო, ამიტომ თუ გამოირჩევა დიდი არტისტიზმითა და მშვენიერი, ძლიერი ხმით, ამავე დროს არის პოეტი-ფილოსოფოსი, მწერალი, და როგორც მითხრეს, არ არსებობს დარგი ხელოვნება-მეცნიერებაში, რომლის შესახე-

ბაც მას ცოდნა არა ჰქონდეს. ამ მხრივ მან მომაგონა ასევე ყველაფერში ჩახედული უდიდესი მე-გობარი და წევრი ჩვენი აკადემიისა – მეუფე თადეოზი (მიტროპოლიტი).



**ამაღლების ეკლესია**

ადრიან დილას წირვით შევხვდით. წირვას მამა ამირანი წარმართავდა თანაშემწეებისა და დიდრიცხოვანი მრევლის წინაშე. ეს წმინდა რიტუალი მიეძღვნა ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას სულის კიდევ ერთხელ განათება-განათლებას. გაგვიხარდა ძლიერ, რომ ასეთი პატივი მიაგეს ჩვენს აკადემიას, ლეგენდა-კაცის სახელობისას.



**ნანა სხირტლაძე (გულნაზის შვილიშვილი)**



**გულნაზი**

მერე მოვისმინეთ ქადაგება მამა ამირანის.

ყველაფრიდან ჩანს: მამაოს ავტორიტეტი უზარმაზარია მრევლში. ამ მხრივ ის თვით უმაღ-ლეს ეპისკოპოსებს და მიტროპოლიტებს უთანაბრდება.

მერე შევედით თამარის დარბაზში – სატრაპეზოში, სადაც, ტრაპეზის წინ, გაიმართა ჩვენი აკადემიის ღონისძიება, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, ჩვენივე ლიდერი და მასწავლებელი – ქალბატონი გულნაზი წარმართავდა. გულს მხოლოდ ის აკლდა, რომ ამ ყველაფერს ვეღარ დაესწრებოდა ასევე ლიდერი, მასწავლებელი ჩვენი, თადეოზი, რომელიც ყველას გვმოძღვრავდა, გვწინამძღვრობდა წლების წინ. მაინც ძლიერი შემადგენლობით წარსდგა აკადემია მამა ამირანის წინაშე. ღონისძიება ქალბატონი გულნაზის მიძღვნითი (სამნაწილიანი) პოემით დაიწყო, ხოლო ლამზირა შეყილაძე, ლელა გაფრინდაშვილი, ნაირა ნიჟარაძე და სხვანი იყვნენ, ასევე მონაწილენი ამ წარმოდგენისა. რაც შეეხება „ზღვარისა“ და მარის დუეტებს, ამან სრულიად განაცვიფრა მსმენელი. მოგეხსენებათ, „ზღვარი“ ჩემი ჯგუფია. თავიდანვე, ძირითადად, თბილისელი გურულები შევიკრიბეთ (მე, კახა, ვასო, და ზუხბაც გავათბილისელ-გავაგურულეთ), ქართლი (თბილისი) და გურია კი ორი არტერიაა საქართველოსი. „მისტერ ზღვარი“ – ასე, უფრო კახას ვეძახი, რადგან ის ყველაზე ხშირად წარმოადგენს ჯგუფს. ჩვენი ოთხეულის გარდა „ზღვარი“ მოითვლის სხვებსაც: გია ჩადუნელი, გია მიჩიტაშვილი, გოგა გოგსაძე და ზოგი სხვაც. ხოლო ულამაზესი მარი ლურსმანაშვილი, დაუვიწყარი ხმით, გვემატება ხოლმე ბოლო დროს, ხშირად. როცა ვუსმენ კახას და მარის დუეტს, მგონია, რომ ხელოვნების მეფე და ხელოვნების დედოფალი მღერის.


სულიკო სამხარაძე, ბახვა სამხარაძე


გულნაზ ხარაიშვილი, ანზორ ჯაფარიძე და უშანგი მოსიაშვილი

მამა ამირანმა და მისმა მრევლმაც წარმოადგინეს თავიანთი ხელოვნება. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს სასულიერო პირი განსაკუთრებული შინაგანი ძალის მქონე ლიდერია, ამასთან ერთად, იუმორიც უხვად მიჰმადლა უფალმა, ხოლო ამ თვისებებით სრულიად დაიპყრო ირგვლივეთი. ჯერ იყო და რამდენიმე სიმღერა შეასრულა როგორც ცალკე, ასევე – მის მშვენიერ მეუღლესთან ერთად (ამ ქალბატონს ალბათ ვერასოდეს შეეხება ასაკი), შემდეგ კი ბრწყინვალე ლექსები წარმოგვიდგინა, ოღონდაც – ბევრი ლექსი არ წაუკითხავს, სამაგიეროდ, ლექსები მისი მრევლისგან გვესმოდა, ხოლო მოძღვრის მეგობარმა – მსახიობმა ზურაბ ცინცქილაძემ შესანიშნავად წაიკითხა პოეტ გორგილაძის ძალიან გახმაურებული ლირიკული ქმნილება.

მოძღვარმა, მამა ამირანმა, ჩვენი აკადემიის რიგებიდან განსაკუთრებული პატივი დასდო ქალბატონ გულნაზსა და ბატონ უშანგი მოსიაშვილს.

ყველაზე დიდი დაფასება, ვფიქრობ, მაინც მე მერგო, რადგანაც სწორედ მე გადავეცი ჩვენი აკადემიის აკადემიკოსობის მოწმობა თვით მოძღვარს. ქალბატონი გულნაზი, რატომღაც, დიდ ანგარიშს მიწევს დ ამის გამო ჩემი ხელით ბევრს მიულია წევრობა – აკადემიკოსობა ჩვენი ორგანიზაციისა, მათ შორის კი, უკვე, თვით რჩეული მოძღვარი – მამა ამირან ამირანაშვილიც არის.

ღონისძიებას ნიკო ბაღაშვილი იღებდა.

ასევე – უხვი სუფრა, მაგრამ იმასაც დავაკვირდი, რომ თვითონ მამა ამირანი თითქმის არცა ჭამდა, არცა სვამდა. აი, სადღეგრძელოებს კი ამბობდა, და მთელი სიტუაცია მასსა და გულნაზ ხარაიშვილის ირგვლივ ტრიალებდა.

თორმეტ თებერვალს მამა ამირანი აკადემიის ნამდვილ ვარსკვლავად იქცა, და იგი გახდა ჩვენი დიდი ოჯახის წევრი. ამ „ოჯახს“ საწყისი დღიდან დღემდე ქალბატონი გულნაზი უძღვება

(პრეზიდენტობს) შეუცვლელად. იგი ხანდახან მკაცრია, მაგრამ, საერთოდ, საოცარი დემოკრატიულობით გამოირჩევა. მაგალითად: იანვარ-თებერვალში მე და კახას ისეთი პატივი დაგვდო, რომ რამდენჯერმე წარგვადგინა საზოგადოების წინაშე, როგორც აკადემიის საპატიო პრეზიდენტები (და თანაპრეზიდენტები). რაც მთავარია სწორედ ქალბატონმა გულნაზიმ გამაცნო ბევრი გასაოცარი ადამიანი, მათ შორის: მეუფე თადეოზი, ფილოსოფოსი – მხატვარი და მწერალი ნიკო ხერკელაძე, და მამა ამირან ამირანაშვილი, რომელმაც ყველაფერთან ერთად, შესაძლოა მთელი ჩვენი აკდემიის მოძღვრის მძიმე ტვირთიც იტვირთოს, და საბოლოოდ დაიჭიროს, ჩვენ გულებში, ლეგენდარული მიტროპოლიტის – მეუფე თადეოზის ადგილი, მამა ამირანიც ხომ თადეოზივით ეტრფის პოეზიასა და ჭეშმარიტების გზას...

რაც შეეხება ბატონ ანზორ ჯაფარიძეს, ეს პიროვნება, ჯერ კიდევ ჩვენთვის ამოუცნობი დიდი ეროვნული ლტოლვილების შემფარებელი პიროვნებაა, ამიტომაც იმსახურებს ყოველთვის ახალგაზრდებისგან დაფასებას დ ასეც ვაპირებთ ახლაც და მომავალშიც.

## ლამზირა შეყილაძის შემოქმედებითი საღამო რუსთავში

ლამზირა შეყილაძეს ხშირად მოვიაზრებ ჩვენი აკადემიის ხუთ ძირითად წევრს შორის, ამიტომაც როცა გავიგე, რომ რუსთავში მისი პოეზიის საღამო იყო, დიდი ენთუზიაზმით გავეშურე ამ ღონისძიებაზე დასასწრებად. თბილისიდან მეგობრის მწვანე ოპელით გავედით მე, კახა ბაციკაძე და დარია ხიდეშელი. მალე შემოგვეგება რუსთავი, სუპერგენიალური პოეტის ძეგლთა და დიდი ჯვრის მთით (რომლის წვერზედაც ავედით მე და კახა სულ რამდენიმე წლის წინ).

იდგა თხუთმეტი თებერვალი. იქაური საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზი ხალხმა გაავსო. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ საღამოს ატარებს რუსთავის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი ქალი, გულნაზ ხარაიშვილის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბრწყინვალე აღმოჩენა და მისი მეგობარი. რაღა თქმა უნდა, ქალბატონი გულნაზიც ესწრებოდა ამ ღონისძიებას. დარბაზში იყო თამარ ჯაჭვაძეც – მშვენება იქაური პოეზიისა.



**ლამზირა შეყილაძე, ბელა ალანია, გულნაზ ხარაიშვილი, თამარ ჯაჭვაძე**



**ბელა ალანია, ლამზირა შეყილაძე, გულნაზ ხარაიშვილი**

ღონისძიების წამყვანი გახლდათ ლია ბეჟანიშვილი – საბავშვო პოეტი და რუსთაველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენელი; მთავარი მომხსენებელი იყო ჟურნალისტი ლია მარტაშვილი. ორივემ დიდებულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

ხოლო მწვერვალი, ღონისძიებისა, იყო თვითონ ქალბატონი ლამზირას პოეზია.

მრავალფეროვანია ლამზირას თემები. თბილი, გულშიჩამწვდომი ლექსების ავტორია იგი, ფართოა მისი ხედვის ჰორიზონტი და თუმც ყველასა და ყველაფერში სითბოს ეძებს, მაინც არაა ერთფეროვანი, პირიქით: ლამზირა ფერთა მთელი გამაა, ნამდვილი ფეიერვერკია. ამ ადამიანში, რომელიც წარმოადგენს როგორც აღმოსავლეთს (რუსთავს, ქართლს), ასევე დასავლეთს ( წარ-

მოშობით იმერეთიდანაა), შერწყმულ შეზავებულია არისტოკრატიზმი, სიამაყე და უბრალოება, სათნოობა, იგი ადამიანურია, ერთობ თბილი, გულისხმიერი, და რასაც წერს, ნაღდს წერს. მისი პოეზია მიწიერიც არის და ზეციერიც: მიწაზედაც წერს და ცაზეც, ადამიანზედაც და ღმერთზედაც... დიახ, ფართოა მისი ფერთა პალიტრა, დიდია სპექტრი მის მიერ დანახული პრობლემებისა, თან ცდილობს, რომ ყველა ეს პრობლემა თავისებურად გადაჭრას... მაგრამ ძირითადად, მაინც სითბოს მაძიებელია ეს ადამიანი, ცდილობს ყველასა და ყველაფერში სითბო დაინახოს, ამ გაყინულ, გავერანებულ ირგვლივეთშიაც კი, აგრძელებს მარადიულ ძიებას...

ყველა გამომსვლელი საოცარი მოკრძალებით, სიყვარულით იყო გამსჭვალული ამ ქალბატონისადმი. გამოვიდა გოგიტა მელიქიძე, თამარ ჯაჭვაძე, ნოდარ ყურაშვილი, ლეგენდარული მანუჩარ მაჩაიძე, ანი ბეინაშვილი (რომელმაც მოიგონა პოეტი ომარ გოჩელაშვილი — როგორც მისი, ასევე – ლამზირას, მანანა დანგაძის და ბევრი სხვა ლიტერატორის მასწავლებელი), ასევე გამოვიდნენ სხვებიც, თავიანთი სათქმელითურთ.


ლამზირა შეყილაძის საღამო რუსთავის ბიბლიოთეკაში

ქალბატონმა გულნაზიმ ბიბლიოთეკასაც და ლამზირასაც სხვადასხვა საჩუქრები გადასცა, ლამზირამ აკადემიის დიპლომიც მოიპოვა, როგორც ჩვენი აკადემიის აქტიურმა წევრმა და დამსახურებულმა პოეტმა-ლიტერატორმა. დიპლომს ხელს ვაწერდით როგორც ჩვენი ორგანიზაციის ნამდვილი პრეზიდენტი – ქალბატონი გულნაზი, ისე ჩვენც – საპატიო პრეზიდენტები (თანაპრეზიდენტები): კახა ბაციკაძე, მე, და პროფესორი ლუარა სორდია, მოკლედ – ყველა ლიდერი.

თებერვალში დიდი აღიარება მოიპოვა ჩვენმა ლამზირამ რუსთავში, ხოლო ამ ამბავს დაესწრნენ როგორც მისი შვილები, ასევე – სხვა უახლოესი ადამიანებიც. საღამოზე სიტყვით გამოვიდა ლევან ჟვანიაც – ახალგაზრდა პოეტი და პერსპექტიული სახელმწიფო მოხელე. სიტყვით გამოვიდა დარია ხიდეშელიც....

მე და კახას რომ მოგვეცა გამოსვლის საშუალება, დარბაზი გვარიანად ავიყოლიეთ. კახამ შეასრულა „ზღვარის“ ორი სიმღერა: „ცხოვრება პოეზიაში“ (რომელშიაც ენერგიულად ამღერდა, მასთან ერთად, იქვე, პირველ რიგში მჯდომი ბელა ალანია) და „პოეტი“ („ჩემი ლირიკა“). მეორე სიმღერა, კახამ, დარბაზის დაჟინებული თხოვნის შედეგად შეასრულა. საერთოდ, საღამოს მუსიკალური გაფორმება მან და უნიჭიერესმა და-ძმა ღრუბელაშვილებმა აიღეს საკუთარ თავზე...

მოკლედ, დიდი ამბავი იყო.

მაინც რაა მთავარი საიდუმლო ლამზირა შეყილაძის პოეზიის წარმატებისა?

ძალიან, ძალიან შორიდან დავიწყებ სათქმელს.

უძველეს დროს საქართველოს ტერიტორიაზე არც კუთხეები იყო და არც სხვადასხვა ენები. ეს ტერიტორია ქართული ტომებით გახლდათ დასახლებული; ხოლო ტომები უძველეს ქართულ ენაზე საუბრობდნენ, იმ ენაზე, რომელიც შემდეგ სხვადასხვა განშტოებებად დაიშალა; იმასთან ყველაზე ახლოს, დღეს, მაინც თანამედროვე ქართული ენა დგას – ბურჯი ქართველური ენებისა. ამბობენ, რომ დასავლეთის ფუძე-მეფე აიეტი იყო, ხოლო აღმოსავლეთისა – ქარტა (თუმცა ამ სახელებით, გადმოცემებში, არაერთი პერსონაა მოხსენებული), ხოლო შემდეგ, ფარნავაზმა, ქუჯის ერთგულების წყალობით, გააერთიანა ქვეყანა ქართველთა და იქცა პირველ „სრულ მეფედ“.

რას მოვაყოლე, ახლა, მთელი ეს ისტორია? –

იმას, რომ არის, დღეს, ჩვენს ქვეყანაში, რამდენიმე ისეთი პოეტი, რომელთა ნაწერებშიაც თითქოს შემორჩა იმ უძველეს ქართული, წმინდა ქართული სამყაროს სული, მაგალითად: ასეთ პოეტებად დავასახელებდი, მე, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილსა და ქალბატონ ლამზირა შეყილაძეს. არის მათში რაღაც არქაული, გამოუცნობი, მიუწვდომელი, თითქოს მარტივი და თან რა რთული, რა ბევრისმთქმელი!..

არ ვიცი, რამდენად ზუსტად გამოვთქვი ჩემი სათქმელი;

მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ ჩვენი ლამზირას გარეშე არა მარტო რუსთავი, არამედ თბილისიც დაკარგავდა ერთ დიდებულ პოეტს, კოლორიტს, უბრალოდ, – ერთ ღირსეულ ადამიანს...

**თბილისი. 2017. თებერვალი.**

P.S. უძველეს ქართულ სამყაროში, სადაც აიეტი – იმ დროის ყველაზე ცნობილი მეფე, და ქარტა (იგივე ქართა), მოღვაწეობდნენ დაახლოებით ერთ დროს, იმოგზაურა უძველესმა ბერძენმა პოეტმა და მუსიკოსმა – ორფეოსმა, და ამბობენ გამოცემანი ხალხურნი, რომ მან აქაც ნახა პოეტები... ამით იმის თქმა მსურს, რომ საქართველოში პოეზია ყოველთვის იყო, როგორც საფუძველი ქართული სულისა.

## ლიტერატურული გამარჯვება ლიანა ჯანეზაშვილისა

საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში რომ ჩვენი აკადემიის უამრავი გამარჯვების მოწმეა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი.



და აი, კიდევ ერთი წარმატება აკადემიისა – ქალბატონ ლიანა ჯანეზაშვილი – თათანაშვილის საღამო, რომელიც იქცა ამ ქალბატონის შემოქმედების ისეთ დემონსტრირებად, რომელსაც, როგორც იგი, ასევე დამსწრენი დიდხანს ვერ დაივიწყებენ.

მაშ 2017 წელი აღიბეჭდა ამ პოეტის სრული აღმასლობის ნიშნით.

მანაც, ისევე, როგორც ბევრმა სხვამ, ჩვენი აკადემიის პრეზიდენტს მიანდო თავისი გენიალური შემოქმედებითი საღამოს ბედი, ხოლო როცა საღამოს ესწრება მწერალთა კავშირის თავჯდომარე მაყვალა გონაშვილი და ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია, ასევე სხვა ელიტ-სტუმრობი, იქ ღონისძიება უბრალოდ ვერც ჩაივლის, მითუმეტეს, რომ ლეგენდარული ფილოსოფოს-მოგზაურის, სპორტსმენის, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტი – ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი იყო საღამოს ორგანიზატორი.

ქალბატონი ლიანა სწორად შეარჩია ჩვენი აკადემიის ლიდერმა, რადგანაც ლია ჯანეზაშვილი მეტად საინტერესო ხელოვანი აღმოჩნდა. მისი ხელოვნების ძალა რამდენიმე კომპონენტშია, უპირველესად კი, ალბათ, მაინც თემების მრავალფეროვნებაში. იგი არაა პროფესიონალი პოეტი,

თუმცა მოყვარულის კვალობაზე იმდენად შესანიშნავია, რომ აუცილებლად უნდა მიყვეს ბოლომდე ამ საქმეს! მისი ნიჭი უდავოა, და ამ ადამიანს შეუძლია საოცარ სიმაღლეებზე ასვლა, რადგანაც კალამიც უჭრის და სიტყვაც ემორჩილება. რაც უკვე დაწერა, ვაღიარეთ, თუმცა მერე და მერე, ჩანს, დიდად მოიმატებს ეს აღიარებანი, რომ ვიცით, რომ ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა ვითარდებოდეს.

პროფესიონალიზმის გაგება, რეალურად სხვადასხვაგვარია. ნამდვილად პროფესიონალი ხელოვანები (პოეტები) ჩვენში ძალზე ცოტანი არიან. პროფესიონალთა ლიგის შემადგენლობამ შეიძლება ოცი-ოცდახუთი კაციც კი ძლივს მოითვალოს (თუმცა ჯგუფ "ზღვარის" წევრები ვცდილობთ მის გამაგრებას).




მაგრამ, სამაგიეროდ, ასეულობით არის მოყვარული პოეტი. საქართველოში თითქმის ყველა წერს. აქ პოეზიის (ლიტერატურის) ბუმია პირდაპირ!

და ძნელია, რომ გამოჩნდე ამ რამდენიმე ასეულში, რამდენიმე ათასეულში.

ხოლო ლიანა ჯანეზაშვილმა ეს მოახერხა. მისი საღამოს ერთ-ერთი მომწყობი იყო ქალბატონი მანანა ბრაჭული რომელიც სიტყვითაც გამოვიდა. საღამოს ქალბატონი ლიანას მეუღლეც და მისი სხვა ახლო ადამიანებიც ესწრებოდნენ.

ლიანა ჯანეზაშვილმა, ღონისძიებაზე, პირველი ლექსებიდანვე დაანახა ყველას, რომ იგი ძალიან სერიოზულად მიუდგა პოეტურ ხელოვნებას, და კი არ ერთობა ამით, არამედ თითქმის ისე უყურებს საქმეს, როგორც პროფესიონალი. ყოველ შემთხვევაში, იგი ნამდვილია როგორც სახისმეტყველების ასპექტში, ასევე პოეტურ გრძნობაში, და თემების სხვადასხვაობაში კი, მრავალფეროვნებაში, როგორც უკვე ვთქვი, კიდევ უფრო ძლიერია. იგი ყველაფრის შესახებ წერს, ყველაფერს აპოეტურებს.

თავის დროზე ყველასა და ყველაფრის გაპოეტურებას "ცისფერყანწელები" ცდილობდნენ. ისინი, ძირითადად, ცამეტნი იყვნენ, თუმცა თუ მათ რიცხვს სრულად მოვთვლით, იქნებ ოცამდეც კი ავიდეთ. ჯგუფი, უფრო, პაოლომ შექმნა, პაოლო და ტიციანი ლიდერობდნენ ჯგუფს, რომელიც 1915-16 წლებში ჩამოყალიბდა, ხოლო ოცდათორმეტი (1932) წელი შეიძლება დასასრულად ჩავთვალოთ, თუმცა "ყანწელებს" ერთმანეთში მეგობრობა არასოდეს შეუწყვეტიათ.

"ყანწელებმა" უამრავჯერ შეცვალეს ქართული ლექსის ფორმა, თუმცა კლასიკური მაინც კლასიკურად სცნეს საბოლოოდ.

ასევე მოიქცა ბევრი სხვაც.

და ის, რომ ქალბატონი ლიანა უფრო კლასიკური ლექსის მიმდევარია, და რომ დღესაც კლასიკა ლიდერობს, ამ ხაზის უძლეველობაზე მეტყველებს.

დიახ, ლიანა ჯანეზაშვილის სფერო (ყოველ შემთხვევაში, ის რაც მოვისმინე) კლასიკური ლექსი არის ძირითადად. ლირიკაში იგი ძალიან საინტერესო პიროვნებაა.

ხოლო აქვს თუ არა მას ეპიკური მცდელობანი?

მე მისი ერთ-ერთი ასეთი მცდელობა ჩამივარდა ხელში – პოემა "ექსკურსია რუკაზე". ეს, უფრო, ლირიკური პოემაა, ასე ვთქვათ, თავისებური პოემა-პიესა, ანუ თითქოს სცენაზე დასადგმელადაც არის დაწერილი. იგი საინტერესოა რამდენიმე ასპექტით, ხოლო უფრო კი იმით, რომ თემა ეხება სრულიად საქართველოს, შეიძლება ითქვას, რომ მის ყოველ კუთხე-კუნჭულს.

პოეზიის საღამო, ბიბლიოთეკის "ლურჯ დარბაზში", ქალბატონმა გულნაზიმ წაიყვანა, ხოლო სხვა გამომსვლელებიც იყვნენ. საღამოს, რა თქმა უნდა, ჰქონდა მუსიკალური გაფორმებაც, ხოლო ეს საქმე, აკადემიაში, კახას უფრო ევალება (დაახლოებით ისევე, როგორც მე – სიტყვით გამოსვლა და სტატიების წერა). კახამ, დარია ხიდეშელთან ერთად, ისევ დიდებულად შეასრულა თავისი საქმე. სხვათა შორის, ჩვენ, "ზღვარმა", ბოლო დროს ძალიან მოვუხშირეთ სხვა ხელოვანებთან თანამშრომლობას, მათ შორისაა მარი ლურსმანაშვილი, დები ზვიადაურები, მირანდა არავიაშვილი და ასე შემდეგ. ერთ-ერთი სიმღერა, რომელიც მირანდასთან ერთად დავწერეთ, ძალიან მომწონს, თუმცა მას არც სხვა ქმნილებები ჩამორჩება, რაღა თქმა უნდა. . .

მოკლედ, ქალბატონი ლიანას პოეზიის საღამოს არაფერი აკლდა, თუმცა თვითონ პოეტი ქალბატონი იყო იმ დღის ცენტრალური ფიგურა, და ეს ხომ ასეც უნდა ყოფილიყო! მან ბევრი ლექსის წაკითხვა მოასწრო, ასე რომ, ლიანას შემოქმედების შესახებ, იმ ერთი დღითაც კი, სოლიდურ წარმოდგენას შეიქმნიდით.

იმ დღეს ლიანა ჯანეზაშვილმა სრულ გამარჯვებას მიაღწია. იგი საღამოზე მოვიდა, როგორც პოეზიის უბრალო მოყვარული (სხვათა შორის, თავმდაბალი ადამიანია, და ეს ამშვენებს), ხოლო იქიდან წავიდა, როგორც ერთ-ერთი ტრიუმფატორი ხელვნებისა.

ეს მისი შემოქმედების დამსახურებაა.

ასევე – ესაა დამსახურება ჩვენი აკადემიისათვის საამაყო ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილსაც, რომელიც დიდოსტატია შემოქმედებითი საღამოების გაძღოლა–ირიჟორობაში.

მაშ ასე: ლიანა ჯანეზაშვილის ეს ნაბიჯი გამარჯვებული აღმოჩნდა.

თუმცა აქ არაფერი დასრულებულა.

პოეზია თავის თავში მარადგანვითარებას მოითხოვს, ხოლო რაც არ ვითარდება, ის კვდება.

დიახ, ქალბატონმა ლიანამ უნდა გააგრძელოს, განავითაროს, უფრო და უფრო განამაღლოს თავისი ლიტერატურული გზა.

პოეტის გზა ხომ მწვერვალისკენ მიდის.

მაშ, რა იქნება, როგორი იქნება ქალბატონი ლიანას შემდეგი ნაბიჯი?

**მანანა ბრაჭული**



## „ვაჟას ველური ცხოვრებით"!

პოეზიით დაინტერესებული საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია ლიანა ჯანეზაშვილის სახელი. არც ცნობილი პიროვნებაა და არც ეპატაჟური ბიოგრაფიის მქონე. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი მისით დაინტერესებისა.

უპრეტენზიო, „თავსაფრიანი" ქალები თავიანთი ყოველდღიურობით, ფიქრითა და ოცნებით ჩრდილში მიმდგარნი, ბევრი ცნობილი ქალის ბიოგრაფიას გაახუნებენ მდიდარი უბრალოებით. ამ მდიდარ უბრალოებაზე მინდა გესუბროთ.

ლიანა ჩემი მეზობელი და მეგობარია, პოეტური ბუნების ადამიანი, მშობლიური მიწის ბალახის ნამით კალთადანამული, ვარსკვლავებთან მოსაუბრე, სილამაზის მეხოტბე, უფლის მადლიერი ქალობისა და დედობისთვის, მადლიერი ქართველობისთვის, მადლიერი ლუკმაპურისთვის, ყოველი ცისკარ-დაისისთვის, სამშობლოზე მლოცველი, მოვალე და მოყვარული გამჩენ-დამბადებლისა. მიუხედავად დიდი ცხოვრებისეული სირთულეებისა, მისთვის სიცოცხლე ზეიმია არა ოცნებაში გასატარებელი, არამედ ზეიმია შრომისა და აქტიური პატიოსანი ცხოვრებისა. ეს ქალი სიყვარულითაა სავსე. თავისი, ხშირად გაურანდავი გრძელი ლექსებით, რომელთაც უფალთან საუბრებს დავარქმევდი, ადიდებს სამყაროსი და ადამიანის შემოქმედებას. ცხოვრებამ ბევრი გა-

მოცდა მომიწყო. ბევრი შემხვდა ისეთი, ვინც სიყვარულისა და ერთგულების ნაცვლად ღალატი და ორპირობა შემაგება. ღმერთს ვთხოვ, მხოლოდ ის მივილო, რასაც მისი მისამართით ვფიქრობ და გავცემ. ჩვენი მეგობრობა სიყტვასთან თამაშმა, პოეტური სტრიქონებისადმი, წიგნისადმი დამოკიდებულებამ წარმოშვა. ხშირად ვუზიარებთ ერთმანეთს აზრს. როგორც მეგობარს ამას წინ ერთი პატარა ლექსიც მივუძღვენი:

შენს სტრიქონებს მიწის სუნი ასდით,
არ მითქვამს და ასე ვფიქრობ ლია –
ქალაქელის გადაპრანჭულ ლექსთან
შენსას უფრო პოეზია ჰქვია.
მე რაცა მძულს შურია და ბოღმა,
ჩემს გულს ლაქად არ ემჩნევა ერთიც,

უღალატოს ნუ მაკადრებ ღალატს,
ჩვენს შორისაც მესამეა ღმერთი...
შენს სტრიქონებს მიწის სუნი ასდის,
შენს თვალებშიც კრთება მიწის სითბო,
სიბერეში შეგიძინე დად და
სიკვდილამდე მეგობრობას ვფიქრობ.

ქ-ნი ლიანა კარგი ოჯახის პატრონია. ერთხელ შეუყვარდა და დღემდე ეს სიყვარული შინაგანად ანათებს ამ ადამიანს. ღირსეულმა მეუღლემ ბატონმა ნოდარმა ერთგულებითა და კაი კაცობით სამუდამო ბედნიერება აციმციმა ლიანას თვალებში, შეყვარებულები გეგონებათ ერთად რომ ნახოთ. ორი ვაჟკაცი და სამი მარგალიტივით ქალიშვილი, რძლები ულამაზებენ ცხოვრებას. უყურებ და გიხარია – ძლიერი, მოყვარული ოჯახი ძლიერი სახელმწიფოა. როცა ჟამთასიავით დაცარიელებულ სოფლებზე ვფიქრობ, ლიანა და ბატონი ნოდარი განსაკუთრებულ ადამიანებად მიმაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში მსახურობდნენ და ცხოვრობენ დღესაც, მშობლიური სოფელი არასოდეს მიუტოვებიათ. ოფლს ღვრიან და მომავალს მიწას უნახავენ, იმ მიწას, რომელსაც სამშობლო ჰქვია. მათ თამამად შეუძლიათ გაიმეორონ ქალბატონი მანანა ჩიტიშვილის მშვენიერი ფრაზა: „ქხანზე ბალახს ხელს რომ გადაუსვამ, მთელ საქართველოს ვეფერები". კარგი სასკოლო განათლების წყალობით, ლიანამ იცის, რა არის საძირკველი საქართველოს ძლიერებისა: „რა ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდესო", მას კი ძაბუნი და უსუსური კი არა, მხარგაშლილი, ძლიერი, ერთიანი საქართველო ეოცნებება. შვილებიც ამ შეგნებით გაზარდა: „არ მაქვს უფლება, უქმად ვიარო, ქვეყანას უნდა მივცე მესაჭედ ჩემს უბის ჩრდილში გამოზედილებიო".



ალბათ, ისიც საინტერესოა, თავად ლიანა როგორ აფასებს თავის თავსა და ცხოვრებას:

ვაჟას ვედრები ცხოვრებით
ლაღი და თავისუფალი.
მე არ განვაგებ ჩემს შარას,
გზას მაძლევს თავად უფალი.
ბევრი არა მაქვს ქონება,
არც დიდი ძალის ყუფალი,
არ ვებრძვი ჩემს მტერს
ნანატრი პასუხს თვით აძლევს უფალი

ვაჟასას მიგავს ცხოვრება –
ვბარავ, ვხნავ, ვთესავ, მოვიმკი
არ ვნატრობ სამკაულების
ხელზე დავიდო ბორკილი.
მხოლოდ ვინატრი მომალავს
თვალს მჭრიდეს ჩემივ მომკილი
და არ მენახოს სამშობლოს
დამმონებელი ბორკილი.



დადის ეს ერთი ბეწო ქალი ქართლის ულამაზეს მიწაზე და მოჯადოებული მისი ძალით, ლექსად ამბობს: „რა სურნელი აგდის ბებერო მიწავ, სამშობლოვ და სასაფლაოვ ჩემო!“ ამბობენ, ყოველი ადამიანი წასაკითხი წიგნიაო, წაკითხვისა რა მოგახსენოთ, დღეს ერთი ასეთი წიგნის გადაკითხვის საშუალება გვეძლევა.

**ლევან ბაბუხადია**



## ისტორიული ფურცლები

2016 წლის მიწურული. ზამთრის ყინვიანი დღეები და ეკონომიკური კრიზისი დგას საქართველოში.

საზოგადოდ ცნობილია, რომ საყოველთაოდ გაუსაძლის ვითარებაშიც კი ყოველთვის გაბრწყინდება ხოლმე ესა თუ ის მოვლენა, რომელმაც შესაძლოა სასიკეთო როლი შეასრულოს არა მარტო თანამედროვე ადამიანთა სულიერ თუ ფიზიკურ ცხოვრებაში, არამედ ისტორიაშიც. ოღონდ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყველაფერი მხოლოდ მამაზეციერის გავლენით ხდება და ჩვენ გულხელდაკრეფილნი უნდა დაველოდოთ მოწყალებებსა და საოცრებებს.

ამჯერად ჩვენ არ ვსაუბრობთ გლობალური საკითხებისა და მოვლენების შესახებ. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაზე და ისტორიაზე.

მოდით, ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ ახალგაზრდობაშივე გარდაცვლილი პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის პიროვნება და შემოქმედება.

ბეჟან ხარაიშვილი „ლიტერატურულ სარბიელზე“ გასული საუკუნის 70–იან წლებში გამოჩნდა. მან იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა შორის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისივე პიროვნებიდან გამომდინარე, მისი შემოქმედება რამდენიმე ლექსის გარდა, ახლო მეგობრებისთვისაც უცნობი რჩებოდა. მხოლოდ გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ, 1991 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების მცირე კრებული „სადღეგრძელო“. 2014 წელს გამოვიდა უფრო სრული კრებული „ხვედრი პოეტთა“. ბოლო დროს მისი ლექსები სისტემატიურად იბეჭდება ჟურნალ „ათინათში“. იმართება მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები...



**გელა ლარიაშვილი, ლევან ბაბუხადია, გულნაზ ხარაიშვილი, ერეკლე საღლიანი, გერონტი მესხი**

ამ ყველაფრიდან გამომდინარე მთავარი ის არის, რომ ბეჟან ხარაიშვილი როგორც პოეტი, როგორ შემოქმედი ხელმეორედ იბადება და იზრდება ჩვენ თვალწინ.

ბეჟან ხარაიშვილის ლექსებს გააჩნია განსაკუთრებული, ამოუცნობი ხიბლი, – ყოველი ყურადღებით წაკითხვისას არა მარტო ახლებურად შევიგრძნოთ სტრიქონში განფენილი აზრი, არამედ ჩვენ წინაშე ახლებურად წარდგეს თვითონ ავტორი – პოეტი.

ამ აზრს კიდევ უფრო მიმტკიცებს და მიდასტურებს ბეჟან ხარაიშვილისადმი მიძღვნილი, ახლახანს დაბეჭდილი წიგნი – მონოგრაფია „ბეჟან ხარაიშვილი – ქართლი პოეზიის მიმინო“.

ასე შეუმჩნევლად მივედით მთავარ სათქმელამდე: სწორედ ამ ფაქტს ვგულისხმობდი წერილის დასაწყიში.

წიგნის ავტორი გახლავთ ლიტერატურის მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა პროფესორი ლუარა სორდია. რომელიც ამთავითვე უნდა ითქვას, მხოლოდ ქებას და პატივისცემას იმსახურებს. პირადად მე კი დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ ლუარას, როგორც რიგითი მკითხველი და როგორც ბეჟან ხარაიშვილის მეგობარი.

ესაა პროფესიონალი ლიტერატორის ნაშრომი ახალგაზრდა მწერლის შემოქმედების შესახებ. მოძიებულია რემინიცენციები, გავლებულია პარალელები როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კლასიკურ ლიტერატურასთან. საყურადღებოა ისიც, რომ მოხმობილია თანამედროვე მწერლების შემოქმედებითი ნიმუშები. და ასე ჩვენ თვალწინ, ძალდაუტანებლად, ნათლად იკვეთება ახალგაზრდა შემოქმედის მშვენიერი პორტრეტი. სწორედ ეს უნდა იყოს ლიტერატურის მკვლევართა უპირველესი მისია, რომ ახლებურად და მართებულად დაანახოს მკითხველს ამა თუ იმ ავტორის შემოქმედება.

ამ მისიას მართლაც ბრწყინვალედ ართმევს თავს ქალბატონი ლუარა სორდია. მისი კვლევა გადატვირთული არაა მეცნიერული ტერმინოლოგიით. მკითხველი ინტერესით მიჰყვება მკვლევარის მსჯელობას და არათუ მარტოდენ ახლებურად ხედავს საკვლევ მასალას და მთლიანად ავ-

ტორს, იმავდროულად თანაზიარი ხდება ამ პროცესისა და შემოქმედებისა. თითქოს თვითონაც ნათლით იმოსება, იხვეწება, მაღლდება...

ყოველ შემთხვევაში მე ასე დამემართა...

........... ..... ........... .

ახლა კი მეორე ფაქტი;

ამ სამიოდე წლის წინ საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანის საჯარო სკოლას ბეჟან ხარაშვილის სახელი მიენიჭა. იმ შემოდგომის მშვენიერ დღეს ამ თვალწარმტაც ხეობაში ისტორიული სკოლის თანამედროვე შენობის ეზოში შეიკრიბნენ გულითადი მასპინძლები: ახლო მოსახლეობა, ხარაშვილთა გვარის წარმომადგენლები, პედაგოგები, მოსწავლეები და დედაქალაქიდან ჩასული სტუმართა სოლიდური წარმომადგენლობა.

სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა, რომ ამ სკოლის ეზოში დადგმულიყო ბეჟან ხარაშვილის ძეგლი-ბიუსტი.

სტუმართა შორის თითქოსდა საგანგებოდ იმყოფებოდა პროფესიონალი მოქანდაკე გელა ლარიაშვილი, რომელმაც თავის თავზე აიღო სამომავლო ძეგლის შექმნა.

ბატონმა გელამ მოიძია 30 წლის წინათ გარდაცვლილი ახალგაზრდა პოეტის არცთუ მცირე ფოტომასალა და დაიწყო შემოქმედებითი ფიქრი, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს და წერს კიდეც, სამუშაო ესკიზების შექმნა ძალიან გაუჭირდა. ერთხელაც თურმე სიზმარში თავის გარდაცვლილ ახალგაზრდა მეგობართან ერთად ნახა, იხილა ბეჟან ხარაშვილი. ხილვა იმდენად შთამბეჭდავი ყოფილა, რომ მაშინვე წამოვარდნილა და მთვარის სინათლეზე შეუქმნია მომავალი ქანდაკების ესკიზი-ჩანახატი. მეორე დღესვე შთაგონებული მოქანდაკე აკადემიაში მოვიდა და ეს ჩანახატი მე და გულნაზი ხარაშვილს წარმოგვიდგინა. ჩვენდა გასაკვირვად და სასიამოვნოდ, ჩანახატი ზედმიწევნით ჰგავდა ბეჟანის პოეტურ პიროვნებას.

როგორც ცნობილია, ქანდაკების შექმნას სხვადასხვა ტექნიკური პროცესი სჭირდება. გელა ლარიაშვილმა სრულიად უანგაროდ გაიარა რამდენიმე ეტაპი და უკვე შექმნა ბიუსტი თიხაში.

ამ წინასაახალწლოდ გულნაზი ხარაშვილმა შეგვკრიბა პატარა ჯგუფი (ერეკლე საღლიანი, გერონტი მესხი, ნიკო ბაღაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი) და მისივე წინამძღოლობით ავედით წყნეთში, გელა ლარიაშვილის სამუშაო ოფისში.

ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ წინ იდგა შთამბეჭდავი ნახელავი – ძეგლი ახალგაზრდა კაცისა. ზუსტად იყო დაჭერილი პოეტის მართლაც მიმინოსებური მზერა, თითქოს და ამაყი იერსახე და ამავე დროს მისეული სევდიანი ღიმილი. მოკლედ, სწორედ ისეთი, როგორიც ბეჟანი სინამდვილეში იყო.

ოცდაათ წელზე მეტია გასული, რაც ბეჟანი ფიზიკურად ჩვენ შორის აღარ არის. თამამად შემიძლია ვთქვა, ამ ხნის განმავლობაში ზედიზედ არ გასულა რამდენიმე დღე, რომ უდროოდ გარდაცვლილი მეგობარი არ გამხსენებოდა, არ წარმომედგინა, მისი ლექსი არ წამეკითხა, მისი სადღეგრძელო-შესანდობარი არ მეთქვა. რამდენჯერმე საოცარი ხილვაც მქონოდა, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ფიზიკური სხეული აღარ მინახავს. მიუხედავად ამისა, ჩემდა გასაკვირავადაც კი სრულიად თვალნათლივ, გუშინდელივით მახსოვს მასთან დაკავშირებული ბევრი დეტალი და თვითონ ფიზიკური პიროვნებაც. ახლა კი ვუყურებდი თიხაში მართლაც გაცოცხლებულ სახეს და სიტყვით გადმოუცემელი გრძნობა მეუფლებოდა...

მერე ყველამ გამოვთქვით ჩვენი აზრი...

ახლა რჩება კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტაპი – ქანდაკების გასრულებისა და აღმართვისთვის საჭირო ფინანსების მოძიება.

გულნაზ ხარაიშვილი

# ყვითელი ფოთლები



მივიხედ-მოვიხედე და მივიწყებულ ფიქრთან შევჩერდი. იმედმა ჩაფიქრებული დამინახა, გამესაუბრა – რა გაწუხებსო – მკითხა.

ყვითელი ფოთლები მაწუხებს, ყვითელი ფერი ჩემში ცუდად ასოცირდება კრძალვით მივმართე იმედს.

ეჰეჰეი! შესძახა იმედმა ყინვისაგან დახრუკულ ფოთლებს, გაუზაფხულეთ, გაუფურჩქნეთ სულის არე პოეტს. „გადანეკერდით“ სანამ დროა მიეშველეთ. დროში იწვება, რას დაფრინავთ ქარის მიმართულებით. ქარი არ დაგინდობთ. პოეტი ქალია, ყველას ეფერება, თქვენ კი აღმა-დაღმა დაეხეტებით, შეხედეთ ქარმა გაძარცვა ხეთა ტოტები, თქვენც ძირს ჩამოგყარათ, ხალხის ფეხის სათელად. დაიბრუნეთ პირვანდელი ბედნიერება, კვირტად იქეცით, აი, თოთო ნეკერს, რომ ეძახიან ისე. „გადანეკერდით“.

იმედო, ჩვენ ჩვენი დრო მოვჭამეთ, ძირს ჩამოგვყარა თოვლმა და ყინვამ. იძულებული გავხდით ბედს მივნდობოდით, ქარს გავყოლოდით რათა ცოტა ხნით მაინც შეგვენარჩუნებინა პირვანდელი სახე. დაბლა ხალიჩად როდესაც დავეფინეთ, ფეხით შეგვდგა გამვლელი და გამომვლელი მერე წვიმით გვერდები დაგვისველდა. პოეტს რა უშავს ლექსებთან ჩურჩულებს. საღამოს ლექსის მკლავებთან მიწვება და მიიძინებს.

საუბარში ჩამეძინა. სიზმარში ბედი ვნახე, ბედმა ცინიკურად გამიღიმა და საყვედური პირში მომახალა. იმედს რას ეწუწუნებოდი, ჩემთვის გეთხოვა გაზაფხულება, ყველა განაჩერნი ჩემთან იწერება არ გინახია? იანვარში, მზის სხივებით დედამიწა ისე გამითბია, ხეებს კვირტები გამოუსხამს, მერე, გაფურჩქნულა და ნაყოფითაც დახუნძლულა.

გამახსენდა სკოლის პერიოდი, ერთხელ იანვარში ისეთი სითბო იყო, ირგვლივ ტყე და მინდვრები, ყველაფერი აყვავდა, ატამი, ვაშლი და მსხალი, მერე ხეხილმა დაიყვავილა, ნაყოფი გამოისხა, სკოლიდან დაბრუნებისას, ბავშვებმა მეზობლის ვაშლები მოიპარეს. ისიც გამახსენდა, რომ მე არასოდეს არაფერი არ მომიპარია.

გამეღვიძა, სიზმრის შინაარსი გავაანალიზე და ისევ ლექსებს მივუტრიალდი რომელიც არასოდეს მღალატობს, ხან ზაფხულში მამყოფებს და ხან ციგით დამასრიალებს ზამთრის სუსხიან ამინდში. ბედისწერის უფრო ვიწამე ვიდრე იმედის. მაგრამ იქვე სხვა ახსნაც მოვუძებნე ფიქრის კორიანტელს. ბედისწერას წინასწარ ვერავინ გაშიფრავს, ვერავინ გაანალიზებს იმედი კი არასოდეს არ უნდა დაკარგოს ადამიანმა, მერე დავადგინე. ბედისწერა და იმედი უსათუოდ დაძმანი არიან. ლექსი? სულის სიმშვიდეა, ჯანმრთელობაა, სიყვარულია, ახალგაზრდობაა, ისტორიაა, მეცნიერებაა, ხელოვნების ყველა დარგია.

ეჰეჰეი! შევძახე მთებს და კმაყოფილი ლექსის ზღვაში გავუჩინარდი.



# სიხარულის ზეიმი

2017 წლის თექვსმეტი თებერვალი რუსთავის მეჩვიდმეტე საშუალო სკოლა. წინა დღით დამირეკეს მეორე „ა“ კლასის პედაგოგმა ქალ. მაია გეგეჭკორი და მეექვსე „ა“ კლასის პედაგოგი ირმა იოსელიანი სკოლაში მისვლას მთხოვდნენ. თექვსმეტ თებერვალს მსოფლიოს მაშტაბით წიგნის კითხვის დღეს აღნიშნავენ და ჩვენი წვლილი გვინდა შევიტანოთ ამ მეტად მნიშვნელოვან დღესთან დაკავშირებით.

თხუთმეტში ჩემი მეგობრის ლამზირა შეყილაძის პოეზიის საღამო მოაწყვეს რუსთავის ბიბლიოთეკაში. ძალიან თბილი და ლამაზი საღამო ჩატარდა თბილისიდან ჩამოსულები იყვნენ ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის წევრები, ყველამ დიდი სითბო გამოიჩინა პოეტის მიმართ.


ნელი გიქოკელი, სოფო შავიშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, ვახტანგ სხირტლაძე და პედაგოგი მაია გეგეჭკორი.

თექვსმეტში აუცილებლად სოფელში უნდა წავსულიყავი, რისთვის? ამას არ დავწერ მტკივნეულია ამის თქმა ჩემს გარდაცვლილ შვილს ეხება და თავს შევიკავებ. პედაგოგს თანხმობა უთხარი მოვალ ყოველ მიზეზის გარეშე.

მარტო წავედი არავინ შემიწუხებია, კარებში თბილად შემხვდენ პედაგოგები. დირექტორი ვიკითხე ქალბატონი ნელი გიქოკელი მითხრეს თავის ოთახშიაო და გზა გავაგრძელე.

ქალბატონი ნელი ნაზი ქალური სიდარბაისლით შემეგება და ცოტახნით საუბარი გავაგრძელეთ. მოვიკითხე ყოფილი დირექტორი ქალბატონი გურანდა სირბილაძე, ახლა იგი სასწავლონაწილია, აღსანიშნავია მათი ურთიერთობა, ტკბილი-მეგობრული, მათთვის სკამი არაფერს ნიშნავს მთავარი ბავშვების აღზრდა და ერთმანეთის პატივისცემაა, ქალბატონ გურანდას გაკვეთილი ქონდა, ამიტომ მისი ნახვა არ შედგა.

გადავინაცვლეთ აუდიტორიაში სადაც ტარდებოდა ღონისძიება.

მეექვსე კლასი და და მეორე კლასი იყო გაერთიანებული, მეორე კლასელები სკამებზე ისხდნენ, დიდები ფეხზე, მაგრამ ერთ მთლიან ჰარმონიას ქმნიდნენ.

მეორე კლასის ყველა მოსწავლეს ჩემი სურათი ხელში ეკავათ და სურათის მეორე მხარეს ამოწერილი ჰქონდათ ჩემი ლექსები. ლექსები იყო ყველა პატრიოტული, ასეთი სიხარული არცერთ ღონისძიებაზე არ მიგრძვნია, ესენი იყვნენ პატარა ანგელოზები, რომლებიც ჩემს სულში იყვნენ, მამშვიდებდნენ და თითქოსდა მეუბნეოდენ, ჩუ, ნუ სტირიო ქალბატონო, შეხედე როგორი ბიჭი ეზრდება შენ გელასო. ვიჯექი და ეს სიტყვები ყურში ჩამესმოდა, პედაგოგი მაია გეგეჭკორი ფიქრის ლოცვებში გავახვიე. ხოლო მეექვსე „ა“ კლასის პედაგოგი ირმა იოსელიანი, ქების მწვერვალზე ამაყად დასეირნობდა, რადგან ოცდამეერთე საუკუნე კომპიუტერის ხანაა, თითქმის ოთხმოცი პროცენტი მოსწავლეებისა კომპიუტერებით სარგებლობენ, უფრო მეტიც კომპიუტერში სწავლობენ, ან ამზადებენ თემებს. „კომპიუტერი კარგიცაა და ცუდიც. ცუდი იმიტომ, რომ ის უარყოფითად მოქმედებს თვალებზე და თითქმის მთელ ორგანიზმზე, ამიტომ სასურველია, გამოიყენონ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ამ ღონისძიებაზე პედაგოგის მთავარი ლაიტმოტივი დათმობილი იყო წიგნის კითხვას, მეექვსე „ა“ კლასის მოსწავლეებმა წაიკითხეს სხვადასხვა

მწერლის ნაწარმოებები. იყო საშუალო და ძლიერი წამკითხველები, რომლებსაც დაულოცავ გზას წინ, მწვერვალებისაკენ.

ხოლო მეჩვიდმეტე სკოლის დირექტორის თვალებიდან მზის ათინათები იფრქვეოდა ირგვლივ, თბილი ხელმძღვანელები ამ დროში იშვიათობაა, ქალბატონი ნელი ლიქოკელი ერთ-ერთი გამორჩეული ქალბატონია, მის სულში მზეა და სითბოს ყველა ბავშვს უნაწილებს ამ დღეს ყველაზე მეტი სითბო ჩემი გელას ბიჭს, ვახტანგი სხირტლაძეს შეხვდა. რამაც იმედი ჩამისახა, რომ ჩემს პატარა შვილიშვილს ნაბოლარა ვახოს, რომელსაც თავისი მამიკო აღარც კი ახსოვს სკოლაში სითბოსა და ყურადღებას არ აკლებენ, რადგან იგი სამი წლისაც არ იყო როდესაც მამამისი წავიდა ცის სასუფეველში. მეკი თავს იმითი ვინუგეშებ, რომ თავისი სიკეთიდან გამომდინარე გელას შეხვდებოდა სიმშვიდის სახლი. მე ისიც მჯერა, რომ ის თავისი ერისა და თავისი



ცოლშვილის დამცველი იქნება ცის საუფლოდან.

რაც შეეხება სკოლის ყოფილ დირექტორს ქალბატონ გურანდა სირბილაძეს, იმ დღეს არ შემხვედრია, მაგრამ მინდა დიდი მადლობა გადაუხადო იმისთვის, რომ მას თანამდებობის იოლად დათმობა შეუძლია. იმ დღეს გავიგე, რომ მეჩვიდმეტე სკოლის მოსწავლეები წაუყვანია ექსკურსიაზე, არვიცი სად იყვნენ, მაგრამ ჯუმბერის საფლავზე რომ მივიდნენ ეს კი მითხრეს. ეს დიდი ღვთიური დამთხვევა უფლის დიდი მადლი იყო. მამა ამირან ამირანაშვილმა წირვა აღავლინა, ამაღლების ეკლესიაში, ჯუმბერ ლეჟავას სულის მოსახსენებლად ბოლოს აკადემიის წარმომადგენლებმა ღონისძიება ჩავატარეთ გარეთ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ერთ-ერთ ლამაზ დარბაზში „სატრაპეზოში“ სადაც წაკითხული იყო მამა ამირან ამირანაშვილის ლექსები და ბოლოს, აკადემიის ერთ-ერთმა ლიდერმა „ჯგუფზღვარის“ წარმომადგენელმა პოეზიის დიდოსტატმა და ლიტერატორმა სერგი ლომაძემ მამა ამირანს დიპლომი გადასცა. ხოლო კახა ბაციკაძე იგივე ტიტულის მფლობელმა და კულტურის დარგში ყველაზე სულით ამაღლებულმა ახალგაზრდამ სიმღერებით გაახმიანა ეს მნიშვნელოვანი დღე. მამა ამირანს ვინ გააკვირვებს, ხელოვნებით, ის ხომ დამსახურებული მსახიობი, მოცეკვავე, მომღერალი იყო. იყო საერო ცხოვრებაში, მაგამ მჯერა ის დღე ერთი ლამაზი ისტორიაა იქნება მის ცხოვრებაში. მან შეგვისრულა თავის მეუღლესთან ერთად „ღვინო კახური“, ბატონმა ანზორ ჯაფარიძემ წაიკითხა მისდამი მიძღვნილი ლექსი, მოძღვარი. თემიდან გადაუხვიე და მგონი იმ დღის ღონისძიებაში შევცურდი. ამიტომ აქ წერტილს დავსვამ. უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს ლამაზი დღე დაემთხვა რუსთავის მეჩვიდმეტე სკოლის, ქალბატონი გურანდა სირბილაძის ღონისძიებას. ეს ღვთიური დამთხვევა იყო რისთვისაც ბატონი ჯუმბერის სული, ცაში იზეიმებდა.

დაუბრუნდები მეჩვიდმეტე სკოლას, მეორე კლასელებს შევპირდი, 2017 წლის ხუთ მაისს ჩემი ახალი წიგნის პრეზენტაციას მამა ამირანის კურთხევის და მამა მერაბის მოლოცვის შემდეგ ეს პატარები წარდგებიან იმ პროგრამით, რომელი პროგრამითაც თექვსმეტ თებერვალს გამახარეს. წიგნს ალბათ „ფიქრის ხეივანს“ დავარქმევ, არცერთი ძველი ლექსი არ შევა, და იქნება, სიცოცხლის გაგრძელება, ხოლო ოცდაათ მოსწავლეს გადაეცემა სიგელები აკადემიისაგან.

იმ დღის მონაწილეთა მოსწავლეების სია:

| | | |
|---|---|---|
| 1. მაკარიანი დათო | 3. გურაშვილი მარიამი | 5. მერაბიშვილი მარიამი |
| 2. ტივიშვილი ვაჟა | 4. კალანდაძე მეგი | 6. მაღლაკელიძე გოგა |

7. ტოგონიძე მანანა
8. სიბაშვილი ნინო
9. დვალიშვილი ლუკა
10. დვალიშვილი ერეკლე
11. კურტანიძე ქეთევანი
12. მიგრიაული ნინო
13. გვარამაძე ნინო
14. სოლაშვილი დიანა
15. წიკლაური მარიამი
16. სოფიო შავიშვილი
17. დემეტრე დვალიშვილი
18. თაზო სალთხუციშვილი
19. ანა ლავრენტაშვილი
20. ბელა გოშუანი
21. ანდრია რეხვიაშვილი
22. თორნიკე რაზმაძე
23. ბარბარე ღვინიაშვილი
24. გიორგი კიკილაშვილი
25. მარიამ ზარიძე
26. საბა მახარაშვილი
27. ციცი მალაზონია
28. ვახტანგი სხირტლაძე
29. თორნიკე ხმელიძე
30. ქრისტინე ესართია
31. ნიკა იაგანაშვილი

პედაგოგები:
მეექვსე „ა" ირმა იოსელიანი
მეორე „ა" მაია გეგეჭკორი.
დალოცვილები იყავით ღვთისაგან და ხალხისაგან ჩემი გახარებისათვის.

## დედის დღეზე მორთმეული ძვირფასი საჩუქარი

2017 წლის ორი მარტი, ჟურნალ ათინათის დაკაბადონება დავიწყე. თბილისში ჭავჭავაძის ცხრამეტშია ეს გამომცემლობა „უნივერსალი", დირექტორი გოჩა ხარებავა, მენეჯერი იზა ხარებავა, თანამშრომლები: ეკა თანდილაშვილი, ნანა ყანდაშვილი, ირაკლი უშვერიძე. გამომცემლობა „უნივერსალის" თანამშრომლებს იმდენად შევეჩვიე, ჟურნალის გამოცემიდან გამოცემამდე მენატრებიან. ექვსი წელიწადია მათთან ვთანამშრომლობ, ასე მგონია ჩემი სისხლი და ხორცი არიან. შვილებივით მიყვარან, ნანასთან მიწევს უფრო მეტად ურთიერთობა, რადგან ჟურნალს ის აკაბადონებს. ამას იმიტომ ვწერ, რომ საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა არ უნდა მლლიდეს, მაგრამ, ამდენი დარდის მატარებელს, კიდევ რითი მიდგია სული. თუ ვინმე მკითხავს – როგორ ხარ? ჩემი პასუხია: კარგად. თქვენ როგორ ბრძანდებით?.. პირველად ვატყობდი, ყველას უკვირდა, გაკვირვებულები შემომხედავდნენ. ახლა კი შეეჩვივნენ. თვითონ ჩემი მომკითხველები, რომ მოხსნიან თავიანთ გასაჭირის ფიქრის სკივრს სარქველს, ქვის გული უნდა გქონდეს არ გეტკინოს, არადა ჩემნაირი ტკივილი მტერსაც ააცილოს ღმერთმა. ჰოდა, გზაში შემხვედრი ნაცნობების ტკივილებით დატვირთული შევედი სახლში. არ გასულა დიდი დრო კარები ჩემმა უფროსმა შვილიშვილმა – შემომილო ბაბო, გილოცავ დედის დღეს! ხელჩანთიდან ჩაის ჭიქა ამოიღო, ჭიქაზე ჩემი სურათი ჩაუხატია ყვავილებით. ისეთი სიფაქიზით ჩამეკონა იმ სიყვარულმა, ჩემი შვილი გელა გამახსენა. არ შევიმჩნიე, ცრემლები ჩუმად მოვიწმინდე, მადლობა გადაუხადე, გულში ძალიან დიდხანს მყავდა ჩაკრული, თვალწინ დამიდგა ჩემი თბილი ბიჭი. ყველა ძალიან უყვარდა, ხელგამოწვდილებს რომ თავისი ხურდებით ანებივრებდა, ამავე დროს ძლიერიც იყო. თამუნამ უმაღლესში რომ ჩააბარა, უხაროდა და ახლაც ასე მწამს, ისევ მამის სული ამხნევებს, ლოცავს ცათა სასუფეველიდან. ათ თებერვალს არც თავისი ბიძა დავიწყებია. ბიძამისს დოქი უყიდა და ვახოსთან ერთად (გელას ბიჭი, რომელიც სამი წლისაც არ იყო, გელა რომ გარდაიცვალა) გამოვიდა და მიულოცა დაბადების დღე.



ჭიქა, რომელიც მე მაჩუქა იმდენად ძვირფასია ჩემთვის, არ გავცვლი ძვირფას განძში.





თვალი შევავლე თაროზე წიგნებს, სევდიანად გამოიყურებოდნენ. დუმდნენ, ფიქრით ჩემი შვილის სულს შევეხმიანე...

დუმდნენ თაროზე წიგნებიც და...
მტვერს ისრუტავდნენ,
რადგან წიგნებიც გამერიდნენ, როს მიმატოვე...
ახლა „თაკოთი" მზის სხივებით,
დღეებს მირთავენ...
უიმედობა არასოდეს
დამიმარტოვებს.

ჩემი თბილი თამუნა, თავის სიტყვას ლამაზად იტყვის ცხოვრებაში, რადგან ის დინჯად ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვება ცხოვრების წლებს. ზოგჯერ ბედმაც გამოსცადა, მაგრამ არ დაიჩოქა, არ გაბოროტდა, პირიქით მის ფაქიზ სულში სიკეთემ იმძლავრა.

ის ჩემი გულის ფეთქვა და...
არის სიცოცხლის წყარო...
მისთვის იმედებს ვკენკავ და...
ღმერთო, გთხოვ გაახარო.

თამუნას ცხოვრება წინაა, ნათელი მომავლისაკენ. ის ბებოს პირველი სიხარული და გულში ჩაკირული სიყვარულია.

## ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი



# სულიერ ფასეულობათა ანბანი

*გაგრძელება*
*დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის მე-5 ტომში,*
*ჟურნალ „ათინათის“ №22-ში*

**დრო**
**დროის პარამეტრის ასახვა ჩემს სიღრმეში**

რა ფასეულობებს მოიცავს ე. წ. წარსულად, აწმყოდ და მომავლად მონათლული დროის ვექტორები და როგორ შევძლო ამ ილუზიური წარმოსახვის სწორი მიმართულებით მართვა?

დიახ, მე ვფიქრობ, აქ არის გასაღები აბსოლუტურად ყველა დაკეტილი კარებისა, რომელიც ცოცხალი არსების ანუ ინდივიდუალური სულების უპირობო რეფლექსების სახით ახდენს გამოვლინებას. ამრიგად თავი დავანებოთ პრობლემებს, რომელსაც თავად უქმნის თავის თავს ინდივიდუალური სული სხეულში „ჩასახლების“ შემდეგ, სხეულზე მიჯაჭვების შედეგად (ეგრეთ წოდებულ ხელოვნურ პრობლემებს) და, მოდით, პირდაპირ ბუნებრივ პრობლემებს მივხედოთ, რომელთა გამოც მიეცა კონკრეტულ მატერიალურ პლანეტაზე კონკრეტულ მატერიალურ სხეულში „ჩასახლების“ შესაძლებლობა. მოდით, კიდევ ერთხელ გავმეორდები – თუ ინდივიდუალურ სულს მიაჩნია, რომ მას ეს ცალსახად მხოლოდ მატერიალური თვითრეალიზაციისთვის მიეცა და არავითარი სულიერი წინსვლის გამოსაყენებლად, რაღა თქმა უნდა, მასთან რაიმე ბუნებრივ პრობლემებზე ლაპარაკი უბრალოდ უაზრობაა, ისე რომ, დიდი რაოდენობის მკითხველთა სკეპტიციზმი და, ალბათ ცინიზმიც კი, სრულიად ბუნებრივი იქნება.

**<u>რა არის დრო?</u>**

ზოგიერთისათვის დრო საათის მოძრაობის მაჩვენებელია და ისინი საათის მეშვეობით ორიენტირდებიან და ცხოვრებასაც საათის ციფერბლატზე ამოტვიფრული ციფრების მიხედვით აწყობენ, დროს ანაწილებენ და ძალიან ხშირად გაიგონებთ მათგან, რომ დრო არ ჰყოფნით. სინამდვილეში საათია დროის მოქმედების მაჩვენებელი და ამ შემთხვევაში დრო უძვირფასესი რამ ხდება.

ზოგიერთისთვის დრო დღე-ღამის ურთიერთცვალებადობის ამსახველი პარამეტრია, მაგრამ დღე ხომ მხოლოდ იმიტომ დგება, რომ დედამიწის ის ნაწილია მზისკენ მოქცეული, სადაც ჩვენ ვიმყოფებით და ღამე კი მხოლოდ იმიტომ, რომ დედამიწის ის ნაწილი მზისგან მოფარებულია თავისივე ნახევარსფეროთი, სადაც ჩვენ ვართ. მათთვის, ვინც ამით ხელმძღვანელობს, დრო ყოველთვის ზედმეტი რჩება და ყოველთვის ერთი პრობლემა უდგათ, რაში „მოკლან“ იგი. მათ ერთი წამითაც რომ წარმოიდგინონ, რა იქნებოდა რომ დედამიწის მაგიერ მზეზე ყოფილიყვნენ, მაშინ მიხვდებოდნენ, რომ იქ ღამე ვერ იქნება. ან პლანეტა ურანზე რომ მოხვედრილიყვნენ, რომლის ერთ ნაწილში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მზე ვერ ატანს, ნახავდნენ, რომ დღე არ არსებობს.

ზოგიერთისთვის კი – დრო მატერიალური სხეულის ზრდით, ზრდასრულობის მიღწევით, ზრდის უკუპროცესით, სიბერითა და სიკვდილით იზომება, მაგრამ აქაც არაერთგვაროვანი შემთხვევებია, როდესაც ვიღაც უფრო მალე იზრდება, ვიღაც კი უფრო ნელა, ვიღაც უფრო მალე ბერდება, ვიღაც კი გაცილებით უფრო გვიან, ვიღაც ავადმყოფობითა და უბედური შემთხვევებით კვდება, ვიღაც კი სრულიად ჯანმრთელი და ბედნიერი ამთავრებს ამქვეყნიურ დედამიწისეულ სიცოცხლეს. თუ მოინდომებს ადამიანი მიხვდება, რომ დროის საზომ ერთეულად და ორიენტირად ადამიანის ასაკობრივი პარამეტრი ვერ გამოდგება. თუმც უნდა ითქვას, რომ წინა ორ შემთხვევას ბევრად აღემატება, რამეთუ ხელმძღვანელობა ხდება ინდივიდუალური სულის გარე გარსის, კოსმიური „კოსტუმის“ მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ თუ ინდივიდუალური სული მთელს თავის ყურადღებას „კოსტუმის“ მდგომარეობაზე გადაიტანს (რა ტენდენციაც არის დღესდღეისობით აშკარად და დაუფარავად), საკუთარი თავის რაობა დაავიწყდება და ამ „კოსმიურ კოსტუმს“ დაარქმევს თავის თავს. სინამდვილეში ეს ე. წ. „კოსმიური კოსტუმის“ ანუ მატერიალური სხეულის მდგომარეობა ინდივიდუალური სულის რეალურ მდგომარეობას გამოხატავს არაინდივიდუალურ ანუ ზოგად, მთლიან კოსმიურ ორგანიზმთან მიმართებაში და „კოსმიური კოსტუმის“ ხელოვნური გადაკეთება ვერაფერი ბედენაა და ვერ დაეხმარება ინდივიდუალური სულის არასწორ ორიენტაციას, რომ აღარა ვთქვათ ის, რომ ინდივიდუალური სულის სიჯიუტე, რომელიც მიენიშნება სხეულის ე. წ. ანომალიებით და ერთგვარ დას-

ჯად აღიქმება სუბიექტური აზროვნების მხრიდან, თითქოს ერთგვარ დაიმედებას, გამართლებას და ინერციის არასწორობაში არ გამოტეხვის შანსს პოულობს, კოსმოსის მიერ მინიშნებულის ხელოვნური გზით აღდგენით, ანუ ამ ნიშნების წაშლით და ფაქტიურად კოსმოსის იგნორირებით, პოზიციით – „არაფერი არ მესმის და ვერაფერს ვერ ვამჩნევ, ყველაფერი გადასარევადაა ხა-ხა-ხა", წარმოშობს და აღაზევებს ცინიზმს.

მაშ, რითი უნდა იზომებოდეს დრო და მართლაც, რა არის დრო? დედამიწისეული საზომებით დრო იყოფა სამ ფაზად: წარსული, აწმყო და მომავალი. სინამდვილეში ეს მხოლოდ მატერიალიზებული ცოცხალი არსების ილუზიაა და დრო ერთი მთლიანია. რა თქმა უნდა, თუ მას გავამთლიანებთ. ინდივიდუალური სული მხოლოდ იმიტომ მატერიალიზირდება, რომ გარკვეული ფასეულობების გამა არასწორად აქვს შეფასებული და მას ინდივიდუალურად რეალიზაციის შესაძლებლობა ეძლევა ყველა ფასეულობის სწორად შეფასებული გამის მქონე ცოცხალი არსების მიერ. მატერიაზაციის შემდეგ კი ყველა სხვა დანარჩენი ფასეულობის შესახებ (სწორად აღქმულის შესახებ) ცოდნა ერთმევა დროებით დავიწყების საშუალებით, რამეთუ ჭეშმარიტი ცოდნა დიდი ძალაა და არ არის სასურველი მცდარი შეხედულებების რეალიზაციის მცდელობაში თავისი ძალა გამოიყენოს. მატერიალიზირდება ისეთ გარემოში, სადაც დაახლოებით ისეთივე შეხედულებების ცოცხალი არსებები არიან მატერიალიზირებულნი. ამ ტერიტორიაზე ყოველთვის არსებობს დოგმები და მორალური კანონები, რომელთა მიყოლის და შეგრძნების საშუალებით სრულიად შესაძლებელი იქნებოდა გამრუდებული შეხედულებების გასწორება და, რაღა თქმა უნდა, არსებობს ამ დოგმების და კანონების ალტერნატიული უამრავი ვარიაციები, რომლებიც კოსმოსიდან ჩამოტანილი შეხედულებების რეალიზაციის სერიოზულ პროვოცირებას იწვევს. მაგრამ, ხანდახან არსებობს პროვოცირება, რომელიც ყველა ფასეულობების სწორად შეფასებული გამის მქონე ცოცხალი არსების მიერ ეძლევა მატერიალიზებულ ინდივიდუალურ სულს. ეს ძირითადად მათ, ვინც დოგმებსა და მორალურ კანონებს სერიოზულად უდგება, როგორც ცხოვრების სტილს, ისე მიჰყვება და თუკი ეჯაჭვება, პროვოცირება აუცილებელი ხდება.

უპირობო რეფლექსები არის ცოცხალ არსებაში არსებული ფასეულობების იმ რაოდენობის შესაბამისი, რომლებიც არასწორად არიან შეფასებულნი. პირობითი რეფლექსები არის ცოცხალი არსებების მიერ მატერიალიზაციის შემდეგ შექმნილი არასწორად გადაფასებული ფასეულობების შესაბამისი რაოდენობისა, რომლებიც კოსმოსიდან ჩამოტანილი არასწორად შეფასებული ფასეულობების საფუძველზე შეიქმნენ.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცოცხალი არსებების მატერიალიზაციის სტრატეგიულად გადამწყვეტი აზრი და მიზანი უნდა იყოს იმ ფასეულობათა გადაფასება ანუ გადახედვა და სწორად შეფასება, რომლებიც უპირობო რეფლექსების სახით ავლენენ თავის თავს... მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდეს, საჭიროა არასწორი ორიენტაციის რაიმენაირი სახით კონტროლი, რათა ინდივიდუალურმა სულმა ის ერთადერთი სწორი მიმართულება იპოვოს და არა სხვა რაოდენობის არასწორს გაჰყვეს. ამისათვის მასში კოდირებულია სირცხვილის გრძნობა, როგორც შუქნიშანი ან ლაკმუსის ქაღალდი. ეს გრძნობა სინდისის ინსტრუმენტია. სინდისის არ წაბილწვა კი სწორი მიმართულების პოვნამდე დოგმებისა და მორალური კანონების დაცვის საშუალებითაა მხოლოდ შესაძლებელი. ანუ, რანაირი პროვოცირებაც ან ხიბლიც არ უნდა შეგვიჯდეს, არაფრის გულისთვის არ უნდა დაირღვეს ისინი. სადაც დოგმები და მორალური კანონები ირღვევა, ხდება სინდისის იგნორირება, სირცხვილის დაკარგვა და ერთგვარ უსირცხვილობაში გადასვლა, რომელიც ჩასახავს შიშს. ხოლო სწორი გზის მიგნების შემთხვევაში კი, ხდება ერთგვარი ნათელის მოფენა გონებაზე, რომლის მეშვეობითაც ხდება დოგმების არსის და რაობის ახსნა ე.ი. არასწორად შეფასებულ ფასეულობათა გასწორება, შემდგომ კი ხდება სირცხვილის მოცილება მისი საჭიროების აღარ ქონის გამო. მის ნაცვლად ადგილს იკავებს ბუნებრივი უშუალობის შეგრძნება, ხოლო ამ დიაპაზონში სინდისის ნაცვლად ადგილს იკავებს გულწრფელი სიყვარული, რომელიც არაფერზე არ არის დამოკიდებული.

რანაირად აისახება ეს ყოველივე დროში? მოვიყვან ძალიან უხეშ შედარებას. წარმოიდგინეთ, რომ ვინმემ მოინდომოს საათის ისეთი მექანიზმის აწყობა, რომელიც სხვა სიხშირით, სისწრაფითა და ინტენსივობით მუშაობდეს ან ისრები საპირისპირო მიმართულებით მოძრაობდნენ, აეწყოს ამ სვლაზე და აწ არსებულის იგნორირებას შეეცადოს და სხვასაც შესთავაზოს (ან უფრო უარესი – აიძულოს ასე ქნას). აი, დაახლოებით ასე გამოიყურება ნებისმიერი ცოცხალი არსება და ინდივიდუალური სული, რომელიც მოვლენების ბუნებრივი სვლის პროცესებს (ევოლუციის უზენაესობას) ჯერ აღარ აფასებს, შემდეგ – აღარ უსმენს, შემდეგ – მის იგნორირებას იწყებს და ბოლოს – საკუთარი შეხედულებების შესაბამისად მათ გადასხვაფერებასა და ალტერნატივებით ჩანაცვლებას ცდილობს. არის სამი დროის ფორმა: მომავალი, აწმყო და წარსული.

<u>რა არის მომავალი?</u> აი, სწორედ ეს არის ევოლუციის, უკეთესობისკენ სწრაფვის უზენაესობის, იდეალიზმისკენ სწრაფვის ამსახველი ცნება, ასე ვთქვათ, დროის ენაზე. სწორედ ის წარმოადგენს მიზანს ცოცხალი არსებების აღქმაში და სწორედ ის ხდება საბაბი მატერიალური სამყაროს გამოვლინების შექმნის აუცილებლობისა, რამეთუ ცოცხალი არსებების ის ნაწილი, რომელიც ჭეშმარიტად

საუკეთესო წინსვლის ვარიანტს არ ეთანხმება, საჭირო ხდება მისთვის თვითგამოვლინების მიცემის საშუალება პარალელურად, მხოლოდ ძირითადთან უშუალოდ არ შეხებაში ყოფნით. როგორც ხვდებით ეს ნაწილი საკმაოდ დიდია და საკმაოდ მრავალფეროვანი. ალტერნატივები ხომ ბევრია, ძირითადი კი მხოლოდ ერთი.

რა არის აწმყო? დროის ენაზე ეს არის საკუთარი შეხედულებების რეალიზაციის ამსახველი ცნება. ის წარმოადგენს მიზეზს ყველაფერი იმისა, რისთვისაც ხდება, რისთვისაც იხარჯება ყველა ცოცხალი არსება. ეს რაღაცით ჰგავს რაღაცა სახით ერთგვარი გამოცდის ჩაბარებას, რისთვისაც დიდი ხანი ხდებოდა მზადება. თუ მზადებისას არასწორი სახელმძღვანელოებით ხელმძღვანელობთ, გამოცდაზეც ხომ მის არსს გადმოსცემთ, მაგრამ ამ მზადების პროცესში ეს ცნობიერება იმდენად ერთადერთ ჭეშამრიტ ვარიანტად აღიქმება, რომ ეჭვის შეპარვა მის არასწორობაში ვინმეს მხრიდან უკიდურეს გაღიზიანებას იწვევს. აწმყო რეალობას უნდა გადმოსცემდეს. მაგრამ ეს მხოლოდ სულიერ სამყაროში ხდება, სადაც „სახელმძღვანელოები“ საუკუთესო ვარიანტებზეა აგებული, ხოლო რაც შეეხება მატერიალურ სამყაროს აქ, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ მთელი გამოვლენილი აწმყო ილუზიურია და მატერიალური სამყაროს წარმომადგენელთა მხრიდან აბსოლუტურ რეალობად საღდება, მაგრამ ის რეალური შედეგია ალტერნატიული შეხედულებებისა სრულყოფილებისკენ, უკეთესობისკენ სწრაფვის შესახებ. ძირითადად განსხვავება, ვფიქრობ, ერთი ფასეულობით შეიძლება აიხსნას. კერძოდ, ილუზიურში ანუ აბსოლუტურობის ენაზე რომ არ ვილაპარაკოთ, შედარებით უფრო ილუზიურში, რომელიც მატერიალურ სამყაროში სჭარბობს, უფრო მეტი რომანტიზმის ფონი აქვს სასურველ მომავალს მიცემული, ვიდრე გაცილებით უფრო მცირე ილუზიურ რეალობაში, რომელიც სულიერ სამყაროში არსებობს და რომანტიზმიც იქ გაცილებით უფრო მეტად სუფევს, ვიდრე მატერიალურ სამყაროში. სურვილი, სასურველი ოცნება შეახამო რეალურ შესაძლო გამოვლინებასთან, დიდ წინდახედულობასა და სიღრმეს მოითხოვს, რომელიც, ვგონებ, მხოლოდ მოთმინებით შეიარაღებულ ცოცხალ არსებას შეუძლია განახორციელოს. სულსწრაფები მოთმინებით ვერ გამოირჩევიან, ეს უფრო სულგრძელებს ახასიათებთ. ასე რომ, ზემოთხსენებული ფასეულობა, როგორც საზომი, გამოდის მოთმინება.

და ბოლოს, რა არის წარსული? ეს არის საშუალება იმისა, რის მიხედვითაც არის შესაძლებელი წინდახედულობა და სიღრმეში ჩაწვდომა. ეს არის რეალური ბაზისი იმისა, რაზეც უნდა აიგოს მომავალი. რაც უფრო დაუმახინჯებელი და არასუბიექტურია (რეალურია) წარსულის აღქმა, მით უფრო დიდია ალბათობა და შესაძლებლობა მომავლის სწორი მიმართულებით წარმართვისა. წარსული არის რაიმეს უკვე გამოვლინებულის გამოხატულების აღმნიშვნელი დროის ფორმა და პრინციპში, შეიძლება ითქვას (უხეშად თუ შევხედავთ), მატერიალიზმის ცნების გამოვლინებას წარმოადგენს. სულიერ სამყაროში მატერიალიზმი გამოვლინდება წარსულის ცოდნის, მეხსიერების სიღრმით, ინტელექტუალიზმის სახით. რაც უფრო დიდია და ღრმაა წარსულში წვდომის უნარი, მით უფრო დიდი და ღრმაა მომავალში წვდომის უნარი. ასე ვთქვათ, დროის სამივე ფორმა ერთდროულად ერთ წერტილში იყრის თავს და დროის განშტოება საჭირო აღარ არის. მატერიალური სამყაროს ენაზე რომ ვთქვათ, დრო აღარ არსებობს, რამეთუ მასში დროის გამოვლინება მატერიალური ინდივიდუალური სხეულის დაბადება-სიკვდილის პარამეტრებით არ იანგარიშება. რაც შეეხება მატერიალურ სამყაროში წარსულის რაობას, ინდივიდუალურ სულებს ძირითადად ისეთი ეპიზოდების თუ მოვლენების მეხსიერული აღქმა ეძლევათ, რომელთა შესაბამისი ფასეულობებიც აქვთ გასასწორებელი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით.

შეიძლება ითქვას, რომ მატერიალურ სამყაროში ინდივიდუალური სულის მიერ მატერიალურ ცხოვრებაში განვლილი წარსული მოვლენების ინტელექტუალური გადაფასება (ანუ ფასეულობების ენაზე – დაკომპლექტებული და მოვლინებამდე მცდარად აღქმულის ჭეშმარიტებად გადაქცეული ცოდნა) არის ერთადერთი ჭეშმარიტი მატერიალური სიმდიდრე, რომელსაც იგი თან წაიღებს სხეულის დატოვების შემდეგ. ხოლო ვერაღქმის ან ერთი მცდარი ვარიანტიდან მეორე მცდარ ვარიანტზე მიწებების შემთხვევაში კი ხდება უბრალოდ მეხსიერების დაბლოკვა, დახშობა, შეზღუდვა, რასაც, ვგონებ, ე. წ. „სკლეროზს“ უწოდებენ ადამიანები.

რაც შეეხება პლანეტა დედამიწაზე არსებობის პერიოდს. ეს არის მიკრომაკეტი საკუთარი თავის გამოსაცდელად. ადამიანის შემთხვევაში, ვინც დედამიწისეული დონისთვის ჭეშმარიტების სიღრმეს ვერ ჩასწვდება, იმ ინდივიდუალური სულისათვის ძალიან ძნელი იქნება სულიერ სამყაროში გადასვლაზე ფიქრი. მე ვფიქრობ, მკითხველისთვის ეს სასაცილოდ გაისმება, მაგრამ მაქვს იმედი რომ მოვა დრო, როცა ამის წაკითხვაზე აღარ გაიცინებენ.

ვინც სულიერადაა მდიდარი მხოლოდ მისთვის შეიძლება მატერიალური სიმდიდრის კანონიერად მინიჭება და წარსულის, მეხსიერებისა და ინტელექტუალიზმის როლი ნამდვილად გადამწყვეტი თუ არა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

აი, ძალიან მოკლედ, შეიძლება ითქვას, დროის ფაქტორის ახსნის მცდელობა, რომელშიც ყველა დაკეტილი კარების გასაღები ინახება.

რაც შეეხება დროის გამოვლინებას იქ, სადაც ასე ვთქვათ, ეს დრო თავისი ყველანაირი ფორმით იქმნება, ანუ სულიერ სამყაროში, იქ არ არის ფარდობითობა დროის უფრო მაღალ პარამეტრალურ განზომილებებთან. იქ არ არის ინფორმაციული შიმშილი და თვითგამოვლინების წყურვილი, იქ არ არის საკუთარი მნიშვნელოვნების როგორღაც გამოვლინებაზე დარდი და საკუთარი უპირატესობის გამოვლინებით გამოწვეული ეიფორია (ილუზია), იქ არ არის საკუთარი ძალადობით და თავზე მოხვევის მცდელობით გამოწვეული სიბერე და საკუთარი სიჯიუტითა და გართობის მცდელობით (დროის მოკვლის მცდელობით) გამოწვეული სიკვდილი. იქ არის ის, რაც ყოველთვის იყო, არის და იქნება. იქ არის ის, რასაც სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სიწმინდე, სარწმუნოება, მყუდროება და მოთმინება მოიცავენ.

**წმინდათაწმინდების ავტორიტეტული შეხედულებები დროის შესახებ**

***იესო ქრისტეს მხრიდან გაცხადება იმისა, რომ ის სოლომონის, დავითის და უსასრულოდ საწყისი დროიდან იყო, არის და იქნება უკუნითი უკუნისამდე.***

***ბუდას მეხსიერების შესახებ***

ყველა წინადაბადებები გავიდნენ საკუთარი თვალების წინ, როდესაც მან გაიხსენა ისინი: დაბადებების ადგილი, სახელი და ასე ყველა დაბადება მის ბოლო დაბადებამდე. მან იცოდა ყველა თავისი დაბადება და ყველა თავისი სიკვდილი – ასობით, ათასობით და ა. შ.

***აშვაგხაშა. ბუდას ცხოვრება***

ბჰაგავატ-გიტას მეოთხე თავში კრშნა ამცნობს არჯუნას, რომ ისიც და არჯუნაც მრავალჯერ გამოჩენილან მატერიალურ სამყაროში, მაგრამ ყველა ამგვარი მოქმედება – წარსულში, აწმყოში და მომავალში მხოლოდ მას ახსოვს.

იმისათვის, რომ მიიღო ჭეშმარიტი ცოდნა, საჭიროა დაინახო ღვთის მიერ განჭვრეტილი მომავალი. იმისათვის, რომ დაინახო მომავალი, საჭიროა დაინახო საკუთარი წარსული ჭეშმარიტების თვალით შეფასებული. იმისათვის, რომ დაინახო წარსული, საჭიროა მიიღო აწმყო, როგორც ობიექტური რეალობა, შეიგრძნო განხორციელებული ჭეშმარიტება.

**ამალია საზანდრიშვილი**



## ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ზოგიერთი ასპექტი

მასწავლებლის სააღმზრდელო-საგანმანათლებო მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგნაირად. მასწავლებელმა უნდა განაწყოს მთელი კლასი პროგრამით გათვალისწინებული თემისადმი. არ უნდა იქნეს გაიგივებული ერთმანეთთან ინტერესის განწყობა, რომელიც ყოველ გაკვეთილზე ახალი მასალის ახსნას უდევს საფუძვლად.

სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მნიშვნელობა განისაზღვრება მოსწავლეთა მეტყველების ასამაღლებლად.

პირველ რიგში მასწავლებლის შესავალი სიტყვა უნდა ხასიათდებოდეს მეცნიერული-მეთოდოლოგიური გამართულობით.

გაკვეთილის ახსნის სიღრმე ვლინდება არამაღალფარდოვან ფრაზებში, არამედ უბრალო, მარტივ დალაგებულ და დამაჯერებელ თხრობაში.

მასწავლებელი რამდენადაც შესაძლებელია ორიგინალურად უნდა ამყარებდეს კავშირს, წინათ შესწავლილ მასალასთან, ბუნებრივად უნდა აქსოვდეს განვლილ მასალას საუბარში. ამ მეთოდით უნდა გააღრმავოს შთაბეჭდილება, მისი ლოგიკური თხრობა უნდა იყოს მიზანდასახული, ემოციური, ენობრივად დახვეწილი, მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს მოფიქრებული გეგმა, კლასი უნდა გრძნობდეს მასწავლებლის თხრობაში გეგმიანობას. გეგმის ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლა უნდა ხდებოდეს შინაარსიანი, ადვილად გასაგები დასკვნის გაკეთებით. მოსწავლე უნდა გრძნობდეს იმ მწერლისადმი სითბოს, რომელ მწერალზეც იქნება საუბარი. რამდენადაც ძლიერი იქნება შთაგონება, იმდენად ძლიერად განისაზღვრება მოსწავლე ლიტერატურისადმი ინტერესით. დიდი ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი ამბობს: მასწავლებელი უნდა აღწევ-

დეს იმას, რომ მისი ბაგე მოსწავლეებს მიაჩნდეთ წყაროდ, საიდანაც მოჩქეფს მეცნიერების ნაკადი, რომ მთელი ყურადღება მიქცეული იყოს იქითკენ, რათა ამ წყაროდან გამომდინარე არაფერი დაიკარგოს აუთვისებლად. მასწავლებლის სიტყვა უნდა იყოს კონკრეტული მოკლე, ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ თვალსაჩინოებები. მეთოდიკის ძირითადი ამოცანაც ეს არის, პასუხი გასცეს სამ მთავარ კითხვაზე: რისთვის ვასწავლო? , რა ვასწავლო? , როგორ ვასწავლო? პირველი კითხვა ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიის სფეროს განეკუთვნება, მასწავლებლის ფროფესიონალურად ჩამოყალიბება, მასწავლებელში უნდა იყოს გამჯდარი, რა უნდა ასწავლოს დასახული მიზნის მისაღწევად. ხოლო პასუხის გაცემა იმაზე რა ვასწავლო, ლოგიკურად მოითხოვს გამართული პროგრამით შედიოდეს თითოეულ კლასში, თითოეული საგანი უნდა იყოს დახვეწილი, დამუშავებული. უნდა ეცადოს შედარებით ნაკლებ დროში, შედარებით მეტი ნაყოფი მიიღოს ასათვისებელი პროგრამის გააზრება და შესწავლა მოსწავლეებისადმი.

სწავლების მეთოდიკა, როგორც მეცნიერული დისციპლინა სამ წყაროს ემყარება: 1. მასწავლებლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, 2. სკოლის კოლექტიურ გამოცდილებას 3. სკოლის მემკვიდრეობას.

თუ ჩვენს წინაშეა საკმაოდ პედაგოგიური სტაჟის მქონე მასწავლებელი, რომელიც საფუძვლიანადაა დაფუძვნებული თავის სასწავლო დისციპლინასთან, აქვს პროფესიული დახელოვნებისადმი ინტერესი და სათანადო მომზადება ამ შემთხვევაში საქმე გვექნება ისეთ ოსტატურ აღმზრდელთან, რომლის გაკვეთილები თავისი მეთოდოლოგიური გამართულებით და შინაარსით წარუშლელ კვალს დასტოვებს მოსწავლეთა მეხსიერებაში. პედაგოგიური დაოსტატების მიზანი ხომ არსებითად ისაა, რომ მასწავლებლის აზრი და სიტყვა მხატრული ნაწარმოებების იდეური შინაარსი ადვილად ასათვისებელი იყოს მოსწავლეებისათვის. მასწავლებელმა სასწავლო პროცესში უნდა აწარმოოს თვითდაკვირვება. გარდა ამისა არსებული აუცილებელი პროგრამის მიხედვით უნდა ცდილობდეს, შეძლებისდაგვარად ჩამოაყალიბოს წრე, კლასგარეშე წრეობრივ მუშაობის ფორმას ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს სასკოლო-საგაკვეთილო და კლასგარეშე კითხვის სწორად ორგანიზებულ სისტემასთან. ამ დროს ხდება პროგრამული თემების ირგვლივ ცოდნის განმტკიცება ლიტერატორული – თეორიული გაღრმავება და გაფართოება. მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლება. მოსწავლეების ჩვევების გამომუშავება, შემოქმედებითი ნიჭის გაშლა.

შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ნორჩი ჟურნალისტები, ფოლკლორისტები, მთარგმნელები, მწერალთა შემოქმედებითი შემსწავლელი, ხელოვნების მონათესავე დარგების ჩამოყალიბება – კინო, ფერწერა, მუსიკა და ასე შემდეგ.

თითოეული წრის დაკომპლექტება შეიძლება მოხდეს ათი, ოცი მოწაფით. აირჩევა გამგეობა და თავჯდომარე, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს და წარმართავს მასწავლებელი. ამ შემთხვევაში მასწავლებელი უნდა ასრულებდეს კონსულტატის როლს ხოლო ლიტერატურული წრის მუშაობა მაშინ აღწევს სასურველ შედეგს, როცა ის მოვალეობის ფორმალური მოხდის გრძნობიდან სკოლაში იქცევა თაოსნობისა და ინიციატივის საქმედ.

თბილისის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში ჩატარდა მირზა გელოვანის პოეტი ჯარისკაცის გახსენება, პოეტ ბეჟან ხარაიშვილის წიგნის „ხვედრი პოეტთა" განხილვის მიხედვით. პოეტებიო წერს ბეჟან ხარაიშვილი. ბრძოლაში ყველაზე ადრე კვდებიანო და პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენო. დიახ! პოეტის სიცოცხლე მარადიულია, პოეტები ბრძოლაში ყველაზე ადრე მიდიან. ლექსში ხაზგასმითაა აღნიშნული რომ მირზა გელოვანს პირიდან დაუწერელი ლექსების ბოლი რომ ამოუვიდა... დღეს და შემდგომშიც მირზა გელოვანი უკვდავი იქნება. ამ შინაარსობრივი გაანალიზებით, მოსწავლეებში ყალიბდება, სამშობლოსადმი სიყვარული და თუ დასჭირდა თავგანწირვაც. აი, მასწავლებლის გამარჯვება და მიზნის მიღწევა. აი, წრეობრივი მუშაობის შინაარსობრივი გამართლებაც.

ხოლო, გამომეტყველებით კითხვისა და მხატრული თხრობის წრის მთავარ ამოცანას შეადგენს ცოცხალი სიტყვის მაღალი კულტურის დანერგვა სკოლაში.

**ციცინო ჩხაიძე**



## ანბანური ინტეგრილები

### ამაგდარი

Ახტალაში ანტონი აბანოებს აშენებდა. აუხირდა აბეზარი, ალკოჰოლისტი არტემი: ადათით არაა აშენებულიო. არა და არ აცალა ავანგარდული ალმშენებლობა აბეზარმა არტემმა.

აჩქარდა ანტონი. აერია აზრი. არტემს ალიყური აგემა და ალმართ-აღმართ აბასთუმანში ალიბეგს აკითხა.

ალიბეგი, ახორთან ახლოს, ატმის ასხვლას ამთავრებდა და ახლა აპირებდა ახალბედა ალუბლებისთვის ადგილის არჩევას.

ანტონის ამოსვლით აღფრთოვანებულმა ალიბეგმა აახმაურა არემარე: აბრეშუმივით ამაგდარი ამხანაგი ამომივიდაო, ამცნო აბასთუმნელ ახლობლებს.

●

ადღეგრძელა.

აბა-დელია, აბა-დელიაო ამღერდნენ.

ალიბეგი არ ამადლის და ამხანაგს აბასთუმანში ადგილსაც აღმოუჩენს აბანოსთვის.

ანტონმა, არც აცია, არც აცხელა, და ალიბეგთან ახლოს, აარჩია ადგილი. ააშენა აბანო და აღაფრთოვანა ადგილობრივი აბასთუმნელები.

04.02.2006 წელი.
ბათუმი.

### ბებერ ბჟოლასთან

Ბზობაა.

ბორჯომელი ბიძინა, „ბოქსიორი“ ბავშვებით, ბათუმშია.

„ბრძოლა“ ბათუმელ ბავშვებთან.

ბურთაობა ბულვარში.

ბულვარიდან – ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.

ბოტანიკური ბაღის ბექობზე, ბაღნარში, ბიოლოგი ბელა, ბავშვებთან ბაასობს ბაბუაწვერას ბუტკოზე.

●

„ბოქსიორი“ ბავშვები „ბულკებსა“ და „ბუბლიკებს“ ბრდღვნიან ბაღში.

ბიძინა და ბროწეულივით ბელა, ბებერ ბჟოლასთან „ბჭობენ“.

ბედნიერია ბიძინა.

●

ბარბარობაა.

ბიძინა ბორჯომიდან ბათუმში ბრუნდება.

ბოლოს და ბოლოს, ბიძინა ბედავს და ბულვარში ბელასთან ბაასობს ბედზე, ბუდეზე... ბედნიერნი ბედნიერების ბორბალზე ბრუნავენ.

ბინდდება.

ბინდიც ბრჭყვიალებს.

●

ბელას და ბიძინას ბიოგრაფიული ბილიკები ბორჯომში ბინავდება და ბლუჯად ბუბუნებს ბედის ბუხარში.

04.04.2015 წელი.
თბილისი.

### გემი გადიოდა

გაბრიელი, გემბანიდან გულდაწყვეტილი და გულშელონებული, გაჰყურებდა გრენლანდიას. გულისსწორთან განშორებამ გააუბედურა და გაანადგურა.
გემი გადიოდა.
განცდისგან გულდამძიმებული გაბრიელი გემბანიდან გამობრუნდა და... გაკვირვებული გემბანს გაეკრა, გაქვავდა, გაიყინა...
გემბანზე გრეტა გამორბოდა.
გამომშვიდობება-განშორების გაუსაძლის განცდას გემბანზე გაეჩინა.
გაბრიელი გულისცემამ გამოარკვია.
გაიღიმა. გაიბადრა. გრეტას გადაწყვეტილებით გამხნევებული, გახარებული და გაოგნებული გაბრიელი გულისსწორს გულმხურვალედ გადაეხვია, გადაეჯაჭვა.
გაირინდნენ.
გრძნობის გულისთქმას გაჰყვნენ.
●
განცდებისგან და გრძნობებისგან გათავისუფლდნენ.
გამოერკვნენ.
გემი გუგუნებდა.
გრენლანდია გაუჩინარებულიყო.

27.06.2014 წელი.
თბილისი.

### დედობა

დედობა დაგეხმარება დაბრკოლებების დაძლევაში!

დედობა დიდებულებაა!

დედობით დამშვენებულია დრო!

დედებით დამშვენებულია დედამიწა!

დედა დამშვენებულია დაღლით!

დედა დამშვენებულია დარდით!

დარდით დამშვენებულ დედას, დარდი დაამძიმებს, დააუძლურებს, დაადნობს, დაანაოჭებს, დააბერებს და დასასრულს, დაბანგულივით დააძინებს.

დაისვენებს დაღლილი დედა!

დედის დამოძღვრა დიდი დასაყრდენია!

დაიხსომე:

1. დედას დიდსულოვნად დაემორჩილე და დაგლოცავს!
2. დროს დაჰყევი და დაუმარცხებელი დაიწყებ დროში დინებას!
3. დრო დაუნდობელია! დაეჭიდები? დაგაჩოქებს, დაგამარცხებს და დაგანარცხებს დედამიწაზე!
4. დედამიწა დედასავითაა: დაგიცავს, დაგიამებს, დაგარწყულებს, დაგაპურებს, დაგამშვიდებს!
5. დასასრულს, დაეკონები დედამიწას – დედათა დედას!

21.02.2014 წელი.
თბილისი.

# წერილები

ლუარა სორდია



## დონკიხოტური გამბედაობით და გმირული სულით გამორჩეული როსტომ ჩხეიძის პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა“ (თბ. 2016 წ.) არის კონსტანტინე გამსახურდიას ურთულეს სულიერ-ინტელექტუალურ სამყაროში შეღწევის წარმატებული ნიმუში. წიგნში ზედმიწევნით სრულად არის ნაჩვენები, როგორ ივსებოდა ქართველი კლასიკოსის შემოქმედებითი აუზი აღმოსავლურ-დასავლური სიბრძნის წყაროებით, როგორი ხასიათის იყო მისი მიმართება ბიბლიასთან, ანტიკურ მითოლოგიასთან და ფილოსოფიასთან, წარმართულ თუ ქრისტიანულ კულტურასთან, ქართული უცხოური მხატვრული სიტყვის გიგანტებთან.

კონსტანტინე გამსახურდიას ხასიათის ოდისევსური შტრიხების წარმოჩენასთან ერთად, რომანში განსაკუთრებით აქცენტირებულია დიდოსტატის სულის დონკიხოტური კომპლექსები.

აშკარაა, სამშობლოს ამ მარადიულად თანამდევი „მრავალსახოვანი იანუსის“ (ს. სიგუა) მიერ დასმული პრობლემების აქტუალურობა ჩვენს დროშიც, მწერლის მებრძოლი, უკომპრომისი პიროვნების, სიტყვისა და საქმის რაინდის მონატრება–წყურვილი, მის მიერ დამკვიდრებული სტანდარტების კვლავ გაცნობიერების აუცილებლობა.

ზვიად გამსახურდია აღნიშნავს: „სოციალისტურმა ტოტალიტარიზმმა კირკესეული ჯადოქრობით ღორებად აქცია მასა“ (1, 62-63).

„...ციხეების, ფსიქიატრიული საავადმყოფოების ჭანგებით აღჭურვილ ურჩხულთან ბრძოლის გზაზე სვლას მხოლოდ ერთეულები, გამორჩეული პიროვნებები თუ გაბედავდნენ (1,65).

„ფსიქიატრიული რეპრესიები... საქმით განამტკიცებდა მასაში მოარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის, სულით ავადმყოფია“.

სიკეთისათვის, სიმართლისათვის მებრძოლთა მიმართ გამოიყენებოდა ათასგვარი ატრიბუტი: „უცნაური“, „დონკიხოტი“, „პოზიორი“, „სიგიჟე“ (1,49).

კონსტანტინე გამსახურდია არ მიდიოდა დინების მხარეს, გამუდმებით აკრიტიკებდა ხელისუფლების ანტიქართულ, არაჰუმანურ ნაბიჯებს, ამიტომაც არ ერიდებოდნენ მისთვის „ფსიქოპათის“ იარლიყის მიკერებას.

დონკიხოტური გაბედულებითა და სიკეთით იყო გამორჩეული მწერლის სიტყვა და საქმე, რაც, ერთი შეხედვით, დამარცხებისთვის განწირულს ჰგავდა.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, „გამბედაობის დიდ გენიას“ თან ახლდა „ოცნებათა შემოწმება“, „ფხიზელი მიზანი და ანგარიში“.

ოდისევსურ მოგზაურობას სულის ლაბირინთებში, დონკიხოტურ შემართებას, ფაუსტურ ძიებას ზურგს უმაგრებდა ჰამლეტის ანალიტიკური უნარი, მომავლის აჩრდილების გამოცხადება, უცდომელი ინტუიცია, შორეული შუქის კრთომა–ციალი, მოვლენათა წინასწარმეტყველური განჭვრეტა.

მართებულად ბრძანებს როსტომ ჩხეიძე: „საქართველოს განთავსუფლების იდეა დღემდის ისე სჯეროდა, როგორც ის, რომ გამსახურდია გახლდათ“ (2,25).

მწერლის ქმედებები ეფუძნებოდა უცდომელ გათვლა–გაანგარიშებას, „ცოდნასა და მაგიას“, როგორც სტეფან ცვაიგი გაიაზრებს დოსტოევსკის უმთავრეს თავისებურებებს: „მისი

ჭრელ–ჭრული ზმანებანი უფრო სრულყოფილია, ვიდრე სხვების მოწესრიგებული დაკვირვებანი. არაფერს არ ანგარიშობს და მაინც უტყუარად ზომავს ყველაფერს“ (დოსტოევსკი) (3,211).

ვ. ნაბოკოვის ლექციებში დონკიხოტის შესახებ ჩამოთვლილია ორმოცი ბრძოლა, ოცი მარცხით დამთავრებული, ოცი–გამარჯვებით (4,318).

როსტომ ჩხეიძე აცხადებს: „რამდენ დონკიხოტობას მოითვლიდა თანდათან კ.გამსახურდიას ბიოგრაფია“ (2,299).

თუ ამ ჭრილში შევხედავთ დონკიხოტური სულით ნაკარნახევ ქმედებებს და ქადაგებებს ქართველი მწერლისა, მივალთ დასკვნამდე, რომ მას არც ერთ ბრძოლაში არ განუცდია მარცხი, რადგან ერთმანეთისგან კარგად არჩევდა დევებს და ქარის წისქვილებს, ნამდვილ საფრთხეს მოჩვენებითისგან, ზმანებას–ხილვას–რეალობისგან, სატანური ხელისუფლების მიერ სამოთხედ სახელდებული სინამდვილე ჯოჯოხეთად ესახებოდა.

უშიშრად ერკინებოდა აპოკალიფსურ მხეცებს, როგორც სიტყვით, ისე ხმლით.

იქნებ სიმბოლურია ესპანელი და ქართველი მწერლების გვარების შინაარსის თანხვედრა.

კონსტანტინე გამსახურდიას შურიანი, მოენე კოლეგები გვარის გამოც აქილიკებდნენ, მწერალი შიფრავდა სერვანტესისა და გამსახურდიას შინაარსს, აკავშირებდა მათ მსახურებასთან და ეამაყებოდა, რომ თავისი ერის მაღალი იდეალების მსახური იყო.

დონ კიხოტს ახსენებენ ფრანცისკო ასიზელთან (5, 114-126), გრაალის ორდენის რაინდებთან (6).

აშკარაა ესპანელი პერსონაჟის წილნაყარობა ბიბლიურ სიბრძნესთან, წინასწარმეტყველთა შეგონებებთან.

მწერალ რაინდად აღიარებული კონსტანტინე გამსახურდიას თვალსაწიერში მოწიწებით არის მოქცეული ფრანცისკო ასიზელი (დიონისეს ღიმილი).

რაინდი მეფე დავით აღმაშენებელი, რომელსაც ტეტრალოგია უძღვნა ქართველმა დიდოსტატმა, ევროპაში შექმნილი ლეგენდების მიხედვით, მოიაზრებოდა გრაალის მცველად და მისი ზედწოდება იყო მეფე დავით-იოანე.

ხოლო „გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი“ (7, 38).

კონსტანტინე გამსახურდიას განსაკუთრებით ხიბლავდა ბიბლიური იაკობის ღმერთთან შერკინების იგავი.

„არსებობს ორგვარი სახეობა რელიგიურობის: რელიგიურობა რჩეულთა, ფილოსოფოსთა, სულიერ არისტოკრატთა და რელიგიურობა ჩვეულებრივი ადამიანებისა, ე.ი. მასებისათვის მისაწვდომი ფორმა რელიგიურობისა, რაც გოეთემ შემდეგნაირად განმარტა ეკერმანთან საუბარში: ერთია რჩეულთა, ზეკაცთა შემოქმედებითი რელიგიურობა და მასების რელიგიურობა, რომელიც მჟღავნდება მხოლოდ ეკლესიური მსახურების გარეგან აღქმაში.

„ასევე, კეთილი ღვთისმბრძოლობა და ნეგატიური ღვთისმბრძოლობა, შავწიგნოსნობა, ათეიზმი.

„იაკობს უფალთან შერკინებამ მიჰმადლა სვე.

„განღმრთობის რელიგია, კეთილი ღვთისმბრძოლობის რელიგია, აი, დიდოსტატ არსაკიძის რელიგია. ამიტომაც არის მის სულთან ესოდენ ახლოს იაკობისა და ღვთის ორთაბრძოლის ბიბლიური მოთხრობა“ (ზვიად გამსახურდია, კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა) (8, 384-385).

როსტომ ჩხეიძის მიგნებული პარალელით, კონსტანტინე გამსახურდიას ქმედება, რომელმაც თავისი შვილი – ზვიადი შეამზადა ურჩხულისგან დატყვევებული სამშობლოს სახსნელად, ჰგავდა ბიბლიური აბრაამის მიერ ღმერთისთვის ძის – ისააკის შეწირვას.

„დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორს განსაკუთრებით იზიდავდა ქრისტეს მიერ ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს გაცოცხლების ეპიზოდი სახარებიდან.

თვითონაც ენატრებოდა ისეთი ძალა, რომელიც ქრისტესებური სასწაულებრივი ძალისხმევით შეაძლებინებდა ლაზარეს – ქართული ენისა და ქართველი ერის – გამოყვანას „ლეთარგიული ძილისაგან“ (ვაზის ყვავილობა) (9, 635).

„მწერლობას გაცილებით მეტი ვაჟკაცობა უნდა, ვიდრე ათ გენერალს დასჭირდება“, აცხადებდა მწერალი და გაათკეცებული შემართებით უტევდა იმპერიის ურჩხულს.

სერვანტესის დონ კიხოტი მოღალა უთანასწორო, უშედეგო ბრძოლებმა და ბოლოს მან ხელი აიღო მოგზაური რაინდის მისიაზე.

კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ბრძოლები საქვეყნო იდეალებისთვის, ხელიდან არ გაუგდია კალამი და ხანჯალი, არ დაუშვია არც ერთი გაუაზრებელი კომპრომისი.

ქართული სიტყვის გოლიათი ბიბლიური დავით წინასწარმეტყველივით ერკინებოდა ეპოქის თვითმარქვია გოლიათებს, ვიდრე ბოლომდე არ დაამსხვრია ცრუ კერპები, ყალბი ავტორიტეტები, ვიდრე თავისუფლების მზე არ ამოიყვანა ჩვენს ცაზე.

1918 წელს ხმლით იბრძოდა თურქი ასკერების წინააღმდეგ, როცა სამშობლოს ტერიტორიის ხელყოფის საფრთხე დაემუქრა.

1921 წ. 25 თებერვლის შემდეგ რუსების მიერ ოკუპირებულ სამშობლოზე მგლოვიარემ შავი ჩოხა ჩაიცვა და მარხულობდა.

1921 წლის 8 მაისს რევოლუციის ბელადის – ლენინისადმი მიწერილ წერილში ამხილა რუსული ბოლშევიზმის დამპყრობლური პოლიტიკა, რევოლუციის ნამდვილი არსი, ინტერნაციონალიზმის პაროლით მომავალი იმპერიული მონსტრის შოვინიზმი და დამარცხებული ნაპოლეონის უკანასკნელი სიტყვებით გააფრთხილა ბიბლიური წითელი გველეშაპის მიერ ხელდასხმული ზღვის მხეცის ადრესატი: „მომავალი თაობანი განგვიკითხავენ ჩვენ“.

ქართველი მწერლის ეს წინასწარჭვრეტა ზედმიწევნით ახდა. დრომ სასტიკი განაჩენი გამოუტანა ეფემერულ წყობას, თვითმარქვია ჰუმანისტებს.

1925 წ. ლენინი დოსტოევსკის „დანაშაულის და სასჯელის“ მკვლელ პერსონაჟს –რასკოლნიკოვს შეადარა.

პუბლიცისტურ წერილებში ამხელდა ჩვენს მიწაზე ალმოცენებულ, საკუთარი სამშობლოს დამგესლავ „შხამიან გველებს“.

არ შეეპუა პოლიტიკიდან ლიტერატურისკენ გადმონაცვლებულ სტალინს, რომელსაც მწერალი თვალში არ მოსდიოდა.

საჯაროდ ამხილა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ–ერთი ინიციატორი ფილიპე მახარაძე სამშობლოს ღალატსა და მწერლის საათის მისაკუთრებაში.

ძირძველ ქართულ მიწაზე გამოგონილი ავტონომიების შექმნას საქართველოს კვართის დანაწილება უწოდა.

შავჩოხიან მწერალს დაჭერით აშინებდა რუსეთისთვის სოჭის მიჩუქებელი, ანტიქართული სულის სერგო ორჯონიკიძე, მაგრამ ფერი ვერ აცვლევინა, კონსტანტინე მას და მისნაირებს „როსტოვს იქით“ გაყრით დაემუქრა.

„დიონისოს ღიმილში“ „წითელი მამლის“, „წითელი კირიპას,“ „წითელი გველის“, რუსი ოფიცრის – სლანსკის სახეებით ნიღაბი ახადა იმპერიული მონსტრის მუხანათობებს, საბჭოთა სინამდვილე წარმოსახა ჯოჯოხეთად, „ჩინგის-ხანის შემოსევის“ სურათის ქვეტექსტებით მიანიშნა მსოფლიოს ახალ „მონღოლურ“ საფრთხეზე, როგორც ანდრეი ბელიმ რომან „პეტერბურგში“.

სოციალისტურ რეალიზმს, კავკასიის უნივერსიტეტის იდეას უწოდა „ტროას ცხენი“ და ამით გამოააშკარავა ფსევდოლიტერატურის წახალისების, ქართული ენის იგნორირების მცდელობა.

„დისტანციის თეორიით“ და „კულტურის დიქტატურის“ იდეით დაუპირისპირდა მხატვრული სიტყვის გაუსახურების საფრთხეს.

„ქართული სიტყვის რენესანსის“, „კულტურული უნივერსალიზმის“ მიღწევის საწინდრად მსოფლიოს სიბრძნის გათავისება მიიჩნია, ამასთან განაცხადა: „თავანკარა ნაციონალური მწერლობა იქ იწყება, რადაც უცხოთა გავლენანი დაძლეულია“.

როგორც ბიოგრაფიული რომანის ავტორი წერს, ახლებურად წაიკითხა ნიცშე, უაილდი, მათი „ესთეტიზმი დამუხტა პოლიტიკური სარჩულით“.

განუდგა ტენდენციურ რეალიზმს, სოცრეალიზმს და ექსპერიონიზმით შეაღწია სულის სიღრმეებში, „გამოგონების ნიჭს“ შეუზავა „მიწიერების ნელსურნელება“.

ეჯიბრებოდა არა სოცრეალიზმის პრიმიტივებს, არამედ სულხან–საბა ორბელიანს, ჰომეროსს, გოეთეს.

არ მიეყიდა გერმანელ ტუგმაიერს, არ დათანხმდა გერმანული ორიენტაციის ქართული გაზეთის დაარსებას დიდი სასყიდლის ფასად, არ გაიზიარა მაკიაველის პრინციპი: მიზანი ამართლებს საშუალებას.

რაინდულად უპირისპირდებოდა ჩვენი წარსული კულტურის ხელყოფას.

ხანჯლით დააშინა უზნეო კომკავშირლები, რომლებმაც მწერალთა კავშირიდან ილია ჭავჭავაძის სურათის ჩამოხსნა და საჯაროდ დაწვა განიზრახეს.

გაბედულად გადაუდგა წინ ვიღაც საბჭოთა კომისარს გელათში, რომელმაც დავით აღმაშენებლის მიერ დარუბანდიდან ჩამოტანილი რკინის კარის წაღება სცადა.

სოლოვკის ციხეში პატიმრობისას ხმლით აგებინა პასუხი უზნეო პოლკოვნიკს – სეროვს დედაზე შეგინებისთვის.

არ იზიარებდა „ცისფერყანწელთა" ნიჰილიზმს კლასიკური მწერლობისადმი.

კორექტივი შეიტანა ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო ენის თეორიაში, არ მოსწონდა პრიორიტეტის მინიჭება ქართლურ-კახურისათვის, თვითონ უსასრულოდ გააფართოვა სამწერლო ენის არეალი, შეავსო იგი კოლოკავებში მოძიებული ლექსიკის ნიმუშებით, სამშობლოს მთელ ტერიტორიაზე ცხენით და ფეხით მოგზაურმა შექმნა თავისი „იშვიათ სიტყვათა ლექსიკონი", უხვად ისარგებლა ძველი ქართული პროზის საგანძურიდან, შექმნა ორიგინალური ნეოლოგიზმები, გამოიყენა უცხოური საერთაშორისო ტერმინები და ფარ-ხმალი დააყრევინა შეზღუდულ, ახლომხედველ ოპონენტებს, სტატუსიან ენათმეცნიერებს.

მის ენობრივ და სტილურ ექსპერიმენტებს „ინტელექტუალური რაინდობა" უწოდა ოთარ ჩხეიძემ.

დუელში გამოიწვია იოსებ მჭედლიშვილი თავისი ენის გაქილიკებისათვის, რაზედაც ფუნაგორია დაწერა ლადო ასათიანმა.

როგორც ბიოგრაფიულ რომანში აღნიშნულია, მოურიდებლად ამხელდა „სხვის ფანდურზე მობუქნავეთ", „სხვის ქანდარაზე წამოსკუპებულ მამლებს".

არ მოსწონდა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების „ხალხოსნური ნარჩენები", გრიგოლ რობაქიძის ხელოვნური ენა, რევერანსები კონსტანტინე ბალმონტისადმი, გარუსებული კაკი წერეთლისადმი.

მიუღებლად მიაჩნდა „ლაშარელას" და „დიდი ღამის" ავტორის ზედმეტი შეთამამება თამარ მეფის შთამომავლებისადმი.

სიყრმიდანვე მოსდგამდა მებრძოლი სული, გიმნაზიაშივე მიიღო პოლიტიკური ნათლობა, არალეგალური ორგანიზაცია „ცხრა მუხის" დამაარსებელმა, თანატოლებთან ერთად დაფხრიწა რუსი გენერლების სურათები, ქართული ენის „ძაღლის ენად" ხსენებისათვის სცემეს შავრაზმელ მასწავლებელ კუსტინოვიჩს, რისთვისაც დააპატიმრეს, მაგრამ ეს სასჯელი კი არ თრგუნავდა, კიდევ უფრო აღანთებდა ეროვნული იდეალების დასაცავად.

ბავშვობიდანვე ილიას მკვლელებზე შურისძიებას გეგმავდა, ნაპოლეონობაზე, ალექსანდრე ბატონიშვილობაზე, თამარ მეფის სპასალარობაზე ოცნებოლბდა.

ჯარის სპასალარი არა, მაგრამ „ქართული სიტყვის ლაშქრის აჯარასხმული სპასალარი იყო, თავისუფლების აღსადგენად მოვლენილი" (სოსო სიგუა).

„ქართული სიტყვის უებრო მთავარსარდალი" გახდა (პ. გუგუშვილი) „ქართული კულტურის მნათე"( როსტომ ჩხეიძე) (2, 244).

70 წლის ასაკში მოხალისე მებრძოლად სურდა წასვლა რომელიმე პატარა ქვეყანაში, რომელიც დამოუკიდებლობისთვის იბრძოლებდა.

აკრიტიკებდა ბაღდადისათვის მაიაკოვსკის შერქმევას, გეოგრაფიული სახელების–სენაკის, ოზურგეთის, მარტვილის შეცვლას კომუნისტური სახელებით.

ვერ ურიგდებოდა თბილისში სომეხი რევოლუციონერის კამოს ქუჩის არსებობას, როცა აღმაშენებლის სახელი იჩქმალებოდა, სურდა, დიდი მეფის ძეგლი გაეკეთებინა და კოლხური კოშკის წინ დაედგა.

სახალხოდ, ქვეყნის პირველი პირის თანდასწრებით აღნიშნა კამოს „დამსახურება" ლენინის მეგობრის – კრუპსკაიას წინაშე.

არ მოსწონდა გრიგოლ რობაქიძის მიერ ლექციების რუსულად კითხვა, თავის სახლში ჯარიმას უწესებდა რუსული ფრაზების მოყვარულთ.

დიდი რუსი ხალხის ნაცვლად „ბევრი რუსი ხალხის“ ხსენება ერჩივნა.

თარჯიმნის თანხლებით შედიოდა საქართველოს კომპარტიის ცეკას მესამე მდივანთან – კოვანოვთან, რომელსაც რუსეთის აგენტად მიიჩნევდა.

მაგრამ ერთმანეთისგან განასხვავებდა რუსულ პოლიტიკას და კულტურას, იცოდა რუსი კლასიკოსების ფასი, „მისანს და წინასწარმეტყველს“ უწოდებდა დოსტოევსკის.

უიტმენის თარგმანის ჰონორარი ვერ მიიღო, რადგან რუსულად არ დაელაპარაკა ვისაპიანსცს.

როგორ ფასდებოდა ეროვნული ინტერესებით ნაკარნახევი მართებული პოზიციები მწერლისა? მისი მისამართით მოდიოდა ჭორების, ცილისწამების, ლანძღვის ნიაღვარი, არ იშურებდნენ რეაქციონერის, კონტრრევოლუციონერის, ფაშისტის, მავნებლის, პორნოგრაფის, ხალხის მტრის ეპითეტებს.

აიკრძალა „დიონისოს ღიმილი“, როგორც „ფაშისტური“ წიგნი.

1947 წ. სტალინის კრიტიკის შემდეგ გაანადგურეს უკვე აწყობილი ნოველების კრებული, როგორც „კაცთმოძულეობის“ იდეის მქადაგებელი.

ხელისუფლებასთან შეკრული მწერალთა კავშირი ტრიბუნას არ უთმობდა, რომ „კონტრევოლუციური იდეების“ ქადაგების საშუალება არ მიეცა, ღონისძიებებზე მოსაწვევის გაგზავნა „შემთხვევით“ ავიწყდებოდათ „კეთილმოსურნე“ კოლეგებს.

თავისი ნამდვილი მისიის დამვიწყებელ ორგანიზაციას ასე ამხელდა: „მწერალთა კავშირი იუბილეებით იქცევს თავს, მეშინია, დამმარხველ საზოგადოებად არ გადაიქცეს“.

ზედგომთა მიერ მოსყიდული უსუსური კრიტიკა სიცოცხლეს უმწარებდა. „გრანელ–გამსახურდიები წარმოადგენენ ქართული ლიტერატურის მკვდარ ადამიანებს, ისინი ჩვენი მწერლობის აქტივში არ შედიან, მკითხველები არ ჰყავთ, მათ ვერავითარი სული ვერ აღადგენსო“, იგესლებოდა პროლეტარული კრიტიკის ფალავანი შალვა რადიანი (ჟ. „პროლემაფი“, 1925, №1).

მწერალი „ინტელექტუალურ ინვალიდებს“ უწოდებდა ლიტერატურას მიტმასნილ, ხელისუფლების მიერ დაქირავებულ მჯღაბნელებს.

წერა–კითხვის უცოდინარ, გონებაშეზღუდულ კრიტიკოსებს აუწყებდა მწერალი, რომ ჭეშმარიტი კრიტიკა ანალიზის უნარია, შემოქმედება, უკვე თქმულისთვის „წამატება“ და არა „უნიათო სისინი“.

უპრინციპო, მედროვე კრიტიკოსებზე განაცხადა: „ზოგიერთი კრიტიკოსი უნივერმაღის კარებს მაგონებს, საითაც ხელს ჰკრავ, იქით გაიღებაო.“

„ბათა ქექიას“ რომენ როლანის „კოლა ბრუნიონიდან“ გადმომღები პროზაიკოსი ახალგაზრდობას მოძლვრავდა, კონსტანტინე გამსახურდიას გზით არ წახვიდეთო, მწერალმა ამხილა ის პლაგიატობაში და განაცხადა: „დემნა შენგელაია ვერ შესწვდება იმ ბედაურს, რომელზედაც მე ვზივარ ქართულ ლიტერატურაში“.

სოციალიზმის მედროშე ლეო ქიაჩელი, ხელისუფლების ჩინ–მედლებით გაამაყებული, თავს უფლებას აძლევდა, ზევიდან ეცქირა კონსტანტინე გამსახურდიასთვის, რის საპასუხოდაც დიდმა ნოველისტმა სოხუმით შემოსაზღვრა მედროვე მწერლის პერსონაჟების მოქმედების არეალი და ირონიულად დააყოლა: „გვადი ბიგვას“ ავტორი მე დამცინისო“.

თავს ესხმოდნენ მორწმუნეობის გამო, წმინდა გიორგისა და ჩვენი ზეციური დედის თაყვანისცემას „ბოდვად“, სიგიჟედ უთვლიდნენ „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორს და ალ. აბაშელს „ათეისტური მთავრობის რუპორი“– ბ. ბუაჩიძე.

„დიპლომის ფალსიფიკატორს“ უწოდებდა უცხო ენის უცოდინარი ტ. ტაბიძე ბერლინის უნივერსიტეტის დიპლომის მფლობელს.

მოსკოვში მწერლის წიგნების გამოცემით გაავებულ სანდრო შანშიაშვილს კონსტანტინეს მოკვლის განზრახვაც ჰქონია და თანამოაზრეთა მოძიებასაც ცდილა (10).

შურით დაბრმავებულებს დავიწყებიათ მოცარტის მტრის – სალიერის დასკვნა პუშკინის პოემიდან „მოცარტი და სალიერი“: „გენიოსობა და ბოროტება თურმე ერთად ვერ თავსდებიან“.

ათ წელს ითვლიდა კონსტანტინე გამსახურდიას პატიმრობა თბილისის, მოსკოვის, სოლოვკის არქიპელაგზე, სადაც წლის ყველა დროს მუდმივი ყინულით იყო კუნძულები გაერთებული,

ხოლო პოლარული გრიგალი ადამიანებს ჰაერში იტაცებდა, უგზო-უკვლოდ ქრებოდნენ ტუსაღე-ბი.

მწერალს მარტოობის გრძნობას უმძაფრებდა აისბერგზე გამოჩენილი წავი ბარტყით.

ტერენტი გრანელს ეიმედებოდა „მფარველი ძაღლი", კაცივით მოსიარულე ყვავი, ნიღბიან ინტელიგენციას გარიდებულ გალაკტიონს – ნავთქურის შემკეთებელი რუსი – „ტრუბკა", პრეზი-დენტობას ჩამოშორებულ და გროზნოში გახიზნულ ზვიად გამსახურდიას – ფანჯრის რაფაზე შე-მოსკუპებული ჩიტი, რომელსაც აპურებდა და ეკითხებოდა, ჩიტო, საქართველოდან რა ამბავი მომიტანეო.

1931 წ. მწერალთა კავშირიდან „მგლის ბილეთით" გარიცხული, უმუშევარი მწერალი ისევ დაჭერის შიშით ღამე ტყეში დაეხეტებოდა თავის ერთგულ ძაღლთან ერთად, რადგან ღამე აპა-ტიმრებდნენ პოლიტიკურად არაკეთილსაიმედოებს. მუშაობის უფლება არ ჰქონდა, შიმშილის გრძნობას ნანადირევით იკლავდა, მაგრამ ამ წინააღმდეგობებს ტრაგედიად კი არა, შემოქმედე-ბის სტიმულად აქცევდა და ასეთ სიბრძნეს გვამცნობდა: „ვისაც შიმშილი ან სიყვარული არ აწუ-ხებდა, მას არც არაფერი შეუქმნია ოდესმე".

„პირზე ბოქლომი მადევსო", წერდა რებეკა ვაშაძეს.

ეს საერთო ხვედრი იყო დაუმორჩილებელთათვის ტოტალიტარულ ეპოქაში. „პირზე ბოქ-ლომი მადევს და გასაღები ცეკას აბარიაო", აფიქსირებდა გალაკტიონ ტაბიძე დღიურში.

კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანებს ცუდად გადასწვდნენ ჟურნალ „ზნამიას" რეცენზენტი და ვიქტორ შკლოვსი, მაგრამ მწერალმა საფუძვლიანად გააქარწყლა მათი ცრუ ბრალდებები და ამაყად გვაუწყა: „თუ ჩემს ცხენს შეშველება დასჭირდა, იგი ნუმც მისულა პე-ლომდის".

ბრალდებად უთვლიდნენ იდეალისტობას, მისტიკურობას, ნიცშეანობას, მაგრამ როსტომ ჩხეიძის დაკვირვებით, ქართველმა მწერალმა ახლებურად წაიკითხა „ესე იტყოდა ზარატუსტრა „ და „მეხუთე სახარებადაც" აღიარა.

ასე ეძებენ ბიბლიასთან შემხვედრ მოტივებს ლაო–ძის „დაო დე ძინში", კრიშნას, ბუდას, მაჰმადის, ქრისტეს მოძღვრებებში ხედავენ ერთგვარ იდეებს (რაჯნეში).

უცხოეთთან, უცხოურ აზროვნებასთან ქართველი მწერლის მიმართების გზამკვლევად როს-ტომ ჩხეიძეს ესახება მისი „ქართველობა და უცხოეთის გენია".

არსებობდა პასუხგაუცემელი კითხვები როგორც მის შემოქმედებაზე, ისე ოფიციოზთან და-მოკიდებულების საკითხში.

როგორ გადაურჩა ოპოზიციონერი მწერალი ცოცხლად ხელისუფლების ჭანგებს, „აზრთა მმუსვრელი, სიკვდილის ცელის მპყრობელი უშემზარავესი წითელი მხედრის „წითელ ცენზურას", რომელიც თავებიანად ათიბავდა შემოქმედს მისთვის მოუღებელ აზრებს"? (გამოსათხოვარი) (11, 108).

ეპოქის საჭეთმპყრობელთა სატანური სულის ჩვენებასთან ერთად, როსტომ ჩხეიძე დამაჯე-რებლად გვარწმუნებს, როგორ შველოდა მწერალს ანტიადამიანურ ლეგიონთან დაპირისპირებაში ჰამლეტის, დონ კიხოტის, ოდისევსის ნიღბები, ზოგჯერ არაადეკვატური, არასერიოზული, არა-სანდო ადამიანის იმიჯი.

ხელისუფლება ნამდვილი ოპოზიციონერების დისკრედიტაციას ახდენდა, მოჩვენებით, ალვი-რამოდებულ „ოპოზიციას" ქმნიდა ჭეშმარიტ მებრძოლებთან დასაპირისპირებლად. „ბრძენი ოპო-ზიციონერები" რეჟიმის მიზნებს საუკეთესოდ ემსახურებოდნენ, „სათამაშო თოფის სროლით" კმაყოფილდებოდნენ" (1,68).

ხელისუფლებას სჭირდებოდა „მართვადი ოპოზიცია, „მართვადი ლიდერით".

რაკი ლიდერი პოპულარული პიროვნება უნდა ყოფილიყო, შეირჩა კონსტანტინე გამსახურ-დია და შედგა მისი შეხვედრა მოსკოვის სუკის მაღალჩინოსანთან – სუდოპლატოვთან.

როსტომ ჩხეიძე საგანგებოდ ხაზს უსვამს მწერლის არტისტულობას, თამაშის უნარს–ყო-ფით რეალობაში მოირგოს ვითარების შესაფერისი ნიღაბი.

მიზანში ამოღებული მიხვდა, რომ მისი უარი შეთავაზებაზე „უბედური შემთხვევით" დამ-თავრდებოდა და სცადა არაორდინარული, არასერიოზული, არასანდო, გაუწინასწორებელი ადა-მიანის ნიღაბი შეერჩია. მცდელობამ გაამართლა და მრავალნაცად ჩეკისტს ეჭვი შეატანინა მის ნიჭიერებაშიც, ავტორიტეტშიც. საბოლოოდ გააკეთებინა ერთადერთი, გამოსავალთან მორგებუ-

ლი დასკვნა: „ჰამლეტი და დონკიხოტი არ გამოგვადგება ჩეკისტურ დავალებათა ამსრულებლად“. (2, 242).

ასე დაუხუჭა მწერალმა ორივე თვალი თავისი ბრწყინვალე დიპლომატიური უნარის წყალობით დიპლომატიის მეტრად აღიარებულ სუკის მეთაურს.

ვფიქრობთ, ეს არის ბიოგრაფიული რომანის ერთ-ერთი უძლიერესი ადგილი, რადგან მუდმივად მუსირებდა ეჭვი მწერლის „შპიონობაზე“, რასაც ასე დამაჯერებლად აქარწყლებს წიგნის ავტორი.

როგორც არაერთგზის მითითებულია წიგნში, კაცთმოძულე, თავისუფლების იდეის მოძულე ხელისუფლებასთან მწერალს სჭირდებოდა მორჩილის, მოთვინიერებულის ნიღაბი, ფარი და ეს ფარი იყო პოლიტიკური კონიუნქტურის ნიმუშები: რომანები „ბელადი“, „ვაზის ყვავილობა“ (2,242).

საშიშროების სუნს რომ იყნოსავდა, მწერალი გულის გარეთ აქებდა, ადიდებდა „ჩვენი ხალხის დიდ შვილებს–სტალინს და ბერიას“. ზოგჯერ პათეტიკურად აცხადებდა: სამი სიცოცხლეც რომ მქონდეს, სამივეს უყოყმანოდ შევწირავდიო ხალხთა ბელადს.

ტირანულ საუკუნეში სიგიჟედ იყო მიჩნეული დამოუკიდებლობის, იმპერიიდან თავდახსნის იდეა.

მოშურნეთა, ხელმოცარულთა ირონიას იწვევდა მწერლის მიერ საქართველოში „ილიასებური დიდებით“ შემოსვლის პრეტენზია.

დონკიხოტური ოცნების სფეროს მიაკუთვნებდნენ მწერლის განაცხადს ქართული კლასიკური ნოველისა და რომანის შექმნის შესახებ.

„დონისოს ღიმილს“ არათუ კრძალავდნენ, მის დაწვას მოითხოვდნენ.

დრომ კი ეს წიგნი „მოდერნიზმის სახარებად“ აღიარა.

შოვინიზმად, კაცთმოძულეობად ინათლებოდა ეროვნული იდეების ერთგულება, „აქტუალური“, რევოლუციურ-სოციალისტური პრობლემებისადმი თავის არიდება, კოსმიურისადმი ინტერესი.

გვიან, მაგრამ მაინც მოვიდა დამსახურებული აღიარება.

დამარცხდნენ მწერლის თანამედროვე ეპოქის აპოკალიპსური მხეცები, ურჩხულები.

მრავალი განსაცდელი გამოიარა, ცხოვრების ყველა გამოცდა წარმატებით ჩააბარა, მრავალ უფსკრულს გაუსწორა თვალი, უამრავი საფრთხე განჭვრიტა და გადაარჩინა ეროვნული, მარადიული იდეალები.

ქართველი მწერლის ბრძენი მოძღვარი ნიცშე წერდა: „მხოლოდ მას აქვს ვაჟკაცობა, ვინ იცის შიში, მაგრამ სძლევს მას. ვინ უფსკრულსა ხედავს, ხოლო ამაყად.

„ვინც უფსკრულსა ხედავს, ხოლო არწივის თვალით – ვინც უფსკრულს ჩაავლებს არწივის ბრჭყალებს: მას აქვს ვაჟკაცობა“ (12,214).

როსტომ ჩხეიძის წიგნში მოთხრობილია, როგორც გადავიდა მწერლის გენეტიკური კოდები შვილის არსებაში, როგორ აღზარდა იგი მამამ „ჰანიბალის ფიცით“, როგორ იქცა მამის დონკიხოტური ოცნება შვილის არსებობის აზრად, როგორ ილვაწა, რა შედეგი გამოიღო ზვიადის იატაკქვეშა ორგანიზაციამ „გორგასლიანმა“, როგორ დასცა ძირს მისმა წმინდა გიორგისებურმა შემართებამ ერთი შეხედვით უძლეველი ურჩხული, რა დიდი იყო გამარჯვების სიხარული და, ამასთან, მსხვერპლი.

ბიოგრაფიული რომანის ავტორი მწერალს მიგნებულად ადარებს ბიბლიურ აბრაამს, ღმერთისთვის ისააკის შემწირველს.

კონსტანტინე გამსახურდიამ ყველა ბრძოლაში გაიმარჯვა, ერს ყველა ოცნება აუხდინა.

იწინასწარმეტყველა საქართველოს დამოუკიდებლობაც, ზვიადის პრეზიდენტობაც და მისი დამხობაც შინაური და გარეშე ძალების მუხანათობით (გაზ. „ნიკოლაძის გზით“, 2009, 15 მაისი).

უზენაესისგან ხელდასხმული დიდოსტატი მოგვევლინება, როგორც საბჭოთა იმპერიის „მრავალთავიან ჰიდრასთან მებრძოლი“ (მერაბ კოსტავა, გამოსათხოვარი) (11,108).

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ჰიდრა არის წყლის გველი, რომელსაც მოჭრილი თავების ნაცვლად ახლები ამოსდიოდა. მოკლა ჰერაკლემ (13,462).

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში ყურადღების მიღმა არ რჩება თენგიზ კიკალეიშვილის მიერ შესრულებული მწერლის ძეგლი. მისი უნიკალურობის საფუძვლად მიჩნეულია ადრესა-

ტის ხასიათის ძირითადი, არსებითი შტრიხების, დონკიხოტური საწყისების მკაფიოდ გათვალსაჩინოება.

მიჩნეულია, რომ ძეგლში სავარძელი, ხანჯალი, წიგნი, ჩოხა–ახალუხი მწერლის რაინდული სულის, ნიჭიერების, გამორჩეულობის, ერის ტრადიციებისადმი პატივისცემის, სახელოვანი წარსულის აპოლოგიის მაუწყებელი ატრიბუტებია.

წმინდა მამა მოგვიწოდებს „... ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით და ხსნის იმედის მუზარადით" (პავლე მოციქული, I თესალონიკელთა, 5,8) (17,442).

დიდოსტატი მწერალი, როგორც თვითონ ბრძანებს, ჭეშმარიტად იყო ერის მომავლის „მედაფდაფე და მეაბჯრე". კონსტანტინე გამსახურდია ცხოვრების ფოტოგრაფიულ ასლს კი არ იძლეოდა, არამედ თვითონ ქმნიდა ახალ მხატვრულ სინამდვილეს, რომელსაც ადამიანის სული, უფერული რეალობა უნდა გაემრავალფეროვნებინა და ცხოვრება თვით უნდა ყოფილიყო ხელოვნების მშვენიერების სამყაროს მიხედვით გარდაქმნილი: „რა ფასი აქვს ამქვეყნად მოსვლას, თუკი იგი ისეთივე დატოვე, როგორც შენამდე ყოფილა", აცხადებდა მწერალი და მისი ჯადოსნური სიტყვით მართლაც მოხდა ადამიანის ზნეობრივ-სულიერი სრულქმნა, სამშობლოს სვლა უმაღლესი იდეალის – თავისუფლებისკენ.

ახალი მითების მთხზველი მწერალი სიცოცხლეშივე იქცა მითოლოგიურ პიროვნებად.

მწერალს უწოდეს გმირი, მინდია, რაინდი, მოგვი.

მოიხსენეს, როგორც „საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი, შეუდარებელი, მსოფლიო მასშტაბის მარგალიტი, პროზის შევარდენი, ნიჭიერების მწვერვალი, ენციკლოპედიური, ქართული პროზის მძიმე არტილერია, ნამდვილი დიდოსტატი, ზოგადსაკაცობრიო (თინა კობალაძე, დაუვიწყარი ხმები) (14, 147-153).

მწერლის ნაწერები ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში.

საფრანგეთში რენე დომეკის თარგმანის შემდეგ „დიდოსტატის მარჯვენა" შეადარეს ფლობერის „სალამბოს", ვალტერ სკოტის რომანების გვერდით დაასახელეს. რეცენზიები უძღვნეს რემი ბერჟერანმა, ანდრე ვურმსერმა, პიერ გამარამ.

გერმანიაში აღტაცებული რეცენზიები გამოაქვეყნეს გერტრუდ პეჩმა, ალფრედ კურელამ, ა. ალექსანდერმა, ბოედერმა, გოტფრდ ვაიდელდაუერმა.

მსოფლიოს ლექსიკონებში და ენციკლოპედიებში მიუჩინეს ადგილი გერმანიაში, ჰოლანდიაში.

მწერალი გამოხმაურებებს და წერილებს ღებულობდა მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან.

გერტრუდ პეჩმა „ხოგაის მინდიაში" ფაუსტური პრობლემის გადაწყვეტა დაინახა..

დოქტორი ბუდენზიგი „გოეთესებურ სიღრმეს, სიფართოვეს და თანმიმდევრულობას" ხედავდა მის შემოქმედებაში (სერგო თურნავა, კ. გამსახურდია და უცხოეთის საზოგადოება (15).

ქართველი მწერალი აღიქვეს მითოლოგიურ პიროვნებად, უხორცო არსებად, აიგივებდნენ დავით აღმაშენებელთან, კონსტანტინე არსაკიძესთან.

უკრაინაში, მოსკოვში, სომხეთში ყვავილებს უფენდნენ გზაზე, ოვაციებით ხვდებოდნენ.

მცხეთაში მოსწავლეებმა ხელით გადაწერეს და ვერცხლის ყდაში ჩასვეს „დიდოსტატის მარჯვენა", ოქროს კალამი აჩუქეს ქუთაისში.

მოიხსენიეს „იბერიის მახვილად", გენიოსად.

ქართველმა მთამსვლელებმა პამირის ერთ-ერთ მწვერვალს უწოდეს კონსტანტინე გამსახურდიას სახელი.

ქართული სიტყვის მინდიას გალაკტიონივით შეეძლო ეთქვა: „განისვენებდე, პოეტო, ლომო, არცერთი ომი არ წაგვიგია".

გვახსენდება წმინდა წერილი: „როგორ გაბრძენდი შენს სიჭაბუკეში.

„მდინარესავით აივსე გონიერებით, შენმა სულმა დაფარა დედამიწა და აღავსე იგი იდუმალი იგავებით.

„შორეულ კუნძულებს მისწვდა შენი სახელი და შეგიყვარეს შენი სიწმინდისთვის.

„შენი საგალობლებით და ანდაზებით, იგავებით და განმარტებებით განცვიფრდნენ ქვეყნები" (სიბრძნე ზირაქისა) (47, 14, 15,16,17) (16,69).

კონსტანტინე გამსახურდია თავისი ხალხის ხსოვნაში დარჩა და დარჩება, როგორც „სავსებით უნიკალური მოვლენა ჩვენს ისტორიაში–ბიოგრაფიით, ერუდიციით, შემოქმედებით, გაუტეხელი სულით, წარუვალი ღირებულებების ქმნილებათა ავტორი“ (სოსო სიგუა) (18,8).

სწორედ ამ უნიკალური ფენომენის მრავალი სპექტრით გააზრება–გაცნობიერებაა როსტომ ჩხეიძის „პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა“.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ზვიად გამსახურდია, დილემა კაცობრიობის წინაშე, თბ. 1996
2. როსტომ ჩხეიძე, პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა“, თბ. 2016
3. სტეფან ცვაიგი, ფანტასტიკური ღამე, თბ. 1966
4. Набоков В. Лекции о Дон Кихоте, Санкм Петербург, 2000
5. М.С. Самарина, Франциск Ассизский и Дон Киход Ламанчский, 2008
6. Библейский сюжет в романе Сервантесса Дон Киход в интерпетации Е. Шварца
7. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
8. ზვიად გამსახურდია, წერილები, ესეები, თბ. 1991
9. კონსტანტინე გამსახურდია, ვაზის ყვავილობა, თბ. 1956
10. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2009, 10-16 აგვისტო, №33 (777).
11. მერაბ კოსტავა, შეწყვეტილი ფიქრები, თბ. 1990
12. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის,თბ. 1993
13. მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი,თბ. 1975
14. ჟ. „ცისკარი“, 1978, №10
15. გაზ. „ლიტერატურული საქართველო, 1972წ. 13 ოქტომბერი
16. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
17. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
18. სოსო სიგუა, მარტვილი და ალამდარი, I, თბ. 1997


Luara Sordia

Rostom Chkheidze's *The Portrait of Odyssey's Youth*
Distinguished by Don Quixotic Courage and Heroic Spirit

Resume


Rostom Chkheidze's biographic novel reflects Konstantine Gamsakhurdia's actions dictated by Don Quixotic courage and heroic spirit.

The writer defiantly fought against apocalyptic beasts; exposed the tyranny of the epoch and antinational policy of the government.

Result of each of his actions was premeditated by infallible intuition and turned everything that at first glance seemed as fantastic, into reality.

By his creative works the writer prepared grounds for national independence; which was achieved eventually.

He created the innovative examples of Georgian classic novella and novel and found his place in the world literature.

If Don Quixote won only 20 from the 40 battles, Konstantine Gamsakhurdia had to go through far more fights against the enemies of his country and of truth; and he came out from each of them as the winner.

**Ratiani Lali**
*Professor Doctor Staatlicher Universität Suchumi*



## SATZGEFÜGE MIT DEM KOMPARATIVSATZ
## (Adverbialsatz des Vergleichs)

Der Komparativsatz erfüllt im Satzgefüge die Funktion der Adverbialbestimmung des Vergleichs − stellt die Unterschiede oder Übereinstimmungen zwischen den im Haupt – und im Nebensatz angegebenen Sachverhalten, Vorgängen oder Zuständen, Eigenschaften oder Merkmalen fest, vergleicht sie miteinander. Die Komparativsätze antworten auf die Frage wie? z.B.Seine Vergangenheit behandelt er so, wie man sich an eine Jugendtorheit erinnert. (R. Musil).Wie behandelt er seine Vergangenheit?

Je nachdem, wechler Abart der Komparativsatz ist, wird er durch die Konjunktionen: **wie, als, je ... desto, je ... um so, je ... nachdem, je ... je, so ... so, als ob, als wenn, wie ... so, wie wenn** eingeleitet.

Der Stellung nach sind die Komparativsätze meist **Nachsätze**, seltener **Vorder**-oder **Zwischensätze**.z. B.Wie die in vielen Kriegen bewährten Männer es gelernt hatten, hatten die Plebejer ihren Lagerplatz mit Wall und Graben umgeben. (R. Carstensen).

Ihrer Bedeutung nach werden die Komparativsätze in zwei Abarten eingeteilt **reale** und **irreale** Komparativsätze.**Die realen Komparativsätze** enthalten einen realen Vergleich von Sachverhalten. Sie werden in zwei Gruppen gegliedert: **die realen Komparativsätze der Gleichheit** und **die realen Komparativsätze der Ungleichheit.**Die Sätze der ersten Gruppe stellen die Identität der realen Vorgänge, Zustände, Eigenschaften, Merkmale im Träger- und im abhängigen Satz fest. Sie sind Konjunktionalsätze und werden durch die Konjunktion **wie** eingeleitet. Das Satzglied, auf das sich der **wie**–Nebensatz bezieht, kann dargestellt werden:

**a) durch das Verb: z. B. Aber der Papst hat** eingewilligt, **wie sie sagen. (H. Mann). -**
**b) durch das Adverb/Adjektivadverb: z. B. Auch ihm hilft er** gern, **wie er jedem mit Rat und Tat zur Seite steht. (Cl. Back).**
**c) durch das Partizip 1: z.B.Da trat die Mutter ein und blickte** tadelnd **ringsum, wie sie es nicht selten tat. (L. Frank).**
**d) durch das Partizip 2. z. B.Die Nachbarn sprechen darüber sehr** aufgeregt, **wie sie nie zuvor gesprochen haben.**

Im Satzgefüge mit einem **wie** - Komparativsatz enthält der Hauptsatz oft die Korrelate: **so, ebenso, genauso, geradeso, gleichso,** die die Identität der zu vergleichenden Sachverhalte betonen. z.B.

Der Junge spielte seine Rolle **so** geschickt, wie sie ein echter Künstler spielen kann.

ეგვიპტის რელიგიის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რაც ფარაონ ეხნატონს უკავშირდება. 1370 წ. ეგვიპტის ტახტზე ავიდა ამენხოტეპ IV, რომელმაც სულ რაღაც 6 წლის მანძილზე შეძლო მსოფლიო რელიგიის ისტორიაში რეფორმატორის სახელი დაემკვიდრებინა იმით, რომ პოლითეისტური ეგვიპტური რელიგია მონოთეიზმისაკენ წაიყვანა. დატოვა ძველი დედაქალაქი თებე, ააშენა ახალი გრანდიოზული დედაქალაქი ახეტატონი, ღმერთად გამოაცხადა მზის დისკო-ატონი. მიატოვა სახელი ამენხოტეპი IV („ამონი კმაყოფილია") და დაირქვა ეხნატონი („ატონის მაამებელი"). მრავალი ღმერთის ნაცვლად ერთი ღმერთის „ატონის" თაყვანისცემა შემოიღო. ქურუმებმა ფარაონის სიკვდილის შემდეგ დაიბრუნეს „ამონი" - ღმერთი, გააუქმეს ახალი დედაქალაქი და ეხნატონის სახელის ხსენებაც კი აკრძალეს. როგორც ჩანს, ეხნატონის რეფორმები ქურუმთა ძალაუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. მეცნიერებაში ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია კითხვები: რა ობიექტურ საფუძველს ეყრდნობოდა ახალგაზრდა ფარაონის რელიგიური რეფორმები. საბოლოოდ, ასეთი თვალსაზრისია ჩამოყალიბებული: XV ს.-ში 1450-1400 წლებში ძვ.წ. ეგეოსის ზღვაში კ. სანტორინზე მოხდა უდიდესი ვულკანური ამოფრქვევა, რამაც დიდი ხნით დაფარა ცა მომწამვლელი ნივთიერებებით, სიბნელე ჩამოწვა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, მათ შორის ეგვიპტეში. ვულკანური ამოფრქვევა ერთბაშად არ მომხდარა, იგი ნელ-ნელა პერმანენტულად მიმდინარეობდა. ახლა ხშირად წერენ, რომ ეს სწორედ ის „ეგვიპტური სიბნელეა", რომელიც ჩამოწვა ებრაელების ეგვიპტიდან წამოსვლის პერიოდში. სიბნელე ეგვიპტელებმა ღვთის წყრომად მიიჩნიეს: გვალვა, მოუსავლიანობა, გველ-ხვლიკების მომრავლება ქვეყანას შიმშილით ამოწყდომას უქადდა. შესაძლოა, სწორედ ამ ნიშნებმა შეუწყვეს ხელი მოსეს განზრახვის განხორციელებაში, დაეთანხმებინა ფარაონი ებრაელთა გაშვებაზე (ებრაელების პირველ გამოსვლას ეგვიპტიდან ისტორიაში პირველად მე-15 ს.-ში ძვ.წ. მოიხსენიებენ). შესაძლოა, მასების წარმოდგენა ძველი ღმერთების ყოვლისშემძლეობაზე შეირყა, აფეთქებებმა შეამზადეს ნიადაგი რელიგიური ცვლილებებისათვის. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ეხნატონ III-ის მეფობა „ოქროს ხანად" მოიხსენიება: რელიგიური შემწყნარებლობა, საზოგადოებაში თავისუფალი ურთიერთობა შედარებით სხვა ფარანთა ბატონობასთან – ეხნატონ III-ის მმართველობის ამ ნიშნებმა ერთგვარად შეუწყვეს ხელი თავისუფალ აზროვნებას. ამას დაერთო ბუნებრივი კატასტროფა და როცა მისი შვილი ეხნატონ IV ადის ტახტზე, ამ უკანასკნელს ეადვილება თავისი რეფორმების განხორციელება. მმართველობიდან მე-17 წელს ეხნატონი გარდაიცვალა და ტახტზე ადის მისი მემკვიდრე სემნეხვარა, იგი აგრძელებს ეხნატონის რეფორმებს, ატონის თაყვანისცემას, მაგრამ მისი მეფობის მესამე წელს ისევ ბრუნდება ამონის კულტი, ფარაონის სახელიდან ქრება „ატონი". სემნეხვარას შემდეგ ტახტზე ადის სრულიად ყმაწვილი ტუტანხამონი. ქურუმებმა ყრმა უფლისწული აიძულეს უარეყო ატონის კულტი. საბოლოოდ აღდგა ძველი ტაძრები, დაბრუნდა ძველი დედაქალაქი, ეხნატონის გვამი-მუმიაც კი სახელამოკაწრული დარჩა ისტორიაში. მისი მეუღლე

იყო მშვენიერი ნეფერტიტი. ეხნატონისა და მისი მეუღლის სარკოფაგები იპოვეს დელ-ამარნაში. ნეფერტიტის ორი ბიუსტია ჩვენამდე მოღწეული. იგი 1912 წ. ლ. ბორდჰარტმა იპოვა ამარნაში.

ამდენად, ეგვიპტის რელიგიაში პანთეონს უზენაეს ღვთაებად შემორჩა ამონი („იდუმალი"). თებეს აღზევების შემდეგ იგი შეერწყა „რას" ღვთაებას და ერთიანი უზენაესი გახდა „ამონ-რა" – მზის ღვთაება, ჰორი – შევარდენი – ოზირისის შვილია, ოზირისი – ნაყოფიერების ღმერთია, მისი მეუღლე – იზიდა, ბოროტი ძმა ოზირისისა – სეთია. ენუბისი – მიცვალებულთა ღვთაებაა, ატონი – მზის დისკო, ატუმი – ჰელიოპოლისის ცხრა ღვთაების მამამთავარი, თოთი – დამწერლობის, სიბრძნის ღმერთი, ნეფტისი – ბოროტი სეთის მეუღლე, პტაჰი – მემფისის კოსმოლოგიური ღმერთი, სოხმეტი – ომის ქალღმერთი, გამოხატავენ ლომისთავიან ქალად, ჰათორი – ცის ღვთაებაა, ფარაონის მფარველი, ძროხისთავიანი ქალის სახით.

ძველი მეფობის ხანის სიდიადეზე პირამიდები მეტყველებენ. სამოქალაქო არქიტექტურის არანაირი ძეგლი არაა შემორჩენილი, წარმოდგენას გვიქმნის მხოლოდ სარკოფაგებზე შემორჩენილი გამოსახულებანი ფარაონთა სასახლეების. პირამიდების მშენებლობა მიცვალებულთა სულისა და სხეულის იმქვეყნიური მოსასვენებლის მიზნით დაიწყო. სულ 100-მდე პირამიდაა მიკვლეული. ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იცნობენ რკინის იარაღებს, სამუშაო ქვის იარაღებითაა შესრულებული, თუმცა ბოლომდე ამოუხსნელია ამ გრანდიოზულ ნაგებობათა მშენებლობის საიდუმლოებანი.

პირამიდის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა უკავშირდება „პირას" – ცეცხლი. არაბები „ალხარაბს" უწოდებენ. ბერძნულად პირამიდა ასე იშიფრება: „პერ-ემ-ეს", რაც სახლის სიმაღლის განმსაზღვრელი ტერმინია. ხეოფსის პირამიდამ აღტაცებაში მოიყვანა ნაპოლეონი, რომელმაც მეცნიერებს გამოანგარიშებინა, რომ გიზის სამ პირამიდაში გამოყენებული ქვის ბლოკებისგან შეიძლებოდა საფრანგეთისთვის 3 მ. სიმაღლის და 0,5 მ სისქის კედელი შემოევლოთ. პირამიდის სიმბოლურობა მის ფორმაშია ჩადებული. კვადრატული საფუძველი ოთხი კუთხით სიმბოლურად განასახიერებს სამყაროს შემადგენელ ოთხ სტიქიას – წყალს, ცეცხლს, ჰაერსა და მიწას. სამკუთხედი კი ღვთაებრიობის სიმბოლოა – მზისკენ მიმართული.

კლასიკური ტიპის პირამიდებს გიზის სამი პირამიდა წარმოადგენს: ხეოფსის (სიმაღლე 147,6 მ. დღეისათვის კი 137 მ-ია) ამშენებელი ხემიუნია. ხეფრენის პირამიდა და მისი შვილის – მიკერინის (ამშენებელი დებრეინი). ხეფრენის პირამიდის წინ დგას სფინქსის (20 მ სიმაღლისა და 57 მ სიგრძის) უდიდესი ქანდაკება. სფინქსს (ბერძნ. „მახრჩობელა") ეგვიპტელები „საშინელებათა მამას" ეძახიან. იგი ფარაონის სიძლიერის სიმბოლოა ადამიანის პირისახით ანუ გონიერებით და ლომის ტანით ანუ ფიზიკური ძლიერებით. სხვადასხვა ზომის სფინქსებია მოძიებული მემფისის (ძველი ეგვიპტის დედაქალაქი) ტერიტორიაზე. სფინქსთა ხეივანი აკავშირებდა კარნაკისა და ლუქსორის ტაძრებს. სფინქსი ბერძნულ მითოლოგიაშიც გვხვდება, მხოლოდ მდედრობითი სქესისა – ფრთებითა და გველის კუდით.

თუ პირამიდების მშენებლობა ფარაონთა სამარხად სამყაროს ერთ-ერთი საოცრებაა, ასევე საოცრებაა მათი მძარცველების ოსტატობაც. ყველა სამარხი გაძარცვულია. ასევე „მეფეთა ველზე", სადაც შუა მეფობისა და ახალი მეფობის ეგვიპტის ფარაონებს კლდეში იდუმალი წესით მარხავდნენ.

პირამიდების მშენებლობა დიდ ხარჯებსა და ძლიერ ხელისუფლებას ითხოვდა, რაც ძველი მეფობის ეგვიპტისათვის ნიშანდობლივია (ჯოსერის პირამიდა საკარაში, არქიტექტორია იმჰოტეპი, სნოფრუს პირამიდა დაშურში). პირამიდა ფარაონის სიძლიერისა და დესპოტური მმართველობის სიმბოლოა, რომელიც კონუსის ფორმით მონათმფლობელური საზოგადოების იერარქიულ წყობას განასახიერებს. თავში ფარაონია, მის ქვემოთ ქურუმთა კასტა, შემდეგ სამხედრო ჩინოვნიკები და სულ ქვემოთ მასა დაბალი ფენის. პირამიდის კედლები (შიდა) დაფარული ე.წ. „პირამიდული ტექსტებით", იეროგლიფებით, ფერადი ფრესკებით, რელიეფებით ფარაონთა ცხოვრების სცენებით. ფარაონთა სხეულის შესანახად მუმიფიცირებას ახდენდნენ, რაც 72 პროცესს შეიცავდა.

შუა მეფობის ხანაში (22-18 სს. ძვ.წ.) ეგვიპტის დედაქალაქია თებე. ფარაონები ველარ აშენებდნენ პირამიდებს, რომლებიც ისედაც ვერ იცავდნენ ფარაონთა სამარხებს მძარცველებისგან, ამიტომ ფარაონთა სამარხებს „მეფეთა ველზე", მემფისის აკროპოლისში კდლეებში აშენებდნენ.

იგება ამონის ტაძარი. კარნაკისა და ლუქსორის ტაძრები, იზრდება სწრაფვა რეალიზმისაკენ ლიტერატურაში. ჩნდება ახალი ჟანრები, მხატვრობა ნილოსის პეიზაჟით ივსება. შუა მეფობის ხანა ყველაზე მოკლე ხანა იყო. ახალი მეფობის ხანა ძვ.წ. XVI ს.-დან იწყება და გრძელდება XI ს.-მდე: ჰიქსოსები საბოლოოდ განდევნეს ეგვიპტიდან, იწყება ეგვიპტური კულტურის ახალი ძალით აფეთქება. შენდება სამი ტიპის ტაძრები: მიწისზედა, კლდოვანი და ნახევრად კლდოვანი. კარნაკის ტაძრის ახალი მშენებლობა იწყება რამზეს II-ის დროს (XIII ს.) ეგვიპტური ტაძარი კოლონების სიმფონიაა. კოლონის თავები მთავრდება გაშლილი ლოტოსით ან შეკრული პაპირუსით. სწორედ ამ პერიოდში დამთავრდა სფინქსების ხეივნის მშენებლობა. ნახევრად კლდოვანი სატაძრო კომპლექსები წააგავდნენ გადმობრუნებულ ლათინურ ასოს „თ"-ს. ტაძრის ფასადს თხრიდნენ კლდის გარე ნაწილში, ტაძრის შიგთავსი კი კლდის სიღრმეში იყო მოქცეული. ამ მხრივ უნიკალურია აბუ-სიმბალეში. რამზეს II-ის ტაძარი. ანსამბლი ორი დიდი და პატარა ნაგებობისგან შედგება. პირველი ეძღვნება რამზეს II-ს, რომელმაც 90 წელი იცოცხლა, ძლიერი ფარაონი იყო, ზავის პირობების შემომტანი აღმოსავლეთის ისტორიაში და სამ ღმერთს – ამონს, რას და პტაჰას. მეორე ნაგებობა ტაძრისა ქალღმერთ ჰათორის სახელზე იყო აშენებული. ტაძრის წინ კლდეში გამოკვეთილია 20-მეტრიანი, სვეტებში გამოყვანილი რამზეს 4 ძეგლი-კოლოსი. ფარაონი ზის ტახტზე. ხელები მუხლებზე უწყვია. I დარბაზში ოზირისის სახით გამოხატული რამზეს II-ის ოთხწახნაგოვანი ძეგლია ამონის, რას, პტაჰის ძეგლებთან ერთად.

ტრადიციის საპირისპიროდ ტაძარი მდებარეობდა ნილოსის დასავლეთ ნაპირზე და მიმართული იყო აღმოსავლეთისკენ. მზის პირველი სხივები ტაძრის სიღრმეში იჭრებოდა და საოცარ ფერთა გამას აღწევდა.

ახალი სამეფოს კულტურის სიახლე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკლდამის გამოყოფაა მოსასვენებელი ტაძრისგან, „მეფეთა ველის" – ფარაონთა სამარხის – შექმნაა. იგი დაკავშირებულია ფარაონ ტუტმოს I-ის სახელთან. ამ ველის სამარხების აღმოჩენა არაბი გლეხის აბდალ-რასელის სახელთანაა დაკავშირებული. იგი ვაჭრობდა მეფეთა ველის ზედაპირზე მოძიებული ძვირფასი ნივთებით. ეს იყო 1881-82 წლებში. არქეოლოგებმა იპოვეს სეტი I-ისა და რამზეს II-ის კუბოები, სამარხები უკვე გაძარცვული იყო, მეფეთა ველზეა ფარაონი ქალის ხოტშაპტუსის ტაძარი და სამარხი. XVI ს.ძვ.წ. კარნაკის ერთ-ერთი ობელისკი ჰატშეპსუტის სახელზეა აშენებული და მასზე ამოკვეთილია ჰატშეპსუტის სადიდებელი სიტყვები. ეს ტაძარი თეთრი მარმარილოსგან აშენებული, იარუსების სახით საუკუნეების მანძილზე უზარმაზარი ქვიშის ფენით იყო დაფარული. ბრწყინვალე იყო ტაძრის შიდა ინტერიერი. პორტიკების კედელზე ეკიდა რელიგიური კომპოზიციები, რომლებშიც გადმოცემული იყო ჰატშეპსუტის შთამაგონებელი წარწერები. ეს წარწერები მოწმობენ, რომ ქალი-ფარაონი ოფიციალურად ღმერთ ამონის ქალიშვილად ითვლებოდა. მას მფარველობდა ქალღმერთი ჰათორი, რომლის გამოსახულება ყველგანაა. კაპიტელები ჰათორის თავს წარმოადგენს, რომელიც ძლიერ წააგავს ჰატშეპსუტს. ტაძრის შიდა მორთულობა მდიდრულია, ოქრო-ვერცხლის ფილებითაა იატაკი მოფენილი, ლაჟვარდოვანი ქვებითა და ბრინჯაოთ ინკრუსტრირებული აბაზანის ხის კარები, ხელოვნების მაღალ დონეზე მიუთითებს, 200-ზე მეტი ძვირფასი ქვის სტატუებია.

„მეფეთა ველის" სამარხები ფარაონთა ნეკროპოლია, თუმცა აქვეა დიდებულთა, ქურუმთა, ხელოვანთა ნეკროპოლები სხვადასხვა ფრესკით. ახალი მეფობის ხანის ხელოვნების ცენტრია თებე. რად ღირს მხოლოდ კარნაკის კედლებზე მოხატული სცენები, 400-მდე ქანდაკება ტაძრის შიგნით, როგორიცაა „ამონის მომღერალი", ქალური სილამაზის სიმბოლო, ლოტისის ყვავილს ჰგავს. თვალებში სულიერება, მოუსვენრობა იგრძნობა. ძველი ქანდაკებისგან განსხვავებით ჩვეულებრივი ადამიანური ფორმისაა და სულიერებით გამოირჩევა. ახალი დროის ქანდაკებებში იგრძნობა მეტი რეფლექსია, დინამიკა, მგრძნობელობა, მონუმენტურ მხატვრობაში კი ნადიმის, ზეიმის, ნადირობის, ტრფიალების, ცეკვების სცენებია გადმოცემული.

აღსანიშნავია, რომ ფარაონთა სამარხებში უზარმაზარი სიმდიდრე იქნებოდა ჩაფლული, მხოლოდ ადამიანთა მსხვერპლის კვალი არსადაა, რაც მოწმობს, რომ ეგვიპტური რელიგია ჰუმანური იყო და ადამიანს არ ითხოვდა მსხვერპლად. ფარაონებს სამარხებში ატანდნენ ნიღბებს ოჯახის წევრების (ფაიუმში აღმოჩნდა მოგვიანებით). მსხვერპლშეწირვის როლს ხელოვნება ასრულებდა.

აღსანიშნავია ახალი მეფობის ხანიდან ტელ-ალ ამარნაში, „მზის ჰორიზონტის“ ქალაქის კლდოვან აკლდამებში, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი კედლის ნახატები თავიანთი ნატურალისტური სცენებით მეფის ოჯახის ცხოვრებიდან. ეს ეხნატონის ოჯახის სცენაა: ეხნატონი, მეუღლე – დედოფალი ნეფერტიტი და ქალიშვილები დაყრდნობიან აივნის მოაჯირს და ზევიდან დასცქერიან სასახლის წინ მოზეიმე ხალხს. მოაჯირზე ფერადი ბალიშები ალაგია, სვეტებზე კი ლოტოსისა და ბაფთების გირლიანდები ჰკიდია. მეორე სურათზე ეტლზე შემდგარი ეხნატონია აღვირით ხელში. ეტლს შუბებით, მშვილდებითა და კომბლებით შეიარაღებული მეომრები მისდევენ. ფარაონი ტაძარს უახლოვდება, მას ქურუმები და დაირით მოცეკვავე ქალები ხვდებიან.

ეგვიპტის ისტორიაში გვიანი პერიოდი „საისურიად“ იწოდება, რადგან დედაქალაქი საისი გახდა. ამ ეპოქის დამახასიათებელია ძველი სილუეტების გამეორება, მხოლოდ შესრულების მანერაა განსხვავებული. დახვეწილი სტილი, ნარნარა ხაზები, რელიეფები თავისუფალ შინაარსობრივ დატვირთვას იღებენ, გაიზარდა ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობათა რიცხვი. გაიშალა ტაძრების მშენებლობა. საისში აშენდა მთავარი ღმერთის ნაიტის დიდი ტაძარი, სადაც მეფეებს მარხავდნენ, ტაძარს ჩვენამდე არ მოუღწევია. საისის სახელმწიფო დაეცა სპარსეთთან ბრძოლაში 525 წ. ძვ.წ. შემდეგ ალ. მაკედონელმა დაიპყრო ეგვიპტე, რის შემდეგაც ანტიკური პერიოდი დაიწყო. ელინისტურ ხანაში ბერძნული და ეგვიპტური კულტურის სინთეზი განხორციელდა, ჩამოყალიბდა ქ. ალექსანდრიაში მძლავრი ლიტერატურული სკოლა. ალ. მაკედონელის მემკვიდრეებმა ქ. ალექსანდრია დააარსეს. დიადოხოსმა პტოლემეოს I-მა იგი ეგვიპტის დედაქალაქად აქცია, ქალაქის დაგეგმარება კვარტლებად ჰოპოდომოს მილეთელმა შეასრულა. ერთ-ერთ მთავარ კვარტალს „ბრუხეიონი“ ეწოდებოდა, ქალაქის კულტურულ ცენტრში გაშენებული იყო მუსეიონი, ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, „მუზების ტაძარი“, მუსიკალური სცენებით, სავარჯიშო სტადიონებით, ამფითეატრონებით. მუსეიონი („მუზების ქალაქი“) ააგო თეოფრასტეს (არისტოტელეს მოწაფე) მოწაფემ დემეტრიოს ფალესელმა. ბიბლიოთეკაში 440000 გრაგნილი იდო, პტოლემეოს II-ის დროს კი 700000. ბიბლიოთეკა პირველად დაიწვა I ს.-ში ძვ.წ. 47 წ. საბოლოოდ კი – 273 წ. ახ. წ-ით. ალექსანდრიაში მოღვაწეობდნენ ევკლიდე, არქიმედი, აქ ითარგმნა ბერძნულად ბიბლია. ალექსანდრიაში მომუშავე არქიმედმა ააგო პირველი პლანეტარიუმი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა წყალს, გამოიგონა საბრძოლო იარაღები. აქვე ჩამოყალიბდა მედიცინა დამოუკიდებელ მეცნიერებად.

კუნძულ ფაროსზე ქ. ალექსანდრიასთან პტოლემეოსის ბრძანებით სოსტრატ კნიდელმა ძვ.წ. 299 წ. ააგო შუქურა. 120 მ სიმაღლის სამიარუსიანი გიგანტური ნაგებობის მესამე სართულს გუმბათი წარმოადგენდა, თავზე პოსეიდონზე ქანდაკებით. შუქურა ციხე-სიმაგრესაც წარმოადგენდა წყლის მარაგით. სოსტრატმა თავისი სახელი წააწერა ძეგლს, მერე ბათქაშით დაფარა და ზემოდან მეფის სახელი წააწერა. 1326 წ. XIV ს.-ში შუქურა მიწისძვრამ დაანგრია.

# შოთა რუსთაველი – 850

**მანანა კვატაია**

## ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებიდან

1966 წელს პარიზში ქართულმა ემიგრაციამ შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამოსცა ჟურნალ „კავკასიონის“ საგანგებო, XI ნომერი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ერთგვარი მცირე ენციკლოპედიაა. გამოცემის მეცნიერული და შემეცნებითი ღირებულება იმითაცაა უნიკალური, რომ მისი პუბლიკაციების უმეტესობა თვით ჟურნალის რედაქტორს, გამოჩენილ რუსთველოლოგს ვიქტორ ნოზაძეს ეკუთვნის.

ხელოვნებისა და მეცნიერების ჟურნალი „კავკასიონი“ ქართველმა ემიგრანტებმა პარიზში, 1929 წლის იანვარ-თებერვალში დააარსეს. მის სათავეებთან ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად ქარ-

თველ მოსწავლე-ახალგაზრდათა ეროვნული გაერთიანება იდგა. ჟურნალმა პირველივე ნომრის დეკლარაციაში განაცხადა: „უცხოეთში გადახვეწილი ქართველი საზოგადოება მოკლებული იყო ისეთ გამოცემას, რომელშიც სიტყვა კაზმული, მხატვრული და მეცნიერული – დაისადგურებდა.. დრო და ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის გვიბრძანებს: გაისმოდეს თავისუფალი სიტყვა, საქართველოში რომ ხიშტზეა წამოგებული. კრებული ასრულებს ამ ბრძანებას“. საკუთარ მენტალურ კრედოს „კავკასიონმა“ ბოლომდე უერთგულა. 1964-1973 წლებში ჟურნალს ვიქტორ ნოზაძე რედაქტორობდა.

„კავკასიონის“ 1966 წლის საიუბილეო კრებულს შოთა რუსთაველის პორტრეტები ამშვენებს, პირველ პუბლიკაციად კი წარმოდგენილია ემიგრანტი პოეტის გიორგი გამყრელიძის ლექსი „პლანეტების სიმფონია“, დიდ მგოსანს რომ ეძღვნება. საოცარი ემოციითაა დამუხტული ვიქტორ ნოზაძის ესე „შოთა რუსთაველს“, რომლის ყოველი სიტყვა გენიალური პოეტისადმი მეცნიერის უდიდესი მოწიწებისა და სიყვარულის გამჟღავნებაა: „შენ ბრძანდები მფლობელი ქართული მხატვრული გენიისა. და ქართველი ერი ამით არის მოჯადოებული. შენ ბრძანდები დიდი მუსიკოსი ქართული სიტყვისა. და ქართველი ერი შენი მუსიკით არის მონუსხული!.. შენ ბრძანდები მახარობელი სიკეთის გამარჯვებისა. და ქართველ ერს სწამს სიკეთის გამარჯვება!.. ამიტომ ბრძანდებით შენ და ქართველი ერი განუყოფელი, განუშორებელი, განუყრელი. თქვენ იცოცხლეთ მარად ჟამს, იცოცხლეთ უკუნითი უკუნისამდე!.. სანამ მზე მზეობს და ეს მსოფლიო ცოცხლობს!“ (ნოზაძე 1966: 11) – აი, მცირე ფრაგმენტი ამ ვრცელი დიალოგიდან.



ჟურნალის საიუბილეო ნომერში დაბეჭდილია ემიგრანტი ავტორების: რ. არსენიძის, ა. პაპავას, ალ. შათირიშვილის, ალ. მანველიშვილის, გ. წერეთლის, გ. გამყრელიძის რუსთველოლოგიური წერილები, გ. გამყრელიძის, გ. ყიფიანის, ე. აბულაძის ლექსები. 1966 წლის „კავკასიონის“ სამეცნიერო პუბლიკაციათა უმეტესობა ვიკტორ ნოზაძის პირველხარისხოვანი გამოკვლევებია, რომელთა დიდი ნაწილი ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია.

მეცნიერს 1962 წლის სექტემბერში მადრიდში დაუწერია ნაშრომი: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“, სადაც საფუძვლიანი კვლევის შედეგად მიღებულია დასკვნა: „ვეფხისტყაოსანში“ დასახელებული „დივნოსი“ არის დიონისიოს არეოპაგელი, ქრისტიანი თეოლოგოსი და ფილოსოფოსი.. მთელი მისი აზროვნება არის, რასაკვირველია, ქრისტიანული ფილოსოფიისა, რაც ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობას ასაზრდოებს“ (ნოზაძე 1966: 17). მკვლევარი მსჯელობს საკითხზე: რა კავშირი შეიძლება არსებობდეს 1492-ე შაირის „დივნოსს“ და 177-ე შაირის „დიონოსს“ შორის? (ეს კითხვა თავის დროზე ნ. მარსაც გასჩენია). ვ. ნოზაძე ამ პირების იდენტობას უარყოფს, არგუმენტი კი ასეთია: „177 შაირში „დიონოსი“-ს მიერ თითქოს ნათქვამი ფსიქოლოგიური დებულება „დივნოსის“ ანუ დიონისე არეოპაგელის თხზულებებში არსად გვხვდება.. ესე იგი „დიონოსი“ არ არის დიონისე არეოპაგელი“ (ნოზაძე 1966: 20).

1960 წლის აგვისტოში დაუწერია, 1965 წლის მაისში კი შეუვსია ვიკტორ ნოზაძეს წერილი „ამ საქმესა მემოწმების დიონისი, ბრძენი ეზროს“, საიდანაც ირკვევა, რომ დიონისისა და ეზროს ვინაობის გარკვევისათვის მკვლევარს საფუძვლიანად შეუსწავლია დიონისე არეოპაგელის, დიონისი ალიკარნასელის, ეზრას, პოეტ ეზროსის, ასევე იბნ ეზრას (მოსეს ბენ იაკობ) და მეორე იბნ

ეზრას (აბრაჰამ ბენ მეირ) ბიოგრაფიები და მოღვაწეობა, საგულდაგულოდ დაუძებნია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში დაფიქსირებული „დიონისის“ ვარიანტული ნაირ-წაკითხვანი. მეცნიერის დასკვნით, რუსთაველის პოემის სტრიქონში უნდა წავიკითხოთ „ეზროს“ (ზმნური ფორმა) და არა „ეზრა“ (საკუთარი სახელი), ხოლო სიტყვას „დიონოსი“, მისი აზრით, მკვლევრებმა შინაარსი გამოუცვალეს. ვ. ნოზაძე ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას მომავლის მეცნიერებს მიანდობს.

ჟურნალში დაბეჭდილი ვ. ნოზაძის სტატია „ვით კატასა, ვხოცდი ლომსა“ სიტყვა „კატას“ მნიშვნელობას განმარტავს: „არაბული სიტყვა „კატა“ კაკაბთა ერთ ჯიშს, უდაბნოს ქათამს ნიშნავს, რომელიც დურაჯთაA ოჯახის წარმომადგენელია“ (ნოზაძე 1966: 33). ეს ფრინველები – კატები – თურმე გუნდ-გუნდად დაფრინავენ და იციან, უდაბნოში სად არის წყალი. კატა სიარულის მოხდენილობითაც განთქმული ყოფილა. ამ სწრაფ და ფრთხილ ფრინველს სილის ქათამს, „კლდის მტრედს“ უწოდებენო, – ვკითხულობთ წერილში.

გამოკვლევა „ლეოპარდუს, პანთერა, ტიგრ, ვეფხი“ ვიქტორ ნოზაძეს 1961 წელს მადრიდში დაუწერია. აქ მეცნიერი პოემის რუსულ, უკრაინულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ თარგმანებში არსებულ „ვეფხის“ შესატყვისებს ეძებს და დაასკვნის, რომ მათში ეს სიტყვა ოთხი ვარიანტითაა წარმოდგენილი: ბარს, პანთერა, ლეოპარდ, ტიგრ. მაგრამ არის კი „ვეფხი“ მართლაც „ტიგრ“? ამ საკითხის გარკვევისათვის მკვლევარი ბიბლიის ქართულ თარგმანს და ჩვენი ძველი მწერლობის ძეგლებს მიმართავს. შუა საუკუნეების ევროპული პოეზიის ნიმუშების მონაცემების გაანალიზებით ვ. ნოზაძე დაასკვნის: 1. პანთერა არის „ვეფხი“; 2. „პანთერა“-„ვეფხი“ სიმბოლოა სილამაზისა; 3. ის სიმბოლოა ქალბატონისა, სატრფოსი; 4. ის რელიგიური სიმბოლოა. ამავე დროს, „ვეფხისტყაოსანში“ პანთერა სილამაზის სიმბოლოა – სახე ქალბატონისა და ის სრულიად არ წააგავს ევროპული შუა საუკუნეების მწერლობის პანთერას, მას მისტიციზმთან არავითარი კავშირი არა აქვს.

სამეცნიერო გამოკვლევა „ბრუნავს, ვითა ტანაჯორი“ ვიქტორ ნოზაძეს 1964 წელს ციურიხში დაუწერია. ავტორი განსხვავებულად განმარტავს სიტყვა „ტანაჯორს“, როგორც გუბეში, მორევში მბრუნავ, წყალზე სწრაფად მორბენალ, მოცურავე მწერს (Hydrometra stagnorom).

სიტყვა „მოლი“-ს სემანტიკის დადგენას ეძღვნება მეცნიერის შემდეგი გამოკვლევა: „მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა“, სადაც მითითებულია, რომ სიტყვა „მოლი“ ჰომეროსის „ოდისეაშიც“ გვხვდება. ნაშრომში საფუძვლიანადაა შესწავლილი მისი მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანსა“ და „ოდისეაში“, გაანალიზებულია გამოკვლევები, სადაც ამ სიტყვის ჰომეროსისეული გაგებაა განმარტებული. ვ. ნოზაძის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ „მოლი“ კავშირში არაა ამ სიტყვის ჰომეროსისეულ გაგებასთან, რუსთაველთან ის უნდა იყოს ნაბადი, ან წამოსასხამი.

1965 წლის იანვარში ვ. ნოზაძეს პარიზში დაუწერია გამოკვლევა სათაურით „ძოწეულითა მოსილი“. აქ მეცნიერი, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველებაში“, სიტყვა „ძოწეულს“ განმარტავს და მრავალმხრივი კვლევის შედეგად დაასკვნის, რომ ქართული „ძოწეულის“ შესატყვისია ლათინური „პურპური“.

პარიზში, 1965 წლის მარტში დაუწერია ვ. ნოზაძეს სტატია „შუა ბროლსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები“. ნაშრომი პატიოსან თვალთა ავტორისეულ დახასიათებას გვთავაზობს.

„კავკასიონის“ შემდეგი სამეცნიერო პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ ვიქტორ ნოზაძეს 1965 წლის 9 მაისს პარიზში რუსთაველისა და დანტეს მიმართებაზე წაუკითხავს მოხსენება, რომლის ერთი ნაწილი სათაურით „მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა“ ავტორს „კავკასიონის“ 1966 წლის საიუბილეო ნომერში დაუბეჭდავს.

ჩვენთვის უცნობია ვ. ნოზაძის ნაშრომი „ვეფხისტყაოსანის სიყვარულთმეტყველება“. აღსანიშნავია, რომ მისი ფრაგმენტები სწორედ „კავკასიონის“ ფურცლებს შემოუნახავს. პუბლიკაციის სათაურში პოემის ხუთი სტრიქონია გამოტანილი და განმარტებული: „მისთვის გულს ლახვარ სობილი“ (შაირი 595); „შემომხედნა, მოვეწონე“ (595); „გულსა მე ლახვარ ხებული“ (522); „გული ძეს საგნად ისრისად“ (708); „მემატების წყლული წყლულსა“ (1306).

გამოკვლევა სათაურით „მუნ ერთმანეთსა კვლა ვნახავთ, კვლა რამე გავიხარენით“ ვიქტორ ნოზაძის ზემოხსენებული პარიზული მოხსენებიდანაა. აქ რუსთაველისა და დანტეს მიმართების სიღრმისეული განხილვა ავტორისეული ორიგინალური დასკვნებით გვირგვინდება.

ვარდ-ყვავილთა სემანტიკას შეისწავლის წერილები: "მოდი, ნახე ვარდი შენი" და „ყვავილნი ფერად-ფერები", სადაც ის დამატებითი მასალაა წარმოდგენილი, რომელიც ვ. ნოზაძეს „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველების" გამოქვეყნების შემდეგ სპარსულ, არაბულ და ანდალუსიურ პოეზიაში აღმოუჩენია. ნაშრომი სათაურით „დენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაგუბარისა" „ნარგისს" განმარტავს; გამოკვლევა „იეტიმა" ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის" ადგილს: „ვით მარგალიტი ობოლი". მეცნიერის მითითებით, იეტიმა უძვირფასესი, იშვიათი მარგალიტია. რუსთაველი მას „ღარიბ მარგალიტსაც" უწოდებს (ძვირფასის, საუცხოოს გაგებით).

ვ. ნოზაძის დაკვირვებით, სტრიქონში – „ათასი თვალი, ნაშობი რომანულისა დედისა" – ბევრ ძველ ხელნაწერში „რომანულისა დედლისა"-ს ფორმით არის წარმოდგენილი. აქვე მოტანილია ერთ-ერთი ფრანგი ავტორის ინფორმაცია: მარგალიტის გაახალგაზრდავების მიზნით მას დედალ ქათამს აყლაპებენ და მის ექსკრემენტთან ერთად გამოსული პატიოსანი თვალი მეტად ბრწყინვალე არისო. თუმცა მკვლევარი ამ განმარტებას ბოლომდე ვერ იზიარებს.

„მარგალიტის" სემანტიკა დაზუსტებულია ასევე ნაშრომში „ცრემლსა, ვითა მარგალიტსა." სტატია სათაურით „თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს" „ტირილის" ცნებას განმარტავს; „რიდეს" სემანტიკა წარმოდგენილია წერილში „თავსა რიდითა შავითა", სიტყვა „მადლის" მნიშვნელობა კი ნაშრომში „ავთანდილ მადლი უბრძანა".

1966 წლით თარიღდება დიდი რუსთველოლოგის სამეცნიერო გამოკვლევა „მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა", რომელიც კვლავ რუსთაველისა და დანტეს მიმართების საკითხებს იკვლევს. ვ. ნოზაძის დასკვნით, „რუსთაველსა და დანტეს არსებითად ერთნაირი გაგება აქვთ ღმერთთან კაცის ურთიერთობის შესახებ. ორივე ერთსა და იმავეს ამბობს: კაცს შეუძლია ღმერთს შეუერთდეს, ღმერთთან მივიდეს, ღმერთი იხილოს და მით განიცადოს უზენაესი ნეტარება ზნეობრივ მოვალეობათა შესრულების, სიყვარულის გზით, სასოებისა და რწმენის განამდვილებით, ფილოსოფიური ბრძნობით, რაც მორალისა და ინტელექტურ-სულიერ სწავლათა, თეოლოგიურ სათნოებათა განხორციელებით არის შესაძლებელი" (ნოზაძე 1966: 111).

„კავკასიონის" საიუბილეო ნომერში დაბეჭდილია ვიკტორ ნოზაძის კრიტიკული დაკვირვებანი რუსთაველის საიუბილეოდ საქართველოში გამოცემულ რამდენიმე გამოკვლევაზე. კრებულის ბოლო წერილის სათაურია „ტკბილ-ქართული". ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანის ცნება „ქართულისა", „ქართული" და „ტკბილ-ქართული" ნიშნავს „ენას", „სიტყვას". მსგავსი მოსაზრებისა ყოფილა აკაკი შანიძე.

„კავკასიონის" საიუბილეო ნომერში წარმოდგენილი ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური გამოკვლევები 50 წლის წინ დაიბეჭდა, თუმცა მათი აქტუალობა და სამეცნიერო ღირებულება დღესაც აშკარაა: ემიგრაციაში მოღვაწე მკვლევარი „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებულ სამეცნიერო პრობლემატიკას ჩვეული გულმოდგინებით, ღრმად და ორიგინალური თვალთახედვით აშუქებს. ეს პუბლიკაციები იმითაცაა საყურადღებო, რომ ნაშრომთა უმეტესობას თან ახლავს გამოყენებული მრავალფეროვანი ლიტერატურის სია, რომლის დიდი ნაწილი უცხოურ ენებზე არსებული გამოცემები გახლავთ.

**ლიტერატურა:**

1. **ნოზაძე 1966**: *ვ. ნოზაძის ნაშრომები ჟურნალიდან „კავკასიონი"*, XI, პარიზი, 1966.

# ისტორია

როინ მეტრეველი



## ღალატი

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენ-ტრში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში დაცულია XIX საუკუნის ქართველი პოეტის, დრა-მატურგის, პუბლიცის-ტისა და ისტორიკოსის ალექ-სანდრე ორბელიანის (1802-1869 წწ.) მოგონება „მამიჩემისგან ღალატი მეფის ირაკლისა“. ეს წერილი მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანი; მასში ავტორს გადმოცემული აქვს საკუთარი მამის ვახ-ტანგ ორბელიანის ქცევა, ერთი მხრივ, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის (1795 წ.) დროს, ხოლო, მეორე მხრივ, 1812 წელს, კახეთის 1812 წლის აჯანყების დროს, ვახ-ტანგ ორბელიანის სიკვდილი. ეს „მოგონება“ 1914 წელს გამოსცა სარგის კა-კა-ბაძემ.



ალექსანდრე ორბელიანი

ალექსანდრე ორბელიანი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო, თავად ვახტანგ დიმიტრის ძე ჯამბაკურ ორბელიანისა[1] და მეფის უმცროსი ქალიშვილის თეკლა ბაგრატიონის ვაჟი.

ალექსანდრე ორბელიანის იდეური მრწამსი ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელი მოძრაობის იდეებით იყო ნაკარნახევი. ამ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბე-ბაში მნიშვნელოვანი როლი დედამ თეკლა ბაგრატიონმა შეასრულა. ალექ-სანდრე ჯერ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლობდა; მეოთხე კლასიდან გამოუყვანიათ, რათა პეტერბურგში, სამხედრო სასწავლებელში გაეგ-ზავ-ნათ, მაგრამ მამის – ვახტანგის სიკვდილის გამო, ეს ვერ მოხერხდა. 15 წლის ალექსანდრე ორბელიანი სამხედრო სამსახურში შესულა, 17 წლისას პრა-პორშჩიკობა მიუღია. სამხედრო ოპერაციებშიც მონაწილეობდა. 1823 წელს და-ქორწინდა და სამხედრო სამსახურიდან გადადგა. 1828-1829 წლებში თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო. შემდეგ საქართველოს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციის მრჩევლად მუშაობდა. ალექსანდრე ორბელიანმა თავისი პირველი ლექსი „მთოვარე“ 1832 წელს გამოაქვეყნა ჟურ-ნალში „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. 1832 წლის შეთქ-მუ-ლებაში მიიღო მონაწილეობა, რის გამოც დააპატიმრეს და 1834 წელს ორენ-ბურგში გადაასახლეს. დედამ, თეკლა ბატონიშვილმა[2] გამგზავრების წინ გაამხ-ნევა იგი: „წადი შვილო, ღვთისთვის მიმიბარებიხარ, უბედურებას ნუ გაუტყდები ამისათვის, რომ ქვეყანაზე ბევრნი უბედურნი არიან და ერთი ჩვენი სახლიც იყოს. ამ ცოტა ხანში მეც გამომისტუმრებენ კალუღისა-

[1] ორბელიანები ფეოდალური საგვარეულო იყო XVII-XIX საუკუნეების საქართველოში. ისინი ორბელიშვილებად, ყაფლანიშვილებად, XIX ს-ის პირველ ნახევარში – ჯამბაკურ ორბელია-ნებადაც იწოდებოდნენ. როგორც ჩანს, ქაჩიბაძე-ბარათაშვილების ერთ-ერთი შტო იყო. გვარის ფუძემდებლად ორბელ ბარათაშვილი ითვლება. ორბელიანების სამფლობელო (საორბელო ან საყაფლანიშვილო) მოიცავდა ქციისა და დმანისის ხეობათა დიდ ნაწილს, აგრეთვე ტაშირს. ორბელიანებს ჰყავდათ რამდენიმე ათეული ვასალი აზნაური და 2 ათასამდე ყმა გლეხი. მათ ეკუთვნოდათ 160 სოფელი. ამასთან სასახლეები და კარის ეკლესია ჰქონდათ სოფელ ტანძიაში, ციხე-კოშკები – დმანისში, ქვეშსა და ხულუტში, მონასტრები – ფიტარეთსა და დმანისში. XVIII საუკუნის მიწურულს ქვემო ქართლის აოხრების გამო თბილისში გადასახლდნენ. ორბელიანები იყვნენ მეწინავე სადროშოს სარდლები, ქართლის სახლთუხუცესები, ეშიკ-აღასბაშები (საპოლიციო აპარატის უფროსი), მდივანბეგები.

[2] თეკლა ბატონიშვილის შესახებ იხ. ი. უთურაშვილი, თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991.

კენ... განსვენებული გუ-ლითა მივდივარ. თუ შენ ჩემი შვილი ხარ, შენც ჩემსავით მაგრა იყავ და უბე-დურებას ნუ გაუტყდები... ღმერთი იყოს შენი შემწე“.

ალექსანდრე ორბელიანი გადასახლებიდან 1840 წელს დაბრუნდა და თან ჩამოიტანა ცარისტული მმართველობისა და მისი მოხელეების სიძულვილი (რუს ხალხს იგი ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა და პატივისცემით მოიხსენი-ებდა): „რა ვქნა, რა ვუყო, ღმერთს ასე დავუბადებივარ, რომ საქართველოში მე რუსები არ მიყვარან (ცხადია, რუსი მოხელეებია მხედველობაში — რ. მ.). მე ისინი რუსეთში დიდად მიყვარან, იქ უკეთესი ხალხი არიან და ბევრი კარგიც მახსოვს მე იმათგან, მაგრამ რა ვქნა აქ ისინი არ მიყვარან.“[3] ალექსანდრე ორ-ბე-ლიანი ძალზედ მკაცრად აფასებდა კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლებს, განსაკუთრებით ვორონცოვს. არც ბარიატინსკი და მურავიოვი დაუტოვებია შეუფა-სებლად. თუმცა ამ უკანასკნელის მიმართ წინამორბედებზე უფრო დადებითად იყო განწყობილი. როგორც ჩანს, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, იგი ფარული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ზოგიერთმა ქართველმა თავადმა, ვორონცოვისადმი ერთგულება რომ დაემტკიცებინა, ალექსანდრე ორბელიანი დააბეზღა — რუსეთისადმი ორგულია და კავკასიის მთის ხალხების (დაღესტანი, ჩაჩნეთი) დამოუკიდებლობისათის ბრძოლის მეთაურთან იმამ შამილთან მიმოწერა აქვსო. შემდგომში ალექსანდრე ორბელიანი იგონებდა — ეს მართლაც ასე იყო, რუსეთისადმი არ ვიყავი კეთილგანწყობილი, შამილთან კი არავითარი მიმოწერა არ მქონიაო. მაგრამ წუხდა, ისეთმა ხალხმა დამასმინა (ერთ-ერთ დამს-მენად ივანე ყორღანაშვილი მიაჩნდა), ეს მათი ოჯახებისთის დიდი სირც-ხვილი იყოო.



ვახტანგ ორბელიანი

ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა მრავალფეროვანია, მიმართულება კი ერთი — ქართველთა „დაცემული“ ვინაობის გარკვევა. მისი ნაშრომები: „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“, „1829 წლის არეულობა საქართველოში“, „დაღესტნელი ლეკების გადმოსვლა ახალციხეში“ და სხვ. მნიშვნელოვანია წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით. ალექსანდრე ორბელი-ანი მონაწილეობდა 1852 წელს გიორგი ერისთავის რედაქტორობით ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებაში. ნიშანდობლივია, რომ იგი დედის დანატოვარი პენსიის ნახევარს ქართველ მოღვაწეებს (ივანე კერესელიძე, პეტრე უმიკაშვილი) უნა-წილებდა; ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, პეტრე უმიკაშვილთან, დიმიტრი ბაქრაძესა და სხვებთან.



მიხეილ ვორონცოვი

ალექსანდრე ორბელიანი, ეხებოდა რა ქართლ-კახეთის სამეფოსთან იმერე-თის შეერთების საკითხს, მიიჩნევდა, რომ პლატონ იოსელიანმა არასწორად აღწერა ეს მოვლენა და მისეული შეფასებაც შესაბამისი იყო. წინააღმდეგ პ. იოსე-ლიანის მოსაზრებისა ალექსანდრე ორბელიანი მიიჩნევდა, რომ ერეკლე მე-ორე ამ გაერთიანების მოწინააღმდეგე არ ყოფილა. პირიქით, როცა შეუტყვია იმერეთის ელჩობის მიზანი, მეფეს უთქვამს: „ჩემი დიდი ხნის განზრახვა ახლა სრულდებაო“. ერეკლე, ითვალისწინებდა რა ამ საკითხის გადაჭრის სირთულეს, ფრთხილობდა. მეფეს და დარბაზს სასურველ კანდიდატად იმერეთის მეფის სო-ლომონ I-ის ძმისწული დავით არჩილის ძე (შემდეგ სოლომონ II-დ იწოდა) შე-ურ-ჩევიათ და 1789 წელს გაამეფეს კიდეც. ეს იყო პიროვნება (ასე თვლიდნენ მაშინ), რომლისთვისაც ქვეყნის ერთიანობის იდეა ახლობელი იყო.

ალექსანდრე ორბელიანი ისტორიულ მოვლენებს კრიტიკულად აფასებდა. მან სააშკარაოზე გამოიტანა ზოგიერთი წინაპრისთვის დამახასიათებელი უარყო--ფითი თვისებები და საკმაოდ მკაცრად გაკიცხა ისინი. დაუნდობელი მრის-ხანებით განიხილა იმ პირთა მოქმედება, რომლებიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განუდგნენ მეფეს და შედეგად კრწანისთან მძიმე მარცხი განვიცადეთ.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი, ფონდი ა – 1662.



ერეკლე II

ალექსანდრე ორბელიანმა მკაცრი პასუხი გასცა აკადემიკოს ნ. დუბროვინს[4], რომელმაც საქართველოს ისტორიის ბევრი მოვლენა დამახინჯებულად წარმოად-გინა თავის წიგნში „Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ея к России“ (1867). 1868 წელს ალ. ორ-ბელიანმა დაწერა სტატია „დუბროვინის მი-მართ პასუ-ხი“. ნ. დუბროვინს საქართველოს დაცემის მიზეზად მი-აჩნდა ერეკლე მეო-რის მოხუცებულობა და დარეჯან დედოფლის უხეში ჩარევა სახელმწიფოს მართ-ვაში.

ალექსანდრე ორბელიანმა ნათლად აჩვენა, რომ ნ. დუბროვინი სარგებლობ-და არტემ (არუთინ) არარატ-სკის წიგნით. ეს არარატსკი კი საქართველოს მოღა-ლა-ტედ და ერთ-ერთ დამღუპველად მიაჩნია. ამაზე უფრო ფართოდ ალექსანდრე ორბელიანი თავის ნაშრომში „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“ საუბ-რობს. ალექსანდრე ორბელიანი ასაბუთებს, რომ კრწანისის ბრძოლაში დამარც-ხება ღალატის შედეგია. ქვეყანაში ბევრი რუსეთის ჯაშუში იყო. გამცემლები და მოღალა-ტეები სომხებსა და ქართველებს შორისაც იყვნენ. არსე-ბობს ცნობა (გან-ჯის ხანს ჯავათს უამბია ერეკლეს-თვის), რომ ჯავათხანთან მისულა სომეხი მელიქ მეჯ-ლუმი და ოსეფა არღუთიანის გამოგზავნილი (რუსეთიდან) წერილი გა-და-უცია (წერილი არტემ (არუთინ) არარატსკის ჩამოუტანია), ერეკლე შენს და-ღუპვას და სახანოს იბრეიმისათვის (ყარა-ბახის ხანი) გადაცემას აპირებსო. ცხადია, ამ ამბის შეტყობის შემდეგ ჯავათხანმაც აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლას შეუწყო ხელი. ერეკლეს მოხსენდა მოღალატეთა ვინაობა: მეფის მისკარბაში თავადი იოსებ, ქალაქის მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, თავადები სულხან, მანუ-ჩარ და შიოშ თუმანიშვილები, იოსებ და ავეტიკა შალბათაშვილები, სოლომონ არღუთაშვილი, ოსეფა ყორღა-ნაშვილი. ნიშანდობლია, რომ სომეხ გლეხობას ალ. ორბელიანი ქვეყნის ერთგულად მიიჩნევდა.

ერეკლე მეორესთან ქართველ თავადთაგან დაპირისპირებული იყვნენ და მას მტრობდნენ: ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ქიზიყის მოურავი 1754-1759 წწ. და 1770-1780 წწ., გიორგი ერეკლეს ძის პირველი ცოლის ძმა რევაზ ანდრონიკაშვილი, თავადი გოგია ციციშვილი, გიორგი იასეს ძე და ელიზბარ გიორგის ძე (სოლომონის სიძე, მისი ქალიშვი-ლის მარიამის მეუღლე) ქსნის ერისთავები, საორბელოს უფროსი დავით რევაზის ძე ორბელი-ანი — მეწინავე სადროშოს სარდალი, ერეკლე II-ის სიძე (ცოლად ჰყავდა ერეკ-ლეს ქალიშვილი თამა-რი), ქართლის მეფის სახლთუხუცესი, ივანე დავითის ძე ორ-ბელიანი, დავითის მემკვიდრე და მისი თანამდებობების შემ-დგომი მფლო-ბელი, თავადი ასლან ორბელიანი და სხვ.

როცა ერეკლე II-მ შეიტყო მოღალატეთა ვინაობა, სულ-გრძელობა გამოიჩინა და არავინ დასაჯა, საკუთარი თავი და-იდანაშაულა – „... დამნაშავე მე ვარ... მეფე ვიყავ ქვეყნის გამგე... ეს ტვირთი მხოლოდ მე ერთს კისერზე მაწევს, სხვას არავის“-ო.

ზოგ მოღალატეს თავისი ქცევა სანანებელი გაუხდა, რადგან რუსეთისგან ვერც პატივი მიიღო და ვერც დიდება; მწარედ გაუცრუვდათ იმედები.

ალექსანდრე ორბელიანის მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსი, დიდი პრინცი-პულობა თვალნათლივ წარმოჩნდა მა-მამისის — ვახტანგ ორბელიანი ქმედების შეფასებისას. ვახ-ტანგის მამა დიმიტრი ორბელიანი ლეკებთან ბრძოლისას და-იღუპა და მის მცირეწლოვან შვილებზე მზრუნველობა ერეკ-ლე II-მ იდო თავს. ვახტანგს ახალგაზრდობაში ლეკებთან ბრძოლით გამოუჩენია თავი და მეფის პატივისცემაც დაუმსა-ხურებია. ვახტანგი მეფის ქალიშვილზე — თეკლაზე დაი-წინ-



თეკლა ბატონიშვილი

[4] იხ. ნ. ვახანია, ალექსანდრე ორბელიანი საქართველოს ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ, კრებ. ალექ-სანდრე ორბელიანის ხსოვნას, თბ., 1999, გვ. 43-57.

და. ერეკლემ მას საგარეჯოს მოურავობა უბოძა, გიორგი ჩოლოყაშვილის გარდაცვალების შემდგომ მისი ვაჟის თადიას სრულწლოვანებამდე.



მარკიზ პაულიჩი

ალექსანდრე ორბელიანი აღწერს, რომ ალა-მაჰმად-ხანი საქართველოზე გარ-კ--ვეული შიშით მოდიოდა, მოციქულებს აგზავნიდა და რუსეთთან მეგობრობის შეწყვეტას სთხოვდა ქართლ-კახეთის მეფეს, მძევალსაც ითხოვდა. როცა ერეკლეს უარი მიიღო, ალა-მაჰმად-ხანი „გადაწყვეტით გამოემართა საქართვე-ლოზედ“.

ალექსანდრე ორბელიანი იხსენებს ძველ ქართულ ანდაზას — ციხე შიგნიდან ტყდებაო – და აღწერს, თუ როგორ აიყარნენ ქართველები და გაიხიზნენ მთებში („თავადნი თუ აზნაურნი ანუ გლეხნი სულ ერთიან“). მეფე ერეკლეს მტრები საქართველოს ღუპავდნენ, „ჩუმად დაწანწალებდნენ და ხალხს აშინებდნენ: ალა-მაჰმად-ხანი ორასი ათასის ჯარით მოდის, დაიხიზნენით, თორემ სულ ერთიან წაგლეკამსო“.[5] ბევრმა გულწრფელად დაიჯერა და სიცოცხლის გადასარჩენად „მაგარ ადგილებში შედიოდნენ“.

ალექსანდრე ორბელიანი პათეტიკურად კითხულობს: სად იყო ამ დროს მამაჩემი? ანუ სად იყო ვახტანგ ორბელიანი 1795 წლის სექტემბერში, კრწანისის ბრძოლის დროს. „სად იყო მამაჩემი, მეფის ირაკლის ქალს თეკლეზედ დანიშ-ნული?“ სად იყო და საგარეჯოში, თავის დასთან ეკატერინესთან სახლში და „უძრავად სვამდა, სჭამდა, არ ფიქრობდა, დღეს თუ ხვალე მეფე ირაკლის ქალ-ზე ჯვარი უნდა დავიწერო და მეც იქ იმასთან უნდა მოვკვდეო“.

მოღალატე რევაზ ანდრონიკაშვილს საიდუმლოდ კაცი გამოუგზავნია ვახტანგ ორბელიანთან ყარაბულახში, ბატონი-შვილი გიორგის ბრძანებით — ჯარში წასვლას თუ აპირებ, არ წახვიდეო. როცა დრო მოვა მე თავად გინახულებ და პირადად გადმოგცემ გიორგის ნაბრძანებსო. ბატონიშვილი მართლაც იყო მინ-დო-ბილი რევაზ ანდრონიკაშვილზე. ეს უკანასკნელი სარგებლობდა მისი ავადმ-ყო-ფობით და თავის დასთან ერთად ძირს უთხრიდა ერეკლე მეფეს. გარკვეული დროის შემდეგ რევაზ ანდრონიკაშვილმა გამოუძახა ყარაბულახში ვახტანგ ორ-ბელიანს და უთხრა: ალა-მაჰმად-ხანი ორას ათასზე მეტი ლაშქრით მოემარ-თება, მეფე ირაკლი ქალაქის მაცხოვრებლებთან ერთად მთიულეთის მთებს აფა-რებს თავს. გიორგი ბატონიშვილმა შემოგითვალათ, თქვენც აიყაროთ და ტყიან მთაში გაიხიზნოთო. და-ძმას (ვახტანგსა და ეკატერინეს) აზრად არ მოსვლიათ გა-და-ემოწმებინათ რევაზ ანდრონიკაშვილის ჩამოტანილი ამბის სისწორე, აიყარ-ნენ და მთის სიმაგრეებს შეაფარეს თავი. რევაზი თავისი ვერაგული ზრახვების სისრულეში მოსაყვანად თბილისს დაბრუნდა.



ალექსანდრე ბატონიშვილი

ამგვარი მოღალატური განწყობის გამო, რაც ქვეყანაში ფართოდ იყო გავრ-ცელებული, ვერ შეკრიბა მეფემ სათანადო რაოდენობის ჯარი, იგი ხუთი ათა-სამდე კაცით გავიდა კრწანისის ველზე. არც ბრძოლისას აკლდა მოღალატეები და მწარედ დამარცხდა. ნიშანდობლივია, რომ საგარეჯოს მოურავი გიორგი ჩოლოყაშვილი მოტყუებით სადღაც გაგზავნეს. ამ მხრიდან ორი ათასი რჩეული მოლაშქრე გამოდიოდა. ალექსანდრე ორბელიანის მიხედვით, ისინი „მეფის ირაკლის საქებური მეომრები იყვნენ; მოუთმენლად ელოდნენ ერეკლეს ბრძა-ნე-ბას „რომ ერეკლესთან კიდევ ჩვენი სისხლი დავღვაროთ ჩვენის მამულისათვის და ყი-ზილბაშებს ჩვენი ხმალი კიდევ ვაჩვენოთო“. რევაზ ანდრონიკა-შვილმა ვი-თომც გიორგი ბატონიშვილის ბრძანებით, მათაც „აყრა გამოუცხადა“. ალექ-სანდრე ორბელიანი გაკვირვებული კითხულობს: „რატომ ქუდზე კაცი არ გა-მოვიდა და მეფეს ირაკლისთან ერთად ხმალს არ იქნევდნენ მამულისთვის?“ და დაასკვნის: „ყველა გვარეულობა შემცოდენი იყვნენ მეფეს ირაკლისთან.“ ალექსანდრე ორბელიანს მამის მიერ ჩადენილი დანაშაულის (ღალატის)

[5] ალ. ორბელიანი, მოგონება, თბ., 1914, გვ. 3.

მსხვერპ-ლად თავისი თავიც მიაჩნია: „უფალი იესო ქრისტე ერთმა იუდამ გაყიდა და მეფე ირაკ-ლი საქართველოთი ბევრმა იუდებმა. უსამართლო შვილითი შვი-ლამდეო. გადაგვხდა კი იმათ შვილებს ის მათი ღალატი.“[6]

როგორც ჩანს, ვახტანგ ორბელიანი მწვავედ განიცდიდა ჩადენილ მძიმე დანაშაულს — მეფე ერეკლეს ფაქტობრივ ღალატს. ხშირად მიმართავდა თურმე თავის მეუღლეს — თეკლა ბატონიშ-ვილს: „მე იმის შემდეგ მოსვენებით აღარა ვარ; მე რომ ისე საჩქაროდ გავიქეც ჩემი დით ეკატე-რინეთი“.[7] დღე არ გავა, მე ეს არ მომაგონდესო — აღნიშნავდა ვახტანგი და დარდობდა: „ვუღა-ლატე ჩემს მეფეს, მერე როგორ მეფეს, ჩვენთვის წამებულ ერეკლეს“. ვახტანგ ორბელიანს მიაჩ-ნდა, რომ მას და მის დას – ეკატერინეს გარეჯელებისათვის რომ შემოეძახათ – მეფე ერეკლეს უჭირს, მივეშველოთო, მთელი გარეჯობა მოიგლიჯებოდა სამი ათასი ცხენიანი მეომრით და მა-შინ ნახავდა თავის ყოფას აღა-მაჰმად-ხანი.

ვახტანგ ორბელიანმა, როგორც თავად ამბობს, არ იცოდა რევაზ ანდრონიკაშვილის მტრობა ერეკლე მეფის მიმართ. თეკლა ბატონიშვილი ჭეშმარიტი პატრიოტი იყო და არ ამართლებდა ქმრის საქციელს.

ვახტანგ ორბელიანი, როგორც ჩანს, დიდ სამსახურს უწევდა რუსულ მმართველობას. სწო-რედ რუსეთის ერთგულებისათვის (ეს აღნიშნული იყო ციციანოვის 1804 წლის 29 მაისის პატაკში იმპერატო-რისადმი), მან პოლკოვნიკის წოდება მიიღო და ყოველ-წლიური ჯამაგირიც დაენიშნა. ყოველივე ამან ვახტანგ ორბელიანი წაახალისა და მეტად გაადიდგულა. იგი ფაქტობრივად უარყოფდა ქართულ ენას, ქართველო-ბას, მიიჩნევდა, რომ ქართული წერა-კითხვის ცოდნა მისი შვილებისთვის სავალდებულო არ იყო.



დარეჯან დედოფალი

თეკლა ბატონიშვილმა მოახერხა უკუეგდო მეუღ-ლის მიდრე-კილებები და ღირსეული შვილები აღზარდა.

ალექსანდრე ორბელიანი გადმოგვცემს მამის უგვა-ნო საქ-ციელს 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს, როცა სააშკარაოზე გამოჩნდა ვახტანგ ორბელიანის პო-ლიტიკური სახე. ალექსანდრე ორბელიანი გადმოგ-ვცემს, რომ რუსეთის მმარ--თ-ველობა აიძუ-ლებდა ქარ-თველ თავადებს ამბოხებული კახელების წინააღმ-დეგ გამოსულიყვნენ. კავკასიის მთავარმართებელმა მარკიზ პაულუჩმა თავისთან მიიყვანა თავადები და ყველას პი-რობა დაადებინა, რუსის ჯარს გაჰყოლოდნენ კახეთში და რუსთხელმწიფისთვის ერთგული სამსახური გაეწი-ათ. ვახტანგ ორბე-ლიანი შეწუხებული დაბრუნებულა სახლში და თეკლასთვის მიუმართავს „... ეს ერთი მა-მათქვენის, ჩემი მეფის ერეკლეს და მამულის ღალატი არ მეყო, რომ ახლა კიდევ უნდა ვუღალატო, როგორც ბაგრატიონებს, ისე ჩემს მამულსა. უნდა წავიდე ქართველმა კაცმა და ქართველ კაცს თოფი ვეს-როლო ჩემის ხელმწი-ფე-ების და ბაგრატიონების შემწეთ და მამულის გამომხსნელებს, რომელ-თაც კიდევ უნდათ თავისი მეფობა აღადგინონ“.[8] ვახტანგ ორბელიანი თავის ნაბიჯს ასე ამარ-თლებს: „თუ ჩვენ იმათ (კახელებს — რ.მ.) თოფს არ ვესვრით, ცოლშვი-ლე-ბით უნდა დაგვღუ-პონ... აბა რა ვქნა ამის შემდგომ, თუ არ შევწუხდე?“

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული თეკლა ბატონიშვილი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მიმართავს მეუღლეს: „ – ჩემი რჩევა ეს არის, რომ თქვენ სულ ერთიან კახელებს მიუდ-გეთ, წადით, ნუღარ დააყოვნებთ საქმეს. აქ ჩვენ რაც უნდა მოგვივიდეს თქვენ ცოლშვილებსა, თუნდა სულ ერთიან ლუკმა დაგვჭრან, ერთი არაფერი არის, ოღონდ მიუდექით თქვენს ძმებს კა-ხელებს...“[9] ვახტანგ ორბელიანმა ვერ მისცა მას მოთხოვნის შესრულების პირობა. შეწუ-ხებული თეკლა შეჰღაღადებს ქმარს: „... რაღა გვეშველება, საუკუნოდ დარჩა საქართველო რუსებსა“. სა-სოწარკვეთილმა ვახტანგმა აღელვებულმა მიუგო მე-უღლეს: „დარჩა თუ არ დარჩა ეგ ღმერთმა

[6] ალ. ორბელიანი, მოგონება..., გვ. 7.
[7] ალ. ორბელიანი, მოგონება..., გვ. 7.
[8] ალ. ორბელიანი, მოგონება..., გვ. 13.
[9] იქვე.

იცის, მე კი ველარ მნახავ ცოცხალს ბატონიშვილო.“ თან შესთხოვა თეკლას, ამ ჩვენს წვრილშვილებს გაუფრთ-ხილდი და რაც გეყოლება (თეკლა ბატონიშვილი ორსულად იყო) იმასაცო.

ვახტანგ ორბელიანი თანშეზრდილი ბერელასა და კიდევ ექვსი მსახურის თანხლებით წავიდა კახელების წინააღმდეგ საბრძოლველად.



გიორგი XII

1812 წლის კახელების აჯანყება ფართო მასშტაბისა იყო. მიზეზი რუსი ჯარისკაცების თავგასული მოქმედება იყო. ჯარის-კაცები ოჯახებში პურს ეძებდ-ნენ და ძალით მიჰქონდათ. ლოთობდნენ, აუპატიურებდნენ ქალებს. აჯანყება 1812 წლის 31 იანვარს ახმეტაში დაიწყო. მათ მეზობელი სოფლებიც შეუერთდა. აჯანყებულებმა თელავი დაიკავეს. შემდეგ სიღნაღიც აიღეს. თანაც გზადაგზა რუსის ჯარს ანადგურებდნენ. გააქციეს და დიდად აზარალეს საეგზეკუციო რაზმები ანაგაში, კაკაბეთსა და მანავში.[10]

ცხადი იყო, რომ აჯანყებულ კახელებს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმა ჰქონდათ. უშუალო ბრძოლის გარდა, ისინი ცდილობდნენ ქართლის, ყაზახის, ფშავ-ხევსურეთისა და სხვა მხარეების შემოერთებას. აჯანყებულები შე-ეცადნენ დარიალის გზის ჩაკეტვას, რათა რუსის ჯარის დამატებითი ნაწილე-ბი არ შემოსულიყო. ამბოხება ქართლშიც გავრცელდა, მაგრამ იქ მალე ჩააქრეს. 1812 წლის თებერვლიდან კავკასიის მთავარმართებელი პაულუჩი თავად ჩაუდგა სათავეში აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას. 1 მარტს სოფელ ჩუმლაყთან მნიშვნელოვანი შეტაკება მოხდა. აქ ოთხი ათასი აჯანყებული კახელი იბრძოდა. სწორედ ჩუმლაყთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგ ორბელიანი. „ჩუმლაყში რომ ომი მოხდა იქ შეეკლა თავი მამაჩემს ერთი მეომრის ქართველისათვის“ – ჰყვება ალექსანდრე ორბელიანი თავის „მოგონებაში“.[11] მართლაც, ვახტანგ ორბელიანი ქართლის იმ თავადთა შორის იყო, რომლებიც რუსეთის მთავრობას უჭერდნენ მხარს (თავადთა ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი აჯანყებულთა მხარეზე იყო). მეტად საინტერესოა ვახტანგ ორბელიანის თანმხლები მსახურის ბერელას მონათხრობი. ჩუმლაყის ბრძოლის წინ ვახტანგს თავისთან მიუხმია მსახური და ჩურჩულით უთქვამს: „ხომ ხედავ ამ რუსებს ჩვენ, თავადები, როგორ შემწეობას ვაძლევთ?.. ჩვენ, თავადები, ერმანეთს ველარას ვენდობით... ჩვენს ცუდკაცობას ჩემი გული ველარ ითმენს. ხვალაც... ჩვენი კახელების სისხლის დაღვრა ვნახო და იმათი დამარცხება მივულოცო რუსებს სიცილითა“. ამ სიტყვებით ჩანს, რომ ვახტანგ ორბელიანი თითქოს შეწუხებულია იმ საქმით, რასაც იგი, როგორც ჩანს, იძულებით აკეთებს. ერთადერთი, რასაც იგი აკეთებს, ესაა გადაწყვეტი-ლება „თავი შეაკლას ვისმე“. „გადამიწყვეტია... ხვალ თავს შევაკლავ ვისმე“. თავადი ბერელას სთხოვს წერილი გადასცეს თეკლა ბატონიშვილს.

მეორე დღეს ვახტანგ ორბელიანმა რუსული ორდენი დაიკიდა და ჯარს წაუძღვა კახელების წინააღმდეგ. ბრძოლაში მაშველი რუსული ჯარიც ჩაება და კახელი მოჯანყეები დამარცხდნენ. კახელები სხვადასხვა მხარეს გაფანტულან. რუსის ჯარისკაცები დაედევნენ გაქცეულებს. ბერელას გადმოცემით, ერთი კახელი ჯარისკაცი ციხე-სიმაგრისკენ მიეშურებოდა ქვეითად. მას რამდენიმე ცხენოსანი გადაუდგა და იარაღი სთხოვეს. ეს კახელი, როგორც შემდგომ გარკვეულა, კარგი ვაჟკაცი და საუცხოო მონადირე ყოფილა. იგი მიჰბრუნებია დამხვდურებს და უთქვამს: ხელი აიღეთ ჩემზე, თორემ იარაღის მაგიერ ჩემი თოფის ტყვიას მოგცემთო. ისინი უმალ ჩამოეცალნენ. ეს ყოველივე დაუნახავს ვახტანგ ორბელიანს და ცხენი კახელთან მიუჭენებია და გაჯავრებით უთქვამს: ახლავე მომეცი შენი თოფი, თორემ მოგკლავო. კახელს მოუხედავს და ხვეწნით უთქვამს: კარგს ვისმე გევხარ, ღმერთი გადღეგრძელებს, ხელი აიღეთ ჩემზე, ჩემს თოფს ვერვის ვერ მივცემო. ვახტანგმა არ შეისმინა თხოვნა და ცხენი ზედ მიაგდო კახელ მოლაშქრეზე:

[10] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 922-923.
[11] ალ. ორბელიანი, მოგონება გვ. 15-16.

„ახლავე მომე ეგ თოფი“... და შეუგინებია. ბერელა ჰყვება, რომ გინება მეც გავიგონეო. კახელი მობრუნებულა და... რახან აღარ იშლი, აჰა ესეც თოფიო. ვახტანგ ორბელიანი განგმირული უსულოდ გად-მო-ვარდა ცხენიდან. ამ დროს ასლან ყაფლანიშვილი (გიორგი XII-ის ქვისლი და ეშიკაღაბაში) მივარდნილა ცხენით კახელს. ამ უკანასკნელმა იმასაც ესროლა. ასლანი ცხენიდან გადავარდნილა, მაგრამ ჭრილობა უმნიშვნელო ყოფილა. ამ კაცს რუსის სალდათები დახვედრიან. ორი სალდათი ხმლით მოუკლავს, მესამეს კი ველარ გამკლავებია.



პავლე ციციანოვი

როგორც ვხედავთ, ვახტანგ ორბელიანმა, მიუხედავად მეუღლის – თეკლა ბატონიშვილის კატეგორიული რჩევისა და მოთხოვნისა – მიმხრობოდა კახეთის აჯანყებულებს (ე.ი. საკუთარ ხალხს), საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა — თავისი სიცოცხლე რუსის ინტერესებს ანაცვალა. საგულისხმოა ვახტანგის წერილი თეკლასადმი: „ახლა ამის მეტი მე წადილი არა მაქვს რა, რომ ეგება თქვენ და თქვენი შვილები უვნებელნი მაინც დარჩეთ და რუსებმაც კარგად ყური გიგდონო და მეც ჩემი განზრახვა შევასრულო. რუსების უეჭველობისათვის და მითამ იმათის ერთგულობისათვის ხვალ ძლიერ ომის ცეცხლში შევალ, ეგება მომკლან, ანუ როგორმე თავი შევაკლა ვისმე... რა ვქნა. ჩემს გულს რუსების თავზე წამოჯდომა ველარ აუტანია.“[12] ვახტანგ ორბელიანმა კარგად იცოდა, რომ იგი ბრძოლაში დაილუპებოდა. მეუღლესაც ამ წერილით ემშვიდო-ბება: „საუკუნოდ განშორებული შენი ვახტანგ ორბელიანი“ – ასე დაამთავრა წერილი თავისი ქვეყნისა და ხალხის ღალატით შეძრწუნებულმა (ასე უნდა ვიფიქროთ) ერეკლე მეფის სიძემ.

ვახტანგ ორბელიანის დები სხვა რწმენისანი არიან. ეკატერინე და გუქა ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ. ეკატერინე, როგორც ზემოთაც ითქვა, საგარეჯოს მოურავის გიორგი ჩოლოყაშვილის მეუღლე იყო; გუქა — კახელი აზნაურის გორჯასპ ნათალიშვილისა. ეს უკანასკნელი ფარეშთუხუცესი იყო. მან ირანელებთან ბრძოლაში ისახელა თავი. 1795 წელს სოღანლუღში მდგომმა მეფემ, გორჯასპი თორმეტი მხედრით მტრის დასაზვერად გაგზავნა. იაღლუჯის მთასთან ირანელთა მეწინავე რაზმს შეხვდნენ. ქართველებმა მამაცურად იბრძო-ლეს. გორჯასპ ნათალიშვილმა მოკლა ირანელთა რაზმის მეთაური, შეახტა მის ცხენს და ერეკლესკენ გამოაჭენა – ამბავი მოიტანა მტრის შემოსვლისა. გორ-ჯასპ ნათალიშვილი კახელების მხარეზე იყო მათი აჯანყების დროს. დამარც-ხების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილს გაჰყვა დაღესტანში, იქიდან სპარ-სეთში გადავიდა, სადაც გარდაიცვალა. ეკატერინე და გუქა აჯანყებულებთან იყვნენ, რის გამოც ისინი რუსის მმართველობას შეუპყრია, ჯერ თბილისში ჩამოუყვანიათ, შემდეგ კი რუსეთში გაუსახლებიათ. ისინი ბელგოროდის მო-ნასტერში დამკვიდრებულან.

ვახტანგ ორბელიანის დისწული თადიაც კახელების მხარეზე იყო. მარცხის შემდეგ სპარსეთში გადასულა.

ვახტანგ ორბელიანს სხვა „სიკეთესთან“ ერთად ათვალწუნებული ჰქონდა ქართული ენაც, შეწუხებული იყო იმით, რომ მისი შვილები ქართულს სწავლობდნენ, მიიჩნევდა, რომ თუ ქართული ენა ისწავლეს, ჩემი შვილები რუსეთში ვერ ისწავლიანო.[13]

„მოგონებაში“ მოთხრობილი ამბავი ვახტანგ ორბელიანის შესახებ პატრიოტი შვილის მიერ მამის საქციელის შეუფერავი გადმოცემაა. ალექსანდრე ორბელიანი პასუხს სცემს მის მიერვე დასმულ კითხვას: კრწანისის ბრძოლის დროს „სად იყო მამაჩემი, მეფის ირაკლის ქალს თეკლეზედ დანიშნული?“ იგი, როგორც საქართველოს ჭეშმარიტი მოყვარული, ფაქტობრივად ჰკიცხავს ვახ-ტანგ ორბელიანის დამოკიდებულებას რუსეთის ხელისუფლებასთან და მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. მძიმეა მოღალატის ბედი. ხშირია, როცა ადამიანები აცნობიერებენ თავის მოღალატურ ქმედებას და თავად გამოაქვთ საკუთარი თავისთვის განაჩენი. ასე მოხდა ვახტანგ ორბელიანის შემთხვევაშიც.

[12] ალ. ორბელიანი, მოგონება, გვ. 23.
[13] ზ. ჭიჭინაძე, ვახტანგ ორბელიანი, ტფ. 1892, გვ. 15.

P. S.

1834 წელს ბატონიშვილი ანასტასია სწერდა თეკლა ბატონიშვილს: „თქვენმა ქმარმა თავისი სისხლი უმსხვერპლა ამ მაღალ ტახტს". „მაღალი ტახტისთვის" თავგანწირვა ვერაფერი ნუგეში იყო ერეკლე II-ის ასულისათვის. თეკლა ბაგრატიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დასძლია ოჯახში არსებული სირთულეები, რაც მისი მეუღლის – ვახტაგ ორბელიანის მიდრეკილებებთან იყო დაკავშირებული, და საქართველოს სამი ღირსეული შვილი გაუზარდა. თეკლა ბატონიშვილი მოყვასს ამხნევებდა ბრძნული სიტყვებით: „ღმერთი ბოროტს შეაძულებს, თუ კაცი მოითმენს, და კეთილს განაგრძელებსო".

## საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი

ქართველი ხალხის იერ-სახეს, კულტურის ყოფითი ტრადიციები და ეთნოგრაფიული თავისებურებები განაპირობებს. ათასწლეულოვან პერიოდში შეიქმნა ტრადიციული ცხოვრების წესი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული ეთნიკურობის მახასიათებელი თვითმყოფადობა, ზნეობა, ეთიკა. გაივლის ხანი და „ქართველური ყოფიდან" არაფერი დარჩება. ეს კი ერის სასიცოცხლო ძალების, მისი თვითშეგნებისა და შინაგანი ბუნება-თვისებების განადგურების ტოლფასია.

საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიზანია თავი მოუყაროს, დაიცვას, პოპულარიზაცია გაუკეთოს საქართველოს ყველა კუთხის ეთნოგრაფიულ მონაპოვარს, მდიდარ ქართულ კულტურას, ქართველი კაცის ნიჭით და ხელოვნებით შექმნილ მატერიალურ და სულიერი კულტურის ძეგლებს, რომლებიც წარმოაჩენს ქართველი ერის ნაციონალურ სიმდიდრეს, მიღწევებსა და ადგილს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ნიკო ხერკელაძე



# გიორგი სააკაძის განდევნა

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი" № 2(16), №3(17)-ში
და ანთოლოგიის მე-5 ტომში)

*„ხმალი ცეცხლში იწრთობოდა,*
*სააკაძე – განსაცდელში."*

*ბავშვობაში გაგონილი პაპა*
*გორა ხერკელაძისაგან*

რაკიღა საწადელს ვერ მიაღწიეს, სააკაძის მტრებმა მის სახლ-კარზე იყარეს ჯავრი, ისე დაწვეს და გაანადგურეს, საძირკვლის ნაშთებიღა იდგა ნაცარში (დღემდე ვერ მოხერხდა მისი აღდგენა). ოღონდ, სააკაძეს საქართველოს ჰაერი არ ესუნთქა და თავშესაფარი არ ჰქონოდა, ან ფიზიკურად უნდა განადგურებულიყო მთელი მისი ოჯახი და თვითონ, ან კიდევ უკან დასაბრუნებელი ყველა გზა და საყრდენი მოესპოთ.

გულდამდუღრულმა ლტოლვილებმა, რომელთაც კიდევ რამოდენიმე მსახური შეემატათ ცხენებით და იარაღით, ტყეში იგლოვეს და გამოიტირეს ოფლითა და შრომით ნაშენ-ნაამაგარი.

საით, რომელ მხარეს იმეტებს ბედისწერა გიორგის, გაარღვევს კია მის მოძულეთა მიერ შეკრულ გზებს?! არაგვის ხეობის ერისთავი ნუგზარი მისი სიმამრია და დიდი იმედიც, სწორ რჩევას მისცემს, მის გარეშე ვერ გადადგამს მოუმზადებელ ნაბიჯს, მაგრამ მტკვარზე გასვლა? ახლა ამ ადიდებულ მდინარეში შესვლა ძალიან სარისკოა.

„ახალციხისკენ მიმავალი გზებიც გადაუკეტავთ შენს მოსისხართო", – ამცნო სააკაძეს ჩივაძემ.

ორი კვირა დიდგორის მთების შემოგარენში ღარტაფებსა და ჯაგებში ხელფეხგადატყაულები ცხარე ცრემლებით აპოხიერებდნენ ქართულ მიწას ლტოლვილები.

შადიმანს და მისიანებს ისე ჰქონდათ გათვლილ-გაანგარიშებული სააკაძის შესაპყრობი გზები, ერთი ძალზე რთული გასაღწევი, მტკვარზე გასვლაღა რჩებოდა. თან ზაფხულის დასაწყისი იყო. ადიდებული მდინარე მძიმედ მოაგორებდა მღვრიე ტალღებს.

მაინც რა ბედისწერით დაებედა სააკაძეს გაზაფხული და ზაფხული! ჯერ იყო 1609 წლის ზაფხული – ოსმალური მაოხარი ურდოს შემოსევა და მისი სრული განადგურება, შემდეგ, 1612 წელი, გაზაფხული, 20 მაისი, ვარდობისთვე, საკაძისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი და მისი სასწაულებრივი გადარჩენა.

კიდევ ელოდება გიორგის გაზაფხულები, – ხარება დღე 1625 წლისა, მარტყოფის ბრძოლის დიდი ეპოპეა; იმავე წელს, ზაფხულში, ჯერ მოგებული და მერე წაგებული მარაბდა და დიდი გამარჯვება სოფელ ლისთან, ბოლოს, მთელ ყიზილბაშურ ჯარზე გამარჯვების გვირგვინი – ქსნის ანუ ქარჩოხის ბრძოლა იმავე წლის აგვისტოს თვეში.

ლტოლვილებმა სოფელ კარსნის ქედს მიაღწიეს. სვეტიცხოვლის სიდიადემ იმედი და რწმენა დაუბრუნა სვეგამწარებულებს. მუხლმოყრით ილოცეს, გულმხურვალედ შესთხოვდნენ შეწევნას, სამშვიდობო გზის გახსნას, საქართველოდან მათ არ დაკარგვას!

მოწინააღმდეგეთა განსაზღვრით, სააკაძე აუცილებლად ეცდებოდა არაგვის ხეობით მიეღწია სიმამრის, ნუგზარის სამფლობელომდე. ამისთვის ლტოლვილებს ჯვრის მონასტრისა და სოფელ კარსანის სიახლოვეს მტკვარზე გადებული ხიდი უნდა გადაევლოთ და შეთქმულებმა, დაიმედებულებმა, რომ სააკაძე აუცილებლად აქ მოვიდოდა, სამოცი კაცი ხიდის ყურში დარაჯად დააყენეს. ვერ წარმოედგინათ, რომ ძეხორციელი ადიდებულ წყალში შესვლას გაბედავდა. რისკი ძალიან დიდი იყო, არავინ იყო დაზღვეული, მტკვარს არ წაეღო. გიორგისთვის ამგვარი რისკი არ წარმოადგენდა სირთულეს, მაგრამ ქალები? ბავშვები? მართალია, შუაში მოიქცევდნენ, მაგრამ ღამით მდინარეში ფონის მოძებნა მაინც საფრთხეს წარმოადგენდა.

ინაშვილმა შეათვალიერა ხიდზე შექმნილი ვითარება და აუწყა სააკაძეს როგორი თავდაჯერებით იდგნენ ხიდის მცველები, დარწმუნებულები რომ ველარსად გაექცეოდნენ და სრულიად გაანადგურებდნენ ლტოლვილებს და ამის თაობაზე უტიფრად ლაზღანდარობდნენ კიდეც. გიორგის ისედაც დარდი ახრჩობდა, ერთი პირობა ისე გახელდა, ძლივს დააკავეს: „გავალ და სუყველას ერთიანად გავუსწორდებიო". სამოცი კაცისათვის ერთი ოჯახის დატყვევება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, მით უფრო ოჯახის წევრები ქალები და ბავშვებიც იყვნენ. გზაში რამო-

დენიმე მსახური კი შეემატათ, ხმლის მჭერი მაინც სულ მხოლოდ ექვსი ან რვა კაცი იქნებოდა, მაგრამ შეთქმულებს ისე ეშინოდათ სააკაძისა და მასთან ხელჩართული შეტაკებისა, სამოცი კაცი ჩაუყენეს, რომ ჯალაბის შეპყრობის ან განადგურების სრული გარანტია ჰქონდათ.

ხაზგასასმელია ის მოვლენა, რომ 1612 წელს ბუნებრივი პირობების გამო მტკვარი იმდენად იყო ადიდებული, სააკაძის მოქიშპეებმა მხოლოდ ხიდზე დაიჭირეს თადარიგი, მათმა წინდახედულობამ საჭიროდ არ ჩათვალა მდინარის ფონზედაც დაეყენებინათ მეთვალყურეები. დიდებულთა საავკაცოდ მოწყობილ გონებას ვერ წარმოედგინა, თუ ამღვრეულ-აზვირთებული მტკვრის ტალღებში ცოცხალი არსება შებედავდა შესვლას.

შემდეგი ამბავი – ჩივაძემ, რომელიც გზების დასაზვერად ჩანს გაგზავნილი, შეატყობინა, ახალციხისკენ მიმავალ გზაზეც მცველები დგანანო, – ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს, სააკაძე ეგრე ერთბაშად არ გადაწყვეტდა ახალციხის გზით ირანში ჩასვლას. აღნიშნული მხრიდან, როგორც სამხრეთი საქართველოს ნაწილიდან, უამრავი გზა მოიძებნებოდა ირანში გასაღწევად, სააკაძეს თავდაპირველადვე ეს აზრი რომ გასჩენოდა.

სრულიად მართებულია ვიფიქროთ, ასეთი სურვილის შემთხვევაში, ხაზს ვუსვამ, თავდაპირველად, თუ ახალციხის გზა გადაკეტილი იყო, სრულიად იოლად მოიძებნებოდა სხვა გზა, იგივე საიმერეთოს მხრიდან. მით უმეტეს, თვით დასცქეროდა ზემოდან, როგორ იწევდა ცისკენ მის სახლ-კარ-სადგომს წაკიდებული ცეცხლის ენები, როდისღა აღსდგებოდა ნავლადქცეული, მიწასთან გასწორებული სამკვიდრო, ვინ იყო გამკითხავი!

კერიაჩამქრალი, მიუსაფარი სააკაძე ჯალაბთან ერთად ორი კვირა და შესაძლოა მეტიც, მიუვალ და ადამიანის ფეხდაუდგამ ტყე-ღრეში ათენ-აღამებდა. მას რომ თავიდანვე ირანის გზა ჰქონოდა არჩეული ხომ შეეძლო გადარჩენის მიზნით ჯერ ოჯახი გაეხიზნა მესხეთ-ჯავახეთში სამშვიდობოს. სააკაძისათვის ხომ მაშინ უფრო იოლი არ იქნებოდა ექვს თანმხლებ პირთან ერთად ქალებისა და ბავშვების გარეშე მღვრიე მტკვრის ტალღების გადალახვა და შემდეგ საარაგვოში სიმამრთან მისვლა რჩევისა და გადაწყვეტილების მისაღებად!

...ახლა კი აქ, მტკვარზე ხიდი სადარაჯოდ უქცევიათ მის მოსისხლეებს. ელოდებიან, ფხიზლად დგანან, რომ გიორგი ცოცხალი არ გავიდეს გაღმით, მისი თანამემამულენი, მასთან ერთად დიდი ტაშისკარის ბრძოლის მონაწილენიც კი. მათ ისე შემოუტრიალებიათ გამწირავი უმადურობა, რომ წყლისკენ, ადიდებული მღვრიე მტკვრისკენ უბიძგებენ, სხვა გზაც აღარ დარჩენია.

თავად კი ისევ ზემოდან დაჰყურებს მათ უტიფარ უმადურობას, ამ მძიმე წუთებშიც არ აქვს გუმანში სააკაძეს სპარსეთზე ფიქრი. ამის დასტურია ის, როგორი რისკის წინაშე დააყენა სააკაძემ თავისი თავიც და მთელი ოჯახიც ადიდებულ მტკვრზე გასვლის მცდელობით.

ჩამოითმინა ისევ სააკაძის გონებამ.

აღარც თავისი ბედის გამზიარებლებმა გაუშვეს. დაელოდნენ სრულ დაღამებას, როდესაც თითქოს მიჩუმდა და მიყუჩდა ბუნება, წინასწარ შერჩეულ ფონში ლოცვითა და ვედრებით შეერიენ ლტოლვილები მტკვარს. სვეტიცხოვლიდან მკრთალი მოლურჯო-მოთეთრო ნათება წამოსულიყო მდინარეში მათი სულის საიმედოდ, მეორედ კიდევ მოევლინათ გადარჩენა და ნუგეში სამშვიდობოს გაყვანისა, შეწევნა და მფარველობა მამა ღმერთისა, ძე ღმერთისა და სული წმიდისა გიორგი სააკაძის ოჯახს.

ნეტარ არიან დევნილნი მარად! თავიანთ გულისგულში მხურვალე სიყვარულით ილოცეს, წმინდა ცრემლებით იტირეს, უფალს მადლობა უძღვნეს და გასწიეს საარაგვოსკენ.

მისაქცეილთან ნუგზარ ერისთავი ელოდა სახლკარ-გადაბუგულ შვილსა და სიძეს.

ნუგზარს, თვითონაც თავადს, არ გაუჭირდებოდა იმ დიდი უმადურობის განჭვრეტა, რაც სააკაძის მიმართ გამოვლინდა. დიდებულთა გაორებული ბუნებაც ნათლად შესაცნობი იქნებოდა, როგორც თავადისათვის, რომლის გონების ნახევარი დიდ გვაროვანთა ინტერესების დამცველი იყო და მისი დინასტიური გაგრძელების მოსურნე. ძვალ-რბილში გამჯდარი მათი ასეთი თვისებები ხომ ურთიერთთანადგომასაც ნიშნავდა, მაგრამ მაინც სააკაძის წინააღმდეგ მოწყობილ საიდუმლო შეთქმულებაში გვერდში არ ამოიყენეს, არ ენდო ნუგზარს შადიმანი და მისი გარემო. მას თავის დროზეც არ მოუწონეს სააკაძესთან დამოყვრება, არც ახლა ენდნენ..

თანმიმდევრული ლოგიკით დასტურდება, რომ სააკაძეს თავის სიმამრთან შეხვედრამდე ირანში წასვლა ფიქრადაც არ გაუვლია! მაგრამ ისმება კითხვა, სხვა გზით თავის დაუძინარ მტერთაგან როგორ უნდა გადაერჩინა თავი. შეთქმულთა ბანაკმა რახან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, შეიძლებოდა ისევ ჰქონოდა მათგან დანდობის იმედი? სააკაძის ავისმზრახველთაგან ნუგზარ ერისთავიც შეურაცხყოფილი ჩანს, როგორც სააკაძის ცოლის მამა; მას, როგორც ერთ-ერთი მათნაირ დიდებულთაგანს, საარაგვოს თავადს, არ მიაგეს სათანადო პატივი. რამდენადაც შადიმანის ბანაკი არ უწევდა ანგარიშს ნ. ერისთავს, მასაც შეეძლო პასუხი გაეცა, მუდამ მზად

ჰყავდა კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარი, თავისი შვილის ინტერესების დაცვა არ გაუჭირდებოდა. თვით გიორგისაც ჰყავდა მომხრეები, რომლებიც გვერდში ამოუდგებოდნენ.

საკმარისი იყო სააკაძისაგან ერთი სიტყვა თანხმობისა, მის დამაქცევართა წინააღმდეგ არაგვის ერისთავი უკან არ დაიხევდა, მაგრამ არ გადაიდგა სავალალო ნაბიჯი სამოქალაქო დაპირისპირებისკენ. გონიერება გამოიჩინეს და გარიდება არჩიეს. ნუგზარ ერისთავისადმი მნიშვნელოვანი ანგარიშგაწევითაც აიხსნება ასეთი არჩევანი. ნუგზარ ერისთავის შვილისა და შვილიშვილების დამწიოკებელი შადიმანი, ცხადია, შეიტყობდა, პირველ ხანებში აღშფოთებული და განრისხებული სიმამრი სიძეს მასთან დარჩენას და იქიდან მოღალატეებთან ანგარიშის გასწორებას რომ ურჩევდა.

სააკაძე წინააღმდეგია, ვერ შევიქმნები მიზეზი ძმათა შორის სისხლის ღვრისო და დაამატა: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“.

– გაცლა საით უნდა ჯობდეს?

– ირანისკენო! – თქვა გიორგიმ და გულიც ამოაყოლა. მთელი სიღრმით იცოდა, რა დიდი ძალისხმევისა და მოთმინების ფასად დაუჯდებოდა განდევნილის სტატუსით შაჰის კარზე თავისი ნებით გამოცხადება. სულ მუდამ შევიწროებული, დათრგუნვილი ყოფა ირანში, შარბათის წრუპვა, განუწყვეტილი დევნა შაჰის უნდო თვალისა... ბრძოლა ირანის საკეთილდღეოდ, როცა საქართველოს ასე უჭირს... მაგრამ რა ექნა როცა მეტი გზა აღარ დაუტოვეს?!

ნ. ერისთავი იმდენად თანაგამზიარებელია თავისი შვილისა და სიძის ბედისა, გ. სააკაძის გადაწყვეტილებაც იმდენად სწორად მიაჩნდა, თვითონაც თან გაჰყვა ირანში შაჰის კარზე. ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას: ეს ამბები 1612 წელს მოხდა. ირანიდან დაბრუნებული ნუგზარ ერისთავი 1619 წელს გარდაიცვალა და ამ ხნის განმავლობაში არ ამოტივტივებულა რაიმე მნიშვნელოვანი დაპირისპირება, შუღლი, შადიმან ბარათაშვილსა და მას შორის (ყოველ შემთხვევაში, ისტორიამ არ იცის). სააკაძის სიძე და მოყვარე ლუარსაბ მეფეც კი იყო, მაგრამ მიმნდობი, ადვილად დამყოლი. ბოროტმზრახველებმაც სწორედ ეს მხარე გამოიყენეს მეფისა, მტკივან ადგილას შემოუწყვეს გახურებული ნაღვერდლები და მეტი დამაჯერებლობისათვის ბერუკა ჯავახიშვილს, სააკაძის ახლობელს ათქმევინეს: ფარულად შევიტყვე, რომ თქვენს წინააღმდეგ მოქმედებდა შაჰ-აბასთან, თქვენთვის ამისი არ ცნობა ღალატად ჩამეთვლებოდაო.

კარგად იცოდა აღმზრდელმა შადიმანმა აღზრდილის, ლუარსაბის ფსიქოლოგია. ამ მზაკვრულმა სიტყვამ საბოლოოდ გატეხა მეფის წინააღმდეგობა – იგი დათანხმდა სააკაძის სასიკვდილო განაჩენს.

**უტიფარი კოლოტაური**

რომ მიდიოდნენ ირანის გზაზე,
და მწუხარების არ ჩანდა ზღვარი,
წინ დიდი გზა იყო ისევ სავალი,
მათი სამშობლოს გადარჩენისთვის
არც ირანში იყო ამის წამალი.
ხალხური

ირანის გზაზე დამდგარ დევნილებს ხროვას ჩამორჩენილი მარტოხელა მგელივით გადაეყარათ ვინმე „უშიშარი“ კოლოტაური. ისეთი გათავხედებული იყო, მარტოს გადაეწყვიტა სააკაძის შეპყრობა. ჩანს, იმ დროსაც იყვნენ სიგიჟეშეყრილი სახელის მაძიებელნი. მცხეთასთან იარაღში ჩამჯდარი სამოცი კაცი მზირად დგას, აქ ეს მარტოკაცი სააკაძეს დაჭერას უპირებს!

– რას ითხოვ ჩვენგან? – დაღლილი ხმით ჰკითხა სააკაძემ.

– შენი შეპყრობა და ტყვედ მიგვრა მაქვს დავალებული.

– ვინ დაგავალა?

– შადიმან ბარათაშვილმა!

ნაღვლის ღიმილი შეეყინათ სახეზე სახელის მაძიებელი თავხედი კაცის პასუხზე. ესეც ერთგვარი გამოცდა იყო სააკაძისათვის, რას და როგორ მოიმოქმედებდა არსებულ მდგომარეობაში. ჩუმად, მდუმარედ იდგნენ დევნილები. არცერთს სიტყვა არ დასცდენია, წარბი არ აწეულა მათს სახეზე – სააკაძეს უნდა მიეღო გადაწყვეტილება.

მძიმედ მოქაჩა გიორგიმ ცხენს აღვირი, ტარით კოლოტაურისკენ შეატრიალა შუბიც. გვერდებში შუბისტარ-ნაძგერები შადიმანის ლაქია ძეძვნარში დაენარცხა მიწას, ეკლებს გადააღლიტა უტიფარი ცხვირ-პირი. ერთი კი ახედა თავზე მდგომს დამფრთხალმა, მიხვდა, არ იყო სააკაძე მისი გამწირავი და მდუმარედ დააჩერდა მიწას.

– შენნაირი კაცი სიცოცხლის ღირსი არ არის, მაგრამ ღმერთის ნებით ვერ გაგიმეტეო, – მეხის ხმასავით ჩამოესმა პირქვედამხობილს.

შვებითა და ლოცვით განაგრძეს გზა დევნილებმა.

კიდევ გვექნება მსგავს მოვლენებზე, გიორგი სააკაძისაგან თითქოს მოულოდნელ შემწყნარებლურ საქციელზე საუბარი.

სააკაძე გაგრძელებაა იმ იშვიათ ადამიანთა ჯილაგისა რომელთა სულში გამჯდარი ტკივილი სხვათათვის დარდის განელების საშუალებაა; თავისი მიმტევებლური ბუნების კარი გაგვიხსნა, რომ მისი გულის-ფეთქვისათვის გვესმინა. მან გვამცნო ჯერ ქართველებს, თუ რამხელა განძს, – სულგრძელობის ამოუწურავ წიაღს, სიცოცხლისუნარიანობის, დაუღალავი სიყვარულის რა სასწაულებრივ უნარს ფლობენ საუკუნეთა მანძილზე ჯვარცმულნი, წამებული ძველთაძველი ქვეყნის, საქართველოს შვილები.

ღვთის ნებით სწორედ მიმტევებლურმა ბუნებამ გადაგვირ-ჩინა სული და შეინახა თავი ქართულ მოდგმაში; სააკაძის გარეშე საქართველოს ისტორიული სპექტრი ვერ იქნებოდა სრულყოფილი პალიტრა ქარცეცხლში გამოტარებული ქართული მეობის დასაცავად. საბრძოლო სტრატეგიული ტაქტიკა, საომარ ადგილთა ისე შერჩევა, რომ ბრძოლის მოგების შანსი გაზრდილიყო, ხმალი შხუილით მოელვარე დამპყრობთა წითელ თავებზე სააკაძისათვის თვითდამკვიდრების ფორმა იყო, ისევე, როგორც ფრინველისთვის ცაში ნავარდი.

წუთისოფელში ნებივრობისათვის არ მოვლენილა ადამიანი. ის საკუთარი „მე“-ს დასამკვიდრებლად გარჯითა და ბრძოლით მოსაპოვებელი ტკბილ-მწარე ნაყოფია. მხოლოდ მოუღლელი სიარული ასეთ გზაზე, დათრგუნვილი წინააღმდეგობანი ამაღლებს მას.

მტრის ზარის დამცემი, ახლა მოშურნეთა მცდელობით განდევნილია, იძულებით გადახვეწილი თავისი მიწა-წყლიდან; მის საფიცარ მშობლიურ ნოსტეში ლურჯი ცა მწუხრად დაიბინდა. სევდიანნი, ფარულ ცრემლებს ველარ იკავებდნენ თანასოფლელები თუ მის მხარდამხარ მებრძოლი ტაშისკარის ომის თანამონაწილენი.

რატომ, რისთვის, ქართული ჯიშის რა მხარემ გაიმეტა ასე ულმერთოდ? – ეს პასუხგაუცემელი კითხვა თაობიდან თაობას გადაეცემა და დღემდე გვაწუხებს.

თავიანთი ამბიციებიდან გამომდინარე, დიდებულებმა 12 წელი შაჰ-აბასისთვის, იგივე ირანისათვის, სასარგებლო სამსახურში ჩააყენეს გიორგი სააკაძე. განდევნეს, გაინაპირეს, სამშობლოსა და თავის მიწა-წყალს მოსწყვიტეს. ჯერ მოკვლა, ფიზიკური განადგურება გადაუწყვიტეს, არა მარტო მას, მის ცოლ-შვილს (ცხადია, ყველამ არა)... მთლიან ოჯახს, ძმას და მის მოგვარე ბიძაშვილებსაც კი!

დარბევის შემდეგ სააკაძის ჯალაბის ნაწილი იმერეთში გადაიხიზნა. გიორგის მიწა-მამულები შეთქმულებმა დაინაწილეს, ბერუკა ჯავახიშვილს, როგორც პირველ დამბეზღებელს, სააკაძის მამულების დიდი ნაწილი ერგო.

დღემდეა ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტი, კერძოდ, ლუარსაბ მეფის მიერ 1613 წელს ზაალ აბაზაძისადმი გაცემული წყალობის სიგელი სადაც აღნიშნულია, ადრე გიორგი სააკაძისთვის ნაწყალობევი მამული ახლა შენთვის მოგვიციაო:

„შეგიწყალეთ და გიბოძეთ მიწობლისეული მამული, რაც მოურავისათვის წყალობად გუებოძებინა მისის მართლის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა“.

როგორც ჩანს, აბაზაძეც მონაწილე ყოფილა შეთქმულებისა.

დედოფლადყოფილი სააკაძის დის შესახებ ცნობილი არაფერია, ისტორიკოსთა აზრით, მას მონაზვნური გზა უნდა აერჩია.

სამართლიანად დასტურდება სააკაძის დისადმი მეფე ლუარსაბის წრფელი სიყვარული, მას შემდეგ ცოლი აღარ შეურთავს, მემკვიდრეც არ დარჩენია. დადიანის ასული მარიამი, რომელიც დიდხანს ყოფილა გაუთხოვარი, დედოფლად უნდოდათ ლუარსაბის დედას, მარიამს და დიდებულებს.. ის ამ მოვლენებიდან სამი წლის შემდეგ, 1615 წელს, ისევ შადიმან ბარათაშვილის მცდელობით, შაჰ-აბასმა ტყვედ წაიყვანა ირანში.

(გაგრძელება იქნება)

# ეკონომიკა

**ვალერი მოსიაშვილი**
*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*

**ეთერი მამაცაშვილი**
დოქტორანტი. სტუ.



## კორპორაციული მართვის საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და შეფასება

კორპორაციის ორგანიზაციული მართვის სისტემა დროთა განმავლობაში ვითარდებოდა, ხშირად ეს ხდებოდა კორპორაციული კრახის ან სისტემური კრიზისის საპასუხოდ. პირველი, დოკუმენტურად სათანადოდ ასახული კრახი დაფიქსირდა 1700-იანი წლების ინგლისში, რომელიც ცნობილი იყო როგორც „სამხრეთის ზღვის ბუშტი“. მან რევოლუციური გავლენა მოახდინა ინგლისის ბიზნესის კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. ანალოგიურად, აშშ-ში ფასიანი ქაღალდების კანონის დიდი ნაწილის შემუშავება მოჰყვა 1929 წლის საფონდო ბირჟის კრახს. კრიზისის ნაკლებობა არც შემდეგ წლებში ყოფილა ნაკლები. აღსანიშნავია მე-20 საუკუნის 70-იანი წლების მეორადი საბანკო კრიზისი ინგლისში, 80-იანი წლებში დანაზოგებისა და საკრედიტო კრახი აშშ-ში, 1998 წლის ფინანსური კრიზისი რუსეთში, 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი დაწყებული აშშ-დან და ა.შ.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა აქტიურად არის ჩართული კორპორაციული მართვის განვითარების საქმეში და გარკვეული წარმატებებიც იქნა მიღწეული ამ მიმართულებით. 1992 წლიდან დიდ ბრიტანეთში ქეთბერის კოდექსის გამოქვეყნების შემდეგ, იგი ადაპტირებული და გადამუშავებული იქნა ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოსა და 60 სხვა ქვეყნის მიერ.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს კორპორაციული მართვის მოდელების მრავალფეროვნება. ამის მიუხედავად, ყველა მათგანი შესაძლოა დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად: ანგლო-საქსურ, გერმანულ და იაპონურ მოდელებად.

*კორპორაციული მართვის ანგლო-საქსური მოდელის* თავისებურებანი უშუალოდ დაკავშირებულია აშშ-ში აქციონერული საკუთრების თავისებურებებთან, კერძოდ, ამერიკულ კორპორაციებში არ არსებობს მსხვილი, სხვა დანარჩენზე დომინირებული კაპიტალი. ამასთან, აქციონერული კაპიტალი ამერიკულ კორპორაციებში მნიშვნელოვანი ხარისხით გაბნეულია[1]. შედეგად, აქციონერთა არცერთ ჯგუფს არ შეუძლია წარადგინოს პრეტენზია დირექტორთა საბჭოში განსაკუთრებულ წარმომადგენლობაზე.

ამ მოდელის მეორე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ აქციათა უმრავლესობა არ ფლობს ინდივიდიალურ ინვესტორებს და თავმოყრილია ინსტიტუციური ინვესტორების საპენსიო და საპაიო ფონდების ხელში. ამ ინვესტორებს საკუთარ ხელში კონცენტრირებული აქვთ აქციონერული კაპიტალის 50%-ზე მეტი. ისინი არ ცდილობენ საკუთარი წარმომადგენელი ყავდეთ დირექტორთა საბჭოებში და, როგორც წესი, გაურბიან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას საკუთრების უფლებიდან გამომდინარე იმ კომპანიებში, რომლებშიც ისინი ფლობენ აქციების მსხვილ პაკეტებს. აქციონერული კაპიტალის გაფანტულობა აადვილებს აქციების გადასვლას ერთი მესაკუთრის ხელიდან მეორის ხელში: წვრილ აქციონერს უფრო იოლად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მისი კუთვნილი აქციების გაყიდვის შესახებ, ვიდრე მსხვილ აქციონერს, რადგან აქციების

[1] აშშ-ის კორპორაციათა უამრავ რაოდენობას საკუთარ რეესტრებში არ მოეძებნებათ ისეთი ინდივიდიალური ან ინსტიტუციური აქციონერი, რომლის წილიც შეადგენდა კომპანიის მთლიანი კაპიტალის ერთ პროცენტზე მეტს.

პაკეტის გაყიდვა მისთვის ხშირად სტრატეგიული გეგმების შეცვლის მომასწავებელია და შეიძლება მას მოჰყვეს დანაკარგები გასაყიდ აქციებზე საკურსო ღირებულების დაცემის გამო.

კომპანიათა შერწყმა, ჩაყლაპვა, დაუფლება და გამოსყიდვა წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას ამერიკულ საფონდო ბაზარზე, რაც მათ აქცევს ინვესტორთა (აქციონერთა) მხრიდან მენეჯერთა საქმიანობაზე კონტროლის მეტად ეფექტურ და იოლად რეალიზებად ინსტრუმენტად. თავისი არსით, ამერიკული კომპანიები წარმოადგენენ აქციონერების საკუთრებას. მაგრამ ამერიკული კანონებით, აქციონერების უფლებაა კომპანიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, რაც მიგვიყვანდა კომპანიის დირექტორების არჩევასთან, რომლებიც შემდგომ კომპანიას მართავენ მფლობელი აქციონერების სახელით. აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ხმის მიცემაში კომპანიის წესდების ამა თუ იმ დებულების შესაცვლელად, აირჩიონ და შეცვალონ დირექტორები, მოიწონონ ან უარყონ მნიშვნელოვანი „ორგანული“ ცვლილებები, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს კომპანიის გაქრობასთან (მისი შერწყმის ან გაყიდვისას).

*კორპორაციული მართვის გერმანული მოდელი* ამერიკულისგან განსხვავდება მთელი რიგი თავისებურებებით, კერძოდ, გერმანული აქციონერული კაპიტალის დიდი ნაწილი იმყოფება სხვა კომპანიების მფლობელობაში: კომპანიათა ურთიერთ მონაწილეობის სისტემა, აქციათა ფლობის თვალსაზრისით, გერმანიაში მოიცავს ერთობლივი აქციონერული კაპიტალის ნახევარზე მეტს. თუმცა, ინდივიდუალური ინვესტორები არიან გერმანიაში აქციონერების მეორე მსხვილი ჯგუფი (მათ ხელშია გერმანულ კომპანიათა აქციების დაახლოებით 16%), მათი აქციების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია სერტიფიკატებით წარმომდგენზე, რომელსაც მათი მფლობელების მითითებით მართავენ ბანკები, სადაც კონცენტრირებულია ინდივიდიალურ აქციონერთა აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომ თავისუფალ მიმოქცევაში მყოფ კომპანიათა აქციების ლომის წილი (90% მეტი) გერმანიაში მოდის ორგანიზაცია-ინვესტორებზე.

გერმანულ კომპანიათა აქციონერული კაპიტალი უმაღლეს დონეზეა კონცენტრირებული. გასული საუკუნის 90-იანი წლების რეესტრის მონაცემებით, 40 წამყვანი გერმანული კომპანიიდან 27 კომპანიაში ერთი აქციონერის პაკეტი შეადგენდა ერთობლივი კაპიტალის 10%-ზე მეტს, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში სამი ყველაზე მსხვილი აქციონერი ერთობლიობაში ფლობდა თავის კომპანიათა აქციების 50%-ზე მეტს. ამრიგად, გერმანელ მფლობელებს და ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც მართავენ მათ კაპიტალს, უფრო მჭიდრო საქმიანი კავშირები აქვთ თავიანთ კომპანიებთან, ვიდრე მათ ამერიკელ კოლეგებს. და, როგორც შედეგი, ისინი უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი იმაში, რომ აქტიურად სარგებლობდნენ მესაკუთრის უფლებებით და ღებულობდნენ მონაწილეობას კომპანიის საქმიანობის კონტროლში.

გერმანიაში, აშშ-თან შედარებით, საფონდო ბაზარი უფრო დაბალი ხარისხით არის განვითარებული. გერმანიის ეკონომიკაში ფუნქციონირებს 600–ზე მეტი ღია ტიპის კომპანია, რომელთა ერთი მეხუთედი წარმოდგენილია ლონდონის საფონდო ბირჟის სიებში და დაახლოებით ერთი მეათედი კოტირდება აშშ-ის ბირჟებზე.

აქციების გამოშვების გზით დაფინანსების მნიშვნელობის რამდენადმე გაზრდის მიუხედავად, გერმანული კომპანიებისათვის აქციონერული კაპიტალი არ წარმოადგენს ფინანსურ საშუალებათა ძირითად წყაროს. ტრადიციულად, ისინი იყენებენ ბანკების მომსახურებას, როგორც საგარეო დაფინანსების ძირითად წყაროს. შედეგად, გერმანელი აქციონერები შედარებით ნაკლებად ინტერესდებიან საფონდო ბაზრის საქმიანობით და, მათ ამერიკელ კოლეგებთან შედარებით, გააჩნიათ შეუდარებლად ნაკლები შესაძლებლობები – გამოხატონ საკუთარი უკმაყოფილება ამა თუ იმ კომპანიის მენეჯმენტის მიმართ, მათი აქციების მასობრივი გაყიდვისას. გერმანიაში, პრაქტიკულად, არ არსებობს „კორპორაციული კონტროლის“ ბაზარი, კომპანიათა მტრული შერწყმა და შთანთქმა ხორციელდება შთანთქმულ კომპანიათა მენეჯმენტის სურვილით, თავისუფალ ბაზარზე მათი აქცი-

ების შესყიდვის გზით. ასეთი ოპერაციების უმრავლესობა ხორციელდება ე.წ. „მეგობრული“ შერწყმის და შეძენის გზით. ამასთან, გერმანული კანონები კომპანიებს აძლევს უფლებას დააწესონ შეზღუდვები ხმის უფლებაზე ერთი აქციონერის კუთვნილი წილის შესაბამისად, რაც კიდევ უფრო აძნელებს აქციების გაყიდვების, როგორც მენეჯმენტზე კორპორაციული კონტროლის მექანიზმის, გამოყენებას.

გერმანული ეკონომიკის მრავალწლოვან ტრადიციას წარმოადგენს მისი სოციალური მიმართულება, ორიენტაცია სხვადასხვა სოციალური ჯგუფების აქტიურ თანამშრომლობაზე, მთლიანობაში, ერის კეთილდღეობის ამაღლების სახელით (Радыгин А. Вопросы экономики, 2000, №11: 34.). ამან, პრინციპში, მიიღო „ურთიერთგანპირობებულობის“ სახელწოდება, რომელიც იმ ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც არ არიან მოცემული კომპანიის აქციონერები, მაგრამ დამოკიდებულნი არიან მისი ამა თუ იმ გადაწყვეტილებისაგან, შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ მათს გადაწყვეტილებებში. ამასთან, საზოგადოებრივი ვალდებულებები კერძო საკუთრებაზე გერმანიაში უფრო გამოკვეთილი და მასშტაბურია, ვიდრე აშშ-ში.

*იაპონური კორპორაციული მართვის თანამედროვე მოდელი* თავის თავში მოიცავს იაპონიის განვითარების ორი ფაქტორის სიმბიოზს ღრმა ტრადიციებსა და კულტურას და ომისშემდგომი პერიოდის გარე ძალების ზეგავლენას (Райсханова Р. Технология управления, 2001, №9: 35). ომისწინა პერიოდში იაპონიის ეკონომიკა ეფუძნებოდა არც თუ ისე დიდი რაოდენობის საფინანსო-სამრეწველო კონგლომერატების „ზაიბატსუ„-ს -საქმიანობას, რომელთა საკუთრებაც თავმოყრილი იყო რამოდენიმე საოჯახო კლანის ხელში. მარშალის გეგმის რეალიზაციამ (აშშ-ის სამართლებრივი რეგულირების კოპირებამ), რომელიც ითვალისწინებდა ომისშემდგომი ეკონომიკის აღდგენას, მოითხოვა ეკონომიკის დემილიტარიზაცია და დემონოპოლიზაცია და ასევე, „ზაიბატსუ„-ს დეზინტეგრაცია.

ამრიგად, შენარჩუნდა კონცენტრირებული კონტროლი კომპანიებზე იმ დროს, როდესაც ფორმალურად საკუთრება იყო მნიშვნელოვნად დაქსაქსული. ეს იყო ერთ-ერთი იმ პროცესებიდან, რომელმაც იაპონია მიიყვანა თანამედროვე საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ე.წ. „კეირეტსუ„-ს ფორმირებამდე.

გამსხვილების პროცესი ხორციელდებოდა მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროებში, საბანკო სექტორის მოცვის გარეშე. შემდგომ, იაპონიის მთავრობამ შეიმუშავა განვითარების საკუთარი პროგრამა, ჩამოაყალიბა რა მისი პერსპექტიული მიმართულებები. დასახული მიზნების რეალიზაციისათვის განხორციელდა არსებული ფინანსური რესურსების კონცენტრაცია და იგი განაწილდა ექვს მსხვილ ბანკს შორის. ბანკები ვალდებული იყვნენ დამოუკიდებლად განეხორციელებინათ ინვესტიციური პროცესები, ყველა რისკის საკუთარ თავზე აღებით. ამ ბანკების გარშემო კონცენტრირებულ იქნა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა ჯგუფები.

იაპონურ ბიზნესში ბანკები იმდენად გავლენიანი არიან, რომ თითოეული საწარმო ყოველთვის ცდილობს დაამყაროს მჭიდრო ურთიერთობა რომელიმე მათგანთან. ასეთი ბანკი იწოდება მთავარ ბანკად. მათი ფუნქცია მრავალფეროვანია: ძირითადად, იგი კრედიტორია, მთავარი ბანკი წარმოადგენს პირველს ან მეორეს დაკრედიტების მოცულობის მიხედვით იაპონური მსხვილი კომპანიების 85%-სათვის. კომპანიათა 16%-სათვის იგი ყველაზე მსხვილი აქციონერია, 22%-ის შემთხვევაში სიდიდით მეორეა, ხოლო 15%-ის შემთხვევაში კი – სიდიდით მესამე.

იაპონური აქციონერული კაპიტალის სტრუქტურაში ინდივიდუალური ინვესტორების წილი უმნიშვნელოა. ეს განპირობებულია იმით, რომ კორპორაციული მართვის იაპონურ მოდელში ნაკლები ყურადღება ეთმობა ინვესტიციათა შემოსავლიანობას და ასეთი ინვესტიციების გაკეთება არ არის მიმზიდველი კერძო ინვესტორებისათვის. ამასთან, კორპორაციათა ძირითადი მიზნები დაკავშირებულია საბაზრო წილის გაზრდასთან, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის ზეკონკურენტულ ეკონომიკას, რომელიც ახორციელებს ეროვნული სიმდიდრის ფორმირებას. მაგრამ ინდივიდიალური სიმდიდრე

ფინანსური ინვესტიციების საშუალებით ამ დროს არ იქმნება. იმდენად, რამდენადაც ინვეტიციები არ არის მიმზიდველი, მოსახლეობის დანაზოგები თავმოყრილია ბანკებში და, შესაბამისად, გაშუალებულად მონაწილეობენ საინვესტიციო პროგრამებში ბანკების მმართველობის ქვეშ.

ამრიგად, კორპორაციული მართვის სისტემა მოიცავს აქციონერების, მენეჯერების, დასაქმებულების, მომწოდებლების, ინვესტორებისა და სახელმწიფოს სამართლებრივ, ინსტიტუციურ და ეთიკურ გარემოებათა ერთობლიობას. კორპორაციული მართვის ძირითად მოდელებს შორის არსებობს იურიდიული და ინსტიტუციური ხასიათის განსხვავება და მასთან დაკავშირებული კორპორაციული საკუთრების თავისებურება.

ზემოთ განხილულ კორპორაციული მართვის მოდელებს გააჩნიათ გარკვეული ღირსებები და შეზღუდვები. მე-20 საუკუნის 50-იანი და 70-იანი წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით (როდესაც გერმანიამ და იაპონიამ გვიჩვენეს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები), მრავალი ავტორი ხაზს უსვამდა კორპორაციული მართვის უპირატესობას, ეყრდნობოდნენ რა უმსხვილეს ბანკებს. მაგრამ, უკანასკნელ პერიოდში, უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ კორპორაციული მართვის ასეთმა ტიპმა შესაძლებელია უზრუნველყოს არასაკმარისად ეფექტიანი კომპანიების ზღვარგადასული დაცვა და, რაც განსაკუთრებით არსებითია, იგი ფლობს რამდენადმე დიდ ინერციულობას და ნაკლებად მგრძნობიარეა რადიკალური ტექნიკური და ეკონომიკური სიახლეებისათვის. ამასთან, დიდი ზეწოლა კეთდება მოქნილ საბაზრო მექანიზმებზე და მისგან გამომდინარე ფუნქციების განხორციელებაზე. ასეთი სახის მრავალი მტკიცებულება გამომდინარეობს საინტერესო თეორიული მოდელებიდან და ეყრდნობა ემპირიული გამოკვლევების შედეგებს (Morck R., Nakamura M. Journal of Finance, 1999: 319).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აზრი არა აქვს კორპორაციული მართვის აღწერილ მოდელებს შორის განსხვავებების როლის გაზვიადებას. ს. კაპლანი, რომელმაც რამოდენიმე შრომა მიუძღვნა სხვადასხვა ქვეყნების კორპორაციულ მართვაში განსხვავებების შესწავლას, მივიდა დასკვნამდე, რომ ნებისმიერ განხილულ ქვეყანაში კორპორაციათა საქმიანობის გაუარესების შემთხვევაში, როგორც წესი, იზრდება მმართველობის მაღალი ეშელონების საქმისაგან ჩამოშორების ალბათობა. განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება შემდეგი გათვლების შედეგები: უმაღლესი მმართველობითი ეშელონების შემოსავლების შემცირების (დაკარული სარგებლის) ბრუნვის ელასტიკურობის მაჩვენებელი ან აქციათა საბაზრო კურსის მასშტაბის დაცემა სამივე ქვეყნის შესაბამის კორპორაციებში წარმოადგენილია დაახლოებით მსგავსი რიგის სიდიდეებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ვიმსჯელებთ მითითებულ გათვლებში არსებული შეფასებებით, მაშინ კორპორაციული მართვის სხვადასხვა მექანიზმების მოქმედების შედეგები, რომლებიც შესაძლებელია გამოვლინდნენ ტოპ-მენეჯერთა ბრუნვის ინტენსივობაში, იქნება საკმარისად მსგავსი.

ილუზია იქნებოდა გვეფიქრა, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში სხვადასხვა ქვეყნების მოდელებისაგან დამოუკიდებლად გადაიჭრებოდა კორპორაციული მართვის ყველა პრობლემა. კონკრეტული მოდელის ფორმირება კონცეპტუალური და ვიწრო საგნობრივი დისკუსიების, ახალ-ახალი სამართალდარღვევების გამოვლენის, კორპორაციათა შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების ადექვატურად სრულყოფის, სამართლებრივი ბაზისა და ინვესტორთა დაცვის პერმანენტული პროცესია. ქვეყნების ეკონომიკური განვითარების რეალიებს ასევე თავისი მოდიფიკაციები შეაქვთ კორპორაციული მართვის პრაქტიკაში.

ევროკავშირის წევრ–სახელმწიფოთა უმრავლესობა, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, „დაემორჩილე და განმარტე“ ანუ „comply or explain“ რეგულირების მექანიზმს მიმართავს. 1992 წლიდან დიდ ბრიტანეთში, ქეთბერის კოდექსის გამოქვეყნების შემდეგ, იგი ადაპტირებულ და გადამუშავებულ იქნა ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. ამჟამად ევროპული კორპორაციული მართვის მო-

ნაცემთა ბაზა დაახლოებით 350 კორპორაციული მართვის კოდექსს მოიცავს (www.ecgi.org./codes). მხოლოდ 2002 წელს 30 ასეთი დოკუმენტი გამოქვეყნდა.

გერმანიაში, 2002 წლიდან, არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც სავალდებულოა ყველა საბირჟო კოტირების მქონე სააქციო საზოგადოების გამგეობისათვის. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ კოდექსი ორად არის გაყოფილი: (1) რეკომენდაციებად, ე.წ. აუცილებელ ნორმებად, რომელთა გადახვევის უფლება გამგეობას აქვს, თუმცა ამ შემთხვევაში ვალდებულია ყველა ამ გადახვევის შესახებ ღიად განაცხადოს და, (2) შეთავაზებებად, ე.წ. „შესაძლებელ" და „სასურველ" მითითებებად, რომელთა შესრულება ყოველგვარი გაცხადების გარეშეა შესაძლებელი (მ. კორტი, თბილისი, 2003: 291). ქეთბერის კოდექსმა მასობრივი ცვლილებები გამოიწვია. იგი ფოკუსირებულია ერთსაფეხურიანი მართვის სისტემაზე და აუდიტორების როლზე გაერთიანებულ სამეფოში.

ჰოლანდიური კოდექსი, რომელიც შემუშავებული იქნა 2003 წელს „დაემორჩილე„-ს ანაცვლებს „მიმართე„-თი, რაც კომპანიებს მეტი ლავირების საშუალებას აძლევს. კორპორაციული მართვის პრინციპები აშშ-ში „რბილი სამართლის" ანალოგს წარმოადგენს და არ ხასიათდება იმპერატივიზმით. გარდა რბილი სამართლისა, აშშ-ის სამართლის სისტემაში გვხვდება ფედერალური აქტები, რომელიც ნორმატიული ხასიათისაა. მათ შემუშავებას საფუძვლად დაედო სწორედ ეკონომიკური პრინციპები და წარმოქმნილი სირთულეები. ამისი ნათელი მაგალითებია 2002 წლის „სარბეინს-ოქსლისა„[1] და 2010 წლის „დოდ-ფრენკის„[2] აქტები. აშშ-ში კომპანიების უმეტესობა დელავერის შტატშია რეგისტრირებული, რადგან ამ შტატის კანონმდებლობა ყველაზე მოქნილად და ხელსაყრელად მიიჩნევა კომპანიებისთვის.

შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ არცერთი ამ მოდელთაგანი არ წარმოადგენს სრულყოფილს. როგორც გერმანული, ისე იაპონური მოდელი განიცდის კრიტიკას იმის გამო, რომ ისინი „მნიშვნელოვნად ჩაკეტილია და ზღუდავენ მენეჯერებს" (Грэй Ч.В. Хенсон Р.Дж. М., ИНФРА, 1994).

გერმანიაში ბანკები ექსკლუზიურად ოპერირებენ რა საფონდო ბაზარზე და ფლობენ რა კორპორაციათა აქციების პაკეტებს, სულ უფრო მეტად ექვემდებარებიან კრიტიკას, რადგან ასეთი ფლობა ზიანს აყენებს ბანკის მეანაბრეთა ინტერესებს. ამავე დროს სახეზე გვაქვს რეალური კონფლიქტები:

- ბანკის, როგორც საკრედიტო ორგანიზაციისა და ბანკის, როგორც სტრატეგიული ინვესტორის, ინტერესებს შორის;
- ბანკის, როგორც სტრატეგიული ინვესტორის ინტერესებს და წვრილი აქციონერების – ფინანსურ ინვესტორების ინტერესებს შორის;
- წარმომდგენზე აქციების ფლობა წინააღმდეგობებს უქმნის აქციონერებს (განსაკუთრებით, – უცხოელებს) საკუთარი უფლებების ეფექტიან რეალიზაციაში.

აფილირებული აქციონერების იაპონური სისტემა თავისი არსით ლახავს „დამოუკიდებელი" აქციონერების უფლებებს. დამატებით პრობლემებს პორთფელური ინვესტორებისთვის იაპონიაში ასევე ქმნის: პირველი, აქციონერებისათვის ყველა კრების ერთ დროს ჩატარების პრაქტიკა, და მეორე, ნეგატიური დამოკიდებულება აქციონერების ინიციატივებისადმი.

ანგლო-საქსური მოდელისათვის, თეორიულ დონეზე, დამახასიაათებელია საკუთრების თავმოყრა, რომელსაც მივყავართ აქციონერების პასიურობასთან (ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია მსხვილი კომპანიებისათვის, სადაც ბევრი აქციონერია, ფლობა და მართვა მკვეთრად გამიჯნულია და კოლექტიურ ქმედებებზე დანახარჯებიც მაღალია). კომპანიათა შერწყმის (შთანთქმის) ბაზარი ანგლო-საქსურ მოდელში განხილულია, როგორც კორპორაციული კონტროლის მნიშვნელოვანი სა-

[1] ამ აქტის სახელწოდებაა „ღია კომპანიების ანგარიშგების რეფორმისა და ინვესტორთა დაცვის აქტი".
[2] საგულისხმოა, რომ „დოდ-ფრენდის, უოლ-სტრიტის რეფორმისა და მომხმარებელთა დაცვის აქტი" -ხელმოწერილი იქნა პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ.

შუალება; იგი იმსახურებს კრიტიკას კომპანიებში სიტუაციის პოტენციურად დესტაბილიზებისათვის[1].

ამასთან ერთად, არსებობს პრაქტიკული და სამართლებრივი ხასიათის მთელი რიგი საერთო საკითხები, რომლებიც, როგორც უწინ, დღესაც რჩებიან დისკუსიის საგნად მოცემულ სფეროში. მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი:

(1) საკუთრების კონცენტრაციის (კონტროლის) ხარისხი როგორ მოქმედებს კორპორაციის აქციონერთა ურთიერთობებზე და მისი საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე;

(2) როგორია თანაფარდობა კორპორაციაში დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა, დირექტორთა საბჭოში აქციონერთა წარმომადგენლების განაწილებასა და საკუთრების ფაქტიურ განაწილებას (აქციების ფლობას) შორის;

(3) რა ხარისხით უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულნი დირექტორთა საბჭოები აქციონერების წინაშე, როგორია სტიმულები მათ მიერ აქციონერთა ინტერესების ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელებისათვის, როგორია მათი პასუხისმგებლობის საზომი კორპორაციის სტრატეგიის შემუშავებისას;

(4) როგორია ოპტიმალური თანაფარდობა „შიდა შემსრულებლებსა" და „დამოუკიდებელ" დირექტორებს შორის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში, ერთდროულად როგორ უზრუნველვყოთ დამოუკიდებელი დირექტორების შრომის უნარიანობა, სათანადო ინფორმირებულობა და დავადგინოთ მათი ჩარევის გონივრული საზღვრები;

(5) სად იმყოფება ზღვარი კორპორაციაში სტრატეგიულ მართვას (კონტროლს) და ოპერატიულ მენეჯმენტს შორის, დირექტორთა საბჭოს წინაშე მენეჯერების ანგრიშვალდებულებასა და მენეჯერთა საქმიანობაში ამ უკანასკნელის ჩაურევლობას შორის;

(6) როგორ უნდა გადავჭრათ (და საჭიროა თუ არა) „უბილეთო მგზავრობის" ან „მძინარე პარტნიორების" პრობლემა, როდესაც მსხვილ კორპორაციაში თითოეული წვრილი აქციონერი ცდილობს მენეჯერთა კონტროლი გადააბაროს სხვა აქციონერებს;

(7) როგორ ეფექტურად დავიცვათ წვრილ აქციონერთა უფლებები, რომ არ დავუშვათ მათი მხრიდან იმავდროულად მადესტაბილიზებელი ქცევა;

(8) ვის ინტერესებს (აქციონერები, ყველა ფინანსური ინვესტორი, კორპორაციის ყველა „თანამონაწილე„) უნდა წარმოადგენდეს დირექტორთა საბჭო, რა დანახარჯებს გამოიწვევს ეს, ვინ უნდა გასწიოს იგი, როგორ განაწილდება ეს დანახარჯები „თანამონაწილეთა" სხვადასხვა ჯგუფებს შორის;

(9) საჭიროა თუ არა ცალკე იყოს წარმოდგენილი წვრილი და მსხვილი აქციონერების, ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მფლობელების ინტერესები.

არსებული პრობლემების ჩამოთვლილი ნაკრებიც კი საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ კორპორაცია, გარკვეული აზრით, წარმოადგენს ინტერესთა სხვადასხვა კონფლიქტების პოტენციურ კომპლექსს. მათ მიეკუთვნება, მაგალითად:

- აქციონერთა და მენეჯერთა ინტერესების კონფლიქტი (შესაბამისად: „მოგება" -„ხელფასი", „ეკონომია" „პრესტიჟი", „პორთფელური დაბანდებები", „ძირითადი სამუშაო ადგილი", „მაღალი მოგება", „გაუთვალიწინებელი მდგომარეობის თავიდან აცილება" და ა. შ.);
- ინტერესთა პირადი კონფლიქტი დირექტორთა საბჭოსა და მენეჯერებს შორის (ძალაშია კომპანიის ამმართულებელ დირექტორთა უფლებამოსილება ნარჩენი პრინციპით);

[1] ანგლო-საქსური მოდელის ტრადიციული კრიტიკა ფოკუსირდება აუტსაიდერების პასიურობაზე დირექტორთა საბჭოებში. გასათვალისწინებელია, რომ: ჯერ-ერთი, ამ ტენდენციას უნდა ჰქონდეს შემდგომი განვითარება, და მეორე, აშშ-ის დამახასიათებელ ტენდენციას წარმოადგენს კორპორაციის საქმიანობის თავმოყრა მინიმალური რიცხოვნობის ადამიანების, ანუ მმართველთა ხელში.

- ინტერესთა კონფლიქტი (ანგლო-საქსურ მოდელში) კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავ-ჯდომარის და გენერალური (აღმასრულებელი) დირექტორის თანამდებობათა შეთავსებისას;
- ინტერესთა კონფლიქტი აქციონერთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, მიზნებიდან გამომდინა-რე (მოკლევადიანი ან გრძელვადიანი მოგება, უსაფრთხოება და უსაფრთხო გრძელვადიანი ინვეს-ტირება, სტრატეგიული კონტროლი ან ფინანსური ინვესტიციები);
- ინტერესთა კონფლიქტი აქციონერთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის აქციათა პაკეტის სიდი-დიდან გამომდინარე (მსხვილი აქციონერების მოქმედება წვრილი აქციონერების დასაზარალებლად, ქონების გადანაწილებამდეც კი);
- ინტერესთა კონფლიქტი აქციონერებსა და კორპორაციის ობლიგაციის – შორის (შესაბამი-სად: „ნარჩენი მოგების მაქსიმიზება“, „ფინანსური შემოსავალი ნასესხებ კაპიტალზე“, „სარისკო ოპერაციებიდან მთლიანი შემოსავალი“, „ძირითადი ზარალი წარუმატებელი ინვესტირებიდან„);
- ანალოგიური ინტერესთა კონფლიქტია აქციონერებსა და სხვა ფინანსურ ინვესტორებს, სა-სესხო კაპიტალის წარმდგენებს (ბანკები და ა.შ.) შორის.

წარმოდგენილი კონფლიქტების გადაჭრა ან მათი შერბილება შესაძლებელია განხილული იქნეს დადგენილი ნორმატივების თანახმად აქციონერთა ინტერესების დასაცავად, კორპორაციული მარ-თვის სისტემის რეფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად.

უკანასკნელ პერიოდში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში შეინიშნება კორ-პორაციული მართვის მოდელების დაახლოვების ტენდენცია (სხვადასხვა კომპონენტების და მექა-ნიზმების ურთიერთშეთანაწყობით, ანუ, არა ცალმხრივი რეცეპციით, არამედ კონვერგენციით.

აშშ-ში, მაგალითად, იგი ვლინდება „ხმის“ ზეწოლის ზრდის ტენდენციაში ინვესტორთა მხრიდან (ინსტიტუციურ ინვესტორთა წილის ზრდის შედეგად). იაპონიაში 80-იან წლებში შეინიშნებოდა კავ-შირების შესუსტება „კეირეცუს“ ფარგლებში ბანკებსა და ძლიერ კორპორაციებს შორის, რომლებ-საც შესწევთ უნარი მიიღონ დაფინანსება საგარეო ბაზარზე. ანგლო-საქსური მოდელის კრიტიკოსე-ბი ცდილობენ აქცენტი გააკეთონ „ხმაზე“. გერმანული და იაპონური მოდელის კრიტიკოსები გა-მოთქვავენ საკუთარ აზრს მათ დიდ გახსნილობაზე, მოქნილობაზე, „შესვლისა“ და „გამოსვლის“ სი-მარტივეზე.

მთლიანობაში, შესაძლებელია გამოვყოთ კორპორაციული მართვის მოდელის შემდგომი სრულ-ყოფისათვის დამახასიათებელი მსოფლიო მნიშვნელობის შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- სააქციო საზოგადოებათა ინფორმაციის გამჭვირვალობის მოთხოვნების გაძლიერება;
- საზოგადოების მართვის უფლებამოსილი ორგანოების უფლებამოსილებათა გაძლიერებისა და მართვის ორგანოებზე აქციონერთა მხრიდან კონტროლის გაძლიერების პარალელური პროცესი;
- სასამართლო კონტროლის გაფართოვება საზოგადოების საქმიანობაზე;
- კანონმდებლობის განვითარება წვრილ აქციონერთა უფლებების დასაცავად, პრობლემათა ყველა სპექტრის მიმართ;
- საზოგადოების კრედიტორთა უფლებების დაცვის კუთხით კანონმდებლობის განვითარება;
- აქციების გამოშვების რეგლამენტის და საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის გამ-კაცრება, მოთხოვნების შემოღება ძირითადი კაპიტალის ხარჯზე მოგების გადიდების დაუშვებლო-ბის შესახებ;
- აქციისა და ობლიგაციის სამართლებრივი სტატუსის დახლოვება;
- სააქციო საზოგადოებების რეორგანიზაციის (მათი სხვა საზოგადოებებად გარდაქმნის და უკუ პროცესის) საკითხისადმი განსაკუთრებული ყურადღების დათმობა;
- სხვადასხვა იურიდიულად დამოუკიდებელ, მაგრამ ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებულ საზოგადოებებს შორის ურთიერთობათა რეგულირების გამკაცრება.

ამრიგად, სტაბილური კორპორაციული მართვის მოდელის მქონე ქვეყნებშიც კი არსებობს მრავალი პრობლემა, რომლებიც ართულებენ კორპორაციათა ფუნქციონირების ინსტიტუციურ და სამართლებრივ მხარეს. ამიტომ ყველა მათგანი უნდა იქნეს გათვალისწინებული კორპორაციული მართვის მოდელების ფორმირებისას გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

კორპორაციული მართვის კუთხით ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანია „ლამფალუსის პროცესი".[1] ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და არაპრაქტიკული აღმოჩნდა და მოკლევადიანი სირთულეებიც გამოიწვია, მაგრამ მთლიანობაში პოზიტიურად ფასდება. ლამფალუსის ძირითადი მიზანი ევროპული რეგულირებისა და საფინანსო სექტორის ზედამხედველობის გაძლიერება იყო, რაც გულისხმობდა სათანადო საკანონმდებლო ბაზისა და მისი აღსრულების ღონისძიებების შემუშავებას, წევრ სახელმწიფოებში იმპლემენტაციის ხელშეწყობასა და ეროვნულ კანონმდებლობათა ევროპის სამართალთან შესაბამისობაში მოყვანას.

დიდ ბრიტანეთში კორპორაციული მართვის სრულყოფის კუთხით ერთ-ერთ გარდამტეხ დოკუმენტს წარმოადგენს კომპანიების აქტი, რომელიც დაინერგა ეტაპობრივად, თუმცა ჩანაცვლებულ იქნა 2009 წლის კორპორაციათა საგადასახადო აქტით (www.legislation.gov.uk). ეს აქტი, ფაქტობრივად, კორპორაციული მართვის კოდექსის ამომწურავი ვერსიაა და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა:

- დირექტორთა ვალდებულებებისა და უფლებამოსილებათა განსაზღვრა;
- ევროგაერთიანების დირექტივების იმპლემენტაცია;
- რეგულაციების მოცვა კერძო და საჯარო კომპანიებისათვის;
- ერთიანი წესრიგის დანერგვა დიდი ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში.

დირექტორთა ვალდებულებების განსაზღვრა აღნიშნული აქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა, მიიჩნევა, რომ აქტი განსაზღვრავს დირექტორთა ვალდებულებების მხოლოდ მინიმუმს, რომლის მიზანიც დირექტორთა მიერ პირადი სარგებლის მიღების მოტივაციის შემცირება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხის გაზრდაა.

აქტის მიხედვით, დირექტორთა ვალდებულებებია:

✓ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედება, რომელიც გულისხმობს დირექტორთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კომპანიის წესდების მოთხოვნებისა და აქციონერთა გადაწყვეტილების მხედველობაში უპირობოდ მიღებას;

✓ კომპანიის წარმატების ხელშეწყობა – დირექტორები ვალდებულნი არიან, იმოქმედონ ამ სტრატეგიით, რაც ხელს უწყობს აქციონერების მდგომარეობის გაუმჯობესებას გრძელვადიან პერიოდში[2];

✓ მოქმედების შეზღუდვა, რაც გულისხმობს მოქმედებას მხოლოდ კომპანიის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, იქნება ეს ხელშეკრულებით, თუ კომპანიის წესდებით მინიჭებული ფუნქცია;

✓ კომპანიაზე ზრუნვა და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება;

✓ მესამე პირისაგან სარგებლის მიუღებლობა;

✓ დროული განცხადება კომპანიის აქციონერების წინაშე იმ სარგებლის შესახებ, რომელიც მან შესაძლოა მიიღოს კონკრეტული ტრანზაქციის შედეგად.

---

[1] ლამფალუსის პროცესის სახელით ცნობილია მიდგომა, რომელსაც მიმართა კონტინენტურმა ევროპამ ფინანსური ბაზრის განვითარების, მისი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით. ამ პროცესს სათავე დაუდო ევროგაერთიანების მრჩეველთა კომიტეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ლამფალუსი.

[2] აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილების გრძელვადიანი შედეგი, კომპანიის დასაქმებულთა და მესამე პირთა ინტერესები, გავლენა საზოგა–დოებასა და გარემოზე, ბიზნესის მაღალი რეპუტაციის უზრუნველყოფა და კეთილსინდისიერი კონკურენცია.

ევროკავშირის ქვეყნების კორპორაციულ მართვაში აუდიტის კომიტეტი ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ერთეულად ითვლება, რომლის ძირითადი დანიშნულებაც ფინანსური ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. კომპანიებში აუდიტის კომიტეტის შექმნის იდეა სერ ადრიან ქეთბერს ეკუთვნის, რომელიც ასახულია ქეთბერის კომიტეტის ანგარიშში. აუდიტის განხორციელების თაობაზე ევროკავშირის დონეზე რიგი ინსტრუმენტები არსებობს, მათ შორის სავალდებულო და არასავალდებულოები, სავალდებულო მოთხოვნები და კრიტერიუმები აუდიტორებისათვის და მათი ზედამხედველობის სტანდარტები.

ამჟამად მოქმედი ძირითადი ინსტრუმენტია:

აუდიტის დირექტივა (2006/43/EC), რომელიც მიზნად ისახავს ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ნდობის ჩამოყალიბებას უტყუარი და ობიექტური აუდიტის ანგარიშის მიმართ. დირექტივა აწესებს აუდიტორების მოვალეობებს და რიგ ეთიკურ პრინციპებს, რათა უზრუნველყოფილ ინეს მათი ობიექტურობა და დამოუკიდებლობა. დირექტივა უზრუნველყოფს საფუძველს დაბალანსებული და ეფექტური საერთაშორისო თანამშრომლობისათვის რეგულირების სფეროში. მაგალითად, როგორიცაა აშშ-ის საჯარო კომპანიების საანგარიშო საბჭოსთან თანამშრომლობა. გარდა ამისა, დირექტივამ უზრუნველყო დაბალანსებული და ეფექტური თანამშრომლობა ე.წ. „მესამე ქვეყნების“ მარეგულირებლებთან.

აუდიტის როლს აშშ-ის კორპორაციულ მართვაში მთელი რიგი თავისებურებები გააჩნია. 1999 წლის დეკემბერში ორმა უმსხვილესმა ფასიანი ქაღალდების ბირჟამ NYSE-მ და NASDAQ-მა განაახლა ფინანსური გამჭვირვალობის მოთხოვნები აშშ-ის უმსხვილესი კომპანიებისათვის, რაც გულისხმობდა სავალდებულო აუდიტის კომიტეტის არსებობას სულ მცირე სამი დირექტორის შემადგენლობით. თავის მხრივ, აღნიშნული ცვლილება განხორციელდა SEC-ის მოთხოვნის თანახმად, რომელიც ემყარებოდა Blue Ribbon Committee-ს[1] რეკომენდაციებსა და ანგარიშებს კორპორაციული აუდიტის კომიტეტის გაუმჯობესებისათვის. თავის მხრივ, SEC-მა გაამკაცრა ღიაობისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებიც, რომლის ძირითადი მიზანიც იყო აუდიტის კომიტეტის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ნიუ-იორკის და ამერიკის სხვა ბირჟები, ისე როგორც NASDAQ-ი ითხოვდნენ სავალდებულო და დამოუკიდებელი კომიტეტების არსებობას კომპანიებში. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქცია კომპანიის ფინანსური ანგარიშვალდებულების ზედამხედველობაა. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მუდმივი შეხვედრების უზრუნველყოფით როგორც დამოუკიდებელ აუდიტორებთან, ისე კომპანიის ფინანსისტებთან, რათა შესწავლილ იქნეს კომპანიის მიმდინარე საქმიანობა, ფინანსური ანგარიშები და აუდიტის პროცესი. კორპორაციული მართვის საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით, ეთგო-ს კორპორაციული მართვის სისტემა შემდეგ ოთხ ძირითად ღირებულებას ეფუძნება (კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საქართველო, 2010):

- *სამართლიანობა:* კორპორაციული მათვის სისტემა უნდა იცავდეს აქციონერთა უფლებებს და უზრუნველყოფდეს ყველა აქციონერისადმი თანასწორ მოპყრობას, მცირე და უცხოელი აქციონერების ჩათვლით. ყველა აქციონერს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს სათანადო კომპენსაცია საკუთარი უფლებების დარღვევის საპასუხოდ;
- *პასუხისმგებლობა:* კორპორაციული მართვის სისტემა უნდა აღიარებდეს დაინტერესებული მხარეების უფლებებს კანონის შესაბამისად და ხელს უწყობდეს აქტიურ თანამშრომლობას კორპო-

[1] Blue Ribbon Committee – სამუშაო პანელი, ფორმატი, რომლის მეშვეობით დარგის სპეციალისტები მსჯელობენ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. უმეტესწილად, კომიტეტის ფორმირება ხდება სამთავრობო დაწესებულების მიერ.

რაციებს და დაინტერესებულ მხარეებს შორის დოვლათის, სამუშაო ადგილებისა და ფინანსურად მდგრადი და ჯანსაღი საწარმოების შესაქმნელად;

- *გამჭვირვალობა:* კორპორაციული მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის დროულ და ზუსტ გამჟღავნებას კომპანიისთვის ყველა არსებით საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის, მფლობელობის და მართვის სტრუქტურის შესახებ;

*ანგარიშვალდებულება:* კორპორაციული მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კომპანიის სტრატეგიულ ხელმძღვანელობას, საბჭოს მიერ მენეჯმენტის ეფექტურ მონიტორინგს და საბჭოს ანგარიშვალდებულებას კომპანიისა და აქციონერების წინაშე.

**ვანო შუშტაკაშვილი**



## კორპორაციული მართვა, როგორც კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი

გარდამავალი პერიოდის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში კორპორაციული მართვის მოდელს გააჩნია სპეციფიკა. ამასთან, სამწუხაროდ, კორპორაციული მართვის ქართული პრაქტიკა, რეალურად, მკვეთრად გამოხატული უარყოფითი იმიჯის მატარებელია, რაც ქმნის გარკვეულ სირთულეებს გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტირების და, მთლიანად, ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების სფეროში.

მომგებიანობისა და ფინანსური მდგრადობის გვერდით, ცალკეული საწარმოს საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასებისას და, მთლიანად, ქართულ ეკონომიკურ პრაქტიკაში ინვესტირების პრობლემის გადაჭრისას სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს კომპანიათა გახსნილობისა და აქციონერთა უფლებების დაცვის საკითხები. ამასთან, აქციონერთა უფლებები და მათი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კორპორაციული მართვის საკითხის სათანადო დონეზე დაყენებით. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდება კომპანია საინვესტიციოდ მიმზიდველი და ინვესტორი, როგორც მესაკუთრე, მიიღებს დაბანდებათა უსაფრთხოებისა და საკუთარი უფლებების დაცვის გარანტიას.

საქართველოში კორპორაციული ქცევის სრულყოფა მნიშვნელოვანი პირობაა ეკონომიკის ყველა სფეროში ინვესტიციების მოსაზიდად როგორც ქვეყნის შიდა წყა-როებიდან, ისე უცხოელი ინვესტორების მხრიდან. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გაჩნდა საერთო წესების შემუშავებისა და დანერგვის ობიექტური საფუძველი, რომელიც პოტენციურ ინვესტორებს საშუალებას მისცემს მიიღონ ნათელი სურათი იმის შესახებ, თუ რომელი მმართველობითი პრინციპების საფუძველზე მოქმედებს ესა თუ ის კომპანია, ვინ არიან მისი მფლობელები, როგორია მისი მუშაობის ეფექტიანობის ხარისხი, რათა უმოკლეს დროში და უმნიშვნელო დანახარჯებით იქნეს მიღებული გადაწყვეტილება კაპიტალის ინვესტირების მიზანშეწონილობის შესახებ.

ასეთი წესების შემუშავების დროს ქვეყნების საქმიანი წრეები, გვევლინებიან რა ინვესტორების სახით, ეყრდნობიან საკუთარი მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურ მხარდაჭერას. ქვეყნების საქმიანი წრეების და მთავრობების წარმომადგენლები კი, როგორც ინვესტიციების რეციპიენტები, იწყებენ იმის აღიარებას, რომ იმ წესების არსებობა და დაცვა, რომელიც გასაგე-

ბი და აღიარებულია უცხო ქვეყნების ინვესტორების მხრიდან, ეროვნული კომპანიების მიერ უმნიშვნელოვანესი უპირატესობაა კონკურენციაში კაპიტალის მოზიდვისათვის.

უკანასკნელ პერიოდში რიგ ქვეყნებში იზრდება იმის აღიარება, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე შეუძლებელია კორპორაციული მართვის ეფექტური პრინციპების გამოყენება, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შიდა ინვესტორების ნდობის განმტკიცებას და უფრო იაფი და სტაბილური ფინანსური წყაროების მოძიებას.

უკანასკნელ პერიოდში მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, შემუშავებულ იქნა კორპორაციული მართვის კოდექსები, რომლებიც წარმოადგენენ კორპორაციული ურთიერთობების წესრიგის დამდგენი და მარეგულირებელი, ნებაყოფლობით მიღებული სტანდარტებისა და შიდა ნორმების ერთობლიობას[1].

თანამედროვე მსოფლიოში კორპორაციული მართვის მოქმედ კოდექსთა რიცხვს შესაძლებელია მივაკუთვნოთ:

- „კოდექსი ქეთბერი", მომზადებული 1991 წელს დიდ ბრიტანეთში ფინანსური ინფორმაციის საბჭოს, ლონდონის საფონდო ბირჟის, ბუღალტერთა პროფესიული კავშირის თანამშრომელთა მიერ, სერ ადრიან ქეთბერის ხელმძღვანელობით;
- თეზისები – „კორპორაციული მართვის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები", რომელიც მომზადებულია 1994 წელს კომპანია „ჯენერალ მოტორსის" დირექტორთა საბჭოს მიერ;
- „კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები აშშ-ში", რომელიც მომზადებულია 1998 წელს კალიფორნიის სამოქალაქო მოსამსახურეთა საპენსიო ფონდის მიერ;
- „არსებული პრაქტიკის კოდექსი", რომელიც მომზადებულია 1999 წელს ბრაზილიის კორპორაციული მართვის ინსტიტუტის მიერ;
- „კორპორაციული მართვის კოდექსი", რომელიც მომზადებულია 1999 წელს მალაიზიის უმაღლესი საფინანსო კომიტეტის მიერ;
- „სანიმუშო პრაქტიკის კოდექსი", რომელიც მომზადებულია 1999 წელს მექსიკის მეწარმეთა საკოორდინაციო საბჭოს კორპორაციული მართვის კომიტეტის მიერ;
- „კორპორაციული ქცევის კოდექსი", რომელიც წარმოდგენილია 2002 წელს რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფედერალური კომისიის მიერ და ა. შ.

„სანიმუშო პრაქტიკის" კოდექსების ძირითადი შინაარსი წარმოდგენილია რეკომენდაციების სახით, ეხება დირექტორთა საბჭოების საქმიანობის ორგანიზაციას, პრინციპებსა და ტექნოლოგიას, განიხილება კორპორაციული მართვის ძირითად და მოქმედ მექანიზმად[2].

კორპორაციული მართვის კოდექსები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმ წესებისა და პროცედურების გამტკიცებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიათა აქციონერების ხელმისაწვდომობას კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე, ასევე ინფორმაციის გახსნას მასში კორპო-

---

[1] საქართველოში 2009 წელს შემუშავებულ იქნა ჯერ-ჯერობით კომერციული ბანკების კორპორა-ციული მართვის კოდექსი, რომელიც ადგენს და არეგულირებს კორპორაციული ურთიერთობების წესრიგს საბანკო სექტორში.

[2] ეს რეკომენდაციები ეხება დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შემდეგ ასპექტებს: დირექტორთა საბჭოების ფუნქციები და ამოცანები (განსაკუთრებული აქცენტით, საბჭოს ძირითად როლზე კომპანიის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში და მენეჯმენტის მიერ მისი რეალიზაციის კონტროლზე); დირექტორთა საბჭოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და გათავისუფლების პროცედურები (განსაკუთრებული აქცენტით, მაღალ პროფესიულ კომპეტენციაზე და საბჭოს იმ წევრების რეალური დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხზე, რომლებიც არ არიან მენეჯერები); დირექტორთა საბჭოს წევრების ფუნქციების განსაზღვრა და განაწილება წევრებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ კომპანიის მენეჯმენტს, და ასევე საბჭოს იმ დამოუკიდებელი წევრებისა, რომლებიც გამოხატავენ აქციონერთა ინტერესებს მთლიანობაში; საბჭოს წევრების უფლებამოსილებანი და ვალდებულებები (განსაკუთრებული აქცენტით, საბჭოს ნებისმიერი წევრის მხრიდან საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე); დირექტორთა საბჭოს ქვეგანყოფილებების (აუდიტის, დაჯილდოვების, დანიშვნების სამსახურები) სტრუქტურა, უფლებამოსილებანი და საქმიანობის პროცედურები; საბჭოს მუშაობის პროცედურები; მისი წევრების პასუხისმგებლობა.

რაციული მართვის ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ. ამასთან, კოდექსებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რეკომენდაციებს აქციონერთა კრებების მომზადებისა და ჩატარების შესახებ[1].

საგულისხმოა, რომ კორპორაციული მართვის კოდექსების დებულებები ყოველთვის შესასრულებლად სავალდებულო არ არის კომპანიებისათვის და ხშირად სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. მაგრამ კორპორაციული მართვის წესების უგულებელყოფამ შესაძლებელია არა მარტო გაუფუჭოს კომპანიის იმიჯი, არამედ მნიშვნელოვანი ზეგავლენაც მოახდინოს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამიტომ საქართველოს რიგი მსხვილი კომპანიები, უწინარეს ყოვლისა, ემიტენტები, რომლებიც თავიანთი ფასიანი ქაღალდებით გავიდნენ დასავლეთის ბაზარზე, იღებენ კორპორაციული მართვის კოდექსებს, რომლის ძირითადი შინაარსიც ბიზნესის ღიად და პატიოსნად გაძღოლაა.

ინვესტორების ნდობის მოპოვების პრობლემა ქართული კომპანიების მენეჯერების მიერ თანდათანობით აღიქმება ბაზარზე წინსვლისა და წამყვანი პოზიციების დაკავების აუცილებელ პირობად. კომპანიის რეპუტაციაზე ზრუნვა აუცილებელია როგორც პარტნიორების, ისე ინვესტორების მოსაზიდად. ამასთან, ინვესტორი, უდარებს რა ობიექტების მიმზიდველობას ერთმანეთს კაპიტალის ინვესტირებისათვის, აფასებს მათ საინვესტიციო მიმზიდველობას, ანუ განსაზღვრავს დონეს, ზომავს მისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენას და რისკებს, რაც მას აძლევს დასაბუთებული არჩევანის გაკეთების საშუალებას.

თანამედროვე საინვესტიციო გადაწყვეტილებებისათვის დამახასიათებელი თავისებურება არის ის, რომ ფინანსური მაჩვენებლები აღარ არის გადამწყვეტი ფაქტორი. ინვესტორები იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი კომპანია ეყრდნობა უფრო ფართო ინფორმაციას. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ კომპანიის გამჭვირვალობასა და გახსნილობაზე, კორპორაციული მართვის დონესა და ხარისხზე, რაც არის კორპორაციული მართვის რეიტინგების აგების საფუძველი (Брюханов Д.Ю. Современные аспекты экономики, 2004, № 5: 5).

ინვესტირების ობიექტის შერჩევისას ამ ფაქტორების მნიშვნელობის რაოდენობრივი შეფასებისათვის ნიუ-იორკის ერთ-ერთმა ცნობილმა ფირმამ („Governance Metrics International„) შემოგვთავაზა სტატისტიკური კრიტერიუმი, რომელიც გვიჩვე-ნებს კომპანიის აქციების ქცევას ბაზრის მიმართ როგორც „კარგი“, ისე „ცუდი“ კორ-პორაციული მართვისას (Овчеренко М. Ведомости, 2003, № 164(964): 34).

2000 წლიდან მოყოლებული „Governance Metrics“ წელიწადში ორჯერ ადგენს კომპანიათა კორპორაციული მართვის რეიტინგს, 600 კრიტერიუმის გამოყენებით – დაწყებული დამოუკიდებელი აუდიტორებიდან და დირექტორთა საბჭოს წევრებიდან ტოპ-მენეჯერთა ინტერესების კონფლიქტით და სააქციო კაპიტალით დამთავრებული. ფირმა აანალიზებს 1000-მდე მსხვილი ამერიკული კომპანიის და 600-მდე სხვა ქვეყნების წამყვანი საფონდო ინდექსების მატარებელი ფირმების აქციების დინამიკას[2].

„Governance Metrics„-ს დაკვირვებით ირკვევა, რომ კომპანიათა აქციებში განთავსებულ ინვესტიციათა შემოსავლები და მათი საინვესტიციო მიმზიდველობა მთლიანობაში დამოკიდებულია კომ-

---

[1] აქ აქცენტი კეთდება დამტკიცებულ წესებსა და პროცედურებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ აქციონერთა მონაწილეობა კომპანიის საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებისას: პრინციპის – „ერთი აქცია-ერთი ხმა“ – უზრუნველყოფა; დღის წესრიგის შესახებ აქციო-ნერებისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის წინასწარ მიწოდება; აქციონერებისათვის საშუალების მიცემა, რომ ხმა მისცენ თავისი წარმომადგენლების საშუალებით; კუმულაციური ხმის მიცემის პროცედურის გამოყენების პირობების შექმნა; საერთო კრების მიერ უმაღლეს მენეჯერთა დანიშვნის დამტკიცება და მათი ანაზღაურების განსაზღვრა.

[2] შედარებითი ანალიზი აქციებიდან ინვესტიციათა შემოსავლიანობას და კომპანიათა კორპორაციულ მართვის რეიტინგს შორის შემდეგ სურათს იძლევა: ზარალმა ინვესტიციებიდან იმ კომპანიათა აქციებში, რომლებიც გამოირჩევიან ცუდი კორპორაციული მართვის დონით, წლიურად 13% შეად-გინა, მაშინ როდესაც ყველა კომპანიათა აქციები წელიწადში საშუალოდ ეცემოდა 1,76%-ით, ხოლო იმ კომპანიათა აქციებზე შემოსავლები, რომლებიც ხასიათდებოდნენ კორპორაციული მართვის მაღალი ხარისხით, წლიურად გაიზარდა 5,37%-ით.

პანიის კორპორაციული მართვის რეიტინგებზე, რომელიც ახასიათებს მისი კორპორაციული მართვის ხარისხთან და დონესთან დაკავშირებულ ინვესტირების რისკს.

**ჯუმბერ ხარაიშვილი**



## კორპორაციული მართვის რეიტინგების დადგენა

ეს დარგი მოიცავს კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კვლევების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს. ამასთან დაკავშირებით, ბერნარდ ბლეკის მიერ რუსულ კომპანიებზე ჩატარებულ იქნა კორპორაციულ მართვასა და კომპანიათა საინვესტიციო მიმზიდველობას შორის კავშირის კვლევა (Black, Bernard S. The Corporate Governance Behavior and Market Value of Russian Firms, Emerging Markets Review, 2001, V. 2: 89). ამ კვლევაში ნაჩვენებია გარკვეული კორელაციური კავშირი ბანკ „Brunswick-Warburg„-ის მიერ შემუშავებულ კორპორაციული მართვის რეიტინგებსა და ფაქტიური კაპიტალიზაციის პოტენციურთან ფარდობას შორის, რომელიც განსაზღვრულია საინვესტიციო ბანკ „Тройка-диалог-ის“ მიერ 21 რუსულ კომპანიაზე დაყრდნობით.

ბანკ „Brunswick-Warburg„-ის მიერ შემუშავებული სარეიტინგო სისტემის მიხედვით, ბერნარდ ბლეკმა თავის კვლევაში რუსული კომპანიები დაალაგა 0-დან 60 ბალამდე შკალით, სადაც ბალების დიდი რაოდენობა მიუთითებდა კორპორაციული მართვის ხარისხის გაუარესებაზე[1]. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რეიტინგების შეფასების არცერთი ელემენტი უშუალოდ არ არის დაკავშირებული კომპანიის საბაზრო ღირებულების შეფასებასთან, ელემენტების უმრავლესობა მიეკუთვნება ობიექტურ ფაქტორებს. მაგალითად, „ახალი აქციების გამოშვების გზით განთავსების რისკი“ რომელიც თავის მხრივ მოიცავს უწყისში დაფიქსირებული, მაგრამ გამოუშვებელი აქციების არსებობას, აქციების გამოშვების უპირატესი უფლების და მინორიტარი ინვესტორების ხელში არსებული დაბლოკილი აქციების პაკეტის არსებობას. ბანკი „Brunswick-Warburg“ ასევე ამტკიცებს, რომ კომპანიის საბაზრო ღირებულება არ ახდენს გავლენას კორპორაციული მართვის რეიტინგზე.

ბერნარდ ბლეკის მიერ განხორციელდა კორპორაციული მართვის რეიტინგებსა და კომპანიის ღირებულებას შორის კორელაციური ურთიერთკავშირის მონიტორინგი[2], რომლის შედეგადაც მიღებული იქნა შემდეგი სახის მარტივი რეგრესია: In (ღირებულების თანაფარდობა) = -0,176 + (-0,149) X (მართვის რეიტინგზე), სადაც ღირებულების თანაფარდობის ლოგარითმი გვევლინება დამოკიდებული ცვლადის როლში, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი კორპორაციული მართვის რეიტინგიდან (Black, Bernard S. Emerging Markets Review, 2001, V. 2: 89). კომპანიათა ღირებულების კორელაციური თანაფარდობა მათი კორპორაციული მართვის რეიტინგებთან საშუალებას გვაძლევს გავზომოთ ქართული კომპანიებისათვის კორპორაციული მართვის პრაქტიკის ზეგავლენა მათ საბაზრო ღირებულებაზე და არსებითად შევაფასოთ ისინი.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვაღიაროთ, რომ „კარგი“ კორპორაციული მართვა ამცირებს ინვესტორთა რისკებს და ხელს უწყობს სახსრების მოზიდვას ეფექტურად მომუშავე კომპანიე-

---

[1] ამ რუსული კომპანიების რეალური საბაზრო კაპიტალიზაცია დაფუძნებულია რუსულ საფონდო ბაზარზე აქციებით ვაჭრობის შედეგებზე. დასავლეთის ბაზარზე კომპანიათა პოტენციური კაპიტა-ლიზაციის გათვლის საფუძვლად ბანკი „Тройка-Диалог“ მიიჩნევს აქტივებს, სიმძლავრეს და ბრუნვის მოცულობას და არა ფულად ნაკადებსა და მოგებას.

[2] რუსული ფირმების მაგალითზე დადგენილ კორელაციურ კავშირს კორპორაციულ მართვასა და ფირმის ღირებულებას შორის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ინვესტორებისთვის რუსული ფირმების საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასებისათვის.

ბის განვითარებისათვის, მათი საინვესტიციო მიმ-ზიდველობის ამაღლებისათვის ეფექტიან კომპანიებსა და ეკონომიკის სექტორებში, ასევე იგი ქმნის სტიმულებს კომპანიათა მფლობელებისა და მენეჯერებისათვის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის და კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის.

ამავე დროს, „ცუდ“ კორპორაციულ მართვას მივყავართ კორპორაციის მდგომარეობის გაუარესებამდე; მენეჯერთა მხრიდან გადაწყვეტილებების მიღებისას „არასაბაზრო“ მოტივების დომინირებამდე; მმართველების, მესაკუთრეებისა და აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელთა მიერ უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენებამდე; როგორც სამამულო, ისე უცხოელი ინვესტორების უფლებების დარღვევამდე. საბოლოო ჯამში, იგი ზრდის ინვესტირების რისკს და ამით ამცირებს კორპორაციათა საინვესტიციო მიმზიდველობას.

ავტორთა უმრავლესობას გააჩნია საერთო აზრი იმის შესახებ, რომ ინვესტორთა ყველა რისკი ასახვას პოულობს კომპანიის კაპიტალის ღირებულებაში, რომელსაც ისინი ანდობენ რეციპიენტებს (Патрушева Е.Г. Экономический Вестник, Ярославль ЯрГУ, 2001, № 5: 16). რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო მაღალია ინვესტორთა მხრიდან შემოსავლიანობის მოთხოვნა და, შესაბამისად, მაღალია კაპიტალის ფასი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კორპორაციული მართვის რისკები დამახასიათებელია საკუთარი კაპიტალისათვის, რომლის ფასის განსაზღვრა სამამულო პირობებში არც თუ ისეთი იოლი ამოცანაა.

ჩვენი აზრით, საქართველოსათვის მისაღებია კაპიტალის შეფასების კუმულაციური მეთოდი, რომელიც ინვესტორის შემოსავლიანობის შეფასებას მიიჩნევს საპრემიო თანხად რისკისათვის, რომელიც დგინდება ექსპერტული გზით და მას მისაღებს ხდის იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ გაჩნიათ განვითარებული საფონდო ბაზარი (როგორიც, მაგალითად, საქართველოა).

მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად, მოთხოვნილ დაბანდებათა შემოსავლიანობა (კაპიტალის ფასი) გათვალისწინებულია გაანგარიშებულ იქნეს როგორც თანხა: შემოსავლი ურისკო დაბანდებისათვის; პრემია განვითარებული საფონდო ბაზრის რისკისათვის; პრემია ქვეყნის პოლიტიკური რისკისათვის; პრემია კონკრეტულ კომპანიაში ინვესტირების რისკისათვის (Линг Р.В., Основы анализа и оценки бизнеса /Учебные материалы, 1997).

ჩამოთვლილი საკითხებიდან ჩვენთვის საინტერესოა ბოლო საკითხი, რომე-ლიც მოიცავს შიდა ხასიათის რისკს და მასში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კორპორაციული მართვის რისკს. ამ რისკისათვის პრემიის სიდიდე მერყეობს 10-15%-ის ფარგლებში (Кумбс П., Уотсон М., Кампос К. Вестник McKinsey, 2003, № 1(3): 39).

აღნიშნულ საკითხებზე დაყრდნობით, აუცილებელი და შესაძლებელია: (1) შემუშავდეს საკუთარი მიდგომა კორპორაციული მართვის დონის შეფასებისათვის (რეიტინგის შეფასებისათვის); (2) ჩატარდეს საერთო მდგომარეობის ექსპერტიზა და შეფასებული რისკების არსებული დონისაგან დამოკიდებულებით გაანგარიშდეს გადასახდელი თანხა მათთვის კორპორაციული მართვის ყოველი მდგენელის მიხედვით და მისი საერთო სიდიდე საანალიზო კომპანიის მიხედვით. რისკისათვის გადასახდელი თანხის მიღებული სიდიდე (სხვა მდგენელებთან ერთად) შემდგომში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კომპანიის საკუთარი კაპიტალის ფასის გაანგარიშები-სათვის. მაგრამ ამის განხორციელებამდე აუცილებელია კორპორაციული მართვის მოდელებისა და პრინციპების საერთო დახასიათების გადმოცემა.

# სოფლის მეურნეობა

ონერ ძაძუა



## ტყის ზოლების გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკა

ტყის ზოლების გახარება და ზრდა-განვითარება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ნიადაგის პირველადი დამუშავების ხარისხზე.

ტენის დაგროვებისა და ნარგავების გახარებისა და შემდგომი ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ნიადაგის პირველადი დამუშავება წარმოებს არა ნაკლებ 45 სმ სიღრმეზე.

ღრმა საპლანტაჟო ხვნა სწარმოებს, როცა ნიადაგის სახნავი ჰორიზონტი ამის საშუალებას იძლევა წინააღმდეგ შემთხვევაში ნიადაგი უნდა მოიხნსას იმ სიღრმემდე, სადამდეც ამის საშუალებას იძლევა სახნავი ჰორიზონტი, შემდეგ კი უნდა მოხდეს დამატებითი ჩაღრმავება 45 სმ-მდე და ხნულის ფსკერის გაფხვიერება.

საცავი ტყის ზოლების გაშენება ახლად მომზადებულ და ზერელდ მოხნულ ნიადაგებზე არ წარმოებს.

ტყის ზოლების გასაშენებლად დასამუშავებელი ფართობები იყოფა სამ ჯგუფად: ა) ნაკვეთები, რომლებიც ადრე გამოყენებული იყო სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის, ბ) ყამირი მიწები, დაფარული ტყით ან ბუჩქნარით და საბალახოები, გ) ჭარბტენიანი მიწები.

პირველი ჯგუფის მიწები უნდა დამუშავდეს თავიდანვე 45 სმ სიღრმეზე.

ტყეკაფებზე ნიადაგის პირწმინდა დამუშავება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ამოძირკვის შემდეგ. ამოძირკვა შეიძლება იქნეს წარმოებული მექანიზმით ან ხელით. თავი უნდა ავარიდოთ ჯიშების აფეთქებით ამოძირკვას, რადგან ამის შედეგად წარმოშობილი ღრმა ორმოები ხელს უშლიან ხვნას.

ნიადაგის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია ამოძირკვის შემდეგ ტყეკაფი გამოყენებულ იქნეს ისეთი საოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, რომლებისთვისაც ნიადაგი არაღრმად უნდა დამუშავსდეს. სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა დასაშვებია ერთიდან ხუთ წლამდე ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. ქვიშნარ და ქვიშიან ნიადაგებზე სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა დაუშვებელია, რადგან ნიადაგს ერთმევა საკვები მინერალური ნივთიერებები.

ყამირ, ჭარბტენიან ნიადაგებზე ტყის ზოლების გაშენებამდე ერთი სამი წლით ადრე, დაჭაობების სიძლიერისა და ნიადაგის მექანიკური შედგენილობის მიხედვით აწარმოებენ ნიადაგის დაშრობას საწრეტი ღია და დახურული არხების საშუელბით. პირველ წელს, ან თუ ნიადაგი მძიმეა - მეორე წელს, აწარმოებენ ნიადაგის არაღრმა დამუშავებას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვას; მესამე წელს აწარმოებენ ნიადაგის ღრმა ხვნას და შემდეგ კი აწყობენ ნიადაგის მექანიკური შედგენილობის მიხედვით 4-დან10 მეტრამდე სიგანის და 40-დან 60- მდე სანტიმეტრამდე სიმაღლის დამრეც-ოვალურ კვლებს.

ყველა ზემო დასახელებულ შემთხვევაში ნიადაგის ღრმად დამუშავებას (გარდა კოლხიდის ზონისა) აწარმოებენ დარგვამდე 4-5 თვით ადრე, რათა ნიადაგი დაჯდეს და ოდნავ დაიტკეპნოს.

$5^{0}$-ზე მეტ დაქანებებზე, ნიდაგის ჩამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, ნიადაგს ამუშავებენ ზოლებად, თუ ზოლების ნარგაობების რიგებში განლაგებული უნდა იქნეს ჰორიზონტალურად და ბაქნებად - როდესაც ტყის ზოლი გადის ფერდობებზე ზევიდან ქვევით. დარგვამდე ორი თვით ადრე დამუშავებულ ზოლზე აწარმოებენ ნაკვეთის დაგეგმვას, პალოებით აღნიშნავენ ხისა და ბუჩქის ჯიშების დარგვის ადგილებს.

ადგილების დანიშვნისთანავე წარმეობს 60 სმ დიამეტრისა და 40 სმ სიღრმის ორმოების ამოღება. დარგვამდე ორი კვირით ადრე ორმოში ყრიან ჰუმუსიან მიწას.

საცავი ტყის ზოლების გასაშენებლად გამოიყენება სახელმწიფო, საოჯახო, ფერმერული და კოოპერატიული მეურნეობის, სატყეო მეურნეობების სანერგეებში აღზრდილი თესლნერგები და ნერგები.

დარგვისათვის განოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ კარგად განვითარებული, ვარგისი თესლნერგები და ნერგები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწისზედა ნაწილისა და ფესვთა სისტემის ერთმანეთთან შეფარდებას. ყველა შემთხვევაში ფესვთა სისტემა უნდა იყოს კარგად განვითარებული, ფუნჯჯა და სიგრძით პროპორციულად უნდა შეეფერებოდეს თესლნერგის ან ნერგის მიწისზედა ნაწილს.

ფოთლიან ჯიშებს და აგრეთვე ჭაობის კვიპაროზს რგავენ ერთწლიან თესლნერგებად ან ნერგებად შიშველი ფესვებით. წიწვიანები - ფიჭვი, სოჭი, ნაძვი, სექვოა, კედარი, კრიპტომერია და კვიპაროსები, აუცილებლად მიწის გუნდათი ირგვება ერთწლიან ხავსში შეფუთულ ან სამ-ოთხწლიან გადასკოლებულ ნერგებად. ფიჭვებს და აგრეთვე კრიპტომერიას და ლავზონიის კვიპაროსს - რგავენ აგრეთვე ორწლიან თესლნერგებად შიშველი ფესვებით იმ შემთხვევაში, როდესაც ფესვთა სისტემა კარგადაა განვითარებული, დარგვის ადგილი არაა დაშორებული სანერგიდან და უზრუნველყოფილია მორწყვით.

ვერხვები დაირგვება კალმების დასაფესვიანებლ პლანტაციებში აღზრდილ ერთ-ორწლიან ნერგებად.

ტყის ზოლებში სოკოვანი დაავადებებით და მავნებლებით დაავადებულ სარგავი მასალის დარგვის თავიდან აცილების მიზნით. სანერგიდან მიღებული სარგავი მასალა აუცილებლად უნდა გატარდეს საკონტროლო კარანტინში, ან მოხდეს ნერგების წინასწარი დამუშავება დარგვის წინ.

სანერგეებმა, რომლებიც სარგავ მასალას გასცემენ ტყის ზოლების გასაშენებლად, სარგავი მასალის ამოღებამდე უნდა მიიღონ საკარანტირო ინსპექციიდან სათანადო საბუთი (სერტიფიკატი),საკარანტირო დაავადბებისა და მავნებლების არ ალმოჩენის შესახებ..

მცენარეთა დარგვა ტყის ზოლებში რეკომენდებულია ჩატარდეს ძირითადად შემოდგომით და ადრე გაზაფხულზე.

საშემოდგომო დარგვა შეიძლება წარმატებულ იქნეს მხოლოდ როდესაც ნიადაგი საკმაოდ ტენიანია; მშრალ ნიადაგებში დარგვა დაუშვებელია.

ტყის დაგრგვის საგაზაფხულო სამუშაოები დაწყებული უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად ადრე, როდესაც ამის საშუალებას იძლევა ნიადაგის მდგომარეობა და დამთავრდეს უმოკეს ვადებში ვეგეტაციის დაწყებამდე.

ფოთლიანი ჯიშები შეიძლება დაირგოს როგორც გაზაფხულზე, ისე შემოდგომაზე ყინვების დაწყებამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე. წიწვიან ჯიშებს, როგორც წესი, მხოლოდ გაზაფხულზე რგავენ გაშიშვლებული ფესვებით 15 მარტიდან 15 აპრილამდე; ხოლო მიწის გუნდათი 1 მარტიდან 15 აპრილამდე; ხავსში შეფუთული წიწვიანი ჯიშის ნერგის დარგვა შეიძლება 1 მარტიდან 1 მაისამდე.

ნაჩვენები ვადები ზონალობისა, კლიმატური პირობებისა და მოცემული რაიონის სხვა თავისებურებების მიხედვით შეიძლება გადაწეული იქნეს 15 დღით ერთ ან მეორე მხარეზე.

ხისა და ბუჩქის ჯიშების თესლნერგებისა და ნერგების დარგვა წარმოებს როგორც ხელით, ისე სარგავი მანქანებით.

დარგვის დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

ა) სანერგეებიდან დარგვის ადგილზე მიტანილი სარგავი მასალა მაშინვე უნდა იქნეს მიფლული, მიფვლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აცდენილი იქნეს ფესვებზე ქარისა და მზის მოქმედება.

ბ) სარგავი მასალი მიფვლის ადგილიდან დარგვის ადგილზე მიტანა უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად ტრანსპორტის საშუელბით.

გ) დარგვის წინ სარგავი მასალა გულმოდგინედ უნდა გაისინჯოს დახარისხდეს, და მოსცილდეს დაზიანებული თესლნერგი და ნერგი;

დ) სარგავი მასალის მიტანის დროს თესლნერგისა და ნერგის ფესვები უნდა იყოს ტენიანი;

ე) თუ სარგავ მასალას (ფოთლიან ჯიშებს) ზედმეტად გრძელი ფესვები აქვს , საჭიროა მათი შეკვეცა ბასრი იარაღით (სეკატორით, ბასრი დანით ან კარგად გალესილი ცულით); არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ფესვების დაწყვეტა ან დაჭეჭყვა; წიწვიან ჯიშებს შეიძლება შეეჭრას მხოლოდ ქვედა ტოტები;

ვ) წიწივიან ჯიშების მიწის გუნდას შესაფუთი მასალა უნდა მოსცილდეს დასარგავ ორმოსთან, უშუალოდ დარგვის წინ;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ თესლნერგისა და ნერგის ფესვები ჩაშვებულ იქნეს ორმოში მთელ სიღრმეებზე ისე, რომ არ მოხდეს ფესვის დაკეცა ან დახვევა და მჭიდროდ იყოს ჩაჭერილი მიწაში;

თ) დარგვისთანავე მცენარეები უნდა მოირწყას უხვად, მიუხედავად ნიადაგის ტენიანობისა და, აგრეთვე ჯამებს უნდა გადაეფაროს (დამულჩვა) მცენარეული მასალა, მიწა და სხვა, ამასთან, ჩატარდეს ნიადაგის გაფხვიერება ზოლის მწკრივთაშორისებში.

ი) დარგვის დროს ფესვის ყელი უნდა მოვაქციოთ ნიადაგის ზედაპირს ქვევით; გაზაფხულზე 3-4 სმ სიმაღლეზე. შემოდგომაზე 4-5 სმ, ხოლო იმ რაიონებში, სადაც მოსალოდნელია ნიადაგის ზედაფენის გამოქარვა 7-8 სმ სიღრმეზე.

ნარგაობების კარგი ზრდა-განვითარების უსზრუნველსაყოფად მათი მოვლა დაწყებული უნდა იქნეს დარგვიდან და გაგრძელდეს ხეების ვარჯის სრულ შეკვრამდე როგორც მწკრივებში, ისე მწკრივთაშორისებში.

ტყის ზოლების მოვლა მდგომარეობს მწკრივებში და მწკრივთაშორისებში სისტემატურ ნიადაგის გაფხვიერებაში საგაზაფხულო-საზაფხულო პერიოდში არაღრმად, ხოლო საზამთრო-საგაზაფხულო პერიოდში უფრო ღრმად.

აღმოსავლეთ საქართველოს გვალვიან რაიონებში დაცვითი ტყის ზოლების თავისუფალ ნაპირებზე, რეკომენდებულია პირველ ორ წელიწადს მაღალღეროიანი კულტურების (სიმინდი, მზესუმზირა, სორგო) თესვა ამ კულტურების ღეროების დატოვებით თოვლის დაგროვებისა და ახალგაზრდა მერქნიანი მცენარეების გაყინვისაგან დაცვის მიზნით.

როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის ნარგაობებში ნიადაგის პირველი მოვლა პირველ სავეგეტაციო პერიოდში უნდა ჩატარდეს საგაზაფხულო დარგვის დამთავრებისთანავე, 15 აპრილიდან სარეველების გაჩენისაგან დამოუკიდებლად.

შემდეგი მარგვლა და გაფხვიერება გაზაფხულის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ამინდისა და სარეველების გამოჩენის მიხედვით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ სარეველების განვითარება, რადგან შემდგომში ძლიერ გაძნელდება მათთან ბრძოლა, ნიადაგის გაფხვიერების დაგვიანება იწვევს ნიადაგის ტენის ზედმეტად დაკარგვას და ახალგაზრდა ნარგაობებეის ზრდის შესუსტებას.

პირველ წელს უნდა ჩატარდეს არა ნაკლებ 5 გაფხვიერებისა მწკრივთაშორისებში და 3 გამარგვლა მწკვრივებში, რადგან ამ დროს ნარგაობა არ არის მომაგრებული და მეტ მოვლას საჭიროებს.

პირველი და შემდგომი მოვლა უნდა ჩატარდეს დაახლოებით შემდეგ ვადებში, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს სარეველების განვითარებასთან და ნიადაგის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

1-ლი მოვლა - აპრილის მეორე ნახევრიდან შუა მაისამდე

მე-2 „---მაისის ნახევრიდან შუა ივნისამდე

მე-3 „----ივნისის ბოლოდან ივლისის ბოლომდე

მე-4 აგვისტოს განმავლობაში.

მე-5 „--სექტემბრის განმავლობაში.

ზოლების წარმატებით ზრდისათვის რეკომენდებულია მერვე წლიდან ხეების ვარჯის შეკვრამ-დე ჩატარდეს არა ნაკლებ ოთხი მოვლისა.

ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში ნიადაგში ტენის დაგროვების მიზნით - აღმოსავლეთ რაიონებში და აგრეთვე ნარგაობების საუკეთესო განვითარების მიზნით - ყველა რაიონში ყოველწლიურად, პირ-ველი წლიდან ხეების ვარჯის როგორც მწკრივებში, ისე მწკრივთაშორისებში შეკვრის დაწყებამდე, უნდა ჩატარდეს ნიადაგის პირწმინდა დამუშავება მწკრივთაშორისებში 16-18 სმ სიღრმეზე, ამ სამუშა-ოს 15 მარტამდე დამთავრებით - დასავლეთ რაიონებში, 1 აპრილამდე აღმოსავლეთ რაიონებში.

ნიდაგი ზოლებში მუდმივად უნდა იყოს შავი ანეულის მდგომარეობაში, მწკრივთასრისებში ნია-დაგის გაფხვიერების სიღრმე განისაზღვრება დასარევლიანების სიძლიერით, მათი განვითარებითა და ნიადაგის მდგომარეობით.

აღმოსავლეთ საქართელოს გვალვიან პირობებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ დაცვით ზოლებში სარეველების ზრდა და მითუმეტეს მათი მომწიფება მოსათიბად.

თუ ნიადაგი ოდნავ დატკეპნილია და სარეველები სუსტადაა განვითრებული, საკმაისია არა ღრმად 5-6 სმ სიმაღლეზე გაფხვიერება, რაც უზრუნველყოფს სარეველების მოჭრას და ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერებას; მიტოვებულ ნარგაობებში, სადაც ნიადაგი ძლიერ დატკეპნილია და სარე-ველები მძაფრადაა განვითარებული, საჭიროა უფრო ღრმა 8-10 სმ სიმაღლეზე გაფხვიერება.

2 და 2,5 მეტრი სიგანის მწკრივთაშორისებში ნიადაგის დამუშავებას აწარმოებენ მექანიზებუ-ლად - ტრაქტორების საშუალებით; 1,5 მეტრი სიგანის მწკრივთაშორისებში - ცხენის კულტივატო-რებით, ხოლო 1 მეტრი სიგანისას - თოხით.

ტყის ზოლის დარგვის მეორე წელს აწარმოებენ ნარგაობების რემონტისა და დანაკლისის შევ-სებას. პირველი სავეგეტაციო პერიოდის შემოდგომაზე ან გაზაფხულზე შევსებას აწარმოებენ იმავე ჯიშებით, რომლებიც დაიღუპა.

თუ ზოლის გშენების დროს დაშვებულია გდახრა შერევის სქემებიდან ან ჯიშთა ასორტიმენტი-დან, შევსება უნდა იქნეს წარმოებული ზოლის გუმჯობესების მიზნით და იქ, სადაც ეს საჭიროა, უნ-და დაემატოს რიგები ერთრიგიან ან ორრიგიან ზოლებში.

შევსება უნდა ჩატარდეს ორ-სამ და ოთხწლიან კარგად განვითარებული ნერგებით, რომლებიც არ უნდა იყოს შესავსებ ნარგაობებზე ნაკლები ზომისა.

შევსება უნდა ჩატარდეს ზოლის არა მარტო ერთ-ორწლიან ნარგაობებში, არამედ მეტი ხნის ზოლებშიც (3-6 წლის), რომელიც არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არიან და მოითხოენ შევ-სებას.

შესავსებად განკუთვნილი ზოლები წინასწარ უნდა იქნეს გაწმენდილი სარეველბისაგან, აგრეთ-ვე უნდა ჩატარდეს ნიადაგის პირწმინდა გადაბარვა ან ხვნა, თუ ემატება რიგები, ან 1 კვ. მეტრ ბაქ-ნების ან არა ნაკლებ 45 სმ სიღრმის ორმოების მომზადება (60X40 სმ) შესავსებ მწკრივებში.

ნიადაგის დამუშავებისა და ნერგების დარგვის დანარჩენი სამუშაოები ჩატრდება ისევე, რო-გორც ახლად გაშენებულ ზოლებში.

შეკრულ ტყის ზოლებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა ნაცვლად ტარდება სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები: გაწმენდა, გამოხშირვა.

პირველ წლებში მოვლის მეტყეური ღონისძიებები გამოიხატება კორომების სწორ ფორმირება-სა და მთავრი ჯიშების სიმაღლეზე ზრდისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფაში.

გაწმენდისა და გამოხშირვის ჩატარების დროს ნარგაოებებიდან გამოაქვთ პირველ რიგში გამ-ხმარი, ხმობადი და დაზიანებული ეგზემპლიარები. ამ ღონისძიებას ამავე დროს აქვს სანიტარული მნისვნელობა.

როგორც გაწმენდის, ისე გამოხშირვის დროს მკაცრად უნდა მიექცეს ყურადღება, რომ არ იქ-ნეს დარღვეული ზოლის შეკრულობა, რადგან გადამეტებით გათხელების შემთხვევაში წარმოიქმნე-ბა არასასურველი ფართო თავისუფალი ადგილები, რომლებშიც შეიჭრება ქარი.

# ნორჩი ათინათელების თვალით დანახული ცნობილი ადამიანები

ილია ძმანაშვილი

## ინტერვიუ ბატონ უშანგი მოსიაშვილთან



ბატონო უშანგ, მოგესალმებით ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე, ილია ძმანაშვილი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის ნორჩი ათინათელი.

***ბატონო უშანგი, მე როგორც სკოლის მოსწავლეს მაინტერესებს, როგორი მოსწავლე იყავით?***

თქვენ შეკითხვაზე თუ როგორი მოსწავლე ვიყავი გიპასუხებთ: მე სკოლაში შევედი 1943 წელს, როდესაც მძაფრი ომი მიმდინარეობდა გერმანიის ფაშისტებსა და საბჭოთა კავშირს შორის, ჩვენი მამები ფრონტზე იყვნენ წასულები, ცხოვრება გვიხდებოდა მამების მზრუნველობის გარეშე, ძალიან ჭირდა, საკმარისი არ იყო როგორც საკვები პროდუქტები, ასევე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ერთი სიტყვით გაჭირვებულ ყოფაში გვიხდებოდა სკოლაში სიარული. მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენი თაობა ცუდად არ ვსწავლობდით, მე ოქროს მედალზე არ დამიმთავრებია სკოლა, მაგრამ ვითვლებოდი საშუალო დონის მოსწავლეთ. ერთი დადებითი თვისება მქონდა, რასაც ვისწავლიდი ადვილად არ მავიწყდებოდა სხვებისგან განსხვავებით. დღესაც მახსოვს 70 წლის წინ ნასწავლი ბევრი რამე.

***გთხოვთ გაიხსენეთ თქვენი ბავშობა.***

როგორც ბავშვი ცოტა ცელქი ვიყავი. მიყვარდა ამხანაგებთან თამაში და თითქმის ყველა სათამაშოს ჩემი ხელით ვაკეთებდი. ჯერ კიდევ სკოლაში არ ვიყავი მისული როცა ჩემი ხელით ვთლიდი ბზრიალას „ჩიკორს“ ვეძახდით. მაშინ მარცხენა ხელის თითში ჩავირტყი წალდი და თითი შუაზე გადამეჭრა, რომლის კვალი დღესაც მაქვს მარცხენა ხელის თითზე ფრჩხილი ორად მაქვს გაყოფილი. გავიხსენებ კიდევ ერთ მომენტს: უკვე მოზრდილი ვიყავი ალბათ მე-6 კლასის მოსწავლე ჩემივე გაკეთებული ციგით დავდიოდით ზამთარში გაყინულ ტბაზე საციგურაოდ. ერთხელაც ციგაობის დროს ბავშვებმა დაიძახეს, რომ მამაშენი მოდისო. ვინაიდან მშობლები გვიშლიდნენ ყინულზე ციგაობას არ მინდოდა რომ დავენახე მამას და საჩქაროდ გავსრიალდი ნაპირისკენ იქ ყინული შედარებით თხელი ყოფილა ჩამიტყდა და ჩავვარდი ყინულიან წყალში. მთლად სველი ამოვედი იმ ყინვაში. ბიჭებმა ცეცხლი დავანთეთ, გავიშრე ტანსაცმელი და ისე მივედი სახლში. რაც შეეხება იმ მონადირეებში ბავშვებმა რომ მითხრეს მამაჩემი არ ყოფილა. მოსაგონარი ბავშვობაზე ძალიან ბევრი მაქვს, მაგრამ რომ არ გამიგრძელდეს ამით დავამთავრებ.

***თქვენში ძალიან ბევრი ადამიანი არის: ლექსებს წერთ, ხატავთ, ძირითადად რომელი გიტაცებთ, პოეზია თუ ხატვა?***

რაც შეეხება იმას თუ ლექსების წერა უფრო მიტაცებს თუ ხატვა? ორივეს დიდ პატივს ვცემ. მიყვარს კარგი ლექსები და პატივს ვცემ კარგ მხატვრებს. ვწერ იმას რაც მტკივა, ან მიხარია და ვხატავ იმას რაც მომწონს და მიმაჩნია მომავლისთვის სადიდებლად. ძირითადად ჩემი ნახატები მივუძღვენი საქართველოს დიდ მეფეებს, რომლებმაც თავი დადეს საქართველოს ძლიერებისათვის. ის რაც თქვენ ნახეთ სალონში დიდი ტილოები მოვიწვიე ნიჭიერი მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი და ერთობლივად შევქმენით იდეა, რათა მხატვრულად წარმოგვეჩინა საქართველოს დიდი მეფეების და დიდი ხალხის ნამოქმედარი.

***რას იტყვით თქვენი შვილების შესახებ?***

ოჯახის შესახებ: მყავს ოთხი შვილი, სამი ბიჭი და ერთი ქალიშვილი. ყველა უმაღლესი განათლებითაა და უძღვება მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ოთხივეს აქვს საკუთარი ოჯახი და

ყავთ შვილები. ამ დროისათვის მყავს ათი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი.

***როგორც ვიცი თქვენი ქალიშვილი ქალბატონი იზა ლექსებს წერს, სრულყოფილი პოეტია თუ მოყვარული?***

ჩემი ქალიშვილი იზა, ის ნიჭიერია და ხელთეწიფება როგორც ლექსების წერა, ასევე ცხოვრებისეული ბევრი რამ. რაც მთავარია საზოგადოებაში სარგებლობს დიდი სიყვარულით და ყველას ეხმარება გაჭირვების დროს.

***თქვენ განსხვავებული ადამიანი ბრძანდებით, ანუ ისტორიული ნახატები რაც თქვენი დაფინანსებით დახატეს და მერე ისტორიულ მუზეიმათ აქციეთ პირველი და განუმეორებელია, რატომ დაისახეთ მიზნათ ასეთი რამე გაგეკეთებინათ?***

სამხატვრო სალონი – იდეა გამიჩნდა იქიდან, რომ დღეს კომპიუტერულ ხანაში ჩვენი ახალგაზრდობის უმრავლესობა კომპიუტერს იყენებს სათამაშოდ და არა ჩვენი წარსულის და მისი ისტორიის შესასწავლად. მე სურვილი მაქვს ჩვენმა შთამომავლობამ იცოდეს როგორი გმირი მეფეები გვყავდა და როგორ მოიყვანეს ჩვენამდე ქვეყანა.

***ბატონო უშანგი ცოტა რამ თქვენი ქარხნის შესახებ.***

ეხლა რაც შეეხება ჩვენს ქარხანას: ქარხანა გაიხსნა 1958 წელს და არსებობს დღემდე. ქარხანა საკავშირო დაქვემდებარების იყო, რომელიც უშვებდა მართვის კარადებს და მართვის ფარდებს. პროდუქცია მიეწოდებოდა საბჭოთა კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკას და მსოფლიოს 40-მდე ქვეყანას. ჩვენი პროდუქციით იქნა დაკომპლექტებული მსოფლიო მნიშვნელობის გაზსადენი ურენგოი პომორი უჟგოროდის მშენებლობა, ოლიმპიადა 80 თითქმის ყველა ობიექტი, კოსმოსური ფრენის ცენტრი კალინინგრადში და პოლიგონი ბაიკანურზე. საქართველოში ჩვენი პროდუქციით დაკომპლექტდა დინამოს სტადიონი, ოპერისა და ბალეტის თეატრი, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი, მრავალი საავადმყოფო და მშენებარე ობიექტები.

***ყველაზე დიდი სიხარული თქვენს ცხოვრებაში?***

1979 წელს როდესაც საბჭოთა კავშირი ემზადებოდა „ოლიმპიადა 80" – ის ჩასატარებლად ჩვენს ქარხანას შეუკვეთეს ელექტრო მოწყობილობა. ჩვენ ზამთარში დამზადებულ პროდუქციას მოსკოვში არ ინახავდნენ სათანადოდ, აწყობდნენ თოვლზე, როცა თოვლი გადნა პროდუქცია დაჟანგდა და დაგვიწყეს დევნა, ვითომ ჩვენ უხარისხო პროდუქცია მივაწოდეთ. ჩვენი ქარხნის გარდა კიდევ ორმოცამდე ორგანიზაციას ედავებოდნენ და გვთვლიდნენ მავნებლებად. იქამდე მივიდა საკითხი, რომ მოსკოვს საქალაქო კომიტეტის მაღალჩინოსნის თანდასწრებით იხილებოდა ეს საკითხი. ღოცა ეს შევიტყვე მე დავიქირავე ფოტოგრაფი, დავიარე ყველა საწყობი სადაც ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქცია ინახებოდა, გადავაღებინე სურათები და თათბირზე წარვუდგინე. იქვე დავძინე, რომ მოკლე დროში აღვადგენდი. დანარჩენი დირექტორებიც დათანხმდნენ, რომ ყველაფერს მოკლე დროში აღადგენდნენ. მართლაც ამ ყველაფერმა შეცვალა ვითარება და 40-მდე დირექტორს და მეც ავიცილეთ ის ცილისწამება, რომ ხელს ვუშლიდით ოლიმპიური ობიექტის მშენებლობას შეიცვალა და პირიქით დამაჯილდოვეს მედლით „ოლიმპიურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის" ამით ვიხსენი ჩემი თავი და დანარჩენი დირექტორებიც მავნებლის სახელის ტარებას და დაჭერას. რა თქმა უნდა ეს სასიხარულო იყო.

***ეკლესიური ხართ?***

რაც შეეხება ეკლესიურობას – მე ღმერთის მორწმუნე კაცი ვარ. შევდივარ ეკლესიაში და ვანთებ სანთელს, წირვას იშვიათად ვესწრები. ავაშენე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია და ყველანაირად ვეხმარები საეკლესიო საქმიანობაში.



***რომელი ორგანიზაციებისათვის გაქვთ გაკეთებული ქველმოქმედებები?***

ის თუ რომელ ორგანი-

ზაციებს გავუწიე ფინანსური დახმარება, მისი ჩამოთვლა რთულია, რადგანაც 1-4 გვერდს მოიცავს. კერძოდ, კასპის რაიონის თითქმის ყველა ორგანიზაციას და რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციებს.

***თქვენში ადამიანი უფრო მეტად ფასობს თუ თანამდებობა?***

„ადამიანი მეტად ფასობს თუ თანამდებობა“ გეტყვით, გამოსულია ჩემი 5 წიგნი. აქედან, ოთხს აქვს სათაური „მოდი კაცებათ დავრჩეთ ბოლომდე“. კარგი კაცობა კარგი ადამიანობის მაჩვენებელია.

***რომელი აკადემიის წევრი ხართ?***

ვარ ოთხი აკადემიის წევრი:

– ეროვნული აკადემია

– აკადემია „ქალდია„

– აკადემია „ფაზისი„

– ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია.

***რას იტყოდით სოფლის მეურნეობაზე?***

საქართველო ოდითგანვე იყო და არის სოფლის მეურნეობის ქვეყანა. მაგრამ დღეისათვის მოსაწესრიგებელი გვაქვს ეს საკითხი. ჩვენი ქვეყნის მიწების 40% დაუმუშავებელია, აქედან გამომდინარე გვიხდება სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტით არსებობა. მე მოვუწოდებ ჩვენ ხალხს დაძლიონ სიზარმაცე რათა არ დარჩეს არც ერთი გოჯი მიწა გამოუყენებელი ჩვენი ძალებით და არ გაიყიდოს სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე.

***იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?***

ჯუმბერ ლეჟავას ვიცნობდი ახლოს. ბევრჯერ გვქონია შეხვედრა როგორც პირადად, ასევე რაიონის მასშტაბით, ის იყო ჩემი ახლო მეგობრის ჯემალ კუხალაშვილის თანაკურსელი.

***ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილის იდეაა, რომ დაიდგას პაატა სააკაძის ძეგლი ერთაწმინდაში, თქვენი აზრი ამის შესახებ?***

რაც შეეხება ქალბატონ გულნაზის იდეას, რომ დაიდგას პაატა სააკაძის ძეგლი სოფ. ერთაწმინდაში მისასალმებელია და საჭიროც არის ჩვენი ახალგაზრდობის საჩვენებლად, რომ ჩვენი ქვეყანა იდგა ასეთ გმირებზე.

***ბატონი გელა ლარიაშვილი და ბატონი ნიკო ხერკელაძე თქვენ პიროვნებას აიდიალებენ, თქვენ რა აზრის ხართ მათ ადამიანურ რელიგიურ თვისებებზე?***

ბატონი გელა ლარიაშვილი და ნიკო ხერკელაძე ორივე არის ჩემი მეგობარი, რომლებიც გამოირჩევიან კაცურ კაცობით, არიან გამოჩენილი პიროვნებები მხატვარი და მოქანდაკე ქვეყნისთვის თავდადებული და ხალხის მოყვარული ადამიანები. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ხალხი.

***რას უსურვებ მომავალ თაობას?***

მომავალ თაობას ვუსურვებ პირველ რიგში ჯანმრთელობას, სამშობლოს სიყვარულს, ერთიან საქართველოში ცხოვრებას, კარგ სწავლა განათლებას და მდიდარ ქვეყანაში ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ შრომით მიიღწევა.

**გისურვებთ ბედნიერებას.**

**ილია ძმანაშვილი**

## ინტერვიუ ბატონ ჯამლეტ ხუხაშვილთან

***ბატონო ჯამლეტ თუ შეიძლება მიამბეთ თქვენი მშობლების შესახებ.***

ჯამლეტის მამა – შალვა ხუხაშვილი ცხინვალში დაიბადა. წარჩინებით დაამთავრა სკოლა და თსუ-ს ფაკულტეტი.

მუშაობდა ცხინვალის ქართული სკოლის დირექტორად, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგედ, საოლქო კომიტეტის მდივნად.

1953 წელს გადმოვიდა თბილისში და დაინიშნა ლისის ტბისა და მშენებარე თბილისის ზღვის პირველ დირექტორად. იგი სამამულო ომის ინვალიდი გახლდათ (ფეხში იყო დაჭრილი), რის გამოც ორ „ფრონტზე“ მუშაობა ვერ შეძლო და მხოლოდ ლისის ტბის დირექტორად დარჩა.




\

შემდეგ შალვა ხუხაშვილი ისევ სკოლას დაუბრუნდა, კარგა ხანს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტშიც იმუშავა.

გარდაიცვალა 1975 წელს 64 წლის ასაკში.

სონია ხუხაშვილი განათლებული და კოლოსალური მეხსიერების ქალბატონი ბრძანდებოდა. ღრმა სიბერემდე არც ერთი ნათესავის ოჯახში მის გარეშე დიდი სუფრა არ გაიშლებოდა. უნიჭიერესი კულინარი იყო, მისი ხელით შექმნილი მრავალი კერძი თუ ფუნთუშეულობა საქვეყნოდ იყო ცნობილი. სწორედ იგი ლოცავდა გულთბილად ახალშექმნილ ოჯახებს, მის მიერ წარმოთქმული თითოეული ფრაზა სიბრძნით იყო გაჯერებული. ქვეყნის მამიდას ეძახოდნენ, რადგან აუცილებლად უნდა გარკვეულიყო, ოჯახურ პრობლემებში და დადებითადაც გადაჭრიდა ხოლმე მათ. ქალბატონ სონიას ყველა ბაბოთი მიმართავდა დიდი სითბოს გამოსახატავად.

დედას, პროფესიით პედაგოგს, დიდხანს არ უმუშავია. მთელი ცხოვრება სხვადასხვა თაობის ბავშვების აღზრდას მოანდომა. ღრმად ხანშიშესული ქალბატონი პედაგოგობას რძლებთან, სიძეებთან და შვილიშვილებთან აგრძელებდა. იგი ყველას გულის მესაიდუმლე იყო. გარდა ამისა, ზუსტად იცოდა ყველა სანათესავო და საახლობლო გვარის თითქმის მთელი საუკუნის გენეალოგიური ხე.

გარდაიცვალა 2008 წელს 88 წლის ასაკში.

***რამდენი დედმამიშვილი ხართ?***

ძმა – ირაკლი ხუხაშვილი 1940 წელს დაიბადა. იგი იყო უნიჭიერესი მოსწავლე, ტანადი, ძლიერი, კარგი გარეგნობის. სპორტის ხუთ სახეობაში ოსტატობის კანდიდატი და, რაც მთავარია, ჯელტმენი.

ირაკლის მთელი საქართველო იცნობდა და პატივს სცემდა. პროფესიით ინჟინერმა ბევრ ქარხანაში სცადა ძალა და ყველგან ლიდერად ცნობდნენ.

თბილისისა და საქართველოს უდიდესი პატრიოტი გახლდათ. საქართველოს ყველა კუთხეში ხმამაღლა აცხადებდა, რომ იყო ებრაელი, ხოლო როგორც კი თუნდაც ერთი ნაბიჯით გასცდებოდა საქართველოს, იყო ქართველი.

საოცარი მეხსიერება ჰქონდა. ყველაფერი მისხალ-მისხალ ახსოვდა. ჯამლეტს თუ რამე დაავიწყდებოდა, მაშინვე ირაკლის მიადგებოდა ხოლმე ისიც არასოდეს შემცდარა. რომ მოენდომებინა, უმცროს ძმაზე არანაკლები კომენტატორი გახდებოდა, თუმცა, როგორც უკვე იცით, მთელი ცხოვრება საინჟინრო და სამეურნეო საქმიანობას შეალია. კარგი ბიზნესმენი იყო და უამრავ ხალხს უმართავდა ხელს. ჯამლეტს ირაკლიმ შეუძინა ბინაც, ავეჯიც და მან დაულოცა გზა სატელევიზიო ასპარეზზე.

ირაკლი ხუხუნაშვილი 46 წლისა გარდაიცვალა. დარჩა მეუღლე – ტომა კუკაშვილი და ორი შვილი – გია და ინგა.

გია ხუხაშვილი პროფესიონალი კალათბურთელი იყო, საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრი, მაგრამ მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ზედმეტი სიმძიმის აწევის გამო წელი დაუზიანდა და აქტიურ სპორტს სამუდამოდ გამოეთხოვა. 1995 წელს კი მოსკოვში სრულიად მოულოდნელად 28 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ირაკლის ქალიშვილი ინგა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური საავადმყოფოს უფროსი ლაბორატორი გახლდათ. დღეს დიასახლისია და უვლის შვილებს, თამაზსა და ელენიკოს, მეუღლესთან, მხატვარ ნიკა ნუცუბიძესთან ერთად.

***რას იტყვით თქვენ მეუღლეზე და საერთოდ თქვენს ოჯახზე?***

ევა ბაბალაშვილი, საქართველოში მსოფლიოს ქართველ-ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი გახლავთ. ასევე რადიო „ჯა-კოს“ საერთაშორისო მიმომხილველია. ავტორია – საბავშვო წიგნისა „ქალაქური ზღაპარი“, რომელიც გამოიცა სამ ენაზე – ქართულად, რუსულად და ინგლისურად.

ვაჟი – მიხეილ ხუხაშვილი „მაქაბის“ კლუბის ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელია. მისი მეუღლე თამუნა რადიო „ჯა-კოს“, ინგლისურენოვანი მიმომხილველია. ჰყავთ ქალ-ვაჟი – ევა და დათი. მიშიკოს ჰყავს აგრეთვე 17 წლის ჯამლეტი.

ქალიშვილი ია ჟურნალისტია. ცხოვრობს ისრაელში. რამდენიმე წლის წინ შეიცვალა პროფესია და დღეისთვის მიხაილოვის საავადმყოფოში მუშაობს. მისი მეუღლე – ზაზა ბერიძე – მიხაილოვის საავადმყოფოსა და ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი უროლოგია. ჰყავთ შვილები – 21 წლის თამი, 17 წლის ნატალი და 6 წლის მაი.

***ცნობილი სახეებიდან ვინ მოგილოცათ 70 წლის იუბილე?***

ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს პრემიერ მინისტრი.

ბატონო ჯამლეტ, გილოცავთ 70 წლის იუბილეს. თქვენ იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებით, რომლებიც თავის სიტყვას ამბობენ და კვალს ატყობენ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მთელმა საქართველომ იცის, რომ თქვენი ამაგი ქართული სპორტის განვითარების საქმეში უზარმაზარია, რომელსაც მთელი ცხოვრება მიუძღვენით. უკვე 50 წელია მას შემდეგ, რაც თქვენი ხმა შემოვიდა ჩვენს ოჯახებში და თქვენი ყოველი სიტყვა იმის დასტურია, რომ სპორტის პროფესიონალი კომენტატორი და, ამავე დროს, დიდი გულშემატკივარი ბრძანდებით. და როგორც აღმოჩნდა, თქვენ ევროპაში ყველაზე ხანგრძლივი სტაჟის კომენტატორი ხართ. ეს, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანისთვის საამაყოა.

ასევე მისასალმებელია, ბატონო ჯამლეტ, რომ არ უღალატეთ ტრადიციას და ამ ტრადიციის გასაგრძელებლად სპორტული რადიო „ჯა-კო“ დააფუძნეთ, რომელსაც თქვენი ძვირფასი მასწავლებლის, კოტე მახარაძის სახელი უბოძეთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს რადიო ისეთივე საინტერესო და საყვარელი გახდება, როგორც წლების განმავლობაში იყო თქვენი რეპორტაჟები ქართველი ხალხისთვის.

რაც მთავარია, თქვენ არა მარტო სპორტის მოამაგე და ქომაგი ხართ, ამავე დროს დიდი წვლილი მიგიძღვით ქართული კალათბურთის განვითარებაში და არაერთი წარმატებული, ლეგენდარული სპორტსმენის აღზრდაში.

მინდა, განსაკუთრებული მადლიერებით ავღნიშნო, რომ თქვენს ძალისხმევას, ცოდნას, ენერგიას, ნიჭს არ იშურებთ ისეთი დიდი საქმისთვის, როგორიც არის ქართულ-ებრაული ურთიერთობა, რომელიც 26-საუკუნოვან ისტორიას ითვლის.

გისურვებთ დღეგრძელობას, ბედნიერებას, წარმატებებს და მჯერა, რომ თქვენ კიდევ დიდხანს ერთგულად გააგრძელებთ სამსახურს ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის და კვლავაც შეიტანთ წვლილს ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაში. კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს და მხნეობას გისურვებთ.

და ბოლოს: მინდა, გაცნობოთ, რომ წარდგენილი ბრძანდებით სახელმწიფო ჯილდოზე.

(სიტყვა წარმოთქმულია ჯამლეტ ხუხაშვილის საიუბილეო საღამოზე კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში).

**იული ედელშტეინი** ისრაელის ქნესეთის პარლამენტის თავჯდომარე.

**რონენ პლოტი** ისრაელის ქნესეთის გენერალური დირექტორი.

ძვირფასო ჯამლეტ, გილოცავთ დაბადების 70 წლის იუბილეს, გისურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელობას, ცხოვრების გზის წარმატებულად გაგრძელებას თქვენს მეუღლესთან ევასთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. დარწმუნებული ვართ, 80 წლის იუბილესაც ასე მხნედ შეხვდებით.

ასევე, გულითადად გილოცავთ კომენტატორობის 50 წლის იუბილეს. როგორც შევიტყვეთ, მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი სტაჟის მქონე კომენტატორი ბრძანდებით. იყო 50 წელი კომენტატორი და ემსახურო ამ საქმეს, ადვილი სულაც არ არის.

დიდი პატივისცემით, კიდევ ერთხელ გისურვებთ მრავალ წელს ჯანმრთელობას და თქვენი საქმის იგივე შემართებით გაგრძელებას.

**გიორგი მარგველაშვილი** საქართველოს პრეზიდენტი.

გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს. ჩვენი საზოგადოება დიდ პატივს სცემს თქვენს ღვაწლს, რომელსაც ქართული სპორტული ჟურნალისტიკისა და კალათბურთის განვითარებისთვის ეწევით.

დღეგრძელობას, მხნეობასა და კვლავ მრავალ წარმატებას გისურვებთ.

**შიმონ პერესი** ისრაელის პრეზიდენტი.

ჯამლეტს ჩემი საუკეთესო სურვილები 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით. თქვენ ნამდვილი ლიდერი და სპორტული მოღვაწე ბრძანდებით.

**გიორგი კვირიკაშვილი** საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

ბატონო ჯამლეტ, გილოცავთ დაბადების 70 და პროფესიული საქმიანობის – სპორტულ კომენტატორად მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს. ჩემი თაობის თითოეული წარმომადგენლისთვის თქვენ განსაკუთრებული ადამიანი ბრძანდებით, პიროვნება, რომელიც ბავშვობიდან გვახსოვს და პატივს ვცემთ. დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ წლების განმავლობაში ასეთი ერთგულებით და, რაც მთავარია, მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურებით იმ კეთილშობილურ და ღირსეულ საქმეს, რასაც ქართული სპორტის პოპულარიზაცია ჰქვია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თქვენი მოღვაწეობა ქართული სპორტის განვითარების საქმეშიც. თქვენი ხელშეწყობით არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ გაიკვალა გზა დიდ სპორტში.

ასევე დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის – ჩვენ ყველანი ძალიან ვაფასებთ თქვენს მოღვაწეობას ქართულ-ებრაული ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

**ლევან ყიფიანი** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი.

ცხოვრებაში ბევრი რამ წამიერია – მოდის და ქრება, მერე აღარასდროს იხსენებ, ზოგი რამ კი წლობით მოგყვება, შენი ხდება და ითავისებ. ჩვენთვის, იმ თაობის ქართველი გულშემატკივრებისთვის, რომელთაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარსა და ოცდამეერთეს დასაწყისში მოგვიწია ცხოვრება, ასეთი რამ ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილის ხმა, ტემბრი, ინტონაცია და მისი წაყვანილი რეპორტაჟია. ისე იმდენად შევისისხლხორცეთ და შევიყვარეთ, რომ ასე გვგონია, მის გარეშე ქართული სპორტის დიდი წარმატებები ვერც კი იქნებოდა. რაა გასაკვირი, რომ 2013 წელს სწორედ ბატონ ჯამლეტს გადასცა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ მის მიერ დაარსებული ახალი ჯილდო ქართულ სპორტულ ტელეჟურნალისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის – მისი მასწავლებლის და მეგობრის კოტე მახარაძის სახელობის პრემია! ახლა თამასა მაღლაა აწეული და მომდევნო წლების ქართველ კომენტატორებს ჯამლეტ ხუხაშვილზე მოუწევთ სწორება.

ბატონ ჯამლეტს კი დიდხანს სიცოცხლეს და მიკროფონთან გასატარებელ წლებს ვუსურვებთ.

**თამარ სანიკიძე** განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

ჩვენო საყვარელო ბატონო ჯამლეტ! თქვენ ბრძანდებით ადამიანი, რომელიც რამდენიმე ათეული წელია, ერთგულად ემსახურებით ქართული სპორტის განვითარებასა და პოპილარიზაციას. აღსანიშნავია თქვენი მრავალმხრივი სპორტული ცხოვრება. კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი, ხელბურთი თუ კალათბურთი არის მცირე ჩამონათვალი სპორტის იმ სახეობებისა, რომლებსაც მისდევდით და არაერთ სახეობაში დიდ წარმატებასაც მიაღწიეთ. ამაზე მეტყველებს ტიტულები: ჩემპიონობა, პირველთანრიგოსნობა, სპორტის ოსტატობა... დასაფასებელია სიყვარული ახალგაზრდებისადმი და მათი ხელშეწყობა თქვენი მხრიდან. ძალზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდა კალათბურთელების წარმატებაში შეტანილი თქვენი წვლილი. არაერთი თქვენი აღზრდილი თამაშობს უცხოეთის ცნობილ კლუბებში.

როგორც სპორტული კომენტატორი, ღირსეულად აგრძელებთ ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის გზას. მნიშვნელოვანია თქვენი სწრაფვა და სიყვარული ამ საქმისადმი, რადგან არ ღალატობთ 18 წლის ასაკში მიღებულ გადაწყვეტილებას, გამხდარიყავით სპორტული კომენტატორი. ამისთვის ბევრი იშრომეთ. თქვენივე მონათხრობიდანაა ცნობილი, როგორ მუშაობდით ქართული მეტყველების დახვეწაზე, ეთერში სწრაფი აზროვნების უნარის გამომუშავებაზე, სწავლობდით სპორტის სახეობებს. ძალიან მალე აღიარებული სპორტული კორესპონდენტი, კომენტატორი და მიმომხილველი გახდით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თქვენი ძალისხმევა ქართველი და ებრაელი ერების მეგობრობის გაღრმავების საქმეში. ამის ერთ-ერთი მაგალითია თქვენი წვლილი „მაქაბის“ საკალათბურთო სკოლის ჩამოყალიბებაში.

მსიამოვნებს, როდესაც ვიხსენებ სპორტის განვითარება-პოპულარიზაციაში შეტანილ თქვენს ღვაწლს, მადლობას გიხდით ამისთვის! გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ, რომ დიდხანს გაგეხარებინოთ სპორტის გულშემატკივრები.

**ბიძინა ივანიშვილი** არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ ხელმძღვანელი; ბიზნესმენი, ქველმოქმედი.

გვხვდებიან ცხოვრებაში ადამიანები, რომელთა მიმართაც მაშინვე განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება გიჩნდება და წლების შემდეგ ხვდები, რომ შენი დამოკიდებულება არათუ შეიცვალა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდა და ეს პიროვნება შენს საყვარელ ადამიანად იქცა. სწორედ ასეთია ჩემთვის ჯამლეტ ხუხაშვილი – დიდი გულის კაცი, „ცარიელი გული“, როგორც ხშირად ვეძახი ხოლმე.

ჯამლეტი ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, ქართულ-ებრაული ურთიერთობის, ამ ორი უძველესი ერის სიყვარულისა და ძმობის სიმბოლოა. თავისი ხასიათითა და თვისებებით იგი თანაბრად არის ქართველიცა და ებრაელიც.

ჯამლეტს არასოდეს დაუშურებია ცოდნა და ენერგია ისეთი დიდი საქმისთვის, როგორიცაა ქართველი და ებრაელი ხალხის ურთიერთდამოკიდებულება. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ ჩემი პრემიერობის დროს, ჯამლეტ ხუხაშვილი ქართულ-ებრაული ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს აღსანიშნავი კომისიის თანათავმჯდომარედ დავნიშნეთ.

მჯერა, ჯამლეტი კიდევ იტყვის თავის სიტყვას და კვალს დაატყობს ორი ერის ისტორიულ ურთიერთობებს, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის.

***გთხოვთ მიამბეთ თქვენი პირველი ტელერეპორტაჟის ისტორია.***

ძალიან საინტერესოა ჩემი პირველი ტელერეპორტაჟის წაყვანის ისტორია. ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ძალა მერჩოდა და მის დახარჯვაზე ვფიქრობდი. ერთხელაც დიდ ჯახში მოვხვდი და თავშიც ისე ძლიერად მითავაზეს, კლინიკური სიკვდილი მქონდა. არამიანცის (ასე უფრო იცნობს ხალხი ქალაქის პირველ საავადმყოფოს) ნევროლოგიურ განყოფილებაში ვიწექი. ჩემი პირადი ექიმი ყოფილი მოჭიდავე ნოდარ გოგიბედაშვილი იყო და სწორედ მას უნდა ვუმადლოდე, რომ გადავრჩი. ამ დროს კი პირველი ტელერეპორტაჟისთვის ვემზადებოდი, ცნობა მქონდა მიღებული, რომ დებიუტის ნება დამრთეს. არადა, საერთოდ დაკარგული მაქვს მეტყველება, ის კი არა, დედისა და ძმის სახელებსაც გაჭირვებით ვიხსენებ. ექიმები მეუბნებიან, შეუთვალე, რომ რეპორტაჟს ვერ წაიყვანო. მე კი ვიფიქრე – რაც იქნება, იქნება, მივალ, ჩავრთავ მიკროფონს და დაწყენისთანავე დავამთავრებ რეპორტაჟს. მერე თუ უნდათ, გამაგდონ, ჩემს ოცნებას ხომ ავისრულებ, გამოვაცხადებ, ჯამლეტ ხუხაშვილი უძღვებოდა-მეთქი. აი, ასე ვფიქრობდი. რეპორტაჟის წაყვანამდე ერთი თვე მქონდა. დავიწყე ქართულის ხელმეორედ შესწავლა, უფრო სწორად,

ენის ამოდგმა. თავს მეხვივნენ ლოგოპედები, ექიმები. ოღონდ ვიცოდი, ბევრი არ უნდა მელაპარაკა, შეცდომები რომ არ დამეშვა. მარტო გვარები დამესახელებინა, წყნარად, დინჯად, აუღელვებლად მესაუბრა.

გავიდა ერთი თვე და ზუსტად ექიმების მითითებისამებრ მოვიქეცი. მეორე დღეს ტელევიზიაში ერთი ამბავი ატეხილა, აქამდე სად იყავით, ეს ვინ აღმოვაჩინეთო. თურმე იმ დროს კომენტატორების უხვსიტყვაობას ებრძოდნენ და რა იცოდნენ, ენა მეც რომ არ მქონდა დაბმული. იცოცხლე, ერთი წლის შემდეგ თავში იშენდნენ, ესეც რა სიტყვა მრავალი ყოფილაო.

არ გაგიკვირდეთ და კავკასიის სილამაზის კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეც ვიყავი. 1991 წელს ფინალი სპორტის სასახლეში მოეწყო. ჟიურიში ათნი ვართ. ჟურნალისტები გაკვირვებულები მეკითხებოდნენ, ყველაფერი კარგი, მაგრამ სილამაზის კონკურსის ჟიურიში როგორღა აღმოჩნდიო. მეც არ დავიბენი და, ჩემ გარშემო ყველა ლამაზი ქალია და რატომაც არა-მეთქი (ოჯახის წევრებს ვგულისხმობდი). სხვათა შორის, ჩემი ყველა შეფასება პროფესიონალებმა კარგად მიიღეს.

სიმღერის ფესტივალის ჟიურიში ვიყავი – „ოქროს იერუსალიმი" ფილარმონიაში გაიმართა და ხელოვანთა შემფასებლები იყვნენ ბიძინა კვერნაძე, რობერტ ბარძიმაშვილი და სხვა ასეთები. როცა ყველაფერი დამთავრდა, ბატონმა ბიძინამ ნახა, რომ საკმაოდ კარგად შემიფასებია კონკურსანტები, ყველაზე ახლოს იყო საერთო შეფასებასთან. ესეც ალბათ ინტუიციით გამომივიდა. ბოლოს სცენაზე გამოვედი და ვთქვი – ხალხო, არ გაგიკვირდეთ, მე ფიზმომზადებაში ვარ მომღერლების შემფასებელი-მეთქი და ატყდა დარბაზში სიცილ-ხარხარი.



**ჯამლეტ ხუხაშვილი, ილია ძმანაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი და ილიას ბებია, ქალბატონი თალიკო ძმანაშვილი**

ილია ძმანაშვილთი



## ინტერვიუ ქალაქ რუსთავის მე-17 საჯარო სკოლის დირექტორთან, ქალბატონ ნელი გიქოშვილთან

გამარჯობათ! მე გახლავართ ქ.თბილისის №36 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე ილია ძმანაშვილი, აგრეთვე ჯ.ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან აკადემიასთან არსებული ჟურნალ ,,ათინათის" ნორჩი ათინათელი.

***ქალბატონო ნელი, მაინტერესებს რომელი წლიდან ხართ ქალაქ რუსთავის №17 სკოლის დირექტორი?***

სსიპ ქალაქ რუსთავის №17 საჯარო სკოლის დირექტორად დავინიშნე 2014 წლის სექტემბერში,ბავშვები ყოველთვის მიყვარდა და მათთან უშუალო ურთიერთობამ დამარწმუნა,რომ არ შევმცდარვარ და სწორი გადაწყვეტილება მივიღე. დღეს ბედნიერი ვარ და ამაყიც. დღემდე დიდი სიყვარულით ვაგრძელებ ჩემთვის საპასუხისმგებლო საქმიანობას.

***რა პროფესიის ბრძანდებით?***

პროფესიით ფინანსისტი ვარ.დავამთავრე ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 2014 წლამდე პროფესიით ვმუშაობდი საჯარო სამსახურში.



***რამდენი მოსწავლე ირიცხება თქვენს სკოლაში?***

როდესაც სკოლაში მოვედი ირიცხებოდა 395 მოსწავლე.დღეს უკვე 465 მოსწავლეა და ძალიან მიხარია, რომ ეს რიცხვი დღითი დღე მატულობს.

***გყავთ ხელოვანი ბავშვები?***

კი გვყავს და თანაც წარმატებული ხელოვანი ბავშვები. სკოლაშიც შექმნილია გარემო ბავშვები და მოზარდები ხელოვნების სამყაროში ვამოგზაუროთ და ვაზიაროთ ხელოვნების მრავალფეროვნებას. ჩვენი ხელოვნების პედაგოგების (თ.მოსაშვილი, დ.ნოზაძე) ინიციატივით ხშირად იმართება გამოფენები/კონკურსები. სულ ცოტა ხნის წინ ჩვენი სკოლის მოსწავლემ ნახატების რეგიონალურ კონკურსში აიღო საპრიზო ადგილი და ძალიან გაგვახარა.

***თქვენი სკოლის მოსწავლეებიდან ხომ არავინ წერს ლექსებს?***

პოეტებიც გვყავს, მე-10 კლასის მოსწავლე თეკლა ფრიდონაშვილი წერს არაჩვეულებრივ ლექსებს,მე-6 კლასელი პატარა პოეტიც გვყავს,მარიამ ვანიშვილი,ანანო დალაქიშვილი არაჩვეულებრივ ჩანახატებსა და მინიატურებს წერს.

***რა ურთიერთობები გაქვთ პოეტებთან?***

განა შეიძლება ადამიანმა პოეზიის გარეშე იცხოვრო, ყოველთვის მიყვარდა და მიყვარს ლექსები,ჩემი სულის ნაწილად ვთვლი პოეზიას და სწორედ ამიტომ ვცდილობ ბავშვებსაც ხელი

შევუწყო პოეტებთან შეხვედრებში და ლიტერატურული ღონისძიებების მოწყობაში. დარწმუნებული ვარ რომ უფრო ლამაზები,კეთილები და თბილები გაიზრდებიან თუკი ამ პოეტური სამყაროს კარებს შეაღებენ.

***ცოტა რამ თქვენი მშობლების შესახებ?***

ჩემი მშობლები...გიორგი და მარიამი,ისინი აღარ მყავს გვერდით,მაგრამ დღეს როგორიც ვარ ეს მათი დამსახურებაა,მასწავლეს სამშობლოსა და ადამიანების სიყვარული,...რის გამოც მათი მადლიერი ვარ, ეს დამრჩა ყველაზე დიდ სიმდიდრედ და ბედნიერებად.

***რამდენი შვილი გყავთ და რა პროფესიისანი არიან?***

მყავს ორი ბიჭი თენგო და თორნიკე. თენგო 25 წლისაა და დღეს სამშობლოს სამსახურშია. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა სამხედრო აკადემიაში და თავდაცვის სამინისტროს ერთერთი წარმატებული თანამშრომელია.

თორნიკე ჯერ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია.

***იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?***

მქონდა ბედნიერება ბატონ ჯუმბერის ნაცნობობის. პირადად ერთხელ შევხვდი ჩემს სამსახურში და არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში, საოცარია, რომ თავს უბრალო ადამიანად მიიჩნევდა ეს ბუმბერაზი „მოგზაურობის მეფე".

***რას იტყვით თქვენს თანამშრომლებზე?***

– მე ძალიან მიყვარს ადამიანები, და მათთან ურთიერთობა.აქ დამხვდა ადამიანური ღირებულებების მატარებელი, კომუნიკაბელური პედაგოგები. ამიტომ მიხარია სამსახურში მოსვლა, დიდ პატივს ვცემ და ვთანამშრომლობ მათთან.

***როგორც ვიცი, თქვენ წინ ქალაქ რუსთავის №17 საჯარო სკოლის დირექტორი იყო ქალბატონი გურანდა სირბილაძე, რომელიც ახლა თქვენი სასწავლო ნაწილია, რას იტყვით მის შესახებ?***

– დიახ ქალბატონი გურანდა იყო ამ სკოლის დირექტორი, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი მე-17 სკოლის წარმატებებში და დღესაც აგრძელებს სკოლაში საქმიანობას, არაჩვეულებრი ქალბატონი და მეგობარია ჩემი.

***რა არის თქვენი სულიერი კრედო?***

ვიცხოვრო სიყვარულით და სიკეთის კეთება შევძლო გარშემომყოფთათვის.

***რას იტყვით ჟურნალ ,,ათინათზე''?***

ჟურნალ ათინათის გამოცემით ძალიან დიდი კეთილშობილური საქმე კეთდება, მასში წარმოდგენილი პოეზია, პროზა, ფსიქოლოგია არის სულის საზრდო ბავშვებისთვისაც და ზრდასრულებისთვისაც, კარგი იქნება თუ მას რაც შეიძლება მეტი მკითხველი ეყოლება. სამაგიდო ჟურნალად შეიძლება გადაიქცეს თქვენი „ათინათი" .

***რას უსურვებდით მომავალ თაობას?***

ამ კითხვაზე ასე გიპასუხებდით:

– ღირსეულად და სიყვარულით ევლოთ მომავლის გზაზე.

როცა სიყვარულს, ჩვენგან დათესილს უხვად გაიღებთ,

როცა სიკეთის ბილიკებზე ამაყად ივლით,

როცა ააგებთ სულის სამრეკლოს...

დაგელოდებით,მოგეფერებით სკოლის კედლებში და გეტყვით: „ჩვენო ბავშვებო, ისევ გვიყვარხართ, როგორც გვიყვადით მაშინ".

ილია ძმანაშვილთი



## ინტერვიუ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტთან, ბატონ ნუგზარ ნადარაიასთან

***ბატონო ნუგზარ, რას იტყვით დღევანდელ სამეცნიერო პროგრესზე?***

როგორ უმოწყალოდ მიგვაქანებს ქვეყნიერების აღსასრულისაკენ დრო მუხანათურად გამმეტებელი და ფიქრი მძიმე... ამასთან, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, სამწუხაროდ, რეგრესირდება ზნეობა და სულიერება. სადღეისოდ, ერთი მცდარი ნაბიჯიც კი კმარა იმისათვის, რომ პიროვნება დროში მისივე დაშვებული შეცდომების მიზეზებით, ბოროტების ტყვე გახდეს და გადაიქცეს მონად, რამდენადაც დაკარგავს რა პიროვნულ თავისუფლებას და სირაქლემასავით ქვიშაში თავჩაფლული დაიმედდება – ყველაფერი ჩემს გარშემო კარგად არის, მე ხომ ვერაფერს ვხედავო. შედეგად, უმალვე დაკარგავს მშობელ ერში წინათ მოპოვებულ დამსახურებულ ნდობასა და პიროვნულ თავისუფლებას. დამოუკიდებლობის სანაცვლოდ, ამქვეყნად შემორჩება მხოლოდ მორჩილების მონური ღიმილი, რადგან ყოველივე მიუღებელს მისივე შემგუებლობით აკადრებენ და მასვე გადმოაბრალებენ. ასეთი იყო, არის და მომავალშიც გარდაუვალია საზოგადოებაში ბოროტებისა და ყოველივე მიუღებლის აღმოფხვრა სუფთა ხელებით, მართალი გულითა და სულით უკომპრომისო არგუმენტირებული შებრძოლების გარეშე... ფრთხილად ქართველებო, ფრთხილად! გვფარავდეს უფალი – იესო ქრისტე. ამინ!

***რას იტყვით რუსლან რუსიას შესახებ?***

ჩემი მოუშუშებელი სულის ტკივილი, ხსოვნა გულისა, სულმნათი შეუცვლელი მეგობრის, ძმადნაფიცობის ფრიადოსნის, გულმხურვალე ცოტნეიდელის რუსლან რუსიას უკვდავი ხსოვნისადმი ამ შესავალით იმიტომ დავიწყე, რომ ერსაც, ქვეყანასაც, მართლმადიდებლურ მრწამსსაც და თვით საზოგადოებასაც დაცემის ჟამს მხსნელად და მაგალითის მიმბაძველობით ორიენტირად ღმერთის მადლით მოევლინებიან ხოლმე სწორედ დამოუკიდებელი, პრინციპული, ინტელექტით დამშვენებული პატრიოტი პიროვნებები – მოღვაწე მამულიშვილები, გულწრფელი და გულმხურვალე – ცოტნეიდელები: „აღმსარებლები მცნებათა უფლისა და დამდებელნი სულისა თავისისა, საქართველოსა და მოყვასთათვის“, სრულიად საქართველოს ზნეობრივ-ეროვნული გმირის, წმინდანად კანონზომიერებულის, ერისთავთ-ერისთავის ცოტნე დადიანის მიმდევრების სახით. ასეთ ლიდერთა რიცხვს დამსახურებულად მიეკუთვნებოდა სულმნათ რუსლან რუსიას მთელი ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა, მისი დამრაზმელი პიროვნული ფენომენი. იგი გახლდათ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის პირველი მოადგილე, რედაქტორი. ჟურნალისტიკის დარგში შეტანილი პირადი, განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოებული იყო „ოქროს ფრთით“. 1996 წლის ივნისიდან დღემდე ერთხმად იყო არჩეული ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტად, პრეზიდიუმის წევრად, აკადემიკოსად. წარმატებითა და მისთვის ჩვეული თავდადებით ხელმძღვანელობდა ფაზისის აკადემიის თბილისის სათაო ორგანიზაციას.



***სად მოხდა თქვენი პირველი შეხვედრა?***

ჩვენი პირველი შეხვედრა ქ. ხობში 1978 წელს ზაფხულში შედგა, სადაც სრულიად ახალგაზრდა ვთავკაცობდი რაიონს. რედაქტორის დავალებით საგაზეთო პუბლიკაციის თემა გამაცნო: „ორი რაიონი ერთი ცის ქვეშ და მიღწეული შედეგები აბაშის რაიონსა და მეზობლად მდებარე ხობში." მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობაში მატერიალური სტიმულირების საკავშირო ექსპერიმენტის წარმატებით განმხორციელებელ აბაშის მეზობლობა საინტერესოც იყო და საპასუხისმგებლოც. რადგან ყველა საგეგმო პარამეტრებით შედარებები კეთდებოდა აბაშასთან, მოთხოვნით - თუ იქ შეძლეს, თქვენ რატომ ვერ იმეორებთ მეზობლის მიღწეულ შედეგებსო. ეს რიტორიკული კითხვა დამოკლეს მახვილივით კოლხეთის დაბლობზე მდებარე რაიონებს მუდმივად დიდ საფიქრალ-საზრუნავში გვამყოფებდა... მახსოვს სულმნათი რუსლანის სიხარულით, მზრუნველობით, გულშემატკივრობითა და სიკეთით აღსავსე გაბრწყინებული თვალები და სიამაყით რამდენჯერმე რომ გამიმეორა შეკითხვა: მართალია, რომ ხობელებმა გადაწყვიტეთ ხუთწლიანი სახელმწიფო გეგმა ყველა პარამეტრებით ოთხ წელიწადში შეასრულოთ და მეხუთე წელი ზეგეგმიური ვალდებულებების შესრულებას მოახმაროთ? როდესაც ჩემგან ასევე რამდენჯერმე მიიღო დადებითი პასუხი გადამეხვია და ალალად მითხრა – თქვენ სიტყვა არ გატეხოთ და მიღწევებზე საგნობრივი პროპაგანდა ჩემზე იყოსო. ორთავემ მიცემული სიტყვა პირნათლად შევასრულეთ... ნათელში ამყოფოს ღმერთმა აწ განსვენებულის ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი მამულიშვილის გულმხურვალე ცოტნეიძელის უკვდავი სული. ზეციურ სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ...



მიუხედავად ჩვენი დიდი უანგარო მეგობრობისა, სადაც მიმუშავია არ მახსოვს ხობზე, ფოთზე, აჭარაზე მიძღვნილ პუბლიკაციებში გულშემატკივრული ტაქტით არ ჩაერთო კრიტიკული შენიშვნები, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე, მათი შესრულებისა და კეთილი გულშემოტკივრობით ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების გზებით... არადა, ეს ყველაფერი რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტის შენიშვნები გახლდათ. ბიჭი იყავი და ყური არ მიგეგდო მათთვის, რადგან, შეუსრულებლობის შემთხვევაში, ერთი ნაბიჯილა გაშორებდა საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს სამდივნოზე, ან ბიუროზე საკითხვის განხილვისაგან. „ვახ, დრონი, დრონი..."

მართალია, აბაშის ცნობილმა ექსპერიმენტმა საკავშირო აღიარება მოიპოვა, მაგრამ ხობში პირადად ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩაყვანილი, რეკომენდებული და ერთხმად არჩეული გახლდით. რაზედაც ამ დიდი ნდობის გამართლებით უნდა მეპასუხა და რასაც სულმნათი ბატონი რუსლანი დღენიადაგ შემახსენებდა ხოლმე თავისი საქვეყნო პუბლიკაციებით... მართლაც და... „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდა, გული მისცეს გულისათვის – სიყვარული გზად და ხიდად". ამინ! ბრძანებდა იგი და თავისი ცხოვრებით, შემოქმედებითა და უანგარო მოღვაწეობით. მუდამ მიდასტურებდა...

იგი წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში მისი ყოვლად მაღალუსამღვდელოესობის მეუფე დანიელის რეკომენდაციითა და ფაზისის აკადემიის თხოვნით, მიიღო და გულითადად დალოცა სრულიად დაქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აღმშენებელმა, ფაზისის აკადემიის საპატიო პრეზიდენტმა, რომელმაც როგორც შვილობილს აღუთქვა მას, რომ დღენიადაგ ილოცებდა მისთვის და მისი საფიცარი ოჯახის მომავალ ბედნიერებაზე, შვილების დაოჯახებაზე, შვილიშვილების შეძენაზე, მათი ერისშვილებად აღზრდა – ჩამოყალიბებაზე...

***რა იყო რუსლან რუსიას შინაგანი მრწამსი?***

აქვე მსურს წარმოგიდგინოთ სულმნათ ბატონ რუსლან რუსიას პიროვნული, მისთვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული და საზოგადოებრივ შემოქმედებითი მოღვაწეობის ზოგიერთი მიდგომები, პრინციპები, და მრწამსი, რაც, ვფიქრობ, ქართულ პრესაში დღემდე გამოქვეყნებულ

პუბლიკაციებთან ერთად დაგვეხმარება მ.შ. უპირველესად შვილებს, ოჯახსა და ახლობლებს ღრმად ჩავწვდეთ განსვენებულის სულსა და ბუნებას, ადამიანური სიხარულითა და ტკივილებით დახუნძლულს, იმიტომაც, რომ ბატონი რუსლანი, ძმადნაფიცობის ჭეშმარიტი ფრიადოსანი – ცოტნეიდელი, ხშირად მიზიარებდა გულისნადებს, რადგან მას სწამდა, რომ სინდისი, ზნეობა, პატრიოტიზმი და ქრისტიანული მრწამსი - ეს ღვთის ნებაა და ხმაა, ასეთი ადამიანების სულსა და გულში აღმოცენებული და მათ ჯიშსა და გენეტიკაში ჩაქარგულ-ჩაკირული. ასეთმა ერისკაცებმა კარგად შეითვისეს, რომ უსამართლობასთან შეგუება, მით უფრო მშვიდობიანი თანაარსებობა, თავად არის ბოროტებასთან შეგუება, რაც, ბუნებრივია, დიდი ცოდვის შემცველია. ამიტომაცაა, რომ ასეთი ღირსეული ადამიანები, პიროვნებები, დროში მუდამ ებრძვიან ბოროტებას, რადგან სხვაგვარად მისი ჭეშმარიტი ხელშემწყობები გახდებიან. ეს კი ადამიანში ყოველგვარ ეშმაკეულის ჩასახვას ნიშნავს და რისთვისაც დღენიადაგ თავადვე მოისწრაფის ბოროტება. ამასთან მნიშვნელოვანია ცხოვრებაში წამოჭრილი ყოველი პრობლემის სამართლიანად მოგვარებისათვის ვიქონიოთ, რკინისებური ლოგიკის საფუძველზე, მიზეზ-შედეგის გაანალიზებით, ერთადერთი სწორი პოზიცია, რომ მივიღოთ სწორი გადაწყვეტილება სიკეთის სასარგებლოდ.

***და მაინც ადამიანები სად უშვებენ შეცდომას?***

ადამიანები შეცდომებს ხშირად სუბიექტური ემოციების გამო ვუშვებთ, არ ვფლობთ რა ამომწურავ ინფორმაციას წამოჭრილი წინააღმდეგობის, თუ გადასაჭრელი პრობლემის გარშემო... არ უნდა დავივიწყოთ ის ჭეშმარიტება, რომ ცხოვრების მორევში დინების საწინააღმდეგოდ ცურვისას ასეთი ადამიანები წინსვლის ნაცვლად უკანვე, წარსულში მიექანებიან... რადგან „მხოლოდ მკვდარი თევზები მიყვებიან დინებას"... აქვე დასძენდა, რომ ცხოვრებაში, როცა გაჭირვებისას შენ ვერ ირჩევ შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის ღირსეულ გზას, მიენდე ერთგულ, საქმით გამოცდილ მოყვასს და მის რჩევებს. თან ნუ დაივიწყებ, იქვეა ჩასაფრებული ბოროტეულიც, რომ დაიბუდოს შენში, შეგაცდინოს და დაგღუპოს. უნდა გვჯეროდეს, ვერასდროს ვიხილავთ ზეცაში იმედის ცისარტყელას, ღვთის ხსნის ზეციურ ნიშანს, თუ მუდამ ყმა-მონასავით თავდახრილი, მუხლებზე დაჩოქილი ვხოხავთ და მუდამ მიწას დავყურებთ, წაქცევა მაშინ არ არის ტრაგედია, რადგან მუდამ წამოდგომა და გამარჯვება გსურს... ამიტომ ნუ იქნებით „მდაბალნი სულითა და ცოდვილნი, მოშიშნი ხორცითა..." ჭეშმარიტების მისაგნებლად და ბოროტებასთან შენი სიმართლის გასამარჯვებლად, ღვთის მადლის, ღვთის ნიჭისა და ღვთის ძალის შენზე გადმოსასვლელად შენივე სიკეთითა და სულიწმინდის ტაძრად ქცეული გულითა და სულით თავად უნდა იყო მზად მაღალი ღირსებითა და რწმენით... ამქვეყნიური ბედნიერება სიყვარულსა და ერთგულება-თავდადებაშია საიმედოდ ჩაქარგულ-ჩაკირული. იგი იხსნის მსოფლიო ცივილიზაციას, განავითარებს რა მას. ამასთან, მსოფლიო კატასტროფის, დიდი უბედურებების, ნგრევისა და დაქცევის უპირველესი მიზეზთაგანია ადამიანის სულმდაბლობა, ამპარტავნობა და შური, უკურნებელი ავადმყოფობა სხვისი კარგად ყოფნის მიზეზით წარმოქმნილი და ჩაბუდებული შენში. ხსნა-გამოსავალი ადამიანებს შორის ღირსეულ კონკურენციაში, ნიჭიერთა შესაძლებლობების ღირსეულ შეჯიბრშია. მართლაცდა, „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას, ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას". გავიხსენოთ, როდის გვაფრთხილებდა ამ ჭეშმარიტების თაობაზე ლექსში „სადღეგრძელო" ჩვენი ერის ერთ-ერთი ღირსეული მამულიშვილთაგანი, სულმნათი გრიგოლ ორბელიანი... მართლაცდა, „ნეტარნ არიან, თვინიერნი და მოწყალენი, გადამრჩევნი რჩევითა"... „ნეტარნ არიან გულწრფელნი და სუფთა გულის მქონენი", რასაც სჭირდება სუფთა ხელები, განწმენდილი სული და გონი, სიმამაცე, თავდადება ცხოვრებაში, თუ შეიქმნება საჭიროება, თავგანწირვაც კი ბოროტებაზე სიკეთის გასამარჯვებლად - ფარისევლობასა, ორგულობასა და მუხანათობაზე, ე.ი. შადიმან – ფარსადანობის სინდრომზე, სიმართლის, ჭეშმარიტების, სამართლიანობის, ანუ ჭყონდიდელ-ცოტნეიდელობის გასამარჯვებლად. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ საჭირო დროს საჭირო კაცის საჭირო რჩევა, შველას მაძიებელი და მომლოდინე მოყვასისათვის ვერ აიწონება ვერც ოქროთი და ვერც შეფასდება ფულადი ღირებულებით... იგი ღვთიური, ხსნის უძლეველი მარადიული მადლია, ჩვენზედ გარდმოსული, სიმართლისათვის ბრძოლის სურვილის გამარჯვებისთვის ძალის მომნიჭებელი. ყოველივე ამას კი, ნუ დავივიწყებთ, ეს მუდამ უნდა გახსოვდეს, ღვთის ხატო და სახებავ, ადამიანო! დავიმახსოვროთ, რომ „სინანული დაშვებული ცოდვების მონანიებაშია და იგი არ გადავდოთ ხვალისთვის, ვინაიდან წუთისოფლის სტუმრები ვართ და ამან უნდა დაგვაფიქროს, რადგან, როცა გარდაუვალი სიკვდილი დგება,

მხოლოდ მაშინ თავისუფლდება სრულად ბოროტი ადამიანი შურისა და სიძულვილისაგან. კეთილ, მორწმუნე ადამიანს კი ბოლომდე იცავს მფარველი ანგელოზი. ამინ! ბოროტის ადგილსამყოფელი საიქიოში ჯოჯოხეთშია, კეთილის კი სამოთხეშია. სადაც მართალნი განისვენებენ. ამინ!

***რა უნდა დააფასო ყველაზე მეტად ადამიანში?***

ცხოვრებაში მთავარია დააფასო ის, რაც შენთვის გააკეთეს და სათანადო პატივი მიაგო მათ, ვინც ეს გააკეთა, რადგან ყველაზე დიდი ცოდვა უმადურობა და მედროვეობაა. სულ სხვის „მოწველას“ ნუ შეეცდები, მუდამ ნუ გექნება, ხელი გაშვერილი დახმარების ძახილითა და მოლოდინით. შენ თავს შეახსენე, რომ ოდესმე შენც უნდა გახდე მოყვასისა და გაჭირვებულისთვის დამხმარე, უანგარო სიკეთის კეთებით ბედნიერი. იყავი რეალისტი, რადგან მხოლოდ ბრიყვი მოიწადინებს და იოცნებებს იმაზე, რაც არ შეუძლია მიიღოს და რაც, პრაქტიკულად, მიუღწეველია მისთვის. პატივი მიაგე და დააფასე ერთგულება და თავდადება, ნუ იქნები უმადური, ეგოისტი, სულ შენს თავზე მზრუნველი. მხოლოდ შენი მიზნებისა და ინტერესების განხორციელებისათვის შემართული. მუდამ გახსოვდეს, თუ ვინმესგან გულმხურვალე სიყვარულითა და ყურადღებით ხარ დავალებული, ეცადე ვალი კაცურად გადაიხადო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გული განსაკუთრებით აფორიაქებული გექნება, სულიერად ვერ დამშვიდდები შენ და შენი ნაშიერი ვერ შეირგებს მადლს და მთელი ცხოვრება შეგაწუხებს, ღირებულისა და ღირსეულის შენგანვე სათანადო პატივგების გარეშე დავიწყება. ემსახურე ღმერთს, მამულსა და მოყვასს, ილოცე მათთვის და იმათთვისაც, ვინც უსამართლოდ მოგექცა, გული გატკინა და გიღალატა კიდეც... ღმერთი მაღალია და ჩადენილი ცოდვა-მადლი მუდამ განკითხვისა და დალოცვის მოლოდინით, მიზეზ-შედეგის რკინისებული ლოგიკით, გარდაუვალობაშია. ემსახურე სიკეთეს, სამართლიანობის აღდგენას, სიმართლეს - ეს ზნეობრივი ფასეულობები მარადიულია, უკვდავია, რაც არ უნდა ღრმად დამარხონ, კვლავ დაიბადება და იქ გამოგეცხადება, სადაც არ ელი, მაგრამ გულით ოცნებობ და გსურს. დამეთანხმებით, კომპრომისი ნებისმიერი სახით თუ დოზით მორალთან, ზნეობასთან, სიმართლის მსახურებასთან ყოვლად დაუშვებელია. ქართველობა და მართლმადიდებლობა იდენტურია, ნებისმიერი კომპრომისი დიდი, გამოუსწორებელი ცოდვაა და ერთადერთი ხსნა სულიწმინდის ტაძრად ქცეული გულის გადასარჩენად, ამ ბოროტებასთან გამიჯვნაში, მხილებასა და უკომპრომისო ბრძოლაშია. სამყარო არ არის დაყოფილი ცუდებად და კარგებად, ყოველ ადამიანშია ნათელი და ბნელი. აქ განმსაზღვრელია არჩევანი სიკეთის, აღმშენებლობის, სიყვარულის სასარგებლოდ...

***როგორ გაითავისა ბატონმა რუსლანმა ცხოვრების გზა?***

სულმნათმა ბატონმა რუსლანმა თავის ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში პირნათლად გაითავისა, რომ ჯიში, ადამიანის გენეტიკური კოდი, წინასწარ განსაზღვრულია პიროვნებისათვის. მართალაცდა, განა მარტო წრთვნა რას შველის, თუ ბუნებამაც არ უშველა. პიროვნებებად, ლიდერებად, ერისკაცებად არ ხდებიან, ისინი ღვთის ნებითა და წყალობით იბადებიან... მთავარია შეიმეცნო, რომ განმსაზღვრელი აქ ხარისხი, შინაარსია და არა ფორმა. ჭეშმარიტება მუდამ იმით არის საინტერესო, რომ იგი მუდამ აქვეა, თქვენს გვერდით. გადამწყვეტია, ჩვენ გვქონდეს სურვილი მისი მსახურებისა. უიმედობა, ეს ცხოვრების დასასრულს ნიშნავს, იმედი კი, ეს სიცოცხლეა... დიდი ალექსანდრე მაკედონელის მემატიანე გვამცნობს, რომ ერთხელ იმპერატორს ნისლიან ღამეს ტყეში გზა აებნა და სრულიად უცხო მხარესა და გარემოში მოხვდა, იმედი არ დაკარგა და, რადგან სამხედრო საქმის გარდა არაფრის კეთება არ შეეძლო, ბუნებრივია რიგით ჯარისკაცად ადგილობრივ ჯარში ჩაეწერა. როცა ერთი კვირის მსახურებისთვის გასამრჯელო აიღო, დახედა მონეტებს და მათზე მისივე უდიდებულესობის, იმპერატორ ალექსანდრე დიდის გამოსახულება შენიშნა. ასეთია ცხოვრება, ის მუდამ ზამბარის წრეზე მოძრაობს და არავინ იცის აღსასრული, ღმერთისა და მფარველი ანგელოზის გარდა...

***ბატონო ნუგზარ, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა?***

ბატონი რუსლანი როცა დაიბადა, გარე სამყაროსთან პირველსავე შეხებისას, სააქაოს პირველსავე შეგრძნებისას, პირველი ნაბიჯის გადადგმისას ატირდებოდა ხოლმე, ახლობლები, გარემოცვაში მყოფნი კი სიხარულითა და ბედნიერებით იცინოდნენ, ისე უნდა იცხოვრო, რომ სააქაოდან ზეციურ სასუფეველში გარდასვლა-გარდასახვისას, ახლობლები განშორებით გამოწვეული სულისა და გულის ტკივილის გამო ტიროდნენ და შენ კი ვალმოხდილი, ღირსეული ცხოვრებით ამაღლებული, ზეციდან ღიმილით დასცქეროდე მათ. ზნეობა, სულიერება, პატრიოტიზმი გაქრე-

ბა, რაც მტრის და მოშურნის ოცნებაა, თუ ჩვენ სისტემატურად, შეგნებულად არ ვიზრუნეთ მათი შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. ფრთხილად, ქართველნო, ფრთხილად, რადგან მტერმა იცის, რომ ამ ღირებულებების გარეშე მყოფი ხალხების მუხანათურად მართვა-გამგებლობა ადვილია, რამაც უნდა დაგვაფიქროს... არადა, „ერს ვერაფერს დაუმალავ, გაიგებს, გამოფხიზლდება და დაიქუხებს" (ვაჟა-ფშაველა). საბედნიეროდ, ჭყონდიდელი გვყავს ილია II აღმშენებლის სახით, ოღონდ ესაა, რომ დავით აღმაშენებელის მოლოდინში ვართ ერიც და ბერიც კარგახანია... როდემდე?! ეს მხოლოდ ღმერთმა იცის! ამინ! დაგვემსახურებინოს ერსაც და ბერსაც... ეს სანატრელი მადლი. ამინ!

***რა უნდა გვახსოვდეს თითოეულ ადამიანს?***

გვახსოვდეს რომ ბოროტებას არა აქვს სიმღერა, იგი მუდამ ტირის, თავისი ცოდვების გამო. ეს სიკეთეა რომ მღერის ამაღლებული სულიერებით, უანგარო სიყვარულით, გაბრწყინებული და აღმაშენებელი. თუ გინდა იყო გამარჯვებული, შენ თავთან მართალი და ბედნიერი... მართლაც მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ, უქარქაშო ხმალმა. მათ შორის, ცოდნის ხმალმა, წიგნმა და გუთანმა გვატარა ისტორიულად და დღემდე მოგვიყვანა ქართველობა. გახსოვდეთ, დღეს სწორედ განათლება, წიგნია ქვეყნის საიმედოდ დაცვის გარანტი... გახსოვდეთ, უფალი იესო ქრისტე, ადამიანებისაგან განსხვავებით, არასოდეს ტოვებს მის მიერ შექმნილ სახებას – ადამიანს. სულიერებით, ზნეობით, პატრიოტული შემართებით დამშვენებულს... სუსტი კაცი პატივმოყვარეა და ყველაზე ჯიუტი, რადგან მას სიჯიუტე ძლიერებაში ერევა... ამან კი უნდა დაგვაფიქროს. ამ სენის წამალი ჩვენშივეა, რამეთუ თავი უნდა დავიმდაბლოთ და სიხარული შემოანათებს ჩვენს გულში.

***რა არ უნდა დაჰკარგოს ადამიანმა?***

ამასთან, არასდროს დაჰკარგოთ მადლიერების გრძნობა. რადგან ყველაზე დიდი ცოდვა ცხოვრებაში, ეს უმადურობაა, არასოდეს დაივიწყოთ ისინი, ვინც უანგაროდ დაგეხმარათ, იყავით მათ მიმართ გულისხმიერნი, კაცური ვალის უანგარო სიკეთითვე გადახდის მზადყოფნით. რაც, დავიწყებას არ ექვემდებარება... ლოცვებში ყოველდღიურად მოიხსენიეთ გარდაცვლილთა უკვდავი სულები და ზეციურ სასუფეველში შეავედრეთ მაღალ ღმერთს მათი ნათელში ყოფნა. ამინ! გახსოვდეთ, მოუსმინეთ და ყური მიაპყარით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღმაშენებლის – ქვეყნისა და ერის სულიერი მამისა და მოძღვრის სწავლებებს-ქადაგებებს, იმიტომაც, რომ განსაცდელის ჟამს კათოლიკოს-პატრიარქი პირველი იღებს დარტყმას თავის თავზე, რათა იგი ააცდინოს ქვეყანასა და ერს, თვითშეწირვითაც კი. საქმენი საგმირონი კი რჩება, არასოდეს კვდება, რადგან ღვაწლი ხალხის გულში ცხოვრობს მარადიულად და იგი მუდამ უკვდავია, რადგან მათზე გარდმოდის უფლის სულიწმინდის მადლი, რწმენისა და წყალობის ძალით უფლისავე სახლში – ტაძარში. ვისწავლოთ ერთმანეთის ხედვა წრფელი გულით, თუ გვსურს გადავრჩეთ ამ ულმობელ და ფათერაკებით სავსე ცისქვეშეთში. ხოლო რაც შეეხება ჩვენს გონებას, მას, ღვთის წყალობითა და ნებით, სულიწმინდის ტაძრად ქცეული ჩვენი გული უნდა მართავდეს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, თუ ჩვენ, გვსურს მუდმივად დავრჩეთ სწორედაც ადამიანებად. ამინ!

ჩვენდა იმედად ასეთია ჩვენი გულმხურვალე და გულწრფელი ხედვა ღვაწლმოსილ და ვალმოხდილ სულმნათ – ბატონ რუსლან რუსიასათვის დამახასიათებელი, ავტოპორტრეტის გაანალიზებით დამშვენებული და ცხოვრებითა და ხსოვნით დადასტურებული. ამინ! რადგან ყველა ამ დადებითი თვისებების პრაქტიკულად მატარებელია გარდაცვლილის ჭეშმარიტად ქართული ტრადიციების სასახელოდ მატარებელი ოჯახი: მეუღლე... და შვილები, და-ძმა... რომლებიც, მჯერა, ღვთის წყალობით, მალე აუსრულებენ საფიცარ და უსაყვარლეს მამას უკანასკნელ თხოვნას დაოჯახების, შვილიშვილებით გვარის გამრავლების თაობაზე და მათში მომავალი რუსლანის კვლავ დაბადების სახებით...

**ტარიელ ხარატიშვილი**



# ინტერვიუ ბატონ ანზორ ჯაფარიძესთან

***თუ შეიძლება გვიამბეთ თქვენი წარსულის შესახებ ანუ თქვენი ბავშვობა, როგორი ბავშვი იყავით?***

დავიბადე 1938 წლის 19 მაისს თელავის რაიონის სოფელ ახატელში, ახატელი ოდესღაც 1600 კომლი ყოფილა მაგრამ დღეს 100 კომლიღა დავრჩით – ჩვენს გვერდით წარმოიქმნა აზერბაიჯანული უზარმაზარი, უმდიდრესი და საკმაოდ მძლავრი სოფელი. ბავშვობა და ბავშვური ჩამოყალიბება დავიწყე საშინელი მძიმე ომის მიმდინარეობის პერიოდში. პურის ლუკმა, რომ გვენატრებოდა მახსოვს ზაფხულში ხორბალს, რომ მომკიდნენ დარჩენილ თავთავს ვაგროვებდით და სულს ვითქვამდით, მაგრამ კომუნისტებს ისე ყავდათ გაწვრთნილი მეველეები, რომ გვიკრძალავდნენ და თუ მოგვატანდნენ გვართმევდნენ, ომიდან ჩამოსული დაჭრილი ინვალიდი მამა, რომელიც საწოლს იყო მიჯაჭვული შეესწრო საზარელ ფაქტს, მაშინ ნალოგს ეძახდნენ ოჯახების გადასახადს, ვერ გადავიხადეთ და გზირი და აღმასრულებლები შემოცვივდნენ და თუ რამ გვქონდა ოჯახში: სკამი, მაგიდა, ავეჯი ყველაფერი გაქონდათ... ამას ვუყურებდით მე და ჩემი დები, ეს ჩვენს ფსიქოლოგიაზე მოქმედებდა და ჩვენც მძიმე ჩვევები გვიყალიბდებოდა, გულჩახვეული, გულგამყოლი ბავშვი ვიყავი. დავიწყე სკოლაში სწავლა, ცხოვრებაც ნაბიჯ-ნაბიჯ უმჯობესდებოდა ჩვენი ხასიათ-თვისებებიც წყნარდებოდა, ხდებოდა გარდაქმნა, შეგუება.

***ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?***

მამა, ვანო სიკოს ძე ჯაფარიძე დაიბადა 1910 წელს, დედა მშობიარობას გადაყვა, 20 წლის ლამაზი ქალბატონი. ასე დარჩა მამა ობოლი და დატანჯული, შემდეგ ომი, ინვალიდი დაბრუნდა ოჯახში. წლების განმავლობაში ლოგინს იყო მიჯაჭვული. დურგლობა, ავეჯის კეთება იცოდა და როდესაც ფეხზე რომ დადგა იმით გვარჩენდა ოჯახს.

დედა, მარიამ ნიკოლოზის ასული ლაზარიშვილი კულაკის შვილი იყო და მოესწრო იმ დროს რამოდენიმეჯერ, რომ გააკულაკეს მისი მშობლები, ფაქტიურად ომის დროს სამ შვილს და ინვალიდ მამასაც დედა გვარჩენდა მძიმე ფიზიკური შრომით.

***რამდენი დედმამიშვილი იყავით?***

ორი და, და მე, დები უფროსები იყვნენ და დედას ედგნენ გვერდით, მეც ისინი მზრდიდნენ .

***სად დაამთავრეთ საშუალო სკოლა და როგორ სწავლობდით სკოლის პერიოდში?***

დავამთავრე სოფელ რუისპირის საშუალო სკოლა წყალწყალა სამიანებზე, მაგრამ მოხდა სასწაული შემიყვარდა ჩემი სკოლელი გოგონა, რომელიც კირკიტი კაკალი გამოდგა. ახლოს არ გამიკარა (ის ხუთოსანი იყო). მე ბავშვობიდან პრინციპი მქონდა დასახულ მიზანს მოვკვდებოდი და მაინც მივაღწევდი, უმაღლესში მოვეწყვე მხოლოდ მისი სიყვარულით და წარმოიდგინეთ მეც ხუთოსანი გავხდი და წარჩინებით დავამთავრე. ის ჩემი მეუღლე გახდა.



***ცოტა რამ თქვენი სპეციალობის შესახებ***

როგორც გითხარი პედ. ინსტიტუტი დავამთავრე წითელ დიპლომზე და საგამოცდო კომისიის თავჯდომარემ ცხონებულმა ვლადიმერ უზნაძემ მეცნიერებათა აკადემიაში წამიყვანა სამუშაოდ, მაგრამ მე მენატრებოდა ეკონომიკური განათლება და როგორც წითელი დიპლომის მფლობელი ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტში (მრეწველობის დაგეგმვა) ამ დროს ასეთი კანონი შემოვიდა წითელ დიპლომიანებს განსხვავებული საგნების ჩაბარების შემდეგ უგამოცდოდ შეგვეძლო გაგვეგრძელებინა სწავლა.

***სტუდენტობის პერიოდში ვინ იყო თქვენი საუკეთესო მეგობარი?***

სამი ძვირფასი მეგობარი მყავდა და დღესაც მყავს. გივი სირაძე (სვანი), თემური ჟორჟოლიანი (ქართლელი), ალექსანდრე ახატნელი, და რა თქმა უნდა ჩემი აწ მეუღლე იყო ჩემი ძვირფასი მეგობარი, მაგრამ როგორც შემატყობდა ინტიმურ საუბრის დაწყებას ეგრევე გამირბოდა. მხოლოდ ერთხელ მოვიგდე ხელში და თვითმფრინავში ავუხსენი სიყვარული. პირდაპირ მივმართე თვითმფრინავი რომ აფრინდა, რას იზამ თვითმფრინავს გააჩერებ თუ გადახტებითქო და იძულებული გახდა მოესმინა ჩემი დიალოგი. მე კი გულხელგაშლილმა დავუმტკიცე ქვემოთ რაც მოსჩანდა: მთები, ველები, სასახლეები ყველაფერს შენ გჩუქნითქო და ისე გავაბრუე თანხმობა ვათქმევინე, ამჟამად ჩემი მეუღლე მეცნიერი მუშაკია, პროფესორი.

***თქვენი მუშაობის პერიოდში რა გზა გაიარეთ?***

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მუშაობა დავიწყე მეცნიერებათა აკადემიაში რომლის პრეზიდენტიც იყო ცხონებული მსოფლიო დონის მეცნიერი ნიკოლოზ მუსხელიშვილი. აქ ვხვდებოდი უდიდეს ადამიანებს სხდომათა დარბაზში ხშირად ვმჯდარვარ კონსტანტინე გამსახურდიასთან (ის ჩოხა ახალუხით დაიარებოდა) და სხვა გიგანტურ მეცნიერებთან, რაც ჩემთვის ოცნება იყო. აკადემია მდებარეობდა ძერჟინსკის ქუჩაზე (ახლა რა ქვია არ ვიცი). ავივლიდი ჩიტაძის ქუჩას, მთავრობის სახლს, ცეკას შენობას და გზაში ვხვდებოდი დიდ ადამიანებს, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი უდიდეს პიროვნებას, უსაყვარლეს კაცს ცეკას პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს – დღევანდელი მთავრობა დიდი ჩინოვნიკები დიდი დაცვით, პომპეზურად მოგზაურობს ქუჩაში, ვასილ პავლეს ძე გააჩერებდა რუსთაველზე მძღოლს და ამოუყვებოდა ფეხით ჩიტაძის ქუჩას, ყოველ შეხვედრისას ცილინდრის მოხდით მოგვესალმებოდა, ათვალიერებდა გამვლელს და გამომვლელს. მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობამ ძალიან ბევრი რამ მომცა. კომკავშირული მუშაობა, წიგნთან ურთიერთობამ მე მომცა საშუალება მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში აკრძალული ლიტერატურა მეკითხა. მომცა საშუალება წიგნის ანოტაციაზე მემუშავა, ვისწავლე ბიბლიოგრაფიული კითხვა. უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე სალამოს დასწრებულზე ჩავირიცხე და აქედან დაიწყო ჩემი ცხოვრებასთან ჭიდილი, მომთხოვეს პროფილით მუშაობა და ამ ინტელექტუალური სფეროდან, ამ ნალები საზოგადოებიდან მომიწია ძალიან მდუღარე მძიმე ცხოვრებასთან შებმა, მუშაობა დავიწყე დისპეჩერად. შემდეგ, გადაზიდვების განყოფილების უფროსად თბილისის ნავთობ ბაზაში. ცხოვრება დუღდა და ბობოქრობდა, ამ ინტელექტუალური სფეროდან უცბად აღმოვჩნდი 25 წლის ბიჭი, ბობოქარ ცხოვრებაში, 300 მძღოლი იყრიდა ჩემს განყოფილებაში თავს, ყველა რჯულის და ყველა წარსულის, ყაიდის ადამიანი, ცხოვრებისთვის ყველაფერზე წამსვლელები, ბობოქრობდნენ ისინი და ჩავები მეც მათ ფერხულში, 5 წელიწადი დასვენება არ ვიცოდი. 5 საათზე ვიღვიძებდი და ღამის პირველ საათზე ვიძინებდი, დაღლილ დაქანცული საღამოს უნივერსიტეტში მივდიოდი, ნავთობს მსოფლიოში ბევრი ბედნიერება და სიმდიდრეც მოაქვს და ბევრი უბედურებაც, ომები რევოლუციები, გადატრიალებები, აი მეც ჩავები ამ „ომში" დღეში 2400-2500 ტონა საწვავი გაგვქონდა და დღის ბოლოს ანალიზს რომ ვაკეთებდი ხელის გულზე მედო ჩვენი მრეწველობის, ჩვენი სოფლის მეურნეობის ფეთქვა თითქმის ვიზუალურად შემეძლო შემეგრძნო ვინ როგორი ტემპით მუშაობდა, ვინ რას ქმნიდა დიდი პასუხისმგებლობაც მქონდა, შემდეგ გადამიყვანეს საამქროს უფროსად და ბოლოს გენერალური დირექტორიც ვიყავი... წარმოიდგინეთ და დამიჯერეთ ეს ომის ტოლფასი იყო, გვარდიელები, მხედრიონელები, ყველა ბობოქარმა დღემ ჩემს თავზე გადაიარა, შემდეგ მომიხდა საქწიგნში მუშაობა. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში და ყველაზე ნათელი დრო საქართველოს კონტროლის პალატაში მუშაობა, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ვიყავი, პირველად ჩემს ცხოვრებაში ვმუშაობდი სოლიდურ ხელფასზე და პრემიაზე დანარჩენ დროს არა მარტო მე, ყველანი ვიყავით დროით გამოწვეულ კორუფციაში ჩამხრჩვალნი მეტ ნაკლებად, სახელმწიფო ჩვენ გვპარავდა (მათხოვრულ ხელფასს გვაძლევდა) და ჩვენ სახელმწიფოს. დავამთავრე ეს ბობოქარი ცხოვრება, გამოვედი ცოცხალი და გულმა გამიწია სოფლისაკენ. მე სოფელში გაზრდილი, პროვინციელი კაცი ვარ და მისი სიყვარულით ვიწვი, ყველას მოგიწოდებთ სოფელს მოვეფეროთ მიწას მოვესიყვარულოთ, მე ყველა პარტიულ ფუნქციონალს მოვუწოდებდი შევქმნათ პარტია „სოფლის მეურნეობა გადაარჩენს საქართველოს", ავკრძალოთ უცხოური კვების პროდუქტი, ერთერთ ლექსში მე ვწერ: დილმის კიტრის მეპატრონე, ჭოპორტული მეპამიდვრე, თურქულს რატომ შევექცევით ვერაფერი ვერ გავიგე... მაგრამ შეაყარე კედელს

ცერცვი. დღეს კარგად გამიგეთ, ყველა სოფელს მტრობს ერთგული სტუმარგაუმაძღარი პიროვნება უცხოურ შემოზიდვებით მდიდრდება, სოფელი კი თავზე გვექცევა, გარბის დამშეული ხალხი, ქალაქი თავკომბალას დაემსგავსა, უნდა დაგვაბრუნონ სოფელში, პირადად მე სოფლის მეურნეობაში საჩვენებელი, სამაგალითო ძვრები მოვახდინე რითაც მაპატიეთ და ძალიან ვამაყობ, მიწას ვეფერები, მიწას ვკოცნი.

***თქვენი გადასახედიდან სად დაუშვით შეცდომა?***

ალბათ მეცნიერებათა აკადემია არ უნდა მიმეტოვებინა და გავყოლოდი სამეცნიერო მოღვაწეობას, თუმცა დიდი ილია ბრძანებდა: არც მარტო წიგნიდან უნდა იყურო და არც უწიგნური უნდა იყოვო.

***თქვენი გადასახედიდან როგორი უნდა იყოს თითოეული ადამიანი?***

როდესაც ჩვენ თითოეული ადამიანი ჩვენს შეცდომას და კიდევ მეტი დანაშაულს არ ვაპატიებთ ჩვენს თავს და თუ ცხოვრებაში არ ვიტყვით ტყუილს: ვიტყვით სიმართლეს, როგორც გინდა მწარე იყოს ყველაფერი დალაგდება. ამ ქაოსში აღარ ვიცხოვრებთ, მე თვითონ ბევრჯერ მწარედ დავსჯილვარ თუნდაც უნებლიე ტყუილისათვის, ყველას ვურჩევ ვაღიაროთ სიმართლე.

***რას ურჩევდით მომავალ თაობას?***

ოტია იოსელიანივით და ანზორ ჯაფარიძესავით, ქალაქელია თუ სოფლელია – შეიყვაროს სოფელი, მშრომელი გლეხი, რომ გვეამაყებოდეს სოფელში ცხოვრება და შრომა.

***რამ შეგაყვარა ასე სოფელი და სოფლის მეურნეობა?***

ოტია იოსელიანთან ვმეგობრობდი, მან ცხონებულმა 70 წლის ასაკში დამაწყებინა მწერლობა, ვარ ოთხი წიგნის ავტორი, ერთხელ ოტია მესტუმრა და მოულოდნელად დაუსვი უხერხული კითხვა, ბატონო ოტია რა გინდა სოფელში ქალაქს ენატრები, დააბინძურა ეთერი, არიქა უაზრო ადამიანების ლაყბობამ თქო –შენი სიბრძნე, ენატრება ქალაქს, ერს და აი საოცრება დაიწყო ლექსი…

ადამიანები სადაც ვიბადებით და ვიზრდებით
იქვე ვრჩებით.
დედაზე ყველა მიბმული ვართ
როგორც ხბო პალოს,
და, რომ ვმოძრაობთ ვაგრძელებთ ბაწარს
და რაც უფრო შორს ვიწყებთ წანწალს,
მით უფრო მეტად ვეხვევით ათრეულ თოვლში
და თავის არ გვწამს.
ასე არა ქნა რომაელმა ცინცინატუსმა
ქრისტეშობამდე 500 წლის წინათ
პატრიციუსმა, ზრდილობით და თავმდაბლობით
გამორჩეულმა,
კონსული გახლდათ დღევანდელი
პრეზიდენტის ტოლი და ფარდი,
აძმობილებდა დანასისხლად წაკიდებულ
რომის პარტიებს, ხმალშემართული
ებრძოდა ვოლსკებს
და როცა სენატს ალადგინა
დაცემული სახელი და ავტორიტეტი,
წავიდა სოფელს თავის სახლში
ჩადგა ნახნავში და რგავდა კომბოსტოს
და წითელ ჭარხალს.
………………. . .
დაიწყო ომი მოვარდა მაცნე-მალემსრბოლი
გადაიარა მალემსრბოლი, სარდალი
ჭარხალს ხომ ყველა ბოგანო დარგავს
დარგავს, როგორ არ დარგავს, მაგრამ ის
თავის წილს დარგავს ჩემსას კი არა, მე კი მეძახის

ჩემი წილი ჩემი ვალი მშობლიური მიწის.

ყველა მამულიშვილს ვურჩევ ვეფეროთ ჩვენს სამშობლოს ჩვენ მშობელ მიწას, ჩვენს სოფელს მე სოფელს მამას ვეძახი – ქალაქს დედას, სოფელმა წარმოქმნა ქალაქი.

***ბატონ ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობას თქვენ როგორი კუთხით უყურებთ?***

არც ერთმა ქართველმა ახალგაზრდამ თუ ხანდაზმულმა არ თქვას მე რისი გაკეთება შემიძლიაო; უბრალოდ ჩვენი მისალმების ჟესტიდან ჩვენ სიტყვა პასუხიდანაც კი შეგვიძლია დიდი საქმე შევძინოთ ჩვენს სამშობლოს. ჯუმბერ ლეჟავამ თავის სიცოცხლის რისკად მსოფლიოს გააცნო საქართველო, ამდენი გზის ნობელის პრემია, ერთეულია მსოფლიოში. სიცოცხლეშივე დაფასდა მისი წვლილი გაიხსნა მისი სახელობის აკადემია. ბატონი ჯუმბერი ერის საყვარელი ძვირფასი ადამიანი იყო.

***რომელი აკადემიის წევრი ხარ?***

ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის

ფაზისის აკადემიის

და ქალდეას აკადემიის

***როგორ გაუწოდეთ ხელი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილ ოჯახებს.***

1990 – იან წლებში შევიძინე მიწის ნაკვეთი 450კვ.მ საბურთალოს ძველ ბაზართან ნატვრა მქონდა როგორც პროვინციაში გაზრდილ კაცს კერძო ბინა, მიწაზე მინდოდა დამედგა ფეხი, ერთ საღამოს შევიკრიბეთ ჩემი დიდი ოჯახი და გადავწყვიტეთ უარვყავით ეს პომპეზურობა და სალვთო საქმე წამოვიწყეთ, რესტორანი „ანცი“ რომელიც მხოლოდ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილებითაა დასაქმებული, ბატონ ზ. ჟვანიას მივწერეთ თავხედური წერილი... თქვენ, რომ ქუჩაში დაჰყარეთ ეს ლტოლვილები, ჩვენ ჯაფარიძეები გთხოვთ 20 ოჯახს ერთი პირობით მხოლოდ სული რომ უდგათ, უაღრესად გაჭირვებულებია, ისეთები გამოგვიგზავნე-თქო და აი დაიწყო მოდინება: მოვიდა ძალიან სიმპატიური ქალბატონი, რომელსაც ვეკითხები შენ რაღა გიჭირდათქო. სოხუმში ჩამბას ქუჩაზე მოვდიოდით და ყოველგვარი კონტაქტის გარეშე ავტომატის ჯერი მიუშვეს ჩემს ქმარს დავყურებ შეშინებული, შოკში ჩავარდნილი ჩემს მომაკვდავ ქმარს და ახლა ჩემი ხუთი წლის გოგონას მოკიდეს ხელი, დამიყენეს მუხლებთან და უყურე ჯერ ამას დავხვრეტთ და შემდეგ შენ მიგაყოლებთო 12-ნი იყვნენ. ერთი ავტომატიანი თურმე აფხაზი ყოფილა 11-ნი უცხოჯიშისანი ყოფილან (თქვენ კარგად იცით რომელი უცხო აქტიურობდა) ბეჭედი დამინახა ხელზე მანიშნა წინააღმდეგობა არ გამიწიოო და ტყავიანად გამაძრო, დაპატარავებული მქონდა და თითქმის ვერ ვიხსნიდი, მიუტანა იმ თერთმეტ გარეწარს და უთხრა – ბავშვს რაღას ვერჩით, აი ეს აიღეთ და წავიდეთო, მათ ხელი ჩაიქნიეს და მოგვაძახეს „Ну lagna“, მოვიდა მეორე ძმებდახვრეტილი, მშობლებდახვრეტილი, შევყურებ გაოცებული, შეწუხებული და შევფიცეთ ერთმანეთს თვითოეულ ლუკმას ვიყოფდით, მათი დიდი მონდომებით და რუდინებით ჩვენ რესტორანი ორჯერ გახდა ჩემპიონი თბილისის რესტორნებში, მოვაწყვეთ ჩვენივე სოფლის მეურნეობა, თითქმის 80%-ს ვაწვდით ჩვენს მოყვანილ პროდუქტს.

დამემდურა ახლობელი ადამიანები, მეზობლები, რა გაგიხდა ლტოლვილები? რატომ ჩვენ არ გვღებულობო სამსახურში. ჩემს ცხოვრებაში, ჩემს სიცოცხლეში ასეთი ბედნიერება არ გამიცდია რაც ამ ხელისგაწვდამ შემაძლებინა, ბედნიერი ვართ ჩვენი ოჯახი ღმერთმა, რომ შეგვაძლებინა ეს. დღეს ჩვენს გარშემო 100 გაჭირვებული ადამიანი შრომობს რესტორანში და სოფლის მეურნეობაში; მადლობა უფალო.

***შენი აღმსარებლობა, რელიგიური ხედვა?***

ბავშვობიდან ჩვენს მშობლებს ეკლესიაში დავყავდით ჩარდახიან ურმით, ფეხით, ჩოქვით, კომკავშირული მუშაობის დროს ექსკურსიაზე, რომ მიმყავდა ახალგაზრდები, ჩაფიქრებული მქონდა ბოლოს სადმე ეკლესიით დამესრულებინა ის დღე, სანთელი ამენთო და მელოცა, ეს გამჟღავნდა აკადემიის ერთ-ერთ სხდომაზე, წამოვიდა ერთერთი პიროვნება და უკიჟინა, ვერ ამჩნევთ ამ ბავშვს რელიგიური მიდრეკილება რომ აქვსო, გაისუსა დარბაზი, მაგრამ გაანათლოს ღმერთმა ვლადიმერ უზნაძე, წამოვარდა და უყვირა, ვერ გაძეხით სისხლით, რა გინდათ ამ ბავშვისგანო და გადავრჩი გარიცხვას.

გავბედე, უფალს შევსთხოვე შენდობა და ჩემს ლამაზ ეკლესიებს შევეხე, მოვახდინე რესტავრაცია უცხო ტომისაგან დანგრეულ ეკლესიებისა, ავღმართე 15 მეტრიანი ჯვარი, ზედა ნაწილი ფოსფორით არის შეღებილი, ღამე ანათებს და ჩემს სოფელს იცავს მისი აურა.

***როგორ დაიწყეთ სამწერლო ცხოვრება?***

როგორც ზემოთ ავღნიშნე ოტია იოსელიანი ჩემი საუკეთესო და სანიმუშო მისაბაძი ადამიანი იყო, ვმეგობრობდით, ვმსჯელობდით ჩვენს უგერგილობაზე, სოფლისადმი ასეთ უსულგულო დამოკიდებაზე – და აი უცბად ამოილო ჯიბიდან, ჩემი დაწერილი ლექსები (ვიღაცას მიუცია, მე ჩვევად მქონდა ექსპრომტად ვწერდი ხანდისხან) და მეჩხუბება შენ რა უფლება გაქვს არ აგრძელებ წერასო, ხედვა გაქვსო, სიტყვა მოგდისო და კიდევ რა ვიცი კარგად შემამკო... დავფიქრდი მართლა ხომ არ ვცადოთქო, დაზღვევისთვის თავი, რომ არ მომჭროდა და ვინმეს არ გაეცინა, ასეთი წინსართი გავუკეთე ჩემს პირველ წიგნს (400 გვერდიანს)

მე პოეტი არ ვყოფილვარ
არც სურვილი მქონია
ჩემთვის ვწერ, ჩემთვისაც ვქმნი
ასე გამყავს დრონია.

გამომივიდა 400 გვერდიანი წიგნი, რომელიც საზოგადოებამ დადებითად შემიფასა, მერე მოხდა ჩემს ცხოვრებაში სასწაული, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ჩემს სიყრმის შვილს შეეძინა პატარა ცისანიკო ჯაფარიძე ჩემი სიცოცხლე, ჩემი სიამაყე და მას დავუწერე 101 ლექსი, „101 ლექსი ცისანიკო ჯაფარიძეს" თან იუმორით ვიკვეხნიდი ოტიამ 99 ლექსი დაწერა, გალაქტიონმა 100 ლექსი და მე კი თავხედურად 101 ლექსი გავბედე-თქო, თავს ვიმშვიდებდი, ეს დიდი მწერლები სხვადასხვა პერსონაჟებზე წერენ, მე კი ჩემს ერთ ციცქნა ციცის მივუძღვენითქო. ღმერთის მოშიშმა, ეკლესიაში ჩოქვით მორწმუნეს მღვდელი არ მწამდა, უარვყავი თითქმის ყველა, ეკლესია, რომელიც დიდი სიყვარულით აღვადგინეთ და სოფელი ვთხოულობდით ჩვენს განადგურებულ სოფელში დაენიშნათ მღვდელი და აი სასწაული მომწერეს „მღვდლების დეფიციტის გამო ვერ ვაკმაყოფილებთ თქვენს თხოვნასო – ეს დიდი ისტორიაა, გამოჩნდა დიდებული ადამიანი, მღვდელი ამირან ამირანაშვილი და მან ჩამომხსნა ნიღაბი. მან შემაყვარა თვით უწმინდესი, მაღიარებინა ჩემი უგუნურება, მიმახვედრა, რომ ეს ვიღაც უსულგულო ადამიანებმა მომწერეს, დამაყენა სწორ გზაზე და მესამე წიგნი მას მივუძღვენი „მოძღვარი„- ის ამირანი ჩემი მოძღვარი გახდა.



ლიზი ნადირაშვილი, მამა ამირან ამირანაშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, ანზორ ჯაფარიძე და ტარიელ ხარატიშვილი

მე-4-ე წიგნი გავთამამდი და პროზაზე გადავედი. დავწერე „აღსარება" – რომელმაც სასწაული აღიარება ჰპოვა – ასე შემთხვევით გავხდი პოეტი-მწერალი.

დიდი მადლობა ახალგაზრდავ, ღმერთმა დაგლოცოს, ერის საამაყო შვილად ჩამოგაყალიბოს, გაგზარდოს.

# ნორჩი ათინათელები

## 167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბი

167-ე საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბში განვიხილეთ ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი,“ 16 თებერვალს ჩავატარეთ წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება...სულ მალე განვიხილავთ ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებს „პეპი გრძელიწინდა“... მკითხველებო, შემოგვიერთდით!...

მკითხველთა კლუბის კურატორი – **ლამარა გერგედავა**
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი






**ნიკოლოზ მარჯანიძე**
*თბილისის 167–ე საჯარო*
*სკოლის მე-8² კლასის მოსწავლე*



## ოგიუსტ როდენის „მოაზროვნე“

თანამედროვე ქანდაკების ფუძემდებელს, ფრანსუა–ოგიუსტ რენე როდენს, თავისი ქმნილებისთვის, თავდაპირველად, „პოეტი“ შეურქმევია... ბრინჯაოსგან შექმნილ „მოაზროვნეში“, ამბობენ, რომ ფრანგ მოქანდაკეს, ალეგორიულად, დანტე ალიგიერი აუსახავს, მაგრამ მოდელად იმ დროის მოკრივე, ჟან ბო, გამოუყენებია.

საოცარი ქანდაკებაა... სანამ მისი შექმნის ისტორიას გაეცნობი, თვალწინ წარმოგიდგება ჩაფიქრებული ადამიანი, რომელიც რაღაც მნიშვნელოვანზე ბჭობს გონებაში, ალბათ, შიშველი იმიტომაა, რომ მოქანდაკემ ის ყველა ეპოქას მიაკუთვნა, სამოსი გარკვეულ დროზე მიგვანიშნებდა... აზროვნებას არა აქვს საზღვრები...

ბლეზ პასკალის თქმით: „ადამიანის სიდიადე – ესაა მისი აზროვნების უნარი“... ჩემი აზრით, მთავარია, აზროვნება სწორად გამოვიყენოთ, ახლობლების, კაცობრიობის, სამყაროს სასარგებლოდ.

**ალექსანდრე კალანდია**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე–8² კლასის მოსწავლე*

## ადამიანის ღირსება

ენციკლოპედია გვამცნობს, რომ „ღირსება უნივერსალური ცნებაა. ის სახელმწიფოზე, ეროვნებასა და იდეოლოგიაზე მაღლა დგას. იგი ყველა უფლებათა და თავისუფლებათა წყაროა. არსებობს ღირსების ორი სახე - ადამიანური და პირადი.



პირადი ღირსება კეთილშობილური საქციელით, კეთილი საქმეებით მიიღწევა და ილახება უღირსი სულმდაბალი ქმედებებისას. ადამიანური ღირსების გრძნობა თვით კაცობრიობის ბუნებიდან გამომდინარეობს და ერთნაირად აქვს მომადლებული ყველა ადამიანს - იქნება ეს ახალშობილი, ამქვეყნად რომ არაფერი შეუქმნია, თუ - ჩამოყალიბებული დამნაშავე“ /http://www.nplg.gov.ge/.

მხატვარ სევერიან მაისაშვილის სურათზე გამოსახულია ეპიზოდი ნიკო ლორთქიფანიძის ერთ-ერთი ნაწარმოებიდან, „დადიანის ასული და მათხოვარი“. გოგონამ მათხოვარი გადაარჩინა, ხუთი წლის შემდეგ, გადარჩენილი მხსნელს, ყვავილებით, მარგალიტითა და მადლიერების გამომხატველი სიტყვებით ესტუმრა. მან აღიარა, რომ იმ ერთმა შემთხვევამ ადამიანად აგრძნობინა თავი, ღირსება შემატა...საპასუხოდ, მათხოვარმა დაცინვა, გულგრილობა და უყურადღებობა მიიღო. იმედგაცრუებულმა ყვავილები მოისროლა, მაგრამ დატოვა მარგალიტი... მერე, ერთ დროს მფარველ ანგელოზად მოვლენილი, თავადის ასულის ეზო უსიტყვოდ გაიარა...

ჩემი აზრით, მათხოვარი ღირსეული ადამიანია, ის, ხუთი წლის განმავლობაში, მუდმივად სიკეთეზე ფიქრობდა, გოგონა – მარგალიტებზე, ძვირფას ქვებზე...ბლეზ პასკალი ამბობს, ადამიანი მოაზროვნე ლერწამიაო...თუკი მას სწორი განსჯის უნარი არ გააჩნია, ღირსებაც არა აქვს...

**დემნა ლომიძე**
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-8² კლასის მოსწავლე

## ადამიანობა



ამ სურათზე მარინე თბილელი და ვასო გოძიაშვილია გამოსახული, სპექტაკლში, „კაცია–ადამიანი?!" სურათს რომ შეხედავთ, უნებურად, უპირველეს ყოვლისა, ლუარსაბისა და დარეჯანის მხატვრული სახეები გახსენდებათ. ადამიანს ყველას ვუწოდებთ, ისინი დედამიწაზე მცხოვრებ სხვა ცოცხალ არსებებზე მეტად არიან განვითარებული, მაგრამ ყველანი ამართლებენ კი ამ სახელს? ვაჟა-ფშაველა ლექსში „რამ შემქმნა ადამიანად“, ამბობს, წვიმად

რომ მოვსულიყავი, ქვეყნიერებას გამოვადგებოდიო, პოეტი, ნაწარმოების მიხედვით, მზადაა მსხვერპლშეწირვისათვის... ცოტანი არიან ასეთები...

ადამიანობა თათქარიძეობა კი არა, სიკეთის ჩადენაა. ზოგჯერ ამისი უნარი მდიდრებს არა აქვთ. ზოგჯერ მოსაჩვენებლადაც ჩადიან ქველმოქმედებას...

**მარიამ იოსელიანი**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის*
*მე-11 კლასის მოსწავლე*

## ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროთ"

იმერეთში, წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეშში, თურმე, ამ სახლში ქმნიდა თავის ნაწარმოებებს ნიკო ლორთქიფანიძე. მინიატურა „ტრაგედია უგმიროთ" რამდენიმეჯერ წავიკითხე, სულ



ახალ–ახალ საფიქრალს ვპოულობდი...შიმშილისგან გაწამებულმა ადამიანმა ფქვილი ისესხა, სანამ მჭადს გამოაცხობდა, ბავშვები გარეთ გაუშვა, მერე ისინი გადაავიწყდა, თვითონ შეჭამა... „**მე შევჭამე... ბავშვებს არაფერი ვაჭამე... ღმერთო, რა მომივიდა?... სირცხვილი!.. ხალხს რაღა ვუთხრა?!.. ვაი თუ დაიხოცნენ... ადგა, მივიდა ბავშვებთან...შეტრუსული ბჟოლის ძირში მიგდებულიყვნენ... ეძინათ...მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე. თავს იკავებდა: არ გავალვიძო მაინც! რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!!"** გონს რომ მოეგო, კაცმა თავი ჩამოიხრჩო...

როდესაც შიმშილი მძვინვარებს, ადამიანებს აზროვნებასთან, სულიერებასთან დაკავშირებული საკითხები აღარ აინტერესებთ, მათი გაღიზიანებული, აფორიაქებული გონება მოუცავს ერთ საზრუნავს, საკვები მიიღონ. მათ ავიწყდებათ ყველა და ყველაფერი, ადამიანურ საწყისს სძლევს ცხოველური. ჩემი აზრით, იშვიათია მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ეს პროცესი ისე მძაფრად იყოს გადმოცემული, როგორც ნიკო ლორთქიფანიძის ნოველაშია ნაჩვენები. ამ ნაწარმოებს არ ჰყავს კონკრეტული სახელის მქონე გმირი, ის ზოგადი სახეა.

ესაა ტრაგედია, რომელსაც, მართლაც არა ჰყავს გმირი...ესაა ნაბიჯები ადამიანისა, რომელსაც ვერ გავამართლებთ...

**ლაშა ჯაფარიძე**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის*
*მე-5 კლასის მოსწავლე*

## ბედნიერი დასასრული

„შევხედე კარგად ამომაღლებულ მზეს. ის ხომ მთლად გახარებული მიყურებდა, ასეთ მზეში რას არ აიტანს კაცი, და მეც გამართულმა გავაბიჯე გზაზე.

თქვენც შეგიმჩნევიათ თქვენით გახარებული მზე, ყმაწვილებო?"

ეს რევაზ ინანიშვილის ნოველის ბედნიერი დასარულია... ის დაწერილია ოჯახური ურთიერთობებისა და პასუხისმგებლობის თემაზე.




ნაწარმოების გმირები არიან: ბიჭი, მისი დედ-მამა, ბებია, ბიძაშვილები, მეგობარი თამაზა.

მოკლე სიუჟეტი ასეთია: ბიჭი ბიძაშვილებთან ერთად თევზაობდა, ბებია უხმობდა, მაგრამ არ პასუხობდნენ. მოვიდა გაბრაზებული მამა, შვილს ქამარი ჩაარტყა, ბიჭი გაიქცა, გზაზე მეგობარი თამაზა შეხვდა, მან ნატკენი ფეხი შეუხვია. შინ მისულს ესმოდა, როგორ საყვედურობდა ბებია მამას. ის კი მდუმარედ იდგა. მეორე დღეს, აივანზე გავიდა, მამა დაინტერესდა შვილის მდგომარეობით, თან გაუღიმა შვილს. ყმაწვილს მოეჩვენა, რომ მზეც გახარებული იყო.

მამას ძალიან უყვარს ბიჭი, მაგრამ ვერ იტანს უყურადღებობასა და უპასუხისმგებლობას, ამიტომ სიმკაცრეს იჩენს, როდესაც გაიგებს, რომ ბავშვები არ პასუხობენ ბებოს, თვითონ, უკვე შვილის მამა, მოზრდილი ადამიანი, თავისი დედის წინაშე უსიტყვოდ დგას და საყვედურებს მოთმინებით უსმენს, მას შეუძლია აჩქარებისა და წინდაუხედავი საქციელის გამოსწორებაც. მან გაუღიმა შვილს, ჰკითხა როგორა ხარო და ბიჭსაც გული მოულბა...

ნაწარმოები გვასწავლის, რომ ყველა ოჯახში უნდა იყოს მეგობრული ურთიერთობა, უნდა გვქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა და შეგვეძლოს პატიება.

**თაია გუმბერიძე**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის*
*მე-6 კლასის მოსწავლე*

## „საბრალო დედაბრისასა"



გოგი თოთიბაძის–სანათა (დეტალი) „ბახტრიონის" ილუსტრაციიდან, რაღაცით ძალიან ჰგავს ხალხური ლექსის „საბრალო დედაბრისასა" მთავარ, მარტოსულ პერსონაჟს.

„საბრალო დედაბრისასა,
თაგვნი ყანასა მკიანო,
ლომნი უგრეხენ ულოსა
და ვეფხვნი შეუკვრიანო"...

ჩემი აზრით, დედაბერი, მართლაც, საბრალოა, მას არავინ ჰყავს, არც შვილები და შვილიშვილები, არც მეზობლები...ლექსის მიხედვით, მის ირგვლივ უამრავი ცხოველი და ფრინველი ტრიალებს, ეხმარებიან. ერთი მხრივ, ნაწარმოებში ბუნების შვილთა დიდი სიკეთეა ნაჩვენები, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს მხოლოდ ფანტაზიაა, ამგვარი დახმარება მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ, ისინი კი შორს არიან...დედაბერი მარტოა, უნუგეშოა და საბრალო...

ვფიქრობ, ნაწარმოები გვასწავლის, რომ სიბერე ყველა ადამიანის თანამდევია, საჭიროა ერთმანეთს დავეხმაროთ.

**ნატალია ბობოხიძე**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის*
*მე-6 კლასის მოსწავლე*

## პეპი – მხიარული გოგონა

პეპის უცნაური სახელი ჰქვია, უცებ ვერც დაიმახსოვრებ: პეპილოტა ვიქტუალინა როლგარდინა ეფრაიმსდოტერ გრძელიწინდა. ის შვედი მწერლის, ასტრიდ ანა ემილია ლინდგრენის ნაწარმოებ „პეპი გრძელიწინდას“ პერსონაჟია. ეს ნაწარმოები გვასწავლის სიკეთეს, მეგობრობას...



პეპი მხიარული გოგონაა, წითელი თმა და ლურჯი თვალები აქვს, აცვია გრძელი წინდა. მარტო ცხოვრობს, მაიმუნ ნილსონთან ერთად, ჰყავს ცხენიც. გოგონას აღზრდაში არავინ ღებულობს მონაწილეობას, მიუხედავად ამისა, მაინც ყოჩაღია, უშიშარი და ერთგული. ტომი და ანიკა მისი საუკეთესო მეგობრები არიან...

მე ძალიან მიყვარს პეპი-ცელქი და სიცოცხლით სავსე გოგონა...

## ფიქრები...

ნოდარ დუმბაძის „ხაზარულა“



ბიჭის ბებია სოფელში ცხოვრობს და შვილიშვილს გულმოდგინედ უვლის, მისი სიხარული ახარებს...მოხუცი კეთილი და მზრუნველია, ალბათ, ყველას ეამაყება, როცა ასეთი ბებო ჰყავს გვერდით, მაგრამ

ზოგჯერ არის მომენტები, როდესაც გული გწყდება ახლობელზე...

ბებომ გადაწყვიტა ხაზარულა მოეჭრათ, ბიჭს ეს არ უნდოდა...ის ვერ ეგუებოდა ან ვერ აცნობიერებდა, რომ ხე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უწევდა ოჯახს სამსახურს, უკვე დაბერდა...

**მარიამ ბექაური**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის*
*მე-6 კლასის მოსწავლე*

## დედა

გიორგი ლეონიძის „ჩვენი ჭერამი“

ერთ მშვენიერ დღეს, ბიჭმა მეგობრები ჭერამზე მიიწვია, მაგრამ შორიდანვე შენიშნა, რომ ჩარჩი მელქო კრეფდა ხილს, თურმე, დედას გაეყიდა, მეზობლის ბავშვები ცოდონი არიან, მარტო შენ რომ გექნებაო... სამი აბაზიანი მისცა, წიგნების შესაძენად...

დედა კეთილი, მზრუნველი ადამიანია...

**ანანო კალანდია**
*თბილისის 167-ე საჯარო სკოლის*
*მე-6 კლასის მოსწავლე*




## უგუნურობით ჩადენილი შეცდომა

ბოროტ კაცსაც კი კეთილი სიტყვა მოაბრუნებს... როდესაც ადამიანი ცუდ ქმედებებს ჩადის, ხალხს ვნებს, მას ჭკვიანი გონებას უნათებს...

სულხან–საბა ორბელიანის იგავი „აქლემი და ვირი“ ალეგორიულია, მასში ნათლადაა ნაჩვენები, რომ აქლემმა ვირს სწორი გზა უჩვენა, მაგრამ მან არაფრად ჩააგდო და ყველაფერი ცუდად დამთავრდა.

თუკი ადამიანს სწორ გზას ვუჩვენებთ, მაგრამ ის არაფრად აგდებს და ვერ აცნობიერებს, იღუპება, საკუთარ თავს ვნებს...

**ტარიელ ხარატიშვილი**



### გზა მინდა

განგაშის ძახილი, განგაშის ძახილი
სიყვარულს სიტყვები, არ ჰყოფნის არაო
უდროო დროს ღმერთის აქ გამოძახილი
გზა მინდა გზა მინდა გზა მინდა მამაო
რ-ამდენჯერ ვიგლოვე შენც ვერ თვლი ბუნებავ
ა-მდენჯერ არასდროს არ დამიწერია
ხ-ო, დიახ ვნებდები იმარჯვებ განგებავ
რ-ატომღაც მგონია ეს ჩვენი წელია
ა-ი დღეს დაიწყო სიტყვების დაკარგვა
ვ-აი რომ ვერ შევძლო,ადგომა ძნელია
ყ-ვირილი არ შველის<მწველია ეს გვალვა
ი-მ დღიდან ცხოვრება ნათელზე ბნელია
მ-ინდა რომ ისროდნენ ერთგული თოფები
მინდა რომ ვიცოდე რომ აღარ მოვკვდები
ჩემს გულს დღეს გაუჩნდა სიკეთის კოჟრები
იცოდე ბოლო ჟამს ჩემს ხელში მოხვდები.

## ხუთია მხოლოდ ჩემი ცხოვრება

ხუთი წუთის წინ, რატომ არ ვიცი
აქ გადმომწერა ბარათაშვილმა
აქ გადმომხატა თავად ნიკალამ
აქ დამითვალა აინშტაინმა
ოთხი წუთის წინ სიყვარულს შევხვდი
გულში ვიგრძენი ყველა შტოები
ოთხი წუთის წინ ჩემს და მას შორის
იკიდა მჭკნარი,მხნარი რტოები
სამი წუთის წინ ის ჩემს წინ გაქრა
გულში დაიწრო დიდი ომები
სამი წუთის წინ დავიწყე გლოვა
ახლა იწყება მეგასტროფები
ორი წუთის წინ მოვიდა მეფე
გამომიწოდა მე ცოდვილს ხელი
მე ეშმაკები ვერ გადავკაფე
ანგელოზს მინდა მოვკიდო ხელი
ბოლო წუთია ჩემი ცხოვრების
ბოლოა ღმერთო ეს ოცნებებიც
ბოლო აკორდი ჩემი ცოდვების
სისხლის ეს წვეთი ამ ცხოვრებების

**ლიზი-ნინო ნადირაშვილი**



***

მე შენ მიყვარხარ დედიკო
სანამ არ განილევა დღეები ჩემი,
დროა აგინაზღაურო,
რაც გაგიკეთებია წარსულში ჩემთვის.

ბედნიერი ვარ რომ სუნთქავ,
რომ სულ ჩემთან ხარ და სითბოს მჩუქნი,
მე შენ მიყვარხარ დედიკო
სანამ არ განილევა დღეები ჩემი.

## ღვთაება

ჩემთვის ღვთაებრივი ფერებია ღია ცისფერი და ყვითელი.

ცისფერი ჩემთვის გზის ნათებაა, ყვითელი კიდეც წმინდანებს სახავს და მათ ცენტრში გამჩნდარი იესო, ჩემი ფიქრების კვალდაკვალს სახავს.

დედაჩემმა, რომ მითხრა – მე ნანა მქვიაო, მზე მას ყვითლად ანათებდა და ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

დედაჩემი ანათებს კოკისპირულ წვიმაშიც კი. ის ჩემთვის წმინდანია.

## დედას!

დედავ ჩემო, ია, ვარდო,
ჩემო მზეო, ჩემო ცაო,
ჩემო სულო, ჩემო გულის გამთბობელო.

ვარდიც შენ ხარ, მზეც შენა ხარ,
